ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში
(ქართული წყაროების მიხედვით)

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია
სპეციალობა: საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:
ასოც. პროფესორი ზაზა შაშიკაძე
პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმი
2019

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი

21.09.2019 წელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი……..... 4

თავი I. ოქროს ურდოს ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა

I.1. პროტომონღოლები …….....… 21

I.2. ჩინგიზ ხანი და მონღოლეთის იმპერიის გამოჩენა მსოფლიო ასპარეზზე……..... 26

I.3. ჩინგის ხანის იმპერიის მის გადანაწილება მემკვიდრეებს შორის და ჯუჩი ხანი 30

I.4. ოქროს ურდოს ეტიმოლოგიის შესახებ……... 34

I.5. ოქროს ურდოში შემავალი ეთნიკური ჯგუფები……..... 36

I.6. ოქროს ურდოს სახელმწიფოს საზღვრები და დედაქალაქი……..... 47

თავი II. ოქროს ურდოსა და კავკასიის ქვეყნების
სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები (1220- 1266)

II.1 ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება და კავკასიური დაპყრობები……..... 48

II.2. ცვლილება საქართველოში ტახტზე და ახალი პრობლემა: ხვარაზმშაჰები …..... 58

II.3. ბათო ხანის ხანის მიერ სახელმწიფოს შექმა და ლაშქრობები (1227-1256 წწ.) …..... 61

II.4. სარტაკ (აზბეგი) ხანი ……..... 77

II.5. ბერქე ხანის მმართველობა: 1256-1266 წწ… …….....……. 80

თავი III. ოქროს ურდოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები
კავკასიის ქვეყნებთან აღმავლობის ხანაში (1265-1397 წწ.)

III.1. ბერქესა და აბაღას დაპირისპირება …….....…..……. 101

III.2. მენგუ თემურის პერიოდში კავკასიასთან ურთიერთობები (1266-1281 წწ.) 104

III.3. არეულობის ხანა ოქროს ურდოში 114

III.4. 1291-1295 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები ……..... 121

III.5. თოხთა ხანის ურთიერთობები კავკასიასთან (1291-1313 წწ.) ……..... 123

III.6. უზბეკ ხანის მმართველობა ოქროს ურდოში .....…..... 133

III.7. ჯანიბეგ ხანის მმართველობა და ურთიერთობა კავკასიასთან (1340-1357 წწ.)…..... 144

III.8. ბერდიბეგ ხანის მმართველობა (1357-1360 წწ.)……...…148

III.9. 1361-1380 წლების მოვლენები ……..... 149

III.10. თოხთამიშის მმართველობა და ურთიერთობა კავკასიასთან (1379-1397 წწ.)…..... 150

თავი IV. კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება ოქროს ურდოში

IV.1. სახელმწიფოებრივი და რეგიონალური გაერთიანება 157

IV.2. სამხედრო ორგანიზაცია 161

IV.3. ვაჭრობა და ეკონომიკური ცხოვრება 162

IV.4. რელიგია 168

IV.5. სოციალური ცხოვრება და დიდი ქალაქები 171

დასკვნები……..... 176

ბიბლიოგრაფია..……

დანართები……

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საკვლევი თემის აქტუალობა: წინამდებარე ნაშრომში - „საქართველოსა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით)" - ქართულ, ისლამურ და დასავლურ წყაროებზე დაყრდნობით განხილულია ოქროს ურდოს სახანოს მიერ საქართველოს მიმართ გატარებული პოლიტიკა.

1206 წელს, ჩინგიზ ხანმა ოფიციალურად დააარსა მონღოლთა იმპერია, რომლის დაპყრობებმაც დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ მსოფლიოზე. კარგად ორგანიზებული მონღოლთა არმია დიდ და საშიშ ძალას წარმოადგენდა ყველასთვის. მონღოლებმა მცირე ხანში ახლო აღმოსავლეთიდან დასავლეთ ევროპამდე არაერთ სახელმწიფოში შეცვალეს სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. ჩინგიზ ხანმა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, მის მფლობელობაში არსებული ტერიტორიები სიკვდილამდე მის ოთხ ვაჟს გაუნაწილა. ამგვარად, ჩინგიზ ხანის შემდეგ წარმოიქმნა მონღოლთა სახელმწიფოები, რომელთა დედაქალაქიც ყარაყორუმი იყო. ოქროს ურდო ამ მონღოლურ სახელმწიფოთაგან ერთ–ერთია. XIII ს-ის პირველ ნახევარში (1223 წლიდან) ყივჩაღთა ველის, ყირიმის, ვოლგის ბოლგარებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიებზე შექმნილი ოქროს ურდოს საყაენო მნიშვნელოვანი სახელმწიფო გახლდათ, რომელსაც ორ საუკუნზე მეტხანს, 1502 წლამდე ახლო აღმოსავლეთზე, კავკასიასა და თურქულ სამყაროზე დიდი გავლენა იქონია. ჩინგიზ ხანმა უფროს ვაჟს ჯუჩის დღევანდელი რუსეთის ვრცელი ტერიტორია და ყაზახეთის საზღვრებში არსებული ყივჩაღთა ველი გადასცა. აღსანიშნავია, რომ ჯუჩის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ რეგიონი მის ვაჟს, ბათოს ხვდა წილად. 1236 წელს ყივჩაღთა ველზე მეორე ლაშქრობაში გამარჯვების შემდეგ უკან დაბრუნებულმა ბათო ხანმა 1241 წელს მემკვიდრეობით მიღებულ ტერიტორიებზე ოფიციალურად დააარსა ოქროს ურდოს სახელმწიფო.

1220 წლიდან დაწყებულ მონღოლთა თავდასხმების მოგერიებას საქართველოს სამეფო აჯანყებებით ცდილობდა. XIII ს-ის მეორე ნახევრიდან მონღოლთა ცენტრალურ ხელისუფლებაში პოლიტიკური დანაწევრება დაიწყო. შეუძლებელია ზუსტი თარიღის დადგენა, თუ როდის შევიდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიები ჰულაგუ ხანის დაქვემდებარებაში, რომელმაც 1258 წლიდან დააარსა სახელმწიფო. მისი ცენტრი იყო ირანის აზერბაიჯანი და მოიცავდა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებსაც. ჰულაგუს ამ რეგიონში მოსვლამ, ძლიერი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებამ და მისმა მოქმედებებმა რეგიონში ოქროს ურდოს და სხვა პოლიტიკური ძალები შეშფოთება გამოიწვია. ბერქე ხანის მმართველობის დროს ოქროს ურდოსთან დაწყებული ბრძოლები ილხანთა საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რომელიც მას დაარსებიდან ჩამოშლამდე თან გაჰყვა. ილხანები სამხრეთ კავკასიის შენარჩუნებას ცდილობდნენ, მაშინ, როდესაც ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკა მათი ხელში ჩაგდებისკენ იყო მიმართული. ტრანსკავკასიის მდიდარმა საძოვრებმა და მასზე გამავალმა სავაჭრო გზებმა ორივე მონღოლური ძალის ყურადღება მიიპყრო. საქართველო კი, რომელიც რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი სახელმწიფო იყო, სწორედ „სამხედრო პოტენციალის" გამო მოექცა მონღოლთა ყურადღების ცენტრში. საქართველოსა და

სამხრეთ კავკასიაზე გაბატონება მომღოლთათვის ვაჭრობის, მდიდარი მიწების და ძლიერი სამხედრო ძალის ხელში ჩაგდებას ნიშნავდა. ამ მიზეზებიდან გამომდინარე, აღნიშნულ რეგიონში 1261–1397 წლებში ურიცხვი დიდი ბრძოლა და მცირე შეტაკება გაიმართა, რაც მკვეთრად აისახა რეგიონზე. აღსანიშნავია, რომ ბრძოლის ინიციატორი არასდროს არ ყოფილა ილხანთა სახანო. ოქროს ურდო კი, იმ მიზეზით, რომ ჩინგიზ ხანის ვაჟებს შორის ტერიტორიული საზღვრები დადგენილი არ იყო, ყოველთვის პირველი იწყებდა ბრძოლას, თუმცა, ასევე პირველი იჩენდა სამშვიდობო მოლაპარაკებების ინიციატივას. დიპლომატიური მოქმედებები განსაკუთრებით თოხთა ხანის მმართველობის ხანაში, 1294 წელს გააქტიურდა და უზბეკ ხანის მმართველობაში გრძელდებოდა. ნაშრომში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ ოქროს ურდოსა ილხანებს შორის ბრძოლები ძირითადად მდინარე მტკვრისა და დარუბანდის მიდამოებში მიმდინარეობდა.

1266 წლიდან ოქროს ურდო მენგუ თემურთან ერთად ცენტრალურ საყაენოს გამოეყო და დამოუკიდებელი სახანო გახდა. აქედან მოყოლებული, უკვე საგარეო პოლიტიკასაც აწარმოებდა. რა თქმა უნდა, მენგუ თემურის შემდეგ ტახტზე ასულ ოქროს ურდოს მმართველებსაც სამხრეთ კავკასიაში იგივე პოლიტიკის გატარება სურდათ, მაგრამ 1282–1300 წლებში საშინაო პრობლემების გამო ვერ ახერხებდნენ ამას. 1291 წელს ტახტზე ასვლის შემდეგ თოხთა ხანმა საშინაო საკითხების მოგვარება მოახერხა და ამის შემდეგ, 1303 წლიდან 1397 წლამდე ოქროს ურდოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასია კვლავ მთავარ საკითხად იქცა. ამ დროს პერიოდულად იყო მცდელობები საქართველოს სამეფოსთან ურთიერთობების დამყარებისა (მაგ.: თოხთა ხანისა და დავითის ურთიერთობები, **იხ: III თავი**) 1357 წელს კი ოქროს ურდომ მიზანს მიაღწია და თავრიზი დაიპყრო. საქართველოს ნაწილიც მცირე ხნით მის დაქვემდებარებაში მოექცა.

აღნიშნულ ბრძოლებში ქართველები იძულებით მონაწილეობდნენ და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც ქვეყანა ძლიერ დაზარალდა. ოქროს ურდოს, რომლის პოლიტიკური ცხოვრებაც 1502 წლამდე გრძელდებოდა, ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ანატოლიისა და სამხრეთ კავკასიის ხალხებთან, მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოსთან. 1327 წლიდან, როდესაც ილხანების სახელმწიფო აბუ საიდ ხანის მმართელობის პერიოდში ჩამოშლა დაიწო, საქართველოს სამეფომ გიორგი ბრწყინვალესთან ერთად აღმავლობის გზას დაადგა. გიორგი V–მ აფხაზეთი და იმერეთი კვლავ საქართველოს დაუქვემდებარა. ქვეყანაზე მონღოლთა ბატონობა 1350 წლამდე ფორმალურ ხაიათს ატარებდა და მხოლოდ მონეტებზე აისახებოდა **(Spuler, 1957:141)**. 1323 წლით დათარიღებულ სომხურ ხელნაწერში საქართველოს მეფე გიორგი V მოხსენებულია როგორც „დიდი სომხეთისა და საქართველოს მეფე“, თუმცა, 1330–1331 წლების წყაროებში იგი მხოლოდ „საქართველოს მეფეა“ **(A.M, 1969:65; Lang, 1955: 84).**

ნაშრომში დაწვრილებით განვიხილავთ ოქროს ურდოსა და საქართველოს ურთიერთობებს პოლიტიკურ, სამხედრო, რელიგიურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და სოციალურ ჭრილში. მისი თითოეული თავი ცხადია ლოგიკურ კავშირშია, მაგრამ ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კვლევაა. მართალია, საქართველოში მონღოლები პირველად 1221 წელს გამოჩნდნენ, მსოფლიო ასპარეზზე მათი გამოჩენისა და ოქროს

ურდოს დაარსების ისტორიის გადმოსაცემად ნაშრომის საწყის თარიღად 1206 წელი განვსაზღვრეთ. 1397 წელს, თემურ-ლენგსა და თოხთამიშ ხანს შორის გამართული ბოლო ბრძოლის შემდეგ, ოქროს ურდოს დასუსტება დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში გაბატონება ვერ მოახერხეს, შემდგომი მოვლენები ნაშრომში აღარ შევიტანეთ და ქრონოლოგიური ჩარჩოც XIII-XIV სს-ში მოექცა.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ნაშრომში განხილული წყაროები ცხადყოფს, რომ მონღოლთა დაყრობების მთავარ სამიზნეს სამხრეთით არა საქართველო, არამედ აზერბაიჯანი წარმოადგენდა. მაგრამ, იმის გამო, რომ საქართველო და სომხეთიც იგივე რეგიონში იყვნენ, მათი ხელში ჩაგდების მიზნით, მონღოლებმა სწორედ აქეთკენ აიღეს გეზი. ამიტომაც, XIII ს-ს მეორე ნახევრიდან ილხანებისა და ოქროს ურდოს წინააღმდეგობის მთავარი მიზეზი სამხრეთ კავკასიაში გაბატონება იყო. მათ შორის დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლები მკვეთრად აისახებოდა რეგიონზე და, რა თქმა უნდა, შესაბამისად საქართველოზეც. საქართველოზე მონღოლთა გავლენის და ქართველ მეფე-მთავრებთან მათი ურთიერთობის დაწვრილებით მიმოხილვა ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა. შესაბამისად, განვიხილეთ ოქროს ურდოს პოლიტიკა მთელ რეგიონთან მიმართებაში და ძირითადი აქცენტი გავაკეთეთ საქართველოზე. საკვლევი თემის არჩევისას მიზნად დავისახეთ ყურადღება გაგვემახვილებინა და შეგვესწავლა შემდეგ საკითხებზე:

1) მონღოლთა დაპყრობები და სამხრეთ კავკასია;

2) მონღოლთა საუკუნენახევრიანი ბატონობა საქართველოზე და მისი შედეგები;

3) ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის საქართველოს ტერიტორიებზე გამართული ბრძოლები და მათი შედეგები;

4) ოქროს ურდოს მმართველთა ურთიერთობები ქართველ მეფეებთან;

5) ქართველი ხალხის დამოკიდებულება მონღოლებისადმი;

6) რამდენად შეძლო ოქროს ურდომ მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზნის მიღწევა, ანუ სამხრეთ კავკასიის დამორჩილება?

7) რამდენად შეძლო საქართველომ ოქროს ურდოსადმი გამკვლავება?

8) რომელი პოლიტიკური მოვლენებით დასრულდა ოქროს ურდოს ურთიერთობა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიასთან?

9) მონღოლთა მიერ საქართველოში დანიშნული მმართველების მოღვაწეობა;

კვლევა განხორციელდა ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, გამოყენებულ წყაროებში აზრთა სხვადასხვაობის შეჯერებისა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის გზით შევეცადეთ შეგვექმნა ნაშრომი, რომელიც მომავალში გარკვეულწილად დაეხმარება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს.

მეცნიერული სიახლე: მონღოლების შესახებ, რომლებმაც მსოფლიო ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშეს, მრავალი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომი არსებობს. თუმცა, ოქროს ურდოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორია სამეცნიერო ლიტერატურაში

სრულად შესწავლილი არ არის. პირველადი წყაროების სიმცირემ ამ მხრივ გარკვეული სირთულეები წარმოშვა. არ არის დაწვრილებით და სრულად შესწავლილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ოქროს ურდოს ურთიერთობები რუსეთის სამთავროებთან, ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან, ბიზანტიასთან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მისი, განსაკუთრებით კი ნოღაის ჯარის მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ ოქროს ურდომ დიდი გავლენა იქონია მთლიან კავკასიასა და მისი მოსახლეობის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე, მაგრამ კავკასიის ქვეყნებთან მისი ურთიერთობების შესახებ ნაშრომი თითქმის არ არსებობს. მკვლევრები, რომლებიც ოქროს ურდოსა და ილხანთა კავშირებს სწავლობენ, დეტალურად არ განიხილავენ საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობებს. სწორედ ამიტომ, წარმოდგენილი ნაშრომი მეცნიერებისთვის გარკვეული სიახლე იქნება.

ნაშრომი ორიენტირებულია კონკრეტულ რეგიონზე და მოიცავს ვრცელ ბიბლიოგრაფიას. იგი ძირითადად სხვადასხვა ენაზე შედგენილ პირველად წყაროებს ეყრდნობა და გამოყენებულია ოქროს ურდოსადმი მიძღვნილი არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევაც. გარდა ქართულისა, გამოყენებულია წყაროები ინგლისურ, ფრანგულ, უნგრულ, რუმინულ და თურქულენოვანი წყაროები, რაც ხშირად მოვლენებს და საკითხებს ქართული სამეცნიერო ლეტერატურისგან განსხვავებულად წარმოაჩენს.

კვლევის მეთოდები: ნაშრომი, რომელშიც ოქროს ურდოსა და საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობებია განხილული, ტექსტების და მოვლენების ანალიზის გზით არის დაწერილი. სოციოლოგიური კვლევის ორი მეთოდი არსებობს - „თვისობრივი“ და „რაოდენობრივი“. რაოდენობრივი მეთოდი რიცხვებსა სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა. ამის მაგალითია ისტორიული დემოგრაფიული კვლევები. წარმოდგენილ ნაშრომში უმეტესად „თვისებრივი კვლევის მეთოდი“ გამოვიყენეთ, რადგან მოცემული საკითხები ძირითადად ეყრდნობა წყაროებს, რომლებიც აანალიტი-კურ გააზრებას მოითხოვს. კვლევის დროს ავირჩიეთ მუშაობის გარკვეული ხერხი, რომელიც თანმიმდევრობით შეიძლება შემდეგნაირად გადმოვცეთ:

1. წყაროების დამუშვება (პირველადი და მეორადი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა);

2. წყაროთა კლასიფიკაცია პერიოდის მიხედვით;

3. წყაროთა ანალიზი (რამდენად არის დაკავშირებული ესა თუ ის წყარო კვლევის თემასთან და სად არის ნაშრომში მისი ადგილი);

4. წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად მათი სანდოობის დადგენა;

გამოყენებული წყაროების შეპირისპირების საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვ-ნები. მუშაობის პროცესში ვცდილობდით პასუხი გაგვეცა ყველა იმ შეკითხვაზე, რომე-ლიც ნაშრომის შერჩევის დროს გაგვიჩნდა. მიზნად დავისახეთ, როგორც პირველად, ისე დამხმარე წყაროებსა და სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, გადმოგვეცა ცნობები ოქროს ურდოს მმართველების, მისი პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ოქროს ურდოს გარდა, ნაშრომში მოცემულია ცენტრალური დიდ მონღოლთა იმპერიის, ხვარაზმის, ილხანთა და საქართველოს მეზობელი სხვა ხალხებისა და ქვეყნების სოციალური და პოლიტიკური ისტორია, რაც მის ფართო პერსპექტივაზე მიუთითებს. იგი საინტერესო იქნება არა მხოლოდ საისტორიო, არამედ სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული კვლევების დროსაც. კვლევის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში, ან სხვა ტიპის სამეცნიერო კვლევების დროს. საინტერესოა აგრეთვე სამხრეთ კავკასიაში ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის მიმდინარე ბრძოლების შესწავლის კუთხით. დახმარებას გაუწევს საქართველო-ილხანების ურთიერთობების მკვლევრებს. მასში გამოყენებულია ბევრი ახალი წყარო, რომელიც შეპირისპირებულია მანამდე შექმნილ კვლევებთან. მონღოლთა შესახებ ნაშრომები, ძირითადად რუსულ ქრონიკებსა და ისლამურ წყაროებზე დაყრდნობით იქმნებოდა. ჩვენი ნაშრომი გამოირჩევა ბიბლიოგრაფიული მრავალფეროვნებით. ამ მხრივ იგი ერთგვარი სახელმძღვანელოც იქნება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

კვლევის შედეგები: კვლევის პროცესში მიღებული შედგები სამეცნიერო თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს. ისინი ჩვენ ცალკე შევაჯამეთ და გადმოცემული გვაქვს სადისერტაციო ნაშრომის ბოლო ნაწილში, დასკვნების სახით (იხ.გვ. 176)

ნაშრომის აპრობაცია:

სადისერთაციო ნაშრომი შესრულე-ბულია ბათუმის რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში, სადაც შედგა მისი განხილვა-აპრობაცია 2019 წლის 19 ივლისს (ოქმი No:3). საკვალიფიკაციო ნაშრომის ავტორს რეკომენდაცია მიეცა საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაშრომის ცალკეული ნაწილი გამოქვეყნებულია საერთშო-რისო სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, წაკითხულია საერთშორისო კონფერენციებზე.

საკითხის შესწავლის ისტორია: ოქროს ურდოს შესახებ პირველადი საისტორიო წყაროები მცირე რაოდენობით მოიპოვება, რაც გარკვეულწილად ართულებს მოცემული საკითხების კვლევას. საკითხის ირგვლივ არსებული უმთავრესი წყაროებიდან გამოვიყენეთ ოთემიშ ჰაჯის ,,ჩინგიზ-ნამე“, აბდულგაფარ ყირიმელის ,,უმდეთ'ულ აჰბარი“, ოქროს ურდოს იარლიღები და ფირმანები და ნუმიზმატიკური მასალები. გარდა ამისა, ვისარგებლეთ მონღოლური ისტორიოგრაფიული ძეგლით „მონღოლების საიდუმლო ისტორია“. გამოვიყენეთ პერიოდის შესახებ სხვადასხვა ავტორთა ნამუშევრებს.

1. ოქროს ურდოს ისტორიის ამსახველი წყაროები:

ოთემიშ ჰაჯი - ,,ჩინგიზ-ნამე“

XVI ს-ში, ოთემიშ ჰაჯის მიერ ჩაღათაურ ენაზე შესრულებული ძეგლი, დაწვრილებით გადმოგვცემს ოქროს ურდოს პოლიტიკურ ისტორიას, სოციალურ-ეკონომიკურ

და კულტურულ მდგომარეობას. ავტორის შესახებ მცირე რამ ვიცით. 1557–1558 წლებში ხვარაზმის მმართველმა იშ სულთანმა, ოთემიშ ჰაჯის, რომელიც ოქროს ურდოს სახელმწიფოს კარგად იცნობდა, დინასტიის ისტორიის შესახებ თხზულების დაწერა დაავალა. ძეგლი ზეპირ გადმოცემებზე დაყრდნობით დაიწერა. აღსანიშნავია, რომ ოთემიშ ჰაჯიმ ნაშრომში აღწერილი მოვლენების ადგილები უშუალოდ მოინახულა, რაც მის სანდოობას ზრდის. ,,ჩინგიზ-ნამე" ბათო ხანიდან თოხთამიშ ხანის სიკვდილამდე ოქროს ურდოს დინასტიის ამბებს მოგვითხრობს **(Ötemiş, 2018:XVII).** ნაშრომზე მუშაობისას მასში მოცემული მოვლენები და თარიღები ხვა წყაროებს შევადარეთ და ისე გადმოვეცით. ოთემიშ ჰაჯის ნაწარმოები თურქულად ოქროს ურდოს მკვლევარმა ილიას ქემალოღლუმ თარგმნა. ჩვენ აღნიშნული 2009 და 2018 წლების გამოცემებით ვისარგებ-ლეთ. ასევე ნაშრომზე მუშაობის პროცესში ორიგინალი ძეგლის თარგმანს შევადარეთ ოქროს ურდოს მკვლევრის მუსტაფა ქაფალის წიგნი „ჯუჩი ულუსის ისტორია ოთემიშ ჰაჯის მიხედვით".

აბდულგაფარ ყირიმელი - უმდეთ'ულ–აჰბარ (უმდე'თუ'თ-თევარიჰ) - ,,სარწმუნო ამბები"

აბდულგაფარ ყირიმელის ფესვები ოქროს ურდო უკავშირდება. მისი თხზულება 1747 წლით თარიღდება და ყირიმის ისტორიის ამსახველ პირველწყაროებს ეყრდნობა. თხზულება პირველადი წყაროა. მასში ადამისა და მოციქულების ისტორიებთან ერთად, გადმოცემულია ისლამის ისტორია, ჩინგიზ ხანისა და მისი ვაჟების ცხოვრება, ცნობები თურქულ-ისლამური სახელმწიფოების, სელჩუკებისა და ოსმალების იმპერატორების და ყირიმის სახანოს შესახებ **(Kırımî, 2003:541)**. ოქროს ურდოს სახელმწიფოს შესახებ აბდულგაფარ ყირიმელის ცნობები, ოთემიშ ჰაჯის ,,ჩინგიზ–ნამეს" ემთხვევა. ეს წყარო, ხშირად გვაქვს გამოყენებული ნაშრომის მესამე თავში.

იარლიღები (ფირმანი) და ბითიქები (განკარგულება)

ნაშრომში ხშირად შევხვდებით ტერმინს „იარლიღი", რაც თურქულ-მონღოლურ ენებზე ბრძანებას, განკარგულებას, ფირმანს ნიშნავს. თავიდან მონღოლი ხანების „იარლიღები" სიტყვიერი იყო **(Kamalov, 2013:334-335).** ოქროს ურდოს კვლევებში პირვე-ლადი წყაროებად მიღებული იარლიღები, მართალია, ჩვენი კვლევის ქრონოლოგიასა და თემატიკას სცდება, თუმცა დისერტაციის მესამე თავში ვისარგებლეთ ზოგიერთი მათგა-ნით. უზბეკ ხანის მმართველობის ხანაში, ჩვენამდე მოღწეული, 1332 წლის 9 ოქტომ-ბრით დათარიღებული, ოქროს ურდოს სახელმწიფოს მიერ იტალიელ ვაჭრებზე გაცემუ-ლი ყველაზე ძველი და ჯანიბექ ხანის მიერ 1342 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებული გენუელი ვაჭრებისთვის გაგზავნილი იარლიღები გამოვიყენეთ. მათზე მუშაობა შევძე-ლით მელექ ოზიეთგუნისა და ილიას ქამალოვის თურქულ და რუსულ ენებზე მომზადე-ბული მონოგრაფიით „ოფიციალური მიმოწერა ოქროს ურდოს სახანოში" (2017). წიგნში შეტანილია 31 დოკუმენტი თარგმანითურთ, რომლებიც ოქროს ურდოს შიდა და გარე, სხვადასხვა ენაზე შესრულებულ მიმოწერას წარმოადგენს **(Özyetgin, Kemaloğlu, 2017:IX).**

„ბითიქ" ძველ თურქულად და მონღოლურად წიგნს, წერილს, ნაწერს, დადგენი-ლებას, განკარგულებას ნიშნავს **(İpşirli, 1992:225)**. სტამბოლის თოფქაფის სასახლის მუზეუმში დაცული ოქროს ურდოს, ყირიმის და თურქისტანის ხანების მიერ გამოცემულ

ბითიქები და იარლიღები გამოცემული აქვს აქდეს ნიმეთ ქურათს, რომლებიც ნაშრომის მესამე თავში გამოვიყენეთ. აქვე ვსაუბრობთ 1358-1359 წლების თაიდულა ხათუნის ბითიქზე, რომელიც ვენეციის ჰერცოგის გადასახადის გადახდას უკავშირდება.

ნუმიზმატიკური წყაროები

ოქროს ურდოს კვლევისთვის ყველაზე თვალსაჩინო და ზუსტ ინფორმაციას შეიცავს ხანების მიერ საკუთარ სახელზე მოჭრილი მონეტები. სანკტ-პეტერბურგის, ლონდონის, ვენის, ბერლინის და სტამბოლის მუზეუმებში მათი კოლექციებია დაცული. ამათგან რუსეთში ერმიტაჟის მუზეუმსა და ლონდონის ბრიტანეთის მუზეუმში საკმაოდ მდიდარი კოლექციაა წარმოდგენილი **(Kafalı, 1976:4).** ამა თუ იმ ხანის ოქროს ურდოს ტახტზე ყოფნის თარიღების დასადგენად ხშირად ვსარგებლობდით მონეტებზე არსებული ინფორმაციით. ამასთან დაკავშირებით ვსარგებლობდით ლიტერატურით: დევიდ ლანგის „*Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*" (საქართვ-ელოს ნუმიზმატიკური ისტორიის შესწავლა ტრანსკავკასიაში, **1955),** მუსტაფა ქაფალისა და ნურეთინ აღათის მონოგრაფიები**,** და ექრემ ქალანის ნაშრომი.

2. ქართული წყაროები

საქართველოს ბედი მონღოლთა ბატონობის პერიოდში ვრცლად აქვს აღწერილი უცნობ ქართველ ავტორს, რომელსაც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია პირობითად ჟამთააღმწერელს უწოდებს. თხზულება შეტანილია ,,ქართლის ცხოვრების'' კრებულში (**ქ.ც., 1959**). მაღალი ღირსებების გამო იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული პირველხარისხოვან წყაროდ, როგორც საქართველოს, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად.

,,ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობების უმრავლესობა უნიკალურია და ეს ცნობები სხვა წყაროებში არ გვხვდება. აქედან გამომდინარე, ძეგლმა, მუშაობის პროცესში არსებულ უამრავ კითხვას გასცა პასუხი. გარდა ქართულისა, ვისარგებლეთ 1849 წელს ფრანგი მ. ბროსესეული გამოცემით - „*Historie de la Géorgie*". 1212 წლამდე არსებული მოვლენები თურქულად თარგმნა ჰრანდ დ. ანდრესიანმა.

მონღოლთა პერიოდს ეძღვნება XIV ს-ის დასასრულს დაწერილი ქსნის ერისთავთა საგვარეულო-გენეალოგიური ისტორია, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ,,ძეგლი ერისთავთა'' სახელით არის ცნობილი (**ძ.ე., 1954**).

XIII-XIV სს-ის საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და სოციალური ურთიერთობების შესასწავლად არაერთი საკანონმდებლო ძეგლი არსებობს. ამ მხრივ აღსანიშნავია: ,,ბექა-აღბუღას სამართალი'', გიორგი ბრწყინვალის ,,ძეგლისდება", ,,ხელმწიფის კარის გარიგება'', ასევე უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთა მიერ კანო-ნიკური განწესებანი ცალკეული ეპარქიებისადმი და სხვა**.**

უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა XVIII ს-ის ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის ვახუშტი ბატონიშვნილის თხზულება ,,აღწერა სამეფოისა საქართველოისა'' (**ქ.ც, 1973**), რომელშიც იმ პერიოდის საკითხებზე მრავალი საინტერესო მოსაზ-რებაა გამოთქმული.

მონღოლთა ბატონობის პერიოდის ისტორია არაერთმა ქართველმა ისტორიკოსმა შეისწავლა. მათი ნაშრომები საინტერესოდ წარმოაჩენს იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას ,,ქრონიკები" (**ჟორდანია, 2018**). მნიშვნელოვანია სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსების - ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას შრომები, რომლებშიც უაღრესად საინ-ტერესოდ არის განხილული საქართველოს ურთიერთობები მონღოლებთან და ბევრი ისტორიული ფაქტი პირველად არის მათ მიერ შემოტანილი მეცნიერულ ბრუნვაში.

საქართველოში მონღოლთა ბატონობა საყურადღებოდ აქვს შესწავლილი ისტორიკოს იასე ცინცაძეს, რომლის მონოგრაფია ,,მონღოლები და მონღოლთა დაპყრო-ბანი" (**ცინცაძე, 1960**), საინტერესოდ წარმოაჩენს ქართველთა ურთიერთობებს ოქროს ურდოსთან; მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებებს, განსაკუთრებით კოხტას-თავის აჯანყებას; დავით ულუსა და დავით ნარინის ურთიერთობებს მონღოლ ყაენებთან, განსაკუთრებით ილხანებთან; დემეტრე II თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალის მეფობას და ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხს.

საინტერესოა ქართველი მეცნიერის ილია ტაბაღუას ნაშრომები, მათ შორის ,,საქართველო ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში" (**ტაბაღუა, 1984**). ისტორიკოსმა ევროპის არქივებში დაცულ მასალებზე დაყრდნობით შეისწავლა რუსუდან მეფის წერილები რომის პაპებისადმი, რომელშიც ითხოვდა დახმარებას მონღოლების წინააღმედეგ ბრძოლებში. წერილებში საყურადღებოდაა წარმოჩენილი რომის პაპების უმოქმედობა საქართველოს მიმართ, რომელიც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მონღოლთა შემოსევების გამო.

მონღოლთა ბატონობის პერიოდის ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიას საინტერესოდ წარმოაჩენს ბ. ლომინაძე (**ლომინაძე, 1964**). ასევე აღსანიშნავია ქართველი ისტორიკოსების ვ. გაბაშვილის (**გაბაშვილი, 1970**), რ.კიკნაძის (**კიკნაძე, 1987**), ქ. ჩხატარაიშვილის (**ჩხატარაიშვილი, 1985**), მ. წურწუმიას (**წურწუმია, 1999**) ი. სიხარული-ძის (**სიხარულიძე, 2001**), ს. მარგიშვილის, მ. ხოფერიასა (**მარგიშვილი, ხოფერია, 2009**) და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც წარმოჩენილია იმდროინდელი საქართველოს სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა ისტორიები.

მნიშვნელოვანია ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-3 ტომი (**ს.ი.ნ. 3, 1979**), რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ეძღვნება მონღოლების საქართველოში შემოსვლას და აქ გაბატონებას, განხილულია თითქმის ყველა საკითხი, რომელიც საქართველოს მონღოლებთან ურთიერთობებს ეხება.

მონღოლთა დაპყრობების ეპიცენტრში მყოფი საქართველოსთვის, ეს პერიოდი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. მართალია ქართულმა ქრონიკებმა ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი, მაგრამ ზოგიერთი საკითხი პასუხგაუცემელი დარჩა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისლამურ და დასავლურ წყაროებში საქართველოსა და მონღოლეთის ურთიერთობების შესახებ ცნობები მწირია. ამის უმთავრესი მიზეზი რელიგიური ფაქტორი უნდა იყოს. ეს გარემოება ოქროს ურდოს შესახებ წყაროებში ნათლად ჩანს. ბერქე ხანისა და უზბეკ ხანის მმართველობის პერიოდი, მათი მრწამსის გამო ისლამურ

წყაროებში უფრო დაწვრილებით და გულმოდგინებითაა გადმოცემული. ხოლო იმ ხანების შესახებ, რომლებსაც ისლამი არ მიუღიათ, მწირი ცნობები გვხვდება. მაგალითად, ბათო ხანისა და მენგუ ხანის შესახებ. ბათო ხანის ვაჟის სარტაკ ხანის ქრისტიანული აღმსარებლობლობის გამო მასზე წყაროები ნაკლებ ინფორმაციას გადმოგვცემენ.

3. სპარსული წყაროები

რეშიდუდინ ფაზლულა: „ჯამიუ'თ თევარიჰ" („საისტორიო კრებული")

ილხანთა მნიშვნელოვანი ისტორიკოსის რეშიდუდინ ფაზლულას თხზულება ნაშრომში ბევრჯერ გამოვიყენეთ. პირველადი წყარო თავისი შინაარსით ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლია. 1248 წელს ჰამადანში დაბადებული რეშიდუდინ ფაზლულა გარკვეულ ხანს ილხანთა სახელმწიფო კარზე ექიმი იყო. გაზან ხანისა და ოჯაითუ ხანის მმართველობის დროს ვეზირი გახდა. ილხანთა მმართველის აბუ საიდ ბაჰადირის ბრძანებით, 1318 წელს სიკვდილით დასაჯეს. ფაზლულა 1303 წელს სირიის ლაშქრობაში გაზან ხანს ახლდა. ლაშქრობის ბოლოს გაზან ხანმა ისტორიული თხზულების დაწერა დაავალა. იგი 19 ნაშრომის ავტორია, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი უდაოდ „ჯამიუ'თ თევარიჰია" (Haykıran, 2016:217-219). უბადლო განათლების მქონე ავტორი მონღოლურ, სპარსულ, არაბულ, ებრაულ ენებს ფლობდა. რეშიდუდინ ფაზლულა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ყოფნის გამო, სათათბირო ორგანოს ჩანაწერებსა და მის მიერ დაწერილი მოვლენების უშუალო მოწმეებს ადვილად წვდებოდა, რის გამოც მისი ნაშრომი მონღოლთა ისტორიის ყველაზე ღირებული და კომპლექსური წერილობითი ძეგლია (Khelejani, 2013:XI-XII). წყაროში მოთხრობილი ამბები 1304 წელს, გაზან ხანის გარდაცვალებასთან ერთად სრულდება. ნაშრომზე მუშაობისას ვადარებდით მის ინგლისურ და თურქულ თარგმანებს.

ალა-უდ-დინ ათა მალიქ ჯუვეინი: თარიჰ-ი ჯიჰანგუშა („მსოფლიოს დაპყრობის ისტორია")

ჯუვეინის ოჯახი ირანში ერთ-ერთი დაწიანურებული ოჯახი იყო. ილხანთა გამოჩენის შემდეგაც მათი მმართველობის სისტემაში მნიშვნელოვან როლი ჰქონდათ (Haykıran, 2016:233). 1226 წელს დაბადებული ჯუვეინის მონღოლთა სახელმწიფოში მაღალი თანამდებობა ეკავა. იგი მუდამ ჰულაგუს გვერდით იყო. ამიტომაც მის ნაწარმოებში მისი უშუალო მონაწილეობით აღწერილი ფაქტებია გადმოცემული. ეს პირველადი წყარო მონღოლთა ისტორიაზე მომუშავე მკვლევართათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია. ჯუვეინი, დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში, მონღოლების მიერ მთელი ირანის, საქართველოს, ანატოლიისა და სხვა ქვეყნების სამართავად დანიშნული ამირა არღუნის ოფიციალურ მიმოწერებს ემსახურებოდა (Kamalov, 2003:117; Haykıran, 2016:233-237). ჯუვეინის ნაწარმოები ილხანების მმართველობის ხანაში დაწერილი პირველი ისტორიული ნაშრომია. სწორედ ის გახდა მაგალითი ილხანთა შემდგომი ისტორიკოსებისთვის (Haykıran, 2016: 237). წყარო 1260 წლამდე ამბებს მოგვითხრობს.

მინჰაჯ სირაჯედინ ჯუზჯანი: თაბაკათ-ი ნასირი („ნასირის თაბახები“)

ჯუზჯანი 1193 წელს დაიბადა. ის მონღოლთა დაპყრობების თვითმხილველი გახლდათ. უფრო მეტიც, იგი მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. „თაბაკათ-ი ნასირი“ 1260 წლამდე მოვლენებს აღწერს. ისტორიკოსი, რომელიც მონღოლთა მოწინააღმდეგე იყო, თავის ძეგლში აშკარად გამოხატავს სიმპათიებს ჯუჩის ულუსის მიმართ **(Khelejani, 2013:XIII)**. წყაროს XVI თავში გვაწვდის ინფორმაციას ხვარაზმშაჰების სახელმწიფოს შესახებ და ოქროს ურდოს დინასტიის ფუძემდებლის, ჯუჩი ხანის შესახებ საუბრობს. მნიშვნელოვან ცნობებს გადმოგვცემს მონღოლთა ჯარისა და მონღლთა გაერთიანების შესახებ. წყარო პრფესორმა მუსტაფა უიარმა 2016 წელს სპარსულიდან თურქულად თარგმნა.

ჰამდალაჰ მუსთევფი-ი ყაზვინი - „თარიჰ-ი გუზიდე“ („რჩეული ისტორია“) და „ნუზჰეთუ’ლ ქულუბ“ („გულთა სიამე“)

ჰამდალაჰ ყაზვინი 1281-1350 წლებში მოღვაწეობდა. მას ოლჯაითუ ხანის მმართველობის ხანაში მდივან-მწიგნობრის თანამდებობა ეკავა. „რჩეულ ისტორიაზე“ მუშაობა 1329 წელს დაასრულა. ნაშრომი რეშიდუდინ ფაზლულა მიხედვით დაწერა, მაგრამ მისგან განსხვავებული ინფორმაცია აქვს გადმოცემული **(Khelejani, 2013:XIV).** ყაზვინს ეკუთვნის ასევე გეოგრაფიული ნაწარმოები „გულთა სიამე“. ნაშრომში გამოვიყენეთ წყაროს ინგლისური თარგმანი **(Qazwin, 1919).**

აბუ ბექრ ელ-ეჰრი: „თარიჰ-ი შეიხ უვეის“ („შეიხ უვეისის ისტორია“)

ავტორის მხოლოდ სახელია ცნობილი. მისი „ისტორია“ XIV ს-ის აზერბაიჯანისა და სამხრეთ კავკასიისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი პირველადი წყაროა (**Kutbî, 1954:2).** მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის უზბეკ, ჯანიბეკ და ბერდიბეკ ხანების მმართველობის პერიოდის და, ასევე, ოქროს ურდოსა და ილხანების ურთიერთობის შესახებ **(Kafalı, 1976:6).** ვისარგებლეთ წერილობითი წყაროს ინგლისური თარგმანით.

ჯემალუ’დ-დინ აბუ’ლ ყასიმ ‘აბდულაჰ ელ-ქაშანი - „თარიჰ-ი ოლჯაითუ“ („ოლჯაითუს ისტორია“)

წყარო ილხანთა მმართველის ოლჯაითუ ხანის (1304-1356) ხანას აღწერს. ამ მნიშვნელოვან წერილობით წყაროში დაწვრილებით ინფორმაციას ვხვდებით აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა. ისტორიის შესახებ. წყარო კვლევის მესამე თავში ოლჯაითუ ხანის და ოქროს ურდოს სახელმწიფოს მმართველების, თოხთა ხანისა და უზბეკ ხანის ურთიერთობების გადმოცემისას გამოვიყენეთ.

ჰაფიზ-ი აბრუ - „ზეილ-ი ჯამი’უთ-თევარიჰი“ („მატიანეთა კრებული“

თემურიდების პერიოდის ისტორიკოსებიდან ერთ-ერთი შიჰაბუდინ აბდულაჰ ბ. ლუთფულაჰ ბ. აბდუ’ლ რეშიდ ელ-ჰაფის (ჰაფიზ-ი ებრუ) ეს ნაწარმოები ფაზლულას გაგრძელებაა. ილხანთა საისტორიო ტრადიციის გამგრძელებლად ითვლება **(Khelejani, 2013:XV)**. უზბეკ ხანისა და აბუ საიდ ბაჰადირ ხანის ურთიერთობების შესწავლისას აღნიშნული ნაშრომი გამოვიყენეთ.

ქერიმუდინ მაჰმუდ აქსარაი - „მუსამერეთუ'ლ აჰბარ" („ღამის ამბები")

ავტორი ბიოგრაფიის შესახებ ბევრი ცნობა არ გვაქვს, თუმცა მის სახელი და წყაროს შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ წარმოშობით აქსარაიდან იყო. 1323 წელს სპარსულ ენაზე დაწერილი ძეგლი მიძღვნილია ილხანთა მმართველის აბუ საიდ ბაჰადირის მიერ ანატოლიის გამგებლად დანიშნულ ამირა ჩობანის შვილის თემურ-თაშისადმი. ძეგლი, იბნ ბიბის ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიის მთავარ წყაროს წარმოადგენს (**Aksarayî, 2000:XII-XVI**). ბერქეს, მენგუ თემურისა და თოხთა ხანის მმართველობის აღწერისას ამ ძეგლით ვისარგებლეთ.

ნიზამუდინ შამი - „ზაფერნამე" („გამარჯვების წიგნი")

თემურიდების სახელმწიფოს მოწინავე ისტორიკოსებიდან ერთ-ერთია. ჯელაირე-ბის ბატონობის დროს თემურ ლენგი 1393 წლის 29 აგვისტოს სულთან აჰმეთ ჯელაირის მიერ მიტოვებულ ბაღდადში შევიდა და ნიზამუდინ შამი პირველი იყო ვინც მას დაე-მორჩილა (**Şâmî, 1987:170**). იგი 1403 წელს თემურს საქართველოში ლაშქრობისას თან ახლდა (**Bezer, 2010:330**). ნიზამუდინ შამს ნაშრომის დაწერა თავად თემურმა დაავალა (**Şâmî, 1987:XXVI**). თემურისა და თოხთამიშის ბრძოლების შესახებ თხრობისას ეს პირვე-ლადი წყარო გამოვიყენეთ.

გეოგრაფიული სიახლოვის გამო, ნაშრომში განვიხილავთ ანატოლიაში ზოგიერთ მოვლენას, რისთვისაც ამ წყაროების გარდა, გამოვიყენეთ იბნ ბიბის სპარსული ბითი წყარო, „უმაღლესი ბრძანებულებანი უდიდესი საქმეებზე", იგივე „სელჩუკთა წიგნი".

4. არაბული წყაროები

ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო მტრულად იყო განწყობილი ილხანების მიმართ, თუმცა მეგობრობდა ოქროს ურდოსთან, რის გამოც არაბულ წყაროებში მის შესახებ ცნობები უფრო ხშირად გვხვდება. გამომდინარე აქედან ვ. ტისენჰაუსენმა, ოქროს ურდოს შესახებ, ყველა არაბული წყარო მოაგროვა, რუსულად თარგმნა და პეტერბურგში 1884 წელს (**Kurat, 2015a:323**) გამოსცა. ტისენჰაუსენის ეს ნაშრომი, ისმაილ ჰაქი იზმირლიმ თურქულად გამოსცა სახელწოდებით „ოქროს ურდოს ისტორიის ტექსტები". იგი ჩვენი ნაშრომისთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან ქვემოთ მოცემული წყაროების უმრავლესობა მისი საშუალებით მოვიძიეთ.

იბნუ'ლ ასირ აბუ ჰასან იზედინ ალი ბინ მუჰამედ - „ელ-ქამილ ფი'თ თარიჰ" („სრული ისტორია")

იბნუ'ლ ასირი 1160-1233 წლებში მოღვაწეობდა. მისი ნაშრომი სამყაროს შექმნის ისტორიიდან იწყება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს 1231 წლამდე მოვლენებს. არაბულ ენაზე შესრულებულ ნაშრომში, სელჩუკების, ჯვაროსნული ლაშქრობების, აბასიდების და მონღოლთა დაპყრობების შესახებ არის მოთხრობილი და ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. ნაშრომში ცალკეა საუბარია საქართველოში მონღოლთა პირველი შემოჭრიდან 1231 წლამდე მიმდინარე მოვლენებზე. ავტორ თათრების შესახებ გადმოცემული ისტორიის ნაწილი საკუთარი თვალით აქვს ნანახი, ნაწილს კი სხვების ნაამბობზე დაყრდნობით გადმოგვცემს

(Kamalov, 2003:123). ჩვენი ნაშრომის პირველ და მეორე თავებში ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი თურქული და ერთი ინგლისური თარგმანით ვისარგებლეთ.

იბნუ'ლ–აბდუზაჰირი - „სირათულმალიქ ეზ–ზაჰირ“ („მბრძანებელთა ბრწყინვალე გზა“)

იბნუ'ლ–აბდუზაჰირი ეგვიპტის მამლუქთა სულთნის მალიქ ზაჰირ ბაიბარსის მდივან–მწიგნობარი იყო. პარალელურად პოლიტიკურ საქმიანობასაც ითავსებდა. ამ პერიოდის ოქროს ურდოსა და მამლუქების ურთიერთობების საკითხთან დაკავშირებით ფრიად განსწავლული იყო. სწორედ ამიტომ, შემდგომში რუქნადინ ბაიბარსმა, შაფი იბნ ალიმ, ნუვეირმა და სხვა ისტორიკოსებმა მისი იბნუ'ლ–აბდუზაჰირის ნაშრომში არსებული ინფორმაციით ისარგებლეს **(Tiesenhausen,1941:110)**. ჩვენი კვლევის მეორე თავში იბნუ'ლ–აბდუზზაჰირის ძეგლი გამოვიყენეთ.

იბნ ვასილ ელ-ჰამევი - „მუფერიჯუ'ლ-ქურუბ“ („გულღია ამბები“)

იბნ ვასილ ელ ჰამევი 1297 წელს ჰამაში ყადის თანამდებობაზე ყოფნის დროს გარდაიცვალა. ნაშრომის მეორე და მესამე თავებში 1297 წლამდე მოვლენების აღწერის დროს მისი ცნობებით ვისარგებლეთ. წყაროს ნაწილი იმეორებს ზაჰირის მიერ დაწერილ ცნობებს **(Tiesenhausen,1941:148).**

რუქნადინ ბაიბარსი - „ბაიბარს თარიჰი“ („ისტორია“) და „ეთ თუჰფეთუ'ლ–მულუქიეფი'დ დევლეთი'თ–თურქიე“ („ძღვენი თურქთა სულთნებს“)

ბაიბარსი 1247 წელს დაიბადა და მამლუქთა სასულთნოში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირა. მამლუქებისა და მონღოლების ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას და თავის ნაშრომში ბრძოლებში გადამხდარ შემთხვევებზე საუბრობს. რუქნადინ ბაიბარსი (ბაიბარს ელ–მანსური) სამი ისტორიული თხზულების წიგნის ავტორია, რომლებიც პირველადი წყაროებია. ერთ–ერთი თხზულება „ბაიბარს თარიჰი“ (ბაიბარსის ისტორია) ჩვენს კვლევაში გვაქვს გამოყენებული. 1230 წლამდე განვითარებული მოვლენების დიდი ნაწილი იბნ–ი ესირისგან გადაიღო, თუმცა 1230 და 1324 წლამდე აღწერილი მოვლენების თვითმხილველი თავადაა **(Khelejani, 2013:XVIII)**. მესამე თავში, ამ თხზულების თესენჰაუსენისეული თარგმანით ვისარგებლეთ. თუმცა იმავე თხზულების სხვა თარგმანით შერუფიდინ იალთქაიას ბაიბარსის ისტორიაც გამოვიყე-ნეთ. კვლევაში, აგრეთვე დაგვეხმარა რუქნადინ ბაიბარსის „ეთ თუჰფეთუ'ლ–მულუ-ქიეფი'დ დევლეთი'თ–თურქიე“ (1252-1312)" .

ელ-მუფადალი: „ენ-ნეჰჯ უს-სედიდ“ („ჭეშმარიტი გზა“)

ელ-მუფადალის შესახებ მხოლოდ ის ვიცით რომ, ეგვიპტელი ქრისტიანი იყო **(Togan, 1985:204)**. მისი თხზულება 1260–1348 წლებში განვითარებულ მოვლენებს მოიცავს. მასზე მუშაობისას სხვადასხვა წყაროებით ისარგებლა. ბერქე-ჰულაგუს ურთიერთობების საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის, რაც კვლევის მეორე თავში გამოვიყენეთ. კვლევის მესამე თავში კი მენგუ თემურისა და თოხთა ხანის ილხანების სახელმწიფოსთან ურთიერთობების აღწერისას ვისარგებლეთ.

იბნუ'ლ ვერდი: „სელჩუკები“ (თარიჰ)

იბნუ'ლ ვერდის სახელით ცნობილი აბუ ჰაფს ზეინუდდინ ომერ ბენ ელ–მუზაფერ ბენ ომერ ელ–ბექრი ელ–ქურეში ეშ–შაფიი ელ–მა'არი 1292 წელს სირიაში დაიბადა.

იბნუ'ლ ვერდის პოეზიასა და ლიტერატურაშიც აქვს ნამუშევრები. იგი მუშაობდა „ყადის" თანამდებობაზე. მისი თხზულების ნაწილი თურქულად მუსტაფა ალიჯანმა თარგმნა (**İbnü'l Verdi, 2017:14-15**). პირველად წყაროში არსებული ცნობები ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოსა და მის ურთიერთობებს ეხება. კვლევაში კი რუსუდან დედოფლისა და ხვარაზმშაჰების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობებით ვისარგებლეთ.

გარდა ამ თხზულებებისა გამოვიყენეთ ეზ-ზეჰები, ალამედინ ბირზალი, შაფი'იბნი ალი და სხვა.

5. სომხური წყაროები

სომხური წყაროები ოქროს ურდოს პირველ პერიოდაე ბევრ ცნობას გვაწვდის. კვლევის პროცესში, ქართულ–მონროლური ურთიერთობების შესახებ არაბულ და სპარსულ წყაროებში ცნობები ვერ ვიპოვეთ, რაც სომხური წყაროების დახმარებით შევავსეთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მეორე და მესამე თავებში სომხური წყაროებიდან გამოყენებულ ცნობებს ვხვდებით. მონღოლთა შესახებ მნიშვნელოვანი ნაწილი ა.გ. გალსტიანის „Армянские Источники о Монголах, Извлечения из Рукописей *XIII-XIV вв."* რუსულად შესრულებულ ნაშრომშია მოცემული. იგი ილიას კამალოვმა თურქულად თარგმნა. გალსტიანის თხზულებიდან ვისარგებლეთ: „ანონიმური სომხური ქრონიკებით", „მხიტარ აირივანეცის ქრონიკებით", „სერსეს პალიენცის ქრონიკებით", „ეპისკოპოს სტეფანოსის ქრონიკებით" და „სებასტაცის ქრონიკით".

ამის გარდა, გამოვიყენეთ კილიკიის სომეხი მეფის ჰეთუმ I–ის ძმის ოშინის შვილის კორიკოსიელი ჰაიტონის თხზულებით. ასევე სტეფანოს ორბელიანის და ჰეთუმის ისტორიის ინგლისური თარგმანი გამოვიყენეთ.

ზემოხსენებული სომხური ქრონიკების გარდა ვისარგებლეთ შემდეგი წყაროებით:

კირაკოს განძაკეცი

XIII ს-ში მოღვაწე ისტორიკოსის შესახებ ცნობები თავისი ჩანაწერებიდანაა ცნობილი. იგი განჯაში დაიბადა და კირაკოსი განჯაში დაიბადა და კირაკოს განძაკეცის სახელითა ცნობილი. ნაშრომზე მუშაობა 1241 წელს დაიწყო და 1272 წელს გარდაიცვალა. კირაკოსი სამხრეთ კავკასიაში მონღოლთა თავდასხმების თვითმხილველი იყო, აქედან გამომდიანრე, მისი ნაშრომი პირველადი წყაროა. ნაშრომის სომხური ტექსტი, მოსკოვში (1858), ვენეციაში (1863) და თბილისში (1910) სამჯერ გამოიცა (**Kuşçu, Güler, Özer, Öztemel, 2017:78**). წყაროში მონღოლების მიერ საქართველოზე განხორციელებული მოქმედებები, დაწვრილებითაა აღწერილი. ჩვენ, წყაროს თურქული თარგმანით ვისარგებლეთ.

ვარდან ვარდაპეტი

XIII ს-ის მნიშვნელოვანი სომეხი ისტორიკოსი ვარდან ვარდაპეტის დაბადების დრო და ადგილი უცნობია. მას დიდ პატივს სცემდნენ სასულიერო პირები და ქრისტიანი მმართველები. ილხანთა სახელწმიფოს დამაარსებელ ჰულაგუ ყაენთან პირისპირ უსაუბრია. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით ჰულაგუს პერიოდთან დაკავშირებით აღწერილი მოვლენების უშუალო მხილველი იყო. ეს თხზულება მსოფლიო ლიტერატურაში „მსოფლიო ისტორიის" სახელითაა ცნობილი. ვარდანმა,

რომელიც 1271-1272 წელს გარდაიცვალა, თხზულებაზე მუშაობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაიწყო. ამ თხზულების მეშვეობით, ვისარგებლეთ ურფელი მათეოსის, სხვა სომეხი ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიის რამოდენიმე თხზულებით (Kuşçu, Güler, Özer, Öztemel, 2017:78-79).

გრიგოლ აკანელი, „მოისარი ტომის ისტორია“

სხვა სომეხი ისტორიკოსებისგან განსხვავებით, მასზე ბევრი ინფორმაცია არ გვაქვს. მისმა ნაშრომმა, ახლო აღმოსავლეთში მონღოლთა დაპყრობის ისტორიის შესახებ, მნიშვნელოვანი სიცარიელე შეავსო. იგი 1228-1273 წლებს მოიცავს. 1265 წლამდე ამბები სხვებისგან მოსმენილი ამბებისგან შედგება. თუმცა, 1265-1273 წლებში განვითარებული მოვლენების უშუალო თვითმხილველი იყო (Grigor, 2012:9-12). ნაშრომის თურქული თარგმანით ვისარგებლეთ კვლევის მეორე და მესამე თავებში, სადაც ქართველი ხალხის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით.

6. მოგზაურები

ჯოვანი დი პლანო კარპინი

რომის პაპის ინოკენტ IV–ს მიერ ყაენთან გაგზავნილი ჯ. პლანო კარპინის 1245-1247 წლების „მონღოლეთში მოგზაურობის წიგნის“ ინგლისრული თარგმანი, ნაშრომის მეორე თავში გამოვიყენეთ. 1246 წელს კარპინი ბათო ხანის ბანაკს ეწვია, შემდეგ კი დიდ ყაენთან გაემართა. დაბრუნების დროს კვლავ ბათო ხანი მოინახულა. აქვს ცნობებ დავით ნარინისა და დავით ულუს შესახებ.

ვილჰელმ დე რებრუკი

საფრანგეთის მეფის დავალებით მენგუ ყაენთან გაემართა ვილჰელმ დე რუბრუკი. 1253 წელს სტამბოლიდან სუდაკისკენ გაემართა, იქედან კი ყივჩაღთა ველისკენ აიღო გეზი. ჯერ ბათო ხანის ვაჟს ეწვია, შემდეგ კი მდინარე ვოლგის ნაპირას ბათო ხანის ბანაკში შეიარა. აქედან კი დიდ ყაენთან გაემართა. 1254 წლის სექტემბერში უკან დაბრუნებისას ბათო ხანის დაარსებულ ახალ ქალაქში სარაიში შეიარა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა. რუბრუკის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ამსახველი ცნობები, შესაბამის თავებში გამოვიყენეთ. რუბრუკის მოგზაურობის ფასეულობა იმაშია, რომ კარპინის შემდეგ იგი პირველია, რომელიც მოგვითხრობს საკუთარი თვალით ნანახს (Rubruk, 2001:8).

მარკო პოლო

მარკო პოლო 1254 წელს დაიბადა. მამამის ნიკოლოსთან, ბიძა მაფეოსთან და ვენეციელ მეგზურებთან ერთად, ვაჭრობის მიზნით სტამბოლიდან შავიზღვისპირეთში გაემართნენ, სადაც ბერქე ხანის სასახლეს ეწვივნენ (Marko polo, 1980:7-12; Marco Polo, 1985:9-10). შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი მოგზაური მარკო პოლო, ვენეციიდან ჩინეთამდე გზას 1272 წელს დაადგა. ამ პერიოდის მონღოლი ხალხის ცხოვრების, მმართველების პოლიტიკისა და სამხედრო მიმართულების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მარკო პოლო თავის მოგზაურობაში ჯერ მამისგან მოსმენილს აღწერს, შემდეგ კი 1272 წლის მოვლენებს გადმოგვცემს. ნაშრომში მოგზაურობის ორი სხვადასხვა თურქული თარგმანით ვისარგებლეთ.

აბუ აბდულლაჰ მუჰამედ იბნ ბატუტა თანჯი

იბნ ბატუტა, ისლამურ გეოგრაფიულ არეალში, მოგზაურთა ერთ–ერთი პირველი მაგალითია **(Kütükoğlu, 2014:25).** მისი მოგზაურობა (1304-1369 წწ.) სხვადასხვა ენაზეა თარგმნილი. ამ მოგზაურობაში მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით უზბეკ ხანსა და იმ დროის დედაქალაქ სარაიზე. ეს უმნიშვნელოვანესი თხზულება ოქროს ურდოს სახელმწიფოს შესახებ არსებულ ყველა კვლევაშია გამოყენებული. იბნ ბატუტამ ყივჩაღთა ველზე 1333 წელს იმოგზაურა, რის შემდეგაც ოქროს ურდოს შესახებ დაწვრილებით ცნობები მოაგროვა. ავტორი „მსოფლიოს შვიდ უდიდეს მმართველს ახსენებს, მათ შორის ყივჩაღის ველის მმართველ უზბეკს ხანს და ილხან აბუ საიდს **(Battûta I, 2000:XXXV)**. იბნ ბატუტა ოქროს ურდოს ყივჩაღთა ველს უწოდებს და უზბეკ ხანის და მისი მმართველობის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის.

ზემოხსენებული მოგზაურების გარდა სადისერტაციო ნაშრომში გამოვიყენეთ 1245 წელს პაპის მიერ აღმოსავლეთში გაგზავნილი ბერ–მონაზვნებიდან ერთ–ერთი ბერის, სიმონ დე სანტ კვენტინის 1245–1248 წლებში დაწერილი მოგონებები. ასევე, გერმანელი იოჰანეს შილბერგერის მოგონებები. პაპის ბრძანებით თემურის სასახლეში ელჩად გაგზავნილი ესპანელი მოგზაური რუი გონსალეს კლავიოს მოგონებები.

7. სხვადასხვა ენაზე დაწერილი წყაროები

მანგოლ–უნ ნიუჩა ტობჩა („მონღოლთა საიდუმლო ისტორია“)

თხზულებაზე მუშაობა, რომელიც მონღოლების შესახებ ლეგენდარული ისტორიით იწყება, 1240 წელს დასრულდა. ეს პირველადი წყარო, რომლის ავტორიც უცნობია, უიღურულ ენაზეა შესრულებული და 1240 წლამდე მონღოლთა ისტორიის შესახებ გვაწვდის ცნობებს. ჩვენი კვლევის პირველ და მეორე თავებში თხზულების თურქული და ინგლისური თარგმანებით ვისარგებლეთ. თხზულების შესახებ უამრავი მეცნიერული კვლევა არსებობს და ის ბევრ ენაზეა თარგმნილი **(SH, 2001; MGT I, 2006).**

ბარ ჰებრაუსი (გრეგორი აბუ'ლ–ფარაჯი): „აბუ'ლ–ფარაჯის ისტორია“

ბარ ჰებრაუსი 1225/1226 წელს მალათიაში დაიბადა **(Hebraeus:1225-1286,1976:XV).** მისი მშობლიური ენა სირიული იყო, სირიულ ენაზე შესრულებული თხზულების ავტორი ბარ ჰებრაუსი, ილხანელი ჰულაგუს, აბაკას, თექუდარისა და არღუნის პერიოდის უშუალო თვითმხილველი იყო **(Khelejani, 2013:XXI)**. იგი დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა მხარეს ეპისკოპოსი იყო, 1258 წელს ალეპოში ყოფნისას ჰულაგუს თხოვნით მიმართა, რომ მის მრევლს არ შეხებოდა. მიუხედავად ამისა, მონღოლებმა უამრავი ბერძენი ქრისტიანი ხანჯლით აკუწეს (**İbri, 2011:1-2**). თხზულება ერნესტ ა. ვალის ბუჯმა სირიულიდან ინგლისურად თარგმნა, ომერ რიზა დოღრულმა კი ინგლისურიდან თურქულად. ჰებრაუსმა კარგად იცოდა არაბული ენა და მეგობრების თხოვნით, მოგვიანებით თხზულება არაბულად თარგმნა **(Kuşçu, Güler, Özer, Öztemel, 2017:87).** ბარ ჰებრაუსის თხზულების, სპარსულიდან და არაბულიდან თურქულად თარგმნილი ვარიანტი, კვლევის მეორე და მესამე თავებში გამოვიყენეთ.

ედიგეის ეპოსი

ლიტერატურული ნაწარმოები ედიგეის ეპოსი (დესთანი), ოქროს ურდოს მნიშვნელოვან პირს, ედიგეი მირზას მიეძღვნა. ეპოსი თათრულ თურქულ ენაზეა დაწერილი. ჩვენ რუსტემ სულთის თურქული თარგმანით ვისარგებლეთ.

8. სამეცნიერო ლიტერატურა (კვლევები)

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში კონკრეტულად „ოქროს ურდოსა და საქართველოს ურთიერთობებისადმი“ მიძღვნილი ნაშრომი არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ამასთან დაკავშირებით გარკვეულ სირთულეებს წავაწყდით. მართალია, ოქროს ურდოს შესახებ კვლევები ბევრია, მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთაც ნათელი უნდა მოეფინოს. ნაშრომის ბიბლიოგრაფიის მთელი ჩამონათვალის დახასიათება შეუძლებელია, ამიტომაც შევეხებით ზოგიერთ მათგანს:

1826 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ, ადგილობრივ და უცხოელ ისტორიკოსთათვის გამოაცხადა სამწლიანი საკვლევი პროექტი „მონღოლთა ბატონობის შედეგები რუსეთში“. საუკეთესო მკვლევარისთვის კი ჯილდო დააწესა. კვლევა ჩავარდა და 1832 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ თემა შეცვალა სახელწოდებით „ოქროს ურდოს სახელმწიფოს ისტორია“. ეს პროექტიც უშედეგოდ დასრულდა. მეცნიერებათა აკდემიას გერმანელმა ისტორიკოსმა იოსებ ჰამერ–პურგსტალმა წარადგინა ნაშრომი *Geschichte der Golden Horde in Kiptschak* (Pesth, 1840), თუმცა შმიდტმა, ფრენმა და კრუგმა, ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ისტორიკოსების საბჭომ, ეს კვლევა არ მოიწონა და შესაბამისად გერმანელ ისტორიკოსს ჯილდოც არ გადასცეს. მიუხედავად ამისა, ეს კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან ოქროს ურდოს ისტორიის შესახებ პირველი ნაშრომია **(Kamalov, 2008:1).**

საბჭოთა კავშირის პერიოდში ოქროს ურდოს სახელწმიფოს ისტორიასთან დაკავშირებული კვლევები შეზღუდული იყო. თუმცა თათრეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოქროს ურდოს ისტორიის შესახებ კვლევები დაიწყო. ყაზანში მდებარე შიჰაბედინ მერჯანის ისტორიის ინსტიტუტზე (http://татаровед.рф) დაქვემდებარებული ოქროს ურდოს კვლევების ინსტიტუტი ყოველწლიურად ოქროს ურდოს სიმპოზიუმს ატარებს, Golden Horde Review (http://goldhorde.ru/RU/), Golden Horde Civilization (http://civil.goldhorde.ru) და Golden Horde Numismatic (http://nzo.goldhorde.ru) სახელწოდებით ჟურნალებს გამოსცემს **(Kemaloğlu, 2016a:185-186).** ჟურნალები ქვეყნდება რუსულ და ინგლისურ ენებზე. ოქროს ურდოს სახელმწიფოს ისტორიის შესახებ ა.იაკუბოვსკის „ოქროს ურდო და მისი დაცემა“ და ჯორჯ ვერნადსკის „მონღოლები და რუსები“ ოქროს ურდოს კვლევისთვის ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომებია. კვლევის პროცესში, ნაშრომის თურქული თარგმანი გამოვიყენეთ. ორივე ნაშრომი რუსულადაა შესრულებული, თუმცა ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებზეა ნათარგმნი.

ბიბლიოგრაფიაში ნახავთ, რომ გამოყენებული გვაქვს ოქროს ურდოს მკვლევრების, მუსტაფა ქაფალისა და ილიას ქამალოვის არაერთი ნაშრომით.

ოქროს ურდოსა და ილხანთა ურთიერთობის და სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის კუთხით საინტერესოა ილიას ქამალოვის მიერ 2003 წელს სტამბოლის მარმარილოს უნივერსიტეტში მომზადე-

ბული სამაგისტრო ნაშრომი „ოქროს ურდოსა და ილხანების ურთიერთობები“, რომელიც იმავე წელს გამოიცა წიგნად, სათაურით „მონღოლების პოლიტიკა კავკასიაში“. ავტორის თათრული წარმოშობისაა და ნაშრომში მრავლადა აქვს გამოყენებული რუსული წყაროები. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში საქართველოს შესახებ დეტალური ინფორმაცია არაა, იგი მაინც გამოვიყენეთ კვლევაში.

2013 წელს ეგეოსის უნივერსიტეტში გამოიცა აჰმად ჰესამიპურ ქელეჯანის სადოქტორო ნაშრომი ,,ილხანებისა და ოქროს ურდოს პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობები“, რომელშიც მრავლადაა გამოყენებული სპარსული წყაროები. საჭიროებიდან გამომდინარე ვისარგებლეთ ილხანური წყაროებითაც. მათ შორის ბერტოლდ სპულერის წიგნით „ირანის მონღოლები“, რომელიც საქართველოზე ილხანთა სახემწიფოს გავლენას ეხება. ასევე, გამოვიყენეთ თურქი მეცნიერის აბდულქადირ იუვალის წიგნი „ილხანთა ისტორია I (დაარსების პერიოდი) და არაერთი სტატია.

ომერ სუბაშის წიგნი „ქართულ-მონღოლური ურთიერთობები – სამხრეთ კავკასია 1220-1346 წწ.” თურქეთში ამ მიმართულებით დამუშავებული მნიშვნელოვანი კვლევაა. წიგნში არაერთ უზუსტობას ვხვდებით, თუმცა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის კუთხით დახმარება გაგვიწია. წიგნში აღწერილია ილხანთა ბატონობის დროის საქართველო. ავტორს ქართული წყაროებით არ უსარგებლია, წიგნში სამხრეთ კავკასიაში ოქროს ურდოს ზეგავლენის შესახებ არაფერია ნახსენები და არასაკმარისი წყაროა გამოყენებული. ამ მიზეზების გამო წიგნში საქართველოს პოლიტიკურ, სამხედრო და სოციალურ–ეკონომიკური ცხოვრება არასრულადაა გამოცემული.

გარდა ამისა, გამოვიყენეთ ოქროს ურდოს ისეთი მკვლევრები, როგორიცაა მარი ფავერუ, რიზაედინ ფაჰრედინი, დევინ დე ვესე, დოჰსონი, ჰენრი ჰოვორზი, ვასილი ბარტოლდი, დევიდ მარშალ ლანგი, უილიამ ედვარდ დევიდ ალენი, სიმონ ჯანაშია, პიტერ გოლდენი, ული შამილოღლუ, აქდეს ნიმეთ ქურათი, ზექი ველიდი თოგანი, იბრაჰიმ ქაფესოღლუ, ოსმან თურანი და სხვა.

თავი I

ოქროს ურდოს ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა

§ 1. პროტომონღოლები

ოქროს ურდოს სახელმწიფო უმეტესად მონღოლურ, ყივჩაღურ, თათართა ტომებს და სხვადასხვა მცირე ეთნიკურ ჯგუფებს მოიცავდა. იგი მონღოლური სახელმწიფოსაგან გამოყოფილი, ხოლო ორგანიზაციული თვალსაზრისით ,,მონღოლურ-თურქული" ტიპის შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება იყო. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თავიდან მოკლედ მიმოვიხილოთ დიდ მონღოლთა სახელმწიფოს შექმნის პროცესი, 1206 წლიდან მისიგამოჩენა ფართე ასპარეზზე, პოლიტიკა და სახელმწიფოს მოწყობა.

უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალზე გავრცელებულ დიდ მონღოლთა იმპერიას მრავალ ქვეყანასა და ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ისტორიის უამრავი საკითხი ჯერ კიდევ დასაზუსტებელი და შესასწავლია, ითვლება, რომ ის ჩინგიზ ხანის ტახტზე ასვლის პერიოდში შეიქმნა.

მონღოლური იმპერიის არსებობის ხანა, დაპყრობებისა და დაპყრობილი ტერიტორიების ძარცვა-რბევის ხანად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს გარემოება განსაკუთრებით გეოგრაფიული გარემოებიდან გამომდინარე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე აისახა. აღნიშნული პერიოდის ისტორიკოსთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია იბნ ალ-ასირის (?-1223) **(Özaydın,2000:26)** დაწერილი ,,ისლამის ისტორია" **(İbnü'l Esir,1985),** რომელსაც ითვალისწინებდნენ და ეყრდნობოდნენ, როგორც მისი თანამედროვე, ისე შემდგომი პერიოდის ისტორიკოსებიც.

იბნ ალ-ასირი წერს - ,,გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მაღალი ალაჰის მიერ ადამის შექმნის დღიდან დღემდე ასეთი დიდი უბედურების მსგავსი ჯერ არაფერი მომხდარა. რაც არ უნდა მძიმედ დაგვიხატონ ისტორიულმა წყაროებმა მონღოლთაგან დატრიალებული უბედურება, შემიძლია ვთქვა, რომ ისინი მაინც ვერ გადმოსცემენ ნამდვილ სურათს. კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის ძარცვა-ნგრევა და ებრაელთა ჟლეტაა. ამ წყეული მოდგმის მიერ მუსლიმთა თავზე დატეხილი უბედურება არც ისრაელთა უბედურებას გავს და არც იერუსალიმის განადგურებას. დანგრეულ ყველა ქალაქს იერუსალიმის ბედი აქვს გაზიარებული. მოკლულ მუსლიმთა რიცხვის დახოცილ ებრაელთა რაოდენობასთან შედარებაც კი არ შეიძლება. მონღოლთა მიერ მხოლოდ ერთ ქალაქში მოკლულ მუსლიმთა რიცხვმა შესაძლებელია ცისქვეშეთში მცხოვრებ ებრაელთა რიცხვსაც გადააჭარბოს. მაღალ ალაჰს ვთხოვთ, სანამ ეს სამყარო იარსებებს, განკითხვის დღემდე, გოგი და მაგოგის გარდა, იმედია, ამას იქით მსგავსი უბედურება კაცობრიობას არ დაატყდება. ცნობილია, რომ განკითხვის დღეს დადჯალი[1] დაინდობს იმათ, ვინც მას თაყვანს სცემს, ხოლო ყველა მის მოწინააღმდეგეს

[1]დადჯალი/დედჯალი - მუსლიმური რელიგიის აღმსარებელთა ჰადისების თანახმად, დემონოლოგიური პერსონაჟია, სატანის მსახურია და ,,ცრუ მესიად" მოიხსენიება, რომელიც მეორედ მოსვლის წინ მოევლინება სამყაროს (დადჯალის შესახებ ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: **(შიოშვილი, 2010: 345-390).**

გაანადგურებს. მაგრამ მონღოლებმა ცისქვეშეთში არავინ არ დატოვეს ცოცხალი. ქალები, კაცები, ჩვილი ბავშვებიც კი არ დაინდეს. ფეხმძიმე ქალებს მუცელს ფატრავდნენ და ნაყოფსაც კლავდნენ“ (Ibn al –Athir, 2010: 202-203 ; İbnü'l Esir, 1985: 316-317). აქვე იგი წყევლით იხსენიებს მონღოლებს და ამბობს, რომ მათი სამხედრო და პოლიტიკური ქმედებები ყოველმხრივ ზარალის მომტანია და გამანადგურებელ ქარიშხალს გავს (İbnü'l Esir, 1985: 317). ხვარაზმელებისგან ქალაქ ბუხარას აღების დროს ჩინგიზ-ხანმა მოსახლეობას შემდეგნაირად მიმართა: ,,ხალხნო, იცოდეთ, რომ ცოდვილები ხართ. ეს დიდი ცოდვა თქვენს წინამძღოლებს აქვთ ჩადენილი. ჩემი სიტყვების დამტკიცებას თუ მომთხოვთ, გეტყვით, რომ მე ალაჰის სასჯელი ვარ. ცოდვა რომ არ ჩაგედინათ, ალაჰი ჩემნაირ უბედურებას არ გამოგიგზავნიდათ...“ (Kısakürek, 2009:180). ეს სიტყვები ჩინგის-ხანის ყველაზე ცნობილი ფრაზებიდან ერთ-ერთია და მას იბნ ალ-ასირის გარდა აღნიშნული პერიოდის სხვა ავტორებიც გადმოგვცემენ.

ფართო გეოგრაფიულ არეალში გავრცელებულ ამ დიდ იმპერიას მრავალ მცირე სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებაზე ჰქონდა გავლენა. XIII საუკუნეში მონღოლთა თავდასხმებმა მთელს მაშინდელ მსოფლიოს დამღა დაასვა.ეს გარემოება განსაკუთრებით დასავლეთ თურქისტანსა და მახლობელ აღმოსავლეთზე აისახა, რადგან ჩინგიზ ხანის დროინდელ დასავლეთის ლაშქრობებთან ერთად დაიწყო მიგრაციული პროცესები, რომელიც მომთაბარე-ცხენოსან ტომებთან ერთად, ბინადარ ხალხებსაც შეეხო (Yuvalı, 1988:63-64). ლაშქრობების პარალელურად მონღოლებმა მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ზოგიერთ დღეს არსებულ ეთნიკურ ელემენტებს დაუდეს სათავე. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იაპონელები. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ მათი ეთნიკური ნიშნის ჩამოყალიბებაში მონღოლთა წვლილიც არსებობს. ყუბილაი ყაენის დროს ჩინეთის სრული დაპყრობისას მონღოლები იაპონიამდე დაწინაურდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ სრულ წარმატებას ვერ მიაღწიეს, არც მარცხი განუცდიათ.[2] აღნიშნულმა მოსაზრებამ დროთა განმავლობაში გარკვეულწილად ტრანსფორმაცია განიცადა, თუმცა მის მიხედვით ჩინგიზ ყაენი განიხილება როგორც იაპონელი მებრძოლი (Miyawaki, 2006:123). ის ფაქტი, რომ იაპონური ენა ურალ-ალტაური ენობრივი ოჯახის წევრად განიხილება და მას ამავე ოჯახის მონღოლურ ენასთან ბევრი საერთო აქვს, გარკვეულწილად ამყარებს ამ მოსაზრებას (Yavuzcan, 2017:477-488).

შუა საუკუნეების რუსულ-თურქული ისტორიის ცნობილი მკვლევარი აქდეს ნიმეთ ქურათი, გარდა მთელი აღნიშნული მოსაზრებებისა აღნიშნულ მდგომარეობას შემდეგნაირად ხსნის: ,,სხვადასხვა ისტორიული, რელიგიური და ეთნიკური გავლენების გამო, ზოგიერთ თურქულ ქვეყანას, განსაკუთრებით კი სამხრეთის თურქებს, თათარ-მონღოლთა ისტორიისაგან ცალკე განიხილავდნენ და ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. თუმცა,ობიექტურიისტორიული, ენათმეცნიერული და ანთროპოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ თათარ-მონღოლები და თურქები მონათესავე ხალხებია. ცხადია, რომ

[2] რადგან მონღოლთა ლაშქრობები იაპონიაში გეოგრაფიულად სცდება ჩვენი კვლევის არეალს, ჩვენ მას ვრცლად არ განვიხილავთ. აღნიშნული საკითხის ფართოდ გასაცნობად იხილეთ: (Çınar, 2009:37-55; Zuikei, Verschuer, 2002:413-445; Turnbull, 2003; Turnbull, 2010).

სამხრეთის თურქების თათარ-მონღოლებთან ფიზიკური მსგავსების მიზეზია ის, რომ წინააზიაში დასახლებული თურქები იქ მცხოვრებ სხვა რასასთან არ აღრეულან. თურქული სამყაროს 70 % „მონღოლოიდური“ რასის თავისებურებებით ხასიათდება. შესაძლებელია ეს მივიჩნიოთ როგორც „თურქული ტიპი“ **(Kurat, 1972:120).** ნიმეთ ქურათი მისი ნაშრომის სხვა ნაწილში წერს: „ეჭვგარეშეა, რომ მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურის ჩინგიზ ხანის პიროვნული თვისებები და მისი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ჩინგიზ ხანმა მისი გამორჩეული ნიჭის წყალობით შეძლო მცირერიცხვოვან მონღოლთა ბატონობის ქვეშ მოექცია და ერთ იმპერიაში გაეერთიანებინა მასზე ბევრად უფრო მრავალრიცხვოვანი ტომები და ქვეყნები და დაემყარებინა მსოფლიოში „ახალი წესრიგი“. მიუხედავად იმისა, რომ იმპერია მონღოლური იყო, მოსახლეობის და ჯარის დიდ ნაწილს თურქები წარმოადგენ-დნენ და სახელმწიფოს მოწყობის წესიც გარკვეულწილად თურქულ ტრადიციებს ეყრდნობოდა, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ჩინგიზ ხანის მიერ დაარსებულ სახელმ-წიფოს „მონღოლ-თურქთა საყაენოდ“ მოვიხსენიებთ“ **(Kurat, 1972:119)**.

კიდევ ერთი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოსმან თურანს ეკუთვნის, რომელიც ამბობს, რომ ,,მონღოლთა თურქებთან კავშირის მტკიცება განპირო-ბებულია მათი გეოგრაფიული სიახლოვით, შამანური რწმენით, ცხოვრების მსგავსი, მომთაბარე წესით და თურქული კულტურისა და ენის გავლენით. ამას უფრო ამტკიცებს ისიც, რომ ჩინგიზ ყაენის მიერ იმპერიის შექმნის პროცესში მათ შეითვისეს უიგურული ცივილიზაციის ელემენტები, დამწერლობა, სახელწიფოს ორგანიზაცია. გარდა ამისა მათ დაიმორჩილეს პრეისლამური თურქების დიდი ნაწილი. ამის გამო ხდებოდა მონღოლთა თურქიზაცია თურქისტანში, ირანსა და ოქროს ურდოში“ **(Turan, 1998:192).**

მიუხედავად მონღოლებისა და თურქების ანთროპოლოგიური სხვადასხვაობისა, ზემოთ მოყვანილი და მსგავსი შეხედულებები განპირობებულია სურვილით, რომ ისინი ერთ რასად იყვნენ მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში ეს მოსაზრება დღეისათვის თითქმის უარყოფილია, ნაშრომის ამ ნაწილში მისი მოხმობა მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ.

განსჯისათვის ერთ ფაქტს მოვიყვანთ. თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის დაარსებასთან ერთად წარმოიჭრა თურქების რასობრივი კუთვნილების საკითხი. 1937 წელს განხორციელდა პროექტი, რომელიცმუსტაფა ქემალ ათათურქის დროს იქნა დაგეგ-მილი. ენის, საისტორიო გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტმა შეადგინა ანკეტა, რომლის მიხედვითაც თურქთა რასობრივი კუთვნილება უნდა დაედგინათ. კვლევაში 64 ათასი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ თურქები თეთრ რასას მიეკუთვნებიან. ფიზიკური თავისებურებებით ისინი განსხვავდებიან ყვითელი რასისაგან. თურქები თეთრი რასის ალპური ტიპს მიეკუთვ-ნებიან. აღნიშნული კვლევით უარყოფილ იქნა ზემოხსენებულ თვალსაზრისი თურქთა „მონღოლოიდური“ წარმომავლობის და შემდგომში თეთრ რასასთან აღრევის თაობაზე[3] **(Selen, 1956:83-84)**. გარდა ამისა ევროპის ანთროპოლოგიურ წრეებშიც მხარდაჭერილია

[3]აღნიშნული კვლევის შედეგები შეიძლება აგრეთვე იხილოთ: **1937 Türkiye Antropometri Anketi, T.C. İstatistik Müdürlüğü Yayınları, No:151. 1937.**

მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მონღოლები ყვითელ რასას მიეკუთვნებიან, ხოლო თურქები თეთრ ევროპულ რასას **(Baum, 2006:158).** ოქროს ურდოს სახელმწიფოში თურქული და მონღოლური ელემენტების შესახებ ნაშრომის მომდევნო თავში ვრცლად ვისაუბრებთ. თუმცა აქ, მათი წარმომავლობის საკითხზე მსჯელობა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ, მიუხედავად მათი რასობრივი განსხვავებისა, ერთსა და იმავე გეოგრა-ფიულ არეალში თანაცხოვრების გამო, სოციალური თუ პოლიტიკური თვალსაზ-რისით, ბევრი საერთო გააჩნიათ და აქედან გამომდინარე შესაძლებელია ოქროს ურდო ,,მონღოლურ-თურქულ" სახემწიფოდაც განვიხილოთ.

მონღოლეთის სტეპებს, რომელიც ვრცელ გეოგრაფიულ არეალს მოიცავდა, თავიდანვე მონღოლური და თურქული წარმომავლობის ტომები ინაწილებდნენ **(Taşağıl, 2014:11)**. აქედან გამომდინარე, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, როდესაც ვმსჯელობთ ამ ორი ერის დიდი ხნის თანაცხოვრების გამო პოლიტიკური, სოციალური, სამხედრო და კულტურული კუთხით ურთიერთგავლენებზე. აღიარებული მოსაზრებით თურქთა ისტორიაში მონღოლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, მათ მჭიდრო ურთიერთო-ბები ჰქონდათ განსაკუთრებით იმ თურქებთან, რომლებიც მათი მმართველობის არეალში მოექცნენ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში თანაცხოვრებამ დიდი ურთიერთგავლენა იქონია ორივე ეთნოსზე. თურქული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაზე მონღოლთა გავლენა საუკუნეების შემდეგომაც სახეზეა. თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ ხანაში, როდესაც დაიწყო ოფიციალური ისტორიოგრაფიის შექმნა დაიწყო, ჩინგიზ ხანის ეთნიკურად თურქობაზეც იყო საუბარი **(Kurat, 1952:120)** რაც, რა თქმა უნდა არ არის სწორი მოსაზრება. მონღოლური გავლენის აღმოფხვრა ვერ მოხერხდა ენის კუთხითაც, როდესაც 1940-1980 წლებში თურქული ენის ,,გამარტივება" მიმდინარეობდა. თურქულ ენას შემორჩა მონღოლური -თაი (-tay) სუფიქსისგან წარმოებული, როგორიცაა: "kurul-tay (ყრილობა), danıştay (სახელმწიფო საბჭო), çalıştay (სემინარი), sayıştay (საფინანსო საბჭო) და სხვ" **(Bulak, 2013:57-76)**.

მონღოლთა წარმომავლობა ისლამურ წყაროებში ძირითადად თათრებს უკავშირ-დება, თუმცამათი ისტორია მაინც ბუნდოვანია. თავდაპირველად ტერმინი თათარი მონღოლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. დღევანდელი ციმბირის სამხრეთით და მონღოლეთში შემავალი ჩინეთისა და აღმოსავლეთ თურქისტანის ჩრდილოეთით XII ს-ში მომთაბარე-მონადირე ტომები ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა მონღოლები იყვნენ, აღნიშნული სახელით არ იყვნენ ცნობილი **(Grousset, 1996:186; Kamalov, 2007:12)**. ტერმინი მონღოლი ერთბაშად არ გავრცელებულა. მისი ერთერთი სახესხვაობა თანგის (T'ang) დინასტიის პერიოდს უკავშირდება.

შუა აზიის ისტორიაში პირველი დიდი იმპერიის დამაარსებლის, ჰუნების პერიოდში აღმოსავლეთში თუნგ-ჰუს ტომები ცხოვრობდნენ და ჰუნების ერთ-ერთი მმართველის მო-თუს დროს მას ექვემდებარებოდნენ. მათი ნაწილი ვუ-ჰუან და ჰსიენ-პი სახელწოდებით ორ ტომად გაიყო და მანჯურიის მხარეს დაიხივნენ. ჰუნთა იმპერიის დასუსტებასთან ერთად ჰსიენ-პი თანდათან გაძლიერდა და ჟუან-ჟუანის საკმაოდ დიდი

სახელმწიფო შექმნა. გოქთურქთა მმართველმაის ბუმინ ხაკანის თავდასხმის შემდეგ, 552 წელს ჟუან-ჟუანის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. შედეგად მონღოლეთის აღმოსავლეთით სხვადასხვა ტომი და ტომთა დაჯგუფება გაჩნდა. ითვლება, რომ ესენი იყვნენ ნამდვილი პროტო-მონღოლური ტომები (Taşağıl, 2014:11). 750-იანი წლებიდან წყაროებში პირველად ვხვდებით სახელწოდებას მენგ-ვუ (Meng-wu), ან მონგ-ქუ (Mong-ku). აღნიშნულ ტერმინს, რომელიც ჩინგიზ ხანის პერიოდში გამოჩნდა მონღოლები არ იყენებენ. ისინი ცალკეულ ტომებს მათი სახელით იხსენიებდნენ (İzgi, 2014a:222; Taşağıl, 2014: 11). თუმცა სხვადასხვა წყაროებსა და კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერმინ მონღოლის გამოყენება სახელმწიფოს და დინასტიის აღსანიშნავად დაიწყო ჩინგიზ ხანის დროს, ხოლო ეთნოსის მნიშვნელობა მან ბევრად უფრო გვიან შეიძინა“ (Özgüdenli, 2005:225).

გოქთურქების სახელმწიფომ შუა აზიის მონღოლური და მანჩუს წარმოშობის ტომები (Kıtan, Shih-wei, Hsi და სხვა) დაიმორჩილა. 582 წელსლიდან, გოქთურქების სახელმწიფოს დასუსტებასთან ერთად სრულ განადგურებამდე - 782 წლამდე დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 745 წელს უიღურთა სახელმწიფო დაარსდა და მონღოლური ტომებიც მათ ემორჩილებოდნენ. უიღურების სახელმწიფო 840 წელს ყირგიზებმა გაანადგურეს და ორჰონის რეგიონი მათ ჩაიგდეს ხელთ, თუმცა ამ ტერიტორიებზე ფეხი კარგად ვერ მოიკიდეს, რადგან 920 წელს მონღოლური წარმოშობის ტომებმა კიტანებმა ორჰონის რეგიონი სრულიად დაიპყრეს და თურქული ტომები ამ არეალიდან განდევნეს. ეს გეოგრაფიული არეალი მონღოლების მმართველობის ქვეშ მოექცა, თურქები კი აღმოსავლეთ თურქისტანს მართავდნენ (Taşağıl, 2014:12). კიტანებმა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლეს და ღმერთის მთის ტერიტორიებზე 1130 წელს ყარაჰიტაის სახელმწიფო დააარსეს, რომლის დედაქალაქიც ბალასაგუნი იყო (Taşağıl, 2011:415). მათ შეუერთდნენ უიღურები, ყივჩაღები და ყარლუხები.

ჩინელი მოგზაური ჩან-ჩუნი, მონღოლურ ტომებს და მათ საბინადროს გობის უდაბნოს შემდეგნაირად ახასიათებს: *„...მიწაზე ხეები არ იზრდება, ერთადერთი, რაც აქ ხარობს ველური ბალახია. ღმერთმა აქ მთები კი არა მხოლოდ ბორცვები შექმნა. აქ მოსავალს ვერ მოიყვან, მხოლოდ რძით იკვებებიან, ტყავისგან შეკერილ ტანსაცმელს იცმევენ და ქეჩის კარვებში ცხოვრობენ. ამასთან ბედნიერები და მხიარულები არიან* (Kamalov, 2007:12)”. მართალია, საერთო ენა არ ჰქონდათ, მაგრამ ერთნაირ გეოგრაფიულ პირობებში ერთი და იგივე ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. ზემო აზიის მომთაბარე ტომების დიდი ნაწილის „შესაძლო ეთნიკურმა ნათესაობამ“ ბევრი მოგზაურის ყურადღება მიიქცია. გრენადი ამბობდა: *„ფართე სახე, ბრტყელი ცხვირი, გამობერილი ყვრიმალები, ჩავარდნილი თვალები, სქელი ტუჩები, მეჩხერი წვერი, უხეში შავი თმა, მზის, ქარისა და სიცივისგან დამწვარი მუქი ფერის კანი, დაბალი ტანი, მრუდე ფეხებზე უხეში და მძიმე სხეული ჰქონდათო“* (Grousset, 1996:186-187).

ტომთა უმრავლესობის ადგილმდებარეობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია (Grousset, 1996:187). ტერიტორია, სადაც ჩინგიზ ხანის სახელმწიფო ჩამოყალიბდა, მანამდე ნაიმანების სახანოს მფლობელობაში იყო (Togan, 1970:5). ნაიმანები იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თურქულ-მონღოლური ტომი, რომლის საცხოვრებელიც ერთი

მხვრივ უბსა-ნორიდანკარა-ირტიშის და ზეისან ნორამდე, ხოლო მეორეს მხვრივ კი ზემო სელენგამდე არსებული ტერიტორიები უნდა ყოფილიყო. ეს არის თანამედროვე ხოვდი.

ნაიმანი მონღოლურად რვას ნიშნავს. მიუხედავად მონღოლური სახელწოდებისა, არსებობს მოსაზრება, რომ მათი მაღალი ფენები თურქული წარმომავლობისანი იყვნენ და ისნი გამონღოლებული თურქები იყვნენ. პარალელურად არსებობს მოსაზრება მათი თურქობის შესახებაც. ნაიმანები, რომლებზეც უიღურულმა კულტურამ დიდი გავლენა იქონია ოფიციალურ, სასახლის ენად უიღურულ თურქულს იყენებდნენ. არანაკლები იყო აგრეთვე ჩინელების გავლენა, რომლებიც ჩინგიზ ხანის პერიოდში ნაიმანთა მმართველებს ,,თაიანგს", ანუ ,,დიდ მეფეს" უწოდებდნენ, საიდანაც შემდეგში წარმოიშვა ,,თაიანგის" წოდება **(Grousset, 1996:187).**

ჩინგიზ ხანის დაარსებულ სახელმწიფოში, რომელიც ორჰონის, ონონისა და კერულენის მიდაობეში, სადაც მოგვიანებით ჩინგიზ ხანმა სახელმწიფო შექმნა, სხვადასხვა ტომები ცხოვრობდნენ. მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, თვითონ ჩინგიზ ხანის ტომი ბორტეგინები **(Togan, 1970:5)**.

§ 2. ჩინგიზ ხანი და მონღოლეთის იმპერიის გამოჩენა მსოფლიო ასპარეზზე

XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა სახელმწიფო, რომელმაც თავისი არსებობის პერიოდში მსოფლიოში ახალი წესრიგი შემოიღო. სახელწიფო, რომლის დამაარსებელიც ჩინგიზ ხანი იყო, უკვე საკუთარ ეთნიკურ ელემენტებს ატარებდა.

სახელი ასევე მოიხსენიება ჯენგიზ/ჩენგიზ/თენგის ფორმებითაც. თურქულ დიალექტებში „დენგიზ" (ზღვა) თენგისის, მონღოლურ დიალექტში კი ჩინგიზის სახელწოდებით გვხვდება. ტერმინი ჩინგისი იარლიღებში (ხანის ბრძანება) ხშირად გვხვდება როგორც ტიტული" **(Turan, 1941:270-276 ; Kalan, 2012: 120).**

1206 წელს ნაიმანების დამარცხებისა და მონღოლეთზე გაბატონების შემდეგ, ჩინგიზ ხანმა (1155-1227 წწ.) „დიდი ყურულთაი" (კრება, ყრილობა) მოიწვია, რითაც საფუძველი ჩაუყარა მომავალ უზარმაზარ სახელმწიფოს **(Turan, 1941:267).** ჩინური წყაროების მიხედვით ამ ყრილობაზე მან ყაენის ტიტული მიიღო. თანამედროვე და გვიანდელი პერიოდის წყაროებში, ვხვდებით ცნობებს, სადაც დიდი ყურულთაის მოწვევამდე თიმუჩინი/თემუჩინი მოხსენიებულია როგორც „დემირჯი" (მჭედელი). ხშირად ეს ცნობები შეუსაბამო და განსხვავებულია, რის გამოც რთულია იმის თქმა, რომ არის თუ არა საუბარი ერთსა და იმავე პიროვნებაზე. ამის დასადგენად პირველ რიგში დაბადების თარიღს უნდა მივაქციოთ ყურადღება. მართალია დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. სხვადასხვა წყაროს მიხედვით მაგრამ იესუგეის ბოლო ვაჟი თემუჩინი 1155, 1162, 1167 წელს დაიბადა **(Devlet, 2002:28; Kadyrbaev, 2007:30).** 1240 წლით დათარიღებული მონღოლეთის ისტორიის ერთადერთ წერილობით წყაროში - „მონღოლეთა საიდუმლო ისტორია" (*Yüan Ch'ao Mi-shih*) შესავალშივე გვამცნობს, რომ

,,ჩინგიზ ხანის წინაპარი მამრი რუხი მგელი და მდედრი თეთრი ირემია, რომლებსაც ზღვა (ბაიკალის ტბა) გადმოულახავთ და ისე მოსულან“ (Moğolların Gizli Tarihi I, 2016:3).[4]

მამის, ტომის ბელადის გარდაცვალების შემდგომ, მის ქვეშევრდომობაში მყოფმა ტომებმა თემუჩინი მიატოვეს. ოცდაშვიდ წლამდე იგი მძიმე პირობებში იყო და მეთევზეობითა და მონადირეობით ცდილობდა გაეტანა თავი (Kafalı, 1993a:367). ჩინგიზ ხანის ფართო საისტორიო ასპარეზზე გამოჩენის პირველი პერიოდი, მის ძველ მეგობართან, შემდგომში კი დაუძინებელ მტერ ჯამუკასთან, აგრეთვე მამის ახლო მეგობარ და თავიდან მის მხარდამჭერ ონგ ხანთან, ნაიმანის ბელად ბუიურუქ ხანთან და გუჩლუქებისა და მერკიტის ტომების მეთაურ თოქთა ბეისთან ბრძოლებით არის ცნობილი (Togan, 1970:43).

მამის გარდაცვალებამდე მისი საცოლე ბორტე (იესუნჯუნ ბექი) (Boyle, 1997:40) მერკიტებმა ტყვედ წაიყვანეს და კერაიტის მმართველს ონგ ხანს (თუღრულს) საჩუქრად მიართვეს. ონგ ხანი, თავის დროზე იესუგეი ბაჰადისთან მეგობრობდა და ბორტე ფუჩინი თემუჩინს უკან გაუგზავნა (Kafalı,1993:367). 1195 წლამდე თემუჩინი, მერკიტების ჩათვლით არერთ ტომს ებრძოდა. 1195 წელს მან მოახერხა ამ ტომების დამორჩილება. 1197 წელს ჯამუკასთან ერთად (Çakmak, 2002:907) მერკიტები, ხოლო 1202 წელს თათრები სასტიკად დაამარცხა (Kafalı, 1993a:367).

ბრძოლებში, რომელიც 1209 წლამდე გრძელდებოდა, თიმუჩინმა მიყოლებით მოახერხა ყირგიზების, მერკიტების, ნაიმანებისა და უიღურების თავისი მმართველობის ქვეშ მოქცევა. 1206, ზოგიერთი წყაროს მიხედვით 1207 წელს (Kadyrbaev, 2007:30) მან ჩინგიზის ტიტული მიიღო (Özgüdenli, 2005:225), საიდანაც დაიწყო მისი აღმავლობის ხანა შუა აზიასა და მსოფლიოში. დიდ ყურულთაიზე, სადაც ხაკანად აირჩიეს, თიმუჩინმა საკუთარი არმია შექმნა და უიღური მმართველების რჩევით ჰუნთა იმპერატორის მეთე ხანის სამხედრო სტრუქტურა გადმოიღო. მონღოლთა ლაშქრის ,,ათობით სისტემზე“ მოეწყო და ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათი ათასეულებად იყოფოდა (Kafalı, 2005:5).

აღნიშნული პერიოდის მონღოლები მომთაბარეობდნენ არა დღევანდელი მონღოლეთისა და XI-XII სს-ს შორის თათრების მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე, არამედ მდინარეების ონანისა (M.G.T. I, 2016:3) და ქერულენს შორის მიწებზე (Grousset, 1996:189). ისინი მონღოლურად საუბრობდნენ. ჩინგიზ ხანმა ამ ტერიტორიებზე მომთაბარე ტომების გაერთიანებით მონღოლთა სახელმწიფო შექმნა (İzgi, 2014a:222). გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში შუა აზიის პერიფერიაზე ცალცალკე ცხოვრობდნენ თუფან უიღურები, ქარაჰანები, ხვარაზმის პოლიტიკური ერთობები. ჩინგიზ ხანმა მოახერხა მათი გაერთიანება (Gömeç, 2017:15) და ამასთან ამ რთულ გეოგრაფიულ პირობებში თურქულ ტომებთან ერთად დაიწყო სახელმწიფო საზღვრების გაფართოება. დაქსაქსული ფეოდალური წყობის მონღოლური ტომების ერთ პოლიტიკურ ძალად გაერთიანება, სკარად მიუთითებს ჩინგიზ ხანის განსაკუთრებულ პოლიტიკურ ნიჭზე.

[4]წყაროს თარგმანი, შედარება და კომენტარები იხ.: (Onan, 2001)

გაერთიანების მთავარ მიზანს ჩინგიზ ხანის სახელმწიფოს დაარსება, შუა აზიის მომთაბარე ტომების დამორჩილება და ამ ტომთა წინამძღოლების კონტროლი წარმოადგენდა, რადგან შუა აზიის მომთაბარეების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო ომი და იგი ახალი მიწების დაპყრობით და შემოსავლის გაზრდის საშუალება იყო **(Kadyrbaev, 2007:31).** ეს ბრძოლები სოციალური ცხოვრებაზეც დიდ გავლენას ახდენდა, მუდმივი თარეში მომთაბარე ტომების მმართველების ქვეშევრდომთა მოთხოვნაც იყო. აღსანიშნავია რომ, ჩინგიზ ხანმა ამ ტომების გაერთიანებით და საერთო პოლიტიკური ძალის ქვეშ შემოკრებით შიდა ბრძოლები დაასრულა, რის შემდეგაც ისინი ერთიან მოქმედებაზე გადავიდნენ. ცხადია, რომ ჩინგიზ ხანი, ამ ტომებს ერთმანეთთან ბრძოლაში მოპოვებულ ნადავლზე უფრო მეტ სიმდიდრეს დაპყრობითი ბრძოლების შესაძლებლობებით სთავაზობდა. ასე რომ, ჩინგიზ ხანი ამ პოლიტიკით, ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოს მოსახლეობისა და ჯარის რაოდენობის გაზრდის საშუალებით უფრო მარტივად განახორციელებდა დაპყრობით ომებს, რაც ხელს შეუწყობდა გეოგრაფიული საზღვრების გაფართოებას.

დაქსაქსული ტომების გაერთიანების შემდგომ ჩინგიზ ხანმა დაპყრობითი ბრძოლები დაიწყო, რომლებიც სამი მიმართულებით წარიმართა. აღმოსავლეთით ჩინეთის იმპერიას მუსრი გაავლო. ჩრდილო-დასავლეთით, ჯერ რუსეთისკენ, შემდგომ კი აღმოსავლეთ ევროპისკენ გაემართა და ეს რეგიონი მიწასთან გაასწორა. ბოლოს კი, დასავლეთით ირანი დაიპყრო.

1218 წელს ჩინგიზ ხანმა, მისი ძველი მტრის, გუჩლუქის (ქუჩლუქ/Küçlük) მმართველობაში მყოფი ყარაჰითაის მიწები იგდო ხელთ. შემდგომ ჩრდილოეთ ჩინეთში მდებარე კინის სახელმწიფოზე გაილაშქრა. აღნიშნული მიმართულებით ლაშქრობები მისი შთამომავლის, ოგედეი ხანის დროს დასრულდა **(Özgüdenli, 2005:225).** აღმოსავლეთ თურქისტანისა და იედისუს აღების შემდეგ, შუა აზიისა და სამხრეთ ყაზახეთის გზა მონღოლთათვის გახსნილი იყო. ჩინგიზ ხანმა 1218 წელს გუჩლუქ ხანი დაამარცხა და ამის შემდგომ მონღოლები სამხრეთ-აღმოსავლეთ ყაზახეთში შევიდნენ. ამით იგი გახდა ერთადერთი ძლევამოსილი მმართველი რეგიონში. გაქცეული გუჩლუქ ხანის დატყვევება და სიკვდილით დასჯა, ერთმანეთის მიყოლებით მოგებული ბრძოლები შუა აზიის მოსახლეობაში ჩინგიზ ხანისადმი მითქმა მოთქმისა და შიშის საბაბი გახდა. 1219-1222 **(Kadyrbaev, 2007:31-32)** წლებში, მონღოლებსა და იმ დროის ერთ-ერთ ძლიერ ძალას, ხვარაზმს შორის დაძაბულობა საბოლოოდ გადაბმულ საომარ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ჩინგიზ ხანის მიერ ნაიმანებისა და მერკიტების დამორჩილების შემდეგ ხვარაზმი[5] მას უშუალოდ დაუმეზობლდა. ხვარაზმი, ირანის გავლენის ქვეშ დარჩენილი თურქი

[5] ხვარაზმი დღევანდელი უზბეკეთისა და თურქმენეთის საზღვრებშია მოქცეული, არაბი ისტორიკოსების მიხედვით, იქ, სადაც მდინარე ჯეიჰუნი (ამუდარია) მოედინება, არალის ტბის სამხრეთით, ამ მდინარის ორივე მხარეს გადაჭიმულ ტერიტორიას ხვარაზმი ეწოდება. ასევე მოიხსენიებოდა აქ მცხოვრები ხალხიც. არაბების დაპყრობების შემდეგ მხოლოდ ქვეყანას მოიხსენიებდნენ ხვარაზმად, ხალხს კი ხვარაზმელებს უწოდებდნენ. ამ რეგიონმა ყივჩაღთა მოსვლით გათურქება დაიწყო **(Ata, 2002:9-11)**. ისლამის გავრცელებამდე ამ რეგიონის მმართველებს ხვარაზმშაჰის ტიტული ჰქონდათ **(Çakmak, 2002:904).**

მუსლიმი ტომებისა და მათი მმართველობის ქვეშ მყოფი სხვა ტომების დასავლეთით, ირანელებით დასახლებულ რეგიონში მდებარეობდა. ყარახანების დამარცხების შემდეგ ხვარაზმშაჰებმა დედაქალაქი სამარყანდში გადაიტანეს. 1210 წელს მათ დაამარცხეს ყარაჰიტაელები (**İzgi, 2014b:227-228**), რითაც იგი ჩინგიზ ხანის სახელმწიფოს დაუმეზობლა. ამ მდგომარეობამ კი მხოლოდ დააჩქარა ხვარაზმის განადგურება (**Özgüdenli, 2005:225**).

ჩინგიზ ხანის ხვარაზმში ლაშქრობის ამბავი ისლამურ წყაროებში ვრცლად არის მოცემული. ხსენებულმა „დასავლეთის ლაშქრობამ“ გამოიწვია არა მხოლოდ ხვარაზმის სახელმწიფოს გაქრობა, არამედ გარკვეული ცვლილებები ეთნიკური თვალსაზრისითაც (**İzgi, 2014:55**). ჩინეთში ლაშქრობის შემდეგ, 1216 წლიდან ჩინგიზ ხანი დასავლეთისაკენ გაემართა. ამ ბრძოლის დაწყების მიზეზების შესახებ ორი გავრცელებული მოსაზრება არსებობს. პირველი, გადმოგვცემს, რომ ხვარაზმშაჰ მუჰამედის ბრძანებით დახოცეს ჩინგიზ ხანის მიერ გაგზავნილი ვაჭრები (**İzgi, 2014:55**), რაც, ვფიქრობთ, საკმარისი მიზეზია ომის დასაწყებად.

მეორე მიზეზის მიხედვით, მუჰამედ ხვარაზმშაჰი აბასიანთა ხალიფას ებრძოდა და უყურადღებო ჰყავდა დატოვებული გუჩლუქი, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთით მუსლიმებს ესხმოდა თავს და ძარცვავდა (**Çakmak, 2002:908**). რა თქმა უნდა, ჩინგიზ ხანი მუსლიმების მფარველად არ გამოვიდოდა, მაგრამ აღნიშნულ სიტუაციაში, როდესაც ხვარაზმის მთელი ძალა სახალიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული, მასზე თავდასხმისათვის საუკეთესო მომენტი იყო.

როდესაც ჩინგიზ ხანმა 1211 წელს ჩინეთში ილაშქრა და 1215 წელს პეკინი აიღო, ამ დროს ხვარაზმშაჰს ერაყის დაიპყრო დამთავრებული ჰქონდა და 1214 წელს უკან დაბრუნებულიყო. გაიგო რა მონღოლთა მიერ პეკინის დაპყრობის შესახებ, ჩინგიზ ხანს ელჩები გაუგზავნა. ყაენმაც კარგად მიიღო ელჩები, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კარგი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ითხოვდნენ. საპირისპიროდ ჩინგიზ ხანმაც გაუგზავნა ელჩები. სავაჭრო ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის ნორმალურად მიმდინარეობდა, როდესაც ოტრარის შემთხვევა მოხდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით წყაროებში დაცული ინფორმაციები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

1218 წელს, მუჰამედ ხვარაზმშაჰი თავს დაესხა მერკიტებზე ლაშქრობიდან დაბრუნებულ მონღოლთა ჯარს. ოტრარის გამგებელ ინალჯიქს კი უბრძანა, რომ ჩინგიზ ხანის მიერ გაგზავნილი 450 კაციანი სავაჭრო ქარავანი ქალაქის შესასვლელთან გაეჩერებინა. შემდეგ კი მათთვის სქონელის ჩამორთმევა და ყველა მათგანის ამოხოცვა უბრძანა. შექმნილი მდგომარეობა ჩინგიზ ხანთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევაზე უფრო მეტი იყო. რადგანაც შეთანხმება ოტრარის გამგებელმა დაარღვია, ჩინგიზ ხანმა მუჰამედს ინალჯიქის გადაცემა მოსთხოვა, მაგრამ ხვარეზმშაჰმა უარი განუცხადა. უფრო მეტიც, ჩინგიზ ხანის მიერ გაგზავნილი ელჩებიც დაახოცვინა. ამის შემდეგ ჩინგიზ ხანმა გადაწყვიტა ხვარაზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება და ოტრარზე იერიში მიიტანა. ქალაქის დაცვა ინალჯიქის ხელმძღვანელობდა, თუმცა მათ მხოლოდ ხუთი თვე გაძლეს და 1219 წელს ქალაქი დაეცა (**İzgi, 2014:55-62; Gürbüz, 2014:235-239**). ამის კვალდაკვალ ხვარაზმმაც თანდათან დაშლა დაიწყო. მუჰამედ ანდერძის მიხედვით მისი

ადგილი მისმა შვილმა ჯალალედინ ხვარაზმშაჰმა დაიკავა, რომელიც ბოლო მმართველი აღმოჩნდა (Kafesoğlu,1984:283). ჯალალედინი ყველა ლაშქრობაში ახლდა მამას. 1216 წელს ჩინგიზ ხანის ვაჟ ჯუჩისა და ჯალალედინს შორის გამართულ ბრძოლაში ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა. ამ ბრძოლის შემდგომ ჯელალედინმა საქართველოშიც გამოილაშქრა (ამასთან დაკავშირებით ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: (Yinanç, 2017: 205-207)).

ჩინგიზ ხანის პერიოდში ჩამოყალიბებული და ერთ პოლიტიკურ ერთეულად ქცეული მონღოლთა იმპერია ფართო გავრცელებას იწყებს. სამხედრო-ადმინისტრაციული, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის საფუძველზე, ჩინგიზ ხანი მის მიერ შექმნილი ჩინგიზიდთა სახელმწიფოს „მსოფლიო სახელმწიფოდ“ გადაქცევა ჰქონდა ჩაფიქრებული (Özgüdenli, 2005:225). 1227 წელს ჩინგიზ ხანის სიკვდილთან ერთად სახელმწიფოს ჩამოყალიბებაც დასრულდა (Togan, 1970:4). ჩინგიზ ხანის სახელმწიფო, გოქთურქების ხაკანატის შემდეგ პირველი იყო, სადაც სხვებთან ერთად დიდი რაოდენობით იყვნენ გაერთიანებული თურქული ტომები, რის გამოც სახელმწიფოს მოწყობაში დიდი იყო მათი გავლენა. მომთაბარე ტრადიციების მქონე მონღოლები მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე ადვილად ეგუებოდნენ მკვიდრი ცხოვრების წესს (Özgüdenli, 2005:226). განსაკუთრებით თვალშისაცემია სამხედრო სისტემა. ჯარის სიმრავლე და მომ-თაბარე ცხენოსნების სწრაფი გადაადგილება (Kadyrbaev, 2007:32) უადვილებდა მათ გამარჯვებას.

სახელმწიფო, რომელიც სამხედრო წარმატებებით დროთა განმავლობაში უფრო და უფრო თანდათან იზრდებოდა, გარკვეულწილად გავლენას ახდენდა დაპყრობილ ქვეყნებზე. თუმცა ყველაფრის მიუხედავად მათ შორის კულტურული სინთეზი არ შეიმჩნევა. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონიეს მონღოლებმა თურქულ მოსახლეობაზე, რომლებიც მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს საზღვრებში მრავლად ცხოვრობდნენ. თურქეთის ისტორიის თვალსაზრისით ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით საკუთარი გავლენა იქონიეს მონღოლებმა ანატოლიის მეზობელ სამხრეთ კავკასიაზეც. ძლიერი საქართველოს სამეფოს ,,ოქროს ხანის“ დასასრული სწორედ ამ ძალას უკავშირდება. ამავდროულად ანატოლიაში მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს თანდათანობითი რღვევა ქოსედაღთან მომხდარ ბრძოლაში მონღოლებთან დამარცხებით დაიწყო.

§ 3. ჩინგის ხანის იმპერიის გადანაწილება მემკვიდრეებს შორის და ჯუჩი ხანი

ჩინგიზ ხანს ორმოცი ცოლი ჰყავდა. მას ექვსი ვაჟი ჰყავდა, მათ შორის ოთხი ყველაზე ცნობილი ცოლის ფუჩინისგან. ესენი იყვნენ ჯუჩი, უგედეი, თოლუი და ჩაღათა (Douglas, 1877: XXXI; Buell, 2003: 124).

XIII ს-ის შუახანებში მონღოლთა სახელმწიფო იმდენად გაიზარდა, რომ მხოლოდ ერთი დედაქალაქიდან მისი მართვა შეუძლებელი გახდა (Özgüdenli, 2005:226). როდესაც ჩინგიზ ხანი ხვარაზმის ლაშქრობიდან დაბრუნდა (Kafalı, 1970:59), მისი ქვეყანა ოთხ ულუსად (სახაკანოდ) დაყო. აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე „ყივჩაღის ველებიდან“ მდინარე ირტიშამდე და სამხრეთით ირანისა და ავღანეთის ცენტრალურ რაიონებამდე გადაჭიმული ვრცელი ტერიტორიები უფროს ვაჟს ჯუჩის მისცა. მავერანაჰრი, დღევან-

დელი ავღანეთის ტერიტორია, ცენტრალური ტიან-შანის დასახლებული რაიონი და აღმოსავლეთი თურქისტანი მეორე ვაჟს ჩაღათას ერგო. ჯუნგარია - მესამე ვაჟს უგედეი ხანს ხვდა წილად. უმცროს ვაჟის თოლუის მფლობელობაში დარჩენილ ულუსს, რომელიც მონღოლეთსა და ჩრდილოეთ ჩინეთის მხარეს მოიცავდა, „დიდი სამშობლო“ ეწოდებოდა (Togan, 1981:62). სწორედ თულუი ხანის შვილიშვილიმა ჰულაგუმ დააარსა შემდგომში ილხანთა სახელწიფო (Fazlullah, 2013:3). ამ ულუსებს და მათი ურთიერთობის საკითხებს ოქროს ურდოსთან ნაშრომის მომდევნო თავებში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

პირველი ულუსი 1207-1208 წლებში ჩინგიზ ხანის მიერ ჯუჩისთვის ტერიტორიების გადაცემის შედეგად დაარსდა და იგი ცენტრალური ნაწილიდან ყველაზე შორს მდებარეობდა (Kalan, 2012a:124). გარდა უგედეის ულუსისა, დანარჩენები - ილხანთა სახელმწიფო, ჯუჩისა და ჩაღათაის ულუსები ძირითადად თურქული ხალხებით დასახლებულ რეგიონებში ვრცელდებოდა, ამიტომაც აქ მიმდინარე პროცესები არაერთი შემდგომი პროცესის მიზეზი გახდა და პირდაპირ აისახა თურქთა ისტორიაზე (Kafalı, 2005:6).

არც თუ ისე დიდი ხნის შემდგომ, XIII საუკუნის შუა ხანებში, ჩინგიზ ხანის ვაჟების ადგილს მათი შვილები დაიკავებენ და მონღოლთა ცენტრალურ ხელისუფლებასაც საბოლოოდ მოეღება ბოლო (Özgüdenli, 2005:226). ნაშრომის მომდევნო ნაწილში განვიხილავთ ილხანთა და ოქროს ურდოს ბრძოლებს, რომლებიც ძირითადად კავკასიაში მიმდინარეობდა.

მართვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო იმპერიის დინასტიის შიგნით გადანაწილებამ თანდათან მათ შორის უთანხმოება გამოიწვია. ამასთან სხვადასხვა ქვეყნებად დაყოფამ, მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, შემდგომში ნიადაგი შეუქმნა ამ ტერიტორიებზე მოგვიანებით არა მონღოლური პოლიტიკური გაერთიანებების შექმნას (Özgüdenli, 2005:226). 1227 წელს, ჩინგიზ ხანის გარდაცვალების შემდეგ, იმპერიას მისი მესამე ვაჟი უგედეი ჩაუდგა სათავეში. მონღოლეთის ტახტი ჩინგიზ ხანის უფროს ვაჟს ჯუჩის ეკუთვნოდა, მაგრამ თუმცა იგი მამაზე ადრე გარდაიცვალა და ტახტი ოგედეის დარჩა. ოგედეის ხაკანის (1227-1241) მმართველობის ხანაში იმპერიის საზღვრებმა ყივჩაღთა ველები, აზერბაიჯანი და კავკასიის ქვეყნებიც მოიცვა და საბოლოო საზღვრებს მიაღწია (Kafalı, 2005:6). ჩინგიზ ხანის მიერ ხვარაზმის დაპყრობასთან ერთად აღებული ყარაყორუმი 1235 წელს ოგედეი ხანმა დედაქალაქად აქცია, რომელიც 1254 წლიდან ვაჭრობის, წარმოების, პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი გახდა (Cosmo, 2014-2015:67). ჩაღათა ყაენმა სახელი მოიხვეჭა როგორც წესებისა და ტრადიციების მიმდევარმა და ჩინგიზის კანონების კარგმა მცოდნემ (Kafalı, 2005:79). მის ულუსს ეკუთვნოდა ჩინგიზ ხანის მიერ დაპყრობილი ყარაჰიტაის სახანოს ტერიტორიები, თალასისა და ისიქ-ქოლის მიდამოები, სამარყანდისა და ბუხარას გამოკლებით (Hartog, 2003:147). ჩაღათაის სახანო სხვა სახანოებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მისი დამაარსებლის სახელს ატარებდა. სხვა შემთხვევაში ეს ასე არ იყო (Gömeç, 2017:113).

ჩინგიზ ხანის უფროსი ვაჟი ჯუჩი გარდაიცვალა 1224 წელს, მანამ, სანამ მამამისი 1227 წელს ტანგუტისა (Togan, 1981:62) და ჩინეთის გაილაშქრებდა. მისთვის განკუთვნილი მიწები, ,,ჯუჩის ულუსი“ მის შვილებს შორის გადანაწილდა. უფროსმა ვაჟმა ორდამ

სირდარიის აღმოსავლეთ სანაპიროები და სარი სუს შემოგარენი მიიღო. მეორე ძმამ, მიუხედავად იმისა, რომ უფროს ძმას ეკუთვნოდა, რადგან იგი ყველაზე წარმატებული იყო ძმებს შორის, ჯუჩის ადგილი დაიკავა. ბათომ კი 1227 წელს კასპიის ზღვის ჩრდილოეთით მდინარე ურალამდე მიწები მიიღო. სამხრეთ რუსეთის დაპყრობის შემდეგ მისი საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა (Hartog, 2003:146-147).

ჯუჩი 1169 წელს დაიბადა (Kafalı, 1993:78). პიტერ გოლდენი წერს, რომ სახელი ჯუჩი მონღოლურად „მოულოდნელ სტუმარს“ ნიშნავს და ამ სახელის დარქმევა მისი დაბადების შესახებ მინიშნებას გვაძლევსო (Golden, 2002a:143). მაგრამ, სხვა მოსაზრებით, ჯუჩი დაიბადა მაშინ, როდესაც ჩინგიზ ხანი მერკიტებზე ლაშქრობიდან ბრუნდებოდა და ამიტომ დაარქვეს მას „გზაზე მომავალი“, ანუ ჯუჩი. 1859-1936 წლებში მოღვაწე ცნობილი თათარი ისტორიკოსი რიზაედინ ფაჰრედინი (Kafalı,1993:78) ჯუჩის სხვა განმარტებებსაც გვაძლევს: მგზავრივით მოულოდნელად მოსული, მოულოდნელი სტუმარი, საყვარელი ბავშვი, გულითადა ადამიანი (Fahreddin, 2003:31). იგი იყო საოჯახო სახელიც, ჯუჩი ჰასარი ერქვა ჩინგიზ ხანის ძმას (Golden, 2002a:143).

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა შესახებ მრავალი მნიშვნელოვანი საისტორო და ლიტერატურული ნაშრომი არსებობს, ზოგიერთი მიმართულება დღემდე უყურადღებოდ არის დარჩენილი (Kalan, 2012a:120). მათ შორისაა მონღოლური ონომასტიკა. სწორედ ამიტომაა, რომ ჯუჩის მნიშვნელობა სხვადასხვა სახით არის განმარტებული. ჯუჩიზე ყურადღების გამახვილების მიზეზი ის არის, რომ არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იგი ჩინგიზ ხანის შვილი არ იყოს. სპარსულენოვან ავტორებთან, როგორიცაა ჰონდმირი, გაფარი, შერაფედინ იეზდი, ნიზამედინ შამი და რეშიდუდინი, ამ სახელს „ჯუჩი“-ს ფორმით ვხვდებით. ვასაფის, ჰამდულაჰ ყაზვინის, ჯუვეინის, ჯუზჯანი ნაშრომებში „თუში“ ფორმაა. არაბულ წყაროებშიც განსხვავებული ფორმებია. ბაიბარსის, იბნ-ი ჰალდუნის, მაკრიზის ნაშრომებში „დუში“-ა მოცემული, ომერისთან „ჯუჩი“, ქალქაშანდისთან „თუჯი“, ჯენაბისთან კი „იუჯი“ (Kalan, 2012a:120-121; Golden, 2002a:143).

ჩვენი ნაშრომის თემატიკიდანაც ჩანს, მონღოლთა ლაშქრობები საქართველოსაც შეეხო. ამიტომაც როგორც ისლამური წყაროებში, ქართულ ქრონიკებშიც ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა (ქ.ც., 1959:151-325).

,,მონღოლთა საიდუმლო ისტორიაში“ ჯუჩი თიმუჩინის უფროს ვაჟად და ყივჩაღთა ბატონად არის მოხსენიებული (M.G.T. I, 2016:257) და დახასიათებულია როგორც მომთმენი, ძლიერი, თავმოყვარე ვაჟკაცი. იგი მონაწილეობდა მამის ყველა ლაშქრობაში. ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, სამხედრო და პოლიტიკური ნიჭით დაჯილდოებული ჯუჩი განიხილებოდა მემჯვიდრედ. ჩინგიზ ხანის სამხედრო წარმატებას, მთავარსარდლის სუბუდაი ბაღათურის სიმამაცეს და ჯუჩი ხანის გამჭრიახობასა და მოხერხებულობას უკავშირებენ (Fahreddin, 2003:32). ამ თვისებების გამო შემდგომში ჯუჩის უფლება მიეცა დაეპყრო ალთაის მთებიდან და დასავლეთ ციმბირიდან დაწყებული ვოლგა-ურალამდე ტერიტორია და დაეარსებინა საკუთარი ულუსი. გარდა ამისა, მას ჰქონდა უფლება დაეპყრო ყველა ის ადგილი, სადაც ,,მონღოლები შეძლებდნენ ფეხის დადგმას“. მიუხედავად იმისა, რომ ჯუჩი ხანი მამაზე ადრე გარდაიცვალა,

სიცოცხლეშიც (**Kamalov, 2003:200; Kalan, 2012a:124**) და სიკვდილის შემდეგაც მის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიები ფართოვდებოდა.

როდესაც ჩინგიზ ხანი ჩინეთის ჩრდილოეთ სტეპების ტომებს აერთიანებდა, 1218 წელს ჯუჩი ყირგიზებზე სალაშქროდ გააგზავნა, ხოლო მათი მათი დამორჩილების შემდეგ მომდევნო წელს მამის განკარგულებით ძმებთან ერთად ხვარაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. მოგვიანებით ჯუჩის დასავლეთისკენ ლაშქრობა და მდინარე ირტიშიდან ვოლგამდე ტერიტორიების დაპყრობა დაევალა. დასავლეთ ციმბირიდან მდინარე ვოლგამდე ტერიტორიების დაპყრობის კვალდაკვალ, იენიქენთი და ბარჩინლიღ ქენთი დაიმორჩილა და გურგანჯისკენ აიღო გეზი. ამ უკანასკნელის დასაპყრობად ჯუჩი ძმებთან, ჩაღათასთან და უგედეისთან გაერთიანდა (**Kafalı, 1998:78**).

1221 წელს ჯებე ნოინსა და სუბუდაი ნოინს მუჰამედ ხვარაზმშას მეთვალყურეობა დააკისრა, თვითონ კი თულუისთან ერთად ბუხარა, სამარყანდი, ნაჰშები და თირმიზი დაიპყრო, რის შემდეგაც ამუდარიის რაიონში გამოიზამთრა (**Kafalı, 1998:78**). 1222 წელს ხვარაზმის ცენტრი გურგანჯი გადაწვეს და ხელოსნების გარდა ყველა ამოხოცეს. ამის კვალდაკვალ ჩინგიზ ხანმა ხვარაზმის ამ ნაწილთან ერთად მდ.ირტიშიდან ვოლგამდე დასავლეთ ციმბირი სამართავად უფროს ვაჟს ჯუჩის ჩააბარა. 1223 წელს, კალკის ბრძოლის მხედარმთავრები ჯებე და სუბუდაი, ჯუჩი ხანის სამფლობელოების გაფართ-ოების მიზნით ახალი ტერიტორიების დასაზვერად აზერბაიჯანიდან და დარუბანდიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ. მათ ყირიმამდე მიაღწიეს აქაურობა გაძარცვეს. ინტენსიური ლაშქრობები დასავლეთი მიმართულებით ჯუჩის გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილებმა დაიწყეს, რამაც საფუძველი ჩაუყარა ოქროს ურდოს ფორმირებას (**Kafalı, 1993: 78-79**).

როგორც ყველა აღმოსავლელ სულთანს ჯუჩისაც ნადირობა ჰყვარებია (**Gordlevski, 1988:98**). 1226 წლის ბოლოს, უფრო სანდო ვერსიის მიხედვით კი 1227 წლის დასაწყისში - ზოგიერთი წყაროს მიხედვით თებერვლის თვეში (**Kalan, 2012a:124**) - ხალხმრავალი ნადირობა[6] მოაწყო, რომლის დროსაც ცხენიდან ჩამოვარდა და დაიღუპა. ეს მოხდა მამის, ჩინგიზ ხანის გარდაცვალებამდე ექვსი თვით ადრე. მონღოლური ტრადიციების შესაბამისად მას სამოცდასამი ცოლი (**Fahreddin, 2003:31; Kafalı, 1993: 79**) და თვრამეტი ვაჟი დარჩა. მისი ადგილი ბათომ, იგივე სინ ხანმა დაიკავა, რომელმაც შემდგომში ოქროს ურდოს სახელმწიფო დააარსა. უფროსმა ვაჟმა ორდამ ,,ცისფერი ურდოს“ სახანო შექმნა. მეხუთე ვაჟი შიბანი (შაიბანი) კი ოზბეგი ხანების წინაპრად არის მიჩნეული. მეცამეტე ვაჟი თოგაი თიმურის მემკვიდრეებმა, შემდგომში, ოქროს ურდოს სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ყირიმის სახანო დააარსეს (**Kafalı, 1993:79**). ჩინგიზ ხანის გარდაცვალებისას, იედისუს რაიონის ჩრდილოეთი, დღევანდელი ყაზახეთის სტეპები მთლიანიად, ხვარაზმი და მაზანდარანი ჯუჩის ულუსის ტერიტორიებს შეუერთდა. ჯუჩი ხანის საფლავი ყაზახეთში, სარი-სუს აუზში, დღევანდელი აქმოლასა და თურგაის რაიონების საზღვარზეა (**Kalan, 2012a:124**).

---

[6] ნადირობის ერთ-ერთი სახეობაა. ნადირობის ადგილი და წინასწარაა განსაზღვრული, სოფლებიდან არჩევენ მამაკაცებს, რომლებიც მიერეკებოდნენ ცხოველებს სასურველი მიმართულებით. ამ ნადირობის მიზანი გართობა, სიამოვნება და სამხედრო წვრთნა იყო (**Türkmen, 2013: 90-91**).

§ 4. ოქროს ურდოს ეტიმოლოგიის შესახებ

დღევანდელ ისტორიოგრაფიაში ცნობილი ,,ოქროს ურდოს“ სახელწოდებით ცნობილი სახელმწიფო, ზოგიერთი ავტორის მიხედვით კი სახანო, ან იმპერია, მისი არსებობის ხანაში ამ სახელწოდებით არ იყო ცნობილი. ისლამურ და რუსულ წყაროებში და მოგზაურთა ჩანაწერებში ეს პოლიტიკური გაერთიანება ჯუჩის ულუსად, ყივჩაღთა ველებად და მათი მმართველის ბერქე ხანის სამშობლოდ მოიხსენიება (Alan, 2012:2). აღნიშნული ტერმინი ვრცლად არის განმარტებული სხვადასხვა მოგზაურობის წიგნებში (İbn-i Battuta I, 2004; Rubruk, 2001). ძირითადად თათართა და ყივჩაღთა ტომების გაერთიანებით შექმნილ ამ პოლიტიკურ გაერთიანებას ესპანურ და იტალიურ წყაროებში „თათარისტანი“-ს სახელწოდებითაც ვხვდებით. მხოლოდ მარკო პოლოს მოგზაურობის წიგნში უწოდებს მას „დასავლეთ სახაკანოს“ (Kotkin, 1996:6).

,,ოქროს ურდო“ ერთ-ერთია შუა საუკუნეების სახელმწიფოთაგან, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მსოფლიო ისტორიაში. იგი, როგორც თანამედროვე, ისე შემდგომი პერიოდის წყაროებში განსხვავებული სახელწოდებებით იხსენიება. აღმოსავლურ წყაროებში ნახსენებია ჯუჩის ულუსად (Kamalov, 2007a:63). რუსულ ტერმინი „Золотая Орда” პირველად ბევრად უფრო გვიან, XVI ს-ის მეორე ნახევარში დაწერილ, 1564 წლის ყაზანის ქრონიკებში გამოჩნდა, მაშინ, როდესაც სახანო დიდი ხანი იყო აღარ არსებობდა. ტერმინი XIV საუკუნის ზეპირსიტყვიერებაშიც გამოიყენებოდა.

სიტყვა ,,ოქრო“ გაბრწყინებულს, დიდებულს გულისხმობდა. ოქროს ურდოს უღელქვეშ მყოფი რუსეთისგან ასეთი შეფასება წარმოუდგენელია, ამიტომაც ცხადია, ეს ტერმინი მოგვიანებით წარმოიშვა (Kamalov, 2003: 203; Kamalov, 2007a:65). სხვა თვალსაზრისით, რუსული ქრონიკების მიხედვით, რუსი თავადები „ოქროს ურდოს“ ყაენის კარავს, რეზიდენციას უწოდებდნენ, სადაც ისინი ხშირად მიდიოდნენ და ,,იარლიღ“-ს ღებულობდნენ (Kamalov, 2013:42; Kamalov, 2003:214). სახელმწიფოს ადრინდელი სახელწოდება „ჯუჩის ულუსი“ ბუნებრივად ჟღერს, რადგან ოქროს ურდოს საფუძველი, ბათუ ყაენის მამის, ჯუჩის დროს ჩაეყარა. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდო ამ სახელს ატარებდა, ჯუჩი ხანს უშუალოდ არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში (Yakubovskiy, 1976:53).

ჯუჩი ხანის ნაადრევი გარდაცვალების შემდგომ, 1227 წელს, მისი შვილები ბათო და ორდა მამის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ვერ შეთანხმდნენ. გადაწყვეტილების მისაღებად ბაბუასთან, ჩინგიზ ხანთან მივიდნენ (Kamalov, 2007a:67). ჯუჩის ვაჟებს შორის მემკვიდრეობის გადანაწილებისას ორდას სურდა, რომ სახელმწიფო მმართველობა ბათუ ყაენს გადაებარებინა, თუმცა ბათუ ყაენი მხარს უჭერდა მემკვიდრეობის უფროსი ძმისთვის გადაცემას, რადგან მამის მემკვიდრეობაზე უფლება სწორედ მას ჰქონდა (Kafalı, 1970:64). მიღებული მოსაზრებისა და ოთემიშ ხანის ,,ჩინგიზ ნამეს“ მიხედვით, „ჩინგიზ ხანმა, ბათუ (საინ) ყაენს ,,ოქროს კარავი“ (ოქროთი გაწყობილი თეთრი კარავი) იგივე ,,თეთრი ურდო“, ხოლო მისი ძმას ორდა ყაენს ,,ვერცხლის კარავი“ (ვერცხლით გაწყობილი წისფერი კარავი) იგივე „ცისფერი ურდო“ დააარსებინა. ბათო ყაენის

მმართველობის ქვეშ დასავლეთ ყივჩაღთა სტეპების საყაენო, ანუ „თეთრი ურდო“ (ოქროს ურდოს), ხოლო ორდა ხანის მმართველობის ქვეშ აღმოსავლეთ ყივჩაღთა საყაენო „ლურჯი ურდო“ შეიქმნა (Kafalı, 1970:59). სპარსულ წყაროებშიც ამ სახელმწიფოს ,,თეთრი ურდო“ ჰქვია (Kamalov, 2003:204; Saray, 1989:538). თურქული საისტორიო ტრადიცია თვლის, რომ ტერიტორიების მსგავსი გადანაწილების მიუხედავად, სახელმწიფო ერთია, მისი ,,მარჯვენა და მარცხენა განშტოებებით“ (Kafalı, 1976:1; Kamalov, 2003:204). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ცენტრალური ნაწილი აღმოსავლეთში იყო, ოქროს ურდოს სახელმწიფო დასავლეთ ყივჩაღთა სტეპებში ჩამოყალიბდა და დროთა განმავლობაში გაფართოვდა და უფრო გაძლიერდა კიდეც.

ჯუჩის ულუსის „ფერებით“ განსხვავებამ ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგი მათგანი, ანგარიშს უწევს თურქულ ტრადიციას და აღმოსავლეთის საყაენოს ,,თეთრ ურდოს“, ხოლო დასავლეთისას ,,ცისფერ ურდოს“ უწოდებს. იმ ქრონიკებშიც, რომლებიც ამ ტენდენციას არ ითვალისწინებენ, მაგალითად, როგორიცაა რუსული ქრონიკები, ცისფერი ,,აღმოსავლეთის“ ფერად არის მიჩნეული. საფიქრებელია, რომ ლითონის ფასეულობის მიხედვით დახარისხებულია ფერები. ამის მიხედვით ოქრო და თეთრი ფერი აღმატებულია ვერცხლსა და ცისფერზე. ასე რომ, ტრადიციის მიხედვით ამ მხარეების ფერებით აღნიშვნა მიღებულია, რადგან თურქები, დასავლეთს „თეთრი“, აღმოსავლეთს კი „ცისფერით“ მოიხსენიებენ (Kamalov, 2007a:67). სახელმწიფოს ნამდვილი სახელწოდება ,,თეთრი ურდო“ რომც ყოფილიყო, თანამედროვეობაში ,,ოქროს ურდო“ ჰქვია. ოქროს ურდოს ხალხის გასაჭირზე, მმართველების მხრიდან ამ გასაჭირისგან მათ თავისუფლებისაკენ სწრაფვაზე, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ აზროვნებაზე საინტერესოდ მოგვითხრობს თათართა ცნობილი ხალხური ეპოსი - ,,ედიგეი“ (,,იდიგე“) (Yıldırım, 2002:68; Sulti, 1998:35).

ეს პოლიტიკური გაერთიანება ყივჩაღთა გეოგრაფიულ არეალში თათართა მონაწი-ლეობით შეიქმნა. თურქ-მონღოლთა წარმომავლობის შესახებ გადაჭრით საუბარი დღესაც შეუძლებელია, თუმცა შეცდომა არ იქნება თუ ვიტყვით, რომ სახანო თურქულ-მონღოლურ-თათრული ელემენტების საფუძველზე შეიქმნა. თურქული ტომების, თათრებისა და მონღოლების ერთ არეალში თანაცხოვრების გამო ამ პოლიტიკური გაერთიანების სხვადასხვა სახელით მოხსენიება სრულიად ბუნებრივია.

ყივჩაღებთან დაკავშირებით მომდევნო თავებში დაწვრილებით ვისაუბრებთ, თუმცა მოკლედ აღვნიშნავთ, რომ დაპყრობილი რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა ყივჩაღები იყო. სწორედ ამიტომ ამ რეგიონს ყივჩაღთა ველები უწოდეს. არაბულ წყაროებში კი მას ,,ოქროს ურდოს“ სახელწოდებით ვხვდებით. მათში ამ სახელმწიფოს სახელწოდება იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ მართავდა მას. მაგალითად, „თათრების დიდი ხანის ბერქეს ქვეყანა“, „ჩრდილოეთ ქვეყნების ხანის ოზბექის ქვეყანა“, „ყივჩაღთა სტეპების ხანის თოქთას ქვეყანა“, „ბათოს ულუსი“, „ბერქეს ულუსი“ და ა.შ. (Kamalov, 2007a:63-64). შუა საუკუნეების აღმოსავლურ სახელმწიფოებში ჩვეულებრივი მოვლენაა სახელმწიფოს მისი დამაარსებლის სახელით მოხსენიება. მაგალითად, ოსმალეთის იმპერია, სელჩუკთა სახელმწიფო, თემურიდების იმპერია და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თურქულში ტერმინი ოქროს ურდო სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. დასავლურ წყაროებში ეს განსხვავებები არ ჩანს. ინგლისურში "Golden Horde", ფრანგულში "Horde d'or", რუმინულად "Hoarda de Aur", ქართულად "ოქროს ურდო"და სხვ. თურქულში ასეთი სახეცვლილება იმიტომ მოხდა, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, მას თურქები სხვა სახელებით მოიხსენიებდნენ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იგი მონღოლთა და თურქთა შერეული პოლიტიკური ერთეული იყო.

მონღოლურად "Orda" „კარავს" ნიშნავს **(Saray, 1989:538)**. სხვა მოსაზრებით "Orda" ან "ordu" სიტყვებს თურქულ და მონღოლურ ენებზე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და სამშობლოს ნიშნავს **(Kamalov, 2007a:64-65)**. მაჰმუდ ქაშგარლიმ 1072 წელს დაიწყო და 1074 წელს დაასრულა მუშაობა პირველ თურქულ ლექსიკონზე, რომელიც არაბებისთვის თურქული ენის სასწავლებლად იყო განკუთვნილი. მასში სიტყვა „ordu" განმარტებულია როგორც „ყაენის სატახტო ქალაქი" **(Kaçalin, 1994:446)** და ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქებიდან ერთ-ერთი ქაშგარი ყაენების ქალაქი იყო და "Ordu ken(d)t"-ად იწოდებოდა **(Kaşgarlı, 1985:124; Kaşgarlı, 1986:440-441)**. უფრო მოგვიანებით კი ამ სიტყვას განმარტავენ როგორც „სამხედრო გაერთიანება", „სასახლე", „ამალა", „ბანაკი", „ოჯახი ქეჩის კარავში", „ცნობილ პირთა ცოლების სამყოფი ადგილი". თურქული და მონღოლური ენებიდან სიტყვა "orda" ჯერ რუსულში, ხოლო რუსულიდან ევროპულ ენებში დამკვიდრდა. რუსულად ეს სიტყვა „ხანის კარავს", „ხანის სასახლეს", „სტეპების მომთაბარეთა ერთობას" აღნიშნავს **(Kamalov, 2007a:64).** 1290 წლის შემდგომ ხმარებაში შემოტანილი ეს ტერმინი ჯუჩის ულუსის აღსანიშნავად გაჩნდა და მოგვიანებითაც გამოიყენებოდა.

სხვადასხვა წყაროებსა და სამეცნიერო ნაშრომებში ოქროს ურდოს პოლიტიკური ერთეულსა და იერარქიასთან დაკავშირებით სხვადასხვა ტერმინებს ვხვდებით. სიტყვა ხანი, ჩინგიზის შემდგომ გავრცელდა და ცენტრალურ საყაენოზე დამოკიდებული ხალხების მმართველების წოდება იყო **(Kalan, 2012a:120).** აქედან მომდინარეობს ტერმინი „სახანო". ოქროს ურდოს ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, ვნახავთ, რომ თავდაპირველად იგი სახანო იყო, ხოლო მოგვიანებით კი სახელმწიფოს სახე მიიღო. ამიტომაც, ჩვენს ნაშრომშიც მას სახანოდ და სახელმწიფოდ მოვიხსენიებთ.

§. 5. ოქროს ურდოს ეთნიკური ჯგუფები

XII ს-ის ბოლოს მდინარეების ირტიშისა და ენისეის შორის მცხოვრები მოსახლეობის ტომობრივი გაერთიანებები ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდებოდნენ. აღნიშნულ რეგიონში, ყირგიზებთან, ალაჩინებთან, ყივჩაღებთანა და ოირატის ტომებთან ერთად ცხოვრობდნენ თურქულ და მონღოლურენოვანი ტომები, რომლებიც მანამდე თოქუზ-ოღუზთა[7] პოლიტიკური გაერთიანების შიგნით ცხოვრობდნენ **(Kıldıroğlu, 2013:72)**.

[7] Tokuz Oğuz (Dokuz Oğuz/Chiou-Hsing) თურქული ტომებიდან ერთ-ერთის ტოლესის ტომის ხალხის სახელწოდებაა, რომლებიც მდინარე ტოლას ნაპირებზე და აღმოსავლეთ გოქთურქების პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში იყვნენ დასახლებულნი. იხ: **(Taşağıl, 2014. გვ. 21).**

მონღოლთა თავდასხმები საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე აისახა. მან მნიშვნელოვნი როლი ითამაშა ჩინეთის, შუა აზიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ეთნიკური და კულტურული სტრუქტურის თავიდან ჩამოყალიბებაში. ძირეულად შეცვალა თურქული სამყაროს ეთნიკური სტრუქტურა. ყარლუხების, ყივჩაღების, უიღურების და სხვა თურქული ტომების დამორჩილებით მათ შექმნეს მონღოლეთა იმპერიის ქვედა ფენები (Özgüdenli, 2005:228). ოქროს ურდოს სახელმწიფო, მომთაბარე დაპყრობითი ომების გზით შექმნილი პოლიტიკური გაერთიანებაა. სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებით შექმნილ სახელმწიფოში მმართველი წრეები და სამხედრო ჩინოსნები მხოლოდ მონღოლები იყვნენ (Kamalov, 2003:199).

ოქროს ურდოს მოსახლეობის უმრავლესობას ყივჩაღები და თათრები შეადგენდნენ. ყივჩაღთა ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე შქმნილ ოქროს ურდოს პოლიტიკურ გაერთიანებას ჩამოყალიბების პერიოდში ყივჩაღთა ველის ქვეყანას, ,,ყივჩაღთა ველს" უწოდებდნენ. ხოლო თათართა სიმრავლის გამო, რომელთა წარმომავლობაც ბოლომდე გარკვეული არ არის, მას თათართა ქვეყანასაც ეძახდნენ. ყივჩაღთა ველად ოქროს ურდოს მოხსენიება არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ჩინგიზ ხანისა და მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ამ საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალს, შუა აზიიდან წამოსული ყივჩაღები თითქმის ორასი წლის განმავლობაში ფლობდნენ. რაც შეეხება „თათართა სახელმწიფოს", წყაროებიდან ჩანს, რომ ეს სახელწოდება მისი მოქმედებებიდან, ომების, რბევების და ძარცვების გამო შეარქვეს. ამასთან დაკავშირებით ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ნაშრომი (Vasary, 2015) და პირველწყაროები (Cuveynî, 2013; İbnü'l Esir, 1985:316-317).

თურქეთის ისტორიის მიხედვით უიღურები, ყივჩაღები, ყარლუხები, ყირგიზები, ყალაჩები, ჩიღილები, აღაჩერები, ბულგარები, ბაშქურთები და სხვა თურქულმა გაერთიანებებმა საკუთარი ტრადიციული თავისებურებები დაკარგეს და ჯუჩის, ჩაღათას და ილხანის ულუსების დასყრდენი ძალა გახდნენ. პირველად ამ ულუსებიდან პოლიტიკურ ასპარეზზე ჯუჩის ულუსი გამოჩნდა (Kafalı, 1976:1).

აღნიშნულ ეთნიკური ჯგუფების შესახებ არსებულ სამეცნიერო კვლევებში მსგავსი შეხედულებებია გამოთქმული მათი ურთიერთ აღრევის შესახებ. ეს იმიტომ, რომ ხსენებული ეთნიკური ჯგუფების არცერთ მაშინდელ წერილობით წყაროს ჩვენამდე არ მოუღწევია. მომთაბარე ცხოვრება და მუდმივი გადაადგილება ამის შესაძლებლობას არ ამცირებდა. თუმცა, მათ შესახებ საკმაოდ დიდი რაოდენობით წერილობითი წყარო შემოგვინახეს იმ ადგილობრივმა, მობინადრე ხალხებმა, რომლებთანაც ჰქონდათ მათ სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები (Arat, 2001:715). ეჭვგარეშეა, რომ ამათგან ერთ-ერთი რუსული ეპოსები და ჩანაწერებია. თუმცა, ამ ტომთაგან ერთ-ერთის, ყივჩაღთა ენისა და ლიტერატურის შესახებ ამსახველი ერთადერთი მნიშვნელოვანი წყაროა „კოდექს კუმანიკუსი" (ყივჩაღთა წიგნი), რომლის ერთადერთი ეგზემპლარიც ინახება ვენეციის წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკაში (ყუმანების წიგნი) ეწოდება. იგი მე-14 საუკუნის (1303) ძეგლია და მოიცავს უშუალოდ ყივჩაღებისგან მიღებულ ინფორმაციებს, რომლებიც იტალიელებისა და გერმანელების (Ercilasun, 2010:382; Çakmak, 2014:172; Arat, 2001:715) მიერ არის შეკრებილი. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება და მასში ლათინურ-

ფრანგული და თურქული ლექსიკონებია დართული (Güner, 2016:1545). ყივჩაღთა ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, იმ ხალხებისა და ტომების შესახებაც გვაწვდის ცნობებს, რომლებზეც მათ მოახდინეს გავლენა. წიგნის შედგენა ემსახურებოდა, ერთის მხვრივ ყივჩაღებთან სავაჭრო ურთიერთობების გამარტივებას და მეორე მხვრივ კი, მათ შორის ქრისტიანობის გავრცელების მიზნებს (Arat, 2001:715-716). წიგნის იტალიური ნაწილი ემსახურებოდა ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოსთან სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობას. ოქროს ურდოში ოფიციალურ ენად ყივჩაღური ითვლებოდა, ხოლო ილხანებში სპარსული. გერმანული ნაწილი - მისიონერთა მიერ იყო შედგენილი ქრისტიანობის გავრცელების მიზნით (Güner, 2016:1545).

ოქროს ურდოს შემადგენლობაში მყოფი მონღოლების, ყივჩაღების და თათრების წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის, მათი გავლენის, ძალისა და უფლებების შესახებ ცალკე ქვეთავებში ვისაუბრებთ. მიუხედავად იმისა, რომ მონღოლები მათ შორის ყველაზე გავლენიანი და მაღლა მდგომი ეთნიკური ჯგუფი იყო, მათთვის ცალკე თავის მიძღვნა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

თათრები

VIII ს-ით დათარიღებულ თურქთა ისტორიის ერთ-ერთ პირველ წერილობით წყაროში ორხონის წარწერებში საუბარია „Dokuz Tatar“ (ცხრა თათარი) და „Otuz Tatar“ (ოცდაათი თათარი) სახელწოდების ტომებზეა საუბარი. XII ს-ში თათართა ტომები ცნობილნი იყვნენ როგორც ერთ-ერთი ყველაზე თავზარდამცემი და უშიშარი მებრძოლები (Grousset, 1996:189). თათრებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ყირგიზ-ბთან და ყივჩაღებთან. ამის გამოა, რომ თანამედროვე თათრების ეთნიკურ ნიშნებში ყივჩაღთა ღრმა კვალი შეიმჩნევა (Kıldıroğlu, 2013:166). ამ ტომის წარმომავლობისა და ისტორიის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, თუმცა დღემდე საკითხი გადაწყვეტილად არ ითვლება. ამ ტომის თურქულ, თუ მონღოლურ წარმომავლობასთან დაკავშირებით უამრავმა მკვლევარმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. ქვემოთ ჩვენ გავეცნობით სხვადასხვა შეხედულებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

დღევანდელ დღეს ისტორიკოსთა შორის ტერმინ ,,თათარ“-ის წარმომავლობაზე ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს. აღნიშნულ ტერმინს მკვლევრები განსხვავებულად განმარტავენ. ყველაზე გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, თათრებზე, რომლებსაც დიდი ხნის ისტორია აქვთ, გარკვეული გავლენები იქონიეს სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა (Yıldırım, 2012;173). ამ ეთნიკურ ჯგუფთაგან ყველაზე მეტი წილი მონღოლებსა და თურქებზე მოდის. ასეთ სიტუაციაში ისმება კითხვა, ვინ არიან თათრები, მონღოლები თუ თურქები?

ცნობილია, რომ დღევანდელი ციმბირის სამხრეთ ნაწილში და დღევანდელი მონღოლეთის ტერიტორიაზე (ჩინეთის და ისტორიული აღმოსავლეთ თურქესტანის ჩრდილოეთი ნაწილში) XII საუკუნიდან მოყოლებული მომთაბარე-მონადირე ტომები ცხოვრობდნენ. აღნიშნული ტომთა ნაწილი, რომელთა შემადგენლობაში უმრავლესობას მონღოლები წარმოადგენდნენ, XIII საუკუნიდან, თანდათან საკუთარ თავს მონღოლებს უწოდებენ. ამ ტომთაგან ერთერთი, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო

მრავალრიცხოვანი იყო, სხვა ტომებთან ურთიერთობის დროს, საკუთარ თავს არა მონღოლებს, არამედ თათრებს უწოდებდნენ (Kamalov, 2015:174).

მეცნიერთა ნაწილი თათრებს მონღოლებად მიიჩნევს, ნაწილი თურქებად, ზოგი კი აღნიშნულ ტერმინს ოსმალეთის იმპერიის საზღვრებს მიღმა დარჩენილი თურქული მოდგმის ხალხების აღსანიშნავად იყენებს (Roux,2007:26). მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „თათარი" სხვადასხვა პერიოდში თურქებისა და მონღოლების საერთო აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენებოდა, აღმოსავლურ და დასავლურ წყაროებში თავდაპირველად ამ ფორმით მხოლოდ მონღოლები მოიხსენებიან (Kamalov, 2007:12). პროფესორი ოზქან იზგი ხსნის, რომ ცნობილი მოგზაური მარკო პოლო, რომელმაც პირველმა იმოგზაურა ამ რეგიონში, ორ განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფს მონღოლებსა და თურქებს, ერთი სახელწოდებით - ,,თათრები" მოიხსენიებს, რამაც შემდგომში დასავლეთში ამ ტერმინის დამკვიდრება განაპირობა (İzgi, 2014a:223).

ჩინგიზ ხანის მიერ, 1206 წელს მონღოლთა სახელმწიფოს შექმნამდე, მონღოლური ტომებით განსახლებული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები თათრები ხშირად მოიხსენებიან ჩინურ წყაროებშიც. მას შემდეგ, რაც მონღოლებმა სახელმწიფო შექმნეს და მათი განსახლების არეალი თათრებით დასახლებულ ტერიტორიებზეც გავრცელდა, ჩინელები მათ ყველას თათრებს უწოდებენ (İzgi, 2014b:225). ანუ, არამხოლოდ დასავლ-ური, არამედ ჩინური და არაბულ წყაროებიც მონღოლთა ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ტომთა გაერთიანებას „თათრებად" მოიხსენიებს. ჩინგიზ ხანის ლაშქრობების დროს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ტომს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დაპყრობით ომებში, თათრები წარმოადგენდენ. ამ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ჩინელები, რომლებიც მონღოლებისგან შორს იყვნენ და კარგად არ იცნობდნენ მათ, XI-XII სს-ში თითქმის არც კი საუბრობენ მასზე. ხოლო ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ კი მათ „თათრებს" უწოდებენ (İzgi, 2014a:221).

ამავე დროს, ვიცით, რომ ტერმინი „თათარი" გამოიყენება მონღოლების ბატონ-ბის ქვეშ მყოფი ხალხების აღსანიშნავადაც. ისეთების, როგორიცაა: ყაზანელი, ყირიმელი, ნოღაელი, ალტაის და აზერბაიჯანელი თათრები. თურქი მეცნიერი ზექი ველიდ თოგანი ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება და ბულგართა და ყივჩაღთა ასიმილაციის შედეგად წარმოშობილ ყაზანელი თურქების და თათრების კავშირს უარყოფს. მაგალითად მოჰყავს მონღოლთა პერიოდში, მათთან ერთად აღმოსავლეთიდან მოსული აზერბაიჯანელი თურქებისა და თათრების აღრევა და მათ შორის კავშირს გამორიცხავს (Togan, 1981:66). თათრების მიგრაციის პროცეში განსახლების არეალის მიხედვით სხვადასხვა გეოგრაფი-ული სახელებით მოხსენიება სრულებით ბუნებრივია. ამის გამო წარმოიშვა ტერმინები აზერბაიჯანის თათრები, რუმინელი თათრები (დობრუჯას რეგიონში), ესქიშეჰირელი თათრები. თუმცა ოზქან იზგი, აღნიშნავს რომ, აზრთა სხვადასხვაობა ამ პერიოდის მოგზაურების არასანდო წყაროებზე დაყრდნობიდან გამომდინარეობს და ამ წყაროთა უმრავლესობა ჯერ კიდევ არაა გასწორებული. XVIII საუკუნეში (1756-1758 წწ.) პარიზში დაიბეჭდა ჟოზეფ დე გიენის ნაშრომი ,,ჰუნების, თურქების, მონღოლებისა და სხვა დასავლეთის თათრების ზოგადი ისტორია" (Deguignes, 1758). ნაშრომში სხვადასხვა ტომები არეულად არის მოხსენიებული. მცდარი ცნობებისა და არაზუსტი თარგმანების

გამო ნაშრომმა მისი მოთხოვნილება თანდათან დაკარგა. რუსულ წყაროებში სიტყვა თათარი ზოგადად აღნიშნავს შუა აზიაში შექმნილ სახანოებს, რაც საბოლოოდ გახდა მიზეზი იმისა, რომ ტერმინი გავრცელდა მთლიანად თურქულ და თათრებთან არანაირ კავშირში მყოფ ხალხზეც (İzgi, 2014a:223-224). ქურათი, მონღოლთა დაპყრობებში თათართა მთავარ როლზე და მათ მიერ დაკავებულ მაღალ სამხედრო თანამდებობებზე საუბრობს. თათართა ამ ფენის სახელებსა და დაპყრობილ არეალს თვალი რომ გადავავ-ლოთ, ისინი გამონღოლებულ თურქულ ფენად უნდა მივიჩნიოთ (Kurat, 1972:119). იგი თათრებს დროთა განმავლობაში გამონღოლებულ თურქულ ჯგუფად მიიჩნევს.

სახელწოდება „თათარი“ როგორც ზემოთ ვთქვით, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფე-ბის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამის ნათელი მაგალითია რუმინეთში, დობრუჯაში (ჩრდილოეთ დობრუჯა, დღევანდელი კონსტანცა, ტულჩა, ბაბადაღი) მცხოვრები თათართა ეთნიკური ჯგუფი. 2011-2014 წლებში რუმინეთში, დობრუჯაში ჩატარებული კვლევებისა და დაკვირვების შედეგად მიღებული ცნობებით თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ რომ, ოსმალთა სულთნის ბაიაზიდ II-ის დროს დობრუჯაში დასახლებული თათრები (Lewis, 1986:842), დღესაც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ ცნობები ტერმინ თათარის შესახებ სხვადას-ხვა დროსა და გეოგრაფიაში. იმის მიხედვით, თუ რომელი ეთნიკური ჯგუფი უწოდებს საკუთარ თავს თათარს და რას უწოდებენ მათ სხვადასხვა ერები.

თათრები, რომლებიც თავის მხრივ ცალკე მონღოლურ ტომს წარმოადგენენ, თვით მონღოლებს შორის არც თუ ისე დიდი სიმპათიით სარგებლობდნენ. იმის გამო, რომ ჩინგიზ ხანის მამა იესუგაი თათრების მიერ იქნა მოკლული, ჩინგიზ ხანმა ისინი პირველივე შესაძლებლობაზე დაიპყრო და დაამარცხა (Kamalov, 2015:174).

მონღოლები საკუთარ თავს თათრებად ან თათრების სხვა ჯგუფად ყარა თათრებად არ მიიჩნევენ. მონღოლების საიდუმლო ისტორიაში ვხვდებით ჩინგიზ ხანის სიტყვებს: „თათრებმა ძველად ჩვენი წინაპრების დახოცეს და ჩვენი მტრები გახდნენ. ახლა კი გვაქვს შესაძლებლობა რომ თავს დავესხათ“ (İzgi, 2014a:221). მიუხედავად იმისა რომ, თათართა ტომები ჩინგიზ ხანის წინაპრების დროიდან მტრები იყვნენ, აუხსნელია ჩინგიზ ხანის დიდი და ძლიერი ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი თათრებისგან რატომ შედგებოდა (Vasary, 2015:23).

მონღოლების საკუთარი ისტორიის პარალელურად, არსებობს მონღოლებისა და ილხანთა სახელმწიფოში მნიშვნელოვანი თანამდებობის ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ალადინ ათა მელიქ ჯუვეინის (,,მსოფლიოს დამპყრობლის ისტორია”) XIII ს-ის სპარსული ნაშრომი, რომელიც საპირისპიროს მოგვითხრობს. ჯუვეინი ამბობს, მონღოლებით დასახლებული გეოგრაფიული არეალი ძველად თათრებს ეკავათ და ვრცლად აღწერს ჩინგიზ ხანის ამ არეალში გამოჩენასა და მათ იძულებით გადასახლებას. იგი ამბობს, რომ თავდაპირველად თათრებით დასახლებული რეგიონი მიწათმოქმედე-ბისთვის არახელსაყრელი იყო, მაგრამ ქვეყნის სიგრძე 7-8 თვის სავალზე მეტი იყო, გეოგრაფიულად კი აღმოსავლეთით ჩინეთი, დასავლეთით უიღურები, ჩრდილოეთით ყირგიზები და სელენგა, სამხრეთით კი ტანგუტი (ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რეგიონი) და ტიბეტი ესაზღვრებოდა. ჩინგიზ ხანის გამოჩენამდე არ ჰყავდათ

მმართველი და ტომებად ცხოვრობდნენ. გამუდმებით ბრძოლაში ყოფნის გამო ძალადობას, ქურდობასა და ბოროტებას ვაჟკაცობად და სიმამაცედ მიიჩნევდნენ. ჩინგიზ ხანამდე ხიტაის სახანოს ემორჩილებოდნენ და უხდიდნენ ხარაჯას.

ჯუვეინი ასევე გვაწვდის საინტერესო ცნობებს ჩინგიზ ხანის გამოჩენამდე მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ტანისამოსს ძაღლისა და თაგვის ტყავისგან ამზადებდნენ. ჭამდნენ ხორცს და სვამდნენ რძეს. სიცივის გამო აქ მხოლოდ ველური თხილი ხარობდა. სიღატაკეში ცხოვრობდნენ და არაფერი იცოდნენ სამკაულებისა და მოსართავების შესახებ. შემდგომში საინტერესოდ აღწერს თათრების მდგომარეობის ჩინგიზ ხანის სახელმწიფოს დაარსების დროს: *„ჩინგიზ ხანმა დროშის აღმართვის შემდეგ თათრები სივიწროვიდან სიუხვეში, დილეგიდან ვარდნარში, სიღარიბის უდაბნოებიდან ბედნიერების კოშკებში, ჯოჯოხეთიდან სამოთხეში გადაინაცვლეს. აბრეშუმის და ატლასი ტანისამოსის ჩაცმა დაიწყეს. შორეული დასავლეთიდან ჩამოტანილი საქონელი და აღმოსავლეთის შორეული კუთხეებიდან ჩამოტანილი ტვირთი მათ სახლებში იხსნებოდა. ყოველდღიური ტანისამოსიც კი ოქრო-ვერცხლით იყო მორთული. ჩინგიზ ხანმა ხალხს მეურნეობის ხელშესაწყობად ხალხს მიწები გადასცა. სასმელები მდინარე ამუდარიასავით მოედინებოდა. ჩინგიზ ხანის მმართველობის ქვეშ მყოფი ტომების საქმეებიც კარგად წარიმართა* (Cuveynî, 2013:82-83).

XII საუკუნეში მონღოლეთი მრავალ ულუსად დაიყო, ამ დამოუკიდებელმა ულუსებმა ერთმანეთს შორის და მეზობელი თათრების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს (Grousset, 1996:190). ოქროს ურდოს დაცემის შემდეგ შეიქმნა ყირიმის, ყაზანის, ციმბირის სახანოები, რომლებსაც XVI ს-ში რუსეთთან ჰქონდათ კავშირი და თათრებად იწოდებოდნენ. ამ სახანოებს შორის ყველაზე დიდ ხანს ყირიმის სახანომ იარსება. ამ სახანოს დამაარსებლის გირეის ფესვები (Kurat, 1972:209) ჯუჩის უმცროსი ვაჟს თოქაი თემურს უკავშირდება (İnalcık, 2017:27). ყირიმის სახანო, რომელმაც 1430 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა (Bilge, 2005:36), უფრო მოგვიანებით ოსმალეთის იმპერიას დაექვემდებარა და ოსმალებმა მას „ყირიმელ თათართა სახანო“ უწოდეს (Bilge, 2005:36) (İzgi, 2014a:223).

თათართა წვლილი დიდი იყო როგორც ოქროს ურდოს შექმნასა და ცხოვრებაში, ისე შემდგომში მის დაშლასა და დანაწევრებაში. 1357-1359 წლებში ოქროს ურდოს სახელმწიფოს ბერდიბეგ ხანის მმართველობის დროს არსებული არეულობის შემდეგ 1360-1380 წლებში თოთხმეტი ხანი ჩაუდგა სახელმწიფოს სათავეში, მაგრამ ვერცერთმა ქვეყანას ადრინდელი ძლიერება ვერ დაუბრუნა. ამის ნაცვლად ტახტისთვის ბრძოლები და სისხლიანი დაპირისპირებები მიმდინარეობდა. ამით ისარგებლეს ლიტვისა პოდოლიის სამთავროებმა და სასწრაფოდ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამის კვალ-დაკვალ ლიტვამ ისარგებლა ოქროს ურდოს დასავლეთში თათართა ბეგთა აჯანყებისგან გამოწვეული არეულობით და მდინარე დნეპრამდე ტერიტორიები იგდო ხელთ. ლიტვის საჰერცოგოსგან ქმედებით გათამამებული რუსეთი 1380 წელს პირველად წავიდა ოქროს ურდოს სახელმწიფოს წინააღმდეგ და გამარჯვებაც მოიპოვა (Saray, 1989:539).

იბნ-ი ესირ ელ-ქამილი ოქროს ურდოსა მონღოლთა აღსანიშნად ტერმინ „თათარს“ იყენებს. (İbnil Esir,1941:1). საკმაოდ საყურადღებოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც

საქართველოზე ტერიტორიაზე თათრების მოქმედებას და შედეგებს ეხება. იგი აშკარად უძვირფასესი წყაროა აღნიშნული საკითხების შესასწავლად: *„თათრები აზერბაიჯანისა და ერევნის გზით მუსლიმური ქვეყნების ნაწილის დაპყრობის, ნაწილთან მოლაპარაკებების შემდეგ ამ მხარეში მდებარე საქართველოსაკენ გაემართნენ. ქართველები თავდაცვისთვის მოემზადნენ. თათრების მოგერიების მიზნით ქვეყნის ყველა მხარეში დიდი რაოდენობით ჯარი გაგზავნეს. ისინი მოსულ თათრებს პირისპირ დაუხვდნენ. ქართველები არ გაჩერებულან. როგორც ჩანს ვერ გაუძლეს თათართა წინააღმდეგობას, უკან დაიხიეს. ვინც გაიქცა მხოლოდ ის გადაურჩა მტრის ხმალს. ამბავი მომივიდა, რომ 30 ათასი ქართველი დაიღუპა. თათრები სადაც მივიდნენ ყველა ქალაქი გაძარცვეს და გააერანეს, აქაც არ უღალატეს მათ წესს. როდესაც დამარცხებულმა ჯარმა დედაქალაქ თბილისში ჩააღწია, მეფემ ქვეყნის შუაგლში მყოფ თათართა შესაჩერებლად ახალი ჯარი შეკრიბა და გაგზავნა. ქართველებმა დაინახეს, რომ თათრები არცერთ მთას და ხეობას არ ტოვებდნენ. ქალაქებში შედიოდნენ. ამის მნახველი ქართველები თბილისში დაბრუნდნენ და საცხოვრებელი ადგილების დაცლა დაიწყეს. თათრებმა მათი სურვილისამებრ გაძარცვეს იქაურობა, რასაც მიწვდნენ გაძარცვეს, დახოცეს, დაანგრიეს. თუმცა ღრმა ხეობებსა და ბევრი ციხეებით დაცულ ქალაქებში შესვლა ვერ გაბედეს და უკან გაბრუნდნენ. ქართველები კიდე შიშმა მოიცვა. გავიგე ქართველ დიდებულთაგან მოსული ელჩის ნათქვამი: „არ დაიჯეროთ თუ გითხრეს, რომ თათარს ტყვედ წაიყვანთ. დაუჯერეთ იმას ვინც გეტყვით, რომ მოკვდება და არ გაიქცევა. ერთი მათგანი ტყვედ ჩავიგდეთ. ცხენიდან ისე ჩამოხტა, რომ თავით ქვას მიეხეთქა და მოკვდა. ტყვედ მაინც არ ჩაგვბარდა“* (**İbnil Esir, 1941 50**). ტექსტის სრული ვერსია ნაშრომში წარმოდგენილია დანართის სახით. იბნ-ი ესირის ეს ნაშრომი კარგად მოგვთხრობს სხვადასხვა ხალხებზე და ქვეყნებზე, რომლებმაც მონღოლთა თავდასხმები განიცადეს.

როგორც ზემოთ ითქვა, XIV საუკუნემდე ოქროს ურდოს ტერიტორიებში შემავალი ყივჩაღთა ველები და მისი მოსახლეობა ამავე სახელწოდებით მოიხსენებოდა. უფრო მოგვიანებით აღნიშნული გეოგრაფიული არეალი ,,თათართა მხარე“ გახდა და ტერმინებიც შეიცვალა, როგორც ,,თათრული ენა“, ,,თათარი ხანები“, ,,თათართა რჯული“. ხოლო, როდესაც რუსებმა დაიპყრეს აქაურობა, ყველა თურქული ტომის მიმართ ტერმინ ,,თათარს“ იყენებდნენ, მაგრამ აღნიშნული ტერმინი არასდროს არ გამოყენებულა მონღოლთა აღსანიშნავად.

თათრების, ხალხის, რომელმაც შუა საუკუნეების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ეთნიკური წარმომავლობის კონკრეტულად განსაზღვრა და ერთი ეთნიკური ჯგუფისთვის ან ტომისთვის მიკუთვნება რთულია. დროთა განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოებში, სხვადასხვა ხალხების გვერდით ცხოვრების გამო, ხშირი იყო მცდელობა, რომ მათი წარმომავლობაც ამ ხალხებისთვის დაეკავშირებინათ. ამჟამად ყველაზე მეტად მხარდაჭერილია მოსაზრება მათი თურქული წარმომავლობის შესახებ.

ყივჩაღები

VIII ს-დან ისტორიულ ასპარეზზე გამოჩნდნენ ყივჩაღები, რომლებიც XI ს-დან დიდ ჯგუფებად გადასახლდნენ მდინარე დონის მიდამოებში, სწორედ ამიტომ რის გამოც ამ ადგილებს ყივჩაღთა ველი ეწოდა. ჩვენი ნაშრომის მთავარი თემაც ოქროს

ურდოს სახელმწიფოა, რომელიც იმ დროინდელ წყაროებში ყივჩაღის ველებად მოიხსენიება და რომლის მოსახლეობის უმრავლესობასაც თათრებთან ერთად ყივჩაღებიც შეადგენდნენ. VIII-X სს-ში ყივჩაღთა ჯგუფები ოღუზებზე ადრე ანატოლიაშიც გავრცელდნენ **(Gordlevski, 1988:37-38).** ყივჩაღი თურქული ტომის და ასევე მისი წინამძღოლობით გაერთიანებული ტომების საერთო სახელწოდებაა **(Arat, 2001:713)**. მაჰმუდ ქაშგარლის განმარტებით სახელწოდება „Kıfçak" „თურქების ერთ-ერთ ჯგუფს", „ქაშგარის ახლომახლო ერთ-ერთ ადგილს" **(Kaşgarlı, 1985:474)** და „ამ ტომით დასახლებულ რეგიონს" ნიშნავს **(Kaşgarlı, 1986:844)**. ყივჩაღებს ბიზანტიელები "Kumanos, Cumanus, Komani", რუსები "Половцы", გერმანელები და სხვა დასავლური ქვეყნები "Falben, Valani, Pallidi", სომხები "Ղփչաղներ" (ხარტეს), უნგრელები "Kun"-ს უწოდებდნენ. ამ სახელების საერთო მნიშვნელობაა „ყვითელი, მოყვითალო, მკრთალი". ისლამურ წყაროებში "Kıbcâk, Kıbşâk, Kıfçak", ქართულ წყაროებში მოიხსენიება როგორც "ყივჩაღი, ყივჩაყი" და ამ სახელწოდების ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით დღემდე საერთო აზრი არ არსებობს **(Arat, 2001:713-714; Yücel, 2002:420)**. ამასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება აქვს გამოთქმული რიზაედი ფაჰრედინს, რომელიც მოიხმობს სპარსულ ტერმინს არიებს - "Deşt-i Kıpçak" და განმარტავს როგორც ,,ველის (სტეპის) ყივჩაღები" **(Fahreddin, 2003:89)**. თუმცა ეს მოსაზრება თავიდანვე მცდარია და ტერმინი არასწორადაა განმარტებული. უნდა იყოს ,,ყივჩაღთა ველი". ფაქტია, რომ აღმოსავლეთში გამოყენება ტერმინი ,,ყივჩაღი", ხოლო დასავლეთში ზემოთ ჩამოთვლილი განსხვავებული ფორმები. რუსულ წყაროებში ტერმინი "Половцы" პირველად გვხვდება 1064 წელს, სადაც ნათქვამია, რომ ეს ტომები იგივე წარმომავლობისაა როგორიც თურქმენები, პაჭანიკები უზები **(Yücel, 2002:420)**. რიზაედდინ ფაჰრედინი ამბობს, რომ მდინარეების ვოლგა-ურალისა და დონის აუზებში მცხოვრებ თურქებს ხაზარები ერქვათ. მოგვიანებით იგი დავიწყებულ იქნა და ახალი ტერმინით - ,,ყივჩაღით" იქნა ჩანაცვლებული. ყივჩაღები მდინარე დონისა და არალის ზღვას შორის ვრცელ სტეპებს ფლობდნენ და ამ ტერიტორიას ყივჩაღთა ქვეყანა ეწოდებოდა **(Fahreddin, 2003:89)**. იმის გათვალისწინებით, რომ ხაზარები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობდნენ და ურთიერთობა ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებთან და ხალხებთან, ეს აზრი შეიძლება არადამაჯერებლად ჩავთვალოთ.

ბრძოლისუნარიანობით გამორჩეულმა ყივჩაღებმა, რომლებიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს ფლობდნენ, საკუთარი სახელმწიფოს შექმნაში და განადგურებაში მიიღეს მონაწილეობა. ყარლუხების, ჩიღილების, იაღმების, ოღუზებისა და ყიმეყების მსგავსად, ყაზახეთის სამხრეში ჯენდის, სიღნაღის, ბარჩქენთის და ტალასის ველებზე მდებარე კენჯაკი და სენგირი XII და XIII სს-ში ყივჩაღების საცხოვრისი იყო **(Baipakov, 2007:15)**. ყუმანები/ყივჩაღთა ეთნიკური ჯგუფები უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის მსგავს ბალკანების გეოგრაფიულ არეალსა და კავკასიაში, რუსეთისა და საქართველოს რეგიონებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ **(Arat, 2001:715)**. 1017 წელს აღმოსავლეთ ევროპაში გადასახლდნენ ყუმანები. რუსებთან დამარცხების შემდეგ მათ მიწებზე აღმოსავლეთიდან მოსული ყივჩაღები დასახლდნენ. თვითონ ყუმანებიც ყივჩაღებთან გაერთიანდნენ და მათ შეერივნენ. ამიტომაცაა, რომ ევროპელების მიერ გამოყენებული

ტერმინის „ყუმანების“ და აღმოსავლური „ყივჩაღების“ ქვეშ ერთი და იგივე ხალხი იგულისხმება (Kamalov, 2007a:64).

როგორც ჩანს, X ს-ში ტერმინი ყივჩაღი უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალში გავრცელდა და კიმაკების ჩათვლით რამოდენიმე ტომთან ერთად საკმაოდ დიდ გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. ყივჩაღები, რომლებიც დასავლეთისაკენ ისწრაფოდ-ნენ, მათ წინ მყოფი ოღუზების უფრო წინ წაწევით კარპატებამდე მიღწევა მოახერხეს (Arat, 2001:714). 1061 წლიდან ყივჩაღებმა რუსეთის სტეპების ხელში ჩაგდება დაიწყეს. პაჭანიკებთან ერთად ყივჩაღებმა ბალკანეთის, უმთავრესად კი დღევანდელი რუმინეთის მიწებზე ბიზანტიელთა წინააღმდეგ რამდენიმე ლაშქრობა მოაწყეს. 1080 წლიდან, ყივჩაღთა გავლენის არეალი მდინარეების დონისა და დნეპრის აუზებზე და დღევანდე-ლი ყაზახეთის საზღვრებში მდებარე ბალხაშის ტბის მოდამოებიდან და მდინარე დუნაიმდე შესართავამდე, ხოლო კავკასიაში ყუბანის რაიონის ჩათვლით ჩრდილოეთით მდინარეების ოკასა და სურას წელამდე, ანუ ვოლგის ბულგართა საზღვრებამდე ვრცელ-დებოდა. აღმოსავლეთ ევროპიდან და დასავლეთ ციმბირის ჩათვლით გადაჭიმული ყივჩაღთა მმართველობაში მყოფი ეს სტეპები არაბულ წყაროებში მოიხსენი-ება როგორც „დეშთ-ი ქიფჩაქ“ („ყივჩაღთა ველები“ „ყივჩაღთა სტეპები“) (Yücel, 2002:420). აღნიშნული ტერმინი პირველად ნაშირ ჰუსრევის დივანში გვხვდება (Arat, 2001:714).

მიუხედავად იმისა, რომ ყივჩაღები დიდ ტომობრივ გაერთიანებას წარმოადგენდ-ნენ, მათ ვერ მოახერხეს ერთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდნენ, ვერ გაერთიანდნენ საერთო მმართველობის ქვეშ (Arat, 2001:714). ამ დროისათვის ყივჩაღების ძალაუფლება ხუთი რეგიონის - შუა აზიის, ვოლგა-ურალის, დონის, ქვემო დნეპრის და დუნაის ტერიტო-რიებზე ვრცელდებოდა, რომლებიც რუსი, ბულგარი, ალანი, ბურტას, ხაზართა და ვალახთა ტომების განსახლების არეალს წარმოადგენდა. აქ ისინი საკუთარი ბაშბუღის (მეთაურის) მმართველობის ქვეშ ცხოვრობნენ (Yücel, 2002:420; Arat, 2001:714). ამის გამო, საისტორიო ნაშრომებში ხშირად განიხილება არა როგორც ყივჩაღების, არამედ ცალკეუ-ლი რეგიონის ისტორია. რადგან, ამ ხალხმა, აღნიშნულ დიდ გეოგრაფიულ არეალში, ცალკეულ რეგიონში განსხვავებული კვალი დატოვა.

1100-იან წლებში რუსებსა და ყივჩაღებს შორის პერიოდულად ხდებოდა თავდასხ-მები. იყო შემთხვევები, როდესაც რუსი მთავრები, ყივჩაღებისაგან დახმარების მიღების მიზნით, საკუთარ ქალიშვილებს ყივჩაღ ბუღბაშებზე აქორწინებდნენ (Yücel, 2002:421). პოლიტიკური ქორწინების შემთხვევას ადგილი ჰქონდა საქართველოს სამეფოსთანაც, რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

1223 და 1238/1239 წწ-ში, ყივჩაღებზე მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ, მათი პოლიტიკური გავლენა მთლიანად შეჩერდა, თუმცა, ყივჩაღებმა მონღოლეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი როლი შეიძინეს. მონღოლთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძლიერი მმართველის ყუბილაი დროსაც ყივჩაღური წარმომავლობის რამდენიმე მთავარსარდალი და ვეზირი მოღვაწეობდა. ამასთანავე, მონღოლეთის სახელმწიფო საზღვრებში მცხოვრებმა ყივჩაღებმა დიდი როლი ითამაშეს მოგვიანებით ეგვიპტის

მამლუქთა სასულთნოს დაარსებაში, რომელიც ინტერესთა თანხვედრაში იყო ოქროს ურდოს (Arat, 2001:715).

ვლადიმირ ტეზენჰაუერის მონოგრაფიის ნაწილში სადაც მოცემული ოქროს ურდოს შესახებ წერილები, ვხვდებით ეგვიპტის სულთან ალ მალიქის კარზე მოღვაწე მდივნის იბნ-ი ფადულაჰ ილ-ომერის დაწერილ „Mesalikül Absar Fi Memalikil Emsar" წიგნს, სადაც ყივჩაღებზე წერს: *„მინდა აღვნიშნო, რომ ამ ქვეყნის თურქები სახით ლამაზები, ხასიათი შესაფერისი, ერთგულები და ვაჟკაცები არიან. ღალატს უარყოფენ და თურქთაგან საუკეთესონი არიან"* (el-Ömeri, 1941: 365).

იგორის ეპოსის და იპატიუსის ქრონიკების მიხედვით, ყივჩაღები ბრძოლებში იყენებდნე იარაღს, რომელსაც ცეცხლის შორს ტყორცნა შეეძლო და რკინის დამუშავებაშიც კარგად იყვნენ გამოცდილნი (Arat, 2001:714).

როგორც ოქროს ურდოს მნიშვნელოვან ძალას, ყივჩაღებს საქართველოსთანაც გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ და ჩვენს ნაშრომშიც ეს თემა ცალკე ქვეთავად გამოვყავით. უცხოური, აღმოსავლური თუ დასავლური წყაროების მიხედვით ამ საკითხის შესწავლა, ვფიქრობთ სიახლეებს შემატებს ქართულ ისტორიოგრაფიას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ თურქულ ისტორიოგრაფიულ ტენდენციას ამ საკითხთან მიმართებაში და ეს არა იმიტომ რომ ჩვენ მას სრულად ვიზიარებთ, არამედ იმიტომ, რომ ქართულ სამეცნიერო წრეებს გავაცნოთ ეს ტენდენცია. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თურქთა მომთაბარეობის გამო, ბუნებრივია, რომ საისტორიო ძეგლების შექმნის და მათი დაცვის ტრადიცია უფრო გვიან დაიწყო. ამიტომაც ამ პერიოდის თურქული პირველწყაროები არ არსებობს. ყივჩაღების შესახებ იმ ხალხთა მიერ შემონახული ცნობები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ყივჩაღებთან, თურქეთში მეცნიერულად დამუშავებულია, მაგრამ ძალიან ნაკლებად. ცნობები ხშირ შემთხვევაში მეორდება, ან საპირისპირო ინფორმაციას გვაწვდის. საქართველოს გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ყივჩაღებზე კი წყაროები განსაკუთრები მწირია. „საქართველოს ყივჩაღები"-ს შესახებ პირველი თურქული ნაშრომია ფაჰრეთინ კირზიოღლუს მონოგრაფია "ზემო მტკვრისა და ჭოროხის აუზის ყივჩაღები". ნაშრომში ბევრ დაუზუსტებელ და მცდარ ცნობებს და განმარტებებს ვხვდებით.

ცნობილია, რომ ყივჩაღებს ქართველებთან პირველი შეხება დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ჰქონდათ.

გიორგი II, რომელიც ვერ უმკლავდებოდა ქვეყნის მართვას, ტახტიდან გადააყენეს და მისი 16 წლის ვაჟი დავით IV (1089-1125) გამეფდა (მესხია, გუჩუა, 1976:62; Subaşı, 2015:1). 16 წლის ასაკში ტახტზე ასული ახალგაზრდა მეფეს ქართველოს ქართული წყაროები ახასიათებენ როგორც ნიჭიერ და ძლიერ მმართველს. მისი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება (მესხია, გუჩუა, 1976:63). ცნობილი თურქი ისტორიკოსის პროფესორ ფარუქ სუმერი, საკუთარ მონოგრაფიაში „სელჩუკთა პერიოდის აღმოსავლეთ ანატოლიის თურქული ბეილიქები", მეფე დავითს მოიხსენიებს, როგროც „საქართველოს გონიერი მეფეს" (Sümer, 2015:39). დავითმა განსაკუთრებით მოიხვეჭა სახელი თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ 1121 წლის 12 აგვისტოს გამართულ ბრძოლაში გამარჯვებით (Büyükçınar, 2017:33). დავით მეოთხის მმართველობისას საქართველომ აღორძინება

დაიწყო, ეს ძლიერება კი 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებით დაგვირგვინდა **(Ateş, 2016:73)**. აქედან მოყოლებული მონღოლთა შემოსევამდე საქართველოს სამეფო რეგიონის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. ამ პერიოდს „საქართველოს ოქროს ხანა“ ეწოდება.

ქაღტული და არაქართული წყაროებიც მოწმობენ, რომ დავითმა პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად ცოლად შეირთო ყივჩაღთა მთავრის ათრაქის ქალიშვილი მოიყვანა. თუმცა განვითარებული პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების საფუძველ-ზე სხვადასხვა შეხედულებები წარმოიშვა. დავით მეოთხემ ამ პოლიტიკური ქირწინე-ბით დონისა და ყუბანის მიდამოებში მცხოვრები ყივჩაღებსა და ქართველებს შორის ახლო პოლიტიკური ურთიერთობები დაამყარა. 118 წელს დავით მეოთხემ დაქირავე-ბული ჯარითა და ყივჩაღების 40.000 კაციანი გაერთიანებული ძალებით ჯარი შექმნა **(Yücel, 2002:421).** ორივე მხარის წყაროებში რიცხვებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, წყაროების შედარებისას საერთო აზრი კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ჯარი სელჩუკთა ჯარისაგან მინიმუმ ორჯერ მცირერიცხოვანია. თუმცა ეს რიცხვები მასინდელი მოსახლეობის ფონზე ვთვლით რომ გაზვიადებულია. დღეს თურქეთის ისტორიაში აღნიშნავენ რომ, 1121 წლის დიდგორის ბრძოლაში დავით მეოთხის გამარჯვება დიდი წარმატებაა.

თურქეთის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის შედარებისას მეორე თვალსაზრისი საქართველოში ყივჩაღთა ყოფნას ეხება. ყივჩაღების მთავარი ათრაქი, გამარჯვების შემდგომ 1125 წელს საქართველოდან სამშობლოში დაბრუნდა. თუმცა საქართველოში მასთან ერთად მოსული ბევრი ყივჩაღი საქართველოში დარჩა და უკან აღარ დაბრუნებულა **(Yücel, 2002:421)**. მომთაბარე ცხოვრების წესით მცხოვრებმა თურქულმა ტომებმა ნაყოფიერ მიწებზე დარჩენა ამჯობინეს და ამით გამოეყვნენ მათ ტომს და ახალი განშტოება შექმნეს. მომთაბარე და ცხენოსან თურქებში მსგავს შემთხვევას ხშირად ვხვდებით და გონივრულიცაა. მართლაც რომ ათრაქთან ერთად წასვლაზე უარი ბევრმა ყივჩაღმა თქვა, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გამო, ნაყოფიერ მიწებისა და ჯანსაღი კლიმატის მქონე გარემოში დარჩენა ჩვეულებრივი პროცესია. თუმცა თურქეთის ისტორიის მწერლობაში ამ პროცესზე, ეროვნული შეგნების გამო ნაციონალისტური შეხედულებები ჭარბობს. ამ პროცესის შესახებ, ფ. კირზიოღლუთი დაწყებული საქართველოს ყივჩაღების შესახებ მკვლევარების ჩათვლით თურქეთის ისტორიოგრაფიაში მიღებულ თვალსაზრისზე ჯერდებიან.

§ 6. ოქროს ურდოს სახელმწიფოს საზღვრები და დედაქალაქი

XIII საუკუნეში აზიის გეოგრაფიულ არეალში მონღოლების დაპყრობებმა ახალი პოლიტიკურ გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც ოქროს ურდო ეწოდება. ოქროს ურდოს სახელმწიფო, რომელიც ჩინგიზ ხანის შვილიშვილმა, ჯუჩი ხანის ვაჟმა ბათუ ყაენმა დააარსა, მოიცავდა მდინარე ვოლგის ნაპირებზე მცხოვრები, ბულგარ თურქების სამხრეთით, რუსეთის სტეპებში მცხოვრები ყივჩაღების, ხაზარების, სლავების და სხვა ტომების გაერთიანებებს, ასევე ეს სახემწიფო, აერთიანებდა ხაზარების სამხრეთ ვილაეთებსა და კავკასიის ქვეყნებსაც **(Köprülü, 1941:397; Saray, 1989:538; Kurat, 2002:125).**

ოქროს ურდოს სახელმწიფო შუა საუკუნეების თურქეთის ისტორიაში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანებაა. სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც მოიცავდა საკმაოდ ფართო გეოგრაფიას: ყივჩაღთა სტეპებს, ჩრდილოეთ კავკასიასა და ხვარაზმს, დასავლეთის საზღვრები კი აღმოსავლეთ ევროპამდე იყო გადაჭიმული, მეზობელ სახელმწიფოებთან და მისი ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფ რეგიონებთან დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებდა. ოქროს ურდოს წყალობით, სამხრეთ რუსეთის სტეებებში პირველად დამყარდა წესრიგი **(Kamalov, 2003:211)**. ეს გეოგრაფიული არეალი უფრო დაწვრილებით რომ გადმოგცეთ: აღმოსავლეთით მდინარე ირტიშიდან, დასავლეთით მდინარე დუნაიმდე და სამხრეთით დერბენდამდე (დაღესტანი) და არრანიმდე (სამხრეთ აზერბაიჯანი), ჩრდილოეთ საზღვარი კი ბულგარეთამდე ვრცელდებოდა. სამეცნიერო წრეებში არსებული კვლევების საფუძველზე, ამ პოლიტიკური გაერთიანების ტერიტორიის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე 5600 ვერსტია, XVII საუკუნიდან რუსეთში არსებული საზომის მიხედვით 1.067 კმ-ია, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე მანძილი კი 4000 ვერსტია **(Kamalov, 2003:202)**. XIV საუკუნის მეორე ნახევრამდე როგორც აზიაში ასევე აღმოსავლეთ ევროპაში დიდი პოლიტიკური ძალის მქონდე ეს სახელმწიფო ამავე პერიოდის სხვა თურქულ სახელმწიფოებთან ერთად: მამლუქებთან, ილხანებთან, ანატოლიის სელჩუკებთან, თემურიდებთან, ოსმალებთან მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ, ამასთანავე ბიზანტიელებთან, რუსეთის სამთავროსთან, ბულგართა სამეფოსთან, საქართველოსა და სომხეთის სამეფოებთან, უნგრეთთან მჭიდრო დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა **(Özyetgin, 2008:367)**.

შუა საუკუნეების დიდი ძალაუფლების მქონე ამ სახელმწიფოს ბევრ სახელმწიფოსთან ჰქონდა პოლიტიკური ურთიერთობები. მაგალითად: ოქროს ურდომ მამლუქთა სულთან ბაიბარსთან მონღოლების წინააღმდეგ კოალიცია შექმნა. ამგვარად მონღოლებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ უფრო დიდი ძალა ჩამოყალიბდა **(Sevim, 1993:30)**.

II თავი

ოქროს ურდოსა და კავკასიის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები (1220- 1266 წწ.)

წინამდებარე თავში ვისაუბრებთ ოქროს ურდოს მმართველების პოლიტიკურ და სამხედრო ქმედებებზე კავკასიის რეგიონში. ოქროს ურდოს მმართველების პოლიტიკაზე კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში მონღოლთა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. მონღოლებმა დიდი გავლენა მოახდინეს მსოფლიო ისტორიაზე. მათი გავრცელების არეალში ბევრგან შეცვალეს პოლიტიკური წყობა და არაერთი ხალხის ეთნიკურ ნიშნებზე იქონიეს გავლენა **(Sander, 1989:56).** მონღოლთა ექსპანსიამ ზოგიერთი ტომის მიგრაციაც გამოიწვია, რამაც ამ ადგილებში სოციალური სტრუქტურის ცვლილება გამოიწვია.

§ 1. ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჩამოყალიბება და კავკასიური დაპყრობები

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში ორი ლაშქრობა მოეწყო ყივჩაღებში, რომლებიც დასავლეთის ლაშქრობის სახელითაც არის ცნობილი. ამათგან პირველი ლაშქრობა ჯუჩი ხანის გარდაცვალებამდე, მეორე კი ბათო ხანის პერიოდში მოეწყო. მეორე ლაშქრობის დროს ოფიციალურად დაარსდა ოქროს ურდოს სახელმწიფო.

მონღოლთა იმპერიის დაარსების დროს დაიწყო ლაშქრობები ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს ლაშქრობები ჩინგიზ ხანის პერიოდს უკავშირდება და მათი მიზანი იყო მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგობის გატეხვა. ისინი განურჩევლად ასაკისა ხოცავდნენ ყველას, ანგრევდნეს და ძარცვავდნენ ყველა მხარე. მათი პირველი მსხვერპლი ამუდარიის რეგიონის ქალაქები და სამხრეთ ყაზახეთის დასახლებები იყო. ქალაქები ოთრარი, სიღნაქი და აშნასი სრულიად გაანადგურეს **(Kadyrbaev, 2007:34).**

ჯუჩი ხანი, მამის გარდაცვალებამდე არერთ ბრძოლას ედგა სათავეში. 1219-1220 წწ-ში იგი არალის მახლობლად, ამუდარიის ყივჩაღთა ცენტრალურ ქალაქში, სიღნაქში შეიჭრა. მონღოლთა ჯარი შვიდი დღე-ღამის განმავლობაში უტევდა ქალაქს და მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, შტურმით აიღო იგი და მოსახლეობა ამოხოცა. მონღოლებმა აქედან აშნასში გადაინაცვლეს და იქაც ამოხოცეს მოსახლეობა. 1221 წელს, ჯუჩი ხანი, აშნასიდან ურიცხვ ლაშქართან ერთად არალის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ყაზახეთის სტეპებისკენ გაემართა და აქაურ ყივჩაღთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოახერხა მათი დამარცხება. ამ მოვლენების შესახებ ჯუზჯანი გვამცნობს, რომ *„ხვარაზმში ლაშქრობის დამთავრების შემდეგ მონღოლებმა გეზი აიღეს ყივჩაღთა მიწებისა და თურქისტანისკენ, ხელში ჩაიგდეს ისინი. ჯუჩიმ იხილა რა ყივჩაღთა მიწების ჰავა და წყალი, მიხვდა, რომ ეს იყომსოფლიოში ყველაზე ლამაზი ადგილი“* **(El-Cüzcani, Nasırî; 2016: 104; Kadyrbaev, 2007: 33)**.

ჩინგიზ ხანი, 1220 წელს ხვარაზმში დაწყებული ბრძოლით იყო დაკავებული, როდესაც ორი საუკეთესო სარდალი ჯებე ნოინი და სუბუდაი ნოინი დარუბანდის

(რკინის კარი)[8] გავლით კავკასიისა და ყივჩაღების დასალაშქრად გაგზავნა **(Kamalov, 2003:18; Kafesoğlu, 1984:281).** გავრცელებული მოსაზრებით, მონღოლთა ლაშქრის საუკეთესო სარდლების ჯებესა და სუბუდაის მეთაურობით დაწყებული ეს ლაშქრობა, ხვარაზმშაჰ ჯალალედინის დატყვევების მიზნით გაიმართა. თუმცა, ცხადია, მონღოლ მხედართმთავრებს ხვარაზმშაჰის მფლობელობაში მყოფი ქალაქების აღება სურდათ. ეს ლაშქრობა მონღოლთა ხვარაზმში ლაშქრობის გაგრძელება იყო და ირანის ქალაქების დაპყრობას ისახავდა მიზნად, რის შემდეგაც ხვარაზმშაჰს ყოველგვარ თავშესაფარს მოუსპობდნენ **(Özcan, 2017:26).** სხვადასხვა წყაროებში ცნობა მონღოლთა ჯარის რაოდენობის შესახებ 20-დან 60 ათასამდე[9] მერყეობს **(El-Cüzcani; 2016:58)**.

იბნ-ულ ელ-ქამილ ფითი თავის ისტორიში, რომელიც 1220 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი, ჯერ წყევლით იხსენიებს მონღოლებს და შემდეგ მოგვითხრობს მათ შემოჭრაზე ზერბაიჯანსა და შემდეგ საქართველოში. მანამდე თათრებმა (მონღოლებმა) ჰამედანი დაიპყრეს და იქაური მკაცრი ზამთრის გამო აზერბაიჯანისკენ აიღეს გეზი, გზად კი ყველა სოფელი და მცირე ქალაქი დაწვეს და დაანგრიეს. გზაზე შემხვედრი ადამიანები და ცხოველები, ძაღლებიც კი ამოხოცეს. მხოლოდ ცხენებს არ ერჩოდნენ. ქალაქები ბრძოლის ველად აქციეს. ასე მიაღწიეს აზერბაიჯანის ცენტრალურ ქალაქ თავრიზში, რომელსახ ოზბექ ფაჰლივანი (1210-1225 წწ.) მმართველობდა **(Subaşı, 2015:35).** ამ უკანასკნელმა წინააღმდეგობის ნაცვლად მშვიდობიანი ურთიერთობა ამჯობინა და მონღოლებს ფული, ტანსაცმელი, საქონელი, საკვები გაუგზავნა **(İbnil Esir, 1941:29).** ძღვენის წყალობით ათაბეგი ოზბექი დანაკარგის გარეშე გადარჩა. ამასთან მონღოლების თავდასხმის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ქართველების გაფრთხილება გადაწყვიტა და ელჩის მეშვეობით ლაშა გიორგის ასეთი შინაარსის წერილი: „ასეთ დღეებში ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. საკმარისია ამდენი ნგრევა, სიკვდილი, დამარცხება“. თუმცა ქართველთა სამეფო კარს ამ ამბებისთვის ყურადღება დიდად არ მიუქცევია **(Bünyadov, 2007:100; Subaşı, 2015:35)**. ამასობაში კი მონღოლები კავკასიის საზღვრებისკენ წინსვლას განაგრძობდნენ. გზად შემხვედრი მოსახლეობიდან, ვინც მათ მიემხრობოდა, საკუთარ სამსახურში ღებულობდნენ, ხოლო წინააღმდეგობის გამწევ ქალაქებს კი წვავდნენ და ანადგურებდნენ **(Özcan, 2017:27).**

ქართველებმა, მონღოლთაგან მოსალოდნელი საფრთხისგან თავდასაცავად მზადება დაიწყეს. ქართველი მეფე ლაშა-გიორგიმ, მშვიდობისა და მოკავშირეობის შეთანხმების მიზნით, აზერბაიჯანის მმართველ ოზბექს და ხლათისა და ჯეზირეს მმართველ ეშრეფ მელიქ ოღლის ელჩები გაუგზავნა. მისი მიზანი იყო ერთობლივი ძალებით თათრების მოგერიება და გნდევნა. მოკავშირეებმა შეთავაზება მიიღეს. გადაწყვიტეს თათრებს 1220 წლის გაზაფხულზე შეკრება გადაწყვიტეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ გამოზამთრებისთანავე მონღოლები შეტევას დაიწყებდნენ **(İbn-il Esir,**

---

[8] ბევრ წყაროში დარუბანდი/დერბენტი რკინის კარიბჭედ მოიხსენიება. იხ: (Wilhelm von Rubruk, 2001: 52 ; Het'um the Historian's History of the Tartars, 2004: 38). ეზ-ზეჰები ამ ადგილს რკინის კარიბჭეს უწოდებს, მისივე თქმით ოქროს ურდოს მმართველობის ქვეშ არსებულ რეგიონსა და აზერბაიჯანს სწორედ ეს ადგილი აკავშირებს ერთმანეთთან. იხ: **(Ezzehebî, 1941:353; Preiss, 1995:79).**

[9] ამ რიცხვების შესახებ ვრცლად იხ.: (Subaşı, 2015: 33; Grousset, 2006: 278).

1941:29). ამ დროს მონღოლებმა, გამოზამთრების მიზნით, კავკასიის საზღვრებიდან შედარებით თბილ და უხვი საძოვრებით მდიდარ კასპიის სანაპიროებზე გადაინაცვლეს და მუღანის ვაკეს მიადგნენ. გზად მათ საქართველოზე გაილაშქრეს. ქართველებმა მათ წინააღმდეგ 20 ათასამდე[10] მებრძოლი გამოიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ყველაზე დიდ სამხედრო ძალად ითვლებოდა, ქართული ჯარი სასტიკად დამარცხდა. უმეტესობა ბრძოლაში დაიღუპა (İbnil Esir, 1941:29). ეპისკოპოს სტეფანოსის ქრონიკების მიხედვით, ბრძოლა 1220 წელს მტკვრის მარჯვენა შენაკადთან, კრომანრან გაიმართა (Galstyan, 2005:63).

მონღოლები გამოზაფხულებას არ დალოდებიან და შუა ზამთარში დაესხნენ თავს საქართველოს. მონღოლთა მხარეს იბრძოდა თურქული წარმომავლობის მონა, სახელად აქქუში, რომელმაც ირგვლივ შემოიკრიბა თურქმენები და ქურთები და მონღოლთა ჯარს შეუერთდა. ამგვარად, ისინი საერთო ძალებით საქართველოს წიანაღმდეგ დაიძრნენ.

თბილისის შემოგარენამდე ციხესიმაგრეები აიღეს და დაანგრიეს, ქალაქები გაძარცვეს და ხალხი ამოხოცეს. ქართველებმა აქქუშის ჯარს ამარცხებდნენ და თათრები მის დასახმარებლად მივიდნენ. ქართველებმა ვეღარ გაუძლეს წინააღმდეგობას. ორივე მხარემ ბევრი ჯარისკაცი დაკარგა (İbnil Esir, 1941:29-30). ამ დროს ქართული სამეფო მისი ძლიერების ყველაზე მაღალ საფეხურზე იყო (Grousset, 2006:278). ლაშა-გიორგის ხარაჯას უხდიდნენ განჯა, ნახიჭევანი, ერზრუმი და ხლათი. ჯებე და სუბუდაის ლაშქრობების დროს ქართველებმა ზედიზედ ჯერ არნახული მარცხი იწვნიეს, საქართველოსთვის გარდამტეხი აღმოჩნდა (Honigmann, 2001:269).

აქედან მონღოლები თავრიზისკენ დაიძრნენ. თავრიზის მმართველმა მათ თავის დაცვის მიზნით საქონელი და ქსოვილები გადასცა. მონღოლები აქედან 1221 წლის 30 მარტს აზერბაჯანის ქალაქ მერაგაში ჩავიდნენ და ქალაქს ალყა სემოარტყეს (Spuler, 2011:37; Subaşı; 2015:37; Bünyadov, 2007:101).მერაგას მართავდა ქალი, რომლის რეზიდენციაც რუენდიზის ციხე იყო. იბნ–ულ ესირი მონღოლთა მიერ მერაგას მოკლე ხანში აღებას ამ ფაქტს უკავშირებს. იგი იშველიებს მუჰამედის შეგონება: „ხალხი, რომელიც საქმეს ქალს მიანდობს ხსნას ვერ ნახავსო“. მაგრამ ალყის ამბების გადმოცემისას მოცემული ცნობები მონღოლთა შესახებ ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. მონღოლები, როგორც წესი, თავდასხმის დროს პირველ რიგში მუსლიმ ტყვეებს უშვებდნენ, უკან გამოქცეულებს კი ხოცავდნენ. ამგვარი ქმედებით ქალაქი მერაგა ოთხ დღეში აიღეს (İbnil Esir, 1941:35). მერაგადან აზერბაიჯანისკენ დაიძრნენ და არდებილში მივიდნენ. ქალაქი აიღეს და მოსახლეობა ამოხოცეს და მესამეჯერ გაილაშქრეს თავრიზისკენ. ათაბაგ ოზბეგმა შეიტყო რა მონღოლები ჰამედანიდან მისკენ მიემართებოდნენ, მიხვდა, რომ ქართველებთან მოკავშირეობის გამო პასუხს მოსთხოვდნენ და თავრიზიდან ნახიჭევანისკენ გაიქცა. მონღოლებმა თავრიზელებს მხოლოდ ფული და ტანსაცმელი მოსთხოვეს და წინსვლა განაგრძეს. როდესაც მონღოლები განჯას მიუახლოვდნენ, შეიტყვეს, რომ ქართველებმა ძალების მობილიზაცია მოახდინეს და ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. მათ ჯერ მუსლიმთა

[10] ზოგიერთი ავტორის მიხედვით 10.000 იხ: (d'Ohsson, 2008:134).

მმართველობაში მყოფი აზერბაიჯანისა და არანის მხარის საკითხი გადაწყვიტეს. მისი ნაწილი ძალით, ხოლო ნაწილი მშვიდობიანად ჩაიბარეს, რის შემდეგაც მოსაზღვრე საქართველოსკენ გაემართნენ. განჯის მახლობლად, შამქორის გავლით არანის საზღვრები გადალახეს და გაგის მხარეს მიადგნენ (Subaşı, 2015:38). ამ დროს ქართველთა ძირითადი ლაშქარი თბილისში იმყოფებოდა. მონღოლთა მოქმედებების შესახებ შეიტყო თუ არა ივანე ათაბაგმა და გაგის მთავარმა ვარამმა, ლაშა–გიორგის წერილი გაუგზავნეს. სომხეთის გაძარცვისა და მონღოლთა შემოსევის შესახებ აცნობეს. ქართველები მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად 60 ათასიანი ცხენოსანი ჯარით თბილისის მახლობლად, ხუნანის ველზე დაბანაკდნენ (Grigor, 2012:22).

ისლამური წყაროები ქართველთა ლაშქრის შესახებ დაწვრილებით ცნობებს არ გვაძლევს, თუმცა გრიგორის გადმოცემის მიხედვით: როდესაც ივანე ათაბაგმა შეიტყო მონღოლთა შემოსევის შესახებ, ცხენოსანთა ჯართან ერთად გაგის ციხისთავ ვაჰრამ ზაქარიას ძეს ეახლა (Subaşı, 2015:52) და მასთან ერთად მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად გაემართა (Grigor, 2012:22). სხვადასხვა ცნობით ქართველების მხარეს ყივჩაღების იბრძოდნენ (Kırzıoğlu, 1992:148). ქართველთა 60 ათასიანი (Wardrop, 1888:117; Grigor, 2012:21; Bünyadov, 2007:100) ლაშქრის წინააღმდეგ კი 90 ათასი (Kırzıoğlu, 1992:148) კაცი გამოვიდა. ქართველთა ლაშქრის რაოდენობა რეალური უნდა იყოს, რადგან წყარო, რომელიც სომხებსა და ქართველებს კეთილგანწყობით მოიხსენიებს, სწორედ ამ რიცხვს ასახელებს. გრიგორის მიხედვით, ქართველთა დამარცხების მიზეზი ღალატი იყო. მოღალატემ მარცხენა ფლანგის მთავარსარდლის, ივანე ათაბაგის ცხენი დაჭრა, რამაც ლაშქარში არეულობა გამოიწვია (Grigor, 2012:22). მეფე და მთავარსართალი ივანე ათაბაგი იძულებულნი გახდნენ თბილისისკენ უკან დაეხიათ (Subaşı, 2015:40). მარჯვენა ფრთის მეთაური გაგის მთავარი ვარამი, მონღოლებთან ერთად საგამის ველზე საღამომდე იბრძოდა, მაგრამ როდესაც გაიგო მეფის ჯარის მარცხის შესახებ, ბრძოლის ველი დატოვა და უტის მხარეში, გარდაბნის, მეზობლად მდებარე ქარხერცს შეაფარა თავი (Grigor, 2012:22-23). მონღოლებმა ქართულთა შორის არეულობით ისარგებლეს და წინსვლა განაგრძეს. ქართული კავალერია იმ დროისთვის ყველაზე სრულყოფილი იყო. სუბუდაიმ, რომელმაც უკან დახევის მანევრი გაითამაშა, ქართველ კავალერიას ჯებე ჩაუსაფრა და დაამარცხა ისინი. ქართველებმა მოახერხეს თბილისის გადარჩენა, ქვეყნის სამხრეთი ნაწილი კი მონღოლებმა მთლიანად გაძარცვეს (Grousset, 2006:278). მონღოლებ-მა, ქართველების დატოვებული ნადავლი ხელთ იგდეს და საკუთარ ბანაკში, სამშვილ-დეში გაბრუნდნენ. ბრძოლაში დაახლოებით 30 ათასი ქართველი დაიღუპა. თუმცა, მათ თბილისში დაბრუნების და მონღოლთა გაცლის შემდეგაც, მოსალოდნელი ახალი თავდასხმის მოსაგერიებლად მზადება დაიწყეს (Subaşı, 2015:40).

მართალია ვარდანი წერს, რომ ქართველებმა და სომხებმა მონღოლები უკუაქციეს (Vardan, 2017:93) და გრიგორი და იბნ-ი ესირიც ქართველთა სიმამაცესა და თავდაუზო-გავ ბრძოლაზე საუბრობენ (İbnil Esir,1941:30), მაგრამ ფაქტია, რომ ქართველები გადაიღალნენ და დამარცხდნენ. ბრძოლის თარიღის შესახებ განსხვავებული მოსაზრე-ბები არსებობს. გრუსეს აზრით ბრძოლა 1221 წლის თებერვალში გაიმართა (Grousset, 2006:278), გრიგორი კი 1214 წელს ასახელებს (Grigor, 2012:23 ; Oktay, 2007:199). ეს თარიღი

ნამდვილად მცდარია. ვარდანის 1222 **(Vardan, 2017:93),** იბნ-ი ესირის კი 1221 წლის იანვარს **(İbn-il Esir, 1941:27)**ამბობს. სიმონ დე სანტ კვენტინი წერს, რომ მოვლენები, ქრისტეს მოვლენიდან 1221 წელს **(Quentin, 2006:37)** განვითარდა. წყაროთა ზოგადი ანალიზით ჩანს, რომ ქართველებისა და მონღოლების ეს შეტაკება 1220 წლის დეკემბერსა და 1221 წლის თებერვალს შორის უნდა მომხდარიყო **(Subaşı, 2015:37)**. ბუნებრივიცაა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე მონღოლთა ხშირმა ლაშქრობებმა წყაროებში უზუს-ტბები გამოიწვია.

იბნ-ულ ესირი მონღოლთა მიერ საქართველოს ძარცვას შემდეგნაირად გადმოგვცემს: *„ურჯულო თათრებმა მავერანაჰრის ქვეყნები, გათელეს, დაიპყრეს და დაანგრიეს. მათი დაპყრობილი მიწები იმდენად ფართო და იმდენად დიდია, რომ უფრო მეტის წარმოდგენა შეუძლებელია. მათგან ერთ-ერთმა შტომ მდინარე გადალახა და ხორასანი დაიპყრო როგორც მავერანაჰრი. შემდეგ რეის, აზერბაიჯანს და საქართველოს მიადგა და საკუთარ მიწებზე დაამარცხა ისინი.“* იგი წერს, რომ მომდევნო 1222 წელსაც საქართველოს ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ. შემდეგ ამტკიცებს, რომ 1220-1223 წლებში მონღოლთა თავდასხმებმა დიდი გავლენა იქონია ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. ფაქტიურად ამ რეგიონში არ არსებობდა ძალა, რომელიც მათ სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა **(Mehmetov, 2009:277).** მონღოლთა ძალების მოძრაობამ, რომელიც ძირითადად ჯალალედინ ხვარაზმშაჰის დევნას ისახავდა მიზნა, დიდი ზიანი მიაყენა ილდეღიზიდების საათაბაგოს და საქართველოს **(Subaşı, 2016:385).**

ჩინგიზ-ხანი ისე გარდაიცვალა, რომ არ დაუმთავრებია დაპყრობითი ომები. ახალი ტერიტორიების შემომტკიცება მისი მემკვიდრის, უგედეი ყაენის დროსაც გრძელდებოდა. მან საგანგებო რაზმები გამოჰყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით სალაშქროდ. ირანში უგედეიმ ორმოცათასიანი ლაშქარი გამოგზავნა ჩორმაღან ნოინის სარდლობით. ამ ლაშქრობაში ჩორმაღანს თან ახლდნენ სხვა მონღოლი ამირებიც, დუმანებისა და ათასეულების მეთაურები ჟამთააღმწერლის სიტყვით, ყაენმა "მოუწოდა ოთხთა ერისმთავართა, რომელთა ქართველნი ნოინობით უჴმობენ, სახელით: ჩორმაღანსა უპირველესსა და მეორესა ჩაღატას, იოსურსა, ბიჩოსა. და ამათ ათი ათას-ათასი კაცი მისცეს დედაწულითა მათითა" ეს უკვეარიყო ქვეყნის დასაზვერადან დასარბევად გამოგზავნილი რაზმები. ჩორმაღანს ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა ჰქონდა დავალებული. ამიტომაც იყო, რომ ლაშქარს "დედაწულიც" მოჰყვებოდა თან **(ქ.ც. II, 1983: 184).**

მონღოლთა ახალმა რაზმებმა დაამარცხეს და მცირე აზიაში განდევნეს ჯალალად-დინი, სადაც ის მალე დაიღუპა კიდეც. შემდეგ მონღოლებმა შედარებით მოკლე ხანში დაიპყრეს თითქმის მთელი ირანი და ამიერკავკასიაშიც შემოიჭრნენ. მათ "აღიღეს თავრიზი და მიმდგომი მისი ქუეყანა. და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მურღანს" 1235 წელს მონღოლებმა, მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, აიღეს, გაძარცვეს და დააქციეს განძა, მოსახლეობა კი გაჟლიტეს და დაატყვევეს. აქედან ისინი მიადგნენ შამქორს, რომელიც იმ დროს საქართველოს ეკუთვნოდა და ვარამ გაგელის საგამგებლოში შედიოდა **(ქ.ც. II, 1983: 186)**. ვიდრე კარნუ ქალაქამდე; ხოლო

ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო". ამ აღწერით სამხრეთი საზღვრისპირა დუმენი სამია: შანშესი, ვარამ გაგელისა და გამრეკელ თორელისა.

მეორე დუმენში შედიოდა შანშეს და ავაგის მამულები. შანშე მანდატურუხუცესი ზაქარია მხარგრძელის შვილია, ავაგი კი - ივანე ათაბაგისა, ივანე ათაბაგის საგამგეო დვინი (აირარატის ოლქი) და გელაქუნი იყო, რაც მისმა ვაჟმა ავაგმა დაიმკვიდრა მამის გარდაცვალების შემდეგ. შანშე კი განაგებდა ანისის მხარეს. ახლა ორივე ეს მხარე შანშეს საგამგეო (ანისი) და ავაგის საგამგეო (დვინი და გელაქუნი) - ერთ დუმენად აქციეს. ვარამ გაგელისათვის ჩაბარებული დუმენი - "ყოველი სომხითი" - გულისხმობს ტერიტორიას ქურდვაჭრის ხევიდან შამქორის მიმდგომ ქვეყნამდე. გამრეკელ-თორელის დუმენში კი შედის ტერიტორია კარნუ ქალაქამდე (ერზრუმამდე). ამ სამი დუმენის მიჯნათა განსაზღვრა თვალნათლივ გვიხატავს, რომ საქართველოს სახელმ-წიფო სამხრეთი საზღვარი მონღოლთა ხანაში იგივე იყო, რაც თამარის მეფობაში.

მონღოლთა მფლობელობის პერიოდში ქართული ფეოდალური ცენტრალიზებუ-ლი სამეფო თანდათან დასუსტებასა და დაშლას იწყებს. საამისო პირობებს, უპირველეს ყოვლისა, მონღოლური მმართველობითი სისტემა ქმნის; ამას ხელს უწყობს ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების (ქალაქების, ეკონომიკის...) დაცემა, რაც აგრეთვე მონღოლთა ბატონობის უშუალო შედეგი იყო. ამგვარს სიტუაციაში ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის სამამულო სისტემაც უკვე ქვეყნის დაშლის (ფეოდალთა პოლიტიკური განკერძოებულობის) სოციალურ ფაქტორად იქცა.

როგორც ვნახეთ, საქართველომ მონღოლთა შემოსევების ჟამს ვერ მოახერხა მტერზე გაერთიანებული ძალებით იერიში. მონღოლებმა თითეული მხარე ცალ-ცალკე დაიპყრეს და, ამდენად, "მართველებთა" (მთავრებთან) მორიგება და მათი უფლებების აღიარება სეპარატულად მოახდინეს. ესიყო პირველი, უპრეცედენტო მაგალითი საქართველოს ერთიანი მონარქიის არსებობისას, როცა მეფის გარეშე ხდებოდა ხელქვეითი მოხელე-მთავრების პოლიტიკური უფლებების ცნობა. ცხადია, ამან ეროვნული ცენტრალური ხელისუფლების გავლენა სერიოზულად შელახა.

მონღოლთა სახელმწიფო სამხედრო-ფეოდალურ არისტოკრატიას ეყრდნობოდა და, ბუნებრივია, თუ დაპყრობილ ქვეყნებშიც ისინი ასეთ წრეს აძლევდნენ უპირატე-სობას. მთავართა უფლებების ზრდა ამ პერიოდის დამახასიათებელი მოვლენაა.

ჯერ კიდევ უმეფობის პერიოდში მონღოლებმა ქვეყნის მართვა-გამგეობა მთავრებს ჩააბარეს (დუმნებად დაყოფა). ამ დროის, წყაროს მიხედვით, "თვითეული თავისათვის განაგებდა და ზრუნვიდაო"· მას ისიც მოჰყვა, რომ ერთ- ერთმა დუმნის თავმა, ეგარსლან ბაკურციხელმა, თავისი სიძლიერით მეფურ გავლენას მიაღწია. შემდეგში მეფობა თუმცა აღდგა, მაგრამ მონღოლებმა მეფე სუსტი და ფაქტიურად უფლებამოკლებული გახადეს. ცენტრალური ხელისუფლების დაცემასა და ქვეყნის ერთიანობის მოშლას მკაფიოდ გვამცნობს ქართველი ჟამთააღმწერელი: "მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და მთავარნი საქართველოსანი განდგომილ არიან".

მონღოლთა ხშირ ლაშქრობებში იძულებითი მონაწილეობის გამო ქართველი მეფე, როგორც ვნახეთ, უმეტესად სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა,

ამასთან, სიბაზე დგომის ვალდებულებაც მის სამეფო საქმეებს ხანგრძლივად სწყვეტდა. ყოველივე ეს საგრძნობლად ასუსტებდა მეფის ძალაუფლებას.

ქართულ წყაროში აღწერილია, თუ მეფის არყოფნის დროს როგორ ცდილობდ-ნენ მთავრები სრულიად გამოყოფოდნენ ცენტრს და დამოუკიდებლად ეცხოვრათ. როდესაც მეფე ულუ დავითი დიდი ხნით ურდოში იმყოფებოდა, ერთ-ერთმა მთავარ-თაგანმა, პანკისის ერისთავმა თორღუამ, რომელიც კახეთის მმართველად იყო დანიშნული, "ჰგონა... არღარა მოსვლა მეფისა, უკუდგა პანკისის ციხესა და თვისად დაიჭირა კახეთი". "თვისად დაჭერა" აქ სახელო ტერიტორიის (კახეთი პანკისის საერის-თავოთი) გასაკუთრებას ნიშნავდა, ე. ი. პატრონისაგან (მეფისაგან) ყმა-ვასალის (ერისთავის) განთავისუფლებას. ასეთ "თვისად" დაჭერილ ქვეყანაში ერისთავი (მთავარი), რა თქმა უნდა, სრული ბატონ-პატრონია. მეფე, ცხადია ებრძვის ასეთ განდგომილ მოხელე-ფეოდალს და შესაძლებლობის შემთხვევაში ფიზიკურადაც უსწორდება მას: მეფე დაბრუნდა თუ არა საქართველოში, თორღუა სიკვდილით დასაჯეს. თორღუას მაგალითი სამეფოს დაშლის უტყუარი ნიშანი იყო, რომელიც მომავალში უთუოდ გაფართოვდებოდა, თუ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება არ შეიცვლებოდა. საქართველოს იურიდიული დამოკიდებულება დამპყრობელ მონღო-ლებთან, როგორც უკვე ვიცით, განსაზღვრული იყო ვასალური ფორმით. ამგვარად, ქართველ ადგილობრივ დიდებულ-მთავრებს უზენაეს სიუზერენად მონღოლი ყაენი მოევლინა, რომლის მსახურებადაც (არიერ ვასალებად) ისინი იქცნენ. მთავართა ურთიერთობაში ყაენი ხშირად მეფის გვერდის ავლით მოქმედებდა. მეფის უფლებები იმდენად შეიზღუდა, რომ მას ყაენის შიში თარ შეეძლო დაესაჯა, ან თანამდებობიდან გადაეყენებინა ურჩი მოხელე. ფრიად დამახასიათებელია ჟამთააღმწერლის მიერ ულუ დავითის მეფობის ასეთი შეფასება: "მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა" ან "უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს ყაენსა, რამეთუ ვერცა დავითმეფემან სწუართნა ერისთავნი, შიშისათვის ყაენისა".

ყაენს შეეძლო გაეუქმებინა კიდეც მეფის ღონისძიებანი ამა თუ იმ მთავრის წინააღმდეგ. ასე მოხდა სარგის ჯაყელის მიმართ, რომელიც მეფემ დააპატიმრა, ყაენმა კი გაათავისუფლა და მეფის უფლებას სულაც ჩამოაშორა. ქართველი მეფე თავის მთავრებს ვერ დაუშლიდა ყაენის სამსახურს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სამსახური მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ასე მოხდა, როგორც ვნახეთ, ულუ დავითის აჯანყების დროს, როცა ქართველ მთავართა ერთი ნაწილი თავისი ნებით დამპყრობელს მიუვიდა და მეფის წინააღმდეგ ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა.

ადგილობრივ ფეოდალ-მთავრებთან დამოკიდებულებაში ყაენი ეყრდნობოდა იმ წრეებს, რომლებიც მასთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, კარგად ეგუებოდნენ დამპყრობლის პოლიტიკას და ყოველგვარი სარგებლობის მოლოდინში მისთვის ერთგულ სამსახურს არ იშურებდნენ. ცხადია, მონღოლები იმასაც ითვალისწინებდნენ, რათა მთავართა შორის უთანხმოება და ქიშპი მუდმივ არსებუ-ლიყო, რომ ისინი არ შეკავშირებულიყვნენ ერთძალად. ყაენის პოლიტიკაში შედიოდა ქართველ მეფეთა ერთგული თანამებრძოლების გადმობირებაც. ყოველივე ამას მონღოლი ყაენები შეწყალების საშუალებით აღწევდნენ და ეს შეწყალება ნ. ბერძენიშვი-

ლის გამოთქმით, ქართული ფეოდალური სისტემის სწორედ ის აქილევსის ქუსლი იყო, რომელსაც კარგადმიაგნეს მონღოლებმა.

წყაროებში არაერთი კონკრეტული შემთხვევაა დასახელებული და აღწერილი, როცა ყაენი მეფის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისი გვერდის ავლით ახდენს მთავართა განდიდებას. შეიძლება დავასახელოთ სამცხის მთავარი სარგის ჯაყელი, რომელსაც ჩრდილოეთ ურდოსთან ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის ჰულაგუ ყაენმა უზარმაზარი სამფლობელო "კარნუ ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა უბოძა იერლაყითა". მეფე წინ აღუდგა მისი ყმის ესოდენ გაძლიერებას იმ სამართლიანი მოტივით, რომ ასეთი ყმა მას აღარ დაემორჩილებოდა. ამჯერად ყაენმა ვითომ ყურად იღო მეფის უკმაყოფილება და სარგისს უკან გამოართვა ნაბოძები ქვეყანები (სამაგიეროდ, ამით მეფეს გაუორგულა ერთგული ყმა), მაგრამ შემდეგ, 1266 წელს, სარგის ჯაყელი "ხ ა ს - ი ნ ჯ უ დ " შეიწყალა, ე.ი. სარგისი მეფე-პატრონს მთელი სამთავროითურთ (სამცხით) სულ ჩამოაშორა (ასეთი ხასობა მიიღეს სხვა მთავრებმაც: ელიგუმ ორბელმა, სადუნ მანკაბერდელმა და ზოგმა დიდმა ვაჭარმა). ხასის სისტემა ძირს უთხრიდა საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მთლიანობას.

ი ნ ჯ უ ს მ ი წ ე ბ ი (ყაენისა და მისი სახლის წევრთა საერთო საკუთრებაში მყოფი) ამორიცხული იყო "დივნის" (სახელმწიფოს) მიწების ფონდიდან. ასევე ამორიცხული იყო "დივნის ფონდიდან" ხასი მიწები (ყაენის პირად საკუთრებაში მყოფი). ეკონომიკურად ეს იმას ნიშნავდა, რომ "ინჯუ ი ხასსად" შეწყალებული ფეოდალის სამფლობელოში" ,,დივნის" მოხელენი, ხარკის ამკრებნი ვერ შევიდოდნენ. თუ გავითვალისწინებთ მონღოლთა მფლობელობის სიმძიმეს, რაც ხარკის აკრეფის მოუწესრიგებლობაშიც იხატებოდა, ადვილი წარმოსადგენია, რა უპირატესი მდგომა-რეობა უნდა ჰქონოდათ ასეთ ხასს მამულებს. მართლაც, ფაქტები მოწმობენ, რომ მონღოლთა გამაპარტახებელი ბატონობის ჟამს ხასი ქვეყნები გარკვეულად ინარჩუნებ-დნენ მაღალ ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასე ხელოვნურად დარღვეული ეკონომიკური წონასწორობა, რასაც მონღოლური ხასის ინსტიტუტი იწვევდა, დამღუპველად მოქმედებდა ფეოდალური მეურნეობის საერთო განვითარე-ბაზე. გაღარიბებული და გადასახადებისაგან შევიწროებული მწარმოებელი საზოგა-დოება არახასს ქვეყნებს ტოვებდა და თავშესაფარს ასეთ მხარეში ეძებდა. ყმა გლეხე-ბისაგან დაცლილი ასეთი მიწები კი, რომლებზეც გადასახადი და სამსახური კვლავ იგივე რჩებოდა, ზედმეტ ტვირთად აწვებოდა მემამულეს. გულაცრუებული მემამულე ჩალის ფასად ჰყიდდა მათ, რომელთაც ხალისით ყიდულობდა ხასი მემამულე. ასე, ერთმანეთის გვერდით ერთის მეურნეობა ძირფესვიანად ითხრებოდა, მეორესი კი შენდებოდა. ირღვეოდა მხარეთა შორის საუკუნეობრივად გამომუშავებული სამეურ-ნეო დარგების ბუნებრივი განაწილება და ა.შ. ხასის მეზობელ მხარეებს ისიც აპარტა-ხებდა, რომ ხასად ქცეულის ამორიცხვა "დივნის" დავთრიდან არ იწვევდა "დივნის" შემოსავალში გადასახადთა შესაბამისად ამორიცხვასაც, არამედ იგი სხვა დარჩენილ ერთეულებს ემატებოდა.

ხასი ფეოდალი, რომელიც ეკონომიკურად რომელიმე მონღოლი ყაენის თუ უფლისწულის საკუთრებას შეადგენდა, ბუნებრივია, პოლიტიკურადაც ფართო

დამოუკიდებლობით სარგებლობდა. ასეთ ვასალზე მეფის უმაღლესი პოლიტიკური უფლებები ძალზე შეზღუდული და არსებითად გაუქმებულიც იყო; ამრიგად, ხასობა საზიანო მოვლენას წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს მთლიანობისათვის.

ცენტრის დასუსტებისა და პროვინციებში ხელისუფალ-ფეოდალთა (მთავართა) გაძლიერების უტყუარი ნიშანი იყო ცენტრალური აპარატის, სავაზიროსა და ვაზირთა ხელის შესუსტება. მარტო ის ფაქტიც ბევრის მთქმელია, რომ ამ პერიოდის ამსახველ წყაროებში ვაზირის ტიტულით იშვიათად იხსენიებიან დიდი მთავრები (მათ ვაზირობა და ერისმთავარობა ერთად ჰქონდათ). სამეფო კარზე სამოქალაქო და სამხედრო მესაჭეებად ხშირად ვხედავთ არა მაღალ ვაზირებს, ვისი მოვალეობაც იყო ეს (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი...), არამედ დროით დაწინაურებულ, მონღოლთა მფარველობით განდიდებულ პირებს, მეორეხარისხოვან მოხელეებს (ათაბაგს, დიდვაჭრებს, მესტუმრეს...).

ცენტრალური ხელისუფალების დასუსტებისა და სამეფოს დაშლის მძლავრი ტენდენცია ნოყიერ ნიადაგს ადგილობრივ ქართულ ფეოდალურ სისტემაში პოულობდა. ცხადია, ეს შინაგანი საფუძველი რომ არა, მონღოლთა ბატონობის გავლენა ღრმა ვერ იქნებოდა. შეწყალების სამამულო სისტემა (ერთგული სამსახურის პირობით თანამდებობისა და ტერიტორიის მემკვიდრეობითი მფლობელობა) არსებულ პირობებში, როდესაც ცენტრი დასუსტებული და ქვეყანა ეკონომიკურად დაცემულია, აადვილებდა პირობითი სამამულო მფლობელობის გადაქცევას უპირობო მფლობელო-ბად, ანუ მოხელე-ფეოდალის გადაქცევას სამმართველო ტერიტორიის თუ ნაწყალო-ბევი მიწა-წყლის უმაღლეს პატრონად, ალოდიალურ მესაკუთრედ, როცა სიუზერენ-თან ყმობა (ვასალობა) წმინდა ფიქციად იქცეოდა ან სულაც ისპობოდა **(ქ.ს.ძ. II, 1960:60,70).**

მონღოლთა მიერ საქართველოს დატოვების შემდეგ, 1222-1223 წლებში საქართველოში ყივჩაღთა თავდასხმები დაიწყო. ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ყივჩაღები შირვანს, აზერბაიჯანსა და საქართველოს ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ. მონღოლთა საფრთხის გამო თურქისტანის ხალხმა ჩრდილოეთის გზით აზერბაიჯანსა და ანატოლიაში გადასახლება დაიწყო **(Turan, 2013:39).** მონღოლთა მუდმივი თავდასხმების გამო დარუბანდის გავლით მოსულ ყივჩაღებს თავიდან აქ მოუსურვებიათ დასახლება და შირვანის დარუბანდის მმართველ რეშიდს წერილი გაუგზავნეს, სადაც ქვეშევრდომობას ჰპირდებოდნენ. თუმცა, ამირამ რეშიდმა ორჯერ უარყო ეს წინადადება. მოგვიანებით ყივჩაღებმა ქვეყანაში სავჭროდ შესვლის ნებართვა ითხოვეს, რასაც ამირა რეშიდი დათანხმდა. ყივჩაღებსა და რეშიდს შორის გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა და ყივჩაღებმა რეშიდის მფლობელობაში მყოფი ციხესიმაგრე ხელთ იგდეს ხელთ, შემდეგ კი აქაურობას გაეცალნენ და ქართველებს ყიბლის (რიზეს და ტრაპიზონს შორის ფიქსირდება აღნიშნული სახელწოდების ციხე) ციხე წაართვეს. ციხის ალყის დროს ყივჩაღებმა „ხალათებისა და ფულის მოთხოვნით საქართველოს მეფისთვის წერილის მიწერა გადაწყვიტა“ და ელჩი გაუგზავნა. პასუხის მოლოდინში მყოფმა ყივჩაღებმა ძარცვა გააგრძელეს და არანის მხრიდან განჯის ციხესიმაგრემდე ტერიტორიებზე დაბანაკდნენ. განჯის ამირა ქუშჰარემ, რომელიციმ დროს ილდეღიზიდების საათაბაგოს ექვემდებარებოდა, ყივჩაღებს მის მიწებზე შესვლის უფლება არ მისცა.

აღსანიშნავია რომ, ყივჩაღები დასახლებისთვის ადგილს ეძებდნენ და საქართველოს დაპყრობა არ ყოფილა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ისინი დარუბანდში არ მოითხოვდნენ საცხოვრებელს (İbn-il Esir, 1985:366-369). ქუშჰარე ყივჩაღთა მოწინავეებს შეხვდა, მათი პირობები მიიღო და განჯის მახლობლად დასახლების ნება დართო. უფრო მეტიც, ერთ–ერთი მხედართმთავრის ქალიშვილზე დაქორწინდა და დაუნათესავდა კიდეც. ეს ამბები იქაურობის მმმართველ ოზბეგს რომ აცნობეს, ამ უკანასკნელმა ყივჩაღებს ნება დართო ქილექუნის მთის მახლობლად დასახლებულიყვნენ. ამ ამბავმა შეაწუხა ქართველები და მათზე თავდასხმის მიზნით ჯარი გააგზავნეს. ქუშჰარემ გაიგო თუ არა ქართველების მოქმედებების შესახებ, ყივჩაღებს აცნობა და განჯაში უკან დაბრუნება სთხოვა. ყივჩაღები განჯაში მოვიდნენ და განჯის ამირასთან ერთად ქართველების წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნეს. ლაშა–გიორგისა და მთავრსარდალ ივანეს მეთაურობით ქართველები ხუნანის ველზე დამარცხდნენ (Kiragos, 2009:14), ყივჩაღები კი ქილექუნის მთის მიმ-დებარე ტერიტორიებზე, ადრინდელ სამკვიდროში დაბრუნდნენ (İbn-il Esir, 1985:369-370).

საქართველოში მყოფმა ყივჩაღებმა ლაშა–გიორგისა და ათაბაგ ივანეს საცხოვრებელი ადგილის გამოყოფა სთხოვეს, სანაცვლოდ კი მეფის სამსახურში ჩადგომას ჰპირდებოდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ ეს წინადადება არ მიიღო, რის შემდეგაც ყივჩაღებმა იგივე თხოვნით მიმართეს განჯის ხალხს, სადაც ქართველები ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს. განჯელებმა საზღვრების ქართველებისაგან დაცვის მიზნით, საზღვრისპირა ტერიტორიები ყივჩაღებს საცხოვრებლად დაუთმეს (Solmaz, 2000:217). 1223 წელს ივანე ათაბაგმა ახალი შეკრებილი ჯარით ყივჩაღების წინააღმდეგ გაილაშქრა და მწარე მარცხი აგემა (Subaşı, 2015:42). მემატიანე ვარდანი წერს, რომ 1223 წელს ყივჩაღებმა სომხეთის აღმოსავლეთით მდებარე რეგიონში ვართანაშატში ილაშქრეს, თუმცა დამარცხდნენ და უკან გაბრუნდნენ (Vardan, 2017:94).

ჯებე და სუბუდაი ნოინები სამხრეთ კავკასიის ძარცა–გლეჯის შემდეგ, ჩრდ. კავკასიის დასაპყრობად დაიძრნენ და პირველად გამოჩნდნენ რუსეთში (Bretschneider, 1888:112). აქ მონღოლებმა ჯერ მოკავშირე ალანები, ჩერქეზები და დაღესტნელები და შემდეგ ყივჩაღები დაამარცხეს (Kamalov, 2003:19). ამ მოვლენებამდე ერთი წლით ადრე ჯებე და სუბუდაი ნოინებმა ჯერ ალანების და ყივჩაღების, ხოლო შემდეგ რუსებისა და ყივჩაღების კავშირი დაშალეს (Grousset, 2006:278). მტრის ჯარის დასაქსაქსად და ყივჩაღთა წინააღმდეგ წასაქეზებლად, რუსებთან ათკაციანი მონღოლთა ელჩობა გაგზავნეს. ამის საპასუხოდ რუსმა მთავრებმა მონღოლთა ელჩები დახოცეს და ცხედრები მონღოლებს უკან გაუგზავნეს. ამის შემდეგ რუსებს მონღოლთა მეორე დელეგაცია ეწვია, რომელმაც საკმაოდ მკაცრი წერილი გადასცა მათ, თუმცა არც ამან გამოიღო სასურველი შედეგი. რადგან რუსებისთვის ბრძოლა უკვე დაწყებული იყო და მათ არავითარ შემთხვევაში არ სურდათ ყივჩაღებთან კავშირის გაწყვეტა. მეორე ელჩობის უკან დაბრუნების შემდეგ მოკლე დროში სამზადისი დასრულდა და ბრძოლა დაიწყო. ნიკონის ქრონიკის მიხედვით, ყივჩაღთა და რუსთა გაერთიანებული ძალები 20 ათასი კაცისაგან შედგებოდა. რუსთა ჯარი ფეოდალურ გაერთიანებას წარმოადგენდა. გალიჩის, კიევის და ჩერნიგოვის სამთავროებს შორის არსებულმა შუღლმა, რომლის აღმოფხვრაც ბრძოლის დაწყებამდე არ მოხერხდა, ბრძოლის შედეგებზე გავლენა მოახდინა. მოწინააღმდეგე

ჯარი მონღოლებისა და თურქებისაგან შედგებოდა. მიუხედავად ეთნიკური სხვადასხვა-ობისა, მათ შორის უთანხმოება არ გაჩენილა. ბრძოლის დაწყებამდე მონღოლთა მოწინავე ძალები რუს–ყივჩაღთა ლაშქარს თვალ–ყურს ადევნებდნენ. 1223 წლის 31 მაისს **(Özcan, 2017:36)**[11] გაიმართა კალკის ბრძოლა, რომელიც მონღოლთა გამარჯვებით დასრულდა. მონღოლთა ლაშქარს სუბუდაი ნოინი ხელმძღვანელობდა. როგორც წყაროები გადმოგვ-ცემენ, ისინი მდინარე კალკასთან ჩაუსაფრდნენ რუსის ჯარს, რომელიც მოუმზადებელი იყო ბრძოლისათვის.

კალკის ბრძოლაში ზოგიერთი რუსი მთავრისა და მათი ოჯახის წევრების სიკვდილმა რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეული სიცარიელეები წარმოშვა. მის შესავსებად თავადთა შორის წინააღმდეგობები გაჩნდა. ზედიზედ ორჯერ მარცხის შემდეგ, ყივჩაღების ერთი ნაწილი ორი მიმართულებით - ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში გადასახლდა. ამან ცხადყო, თუ რა მძიმე იყო ბრძოლის შედეგები რუსებისა და ყივჩაღებისთვის. მონღოლთათვის ეს ბრძოლა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ რეგიონის სამხედრო ძალებისა და საბრძოლო სტრატეგიის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვეს. გამომდინარე აქედან, მონღოლთა ეს ლაშქრობა დაზვერვით ხასიათს ატარებდა. 1236 წელს, დასავლეთში ლაშქრობამდე მონღოლებმა, აღნიშნული ბრძოლის დროს მიღებული ცნობები ლაშქრობის ორგანიზებისთვის გამოიყენეს **(Özcan, 2017:36-52).** ასევე კალკის ბრძოლამ მონღოლებს საშუალება მისცა სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში გაბატონებულიყო. მონღოლებმა მართალია ბულგარები სრულიად ვერ დაამარცხეს, მაგრამ შუა ვოლგასა და კამას მდინარეებისკენ მოქმედებისას მათ დიდი დარტყმა მიაყენეს. ამ თავდასხმის შემდეგ ბულგარები კასპიის ზღვის ნაპირებზე მდებარე სტეპებისკენ გადასახლდნენ **(Yücel, 2009:** http://iie.kz/?p=1568&lang=ru**).**

§ 2. ცვლილება საქართველოში ტახტზე და ახალი პრობლემა: ხვარაზმშაჰები

შუა აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ვრცელ ტერიტორიებზე მონღოლთა ინტენსიური ექსპანსიის პარალელურად საქართველოს სამეფო ტახტზე ცვლილებები მოხდა. მემკვიდრის გარეშე დარჩენილი ლაშა-გიორგის უეცარი გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მისი და რუსუდანი ავიდა. გახშირებული თავდასხმების, მეფის მოულოდნელი გარდაცვალებისა და სატახტო ცვლილებების გამო გამოწვეული საშინაო პრობლემები, ხვარაზმშაჰებთან დამარცხების მიზეზთაგანი იყო. არსებობს წერილი, რომელიც ასეთ ვითარებაში რუსუდამა 1224 წელს რომის პაპ ინოკენტი III-ს მისწერა. მასში მეფე მონღოლთა თავდასხმებს იმდენად დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რამდენადაც იმას, რომ ახალი მტერი კარს იყო მომდგარი **(Honigmann, 2001:269)**. მონღოლთა თავდასხმების შემდეგ ყივჩაღებთან ბრძოლამ, სამეფო ტახტზე ცვლილებებმა, რუსუდანის გამეფებამ და საშინაო პრობლემებმა, საქართველო, რომელიც იმ პერიოდის ყველაზე ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. 1223/1224 წელს **(Stepanos, 2005:64)**

[11] გრუსე 1222 წელს ასახელებს **(Grousset, 2006:278),** ბერტოლდ სპულერი 1223 წლის 16 ივნისს **(Spuler, 2011:38).**

ლაშა-გიორგის ავადმყოფობით გამოწვეული სიკვდილის შემდეგ, მისი არაკანონიერი ძე მცირეწლოვანი იყო და ტახტზე ასვლის გამო უამრავ პრობლემას წააწყდა **(Subaşı, 2016:385).** გამომდინარე აქედან, ტახტზე რუსუდანი (1223-1245 წწ.) ავიდა, დედამისის თამარის მსგავსად დასაქორწნებლად შესაბამის, ძლიერ კანდიდატს ეძებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ და ისლამურ წყაროებში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. იბნ-ულ ვერდის მიხედვით, ერზურუმის ამირა მოღის ედდინ თუღრულ ბეგშაჰ ეს-სელჩუკმა რუსუდანს ელჩი გაუგზავნა და მისი სადიდებელი ლოცვის წაკითხვა მოითხოვა. ქართველებმა მათი ქრისტიანული მრწამსის გამო უარყვეს მოთხოვნა. მოღის ედდინმა გაითვალისწინა ეს, გაქრისტიანებული შვილი გააგზავნა ქართულ სამეფო კარზე, რომელიც რუსუდანზე დაქორწილდა **(Cahen, 2012:81; Cahen, 1968:127**). რუსუდანი მის მსახურზე იყო შეყვარებული. ქმარმა[12] მიუხედავად იმისა რომ ყველაფერი იცოდა, ხმის ამოღებას ვერ ახეხებდა. ერთხელ, როდესაც მისი ცოლი მსახურ კაცთან ერთად იხილა, საშინლად გაბრაზდა, რუსუდანმა კი ქმარი დააჭერინა და სხვა ციხესიმაგრეში გამოკეტა. მოგვიანებით კი მას გაეყარა **(İbnü-l Verdi, 2017:112-113; Sümer, 2015:48; Turan, 2013:39-40)**. 1223 წელს ამ ქორწინებიდან რუსუდანს დავითი და თამარი შეეძინა.

ამასობაში ინდოეთიდან სპარსეთისკენ, კერმანისკენ და აზერბაიჯანისკენ თურქული პოლიტიკური ძლა ხვარაზმი დაწინაურდა. 1136 წლიდან გავლენიან თურქულ ოჯახში დაბადებულმა აზერბაიჯანელმა ათაბაგ ოზბეგმა (1210-1225 წწ.) მძიმე ხარაჯის გადახდით ჯებეს და თავდასხმებს გადაურჩა, მაგრამ ახალი ხვარაზმშაჰის ჯალალედდინის წინაშე უძლური აღმოჩნდა. ჯალალედდინმა თავრიზი დაიპყრო და 1225 წლიდან მთელს რეგიონში ერთადერთ მმართველად გამოცხადდა. ოთხი წლის წინ მონღოლთა დაპყრობისგან გადარჩენილი საქართველო, ხვარაზმშაჰელების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ჯალალედდინ ხვარაზმშაჰმა, აზერბაიჯანისა და არანის შემოერთების შემდეგ თავრიზი დედაქალაქად გამოაცხადა და საქართველოსკენ დაიძრა. იბნულ ესირის ცნობით, „აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ, საქართველოს დასაპყრობად უამრავჯერ ილაშქრა“ **(İbn-il Esir, 1985:393; Toksoy, 2007:144, Taneri, 1993:65).** მან თავიდან ქართველებთან ურთიერთობის დასამყარებლად ელჩი გაგზავნა. ელჩთან რა სახის შეხვედრა შედგა უცნობია. თუმცა ცხადია, რომ ქართველებმა შემოთავაზება არ მიიღეს. ამას ადასტურებს ახალი ძალის წინააღმდეგ ქართველთა მიერ 70 ათასიანი ლაშქრის თავმოყრა **(Taneri, 1993:65; Taneri, 1993a:249).** ეპისკოპოს სტეფანოსის ცნობით, ქართული ჯარი, რომელსაც ივანე მეთაურობდა 60 ათასი კაცისაგან შედგებოდა **(Stepanos, 2005:64)** 1225 წლის აგვისტოში **(Taneri, 1993:65)** მოქმედებაზე გადავიდნენ, არაქსი გადალახეს და ქალაქები დვინი და ბაილაგანი დაიპყრეს, შემდეგ კი გოქჩის ტბის ჩრდილოეთით მდებარე დვინის გზაზე მდებარე გარნისში მოვიდნენ **(Yinanç, 1977:50).** ქალაქ გარნისთან, გაშლილ ველზე, ივანე და შალვას მეთაურობით ქართული ლაშქარი ხვარაზმშაჰს შეხვდა **(Taneri, 1993:65).** ქართველები გარნისის ბრძოლაში დამარცხდნენ **(Grousset, 2006: 295;**

[12] რუსუდანის ქმრის სახელი წყაროებში არ მოიხსენიება. ერთადერთ ადგილას ნახსენებია შეჰზადე დავითი **(Keçiş, 2013: 56)**.

Honigmann, 2001:269). ამ მოვლენის ამსახველ უმნიშვნელოვანეს სომხურ სებასტატსის მატეანეში შალვაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. მასში ივანე მხარგრძელის მარცხზე და ხვარაზმშაჰის ლაშქარზეა საუბარი, რომელიც 200 ათასი მეომრისგან შედგებოდა **(Sebastatsi, 2005:42)**. საღამო ჟამის გამო ფიქრობდნენ რა ბრძოლა არ დაიწყებოდა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა სულთანმა და საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. ხვარაზმშაჰის ლაშქრის შუაგულში ცხენოსნები, მარჯვენა ფლანგზე მშვილდოსნები, მარცხენა ფლანგზე კი ქვეითები იყვნენ განლაგებულნი. ჯალალედინი თავიდან ქართველების თავდასხმას ელოდა, ისინი კი შემოაღლებულ ადგილზე იდგნენ ადგილიდან არ იძვროდნენ. ჯალალედინმა კარავი გაშალა და ღამე ლაშქართან ერთად გაატარა. გამთენიისას კი მეთაურები (ცნობილია, რომ მარცხენა ფლანგზე ორი მხედართმთავარი - გიასედდინი და ორჰანი მოქმედებდნენ) **(Nesevi, 1895:187)** დაიბარა და საკუთარი მოსაზრება გაანდო: „მტერი მოქმედებაზე არ გადადის, ყველა მხრიდან ალყის შემორტყმით მათზე თავდასხმას ვფიქრობ“-ო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ყველანაირად ცდილობდნენ მტრის მოგერიებას, მაინც დამარცხდნენ **(Taneri, 1993:66)**. ეპისკოპოს სტეფანოსის ცნობების მიხედვით, ქალაქ გარნისში, სომხურ-ქართული ლაშქრიდან ჯარისკაცებმა გაქცევა დაიწყეს. თითქოს ადამიანები კი არა, უხილავი ანგელოზები და ხმლების ქარიშხალი მიერეკებოდა უფსკრულისაკენ **(Stepanos, 2005:64)**. ქართველების ბრძოლის შესახებ ისლამური წყაროებიც საუბრობენ. ჩვენი აზრით, დიდი ხნის განმავლობაში გზაში და ბრძოლებში მყო ხვარაზმშაჰთან დამარცხება ქართველთა არასწორმა საბრძოლო სტრატეგიამ გამოიწვია. რაც არ უნდა ხშირი ყოფილიყო ქართველებზე თავდასხმები, ისინი ბინადარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ანუ, თან საკუთარ გარემოში იყვნენ და თანაც, წყაროებშიც გადმოცემულია, რომ სტრატეგიული თვალსაზრისითაც ხელსაყრელ ადგილებს ფლობდნენ. საბრძოლო აკადემიის სახელმძღვანელოდ ცნობილ ჩინელი ფილოსოფოსი სუნ ძის ნაშრომში „ომის ხელოვნება“ ნათქვამია: „მეთაურობის ყველაზე დიდი უპირატესობა ბრძოლის ველზე, მტრის ჯარზე თავდასხმაა“ **(Sun-Tzu, 2008:47).** სავარაუდოდ, მეთაურთა ზემოთ აღნიშნულმა დამოკიდებულებამ ქართველთა ჯარის მარცხი გამოიწვია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ხვარაზმის ლაშქრის უპირატესობა, თუმცა ეს ქართველთა ლაშქრისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. დაახლოებით ასი წლის წინ, დიდგორში ქართველებმა მცირე ლაშქრით და წარმატებული საბრძოლო სტრატეგიით შეძლეს თურქთა ჯარის დამარცხება, ახლა კი ადრინდელი ძალა აღარ შერჩენოდათ.

ჯალალედინმა ეს გამარჯვება ბოლომდე ვერ იზეიმა, ოზბეგის აჯანყების გამო იძულებული გახდა თავრიზში წასულიყო[13]. მან ოზბეგი თავრიზიდან გამოაძევა. მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ, მეორე წელს კვლავ საქართველოში ილაშქრა და ამ ბრძოლაში ქართველი სარდალი შალვა ახალციხელი და მისი ძმა დაატყვევა. თბილისში მცხოვრები ირანელების დახმარებით ხვარაზმელებმა 1226 წლის 10 მარტს თბილისი დაიკავეს **(Honigmann, 2001:269).** ამ ლაშქრობისას ხვარაზმშაჰის ჯარი 3 ათასი ცხენოსნისგან შედგებოდა **(Taneri, 1993:66).** ეკლესიების უმეტესობა დაანგრიეს **(Grousset,**

[13]ოზბეგის და ჯელალედინ ხვარაზმშაჰის ურთიერთობების შესახებ ვრცლად იხ.: **(Nesevi, 1895:31; İbnül Verdi, 2017:113).**

2006:295). ვაზირი შერაფ ალ-მულქი თბილისში მმართველად განაწესეს (**Honigmann, 2001:269**). ქართველები კი იძულებულნი გახდნენ მტერს ჩრდილოეთისაკენ გასცლოდნენ (**Gordlevskiy, 2015:40**). ჯალალედინმა თბილისის დაპყრობის შემდეგ, საქართველოს მეფის რუსუდანის მიერ დატყვევებული სელჩუკი უფლისწული (ყოფილი ქმარი) გაანთავისუფლა. აჰმედ ნესევის ცნობით, ბოლო ლაშქრობისას სელჩუკი უფლისწულის განთავისუფლების შემდეგ, უფლისწული ქართველების მხარეს გადავიდა და ქართველებს აცნობა რომ ხვარაზმშაჰი თბილისს მხოლოდ მცირე ჯარით იცავდა (**Subaşı, 2016:386; Nesevi, 1895**). ჯალალედინის განჯაში წასვლის შემდეგ ვაზირმა შერიფ-ულ მულქმა, ქართველების თბილისზე თავდასხმის მზადების შესახებ წერილი მიიღო (**Taneri, 1993:67**). მართალია, ქართველები თბილისში შევიდნენ, მაგრამ მიხვდნენ რა ქალაქის დაბრუნება შეუძლებელი იყო, ქალაქი ცეცხლს მისცეს (**Honigmann, 2001:269**).

საქართველოში ხვარაზმშაჰის აღნიშნული ლაშქრობის შესახებ ისლამური წყაროები დაწვრილებით ცნობებს არ გვაწვდიან. მხოლოდ მცირე ინფორმაციაა. მაგალითად, სულთან ჯალალედინის ირანის გავლით აზერბაიჯანში შესვლასა და ქართველების დამარცხებაზე საუბრისას (**el-Cûzcânî, 2016:143**) იბნ-ულ ვერდი ციფრს არ ასახელებს, თუმცა ამბობს რომ ურიცხვი ქართველი დაიღუპა (**İbnü-l Verdi, 2017:113**). სიმონ დე სანტ კვენტინის მიხედვით, ხვარაზმელებმა მონღოლთა მოსვლამდე 7 ათასი ადამიანი მოკლეს (**Quentin, 2006:37**). ჯალალედდინის მიზანი იყო, დაპყრობების დროს ქართველებს მისვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ, ამიტომაც დაიპყრო საქართველო. იგი ფიქრობდა, რომ ქართველებს ადვილად დაიპყრობდა და აქ დასახლდებოდა, თუმცა შეცდა. მისი ჯარი დაუძლურდა, რაც წინასწარ გათვლილი არ ჰქონდა (**Taneri, 1993a:65**). ქართველები თავდასხმების თავიდან ასაცილებლად ხშირად თავს ესხმოდნენ საზღვრის პირა ტომებს. მათი მოქმედება დროთა განმავლობაში მონღოლთა ჯარზე უარყოფითად აისახებოდა. ახალმა ძალამ ხვარაზმელებმა, აქაური ხალხის, ქართული ლაშქრის სტრატეგიებისა და რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ არაფერი იცოდნენ, რაც მათი რეგიონში დასახლებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყო.

§ 3. ბათო ყაენის მიერ სახელმწიფოს შექმა და ლაშქრობები (1227-1256 წწ.)

ებულ ღაზისა და ჯუზჯანის ცნობების მიხედვით, ჯუჩის ტერიტორიებზე ოქროს ურდოს პოლიტიკური ერთეულის ფორმირება 1227 წლის თებერვლიდან ჯუჩის სიკვდილის შემდგომ, მის ვაჟმა, ბათო ხანმა (1227-1256 წწ.) დაიწყო (**Özcan, 2010:41**). ამგვარად, იგი გახდა ოქროს ურდოს დამაარსებელი. მისი მთავარსარდლობით ყივჩაღებზე განხორციელებული მეორე ლაშქრობის შემდეგ დაარსდა სახემწიფო, რომელიც მდინარე იდილის, კარპატების მთებისა და მდინარე დუნაის ნაპირებამდე იყო გადაჭიმული.

ბათო ყაენი ჯუჩისა ერთ-ერთ ცნობილ ტომი ნოინის ქალიშვილის ერქინ კუჩინის ვაჟია. მისი დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. ფიქრობენ რომ XIII საუკუნის დასაწყისში დაიბადა და 1256 წელს კი გარდაიცვალა (**Kafalı, 1992a:208**). რიზაედინ ფაჰრედინის თქმით, ბათო ხანის მეტსახელი „საინ"-ია, რაც თავაზიანს ნიშნავს (**Fahreddin, 2003:35; Grigor, 2012:37**). ბათო მონღოლურად მკაცრის, ძლიერის, ურყევის,

სანდოს, ერთგულის, გულწრფელის, პატიოსანის, მიმტევებლის აღმნიშვნელია (Küçüker, 2015:55). კირაკოსი, ბათო ხანის შესახებ წერს, რომ ის ყველას მიმართ სამართლიანი იყო და თანასწორად ექცეოდა (Kiragos, 2009:66).

როგორც აღვნიშნეთ, ჯუჩის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ ბათო და ორდა ჩინგიზ ხანს ეახლნენ გადაწყვეტილების მისაღებად. ჩინგიზ ხანმა ბათო ხანის ტახტზე ასაყვანად ყივჩაღთა ველზე ელჩი, სახელად უჩთექინი გააგზავნა. ბათო ხანმა ელჩი დიდი პატივით მიიღო. უჩთექინმა ჩინგიზ ხანის დავალებით ბათო ყაენად გამოაცხადა და ბაბუის დანაბარები გადასცა (Fahreddin, 2003:35; Özcan, 2010:41). ჯუჩის ულუსი, ძველი თურქული სახელმწიფოების ორმხრივი მმართველობის შესაბმისად (Kafalı, 1976:1), ბათო ყაენის ძმებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა. ბათო ყაენმა, მის ძმას შეიბან ხანს[14] ურალის მთების აღმოსავლეთ საძოვრები, სირდარიის სამხრეთ ნაწილები ჩუ და სარისუ ზამთრის საძოვრებად გადსცა. მის უფროს ძმას ორდას კი 15.000 ოჯახი გადეცა საჩუქრად. ამ ოჯახების ტომობრივი წარმომავლობა უცნობია. შეიბანის სახანოსადმი დამორჩილებულებმა უზბეკის სახელწოდება მიიღეს და შეიბანი უზბეკებად, ან ციმბირის სახანოდ (Devlet, 2002:57) მოიხსენიებოდნენ (İzgi, 2014c:320-321).

ბათო ყაენის გარდაცვალების შესახებ წყაროებში ზუსტი იფორმაცია არ მოიპოვება. ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: ბათოს მიერ მოჭრილმა ფულმაც კი, რომელიც დიდი კაღანის სახელს ატარებდა, ამ საკითხს სინათლე ვერ მოჰფინა (Kafalı, 1976:53). თუმცა, ბოლო დროინდელი კვლევების მიხედვით ირკვევა, რომ იგი 1255 წლის ბოლოს უნდა იყოს გარდაცვლილი (Özcan, 2017:198).[15] წყაროებში გავრცელებული ცნობებით ბათო ყაენი ქრისტიანი იყო, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება. ამასთან დაკავშირებით რუბრუკი წერს, ,,მართალია ბათოს მრწამსის შესახებ არაფერი ვიცით, მაგრამ მას არ სურდა ქრისტიანად მოეხსენებიათო“ (Rubruk, 2001:60). გრიგორი კი ბათოს პატივცემულ ყაენად მოიხსენიებს და გვაუწყებს, რომ სახელი მათ ენაზე „ღირსეულს და დიდებულს“ ნიშნავს. იგი საკუთარ თავზე ამბობდა, რომ ქრიასტიანების მეგობარი და ქველმოქმედი იყო (Grigor, 2012:37).

1228 წელს ჩაღათაისა და ბათოს მეთაურობით, მარჯვენა ფრთაზე ოტჩიგინ ნოინი, იეგუ და იესუნგე, მარცხენა ფრთაზე ტოლუის მეთაურობით უფლისწულები, სიძეები, დუმანის მეთაურები და მაღალი სამხედრო წოდების პირები მდინერე კელურენზე, კოდეს კუნძულზე შეიკრიბნენ და ყურულთაი მოიწვიეს, სადაც, ჩინგიზ ხანის ბრძანებით, ოგედეი ხანი ყაენად აირჩიეს (M.G.T. I, 2016:190). XIII საუკუნის გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსის მხითარ აირივანეცის გადმოცემით, ოგედეი ხანის არჩევის შემდეგ, მან ჯარი სამ ნაწილად დაყო, პირველი სამხრეთით, მეორე ჩრდილოეთით, მესამე კი მათ შორის მდებარე რეგიონში გააგზავნა. სამხრეთის ჯარმა, ინდოეთი და ეთიოპიის მეთევზეებით დასახლებული სანაპიროები დაიპყრეს. ჩრდილოეთის ჯარმა კასპიის ზედა ნაწილის გავლისას რამდენიმე ქვეყანა გაანადგურეს. ამ ჯარს ბათო ყაენი სარდ-

[14]შეიბანის ულუსი უზბეკთა წინაპრებად არის მიჩნეული. ჯუჩის შვილის (İzgi, 2017:14).

[15] მოცემული ავტორის სადოქტორო ნაშრომში 1256 წელი და 48 წლის ასაკია მითითებული, წიგნში გამოყენებული წყაროების გარდა სხვა წყაროებიცაა დამატებული. იხ: (Özcan, 2010:153 ; Barthold, 1990:526).

ლობდა. მხიტარ აირივანეცი მონღოლთა მესამე ნაწილზე ამბობს რომ, ხორასანი, ირანი, მიდია, ისპაჰანი, ატროპატენა დაიპყრეს და ამ ქვეყნების მიწასთან გასწორების შემდეგ, სომხეთში, საქართველოსა და აგვანიაში (ალბანეთი) შევიდნენ **(Ayrivanetsi, 2005:166).**

ამ პერიოდის შესახებ ცალკე თავშიც გვექნება საუბარი, ამიტომაც ჩვენს მიერ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში ბათო ყაენის დასავლეთის ლაშქრობებზე არ ვისაუბრებთ, მაგრამ ამ ლაშქრობების პერიოდში კავკასიის რეგიონსაც მოკლედ შევეხებით.

იბნი ვასილი ჰამევის ცნობით, 1229–1230 წლებში ყივჩაღებსა და თათრებს შორის ბრძოლა დაიწყო **(Hamevi, 1941:149),** რის გამოც1229 და 1235 წლებში დასავლეთში ლაშქრობის შესახებ ყურულთაიზე მიღებული გადაწყვეტილება დროებით გადაიდო. 1228 წელს, ოგედეი ხანის დიდ ყაენად არჩევის მომდევნო წელს ლაშქრობებს სათავეში ბათო ყაენი ჩაუდგა **(M.G.T. I,2016:191).** ჩინგიზის გამოჩენილი მხედართმთავარი სუბუდაი 1223 წელს კალკის ბრძოლის **(Kafalı, 1976:49)** შემდე რეგიონს კარგად იცნობა და ამის გამო ბათო ყაენის გვერდით მეთაურად განაწესეს **(Gökbilgin, 1972:3; Kurat, 2015:621)**. ოგედეი ყაენის ბრძანებით ჩინგიზის შთამომავალი ნოინები და უფლისწულები ბათო ყაენის ჯარს სალაშქროდ შეუერთდნენ. ესენი იყვნენ სუბუდაი ნოინი, ტულუი ხანის ვაჟები მენგუ და ბუჯეკი, ოგედეის ვაჟები გოიუქ და კადანი, ჩაღათაის ვაჟები ბორუ, ბაიდარი და კულკანი, ჯუჩის ვაჟები ორდა, შიბანი (შეიბანი) და თანგუთი **(Kafalı, 1976:49)**.

ბათო დაქვემდებარებაში მყოფი მონღოლთა ლაშქრის ზუსტი რიცხვი უცნობია. მასში დიდი რაოდენობით იყვნენ თურქებიც. მონღოლ–თურქთა გაერთიანებული ჯარი რამოდენიმე ასეულ ათას მეომარს ითვლიდა. ლაშქრის უდიდესი ნაწილი ორხონის, ურალის და ირტიშის მიდამოებში მცხოვრები თურქი ტომებისაგან შედგებოდა. ყივჩაღთა ველზე მეორე ლაშქრობა 1236 წელს დაიწყო. პირველი დასხმა ბულგარებზე განხორციელდა **(Kurat, 1972:96)**. იგი ერთგვარი შურისძიება იყო, 1224 წელს ბულგარების მიერ დონის წელიდან უკან დაბრუნებულ მონღოლთა ლაშქარზე თავდასხმის გამო. ბულგარები მალევე დამარცხდნენ, მონღოლებმა კი უამრავი ქალაქი მიწასთან გაასწორეს და გაძარცვეს. რა თქმა უნდა, ამ ლაშქრობით ვოლგის შუა წელში მცხოვრები ბულგარები მთლიანად ვერ მოსპეს, მაგრამ მათმა სახელმწიფოს არსებობა შეწყვიტა. დიდი ხანი არ გასულა ბულგარმა მთავრებმა ძალა მოიკრიბეს და მოქმედებაზე გადავიდნენ **(Kurat, 2015:621-622)**. ცნობილია რომ, 1236 წლის ბრძოლის დროს ყივჩაღები, ბულგარები, ბაშქურთები და ალანები ერთობლივი ძალებით ებრძოდნენ მონღოლთა ლაშქარს. 1236 წლის გაზაფხულზე ულუბერის ტომის ბაშბუღ ბაჩმანის მმართველობაში მყოფი ყივჩაღები, ბაშბუღი ჩიქუ და ბაშბუღ ბაიანის დაქვემდებარებაში მყოფი ბაშქურთები და ბულგარები, ბაშბუღი ქაჩირი, უქულეს მმართველობაში მყოფი ალანები საბოლოო მოქმედებაზე გადავიდნენ. ძმები, ბათო, შიბანი, ორდა და თანგუთი, ბაშქურთების და ბულგართა ქვეყანაში შეიჭრნენ და დაიპყრეს იგი **(Kafalı, 1976:50)**.

1237 წლის ზამთარში, თურქ-მონღოლთა ლაშქარმა რუსთა მხარის დაპყრობას შეუდგა **(Kurat, 2015:622)**. თურქ-მონღოლთა, იგივე თათარ-მონღოლთა ძარცვა, თავდასხმები, დაპყრობები ზამთარშიც მიმდინარეობდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოში ლაშქრობები. მონღოლთა თავდასხმები მოულოდნელი იყო, რაც ყოველთვის აბნევდა მტერს. განურჩევლად წელიწადის დროისა, მონღოლები

შეუსვენებლად, დიდძალი ლაშქრით ესხმოდნენ თავს. ამასთან, მონღოლებისადმი დამოკიდებულება უარყოფით გავლენას ახდენდა მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც მარცხის მიზეზი ხდებოდა.

1237 წელს, როდესაც მონღოლებმა რუსეთის დაპყრობა დაიწყეს, რუსეთი სხვადასხვა სამთავროებად იყო დაყოფილი. ისინი, რიურიკების საგვარეულოს თაოსნობით, ცალ-ცალკე, დამოუკიდებელად მოქმედებდნენ. კიევი ცენტრი აღარ იყო. მის ადგილას სუზდალის რუსეთი (ცენტრი ვლადიმირი) დაწინაურდა. დასავლეთში კი უფრო ძლიერი სამთავროები ოყო. მათ შორის იყო ილმენის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი ნოვგოროდი, რომელიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა, სამთავროებს შორის მუდმივი შუღლის გამო რუსეთში არეულობა იყო **(Kurat, 2015:622)**. ბულგართა დაპყრობის შემდეგ, 1237 წელს, ბათო ყაენის ლაშქარმა მდინარე სურა გადალახა და რიაზანისკენ გაემართა. რუსული ლიტერატურული ძეგლი იგორის ეპოსი ყივჩაღებთან ბრძოლის ამბის შემდეგ, 1237 წელს ბათოს მიერ რიაზანის აღებას მოგვითხრობს. ეს ისტორია გადმოცემულია წიგნში „ამბავი რიაზანისა". მასში ნათქვამია, რომ „რიაზანის საზღვრის მახლობლად ერთი რიაზანელი ათასს, ორი რიაზანელი კი ათი ათას მონღოლს ებრძოდა"-ო. ბრძოლა ხუთი დღის განმავლობაში შეუჩერებლად მიმდინარეობდა. 1237 წლის 21 დეკემბერს კი ოქროს ურდოს მონღოლებმა ეს ქალაქი დაიპყრეს. ქრონიკის გაგრძელებაში საუბარია მონღოლთა მიერ მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტისა და ეკლესია–მონასტრების მიწასთან გასწორების შესახებ. ქრონიკაში წერია, რომ ეს უბედეურება ადგილობრივებს ცოდვების გამო დაატყდათ თავს. ბათო ყაენი, რიაზანის დაპყრობის შემდეგ, ვლადიმირისა და სუზდალის სამთავროებისაკენ გაემართა **(Aykut, 1987:1-18).**

მონღოლებმა დაანგრიეს მოსკოვი, რომელიც იმ დროისთვის მცირე დასახლებული რაიონი იყო. დაიპყრეს ვლადიმირი, სუზდალი, როსტოვი და ვოლგას ნაპირებზე მდებარე ქალაქები, მათ შორის იაროსლავი. ზამთრის მიუხედავად, ბათო ყაენმა და მისმა ჯარმა 2–3 თვის განმავლობაში უამრავი ციხესიამგრე და ქალაქი იგდო ხელთ. 1238 წლის გაზაფხულზე, ოქროს ურდოს მონღოლთა ჯარმა ილმენის ტბის სამხრეთით, მდინარე ლოვატს მიაღწიეს, უფრო ღრმად ჩრდილოეთისაკენ აღარ წასულან. მდინარე ოკას მახლობლად მდებარე ქალაქი კოზელსკი დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა, რამაც შეანელა მათი წინსვა. თუმცა, კოზელსკის ციხემ და ხალხმაც ბოლომდე ვერ გაუძლო მტრის მიძალებას. მონღოლებმა 1238 წლის გაზაფხულზე მდინარეების დონსა და დნეპრს შორის რეგიონამდე მიაღწიეს **(Kurat, 2015:622)**.

მოკლე ხანში ბათო ყაენმა რუსეთის დიდი ნაწილი დაიპყრო და რუსეთის სამთავროების მნიშვნელოვანი სამხედრო პუნქტები იგდო ხელთ. ისტორიაში პირველად, აღმოსავლეთიდან მოსულმა ძალამ, ერთი თავდასხმით რუსეთის სამთავროების პოლიტიკური არსებობა შეწყვიტა **(Kurat, 2015:622)**. მართალია, ბათო ყაენის მთავარსარდლობით მონღოლთა ჯარმა ამ რეგიონს დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ რუსეთმა ძალების აღდგენა მოკლე ხანში შეძლო.

ბათომ ამ ლაშქრობაში აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ნაწილი, ყივჩაღები, ყირიმი და დარუბანდამდე არსებული მთლიანი კავკასია დაიპყრო. ამის შემდეგ, 1240

წელს კი, იმ პერიოდში უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანი კიევი ჩაიგდო ხელში (Gökbilgin, 1972:4; Kafalı, 1976:50; Kurat, 2015:623). ნოვგოროდში სალაშქროდ ჰქონდათ გამიზნული, თუმცა ჭაობებისა და ქალაქის ძლიერი გამაგრების გამო ამ განზრახვაზე უარი თქვეს. იაკუბოვსკის ამბობ, რომ კლიმატურმა პირობებმა მონღოლთა ჯარი გადაღალა (Yakubovskiy, 1976:41). ჩვენი აზრით მონღოლებმა იცოდნენ, რომ ქალაქში შესვლა ჯარს წარმატებას ვერ მოუტანდა და ამიტომაც გადაიფიქრეს მისი დაპყრობა. ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილში ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მონღოლთა ჯარმა გეოგრაფიული პირობების გამო ბრძოლებზე უარი თქვეს.

ამგვარად, თურქ-მონღოლთა დაპყრობებით, თითქმის მთელი რუსეთი ბათო ხანის დაქვემდებარებაში მოექცა. დაპყრობის დროს, რუსეთში არსებული ანარქიის გამო მოშლილი იყო ქვეყნის შიდა უსაფრთხოება, რაც ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა. აქედან არმიის ნაწილი, უნგრეთისაკენ დაიძრა, სადაც ყუმანები იყვნენ გადასახლებულნი, ნაწილი კი პოლონეთის სამხრეთი ნაწილის გავლით სილეზიამდე მივიდა (Kurat, 2015:623-625). საინტერესოა 1241 წლის 9 აპრილს (Capraroiu, 2012:75) ლეგნიცას მახლობლად გერმანელების არმიასთან (Bretschneider, 1888:321; Kurat, 2015:623) 1241 წლისთვის მონღოლების დაპყრობილი, დასავლეთის ბოლო პუნქტი პოლონეთი იყო, სადაც ლეგნიცას ბრძოლაში ბათო ყაენმა პოლონეთის არმია და მისი მოკავშირეები დაამარცხა და წინსვლაც უნდა დაწყებულიყო (Rubruk, 2001:15). მონღოლებმა დაამარცხეს გერმანელები, თუმცა წინსვლა არ გაუგრძელებიათ და უნგრეთში დაბრუნდნენ. ბათოს დასავლეთში განხორციელებული ლაშქრობებით ცენტრალურ ევროპამდე მივიდნენ. დამპყრობელთა ძალების ერთი ფრთა ბალკანეთამდე დაწინაურდა და ადრიატიკის ნაპირებს მიუახლოვდა. ამგვარად, 1240-1241 წლების ლაშქრობები, ისტორიკოსთა საერთო თვალსაზრისით, სრული წარმატებით დასრულდა (Kurat, 2015:623; Kafalı, 1976:51). ფაქტიურად დაპყრობები 1240 წელს კი კიევის აღებით დამთავრდა, რადგან ბოლო წლების ლაშქრობები პოლონეთში, უნგრეთში, ავსტრიასა და დალმაციაშიც განხორციელდა, მხოლოდ ნგრევითა და ძარცვით შემოიფარგლებოდა. აღნიშნული ლაშქრობები 13 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. უამრავი გამარჯვების და ალაფის მიუხედავად მონღოლები დაიქანცნენ, რაც ბათოს, ოგედეის ვაჟ გოიუქსა და ჩაღათაის ვაჟ ბორუს შორის უთანხმოების დაწყების მიზეზი გახდა (M.G.T. I,2016:195-198). ზემოხსენებული მიზეზების გამო ლაშქრობის გაგრძლება შეწყდა (Kafalı, 1976: 51).

ბათო ყაენმა გაიგო თუ არა, დიდ ყაენი ოგედეის (1241 წლის 11 დეკემბერი) (Vasary, 2015:81; Kamalov, 2003:31) გარდაცვალების შესახებ, ახალი ყაენის არჩევაში მონაწილეობის მისაღებად უკან დაუბრუნდა (Gökbilgin, 1972:4). ესეც დაპყრობითი ომების შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი იყო. 1241 წლის მონღოლთა ლაშქრობებმა დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების უნგრეთის სამეფოზე, თუმცა ეს მათი ბოლო გაჩერება იყო. ბათო და მისი არმია თავიანთ მიწებს უბრუნდებოდნენ, გზად კი ყველას და ყველაფერს ანადგურებდნენ და ძარცვავდნენ. ბრძოლიდან გაქცეულ უნგრეთის მეფეს ბელა IV–ს, ქადანის მეთაურობით მონღოლთა არმიის ერთი ნაწილი (Képes, 1993:60) აედევნა და დალმაციაში შევიდა (Gökbilgin, 1972:4). წარუმატებელი დევის შემდეგ

სერბეთის გავლით ბულგარეთის მიწებს მიაღწია, ირგვლივ ყველაფერი გადაწვა, დაანგრია და გზა განაგრძო. თათართა არმიის მეორე ნაწილი კი ბათო ყაენის ბრძანებით მდინარე დუნაის გავლით ბულგარეთში შევიდა. ვასარი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ: „ბულგარეთი, თათართა დაპყრობებისა და ამით გამოწვეული შიდა არეულობის გამო კვლავ მესამე დაქვეითდა. ბათო ყაენს და მის ჯარს 1242 წელს ბულგარეთის გადაწვისა და დანგრევისას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მან მოძრაობა სამხრეთით გააგრძელა, სადაც ბიზანტიის იმპერატორ ბოლდუინ მეორესთან სერიოზულ წინააღმდეგობას შეხვდა. პირველი შეტაკება ბიზანტიელთა წარმატებით დასრულდა, მეორე კი მონღოლთა სასარგებლოდ. თათართა არმიაშემდეგ მათ აღმოსავლეთისკენ დაიხიეს. შეტაკების შესახებ ერთადერთი წერილობითი წყარო *ავსტრიული ქრონიკებია* (Chronicon Austriacum), აქედან გამომდინარე უცნობია, თუ კონკრეტულად სად მოხდა ბრძოლა **(Vasary, 2015:82)**. მკვლევრები, რომლებიც მონღოლეთის ისტორიაზე მუშაობენ, არ ეთანხმებიან იმ აზრს, რომ მონღოლთა დასავლეთის ლაშქრობების მიზანი ძარცვა იყო. რადგან, ასე რომ ყოფილიყო, 1236 წელს რუსეთში, ანუ იმ დროისათვის ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანას კი არა, ბევრად უფრო მდიდარი ირანსა და ბაღდადს დალაშქრავდნენ, რაც 1258 წლამდე გადადეს. ანუ, ევროპის ქვეყნებისკენ კი არა, სირიისკენ შემოაბრუნებდა ლაშქრობებს. მონღოლთა ლაშქრობები დასავლეთში, ისევე როგორც შუა აზიაში, ექსპანსიას ისახავდა მიზნად. მათ სურდათ სავაჭრო გზები ხელში ჩაეგდოთ და ამასთანავე მათ ოჯახებს შორის გადაენაწილებინათ მემკვიდრეობა და ტერიტორიები. მონღოლთა ლაშქრობების მთავარ მიზანს ქონების დაგროვება არ წარმოადგენდა, იგი ჰგავს თურქთა მისწრაფებებს მსოფლიო ბატონობისაკენ **(Özcan, 2017a:173).**

ბათოს უკან დახევასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ახალი ყაენის არჩევისთვის მოწვეული ყურულთაი გარკვეული უთანხმოებების გამო ხუთი წლით გვიან შეიკრიბა. როგორც უკვე ვახსენეთ ბორუს, გოიუქს და ბათო ხანს შორის არსებულმა უთანხმოებამ ლაშქრობების გაგრძელება შეაჩერა. ილიას ქამალოვის აზრით ეს იყო სრულიად „პოლიტიკური“ გადაწყვეტილება. ჰაფიზოვის აზრით, ბათო ხანი დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნებას ვეღარ ახერხებდა და სწორედ ამ მიზეზის გამო დაიხია უკან **(Kamalov, 2003:21)**. იაკუბოვსკი წერს, რომ ბათოს არმია რუსებთან ბრძოლის დროს დასუსტდა და დაპყრობითი ომებიც ამიტომ შეწყდაო **(Yakubovskiy, 1976:42; Gökbilgin, 1972:4)**. თუმცა ამ თვალსაზრისს ბევრი არ ეთანხმება, რადგან რუსებს, როგორც სხვებს მონღოლთა დასასუსტებლად ძალა არ შესწევდათ. მონღოლთა არმიას, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ხალხებისაგან შედგებოდა „მონღოლთა გაერთიანებული ლაშქარი“ ეწოდებოდა და რიცხობრივად რუსების სამთავროებზე ბევრად მეტნი იყვნენ. ბათოს უკან დახევის გადაწყვეტილება, შესაძლებელია სასურველი მიზნის მიღწევას უკავშირდებოდეს. ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი დაიპყრეს, სადაც არაერთ სამხედრო და პოლიტიკური ერთეულის არსებობას მოეღო ბოლო **(Kurat, 2015:623)**. დაპყრობითი ომების შეჩერების მიზეზი რაც არ უნდა იყო, ფაქტი ერთია, რომ მონღოლთა ლაშქრობები ოგედეის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა. ამის შემდეგ ცალკეული ტერიტორიების მფლობელი მონღოლი ხანები და უფლისწულები შექმნილ არეულობას თავიანთ

სასარგებლოდ იყენებდნენ.[16] ლაშქრობების შემდეგ, 1241 წელს, ბათო ყაენმა ყივჩაღთა ველის, ხვარაზმის, ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის და ვოლგის ბულგართა ტერიტორიებზე ოქროს ურდოს სახით ერთიანი პოლიტიკური ერთეული შექმნა (Kamalov, 2003:21). ეჭვგარეშეა, რომ ახალდაარსებული სახელმწიფოს მთლიანობის დაცვის მიზნით, ყარაყორუმში მყოფი დიდი ყაენი სცნო და მას დაექვემდებარა (Kurat, 2015:623). ახალ დაარსებული პოლიტიკური ერთეული „ავტონომიურ სტრუქტურას" წარმოადგენდა. ბათო ყაენის გარდაცვალებამდე (1255 წ.), ოქროს ურდოს გაერთიანება საშინაო საქმეებს დამოუკიდებლად მართავდა, საგარეო საქმეებს კი დიდ საყაენოსთან შეთანხმებით ასრულებდა. სამხრეთ კავკასიში ოქროს ურდოს არმია მოქმედებდა. ოქროს ურდოს სახელმწიფო ამ პერიოდში მაინც დიდ საყაენოს ექვემდებარებოდა. სამეცნიერო ნაშრომებში ძირითადად გავრცელებულია აზრი, რომ სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში ლაშქრობები არა ოქროს ურდოს, არამედ დიდი საყაენოს ჯარის მხრიდან ხორციელდებოდა.

საჭიროდ ჩავთვალეთ ოგედეის ვაჟს გოიუქ ხანსა და ბათო ყაენს შორის არსებული შუღლი ცალკე ქვეთავში განგვეხილა. ოგედეი ყაენის გარდაცვალების შემდეგ, არსებული უთანხმოებების გამო, ახალი ყაენის არჩევა დიდ ხანს ვერ მოხერხდა. ოგედეი ტახტის მემკვიდრედ მის ვაჟს ქოშის მოიაზრებდა, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო მისი ვაჟის, შირამუნის ტახტზე აყვანა გადაწყვიტა. შირამუნი მცირეწლოვანი იყო და ამის გამო ოგედეის ცოლს ტურაკინას და უხუცესებს ყაენად ოგედეი ყაენის ვაჟის, გოიუქის არჩევა უნდოდათ. ბათო ხანს კი, ყივჩაღთა ლაშქრობების დროს გოიუქ ხანთან დაძაბული ურთიერთობის გამო, ყურულთაიზე, წასვლა არ უნდოდა, რადგან იცოდა ყაენად სწორედ გოიუქ ხანს აირჩევდნენ (Kafalı, 1976:51; Kamalov, 2003:31). ამასთანავე ბათოს სამხედრო ძალას მონღოლთა პოლიტიკაში მყარად არ ჰქონდა ფეხი მოკიდებული. მას მხოლოდ მონღოლთა არმიის და ტომების მეთაურთა ერთი ნაწილი ემორჩილებოდა (Kamalov, 2003:31). ეს მიზეზი იყო იმისა, რის გამოც ბათო ხანს ყურულთაიზე დასწრება არ სურდა.

ხუთი წლის შემდეგ 1246 წლის აგვისტოში ახალი ყურულთაი მოიწვიეს, სადაც ბათო ყაენმა მის ნაცვლად ყურულთაიზე ძმები გააგზავნა (Hebraeus, 1950:546; Kafalı, 1976:51). ყაზვინი წერს, რომ ყურულთაი 1245 წელს ჩატარდა (Kazvinî, 2018:476). ამ ყურულთაის და შემდეგ მენგუ ხანის დიდ ყაენად არჩევის შეკრებას, ბერკე ხანიც ესწრებოდა (Konukçu, 1992:506). ყურულთაის ესწრებოდა, ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს სულთნის იზედინ ქეიქავუსის ძმა ქილიჩ ასლანიც (Kuşçu, 2017:91). ყრლობაზე, სადაც გოიუქი ყაენად უნდა აერჩიათ საქართველოს სამეფოდან დავით ნარინი და დავით ულუ ესწრებოდნენ (İbri, 1941:22; Hebraeus,1950:546) ამასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით მომდევნო ქვეთავში ვისაუბრებთ.

მიუხედავად იმისა რომ, ბათო ხანი მოლაპარაკებული იყო ტულუი ხანის ვაჟ მენგუ ხანითან და მხარსაც მას უჭერდა, ყურულთაიზე ყაენად გოიუქ ხანი აირჩიეს

[16] რუბრუკის მოგზაურობის წიგნის „მონღოლთა დიდი ხანი" მთარგმნელის ჰანს დ. ლეიჩტის წინაწიტყვაობიდან (Rubruk, 2001: 15).

(Kamalov, 2003:31). რადგან ბათომ ამ არჩევნებს მხარი არ დაუჭირა და ყურულთაისაც არ დაესწრო, გოიუქ ხანის ტახტზე ასვლის შემდეგ მათ შორის შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. გოიუქის ხანმოკლე ბატონობა ცნობილია ბათოსთან ბრძოლით და საქართველოსა და ბერძენთა მიწებზე ახალი ღონისძიებებით **(Jackson, 2002:410-411).** ელ–ომერი გოიუქ ხანს ცუდ, თავკერძა პიროვნებად ახასიათებს **(el-Ömeri, 1941:394)**. ბათოსა და გოიუქ ხანს შორის ურთიერთობას კი შემდეგნაირად აღწერს: ,,გოიუქ ხანმა, ამირა ელჩიგიტაი აზერბაიჯანის რეგიონში გააგზავნა, რათა ბათო ხანის მიერ დანიშნული გამგებლები დაეჭირა მისთვის გაეგზავნა. ელჩიგიტაის ამ რეგიონში გაგზავნის და საკმაოდ დიდი უფლებების მინიჭების მიზეზი, ბათოს მიერ აზერბაიჯანსა და საქართველოში პოლიტიკური უფლებების მითვისება იყო **(Yuvalı, 1994:94).** ელჩიგიტაის მოსვლის შესახებ გაიგეს თუ არა ბათოს ხელდასმულმა გამგებლებმა, არ იცოდნენ თუ როგორ მოქცეულიყვნენ და ბათოს წერილი გაუგზავნეს. პასუხის მოლოდინში მყოფნი ელჩიგიტაიმ მიაღწია და დაატყვევა ისინი. ამ დროს ბათოსგან პასუხი მივიდა, რის მიხედვითაც გამგებლების მხარდამჭერები მოქმედებაზე გადავიდ-ნენ და დატყვევებული გამგებლები გაანთავისუფლეს, ელჩიგიტაი კი შეიპყრეს და ბათოს მიჰგვარეს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ბათომ ელჩიგიტაი წყალში მოხარშა და შეჭამა **(el-Ömeri, 1941:394-395; Kamalov, 2003:32)**. ბათოს საქციელმა გოიუქ ხანი განარისხა, რომელმაც 600 ათასი ცხენოსანი შეკრიბა მის წინააღმდეგ. ბათომდე 10 დღის სავალიღა იყო დარჩენილი, როდესაც უცაბედად გოიუქ ხანი გარდაიცვალა.

ჯუვეინის მიხედვით, ბათო ხანი ბულგარეთის გავლით გოიუქ ხანის დასახვედ-რად გაემართა, მაგრამ ქაიალიქამდე 7 დღის სავალზე გოიუქ ხანის გარდაცვალების შესახებ შეიტყო და იქვე დაბანაკდა **(Cuveynî, 2013:459).** გოიუქ ხანის გარდაცვალების შემდეგ მისმა ცოლებმა და ამირებმა ბათოსთან მიმოწერით საერთო ენა გამონახეს და გადაწყვეტილებაც მიიღეს. მათ ბათოს წერილი გაუგზავნეს, სადაც წერდნენ, რომ გოიუქ გარდაცვალების შემდეგ ტახტისთვის შესაფერისი მხოლოდ ბათო იყო და უკვე შეეძლო მისი სურვილისამებს ემოქმედა. საპასუხო წერილში ბათო ტახტზე უარს ამბობდა და წერდა, რომ მის დასაკავებლად ტოლუის ვაჟს გაგზავნიდა. ვინც ამ გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგებოდა მოკვლით ემუქრებოდა. ამგვარად, ტახტზე ტოლუის ვაჟი მენგუ ყაენი ავიდა, რომელსაც ბათო თავიდანვე მხარს უჭერდა **(el-Ömeri, 1941:395)**. ყარაყორუმ-ში ტოლუის ვაჟები ყუბილაი ხანი და ჰულაგუც წავიდნენ. მენგუ დიდ ყაენად 1251 წლის ივლისის დასაწყისში აირჩიეს **(Kamalov, 2003:32)**, ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით მოწინააღმდეგეებმაც წინააღმდეგობა შეწყვიტეს და ეს ამბავიც ასე დასრულდა **(el-Ömeri, 1941:395).** მენგუ ყაენი ბათოს მხარდაჭერით ტახტზე ყოველგვარი გართულების გარეშე ავიდა. გოიუქ ხანის გარდაცვალების შემდეგ, ყურულთაიზე ბათო ხანს, როგორც ყველა-ზე ხნიერსა და მცოდნეს, სთხოვენ დაასახელოს მომავალი ყაენი **(Kamalov, 2003:32)**. ამ საკითხს ელ-ომერი მოკლედ მიმოიხილავს, ჯუვეინის „სამყაროს დაპყრობის ისტორია“ ბათოს სიტყვით გამოსვლის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მას უთქვამს: *„ამოდენა ქვეყნის მართვას, უამრავი პრობლემის გადაჭრას, ქვეყნისთვის გაჭირვების აცილებას, მხოლოდ ჩინგიზ ხანის დარი, გამოცდილი, კამათში მუდამ ჭეშმარიტი არგუმენტებით გამარჯვებული, ჩინგიზ ხანის შთამომავალი მენგუ ხანი შეძლებს“*

(Cuveynî 2013:461; Kamalov, 2003:32-33). ელ-ჯუზჯანი, თავის წიგნში რამდენიმე წინადადებით გადმოგვცემს, რომ ყველა მონღოლი მმართველი ბათოს ემორჩილებოდა და უყურებდა როგორც მის მამას ჯუჩის. გოიუქის *„ამ ქვეყნიდან ჯოჯოხეთში გადასახლების“* შემდეგ, ჩაღათაის შვილების გარდა ყველა ბათოს მმართველობას უჭერდა მხარს. ბათომ მმართველობის სადავეების ასაღებად ტახტზე ასვლაზე უარი განაცხადა და მენგუ აიყვანა ტახტზე **(el-Cûzcânî, 2016:136-137).**

კირაკოსი ამ ამბებს სრულიად სხვაგავრად მოგვითხრობს. მისი თქმით, ბათოს მენგუ ხანის ტახტზე ასვლა სრულებით არ სურდა, მაგრამ იძულებული გახდა და, როდესაც საკუთარ სამფლობელოში დაბრუნდა აუჯანყდა მას **(Kiragos, 2009:66)**. თუმცა, აჯანყების შესახებ ცნობებს სხვა წყაროებში არანაირი ცნობა არ გვხვდება. მომდევნო თავებში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ მენგუს მმართველობის დასაწყისზე და მის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მისი ძმები ყუბულაი ჩინეთში, ჰულაგუ კი ახლო აღმოსავლეთში გააგზავნა. ხორასნის, ინდოეთის, ერაყის, სპარსეთის, ქირმანის, ლორის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოსულისა და დამასკოს ამირად არღუნი გააგზავნა **(İbri, 1941:25).**

ქართულ-მონღოლური ურთიერთობები 1227-1243 წლებში

ქვემოთ ვისაუბრებთ, ბათო ყაენის მიერ ოქროს ურდოს სახელმწიფოს მართვის დროს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მონღოლთა ფაქტორის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ოქროს ურდოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ცენტრალური ყარაყურუმის დიდ საყაენოს ექვემდებარებოდა და იმის გარკვევა თუ რომელი გაერთიანების ჯარი მონაწილეობდა ამ პერიოდის ამა თუ იმ ლაშქრობაში შეუძლებელია. როდესაც დიდი ყაენის ბრძანებით ბათო ხანმა აღმოსავლეთ ევროპაში მოქმედება დაიწყო, კავკასიის რეგიონში მონღოლთა არმიის ნაწილი გაგზავნეს. ხეთუმის ისტორიის მიხედვით, ჯალალედინის გარდაცვალების შემდეგ, ოგედეი ხანის ბრძანებით აზიის დასაპყრობად 10 ათას კაციან მონღოლთა არმიას **(Het'um, 2004:38)** ჩარმაღანი ჩაუდგა სათავეში, რომელიც კავკასიის საზღვრებისაკენ დაიძრა. ამ რეგიონში მონღოლები მეორედ გამოჩნდნენ. კავკასიაში მონღოლთა მოქმედებები ბათო ხანის მოქმედებასთან შედარებით საგრძნობლად ნელი იყო. ამის მიზეზი კავკასიის მთაგორიანი რელიეფი იყო **(Spuler, 2011:45).**

ჯალალედინმა, 1227-1228 წლებში ლორეს მახლობლად, მინდორში (ადგილის სახელწოდებაა) ივანეს სარდლობით ქართველთა ლაშქარი მესამეჯერ დაამარცხა. სამხრეთ კავკასიაში განხორციელებულმა ამ თავდასხმებმა, აზერბაიჯანში სულთანის ძალაუფლება უფრო განამტკიცა **(Grousset, 2006:295-296)**. დიდი ხანი არ იყო გასული, ქართველების, სომხების, ალანების, ლაზების, საბირების და ყივჩაღების 40 ათასიანი გაერთიანებული ჯარი ივანეს მეთაურობით ხვარაზმთა ჯარს ბეთაქის ტბასთან შეხვდა. ქართველთა ლაშქრის რაოდენობა ხვარაზმშაჰის ლაშქარს აღემატებოდა. ისლამური წყაროების მიხედვით, ეს ბრძოლა ხვარაზმშაჰის გამარჯვებით მისი ჭკვიანური ტაქტიკის გამო დამთავრდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 20 ათასიანი ყივჩაღთა ჯარი **(Taneri, 1993:67)** ჯელალედინმა ბრძოლის გარეთ დატოვა. ქართველების დამარცხებაში ამ ფაქტმა დიდი როლი ითამაშა. ყივჩაღთა და ქართველთა კავშირის გაწყვეტა ბრძოლის ველზე

დამარცხების ერთ-ერთი მათავარი მიზეზი იყო (Turan, 2004:126). ჯალალედინი ქართველების, სომხებისა და მცირე აზიის ხალხთაგან შემდგარი გაერთიანების დამარცხების შემდეგ თბილისში დაბრუნდა. მოგვიანებით კი გაგის, შექანის და აღზევანი მსგავსი გამაგრებული ციხეები აიღო (Taneri, 1993:67). ჯალალედინმა გამარჯვების შემდეგ ივანე ათაბაგს ანისი და ყარსი წაართვა (Turan, 2004:127).

თბილისის აღების შემდეგ, ხვარაზმშაჰმა, 1230 წ. იასი ჩემენის ბრძოლაში დამარცხებამდე, თბილისი მის სამფლობელოებს დაუქვემდებარა და ამ რეგიონში ახალი სახელმწიფო შექმნა.

ჯალალედინმა 1225-1230 წლებში დედაქალაქი თბილისი, სომხეთი, ქართლი, თრიალეთი და სამცხე-ჯავახეთი, არტაანი, ტაო, კარნიფორი და ანისი დაიპყრო. მაგრამ ამ დროს უფრო ძლიერი და ორგანიზებული მონღოლთა იერიში დაიწყო. ოგედეი ყაენის ბრძანებით ჩარმაღანი, ბენალი და მულარი კვლავ დაიძრნენ არანისა და საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ და ხელთ იგდეს სხვადასხვა ქალაქი და ციხესამაგრე (Subaşı, 2015:45-46). გრიგორის ცნობით, ამის შესახებ ბრძანება ჩინგიზ ხანმა გასცა, თუმცა ფაქტია, რომ ის ამ დროს ცოცხალი აღარ იყო. დიდი ყაენის ბრძანებით სამმა მეთაურმა აღვანსა და საქართველოზე გაილაშქრა, რის შედეგადაც მოახერხეს სხვადასხვა ქალაქებისა და ციხესიმაგრეების დაპყრობა. ჩარმაღანმა, ბენალმა და მულარმა განჯის მახლობლად მდებარე შამქორის დაპყრობის შემდეგ, ძეგამი, ქარჰერძი, მეფის რეზიდენცია - გარდმანის ციხე, ერგევანქი, მაწნაბერდის ციხესიმაგრეები აიღეს. ალყაში მოაქციეს და დაიპყრეს სულთნის რეზიდენცია ტავუში, ტერუნაკანი და ნორბერდი (Grigor, 2012:24). ქართული ქრონიკა ამ მოვლენებში მონაწილე ოთხ ნოინს ასახელებს, ჩარმაღანი, ჩაღატარი, იოსური და ბიჩუი (Honigmann, 2001:269). ჩარმაღანი საქართველოში 1232 წელს შეიჭრა. ამ პერიოდში სომხეთი საქართველოს ექვემდებარებოდა, მონღოლებმა კი სომხეთი დაიპყრეს. მომდევნო წელს კი ქალაქი განჯა აიღეს (Spuler, 2011:45; Tokuş, 2017:179). ვარდანი, ჩარმაღანის საქართველოში შეჭრას 1225 (Vardan, 2017:96) წელს მიაკუთვნებს, თუმცა ეს თარიღი არასწორია. მხიტარ აირივანტესის ქრონიკაში მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობისა თარიღად 1236 წელი მოიაზრება, ისტორიკოსი საქართველოს მეფისა და სომეხი უფლისწულების გაქცევის შესახებ გვაწვდის ცნობებს (Ayrivanetsi, 2005:166).

მონღოლთა შემოსევებმა აღმოსავლეთი დასახლებები სრულიად გაანადგურეს. საქართველოში მონღოლთა მეორე შემოსევის დროს ხსენებულმა ნოინებმა დაპყრობილი ტერიტორიები გაინაწილეს. წყაროებში ნოინთა სახელებისა და ტერიტორიების გადანაწილების შესახებ განსხვავებული ცნობებია. ვარდანი სხვებისგან განსხვავებით ექვს ამირას ახსენებს (Vardan, 2017:96). აქნერლი გრიგორი მხოლოდ სამს ჩარმაღანს, ბენალს და მოლარს (Grigor, 2012:25-30). მონღოლებმა ქართლი, სომხეთი, არტაანი დაიპყრეს და გარშემო ქვა ქვაზე არ დატოვეს (Allen, 1971:113). კირაკოსი რეგიონში ამ მეთაურების მოქმედების შესახებ უფრო სრულყოფილ ცნობებს გვაწვდის. 1233 წ. განჯის დაპყრობიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მონღოლებმა, სომხეთი, საქართველო და აღვანი ნაწილ–ნაწილ გაინაწილეს. ამ ტერიტორიების ნაწილები ყველა მეთაურს ხვდა წილად. მეთაურთა მოვალეობას, გადანაწილებულ რეგიონებში შემავალი ქალაქების, სოფლების, ციხე-

სიმაგრებისა და სხვ. დაპყრობა და განადგურება წარმოადგენდა. ყოველ მეთაურს თავისი არმია ექვემდებარებოდა. არმიის თითოეული წევრი, ამ რეგიონში ცოლებთან და შვილებთან ერთად ბანაკდებოდა. ყანები და ნათესესბი, მთელი სიმწვანე ცხოველებსა და აქლემებს შეაჭამეს (Kiragos, 2009:23).

მეორე მხვრივ, საქართველო მხოლოდ მონღოლებთან არ უწევდა ბრძოლა. 1232 წელს მონღოლები, რომლებიც აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში, სივასსა და ერზურუმში გამოჩნდნენ, ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს მოსვენებას არ აძლევდნენ. იბნ ბიბის გადმოცემით, მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველმა ალაედინ ქეიყუბადმა, რუსუდან დედოფლის მიერ მონღოლთა წაქეზებისა და პროვოცირების ამბავი რომ შეიტყო, მხედარმთავრებს ქემალედინ ყამიარს და მუბარიზედინ ჩავლის საქართველოში სალაშქროდ მზადება უბრძანა (İbn Bibi 1, 1996:420-421; Uyumaz, 2003:68). იბნ ბიბი აქვე დასძენს, რომ სულთანს არასაკმარისი ქვეითი ჯარი ჰყავდა, რის გამოც 5 ათას მეომარზე მეტი იქირავა. საქართველოში შემოჭრისას 30 ციხესიმაგრე (სახელწოდებები ცნობილი არ არის) აიღეს, იქედან კი გაგის მხარეს გადავიდნენ და ხელთ იგდეს. იბნ ბიბი სხვა ავტორებისაგან განსხვავებით რუსუდანს ქებით ამკობს და „ქვეყნის ზედგამოჭრილ მმართველს“ უწოდებს. რუსუდან სელჩუკთა ჯარის შემოჭრის გამო სათათბირო დარბაზი მოიწვია. ქემალედინ ყამიართან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით მიმოწერა დაიწყო. სელჩუკებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად რუსუდანმა მისი ქალიშვილის, თამარის ხელი შესთავაზა ყიასედინ ქეიხუსრევს (İbn Bibi 1, 1996:420-421). ქემალედინ ყამიარმა ამ შეთავაზების მიღების შემდეგ გაგისა და ნიხახის მხარეების 30–40 დაპრობილი ციხიდან ჯარისკაცები გაიწვია და მოპოვებული ნადავლითა და რუსუდანის შეთავაზებით სულთანთან გაგზავნა. სელჩუკთა სულთანი რუსუდანის წინადადებას სიხარულით შეხვდა და თანხმობა განაცხადა (İbn Bibi 1, 1996:424). ამასთანავე, ბრძანა საქართველოზე შეტევები შეეწყვიტათ. ქემალედინ ყამიარი სულთნის ბრძანებას დაემორჩილა, საქართველო დატოვა და ერზინჯანისკენ აიღო გეზი (Uyumaz, 2003:69). ანატოლიის სელჩუკთა დედაქალაქში, რუსუდანის ქალიშვილ თამართან ერთად ლაშა–გიორგის ვაჟი დავითიც გაემგზავრა. 1238 წელს თურქეთის ისტორიაში „გურჯი–ხათუნად“ წოდებული თამარი და ყიასედინ ქეიხუსრევ II დაქორწინდნენ. სულთანმა თამარს პირობა მისცა, რომ მის აღმსარებლობას–ქრისტიანობას არსოდროს შეეხებოდა. თამარი საქორწინო ცერემონიალზე სასულიერო პირებთან და ეკლესიის მსახურებთან ერთად გამოცხადდა (Peacock,Yıldız,2018:105). ქართველებისა და ანატოლიის სელჩუკების პოლიტიკური ქორწინების დროს თამარის გვერდით მისი ბიძაშვილი დავითიც იყო. მიუხედავად იმისა რომ რუსუდანს მის მოკვლა ჰქონდა ნაბრძანები, თამარი მას მფარველობდა (K.TS, 2014:328) რუსუდანს ტახტი მისი ვაჟისთვის დავითისთვის უნდოდა, რის გამოც, ძმიშვილის თავიდან მოშორებას ცდილობდა. საქართველოს დედოფალი რუსუდანი მონღოლთა მეორეჯერ შემოჭრის დროს იძულებული გახდა ციხესიმაგრისთვის შეეფარებინა თავი (Spuler, 2011:45; Honigmann, 2001:269). ეს ციხე სავარაუდოდ რიონის აუზში მდებარეობდა (Allen, 1971:113. Honigmann, 2001:269). ბრძოლის დროს რუსუდანის მიერ თბილისის დატოვებასა და ქუთაისში გადასვლასთან დაკავშირებით წყაროებში

ზოგადი ცნობებია გადმოცემული (Allen, 1971:113). მეფე ხუთი წლის განმავლობაში ქუთაისში მძიმე პირობებში ცხოვრობდა (K.TS,2014:327)

სამშვიდობო შეთანხმება ქართველებსა და მონღოლებს შორის

მონღოლების გამანადგურებელი შემოსევების შედეგად ადგილობრივი მოსახ-ლეობა და ფეოდალები თავიანთ საკუთრებაში არსებულ გამაგრებულ ადგილებს შეეხიზნენ. წყაროები ცხადყოფს, რომ მონღოლთა ლაშქრობებით რეგიონმა დიდი წნეხი განიცადა. კირაკოსის გადმოცემით, სარგებლობდნენ რა ამ დროს ილდენიზის სამთავრ-ოში არსებული არეულობით, ხშირად ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ მას (Kiragos, 2009:24).

მოვლენების ბოლოს ქართულ-მონღოლურ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. 1243 წელს გამოცდილმა დიპლომატმა ავაგ ივანეს ძემ (Kiragos, 2009:66) მონღოლებთან შეთანხმების დადება მოახერხა (Allen, 1971:113). მთავარსარ-დალი ივანე ათაბაგი 1227 წელს გარდაიცვალა (Stepanos, 2005:65), ის ,,ბეგე ნაცახანაკის" ტაძარში დაკრძალეს. კირაკოსის ცნობით, ივანე ათაბაგმა თავის დროზე ეს ადგილი სომხებს წაართვა და ქართველებისთვის აღადგინა. მამის გარდაცვალების შემდეგ ავაგმა მთავრის ტიტული მიიღო და მისი ადგილი დაიკავა (Kiragos, 2009:23). ავაგი მონღოლე-ბთან შეთანხმებამდე კაენის ციხე-სიამგრეში ცხოვრობდა (Kiragos, 2009:33; Subaşı, 2015:52). სხვა მოწინავე ქართველები ზაქარიას ძე შაჰინშაჰი აჭარაში, ვაჰრანი კი ქუთაის-ში გაიხიზნა (Subaşı, 2015:52). კირაკოსი ავაგისა და თათრების ბრძოლას დაწვრილებით გადმოგვცემს. მისი ცნობით, ადგილობრივმა მოსახლეობამ მონღოლთა თავდასხმების დროს თავი ავაგის ციხეს შეაფარა, მონღოლებმა ციხეს ალყა შემოარტყეს. ავაგთან მოლაპარაკება ისურვეს, ავაგმა კი მონღლებს მისი ასული და განძი გადასცა. მონღოლები ძღვენს დათანხმდნენ, თუმცა დაჟინებით მოითხოვეს ავაგის მათთან მარტო მისვლა. ციხესიმაგრეში მოსახლეობა წყურვილით კვდებოდა. ოქროსა და საქონელს მონღოლებს წყლის სანაცვლოდ აძლევდნენ. ციხესიმაგრიდან გამოსულ ხალხს მონღოლები სასტიკად ეპყრობოდნენ. იხილა რა ავაგმა ეს ყველაფერი, მონღოლებს საკუთარი ნებით ჩაბარდა. ჯერ სასახლის მოურავი გრიგორი გაუგზავნა ჩარმაღანს ელჩად, შემდეგ კი თავად მივიდა (Kiragos, 2009:35). სტეფანოსის ქრონიკაში ამ ამბავზე მწირ ცნობებს ვხვდებით. 1236 წელს მონღოლებმა ყარსი, ანისი (Solmaz, 2006:131-148), ლორე და სხვა ქალაქები დაიპყრეს, ავაგი თავისსავე ციხესიამგრეში დაატყვევეს და წაიყვანეს (Stepanos, 2005:66).

პირველი მონღოლურ-ქართული სამხედრო შეთანხმება ქალაქ ანისში დაიდო (Subaşı, 2015:55). კირაკოსის მიხედვით, მონღოლები ყარსის დაპყრობის დროს, ადგილო-ბრივი ქართველი მოსახლეობის მიმართ კეთილგანწყობას გამოხატავდნენ. ამ მოვლენე-ბის შემდეგ, ავაგი, მონღოლთა საიმპერატოროს დედაქალაქში, დიდ ყაენ ოგედეისთან წაიყვანეს. ავაგმა დიდ ყაენთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა, უფრო მეტიც, ყაენმა ის მონღოლ ქალზე დააქორწინა და უკან სამშობლოში გამოუშვა (Kiragos, 2009:38-39). ავაგის საქართველოში დაბრუნებისას, მან მოახერხა აჯანყებული მთავრები და ხალხი დაეშოშმინებინა და მონღოლებთან სამშვიდობო შეთანხმება დადო. შაჰინშაჰი და გაგის მმართველი ვაჰრამი სხვა მთავრების მსგავსად მონღოლებთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მიესალმებოდნენ. ამ მდგომარეობაში ივანე ჯაყელმა დახმარებისთვის

რუსუდანს მიმართა. რუსუდანმა მონღოლთა ხანთან შეთანხმების დადება ურჩია, რის შედეგადაც მოაწერა ხელი სამშვიდობო შეთანხმებას (Subaşı, 2015:56-57). ბარტოლდ სპულერი ავაგ მხარგრძელს „ცნობილ მეომრად და საქართველოს მბრძანებლად“ მოიხსენიებს (Spuler, 2011:46). საქართველოში ცენტრალური ხელისუფლება ფაქტიურად მოშლილი იყო, ამიტომაც მისი ასე მოხსენება გასაკვირი არ არის.

მონღოლები ქართველი მუდმივად ითხოვდნენ გადასახადებს, მიჰყავდათ მეომრები, ცხენები, მიჰქონდათ ძვირფასი ტანსაცმელი, რამაც ისინი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ჩაღათაისა და ავაგს შორის შუღლის ჩამოვარდნით ავაგი შეშინდა რომ მოკლავდნენ და რუსუდანთან გაიქცა. მონღოლები ავაგის გაქცევის გამო შეწუხრდნენ და უკან დაბრუნება სთხოვეს. საჩუქრები და წერილიც კი გაუგზავნეს. ელჩი თუნგუზ–აღა გაუშვეს, რათა ავაგს და რუსუდანს ეცნოთ ყაენის ძალაუფლება. მათ მიიღეს ეს წინადადება. კირაკოსის ცნობით, რუსუდანმა თავის ვაჟს - დავითს თავზე ახალი გვირგვინი დაადგა ისიც ამ შეთანხმებაში ჩართო (Kiragos, 2009:39-41). შეთანხმების მიხედვით მონღოლები ლაშა–გიორგის ძეს დავითს, რომელსაც გვირგვინი მცხეთაში დაადგეს, ყარაყურუმში უნდა წაეყვანათ. ავაგ მხარგრძელი კი ქართლისა და თბილისის მართვის სადავეებს აიღებდა ხელში და სამხრეთ მონღოლეთის ცენტრში, ბათოს სამყოფელში, სარაიში სამხედრო ძალას გაგზავნიდა (Allen, 1971:113). გრიგორი განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კონკრეტულ თარიღს არ ასახელებს. მის ნაშრომში არც ავაგის სახელი ჩანს. იგი წერს, რომ მონღოლთა შემოტევების შემდეგ, სომეხმა და ქართველმა მთავრებმა მათთან სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი. მათ ქონებისა და სანოვაგის ბეგარა დაეკისრათ და ცხენოსნები უნდა გაეგზავნათ იქ, სადაც მონღოლები მოითხოვდნენ (Grigor, 2012:25), ანუ ჯარით უნდა დახმარებოდნენ. რუსუდანისა და ბათო ყაენის ამ შეთანხმების მიხედვით, ქართველებს მონღოლთა ყაენის უმაღლესი ხელისუფლება უნდა ეცნოთ, აღმოსავლეთ საქართველოში, ქვეყნის მართვისას, საქართველოს მეფესთან ერთად მონღოლ მეთაურებსა და ჯარისკაცებს უნდა ჰქონოდათ ჩარევის უფლება. დასავლეთ საქართველო ჯერ–ჯერობით დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, თუმცა ქართველებს ყოველწლიურად 40.000[17]–50.000 პერპერა უნდა გადაეხადა. და ბოლოს, მონღოლებს რუსუდანის ვაჟი დავითი აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ უნდა ეცნოთ (Berdzenişvili, Canaşia, 1997:167). ამ პერიოდის წყაროების მიხედვით ქართულ ჯარს მონღოლთა ლაშქრობებში უნდა მიეღო მონაწილეობა. ამ შეთანხმებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 1243 წელს ქოსედაღის ბრძოლაში ანატოლიის სელჩუკების წინააღმდეგ (Grigor, 2012:34) მონღოლთა ლაშქრის მარჯვენა ფლანგზე ქართული ჯარი იბრძოდა.

შეთანხმების შემდეგ, საქართველოდან მთავრები ბათო ხანთან, იქიდან კი დედაქალაქში მდებარე დიდ ხაკანთან გაგზავნეს და იძულებულნი იყვნენ წლების განმავლობაში იქ დარჩენილიყვნენ (Honigmann, 2001:269). შეთანხმების მიხედვით, მონღოლები ლაშა–გიორგის ძე დავითს, მცხეთაში მეფედ კურთხევის შემდეგ ყარაყურუმში წაიყვანდნენ. მართლაც, დავითი ჯერ ბათო ყაენთან, შემდეგ კი ყარაყურუმში

[17] 1230-1245 წწ. გადასახადის რაოდენობაა (Spuler, 1957:354).

გაემგზავრა (K.TS, 2014:332; Honigmann, 2001:269). ქართლის ცხოვრების მიხედვით, ავაგმა ქართლისა და თბილისის მართვის სადავეები აიღო, რომელიც სამხრეთ მონღო-ლეთის დედაქალაქსა და სარაიში მხარდამჭერი ლაშქარი უნდა გაეგზავნა (Allen, 1971:113).რუსუდანი დავითის წასვლის შემდეგ ლიხიდან თბილისში გაემგზავრა და საქართველოს სამეფო ავტორიტეტი კვლავ მოიპოვა (K.TS, 2014:335). მიუხედავად ამისა 1239 წლიდან, შეთანხმების საფუძველზე, საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა (Subaşı, 2015:59). ქვეყანაში ორი პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბდა. დასავლეთ საქართველოზე ერთის მხვრივ კავკასიის ჩრდილოეთ ქვეყნების მფლობელი ბათო ყაენი და მეორეს მხვრივ ირანის ილხანები აცხადებდნენ უფლებამოსილებას (Honigmann, 2001:269). დამარცხების შემდეგ, ირანსა და მეზობელ რეგიონში არეულობის გამო კავკასიაში დაპყრობილ ტერიტორიებზე ბათომ თავისი მმართველობა გამოაცხადა და პოლიტიკურ თუ საშინაო საქმეებშიც აქტიურად ერეოდა (Spuler, 2011:46). ვარდანის ცნობით 1242 (Vardan, 2017:100-101), ხოლო გრიგორის მიხედვით 1239 წლიდან (Grigor, 2012:33), ჩარმაღანის შემდეგ, საქართველოს ბაიჯუ ნოინი მართავდა. ამ დროიდან საქართველოს სამეფო ოჯახის ბედი ჩინგიზ ყაენის ვაჟებისა და შვილიშვილების ხელში იყო, რომელთა შორისაც მეტოქეობა დაიწყო (Allen, 1971:113). ბერქე ხანსა და ილხანთა საყაენოს შორის არსებული უთანხმოება მცირე ხანში საქართველოზეც აისახება.

რუსუდანისა და საქართველოს პრობლემებს პირველ რიგში ჯუჩის ვაჟი, ბათო ყაენი აგვარებდა, რადგან ჩრდილოეთით მოსაზღვრე ყივჩაღთა ველები ბათო ყაენის სამფლობელოს საზღვრებში შედიოდა. მამისგან მემკვიდრეობით დარჩენილი ტერიტო-რიებზე, მიუხედავად იმისა, რომ ახალი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა, დედაქალა-ქისგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს ვერ იღებდა. პოლიტიკური ერთეული, რომლის დასავლეთი საზღვრები ბულგარეთის და აღმოსავლეთის საზღვრები ხვარაზ-მის ჩათვლით ვრცელდებოდა, რომელმაც ჩრდილოეთში რუსთა წინააღმდეგობა გატეხა, ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა დაპყრობილი ტერიტორიების მართვას. ბათოს მმართველობა სამხრეთით ყირიმამდე და ჩრდილოეთ კავკასიამდე ვრცელდებოდა. ოგედეის დროს მონღოლთა მიერ დაპყრობილ ტრანსკავკასიასა და ოგედეის ცოლის მმართველობის პერიოდში დაპყრობილ მცირე აზიის სელჩუკთა სასულთნოს მიწებზე ბათო ყაენის მმართველობა არ ვრცელდებოდა. თუმცა, ამ რაიონში მყოფ მონღოლთა არმიას, ჩინგიზ ხანის შთამომავალი ნოინები მართავდნენ. ასე რომ, ამ კუთხითაც ბათო ყაენი ზემოხსენ-ებულ რეგიონთან ყველაზე ახლოს მყოფი და გამოცდილი მმართველი იყო (Vernadsky, 2015:177). ბათომ რუსეთის დამორჩილების შემდეგ, ირანის რეგიონში არეულობის გამო, კავკასიაში დაპყრობილ მიწებზე ბატონობა გაამყარა და აქ განვითარებულ მოვლენებში აქტიურად იყო ჩართული (Spuler, 2011:46). მართალია, ამ პერიოდში ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკა ცენტრალურ ყარაყურუმზე იყო დამოკიდებული, მაგრამ რუსუდანმა შეთანხმება ბათო ყაენთან დადო რაც, იმას ნიშნავს, რომ აქ მყოფი მონღოლთა არმია ოქროს ურდოს სახელმწიფოს ემორჩილებოდა. ამავე მიზეზების გამო, მცირე ხნის შემდეგ რეგიონში განვითარებულ მოვლენებში ოქროს ურდოს გადამწყვეტი სიტყვის პრეტენზიას აცხადებდა.

საქართველოში საშინაო პრობლემები გრძელდებოდა. დავით ნარინის მონღოლეთში გამგზავრების გამო, მონღოლებს სურდათ რუსუდანის ქალიშვილ თამართან კონიაში მყოფი დავითის ულუს ტახტზე აყვანა. კირაკოსისა და გრიგორის გადმოცემით, დავით ულუ ვაჰრამმა მიუყვანა თათრებს და მოახსენა, რომ „ეს მეფის ვაჟია. ტახტზე სამართლიანად ასვლის უფლება რუსუდანმა წაართვა (Kiragos, 2009:55; Grigor, 2012:39).“ გრიგორი წერს, რუსუდანი გარდაიცვალა და დავითი კეაისარიაში ბაიჯუ ხანის წინაშე წარსდგაო (Grigor, 2012:39). ხანთან წარდგენას ,,ქართლის ცხოვრება“ ლეგენდის მსგავსად აღწერს. დავითი ელჩების დელეგაციასთან ერთად საქართველოში შემოვიდა, ბაიჯუ ნოინს მეფობა დაამტკიცებინა (Subaşı, 2015:69). ჩარმაღანის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი აილთანა ხათუნმა დაიკავა. 1244 წელს ამ უკანასკნელმა დავით ულუ დედაქალაქში მყოფ ბიძაშვილთან, დავით ნარინთან, ანუ ბათო ყაენის ბანაკში გააგზავნა (Grigor, 2012:40). დავით ულუს, ბათო ხანთან წასვლისას აქ-ბუღა, ზაქარია და სარგისი ახლდა თან. ბათო ყაენმა ისინი კარგად მიიღო და აქ-ბუღასა და ზაქარიას საქართველოში გამოსტუმრების შემდეგ „რომელი გახდება ორი დავითიდან საქართველოს მეფე, ამას მხოლოდ დიდი ყაენი გადაწყვეტსო“, დავითი სარგისთან ერთად ყარაყურუმში გააგზავნა (K.TS, 2014:344).“ კირაკოსის ცნობით, თათართა სამსახურში მყოფმა მეთაურებმა, როგორებიცაა ავაგი, ზაქარიას ძე შაჰინშჰი, ვაჰრამი და აქ-ბუღა, უფლისწული მცხეთაში წაიყვანეს და კათოლიკოსს მისი კურთხევა სთხოვეს. რუსუდანმა შეიტყო თუ არა ეს ამბვი, მის ვაჟთან ერთად გაიქცა, ბათო ყაენს ელჩები მიუგზავნა და თავშსაფარი სთხოვა, ბათო ყაენმა ნება დართო თბილისი გაჩერებულიყვნენ (Kiragos, 2009:55).

როგორც აღვნიშნეთ, 1241 წელს ოგედეის გარდაცვალების შემდეგ ახალ ყაენად გოიუქ ხანი უნდა აერჩიათ. ჯუვეინის მიხედვით, დავით ულუ ამირა არღუნთან ერთად მოვიდა (Cuveynî, 2013:234), ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მანამდე ყარაყურუმში წაიყვანეს (K.TS, 2014:344). გოიუქ ხანმა ამ ყურულთაიზე საქართველოში, ალეპოსა და მოსულში ელჩიგიტაი გაგზავნა. ამ ყურულთაიზე, საქართველოს სამეფოს ბედი შემდეგნაირად გადაწყდა: დავით ულუ რადგანაც უფროსი იყო, ტახტზე ავიდა, მისი ბიძაშვილი დავით ნარინი კი როგორც მისი დამხმარე, მის ბრძანებებს დაემორჩილებოდა (Cuveynî, 2013:239). მოგზაური პარკინი ამ მოვლენებს სხვაგვარად გადმოგვცემს. მისი თქმით, ტახტისთვის მებრძოლი ორი დავითი ყაენის წინაშე წარსდგა. დავით ნარინმა ჩივილით მიმართა ყაენს: დავით ულუს მამის მხრიდან ქვეყნის ნაწილი გადაეცა, რაც არასამართლიანი იყო, რადგან დავით ულუ უკანონო შვილია. დავით ულუმ კი საპასუხოდ თქვა: უკანონო შვილი ვარ, მაგრამ მონღოლთა წესითა და კანონით ოფიციალური მეუღლისა და უკანონო ცოლის შვილები თანასწორნი არიან და მე ტახტზე უფლებას მოვითხოვო. დიდმა ყაენმა, დავით ულუს მისცა ტახტზე ასვლის უფლება და დავით ნარინის მეთვალყურეობაც დაავალა (Carpini, 1996:82). ქართულ ქრონიკაში, უფლისწულის ყარაყურუმიდან საქართველოში დაბრუნების შესახებ ცნობები არ მოიპოვება. თუმცა, ვიცით, რომ მენგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დიდმა ყაენმა ყუბულაიმ დაიკავა. ყუბულაიმ ორივე უფლისწული ჰულაგუს გაუგზავნა, ამ უკანასკნელმა კი სამეფოს მართვა თანაბრად ორივე დავითს დააკისრა. ქართველებს ორი დავითის ერთად ჩამოსვლა გახარებიათ და დიდებულები მათ დასახვედრად ალადაღში

გამგზავრებულან. ჰულაგუმ უფლება მისცა ქართლში ჩასულიყვნენ. ისინი თბილისში მოვიდნენ და ტახტზე ერთად ავიდნენ (K.TS, 2014:345-346).

ეს პროცესი ქართველებსა და მონღოლებს შორის მონარქიული ავტორიტეტის აღიარებაც იყო და უარყოფაც. ანუ, მონღოლები დაპყრობებითი ომების შემდეგ ადგილობრივი ხალხის და მმართველი კლასის მდგომარეობას ნაწილობრივ აღიარებდა და ნაწილობრივ არა. რუსუდანის სიკვდილმა ეს პროცესი გაამარტივა. რუსუდანის სიკვდილის შემდეგ საქართველოში პირველი წინააღმდეგობა ისეთ ჯგუფებში დაიწყო, რომლებსაც ეროვნული ცნობიერება და მმართველობის ამბიცია ჰქონდათ. ამ დროს საგარეო და საშინაო გავლენებით ქართველ მთავრებს შორის მეტოქეობა დაიწყო, რის შედეგადაც კახეთის აზნაური ეგარსლან ბაკურციხელი გაძლიერდა და არაოფიციალური მმართველი გახდა (Allen, 1971:114).

საქართველოში მონღოლთა მმართველობა ჯარს ეფუძნებოდა, რადგან მათი ცხოვრების წესი მასზე იყო დამოკიდებული. მათ ქვეყანა რვა დუმანად დაჰყვეს. ეს კი ათი ათასიან რვა ნაწილს ნიშნავდა (Berdzenişvili, Canaşia, 1997:170).

საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულები მონღოლთა ბატონობის ქვეშ[18]

დუმენი	მხარეები	მმართველები
1	ჰერეთი, კახეთი, კამბეჩოვანი, თბილისი და შამახიას მთამდე	ეგარსლან ბაკურციხელი
2	მთელი სომხითი	ვარამ გაგელი
3	სომხეთის მხარეები	შანშე მხარგრძელი
4	ქართლი	გრიგოლ სურამელი
5	ჯავახეთი	გამრეკელ თორელი
6	ერზრუმამდე გადაჭიმული მესხეთი	ყვარყვარე ჯაყელი
7.	დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი	ცოტნე დადიანი
8.	დასავლეთ საქართველოს მეორე ნაწილი	რაჭის ერისთავი

საქართველოს სამეფო ტახტზე ასული დავითი, ღვინის სმაში, სიამოვნებასა და გართობაში ატარებდა დროს. ერთ დღესაც სამეფო კარზე წვეულება გაიმართა, რომელსაც სამეფო კარის წევრები ესწრებოდნენ. სამეფო წვეულებაზე ერთ–ერთმა ქართველმა თავადმა, რომელიც დანარჩენი დიდებულების სახელით საუბრობდა, თქვა: ათას

[18] *ცხრილი მოვამზადეთ მოცემული ლიტერატურის მიხედვით. იხ.: (*Kartlis Tskhovreba, 2014:339. Berdzenişvili, Canaşia, 1997:170).

კაცამდე დიდებული ვართ. ამათგან ზოგიერთს ათასი ზოგიერთს კი ხუთასი ათასკაციანი ცხენოსანი ჰყავს. სომხები და ქართველები გაერთიანებული ძალებით ბევრნი ვართ და მონღოლთა წინააღმეგ ბრძოლა შეგვიძლიაო. აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის მონღოლთა გარდა სხვა მტერი არ არსებობდა. მონღოლები კი უსამართლოდ კრეფენ გადასახადებს, ართმევენ ქსოვილებს, საქონელს, ცხენებს და სხვ. გვირღვევენ სიმშვიდესო. გრიგორი წერს, რომ ქართველ მთავრებს ეს ყველეფერი ღვინომ ათქმევინა. მეორე დღეს კი ერთ-ერთი მათგანი მივიდა და სიმთვრალეში ნასაუბრები მონღოლებს როგორც სიმართლე ისე მოუთხრო. მონღოლებმაც არ დააყოვნეს და საქართველოზე გაილაშქრეს (Grigor, 2012:42). კირაკოსიც იმავეს გადმოგვცემს, მაგრამ აქვე დასძენს, რომ ავაგი ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მონღოლებმა ყველაფერი დიდ ხანებს შეატყობინეს (Kiragos, 2009:64). მონღოლები საქართველოს კვლავ დაესხნენ თავს და სხვადასხვა ქალაქები და რეგიონი დაიპყრეს. საქართველოში დამკვიდრებულმა მონღოლურმა სისტემამ, ძირძველი ისტორიისა და მმართველობის სისტემის მქონე საქართველოს სიმშვიდე დაუკარგა. ქართული ქრონიკების ცნობით ამ მოვლენების დროს მეფე დავით ულუ თბილისში არ იმყოფებოდა და საქართველოს სამეფო ოჯახიდან ქვეყნის მართვა. სწორედ ამ მიზეზით დიდგვაროვნებმა თათბირი მოიწვიეს, სადაც გადაწყვიტეს, რომ ქართლში შეკრებილიყვნენ და მონღოლების წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბაიჯუ ნოინმა ამის შესახებ მალევე გაიგო, ქართველთა ჯარი ჩამოიტოვა და ქართველ დიდებულებს მათ დათქმულ ადგილას შეხვდა. დიდგვაროვნები ანისში გაგზავნეს და იქ მოუწყვეს დაკითხვა. ქართველებმა დაკითხვაზე განაცხადეს, რომ მონღოლთა საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და თქვეს, რომ გადახდილი გადასახადების რაოდენობის დასადგენად შეიკრიბნენ. თუმცა მონღოლებმა ეს არ დაიჯერეს. მონღოლებმა დიდებულებს ხელფეხი შეუკრეს, თაფლი წაუსვეს და მოედანზე ბოძებზე მიაბეს და ასეთ მდგომარეობაში დიდ ხანს აცდევინეს (K.TS, 2014:342). ვარდანი ამ აჯანყები სთარიღად 1249 წელს ასახელებს და უფრო მოკლედ გადმოგვცემს, ბაიჯუ ნოინი და მისი ჯარისკაცები ქართველი მეფისა და დიდებულების აჯანყების შესახებ დაწვდნენ, შეიპყრეს ისინი და სიკვდილის განაჩენი გამოუტანესო. მართალია ისინი გადაურჩნენ სიკვდილით დასჯას, მაგრამ უამრავ სოფელსა და დაბაში სისხლი დაიღვარა (Vardan, 2017:100-101). მართალია წყაროებში განსხვავებული ინფორმაციები გვხვდება, მაგრამ ფაქტი ერთია, ქართველთა მიერ მონღოლთა წინააღმდეგ პირველი აჯანყების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა.

§ 4. სარტაკ (აზბეგი) ხანი

სარტაკ ხანი, რომელსაც აზბეგის სახელითაც მოიხსენიებენ (Özcan, 2010:153), ბათო ხანის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე იყო (Kafalı, 1976:53). სიტყვა სატრაკი თავისუფალს, განთავისუფლებულს (Gülensoy, Küçüker, 2015:385). ბათო ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასვლის შემდეგ, 1245 წლიდან სარტაკი რუსეთთან ურთიერთობებში სარტაკი ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურათაგანია. საქართველოს წინააღმდეგ მისი ლაშქრობის შესახებ არაფერია ცნობილი, წყაროებშიც მის შესახებ

ცნობები შეზღუდულია. 1249 წლიდან რუსი მთავრები მას ექვემდებარებოდნენ **(Barthold, 1990:526-527).**

ისლამურ წყაროებში არსებული ინფორმაციის გარდა სარტაკ ხანის შესახებ, ყველაზე დეტალურ ცნობებს ვილჰელმ რუბრუკის მოგზაურობებში ვხვდებით. მასში მოტანილია ცნობები მისი პირადი ცხოვრების შესახებ. მაგალითად, იგი წერს, რომ სარტაკ ხანს ექვსი ცოლი და ერთი ვაჟი ჰყავდა, ვაჟს კი ორი ან სამი ცოლი **(Rubruk, 2001:52)**. რუბრუკმა ვოლგიდან სამი დღე იმგზავრა და სარტაკის სასახლემდე მიაღწევს. იგი განსაკუთრებით აღნიშნავს სასახლის სიდიდეს. რუბრუკი, სარტაკს ჯერ კიდევ უფლისწულობის დროს შეხვდა. 1253 წლის პირველ აგვისტოს სასახლეში მივიდა და აქ ოთხი დღე დაჰყო **(Rubruk, 2001:61)**. სასახლის დატოვების შემდეგ იგი ბათო ხანს უნდა ხლებოდა. წასვლის წინ გააფრთხილეს: „უფლისწულის ქრისტიანობის შესახებ არავითარ შემთხვევაში სიტყვა არ წამოგცდეს, ის ქრისტიანი კი არა მონღოლია“-ო. რუბრუკმა კი ეს მოვლენა შემდეგნაირად განმარტა: „როგორც ჩანს ამათ ქრისტიანობა ცალკე ტომის სახელწოდება ჰგონიათ. მიუხედავად იმისა, რომ რწმენას აღიარებდა, მათი ქრისტიანად მოხსენიება მათ სიამაყეს ბღალავდა“ **(Rubruk, 2001:52-56)**. ისლამურ წყაროებში სარტაკ ხანის ქრიასტიანულ მრწამსზე წერენ. სწორედ ამის გამო დაუშვა შეცდომები ბერქე ხანის მიმართ. ქრისტიანი მოგზაური რუნბრუკის ცნობით, სარტაკს მისი მრწამსის გამო არაერთი უსიამოვნება და იმედგაცრუება შეემთხვა **(Kemaloğlu, 2016:101).** ბარტოლდი ამსთან დაკავშირებით წერს, რომ „ქრისტიანობა“ მონღოლებს ეთნიკურობა ეგონათ **(Barthold, 1990:527).**ვფიქრობთ, რომ ეს სწორი შეფასებაა, რადგან სომხურ ქრონიკებშიც მსგავსი მიდგომაა, სადაც ხშირად გვხვდება „მუსლიმები“ და „სომხები“.

ბათო ყაენმა გარდაცვალებამდე, სარტაკი ყურულთაიზე დასასწრებად მონღოლეთში გააგზავნა. უცნობია თუ როდის შეიტყო სარტაკმა ბათო ხანის **(Cuveynî, 2013:246)**, გარდაცვალების შესახებ, გზაში თუ დიდი ყაენის კარზე. მამის სიკვდილის შემდეგ, მენგუ ხანთან შეხვედრისას, სარტაკმა მიიღო იარლიღი, რის მიხედვითაც ოქროს ურდოს ხანი გახდა. მაგრამ უკან დაბრუნებისას ის გზაში გარდაიცვალა **(Özcan, 2010:153).** სარტაკმა მართალია ოქროს ურდოს ხანობის ტიტული მიიღო, მაგრამ მას ქვეყანა ფაქტიურად არ უმართავს. საინტერესოა, რომ ოთემიშ ჰაჯის „ჩინგიზ-ნამეს“ მიხედვით „სარტაკ ხანი მამის გარდაცვალებამდე, რვა წლის ასაკში გარდაიცვალა“ **(Ötemiş, 2009:45).** ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ამ პერიოდის წყაროებში ბათო ხანის მმართველობის დროს სახელმწიფო საკითხებში სარტაკ ხანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ავტორი ხანის შემდეგ, ახალი ხანის ტახტზე ასვლის პერიოდთან დაკავშირებითაც ხშირად მცდარ ცნობებს გადმოგვცემს.

ჯუზჯანი სარტაკის სიკვდილთან დაკავშირებით ორ, განსხვავებულ ამბავს გვიამბობს, მანამდე კი აღნიშნავს, რომ სარტაკ ხანი მუსლიმთა მიმართ სისასტიკითა და მუდმივი ზეწოლით გამოირჩეოდა. პირველი ამბის მიხედვით, სარტაკ ხანი, მამის გარდაცვალების შემდეგ, დიდ ყაენ მენგუ ხანისგან ტახტზე ასვლის ნებართვის მისაღებად, ყივჩაღთა და საქსინების მიწების გავლით წავიდა. თამგაჩის მხარეში მას და მის ჯარს დიდი პატივით შეხვდნენ და გააცილეს. ბერქე ხანს კი ისე ჩაუარა, რომ არც მოუნახულების გარეშე გააგრძელა გზა. ეს რომ ბერქემ გაიგო, ელჩი გაუგზავნა „მამად

გეკუთვი და რატომ უცხოსავით ჩამიარეო“. სარტაკ ხანმა უპასუხა: „შენ მუსლიმი ხარ მე კი ქრისტიანი, მუსლიმის სახის დანახვას კი უბედურება მოაქვსო“. ამის გამგონე ბერქე ხანი განაწყენდა, განცალკევებით კარავი გააშლევინა და განმარტოვდა. ყელზე ჯაჭვი შეიბა, მეორე ბოლო კარვის წვერში დაამაგრა. სამი დღე-ღამის განმავლობაში ფეხზე იდგა და ალლაჰს ევედრებოდა: „ღმერთო! მუჰამედის რელიგია და ისლამი თუ ჭეშმარიტებაა სარტაკისგან მიხსენიო!“. მეოთხე დღეს სარტაკი გარდაიცვალა. ამის შემდეგ ჯუზჯანი მოგვითხრობს, რომ დიდმა ყაენმა მენგუ ხანმა სარტაკთან შეხვედრის დროს მასში მეამბოხე დაინახა და სანდო ადამიანებს მისი მოწამვლა დაავალა, რის გამოც სარტაკი გარდაიცვალა (el-Cûzcânî, 2016:185-186). ჯუზჯანის, სარტაკის გარდაცვალება, ბერქე ხანისთვის ნათქვამი სიტყვების გამო, ღვთის სასჯელად მიაჩნია (Barthold, 1990:528).

ისლამურ წყაროებში სარტაკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ისეთივე ცნობებია, როგორც ზემოთ გადმოვეცით, თუმცა სებასტაცი მის ქრონიკაში წერს, რომ, სარტაკი მენგუ ხანთან გამოცხადების შემდეგ მეორე მმართველად დასახელდა. მისმა ნათესავებმა ბერქემ და ბერქეჩინმა იგი მოწამლეს. სარტაკს ქრისტიანებთან კარგი ურთირთობის მქონე სარტაკის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო მათთვის (Sebastatsi, 2005:47) აღსანიშნავია, რომ წყაროებში სარტაკიბათო ხანის მემკვიდრედ არის მოხსენიე-ბული და მის ქრისტიანულ აღმსარებლობაზეა გამახვილებული ყურადღება. სხვა ცნობები მის შესახებ მოიპოვება (Schamiloglu, 2002:416). მხოლოდ კირაკოსს მოყავს ცნობა, რომ მენგუ ხანის წინაშე ხანის იარლიღის მისაღებად წასულ სარტაკს თან ახლდა მორწმუნე ქრისტიანი უფლისწული ჯელალი (Kiragos, 2009:73). ჯელალისა წაყვანის მიზეზი მენგუ ხანისგან დახმარების მოთხოვნა იყო, რადგან ამირა არგუნისგან საქართველოში განვითარებული მოვლენების დროს მას მოკვლით ემუქრებოდა. მაგრამ სარტაკი უკანა გზაზე, ან დაბრუნების შემდეგ მალევე გარდაიცვალა. ჯელალი, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად ვიასაუბრებთ, კირაკოსის ცნობების მიხედვით, დავითის აჯანყებების დროს ჰულაგუს სასახლეში მოკლეს. თუმცა საფიქრებელია, რომ კირაკოსი უფლისწულ ჯელალის შესახებ გაზვიადებულ ცნობებს გვაძლევს.

სარტაკ ხანის მოკლე ხნიანი მმართველობის შემდეგ მისი ადგილი ულაქჩი ხანმა დაიკავა, რომლის შესახებაც წყაროებში თითქმის არავითარი ინფორმაცია არ მოიპოვება. სახელი ულაქჩი მონღოლურად „წითელ“-ს ნიშნავს (Gülensoy, Küçüker, 2015:506). ულაქჩი ხანი ზოგიერთი წყაროს მიხედვით სარტაკის ვაჟია, ზოგიერთ წყაროში კი სარტაკის ძმად მოიხსენიება. იგი ტახტზე ასვლის წელს გარდაიცვალა. ჯუვეინი, რომელიც სარტაკის შესახებ მწირ ცნობებს გვაწვდის ამბობს, რომ მენგუ ყაენმა, რომელსაც სარტაკი ძლიერ უყვარდა, გაიგო თუ არა მისი გარდაცვალების შესახებ, ერთ-ერთი ამირა სამძიმარზე გაგზავნა, მისი ბრძანებით ბათოს ადგილის დაკავება მის უფროს ცოლს, ბორაქჩის დაევალა და როდესაც ულაქჩი გაიზრდებოდა, ის უნდა ასულიყო ტახტზე. თუმცა, როგორც ვთქვით, მცირე ხნის შემდეგ ულაქჩი გარდაიცვალა (Cuveynî, 2013:246). რეშიუდინი წერს რომ, ულაქჩი ხანი და სარტაკი ძმები იყვნენ. სარტაკ ხანის მმართველობა მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა, მას მამისგან განსხვავებით, არ დასცალდა დიდი ხნით ბატონობა (Kafalı, 2009:60). ამ ცნობების საპირისპიროდ, ვერნადსკი, რომელიც ოქროს ურდოს სახელმწიფოს ყივჩაღთა სახანოდ მოიხსენიებს,

ამბობს, რომ სარტაკსა და ულაქჩის მენგუსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ახლო აღმოსავლეთზე უფრო მეტად რუსული სამთავროებისგან მიღებული ნადავლი აინტერესებდათ. თითქმის ყველა წყაროს მიხედვით, ჰულაგუს ბაღდადში ლაშქრობისას ბერქე ხანის ჯარი უწევდა დახმარებას. ვერნადსკი კი აღნიშნავს, რომ ბაღდადში ლაშქრობისას დამხმარე ჯარი ულაქჩიმ გაგზავნა და ის 1258 წელს გარდაიცვალა (Vernadsky, 2015:189).

§ 5. ბერქე ხანის მმართველობა:1256-1266 წწ.

ბათო ხანის შემდეგ სარტაკ და ულაქჩი ხანების ზედი-ზედ სიკვდილის და უმემკვიდრეოდ დარჩენის გამო, ოქროს ურდოს მმართველი ჯუჩი ხანის მესამე ვაჟი ბერქე ხანი გახდა (Barthold, 1986:1187). გამომდინარე იქედან, რომ ბათო ხანის ვაჟების ტახტზე ყოფნა რამდენიმე თვე გაგრძელდა, მათი მმართველობის შესახებ ცნობები ძალზე მწირია. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ბერქე ხანი ბათო ხანის შემდეგ ავიდა ტახტზე (Kafalı, 1976:54; Fahreddin, 2003:41). ჯუზჯანი წერს, რომ სარტაკ ხანის გარდაცვა-ლების შემდეგ, ბერქე ხანმა ბათო ხანის ცოლებიდან ერთ–ერთი ცოლად შეირთო, ჯუჩის თხუთმეტი ვაჟი ჯოჯოხეთში წავიდოდა და მთელი ქვეყანა ბერქე ხანის მმართველობის ქვეშ მოექცა. 1260 წელს მენგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ, მთელის აღმოსავლეთსა და დასავლეთში ხოტბას ბერქე ხანის სახელზე აღავლენდნენ (el-Cûzcânî, 2016:186).

სანამ ოქროს ურდოს ხანი გახდებოდა, ბერქე ხანი რკინის კარის, დარუბანდის ტერიტორიების მმართველი იყო. ხოლო მას შემდეგ, რაც ის ტახტზე ავიდა, უფრო ვრცელი გეოგრაფიული არეალის, ყივჩაღებისა და სუდაკის დაბლობის ხანი გახდა. ამავე დროს მისი მმართველობა ვრცელდებოდა აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში მყოფი რკინის კარის რეგიონზეც, რომელიც ერთერთ დიდ ამირას ჩააბარა (Ezzehebî, 1941:353). დარუბანდის გადასასვლელი ანატოლიიდან და ირანიდან ბათო ხანთან და ბერქესთან მიმავალი და ძღვენის მირთმევის მსურველი მუსლიმებისთვის ერთგვარი დერეფანის ფუნქციას ასრულებდა (Rubruck, 2001:60).

ბერქე წყაროებში ბერექე, ბერქა, ბერქაი, ბერკეს ძე ფორმებით გვხვდება (Ezzehebî, 1941:353; Konukçu, 1992:506). მის მიერ ისლამის მიღებისას, ოქროს ურდოს სახელმწი-ფოში მხოლოდ მცირე ნაწილი გამუსლიმდა. ამ პერიოდის ისლამური წყაროები ბერქეს „ბერექეთ, ბერექე“ ფორმით მოიხსენიებენ (Aksarayî, 2000:57). სახელი ბერქე „კერკეტს, ძლიერს“ ნიშნავს (Gülensoy, Küçüker, 2015:70). ბერქე ხანი დიდი ხნის განმავლობაში ბათო ყაენთან ერთად ოქროს ურდოს პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლი ჰქონდა დაკის-რებული (Yuvalı, 1994:95). ბერქე ხანი ყურანის წესებით ცხოვრობდა, ისლამს წესებს იცავდა და ავრცელებდა, რის გამოც ხალხმა მას „ნასრედინი“ (რელიგიის მფარველი) და ,,ებუ ელ–მაგალი“ (მოაზროვნე) შეარქვა (Fahreddin, 2003:45). მარკო პოლო ,,მოგზაურო-ბის წიგნში“ ბერქეს „თათართა შორის ყველაზე გულუხვ და განათლებულ ხანად“ მოიხსენიებს (Polo, 1985:9-10). მართალია იგი ბერქე ხანს პირადად არ შეხვედრია, მაგრამ 1271 წელს წიგნზე მუშაობის დაწყებამდე, მისი მამა და ბიძა მხლებლებთან ერთად შეხვდნენ ბერქე ხანს. მარკო პოლო მამის შესახებ ამბის მოყოლისას ბერკე ხანის

შესახებაც გვაწვდის ცნობებს. ხანი ძალიან კარგად შეხვედრია სტუმრებს. სტამბოლიდან გასაყიდად წაღებული ძვირფასი ქვები ძალიან მოსწონებია ბერქეს და საჩუქარად უბოძებიათ მისთვის. ბერქე ხანმა იხილა რა სტუმრების გულუხვობა, თავაზიანობით ვენეციელებს რომ არ ჩამოვარდნოდა, ორჯერ მეტი ძღვენი მიართვა, ვიდრე ეს ქვები ფასობდა. მარკო პოლოს მიხედვით, ვენეციელი სტუმრები ბერქე ხანის სასახლის ჩრდილოეთით, მდინარე ვოლგაზე მდებარე ქალაქ ბოლგარაში ერთ–ერთ დიდ სასახლეში ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ **(Polo, 1980:12)**. მარკო პოლოს მონათხრობში საინტერესო ცნობებია ბერქე ხანის პიროვნებისა და მისი სამფლობელოს შესახებ.

წყაროებში დიდი ყურადღებაა გამახვილებული ბერქე ხანის მიერ ისლამის აღიარებაზე. ისლამურ წყაროებში დაწვრილებით არის მოთხრობილი მისი გამუსლიმების და მასთან დაკავშირებული ამბები და ლოცვებია მიძღვნილი მასზე. მაგალითად: ოთემიშ ჰაჯის წერს, რომ ბერქე ხანი დაბადებიდან მუსლიმია. როდესაც ის ამ ქვეყანას მოევლინა, საკუთარი დედისა და სხვა არამუსლიმი ქალების ძუძუც კი არ მოუწოვია. ამის გამო ბავშვი მისნებს და სწავლულებს რომ აჩვენეს, მათ თქვეს, რომ ეს ბავში მუჰამედის შთამომავალია, მუჰამედის მოდგმისანი ურწმუნო ქალების რძეს არ ჭამენ **(Ötemiş, 2009:41).** უფრო მეტიც, ყივჩაღთა ველის დაპყრობის შემდეგ, ბერქე ხანმა რამდენიმე ურწმუნოს ისლამი მიაღებინა და ცამეტი, ან თოთხმეტი წლის განმავლობაში მმართველობდა **(Ötemiş, 2009:45)**. არსებობს მოსაზრება, რომ ბერქემ ისლამი ახალგაზრ-დობაში მიიღო. აღნიშნული პერიოდის ზოგიერთი წყაროს მიხედვით, მასზე გავლენა მოახდინა შამსედინ ელ–ბაჰერზიმ, რის გამოც მან ისლამი მიიღო **(Richard, 1988:635).** შეხედულება ბერქე ხანის მიერ ისლამის მოგვიანებით მიღების შესახებ უფრო რეალურია.

1250 წლიდან გალიჩის მმართველი დანიელი, მონღოლთა თავდასხმისგან თავის დაღწევას ცდილობდა და ლიტვაში ექსპანსია დაიწყო. 1255 წელს, დანიელის ვაჟი, ოქროს ურდოს მიერ გადასახადების ასაკრეფად გაგზავნილ ბასკაკებს თავს დაესხა. ბერქე ხანმა ეს აჯანყება ჩაახშო და ახალაშენებული ციხესიმაგრეები გადააწვევინა. ლიტველები კი რუსეთის ტერიტორიებამდე დაწინაურდნენ და ზოგიერთი მიწები ხელთ იგდეს. დანიელი ლიტველთა ამ მოქმედებებმა შეაგულიანა. ბერქე ხანმა, ლიტვისა და დასავლეთ რუსული სამთავროების შესაძლო მოკავშირეობის გამო, ლიტვას წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტა. მან ბრძოლაში გაიმარჯვა და დასავლეთის რუსული სამთავროებიც, აღმოსავლეთ სამთავროების მსგავსად ოქროს ურდოს მმართველობას დაუქვემდებარა. ბერქე ხანმა მსგავსი მოვლენების აღკვეთის და ოქროს ურდოს დაქვემდებარებაში მყოფი მიწებიდან გადასახადების აკრეფის მოსაწესრიგებლად 1257 წელს რუსეთის ტერიტორიებზე მოსახლეობის აღწერა ჩაატარა **(Vernadsky, 2015:190-200; Kemaloğlu, 2015:81-82)**. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა ბერქე ხანის ტახტზე ასვლის პერიოდში **(Kafalı, 1976:55).**

გადასახადების პირობების შესახებ მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ. თუმცა გადასახადები, რომელიც რუსული სამთავროებიდან უნდა აეკრიფათ, ბერქე ხანის ტახტზე ასვლის შემდეგ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა გახდა. 1257-1259 წლებში **(Halikov, 2007:73)** რიაზანისა და სუზდალის სამთავროები აღწერეს. პარალელურად მოინდომეს ნოვგოროდის სამთავროს აღწერა, რომელიც ამ დროისათვის

გადასახადებს არ იხდიდა. ამის გამო ნოვგოროდის მოსახლეობა აჯანყდა. მთავარმა ალექსანდრე ნეველმა მოსახლეობის მონღოლებისაგან დასცვის მიზნით აჯანყება ჩაახშო და ნოვგოროდის სამთავროც აღწერეს. 1259 წელს მოსახლეობის აღწერის მიზნით გაგზავნილი მოხელეები ცენტრში, ქალაქ სარაიში დაბრუნდნენ. ამგვარად, ბერქე ხანის პერიოდში ნოვგოროდის სამთავრომ მშვიდობიანად აღიარა ოქროს ურდოს მმართველობა და გადასახადების გადახდა დაიწყო **(Fahreddin, 2003:44).** ამიტომაც ფიქრობენ, რომ 1257 წლიდან რუსეთში ოქროს ურდოს მმართველობა დამყარდა **(Papacostea, 1993:115).** 1262 წელს კი როსტოვის, სუზდალისა და ვლადიმირის მოსახლობა, იმ მიზეზით, რომ ოქროს ურდოს მოხელეები დადგენილზე დიდი რაოდენობით გადასახადს კრეფდნენ და ხალხს მონებივით ეპყრობოდნენ, აჯანყდა. აჯანყება მონღლებმა მოკლე ხანშივე ჩაახშეს **(Kafalı, 1976:55; Kemaloğlu, 2015:82).** აჯანყებები რუსი მთავრებისგან დამოუკიდებლად ხდებოდა. მართალია, სუზდალში დაწყებული აჯანყებების გამო მოსახლეობა არ დასაჯა, მაგრამ ამის გამო ბერქე ხანი განრისხებული იყო. რადგან, აჯანყებების დაწყების დროს, ბერქე ხანი სამხრეთ კავკასიის მიწებზე, ილხანთა სახელმწიფოსთან ბრძოლისთვის ემზადებოდა. სუზდალში განვითარებულმა მოვლენებმა კი მას არ მისცა საშუალება, რომ მთელი ყურადღება ილხანელებისთვის დაეთმო **(Kemaloğlu, 2015:82).**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ბერქე ხანის მმართველობისა არის მისი დიდი როლი 1259 წელს მენგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ ახალი ყაენის არჩევაში. მენგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილის დაკავება ჩინეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულ ძმას, ყუბილაი ხანს სურდა, ბერქე ხანი კი უმცროს ძმას, არიქ ბუქას უჭერდა მხარს. ყუბილაიმ, რომელსაც მხარს უჭერდა ჩაღათაის სახანოდან ალგუ, მოახერხა ტახტზე ასვლა **(Kafalı, 2005:49)** ამის გამო ბერქე ხანსა და დიდ ხაკან ყუბილაის შორის შუღლი ჩამოვარდა **(El-Mufaddal, 1941:321; Kafalı, 1976:55-56)**. მაგრამ ორივე ძმა ყაენად გამოცხადდა, ყუბილაი ყაენი ჩინეთში, არიქ ბუქა კი მონღოლეთში. განვითარებულმა მოვლენებმა ცენტრალური მონღოლეთის ავტორიტეტი საკმაოდ დაასუსტა. მენგუს მმართველობისას, ჩაღათაის და ოგედეის ოჯახებმა, რომლებიც მეორეხარისხოვან როლს თამაშობდნენ, არეულობით ისარგებლეს და ძველი ულუსები ხელში ჩაიგდეს. ამის შედეგად ჯუჩის შვილებმა მავერანაჰრში მთელი მოსახლეობა დაკარგეს და იძულებული გახდნენ ჯარი და სახელმწიფო მოხელეები უკან გაეყვანათ. ძმებს შორის დაწყებული ბრძოლა ყუბილაის გამარჯვებით დამთავრდა. ამ უკანასკნელმა მონღოლეთის იმპერიის ცენტრი ყარაყურუმიდან ჩრდილოეთ ჩინეთში, საკუთარ დედაქალაქში, ხანბალიქში (ხანების ქალაქი) გადაიტანა **(Kazvinî, 2018:477; Yakubovskiy, 1976:64-65)**. ამგვარად, ხანბალიქი 1264-1368 წლებში მონღოლეთის იმპერიის ახალი დედაქალაქ იყო **(Taşağıl, 1997:524; Barthold, 1993:898).** ყველა ეს მოვლენა, რომელიც ბერქე ხანის დროს განვითარდა, იმპერიის სრული ნგრევის მიზეზი გახდა. ყუბილაი ხანის მიერ დედაქალაქის ცენტრიდან შორს გადატანამ შეუძლებელი გახადა უზარმაზარი იმპერიის მართვა. ამის გამო, ჩინგიზ ხანის ვაჟებს შორის გადანაწილებული სხვა ულუსებიც თანდათან მოწყდნენ დედაქალაქს. ბერქე ხანი მმართველობის ბოლო პერიოდში ყუბილაის მხოლოდ ფორმალურად სცნობდა. ოქროს ურდო, მისი მმართველობის მიწურულს, ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა **(Yakubovskiy, 1976:64-65).**

უფრო ნათლად, ეს მდგომარეობა მენგუ თემურის პერიოდში გამოჩნდება. მონღოლთა ულუსების დაყოფა და არეულობის დაწყება მისი მოღვაწეობის პერიოდს უკავშირდება.

ოქროს ურდოში ჩინგიზ ყაენის ვაჟებს შორის და სხვა სახელმწიფოებთან მასშტაბური პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობების წამოწყება ბერქე ხანის სახელს უკავშირდება **(Schamiloglu, 2002:417).** ბიზანტიელებთან და მამლუქებთან პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობები ამის შესანიშნავი მაგალითია. ეს ურთიერთობები ბერქე ხანმა მაღალ საფეხურზე აიყვანა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს აღზევებაც სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება. ამგვარად, ოქროს ურდოს სახელმწიფო რეგიონულ ძალად ჩამოყალიბდა. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნული პერიოდის მთავარი პოლიტიკური მოვლენა, სამხრეთ კავკასიაში გაბატონების მიზნით ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლაა.

ბერქე ხანი 14 წლის განმავლობაში მართავდა ოქროს ურდოს. 1266 წელს, 40 წლის ასაკში, როგორც წყაროები იუწყებიან, კუჭის ტკივილისგან გარდაიცვალა და ქალაქ სარაიში დაკრძალეს **(Fahreddin, 2003:45).** ბერქე ხანს მემკვიდრე არ ჰყოლია, ამიტომ ოქროს ურდოს მმართველობა ბათო ხანის ვაჟზე გადავიდა.

ოქროს ურდოსა და ილხანების ბრძოლა სამხრეთ კავკასიის რეგიონში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIII საუკუნის მეორე ნახევარში ცენტრალური მონღოლეთის პოლიტიკურ გაერთიანების დანაწევრება დაიწყო. ჩინგიზ ხანის შვილიშვილებს შორის არსებული დაპირისპირების მიზეზი კავკასიის რეგიონში და აზერბაიჯანში გაბატონება და საქართველოს სავაჭრო გზის ხელში ჩაგდება იყო. ეს ბრძოლა თურქ-მონღოლთა გაერთიანება ოქროს ურდოს სახელმწიფოსა და ილხანთა საყაენოს შორის მიმდინარეობდა. ჩინგიზ ხანის იმპერიის გადანაწილების დროს საზღვრები ბოლომდე არ გარკვეულა, რის გამოც კავკასია, ორი ძმის ულუსს – ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის საუკუნეზე მეტი ხნით მიმდინარე ბრძოლების საბაბი გახდა. აზერბაიჯანისა და საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, საძოვრები და კლიმატი ოქროს ურდოსა და ილხანთა ყურადღებას იქცევდა **(Kemaloğlu, 2015:85).** ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა ილხანების მმართველობაში მყოფი აზერბაიჯანის მდიდარი საძოვრებისა და სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება იყო **(Halperin, 1987:27).**

ჰულაგუ ხანი და ილხანთა სახელმწიფოს დაარსება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინგიზ ხანის პერიოდში დასავლეთში დაპყრობილ მიწებს მონღოლეთიდან გაგზავნილი მოხელეები და სამხედრო პირები მართავნენ. ახალდაპყრობილი მიწების ცენტრიდან დაშორებამ, მონღოლთა მმართველობის სისტემის არაერთგვაროვნებამ, დაპყრობილი ხალხების, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივთა დიდმა წინააღმდეგობამ და სხვა მიზეზებმა, მონღოლთა ჩანაფიქრის განხორციელებას დასავლეთით ხელი შეუშალა. უფრო მეტიც, საფრთხის ქვეშ იდგა დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება. ამიტომ, დიდმა ყაენმა მენგუ ხანმა, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და აღმოსავლეთით და დასავლეთით საზღვრების გაფართოების მიზნით, საკუთარი ძმებიდან ყუბილაი ჩინეთში, ჰულაგუ კი ახლო აღმოსავლეთში გააგზავნა **(Kazvinî, 2018:477; Yuvalı, 1998:473; Schamiloglu, 2002:416)**. 1251 წლის 1 ივლისს, ყურულთაიზე მიღებული გადაწყვეტილებით, ორივე უფლისწულს მონღოლეთის არმიის მეხუთედი უნდა მიეღო. დინასტიის სხვა წევრებიც

საკუთარი ძალების შესაბამისად უნდა ჩართულიყვნენ ლაშქრობებში. მენგუ ხანის გარდაცვალებისა და შექმნილი ახალი გარემოებების გამო, ჰულაგუ და ყუბილაი დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემდეგ, დედაქალაქ ყარაყურუმში აღარ დაბრუნებულან და მათ ტერიტორიებზე, ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდე-ბარებული ორი მონღოლური სახელმწიფო დააარსეს. ამგავარად, ჰულაგუ ხანმა, იმ პირობით, რომ 1294 წლამდე ყარაყურუმში მყოფ დიდ ყაენს დაქვემდებარებოდა, ახალი პოლიტიკური გაერთიანება შექმნა **(Yuvalı, 1998:473).** ოსმალეთის იმპერიის დაარსების დროის მნიშვნელოვანი ისტორიულ წყარო „ორუჯ ბეგი ისტორიაში," წერია, რომ ჰულაგუ ხანი ჩინგიზ ხანის ვაჟია **(Oruç Beğ, 1972:21).** თუმცა ეს ცნობა არასწორია, ჰულაგუ ხანი, ჩინგიზ ხანის შვილიშვილია.

ჰულაგუმ კავკასიაში ლაშქრობამდე, მოწინავე რაზმი გაგზავნა. საქართველოში მოსვლამდე, ჰულაგუს ლაშქრის უცნაური მზადების შესახებ ჯუვეინი შემდეგნაირად მოგვითხრობს, როდესაც აღნიშნულმა მოწინავე რაზმმა ყარაყორუმსა და ბეშბალიგს (ბეშ ბალიქ) შორის მიწებზე, სადაც ჰულაგუსა და მის ლაშქარს უნდა გაევლო, საქონლის საძოვრები დაიკავეს და ყველას აუკრძალეს მათი გამოყენება. თურქისტანიდან ხორას-ნამდე მიწებზე, ბერძენთა და ქართველთა ქვეყნებში ჰულაგუს და მისი ჯარის ცხენების გარდა არავის არ ჰქონდა უფლება მოეძოვებინა საქონელი, რის გამოც მთელი ეს ტერიტორია მწვანეში ჩაეფლო **(Cuveynî, 2013:498-499).**" ჰულაგუ 1255 წელს მრავალრიც-ხოვანი ლაშქრით ირანში, სირიაში, სომხეთში, საქართველოსა და არანში შეიჭრა **(Vardan, 2017:104; Sebastatsi, 2005:46)**. ჰულაგუს მეათაურობით, 15 დუმენიანი, ანუ 150 ათას კაციანი ლაშქრის მიერ მდინარე ამუდარიის გადალახვა და ხორასანში შესვლა, შემდეგ კი აზერბაიჯანის ცენტრისკენ სვლა **(Haykıran, 2016:17)** სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავ-ლეთის და ანატოლის მიწებზეც აისახა. ამ მოქმედებებმა ახალი მოვლენების განვითა-რებას დაუდო საფუძველი, რამაც კავკასიაში მცხოვრებ ქრისტიანულ მოსახლეობასა და ისლამური სამყაროზე დიდი გავლენა იქონია. 1255 წელს ჰულაგუმ სამარყანდამდე მიაღწია, სადაც ორმოც დღეს გაჩერდა. აქედან დღევანდელი უზბეკეთის ისტორიულ ქალაქ ქეშში (ქარში) ჩავიდა. ქეშში ამირა არღუნი და ხორასნის დიდგვაროვნები ჰულაგუს წინაშე წარსდგნენ და ძღვენი მიართვეს. ჰულაგუ ხანმა, აქ ყოფნის დროს მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ქვეყანაში ელჩები გააგზავნა და მუქარით შეატყობინა ჩამოსვლის მიზეზი. გაიგეს თუ არა ჰულაგუს მოსვლის ამბავი, თურქეთის სელჩუკთა სახელმწიფოდან იზედინ ქეიქავუსი და რუქნადინ ქილიჩარსლანი, სპარსეთიდან ათაბაგი მუზაფერ ედუნის ვაჟი ათაბაგ საადი, ხორასნიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, არანიდან, შირვანიდან და საქართველოდან მეფეები და დიდებულები შეიკრიბნენ. საქართველოდან მოსულთა შორის იყო მეფე დავითი. იგი ძვირფასი საჩუქრებით წარსდგა ჰულაგუს წინაშე. მეფეს პატივი მიაგეს და მისცეს საქართველოს მმართველობის უფლებამოსილება. სხვა ნოინების მსგავსად მოექცნენ და მონღოლური ტიტული მიენიჭა **(Subaşı, 2015:79)**. ჰულაგუს მიერ დავითისთვის მონღოლური ტიტულის მინიჭება დიპლომატიურად ნიშნავდა იმას, რომ იგი საქართველოს მიიჩნევდა როგორც მონღოლ-თა საყაენოზე დაქვემდებარებულ ქვეყანას.

ყაზვინის გადმოცემით, ჰულაგუ ირანში 1255 წელს შეიჭრა **(Kazvinî, 2018:478).** გრიგოლ აკანელი კი ჰულაგუს მოქმედებაზე გადასვლის თარიღად 1257 წელს ასახელებს. გრიგოლის თქმით, დიდი საყაენოდან ჰულაგუ როგორც შვიდი ხანის ვაჟთაგან ერთ-ერთი დაიძრა სალაშქროდ. მას ახლდა კიდევ ექვსი ხანი. ყოველი მათგანი ერთი დუმენი ცხენოსნით მოსულა. ერთი დუმენი 30 ათასი კაცისგან შედგებოდა **(Grigor, 2012:46-47)**. გრიგოლ აკანელი მიერ აღწერილი ეს ამბავი, გზის გახსნისა და წესრიგის შენარჩუნების მიზნით ჰულაგუს მიერ ჯარისკაცების გაგზავნის შესახებ ჯუვეინის ცნობებს გვაგონებს. ცხადია რომ, გრიგორის დასახელებული რიცხვი გადაჭარბებულია.

ჰულაგუ ხანი რომ მოვიდა, აქ დასახლება გადაწყვიტა და მანამდე მუღანში მცხოვრებ ბაიჯუ ნოინს აქაურობის დატოვება უბრძანა. ბაიჯუ ნოინის გარდა, საქართველოს, სომხეთისა და არანის ნოინებისგანაც იგივე მოითხოვა **(Kiragos, 2009:73; Vardan, 2017:104)**. სავარაუდოდ, მხოლოდ ჩარმაღან ნოინის ვაჟი შირემუნი საკუთარ დუმენთან ერთად დარჩა საქართველოში (**Sümer, 1969:25**). ეს რეგიონი ჰულაგუს დიდმა ყაენმა მისცა და მისი შიშით ზემოხსენებული ქვეყნების მმართველი ნოინები ამ ტერიტორიებს გაეცალნენ. კირაკოსის გადმოცემით, ჰულაგუ დიდძალი ლაშქრით მოვიდა, რომელსაც თითქმის ერთი თვე დასჭირდა მდინარე ამუდარიის გადასალახავად. მონღოლ ნოინებს არ სურდათ აქაურობის დატოვება, მაგრამ იძულებულნი იყვნენ ბრძანებას დამორჩილებოდნენ **(Kiragos, 2009:73-74).** ნოინთა შორის ყველაზე ცნობილი ბაიჯუ ნოინი, მუღანიდან სელჩუკთა სახელმწიფოს მიმართულები დაიწყო სვლა. აზერბაიჯანსა და მის შემოგარენში კი ჰულაგუ დასახლდა **(Sebastatsi, 2005:46)**.

მცირე ყურადღებას შევაჩერებთ იმაზე, რომ ამ პერიოდში ანატოლიაში სელჩუკთა სახელმწიფო, რეგიონის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, მონღოლთა თავდასხმებმა უარყოფითად იმოქმედა. საქართველოს მეზობლად მდებარე ეს თურქული სახელმწიფო მონღოლებისგან ანალოგიურად დიდ დარტყმებს იღებდა. საქართველოს მსგავსად, სელჩუკთა სახელმწიფოს ყველაზე დიდი საგარეო მტერი მონღოლები იყვნენ. 1245 წელს გარდაიცვალა ყიასედინ ქეიხუსრევი, რომლის გამოც მონღოლებმა 1243 წელს ქოსედაღთან გამარჯვების შემდეგ ანატოლია დაიპყრეს. ყიასედინ ქეიხუსრევს ტახტის მემკვიდრე ალაადინ ქეიყუბად II გურჯი ხათუნისგან ჰყავდა **(Aksarayî, 2000:27-28)**. მაგრამ, მისი გარდაცვალების შემდეგ ვეზირი შამსედინ ისფაჰანი და გავლენიანი სახელმწიფო მოხელეები ჯელალედინ ქარათაისა და სხვათა მსგავსად, უფროსი ვაჟის იზედინ ქეიქავუსის ტახტზე ასვლას უჭერდნენ მხარს. იზედინ ქეიქავუს II–ს ტახტზე ასვლის დროს, 1246 წელს მონღოლთა ტახტზეც ცვლილებები მიმდინარეობდა. გუიუქ ხანის ტახტის დაკავებასთან დაკავშირებით იზედინ ქეიქავუსი, სხვებთან ერთად, მორჩილების გამოსაცხადებლად ყარაყურუმში გამართულ ყურულთაიზე დაიბარეს. სელჩუკთა მმართველებმა იცოდნენ, რომ იზედინის ქვეყნიდან წასვლა ბერძნებისა და სომხების თავდასხმის საბაბი გახდებოდა და ყურულთაიზე მისი ძმის რუქნადინ ყილიჩ არსლანის (ყილიჩ არსლან IV) გაგზავნა გადაწყვიტეს. ყურულთაის ყილიჩ არსლანი დაესწრო, სადაც შეძლო მონღოლებთან კარგი ურთიერთობის დამყარება. 1249 წელს ყაენის იარლიღით და ორი ათასამდე **(Turan, 2014:483)** მონღოლი ჯარისკაცით ქვეყანაში დაბრუნდა და თავი სულთნად გამოაცხადა **(Kuşçu, 2017:91-92)**. მიუხედავად იმისა, რომ

უფროს ძმასთან ბრძოლაში დამარცხდა, ტახტზე ასვლის სურვილი არ დაუკატგავს. დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, სელჩუკთა სახელმწიფოს 1256 წლამდე ქილიჩარსლან IV, იზედინ ქეიქავუსი და მისი ძმა ალაედინ ქეიყუბადი მართავდნენ. რა თქმა უნდა, სამთა მმართველობამ ქვეყანას სტაბილურობა ვერ მოუტანა. პირიქით, მონღოლებისადმი დაქვემდებარებულ სელჩუკთა სახელმწიფოს მმართველებში სულ უფრო იჩენდა თავს პრობლემები. 1253 წელს იზედინ ქეიქავუსი ყარაყურუმში მიიწვიეს. იგი სახელმწიფო მოხელეებთან გაემგზავრა, თუმცა სივასში რომ მიაღწია, ამირა ჯელალედინ ქარათაის სიკვდილის ამბავი შეიტყო და უკან დაბრუნდა. მან ბათო ყაენთან ალაადინ ქეიყუბადის გაგზავნა ბრძანა. როდესაც ამ უკანასკნელმა ერზრუმში ჩააღწია, ბაიჯუ ნოინის ნოინის მოსვლის შესახებ გაიგო და მის ძმას ქეიქავუსს წერილი მისწერა (წერილი შეგიძლიათ იხილოთ: **Aksarayî, 2000:29; Kuşçu, 2017:92-93**).

1256 წლის აგვისტოში ბაიჯუ ნოინმა, სელჩუკთა მმართველ იზედინს ამბავი გაუგზავნა, სადაც მუღანიდან წამოსვლის მიზეზებს უხსნიდა და ანატოლიაში იალაღებსა და ყიშლაღებს თხოვდა. ცხადია, რომ ბაიჯუს მიზანი იყო, აქ საბოლოოდ დამკვიდრებულიყო (**Aksarayî, 2000:30; Sümer, 1969:29**). ამით შეშფოთებულმა სელჩუკთა მმართველებმა ბაიჯუს განზრახვის გაგების მიზნით ელჩები გააგზავნეს, პარალელურად კი ბრძოლისთვის მზადება დაიწყეს (**Aksarayî, 2000:29**). მიუხედავად იმისა, რომ სელჩუკთა სახელმწიფო მონღოლთა იმპერიას ექვემდებარებოდა, ქვეყანაში პირველად გაჩნდა მათი დაპყრობის და დასახლების საშიშროება (**Sümer, 1969:29**). ბაიჯუ სელჩუკთა მიწებზე პირველად არზურუმში გამოჩნდა, საიდანაც ნელ–ნელა აქსარაისკენ გააგრძელა სვლა. ამიტომაც, 1256 წელს კონია–აქსარაის შორის მდებარე სულთან ხანში სელჩუკთა ლაშქარი მონღოლებს შეებრძოლა. სელჩუკები სასტიკად დამარცხდნენ. იზედინმა შეიტყო თუ არა დამარცხების შესახებ ანტალიისკენ გაემართა (**Sümer, 1969:29; Subaşı, 2015:81**).[19]ბაიჯუ კი კონიისკენ დაიძრა და მის მახლობლად დაბანაკდა. იზედინის ადგილი, მისმა ძმამ ქილიჩარსლან IV–მ დაიკავა.

ბაიჯუ ნოინის მიერ მუღანის დატოვება და ჰულაგუ ხანის ამ რეგიონში გამოჩენა ერთდროულად არ მომხდარა. ბაიჯუ ნოინმა ბრძანების გამო დატოვა მუღანი, ჰულაგუ კი წინსვლას აგრძელებდა. ჰულაგუს პირველი მიზანი 1256 წლის 19 ნოემბერს აღებული ალამუთის ციხე იყო, რომელიც მანამდე ისმაილიტების ხელში იყო (**Yuvalı, 1998:473**). ქართლის ცხოვრების მიხედვით, ჰულაგუმ, შვიდწლიანი ბრძოლის დასასრულებლად და ალამუთის ციხესიმაგრის ასაღებად ლაშა–გიორგის ძე დავით ულუს მეთაურობით ქართული ჯარი და ნოინი გააგზავნა. დიდი ხნის ბრძოლისგან დაქანცულმა ალამუთე-ლებმა ქართველთა და მონღოლთა მოსვლის შესახებ რომ შეიტყვეს, ეგვიპტეში გაიქცნენ. ქართველებიგახდნენ მოწმენი, თუ რა სიღატაკე და შიმშილში იყო ალამუთის მოსახლეო-ბაში (**K.TS, 2014:347; Brosset, 1849:544**). ალამუთის ციხის აღების შემდეგ ჰულაგუმ მთელი ყურადღება ბაღდადის დაპყრობაზე გადაიტანა. ვარდანი, ალამუთის ციხესიმაგრის აღების თარიღად 1255 წელს ასახელებს. მისივე თქმით, ჰულაგუ ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ ქართველი მეფე და დიდებულები მოიხმო და დააჯილდოვა. ამის

[19]სომხურ წყაროებში ანტალია წერია, თუმცა ცხადია, რომ დღევანდელი ქალაქი კი არა, არამედ ანტალიის მხარე იგულისხმება(Sebastatsi, 2005:46; Kiragos, 2009:74).

მიზეზი იყო ისა, რომ ჰულაგუ, რომლის საყვარელი ცოლი დოქუზ ხათუნი ნესტორიანელი ქრისტიანი იყო, ქრისტიანებს პატივს სცემდა და მფარველობდა (Vardan, 2017:104). სებასტაცი თავის ქრონიკაში წერს, რომ ალამუთის ციხის აღების შემდეგ ჰულაგუ დავით მეფე საქართველოში მოინახულა (Sebastatsi, 2005:46).

ალამუთის ციხის აღების შემდეგ, 1257 წელს ჰულაგუმ თავრიზისკენ აიღო გეზი (Fazlullah, 1998:488).მუღანის დაბლობზე მცირე შესვენების შემდეგ თურქულ ქვეყნებში მცხოვრებ თათართაგან 30 ათასკაციანი ჯარი შეკრიბა (Het'um, 2004:47; Subaşı, 2015:84). შემდეგ კი საქართველოსა და სომხეთში წარმომადგენლები დაინიშნა. 21 სექტემბერს ჰამედანში, საკუთარ ბანაკში დაბრუნდა, სადაც ბაღდადის დასაპყრობად სამზადისი მიმდინარეობდა (Fazlullah, 1998:488; Subaşı, 2015:84). ჰამედანში დაბრუნებამდე ჰულაგუს არმიის რიგებში სხვადასხვა ეროვნების დამხმარე ძალები იღებდნენ მონაწილეობას. ამიერიდან მათ ქართველთა და სომეხთა ძალებიც შეემატნენ. ჰულაგუმ ჯერ მოწინავე რაზმი გააგზავნა და 1258 წელს ზემოხსენებული დამხმარე ძალები შეკრიბა და თვითონაც ბაღდადზე გაილაშქრა (Grigor, 2012:51, Subaşı, 2015:84). ხალიფა ალ-მუსტასიმ ბილაჰმა სასახლიდან ქუჩუქ დევადარისა და იბნ ქერას მეთაურობით არმია გაგზავნა. ისინი თავიდან შეხვდნენ მონღოლთა სამი ათასიან მოწინავე რაზმს, სადაც შაჰინშაჰის ძე ზაქარიაც იბრძოდა. ხალიფას არმიამ მოწინავე რაზმი დაამარცხა, თუმცა ღამით მონღოლები უეცრად დაესხნენ თავს და დაამარცხეს ჯარი, რომელსაც დევადარი მეთაურობდა, იბნ ქერა კი მოკლეს (Kiragos, 2009:77; Hebraeus, 1950:568-569). ჰულაგუმ, ბაღდადის დასაპყრობად ბაიჯუ ნოინიც მოიხმო, რომელიც იმ დროს რუმინელების დაპყრობას აწარმოებდა. ბაიჯუ ნოინი თავისი არმიით ჩაერთო ბაღდადის დაპყრობაში (Kiragos, 2009:77; Turan, 2014:503).

ამ მოვლენების კვალდაკვალ ჰულაგუ აგრძელებდა წინსვლას და 1258 წლის 30 იანვარს მთელი ძალებით ბაღდადზე შეტევა ბრძანა. მონღოლებმა ქალაქი აიღეს. ბრძოლაში ჰულაგუს არმიაში, დამხმარე ძალებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელთა შორის ქართველთა მეთაური შაჰინშაჰის ძე ზაქარია, სუმბატ ორბელიანი და ბაგრატიონთა შთამომავალი გურგენის ძე იყო (Vardan, 2017:106; Subaşı, 2015:85). ქართლის ცხოვრების მიხედვით, ბაღდადის აღების დროს ბრძოლაში მონაწილე ქართველთა ძალებს დავით მეფე ხელმძღვანელობდა. უფრო მეტიც, ბაღდადის გალავან-თან დავით მეფე და ქართველთა ჯარის ნაწილი იმყოფებოდა. დავით მეფემ, ჯარისკა-ცებს ქალაქის გალავანში გვირაბის გათხრა და ქალაქში შესვლა უბრძანა. ჯარისკაცებმა ბრძანება შეასრულეს, გვირაბი გათხარეს და ქალაქში შევიდნენ, სადაც სისხლისმღვრელი ბრძოლა დაიწყო. 12 დღის ბრძოლის შემდეგ ქალაქი დაიპყრეს. ქართველმა ჯარისკა-ცებმა, ბაღდადის მცველთა ჯგუფები ამოჟლიტეს. ქალაქის კარი გააღეს და მონღოლები ქალაქში შემოუშვეს (K.TS,2014:349). აღების შემდეგ მონღოლებმა ბაღდადი მიწასთან გაასწორეს, გადაწვეს და გაძარცვეს. ხალიფა ელ–მუსტასიმი მოკლეს. ერაყში ბევრი სისხლი დაიღვარა, ყველა კუთხე-კუნჭული დაინგრა და გადაიწვა (Mansûri, 2016:33). განსაკუთრებით მუსლიმი მოსახლეობა დახოცეს. დახოცილთა რიცხვი ათი ათასობით იყო. აბულ ფარაჯის მიხედვით, იბერიელებმა (ქართველებმა) ბაღდადის ქუჩებში უამრავი სისხლი დაღვარეს (Hebraeus, 1950:569-570; D'ohsson 3, 1852:241). ჰულაგუმ

ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, მისი ცოლის, დოქუზ ხათუნის გამო, ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობის ხოცვა–ჟლეტა აკრძალა (Kiragos, 2009:79; Vardan, 2017:106). ფარაჯი წერს, კათალიკოსის ქრისტიანი მრევლი ,,მესამე კვირის" ეკლესიაში შეიკრიბა, რადგან აქ მათ მფარველობდნენ და არცერთი მათგანი არ მოუკლავთ (Hebraeus, 1950:570). სომხური ქრონიკების მიხედვით, ბაღდადის აღების შემდეგ იმდენი ხალხი დაიხოცა, რომ დამშეული ადამიანები მიცვალებულების ხორცით იკვებებოდნენ (Sebastatsi, 2005:48). ბაღდადში მონღოლთა მიერ ხალხის ხოცვა-ჟლეტის შესახებ თითქმის ყველა წყარო მსგავს ცნობებს გვაწვდის. უმდიდრეს ბაღდადში უამრავი ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები, ქსოვილები, ურიცხვი სიმდიდრე იყო, რომელიც ბაღდადის დაპყრობისას დაიტაცეს და გაძარცვეს. ჯარისკაცები გამდიდრდნენ (K.TS., 2014:349).

ჰულაგუ ხანმა, ბაღდადიდან გატანილი ურიცხვი ნადავლი და განძი რეის ამირა მელიქ ნასრედინ ალაედინის ხელით აზერბაიჯანში გააგზავნა. ისმაილიტების ციხეებიდან, ქართველების, სომხების, ბერძნების, ლურების და ქურთებისგან მოგროვებული ნადავლიც იქ გააგზავნა. თუმცა ზოგიერთი რამ, დაპყრობისა და გამარჯვების ნიშნად დედაქალაქში, დიდ ყაენ მენგუს გაუგზავნა (Fazlullah, 2013:50). ამის შემდეგ, როგორც გრიგორი გადმოგვცემს, ჰულაგუ ხანმა მენგუ ხანს ელჩის ენით შეუთვალა: „ქვეყანა მეთაურის გარეშე თუ დარჩა ჩვენი წინაპრის ჩინგიზ ხანის დანაბარებს ვერ აღვასრულებთ. ბრძანება თქვენია და რას ინებებთო." მენგუ ყაენმა ელჩის მეშვეობით ჰულაგუს ხანად დანიშვნის ბრძანება გადასცა და მისდამი დამორჩილებულ მმართველებთან ერთად ყურულთაიზე მიიწვია. ქართველი მეფე და ბაიჯუ ნოინიც მხედრებთან ერთად მიიწვიეს და ზოგიერთი საიდუმლო გადაწყვეტილებაც სწორედ ამ ყურულთაიზე მიიღეს (Grigor, 2012:55-56). გრიგორის გადმოცემით, ყურულთაის ორგანიზატორებმა, ჰულაგუს გარდა შვიდი ხანის შვილები - ბალახენი, თუთარი, ქადაღანი, ბორახენი, თექუდარი და ხულის ძე მიღანიც დაპატიჟეს. შეკრებაზე ყველამ გაიგო ჰულაგუს ხანად დანიშვნის შესახებ. ამ ამბით უკმაყოფილონი დარჩნენ მაგრამ ბალახენი, თუთარი, ქადაღანი და მიღანი, რომლებმაც ჰულაგუსადმი მორჩილებაზე უარი განაცხადეს. როდესაც მენგუ ყაენის ამირებმა გაიგეს, რომ დაუმორჩილებლები ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, მათი მშვილდის სიმით დახრჩობის ბრძანება გასცეს. ქართველებს, სომხებს და ჰულაგუს მებრძოლებს მათი ჯარის განადგურება ებრძანა. ბრძანება შესრულდა. მაგრამ, ორმა მეთაურმა ნოღაი ქო'უნმა და არდამურმა გაქცევით უშველეს თავს. ისინი მტკვარზე გადავიდნენ და დახმარებისათვის ბერქე ხანს ეახლნენ. გრიგორი წერს, რომ არ არსებობს ბოროტება, რომელიც ათი წლის განმავლობაში ამ ორ ადამიანს ბერქე ხანის ბრძანებით არ შეესრულებინოს.

ჰულაგუს ხანად გამოცხადება ზეიმით ჩატარდა. ეს რომ სომეხთა მეფე ჰათუმმა შეიტყო, ძვირფასი საჩუქრებით ჰულაგუსთან გაემგზავრა (Grigor, 2012:56-57). გრიგორის გადმოცემით, ჰულაგუ ხანმა სომეხი და ქართველი ჯარისკაცები ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცის გამო დააჯილდოვა. მათი საგმირო საქმეების გამო ეპითეტებით შეამკო. ახალგაზრდა და კარგი შესახედაობის ვაჟკაცები შარჩია და ქესიქთოის (გვარდიის) მშვილდოსნებად და ხმალოსნებად დანიშნა (Grigor, 2012:59).

ჰულაგუმ ბაღდადის დაპყრობის შემდეგ წინსვლა გააგრძელა. მას დამასკოსა და ალეპოს დაპყრობა ჰქონდა მიზნად დასახული და მონღოლთა ამ ლაშქარში ქართველთა შენაერთებიც იყვნენ. ქართველთა სარდალი სადუნი ალეპოს ალყის დროს სახეში დაიჭრა. ჰულაგუს ეს ამბავი რომ აუწყეს, მას უთქვამ: „როგორც მთვარე ამკობს ქალების ლოყას, ისე ალისფერი სისხლი სახეზე და ულვაში მამაკაცის დიდებული სამკაულიაო“ **(Fazlullah, 2013:54).** გრიგოლ აკანელის ცნობით, სადუნი, ჰულაგუს სირიის დაპყრობამდე მენგუ ხანმა ელჩთან ერთად გაუგზავნა, სადაც ყველაზე ძლიერი ადამიანი დაამარცხა, რის შემდეგაც საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ჰულაგუ ხანმა, მენგუ ხანის მიერ გაგზავნილი კაცის მოწინააღმდეგე სომეხი და ქართველი მეომრების დახმარებით იპოვა **(Grigor, 2012:59-61).** ცნობილია, რომ მეიაფარიქინის (1259-1260) და აინ–ჯალუთის ბრძოლებში ქართველთა შენაერთები მონღოლთა მხარეს იბრძოდნენ **(Ğamdi, 2010:227-242, Subaşı, 2015:90).** ჰულაგუმ სირიის ლაშქრობიდან დაბრუნებისას, ადგილზე, დაცვის მიზნით ოცი ათასიანი ჯარი დატოვა. თუმცა, მამლუქთა სულთანი ქუთუზი (1259-1260 წწ.) დიდძალი ჯარით დაესხა თავს ჰულაგუს მიერ დატოვებულ ჯარს. ამ ნაწილს ქით ბუღა მეთაურობდა. 1260 წელს აინ–ჯალუთის ბრძოლაში დამარცხებულ მონღოლთა ლაშქარში უამრავი სომეხი და ქართველი ჯარისკაცი დაიხოცა **(Subaşı, 2015:91).** ჰეთუმის ისტორიის მიხედვით, სირიაში მონღოლთა ჯარზე ქუთუზის თავდასხმისას დროს, ჰულაგუ ბერქე ხანს ებრძოდა. ამ ბრძოლის გამო მონღოლები სირიის შენარჩუნებას ვეღარ ახერხებდნენ, ამიტომაც ჰულაგუმ სომხეთის, საქართველოსა და სხვა ქრისტიანული ქვეყნების ჯარები სირიაში საბრძოლველად ისევ გააგზავნა, თუმცა 15 დღეში იგი ავად გახდა და გარდაიცვალა **(Het'um, 2004:52)**. სირიის ლაშქრობის დროს, მონღოლთა ლაშქარში მებრძოლმა დავითმა ჰულაგუსგან ქვეყანაში დაბრუნების ნება ითხოვეს. ჰულაგუმ ნება დართო. ქართველები მოპოვებული ნადავლით, აზერბაიჯანის გავლით თბილისში დაბრუნდნენ **(K.TS., 2014:351)**.

იმის დაზუსტება, თუ როდის გადავიდა ჰულაგუს დაქვემდებარებაში საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიები, შეუძლებელია. თუმცა, მას შემდეგ, რაც დიდმა ყაენმა უბოძა, აქაურობას ჰულაგუ მართავდა. 1258 წლიდან კი ახალი სახელმწიფო შეიქმნა, რომელიც სამხრეთ კავკასიასაც მოიცავდა, ხოლო ცენტრი ირანში იყო.

დავითის აჯანყებები საქართველოში

ქართლის ცხოვრების მიხედვით, საქართველოს მეეფებმა, დავით ულუმ და დავით ნარინმა ყაენთან საკმაოდ დიდ ხანს იცხოვრეს. ჰულაგუს დავით ულუსთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით დავით ნარინზე. დავით ნარინი ალადაღში ჰულაგუსთან ყოფნის დროს ცუდად იქცეოდა, რის გამოც იგი გაგზავნეს ბარდაში, რომელსაც ისინი ყიშლაღად იყენებდნენ. ჰულაგუს დავითის საქციელი აწუხებდა, ამიტომაც გზად მონღოლი მეომრები გააყოლა. ნახიჭევანთან მიახლოებისას დავით ნარინი სამ თანმხლებ პირთან ერთად აფხაზეთისა და ლიხისკენ გაიქცა. ამ დროს დავით ულუ თბილისში იმყოფებოდა. დავით ნარინი სუმბათ ორბელიანს შეხვდა, რომელიც მას ქუთაისში გადასვლაში დაეხმარა. აფხაზეთის, იმერეთისა და ლიხის ერისთავებმა გაიხარეს დავით ნარინის მოსვლით და იგი იმერეთისა და აფხაზთა მეფედ სცნეს. ამგვარად სამეფო ორად გაიყო. ლიხის მთების ზემო ნაწილი დავით ნარინს, ქვემო

ნაწილი კი დავით ულუს ხვდა წილად. საქართველოს სამეფოს ცენტრი თბილისი და ქვეყნის მმართველობა დავით ულუს დარჩა. დასავლეთ საქართველოში, რომელსაც დავით ნარინი მართავდა, მონღოლმა დამპყრობლებმა ვერ შეაღწიეს. ,,ქართლის ცხოვრების" მიხედვით დავით ნარინი ბათოს ყაენის სასახლეს ეწვია და კარგ ხანს ცხოვრობდა. ბათო ყაენი მას პატივით და კეთილად ეპყრობოდა (**K.TS., 2014:347-348**). ეს ცნობა სიმართლეც რომ იყოს, მისი მასპინძელი ოქროს ურდოს ხანი ბათო ნამდვილად ვერ იქნებოდა. რადგან ბათო ხანი 1255/1256 წლებში გარდაიცვალა. ხოლო ორი დავითის აჯანყებები 1259 წელს დაიწყო. დავით ნარინი დიდი ალბათობით ბერქე ხანს უნდა შეხვედროდა.

ჯუვეინი წერს, რომ 1258 წლის შემდეგ, როდესაც ამირა არღუნი ხორასნის გავლით საქართველოში მოვიდა, დავით ნარინის აჯანყებების შესახებ შეიტყო. ჰულაგუმაც მის წინააღმდეგ მონღოლებისა და მუსლიმებისგან შემდგარი ჯარი გააგზავნა. 1259 წლის სექტემბრის ბოლოს, ჰულაგუს სირიაში ლაშქრობის დროს ამირა არღუნი მას შეუერთდა და შექმნილი მდგომარეობის შესახებ აცნობა. ჰულაგუმ ჯარი ორად გაყო და ერთი ნაწილი არღუნის თაოსნობით ქართველების წინააღმდეგ გამოაგზავნა. ქართველთა ჯარი მალევე დამარცხდა (**Cuveynî, 2013:431**). ამ დროს, მონღოლთა მიერ მუდმივად ლაშქრის მოთხოვნამ, უსამართლო გადასახადებმა და მოსახლეობის აღწერემბა დავით ულუსაც აჯანყებისკენ უბიძგა (**Allen, 1971:116**). მონღოლთა გამუდმებულ ბრძოლებში ქართველთა იძულებით მონაწილეობამ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

იმავე 1259 წელს ჰულაგუს სირიაში ლაშქრობისას დავით მეფე დამხმარე ძალად იხმეს, რამაც ბაღდადის ლაშქრობიდან ახალდაბრუნებული დავითი და მისი ჯარი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. დავით მეფემ სასწრაფოდ შეკრიბა დიდებულები და ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის თაობაზე რჩევა ჰკითხა. ბრძოლაში მონაწილეობას მხარი არავინ დაუჭირა. უფრო მეტიც, ამირა არღუნის მიერ გადასახადების აკრეფისა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდების გამო დაიჩივლეს. თათბირზე მეფემ გადაწყვიტა არ მიეღო ლაშქრობაში მონაწილეობა, ეს კი მონღოლთათვის აჯანყების დაწყებას ნიშნავდა. თბილისში გადასახადების აკრეფა ირანელ ხოჯა აზიზს ევალებოდა. ხოჯა აზიზი სასტიკად იქცეოდა. მეფის სამზარეულოსთვის შემენილი ცხვრისა და ბატკნისგანაც კი „დამღის" გადასახადს იღებდა. დავით მეფემ აჯანყებისთვის ყველა ქართველი დიდებულის შემოკრება ვერ მოახერხა, მაგრამ სარგის ჯაყელს აჯანყებაში მონაწილეობა შესთავაზა, რაზეც თანხმობა მიიღო. სარგის ჯაყელი მეფეს სამცხეში გადმოსვლაში დაეხმარა. მეფე სარგისთან ზაფხულის ბოლომდე დარჩა (**K.TS, 2014:352 ; Allen, 1971:116; Subaşı, 2015:92-97**). დავითს სარგისთან არც ცოლი, დედოფალი გვანცა და ახალდაბადებული ვაჟი დემეტრე წაუყვანია. მხოლოდ და მხოლოდ უფროსი ძე გიორგი ჰყავდა გვერდით (**Kiragos, 2009:82-83**). ამ დროს, ჰულაგუსთან მიმავალმა ამირა არღუნმა, რომელმაც აჯანყებული დავით ნარინი დაამარცხა, თბილისში ჩააღწია და გაიგო, რომ ამჯერად დავით ულუ იყო აჯანყებული და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდა (**Cuveynî, 2013:431**). ამირა არღუნი საქართველოს რამდენიმე რეგიონს დაესხა თავს. მოსახლეობის ნაწილი ამოწყვიტა, ნაწილი კი ტყვედ წაიყვანა. კირაკოსის მიხედვით გელათის ეკლესია მთლიანად გადაწვა (**Kiragos, 2009:83**). ჯუვეინის

ცნობებსა და ქართლის ცხოვრებაში ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული უზუს-ტორბებია. ჯუვეინის ამბობს, რომ ჰულაგუმ ჯარი ორად გაყო და ქართველების წინააღმდეგ გაგზავნა 1259 წელს, დავით ნარინის აჯანყების დროს. ქართლის ცხოვრებაში კი ეს მოვლენები უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული. ჰულაგუ მამლუქთა სულთანთან ბრძოლის შემდეგ უკან რომ დაბრუნდა, ალადაღის საზაფხულო რეზიდენციიდან მუღანსა და ყარაბაღში გადავიდა, სადაც ამირა არღუნისგან აჯანყების შესახე შეიტყო თუ არა, ჯარი ორად გაყო (K.TS, 2014:352; Cuveynî, 2013:431). არღუნს ქართველების ჩავლით 200 მეთაური და 20 ათასი მხედარი ჰყავდა და თბილისში რომ ჩამოაღწია ქართველი აზნაურებიც შეიერთა, რითაც ლაშქრის რაოდენობა უფრო გაზარ-და. სამცხეში მყოფმა დავით მეფემ კი, სარგის ჯაყელის მხარდაჭერით 8 ათასიანი არმია შეკრიბა. ჯარს სათავეში სარგის ჯაყელი ჩაუდგა. პირველი შეტაკება დეკემბრის თვეში ახალდაბის ველზე მოხდა. მართალია მონღოლთა ზოგიერთი ძალა გაანადგურეს, მაგრამ სიმცირის გამო ქართველებმა უკან დახევა ამჯობინეს. მოგვიანებით კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა. ქართველ მხედართა ერთმა ნაწილმა არღუნის არმია დაამარცხა და 400 ცხენოსნით უკან დაიხია. არღუნის ჯარი გადაღლილი იყო, ამიტომ უკან, ჰულაგუს-თან დაბრუნდა. მაგრამ, უკან დაბრუნებისას დავით მეფის ცოლი, ვაჟი, დიდებულები შაჰინშაჰი და ჯელალ ჰასანი დაატყვევა და მონღოლთა დედაქალაქში გააგზავნა (Kiragos, 2009:83). გაგზავნილთა შორის უნდა ყოფილიყო შაჰინშაჰის ძე ზაქარიაც. ზაქარია, ამირა არღუნისა და ქართველთა ბრძოლის დროს მონღოლების მხარეს იყო. მაგრამ არღუნმა შეიტყო რა მისგან მალულად სარგისთან მყოფი სიმამრის მოსანახულებლად წასულიყო, ამის შესახებ ჰულაგუს მოახსენა. ამ უკანასკნელმა კი მის დატყვევება ბრძანა (Kiragos, 2009:84). 1261 წელს შაჰინშაჰის ძე ზაქარია ჰულაგუმ სასახლეში მოაკვლევინა (Sebastatsi, 2005:49; Kiragos, 2009:84).

1261 წლის მაისში ჰულაგუმ არღუნი და მის ჯარში მყოფი ქართველები კვლავ გაგზავნა დავით მეფის წინააღმდეგ. ამირა არღუნმა, საქართველოს დიდი ზიანი მიაყენა. როდესაც ჰულაგუმ არღუნი მასთან იხმო, დავით მეფემ გაიგო თუ არა ამ უეცარი გადაწყვეტილების შესახებ, ჯავახეთში მის ირგვლივ მყოფი დიდებულები შემოიკრიბა და მომავალი გეგმების განხილვა დაიწო .

სარგის ჯაყელმა მეფეს ლიხს იქეთ, დავით ნარინდან გადასვლა ურჩია, რადგან მონღოლთა მმართველობა იქ არ ვრცელდებოდა. დავით ულუმ ეს რჩევა მიიღო და დავით ნარინს ელჩი გაუგზავნა. თანხმობის მიღების შემდეგ დავით დავით ულუ მასთან წავიდა. დავით ულუსა და დავით ნარინის ქუთაისში ყოფნის დროს ერისთავთა ერთი ნაწილი დავით ულუს ერთიანი საქართველოს მეფედ გამოცხადებას მოითხოვდა, თუმცა ამის წინააღმდეგი იყვნენ დავით ნარინის მომხრეები. საბოლოოდ, ორი დავითი სამეფოსა და სამეფო ხაზინის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფას დათანხმდნენ. ქვეყანას, ქუთაისის და თბილისის სახით, ორი დედაქალი ექნებოდა და სამეფოს ორი მეფე მართავდა. (K.TS., 2014:354; Allen, 1971:117).

გარკვეული დროის შემდეგ დავით ულუსა და მონღოლებს შორის შეთანხმება დაიდო. შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს მმართველების ქვეყანა დაბრუნება. დავითმა ცოლისა და უმცროსი ვაჟის სანაცვლოდ უფროსი ვაჟის

გიორგის გაგზავნა და როგოც აჯანყებების მიზეზის, ხოჯა აზიზის მოკვლა მოითხოვა. ჰულაგუ ხანმა, ამ მოლაპარაკებების დროს შუამავლად ენიქ არუქანი დანიშნა. მისი დახმარებით გიორგი ჰულაგუს წინაშე წარსდგა, სადაც მას კარგად ეპყრობოდნენ. გიორგი აქ დაახლოებით ერთი წელი დარჩა. ჰულაგუმ დავით მეფეს ელჩი გაუგზავნა და მასთან მიიწვია. დავით შეუთვალა, რომ სანამ ხოჯა აზიზს არ მოკლავდნენ, ის ხანს არ ეახლებოდა. ამან ჰულაგუ განარისხა და არღუნის რჩევით დავით ულუს ვაჟის გიორგის მოკვლა ბრძანა. მაგრამ როდესაც ეს ამბავი ენიქ არუკანმა გაიგო, სასწრაფოდ ჰულაგუ ხანის პირველ ცოლს დოქუზ ხათუნს ეახლა. დოქუზ ხათუნი და ენიქ არუქანი ჰულაგუს წინაშე წარსდგნენ და მოახსენეს რომ, საქართველოს სამეფო და ოქროს ურდო (ჯუჩის შვილები) ჰულაგუს წინააღმდეგ გაერთიანდნენ და, თუკი უფლისწულ გიორგის მოკლავდა ეს გაერთიანება ილხანთათვის დიდი საფრთხე იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰულაგუს ხოჯა აზიზის მოკვლა არ სურდა, დათმობაზე წასვლა ამჯობინა. ენიქ არუქანმა, ელჩთან ერთად თბილისში დავითის ორი ვაჟი და ხოჯა აზიზი გაგზავნა და მომხდარი შეატყობინა. მეფემ დაინახა თუ არა, ხოჯა აზიზი მისი მოკვლის ბრძანება გასცა. მისი მოჭრილი თავი თბილისში გააგზავნა და ხალხის დასანახად მოედანზე ჩამოკიდა. ამის შემდეგ კი ამირა არღუნი და დავით მეფე თბილისიდან ჰულაგუ ხანთან წავიდნენ **(K.TS., 2014:355-356)**. დავით ულუმ, რომელმაც ჰულაგუს წინააღმდეგ ეგვიპტელ მამლუქებთან კავშირი დაამყარა, 1264 წელს მონღოლთა მიერ მოწვეულ ყურულთაიზე მონღოლთა ბატონობას თავი ვერ დააღწია. შემდგომში, ოქროს ურდოსა და ჰულაგუს ბრძოლებში, იძულებული იყო ჰულაგუს მხარეს, ოქროს ურდოს წინააღმდეგ ებრძოლა **(Spuler, 1957:75).** საქართველოს სამეფოს დასუსტებულ ცენტრალურ ხელისუფლებას ამ მოვლენებმა დიდი დარტყმა მიაყენა.

ბრძოლა ბერქე ხანსა და ჰულაგუ ხანს შორის

ოქროს ურდოს სათავეში ბერქე ხანის მოსვლამ და ამავე პერიოდში ჰულაგუ ხანის მიერ ახლო აღმოსავლეთში ახალი სახელმწიფოს დაარსებამ რეგიონში მონღოლთა შემოსევლაშქრობებს მიმართულება შეუცვალა. 1258 წელს ახალი მონღოლთა სახელმწიფოს დაარსება, რომლის ცენტრიც აზერბაიჯანი იყო, ამ გეოგრაფიულ არეალში ახალი ეტაპის დასაწყისი იყო **(Erdem, 2000:7-8).** ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ბრძოლების პირველი ეტაპი ჰულაგუს მიერ ბაღდადის დაპყრობისა და აბასიანთა სახალიფოს დამხობის შემდეგ 1260 წლიდან დაიწყო. ჰულაგუს მიერ დაარსებული ახალი ილხანთა სახელმწიფოს ცენტრის აზერბაიჯანისა და არანის საქართველოსთან მეზობლობამ პროცესში ქართველებიც მჭდროდ ჩართო, რამაც მძიმედ იმოქმედა ქვეყანაზე. ადგილობრივი ქართველები ხშირად გამოდიოდნენ ილხანთა წინააღმდეგ, ან ხშირად ხდებოდნენ მათი მოწინააღმდეგეების თავშესაფარი, რაც ამ მხრივაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს **(Subaşı, 2015:77)**. ამ დროს ოქროს ურდოც და ილხანებიც ცენტრალურ ხაკანატს ექვემდებარებოდნენ, ათწლეულის განმავლობაში ილხანთა მონღოლების მხარეში ორი მმართველი შეიცვალა.

როგორც აღვნიშნეთ, მონღოლთა მიერ ირანის, აზერბაიჯანისა და ანატოლიის დაპყრობის დროს ბათოს ყაენის ჯარისკაცები აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერი-ტორიებზე იმყოფებოდნენ. გუიუქ ყაენი, ბათოს წინააღმდეგ ამ რეგიონიდან ჯარების

განდევნის ბრძანების გაცემისას გარდაიცვალა. შემდეგ მენგუ ყაენმა ტახტი ბათო ხანის მხარდაჭერით მოიპოვა და შესაბამისად ბრძანებებსაც მისი სურვილების მიხედვით გასცემდა. ამგვარად, ბათო ხანის ჯარი თავრიზში, მერეგასა და ჰამედანში გადასახადებს კრეფდა (Kafalı, 1976:56). მენგუ ყაენის ძმამ ჰულაგუ ხანმა კი, ჯუჩის და ილხანთა ულუსებს შორის მდებარე ბუნებრივი საზღვრის - კავკასიის მთებისა და დარუბანდის გავლით, ახალი ილხანთა ულუსი დააარსა და დედაქალაქად თავრიზი გამოაცხადა. ამასთან, ჯუჩის ულუსის უფლებებს ამ რეგიონზე არ სცნობდა (Kafalı, 1976:56).

ზოგიერთი მოსაზრებით, ოქროს ურდოს გაერთიანების სამხრეთ კავკასიაზე გაბატონებისათვის ბრძოლის დაწყება ბერქე ხანის ისლამის მიღებამ გამოიწვია (Vernadsky, 2015: 188). არაბი ისტორიკოსები, ოთემიშ ჰაჯი, ჯუზჯანი, ელ-აინი აღწერენ ბერქე ხანის მიერ ისლამის მიღებას. ამ მოსაზრების ერთ-ერთი მომხრე რიზაედინ ფაჰრედინი გადმოგვცემს, რომ, ბერქესა და ჰულაგუ ხანის მამები ჯუჩი და ტული ძმები იყვნენ. ერთხელ, ჰულაგუმ ბაღდადის ხალიფას წინააღმდეგ სალაშქროდ ყაენისგან ნებართვა აიღო. ამის შესახებ ბერქე ხანმა, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ხალიფასთან ბათო ხანს მოახსენა, რომელმაც დიდი ყაენი დაარწმუნა და ჰულაგუს ბრძოლა გადააფიქრებინა. ბათო ხანის გარდაცვალების შემდეგ ჰულაგუმ ყაენისგან კვლავ მოიპოვა ბრძოლის ნებართვა. შევიდა ბაღდადში ქალაქი გაძარცვა. ისლამის მიმდევარი ბერქე ხანი ამან ძლიერ გაანაწყენა. ჩინგიზის კანონების მიხედვით, ჰულაგუ ხანზე ბრძოლით ვერ იძიებდა შურს, მაგრამ ეგვიპტელებისა და მთელი ისლამური სამყაროს წინააღმდეგ დიდი საყაენოს მიერ დაწყებული ბრძოლის წინააღმდეგ გამოვიდა. ამან საბოლოოდ გააფუჭა მათი ურთიერთობა (Fahreddin, 2003:42-43).

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს სავაჭრო ურთიერთოების საკითხიც. გენუელებმა სავაჭრო კავშირი ჰქონდათ ილხანებთან, ხოლო ოქროს ურდოს - ვენეციელებთან. 1261 წლის 13 მარტს (Demirkent, 2000:146; Tezcan, 2009:158) ნიკეის იმპერიასა და გენუელებს შორის ნიმფეუმის შეთანხმება დაიდო, რის მიხედვითაც გენულებმა შავ ზღვაზე ვაჭრობის უფლება მოიპოვეს. მათ ჩრდილოეთით კაფაში, ანატოლიის სანაპიროებზე კი ამასრაში პირველი კოლონიები დააარსეს. მოგვიანებით კი, გალათადან ტრაპიზონამდე გადაჭიმულ სანაპიროებზე, ახალი კოლონიები, სინოპი, სამსუნი და ფაცა დაარსდა (Kamalov, 2003:48). აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გაჩენილი ერთგვარი სავაჭრო ქსელი რეგიონის ქვეყნებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო. 1204 წელს დაარსებული ტრაპიზონის იმპერია იზოლაციაში რომ არ აღმოჩენილიყო, აუცილებელი იყო გენუელ და ვენეციელ ვაჭრებისათვის გზები გაეხსნა შავიზღვის ჩრდილოეთის და თავრიზის გზის სამხრეთთან და იგივე ვაჭრების სტამბოლსა და დასავლეთ მსოფლიოსთან დასაკავშირებლად. გარე სამყაროსთან კავშირის შესანარჩუნებლად იძულებული იყო ეს გზა აერჩია. ამიტომაც კარები ჯერ გენუელი, შემდეგ კი ვენეციელი ვაჭრებისთვის უნდა გაეხსნა. ტრაპიზონმა სავაჭრო ცენტრების დაარსების ნება დართო იტალიელ ვაჭრებს, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ოქროს ურდოსთან. ძვირფასი საქონლით

მოვაჭრე ვენეციელებს ტანასა[20] და ტრაპიზონთან პირდაპირი კავშირი ჰქონდათ (Tezcan, 2009:172).ეს სავაჭრო ქსელი დიდ როლს თამაშობდა პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ჰულაგუსა და ბერქე ხანს შორის არსებული წინააღმდეგობის მიზეზები მდგომარეობდა შემდეგში:

ბათო ხანიდან მოყოლებული ჯუჩის ულუსის აზერბაიჯანზე პრეტენზიის საპირისპიროდ, ჰულაგუს მიერ აზერბაიჯანის საზღვრებში მდებარე თავრიზის დედაქალაქად გამოცხადება და ამ რეგიონში მისი უფლებამოსილების ცნობა.

ჰულაგუს დასავლეთში ლაშქრობის დროს ჯუჩის ულუსის ჯარისთვის დახმარების სანაცვლოს და ჩინგიზ ხანის ბრძანების შესაბამისად, ყოველწლიურ გადასახადის შეწყვეტა ბათო ხანის გარდაცვალების შემდეგ.

ჰულაგუს მიერ ბაღდადისა და სხვა ისლამური ქვეყნების აოხრება, რაც ს მიმდევარი ბერქე ხანისთვის მიუღებელი იყო.

აღმოსავლეთ აზიაში, დედაქალაქში მენგუ ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტისათვის დაწყებული ბრძოლის პარალელურად წინა აზიაში ბერქესა და ჰულაგუს შორის უთანხმოება დაიწყო. ბერქე ხანი არიქ-ბუღას უჭერდა მხარს, ჰულაგუ ხანმა კი მისი ძმის ყუბილაის მხარე დაიჭირა. მართალია ეს ბრძოლის დაწყების მიზეზი არ ყოფილა, თუმცა ბრძოლის მომზადების ერთ-ერთი ფაქტორი იყო (Yuvalı, 1994:97).

ორივე ულუსს კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილის და ხვარაზმის რეგიონის ხელში ჩაგდება სურდა (Kurat, 2015:631).

ჰულაგუს ექსპანსიის, მისი ჯარისა და პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მუსლიმი ეგვიპტის მამლუქების სახელმწიფო ელჩების მიერ მუსლიმი ბერქე ხანის პროვოცირება ჰულაგუს წინააღმდეგ.

ჩინგიზ ხანის ულუსებს შორის ზუსტი საზღვრების დაუდგენლობა. ოქროს ურდოსა და ილხანთა მდიდარი საძოვრებით მდებარე აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების განაწილების პრობლემა (Ötemiş, 2009:43).

ჩინგიზ ხანმა მის ვაჟებს შორის ტერიტორიების გადანაწილებისას, აზერბაიჯანი ჯუჩის გადასცა, შესაბამისად მისი ულუსი ილხანებისგან კუთვნილ ტერიტორიას მოითხოვდნენ (Özgüdenli, 2009:234; Aydoğmuşoğlu, 2011:68).

მონღოლეთის იმპერიაში არსებული დაპირისპირების გარდა ბერქე ხანი აქტიურად იყო ჩართული ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში,რის გამოც, წინამორბედებისაგან განსხვავებით რუსეთზე დიდ ყურადღებას ვეღარ იჩენდა (Vernadsky, 2015:190). ძირითადად ილხანთა ულუსის საკითხით იყო დაკავებული.

ამასთან დაკავშირებით კვლევებსა და წყაროებში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. მაგალითად, იბნი ვასილი ჰამევის წერს, რომ ჰულაგუ ხანმა ბერქეს კუთვნილი ტერიტორიების გამო ომი დაიწყო იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ჩინგიზ ყაენის კანონებს არ ექვემ-

[20] დღევანდელი აზოვი. ამ ქალაქის ადგილას თანაის კოლონია მდებარეობდა. ეს რეგიონი ჯერ ხაზარებმა და პაჭანიკებმა, მოგვიანებით კი ოქროს ურდომ დაიპყრო. ოქროს ურდოს მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. შუა საუკნეებში მიტოვებული ტანაისის ადგილი მახლობლად მდებარე ქალაქმა ტანამ ჩაანაცვლა. 1317 წლიდან თურქები აზარკად მოიხსენიებდნენ. ამ სახელწოდებით ფულიც მოიჭრა (Bilge, 1991:300).

დებარებოდა. ჩინგიზის ბრძანების მიხედვით, ის, ვინც რომელიმე ტერიტორიას დაიპყრობდა, ერთი მესამედი ბერქეს ოჯახის, ერთი მესამედი ჩინგიზის ოჯახის და დარჩენილ ერთ მესამედს კი მთავარსარდლებისა და ჯარისკაცებისთვის უნდა გადაეცა. თუმცა, ჰულაგუ ამ ბრძანებას არ ასრულებდა. ამან ბერქე ხანის გაანაწყენა და მის წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყვიტა (Hamevi, 1941:51). აღნიშნული მიწები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიდანვე ჯუჩის შვილებს ეკუთვნოდა და მისი ულუსის სამიზნე იყო. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჰულაგუს მოსვლა და ამ ტერიტორიებზე სახელმწიფოს დაარსება იყო მთავარი მიზეზი ბრძოლის დაწყებისა.

ეგვიპტელი მამლუქებისა და ოქროს ურდოს კავშირი

ოქროს ურდოს სახელმწიფოსა და ილხანთა შორის გამუდმებით ბრძოლა მიმდიანარეობდა, რაც განსაკუთრებით აისახა სამხრეთ კავკასიაზე და მის ხალხებზე. ამასთან, ოქროს ურდოსა და ეგვიპტის მამლუქებს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა, რადგან ილხანთა სახელმწიფო მათი საერთო მტერი იყო. ამ დაპირისპირების მიზეზი ილხანთა მიერ სუნიტური ისლამის სამყაროს ცენტრის და ამავე დროს საკუნეების განმავლობაში მუსლიმთა სამყაროს გამაერთიანებელი ბაღდადის აბასიანთა სახალიფოს დამხობა იყო. ბერქე ხანისგან განსხვავებით ბუდისტური რელიგიის მიმდევარმა ჰულაგუ ხანმა, ერთ დროს აბასიანთა და სასანიანთა კუთვნილი, მდიდარი ისტორიისა და კულტურის მქონე ადგილები არჩია ახალი სახელმწიფოს დასაარსებლად. უნდა ითქვას, რომ ილხანელმა მონღოლებმა ირანში ახალი სახელმწიფოს დაარსებისას ეს ფაქტორი არ უგულებელყვეს. უფრო მეტიც, ისინი მჭიდროდ ჩართეს სახელმწიფოს მართვაში და ადგილობრივ კულტურასაც მხარი დაუჭირეს (Erdem, 2000:8-10).

ბერქე ხანის გამუსლიმებამ მტრების წინააღმდეგ ახალი მოკავშირეების პოვნას შეუწყო ხელი. ილხანთა წინააღმდეგ ეგვიპტის მამლუქებთან მეგობრული ურთიერთობის მთავარი მიზეზი რელიგიური ფაქტორი იყო. ბერქე ხანმა ისლამი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის საფუძვლად აქცია. ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა ელჩების საშუალებით მიმდინარეობდა (Kamalov, 2003:44). მათ შორის მეგობრულ ურთიერთობებს ხელს უწყობდა ბიზანტიაც (Yuvalı, 1994:97). ბერქე ხანი, ისლამის მიღების შემდეგ ეგვიპტის სულთან ბაიბარსს ელჩების მეშვეობით წერილებს უგზავნიდა. ერთ–ერთ წერილში იმ ნათესავთა სიაც იყო, რომლებმაც ისლამი მიიღეს. ბაიბარსმა კი, ჰულაგუს მიერ ბაღდადის დაპყრობის გამო, ბერქე ხანს ჰულაგუს წინააღმდეგ საბრძოლვლად თხოვნით მიმართა (წერილები იხ.: **Abduzzahir, 1941:111-136; Kamalov, 2003:44).** აინ-ჯალუთში ჰულაგუს ჯარის დამარცხეხის მიუხედავად, ბაიბარსს ჰულაგუს შიში მაინც ჰქონდა (Kamalov, 2003:44-45). მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთათვის ეს მარცხი დიდი დარტყმა იყო, მამლუქთა მმართველ სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. რასაკვირველია, ოქროს ურდოსთან ეგვიპტის მეგობრული ურთიერთობა რელიგიის გარდა სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული. მამლუქთა სულთნები ოქროს ურდოსა და ილხანთა ულუსებს შორის ურთიერთობის გამწვავებას უწყობდნენ ხელს, რითაც აფერხებდნენ ჰულაგუს აგრესიას სირიაზე (Kamalov, 2003:45).

პალესტინაში, აინ-ჯალუთში დამარცხებული ჰულაგუ ხანი, 1262 წელს ქრისტიანულ კოალიციას შეუერთდა, რასაც 15 წელი სთავაზობდნენ (Kamalov, 2003:46). ამგვარად,

ილხანთა ულუსს ოქროს ურდოსა და მამლუქთა გაერთიანების წინააღმდეგ ბიზანტიის, მცირე არმენიის და ფრანკთა სამეფოების, ჯვაროსნების და პაპის სახით ქრიატიანი მოკავშირეები ჰყავდა **(Yuvalı, 1998:474).** ჰულაგუ ქრისტიანულ კოალიციას მას შემდეგ შეუერთდა, რაც აინ-ჯალუთის ბრძოლაში მამლუქებთან დამარცხდა. მამლუქებისა და ისლამური სამყაროს წინააღმდეგ და ეგვიპტეში ლაშქრობის მხარდასაჭერად საფრანგეთის მეფე ლუი IX–ს მეგობრობისა და მოკავშირეობის წერილი გაუგზავნა. მოგვიანებით, იგივე თხოვნით, წერილები გაუგზავნა პაპს და უნგრეთის მეფესაც. პაპი ჰულაგუს გამუდმებით წერილებს უგზავნიდა, სადაც მონღოლთა გაქრისტიანებას და ეგვიპტის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას სთავაზობდა. ჰულაგუმ პირველად 1262 წელს პარიზში ელჩი გააგზავნა და პაპის წინადადებას დადებითად უპასუხა **(Yuvalı, 1987:127; Kamalov, 2003:46)**. ბათო ხანის ლაშქრობებით შეწუხებული უნგრეთის მეფემაც სიხარულით მიიღო ჰულაგუს წინადადება. ამ შემოთავაზების მიღების სხვა მიზეზიც არსებობდა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონს ოქროს ურდოს სახელმწიფო მუდმივად ემუქრებოდა. ამიტომაც, ოქროს ურდოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილ ილხანთა სახელმწიფოსთან მოკავშირეობა, უნგრეთის სამეფოს პოლიტიკისთვის მისაღები იყო **(Kamalov, 2003:46; Yuvalı, 1994:178).** ეგვიპტის მამლუქთა სულთნების ოქროს ურდოსთან მოკავშირეობის დაწყება, თავიდან ილხანთა სახელმწიფოს დაშინებას უფრო ისახავდა მიზნად, მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა. ბრძოლის დასაწყისში კი ეგვიპტის მამლუქები წინა პლანზე საერთოდ არ ჩანდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდომ ბრძოლებში მნიშვნელოვან შედეგებს ვერ მიაღწია, ცხადია რომ ბერქე ხანის პოლიტიკამ ეგვიპტე ჰულაგუს თავდასხმებს გადაარჩინა **(Vernadsky, 2015:202)**. ჰულაგუ ბერქესთან ბრძოლით რომ არ ყოფილიყო დაკავებული, აუცილებლად იძიებდა შურს აინ–ი ჯალუთის გამო.

ილხანთა უმთავრესი მიზანს უპირველესად აღმოსავლეთის და შემდგომ, კავკასიის მიწების დაცვა წარმოადგენდა. აზერბაიჯანი და არანი ილხანთა სახელმწიფო ცენტრი იყო, ამიტომ აქაურობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამ დროისათვის ბათო ხანსა და მენგუ ხანის მიერ კავკასიაში გაგზავნილ არღუნს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ არ იყო მოშლილი. 1258 წლიდან ჰულაგუს მიერ ოფიციალურად რეგიონში ახალი სახელმწიფოს დაარსებით, კავკასიის მმართველობა ჰულაგუს მმართველობის ქვეშ სამხრეთ მონღოლეთის სახელმწიფოს შეუერთდა **(Spuler, 1957:73).** სწორედ ამ მიზეზებისა მოვლენების გამო, ბერქე ხანმა, ეგვიპტის სულთნის წაქეზებით, აზერბაიჯანში მისი უფლებების მოსაპოვებლად ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრა **(Kamalov, 2003:57)**. ამასთან დაკავშირებით ელ-მუფადალი სხვანაირად ფიქრობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მენგუ ყაენის გარდაცვალების შემდეგ მის ძმას არიქ ბუქასა და ყუბილაის შორის ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო. მრძოლაში არიქ ბუქამ გაიმარჯვა და დამარცხებულმა ყუბულაიმ ის არ სცნო. ბერქე ხანი არიქ ბუქას, ჰულაგუ კი უფროს ძმას, ყუბილაი ხანს უჭერდა მხარს. ამის გამო ჰულაგუ ბერქე ხანს გაუნაწყენდა და მის წინააღმდეგ ჯარის შეკრება დაიწყო. ბერქე კი ჰულაგუს წინააღმდეგ გაემართა და საქართველოში ჩავიდა **(El-Mufaddal, 1941:321)**. კირაკოსის და ქართლის ცხოვრების მიხედვით მათ შორის უთანხმოება დიდი ყაენის არჩევის დროს სხვადასხვა პოზიციის გამო დაიწყო. მაგრამ,

არის კიდევ ერთი ფაქტორიც. დარუბანდის მხარეში მოსულთა შორის იყვნენ ოქროს ურდოს ნოინები და ხალხი, რომლებიც ჰულაგუმ დახოცა. ვინც გადარჩა და გაქცევა მოახერხა, ბერქეს ნათესავებს შეაფარა თავი. ბერქემ ეს ამბავი რომ გაიგო, შურისძიების მიზნით დიდძალი ჯარი შეკრიბა (Kiragos, 2009:85-86; K.TS, 2014:359).

ბერქე ხანმა შეკრიბა მისი მმართველობის ქვეშ მყოფი ყველა ჯარისკაცი და რუსული სამთავროების ჯარი, რომლებიც მას გადასახადებს უხდიდნენ. ბერქემ აზერბაიჯანის დასაპყრობად გამზადებულ 30 ათასიან ცხენოსანთა არმიას სათავეში ნოღაის ჩაუყენა. ჯარი დარუბანდის გავლით შირვანის მახლობლად დაბანაკდა. ჰულაგუმ კი, ამის საპირისპიროდ, მისი მმართველობის ქვეშ მყოფი მთელი ლაშქარი შემოკრიბა. მათ შორის იყვნენ აზერბაიჯანელებიი, სომხები და ქართველებიც (Kamalov, 2003: 57-58).

ჯარის შეკრების შემდეგ, 1261/1262 წელს, ჰულაგუ ალადაღიდან დარუბანდისკენ, ანუ ბერქეს შესახვედრად დაიძრა (Hamevi, 1941:151). ჰულაგუმ ჯარი სამ ნაწილად გაყო. პირველი ნაწილი, მის შვილს აბაკას ჩააბარა და დამხმარედ ამირა არღუნი დანიშნა. მეორე ნაწილი დარიალის გადასასვლელზე ჩაასაფრა. დანარჩენი კი თან წაიყვანა დარუბანდის კარისკენ გაეშურა. იქ ორი გადასასვლელი იყო. პირველი დარიალში/ოსებთან მიდიოდა, მეორე კი დარუბანდში ანუ ბერქეს მიწებზე. აქ მოხდა სასტიკი შეტაკება. ჰულაგუს ჯარის ნაწილი ძლიერი სიცივისგან გაიყინა და მისი ჯარი დარუბანდის კართან უკან დაბრუნდა. თუმცა, ჩარმაღანის ვაჟმა შირამუნმა, რომელიც ჰულაგუს მხარეს იბრძოდა, ბერკე იძულებული გახადა უკან დაეხია (Kiragos, 2009:85-86). თავიდან ბრძოლა მცირე შეტაკებებით მიმდინარეობდა. უნდა ითქვას, რომ ამ დროს საქართველოშიც არ დაწყნარებულა მდგომარეობა და არეულობა იყო (Spuler, 1957:74). იმავე წელს, ჰულაგუმ ბერქე ხანის სარდალი ნოღაი დარუბანდის მახლობლად უკვე მეორედ დაამარცხა. ორივე მხარეს მრავალიჯარისაცი დაკარგა. ნოღაი კი გაიქცა. ჰულაგუს მტრის გაქცევის შესახებ შეატყობინეს, ის კი შამახიში მოვიდა და 20 ნოემბერს ვეზირ სეიფედინ ბითიქჩის, გადასახადების ამკრეფს, საქართველოს აჯანყებების ძირითადი მიზეზი, ხოჯა აზიზი და ხოჯა მეჯდედინ თებრიზელი დააჭერინა და შირვანში დაახოცინა (Fazlullah, 1998:511). როგორც ვხედავთ ხოჯა აზიზის შესახებ წყაროებში შეუთავსებლობაა. ქართლის ცხოვრების მიხედვით ხოჯა აზიზი აქამდე გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო, რეშიდუდინის ფაზლულაჰის ისტორიის მიხედვით კი ის ცოცხალი იყო და უფრო მეტიც ბერქესა და ჰულაგუს ბრძოლაში მონაწილეობდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი და სასტიკი ბრძოლა 1262 წლის დეკემბერში მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით გაიმართა. ჰულაგუ ხანი და ბერქე ხანი ერთმანეთს აზერბაიჯანში შირვანის ტერიტორიაზე შეხვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ბერქე ხანი უპირატესობას ფლობდა, ჰულაგუ ხანმა მაინც მოახერხა მისი დამარცხება. ჰულაგუს ჯარმა ხალხს წამებითა და ძარცვით დიდი ტანჯვა მიაყენა. გამარჯვებულმა ჰულაგუმ მისი ზოგიერთი მეთაური ბერქეს ჯარს დაადევნა. ჰულაგუს ჯარისკაცებმა მდინარე თერგი გადალახეს და ყივჩაღთა ველებამდე მივიდნენ. ჩათვალეს, რომ აქ რეგიონში ბერკე ხანის ჯარისკაცები არ იყვნენ და ზეიმი დაიწყეს. მაგრამ ბერქე ხანმა მოულოდნელი თავდასხმით 1262 წლის ბოლოს და 1263 წლის დასაწყისში ჰულაგუ ხანის ლაშქარი დარუბანდში, ანუ მუდმივი ბრძოლის ადგილზე სასტიკად დაამარცხა (Kamalov, 2003:58-

59; Preiss, 1995:79). ამ ბრძოლას „რკინის კარის ბრძოლა“ ეწოდა. ისლამური წყროების მიხედვით, დამარცხებულ ჰულაგუ ხანი ჯარისკაცებთან ერთად გაიქცა (Hamevi, 1941:153; Fahreddin, 2003:42-43). ყაზვინის გადმოცემით კი, ყივჩაღთა ველზე ბერქე ხანის ჯარების დამარცხების შემდეგ, ამირა ილქაი უკან გაჰყვა და მდინარე თერგი გადალახა. ყიშლაღებზე უბედურება დაატრიალა და უამრავი ადამიანი დახოცა, როთაც ბერქე ხანი განარისხა. ამის შემდეგ, დარუბანდისკენ წასვლისა ნახეს, რომ მდინარე თერგი გაიყინა. შემდგომი მოვლენები კი ისევეა გადმოცემული, როგორც სხვა წყაროებში (Kazvinî, 2018:478-479). მარკო პოლო წერს, რომ ორივე მხარეს დიდძალი ლაშქარი ჰყავდა, „სისხლიანი ბრძოლად“ წოდებული ეს პირველი შეტაკება ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის რვა თვე გრძელდებოდაო (Polo, 1980:12). იგი ამასთან ერთად ბერქესა და აბაკას შორის ბრძოლაზეც მოგვითხრობს. კირაკოსის მიხედვით კი, ბერქესა და ჰულაგუს შორის ბრძოლა ხუთი წელი გრძელდებოდა. მბობს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ყოველ ზამთარს იბრძოდნენ (Kiragos, 2009:86).

ჰულაგუ მცირე რაზმთან ერთად აზერბაიჯანში თელას ტბასთან, ამავე სახელწოდების ციხეს შეაფარა თავი (El-Mufaddal, 1941:321). მას თან ახლდა აბაკა ხანიც, რომელმაც ჰულაგუს სიკვდილის შემდეგ ილხანთა ტახტზე ავიდა და ოქროს ურდოსთან ბრძოლა გააგრძელა (Kamalov, 2003:60). ბრძოლის ბოლოსდამთავრების შემდეგ ბერქემ ჯარი დარუბანდისკენ გადასხა, ჰულაგუ კი გაქცევიდან მალე, 1263 წელს თავრიზში დაბრუნდა. სიკვდილამდე, ხორასანი და მაზანდარანი მდინარე ამუდარიამდე მთლიანად უფროს ვაჟს აბაკას გადასცა. არანი და აზერბაიჯანი სიბას (რკინის კარი) საზღვრამდე იეშმუთს, დიარბაქირი და მიმდებარე ტერიტორიები მომდევნო ვაჟს ჩააბარა (Fazlullah, 1998:513). ჰულაგუს სიკვდილის თარიღისა და მიზეზის შესახებ ზუსტი ცნობები არ არსებობს. საფიქრებელია, რომ იგი 1265 წელს ავადმყოფობით გარდაიცვალა. ზოგიერთი ცნობით ის მოწამლეს. ჰულაგუს თხუთმეტი შვილი დარჩა (Mansûri, 2016:47; Kamalov, 2003:60).

1261-1262 წლებიდან მოყოლებული კავკასიისა და, განსაკუთრებით დარუბანდის მიდამოებში მდინარეების მტკვრისა და თერგის ნაპირებზე დაწყებული ბრძოლა წლობით გრძელდებოდა. ბრძოლის შედეგები ვერც ბერქე ხანმა და ვერც ჰულაგუ ხანმა იხილა (Spuler, 1957:73), თუმცა ორივე მხარე ბევრჯერ დამარცხდა და ბევრჯერ გაიმარჯვა. თუ როგორ დასრულდა ეს ბრძოლა, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ირანელი ისტორიკოსების დიდი ნაწილი, ილხანთა გამარჯვებას აღიარებენ. ამის საპირისპიროდ ეგვიპტელი ისტორიკოსები ოქროს ურდოს გამარჯვებაზე საუბრობენ. ამის ორი მაგალითია რეშიდუდინ ფაზლულაჰი და იბნ ვასილი. ფაზლულაჰი დაწვრილებით საუბრობს 1262 წლის ბოლოს ბერქე ხანის დარუბანდში მარცხის შესახებ (Vernadsky, 2015:201), იბნ ვასილი კი ბერქეს მიერ ჰულაგუს დამარცხებაზე საუბრობს და ბრძოლის ველზე ბერქეს შეძახილს გადმოგვცემს: „ალაჰმა დასაჯოს ჰულაგუ! ჰულაგუმ მონღოლი მონღოლს აუმხედრა. ჩვენს შორის ბრძოლა რომ არ გაჩაღებულიყო, მონღოლთა არმია მსოფლიოს დაიპყრობდაო“ (Hamevi, 1941:153; Kamalov, 2003:59-60; Vernadsky, 2015:201).

აზერბაიჯანში გაბატონებისთვის ოქროს ურდოსთან დაწყებულმა ბრძოლამ ორ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობებიც დააზიანა. ჰულაგუმ თავრიზში ბერქე ხანის ვაჭრების დახოცვა და საქონელის განაწილება ბრძანა. მათ მოასწრეს და ფული და საქონელი თავრიზელ ვაჭრებს ჩააბარეს. ვაჭრების დახოცვის შემდეგ ეს საქონელი თავრიზელ ვაჭრებს დარჩათ. ბერქე ხანმა კი საპასუხოდ ილხანთა სახელმწიფოს ვაჭრები დახოცა. ამის გამო სავაჭრო გზებზე ვაჭართა მოქმედებები და წარმოება შეწყდა **(Yakubovskiy, 1976:59-60).**

რა თქმა უნდა, ინტერესს იწვევ ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა 1258 წელს, ჯერ კიდევ ახალშექმნილ პოლიტიკურ ერთეულსა და დაახლოებით ოცდახუთი წლის წინ დაარსებულ სახანოს შორის, რომელსაც ჩამოყალიბებული სახელმწიფო სისტემა გააჩნდა. ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრები, ამ თემაზე განმარტებებს არ აკეთებენ და ბრძოლის მიზეზებსა და შედეგებზე საუბრისას რომელიმე კონკრეტულ მხარეს ანიჭებენ უპირატესობას.

ომის მიზეზი, ჩვენი აზრით, განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში ჯუჩის ულუსის მარტო დარჩენაა. მონღოლების ცენტრალური ხელისუფლების სისუსტემ და იმ ფაქტმა, რომ ოქროს ურდოს მხარეს დიდი საყაენო არ იდგა, ბერქე და ქვეყანა მარტო დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინგიზ ხანმა საზღვრები წინასწარ დაადგინა და ეს რეგიონი ჯუჩის დაუტოვა, ჰულაგუ ამ რეგიონში უეცრად სისხლით მოვიდა, რამაც ჯუჩი ოღულლები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ჯუჩი შვილებმა არაერთხელ სცადეს ჰულაგუს წინააღმდეგ გაერთიანება, თუმცა უშედეგოდ. ბათო ხანის პერიოდში არ მოხერხდა აზერბაიჯანში ცენტრის ჩამოყალიბება, რადგან იგი ჩრდილოეთ კავკასიისა და ყარაყორუმს შორის დასახლდა და იმ პერიოდის პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით შესაფერისი ადგილი აარჩია. ჰულაგუ კი უეცრად გამოჩნდა, ამ ტერიტორიებზე სახელმწიფოს დასაარსებლად. ცხადია, ამ მოვლენებით სამხრეთ კავკასიაში ახალი, ხანგრძლივი ეტაპი დაიწყო. მონღოლთა სახელმწიფოს უშუალო დამკვიდრების ცენტრი არასდროს ყოფილა საქართველო. მათი სამიზნე აზერბაიჯანი იყო.

ბერქესა და ჰულაგუს შორის ბრძოლის პარალელურად საგარეო პოლიტიკაში იყო საკითხი, რომელიც სელჩუკთა მმართველ იზედინ ქეიქავუსთან იყო დაკავშირებული. ბრძოლის დაწყებამდე ოქროს ურდოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან, თუმცა ეგვიპტის კავშირმა და განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მათი ურთიერთობები თანდათან მოშალა. ამ მიზეზთაგან ერთ–ერთი ბერქე ხანის მიერ სელჩუკთა სულთანის იზედინ ქეიქავუსის გადარჩენა იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იზედინ ქეიქავუსი ბრძოლაში დამარცხდა საუკთარ ძმასთან, ქილიჩ არსლანთან, რომელსაც მხარს უჭერდნენ მონღოლები და იძულებული გახდა, ანტალიის მხარეს გაქცეულიყო. იზედინმა აინ–ჯალუთის ბრძოლის შესახებ გაიგო თუ არა, თავდაპირველად ეგვიპტის სულთან ზღვიდან ელჩები გაუგზავნა და ბაიბარსს მოკავშირეობა შესთავაზა. ეგვიპტის სულთანი ამ წინადადებას დადებითად შეხვდა, თუმცა ქეიქავუსის მარცხის შესახებ რომ შეიტყო, გაგზავნილი ჯარის ნაწილი ბრძოლის გარეშე უკან დააბრუნა. იზედინსა და ბაიბარსს მოკავშირეობა, განვითარებული მოვლენების გამო არ შედგა **(Kuşçu, 2017:98).** ქეიქავუსი ელჩი გაუგზავნა და თავშესაფარი სთხოვა ბიზანტიის

იმპერატორ მიხეილ პალეოლოგოს VIII–ს, რომელიც დედის მხრიდან ენათესავებოდა და ადრე დაეხმარა კიდეც ამის გამო. აღსანიშნავია, რომ სელჩუკი მმართველისთვის თავშესაფრის მიცემა ბიზანტიას შეეძლო საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოეყენებინა და იმპერატორს დახმარებაზე უარი არ უთქვამს (Vasary, 2015:85-86). წყაროების მიხედვით იმპერატორი თხოვნას სიხარულით შეხვდა და ქეიქავუსს კონსტანტინოპოლში კარგადაც უმასპინძლა (Ocak, 2011:23).

იზედინ ქეიქავუსი ამავდროულად ცდილობდა, ჰულაგუს წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის საზღვარზე გაჩაღებულ ბრძოლაში გაერთიანებულ ბერქესა და ეგვიპტელ მამლუქთა შორის მისი ადგილიც გამოეძებნა. ამასობაში, ბიზანტიის იმპერატორმა ბაიბარსს წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ ოქროს ურდოსკენ მიმავალი მისი ელჩების მოთხოვნები დააკმაყოფილა და უსაფრთხოდ გაამგზავრა. მათ შორის იყვნენ იზედინ ქეიქავუსის ელჩებიც. ჰულაგუმ რომ შეიტყო იზედინ ქეიქავუსის ბიზანტიაში ყოფნის შესახებ, ბიზანტიას მუქარა შეუთვალა. ამის შემდეგ, ბერქესა და ბაიბარსს შორის არსებული კავშირმა მდგომარეობა შეცვალა და პალეოლოგოსმაც გადაწყვიტა პოლიტიკა შეეცვალა. 1264 წელს, ბერქე ხანთან მიმავალი ბაიბარსის ელჩები დაატყვევა და რაც კი ებადათ, ყველაფერი ჩამოართვა (Kuşçu, 2017:98-100; Kamalov, 2005:6). მართალია მოგვიანებით ელჩები გამოუშვა, მაგრამ ჰულაგუს შიშით იზედინ ქეიქავუსის ოჯახი დაატყვევა რამდენიმე კაცი მოუკლა. იმპერატორმა, გულის მოსაგებად, ჰულაგუს მოთხოვნით, მასზე დასაქორწინებლად საკუთარი ქალიშვილი გაუგზავნა. თუმცა, გოგო გზად კეისარიაში იმყოფებოდა ჰულაგუ რომ გარდაიცვალა და ჰულაგუს ვაჟმა აბაკამ შეირთო (Hebraeus, 1950:585).

ამ მოვლენებმა პალეოლოგოსსა და ქეიქავუსს შორის უთანხმოება ჩამოაგდო. ქეიქავუსმა გასაწყვიტა იმპერატორი ტახტიდან ჩამოეგდო და შეთქმულებისთვის მზადება დაიწყო (Aksarayî, 2000:56; Ocak, 2011:25). პალეოლოგოსმა ქეიქავუსის განზრახვა შეიტყო და იგი მომხრეებთან ერთად, სავარაუდოდ 1263/1264 წელს ენეზის ციხეში გამოამწყვდია (Ocak, 2011:29). აქსარაის გადმოცემით, ბერქე ხანის ოფიციალური ცოლი და ქეიქავუსის მამიდა, ბერქეს სულთნის დახსნას სთხოვდა. ბერქე ხანმა იზედინ ქეიქავუსის გასათავისუფლებლად ნოღაის მეთაურობით 20.000 კაციანი ჯარი გაგზავნა. მათ მოახერხეს ენეზის ციხიდან ქეიქავუსის განთავისუფლება და ყირიმში გადაყვანა. იზედინი ყირიმში ბერქე ხანთან შესახვედრად ემზადებოდა, როდესაც ბერქე მოულოდნელად გარდაიცვალა. აქსარაის ცნობით, ქვეყნის ამირებმა იზედინ ქეიქკავუსის მოსვლა ავის მომასწავებლად ჩათვალეს და მას ყირიმში დარჩენა სთხოვეს (Aksarayî, 2000:57). წყაროების მიხედვით, ქეიქავუზის განთავისუფლებასთა დაკავშირებით სხვადასხვა ცნობები არსებობს, თუმცა ეს ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია. ბერკე ხანის მიერ იზედინ ქეიქავუსის ტყვეობიდან დახსნა ოქროს ურდოსა და ბიზანტიის ურთიერთობების დასაწყისად მიიჩნევა.

III თავი

ოქროს ურდოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები კავკასიის ქვეყნებთან აღმავლობის ხანაში (1265-1397 წწ.)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყუბილაი ხანის დროს ცენტრალური საყაენო ყარაყორუმიდან პეკინის მახლობლად ჰანბალიქში გადაიტანეს. ამგვარად, სხვა მონღოლური სახელწიფოები ცენტრს ჩამოშორდნენ და მათი დამოუკიდებლობის ხანა დაიწყო. ეს მოვლენები ბერქე ხანის მმართველობის ბოლო პერიოდში განვითარდა. ბერქე ხანის შემდეგ ტახტზე ავიდა მენგუ თემურლენგი, რომლის მმართველობის დროსაც ოქროს ურდოს სახელმწიფომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი მიიღო. 1265-1282 წლებში, სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიაულ არეალზე, მათ შორის საქართველოს სამეფოზე აბაღას დიდი გავლენა ჰქონდა, ვინაიდან სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოს სამეფოც ილხანების დაქვემდებარებაში შედიოდა.

§ 1. ბერქესა და აბაღას დაპირისპირება

1265 წელს, ჰულაგუ ხანის გარდაცვალების შემდეგ, მამის ადგილის დაკავება იეშმუთს სურდა, თუმცა ილხანთა ამირები ტახტისთვის შესაფერისად აბაღას მიიჩნევდნენ. ილხანელმა თეგუდარმა აბაღა ტახტზე აიყვანა და მთელი ჯარით მის დაქვემდებარებაში შევიდა (Vardan, 2017:119; Spuler, 1957:78).

ზოგიერთი წყაროს ცნობით, აბაღა ხანმა ტახტზე ასვლისთანავე ბერქე ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ეზ-ზეჰების მიხედვით კი, 1264/1265 წელს, ჰულაგუს გარდაცვალების შემდეგ აბაღა ილხანთა მეთაური გახდა. იმავე წელს ბერქემ აბაღას წინააღმდეგ გაილაშქრა და დაამარცხა იგი (Zehebî, 1941:351). ბაიბარსის მიხედვით, აბაღა ტახტზე ავიდა თუ არა, ბერქეს წინააღმდეგ სალაშქროდ ჯარის მზადება დაიწყო (Mansûri, 2016:47). **ელ–ომერის** გადმოცემის მიხედვით კი, რომელიც ჰულაგუს გარდაცვალების შემდეგ დაწყებული და ოზბეგ ხანის პერიოდამდე მიმდინარე ბრძოლების მიზეზი ასეთია: აბაღა ხანს ტახტზე ასვლისთანავე ოქროს ურდომ თავრიზში მეჩეთის აშენება სთხოვა. იგი ბერქე ხანს უნდა აეშენებინა. აბაღა მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ აშენებული მეჩეთის კარზე ბერქე ხანის სახელი დააწერეს. ამის შემდეგ ქსოვილის საწარმოს გახსნა მოისურვეს, აბაღამ ეს თხოვნაც დააკმაყოფილა. თუმცა, ქსოვილებს მხოლოდ ბერქე ხანისთვის აწარმოებდნენ. აბაღასა და ბერქეს შორის უთანხმოების დაწყებამდე ეს ასე გრძელდებოდა. როდესაც დაპირისპირებაში ბერქემ გაიმარჯვა, აბაღა ამან უფრო კიდევ უფრო განარისხა. ქსოვილის წარმოება ამგვარად შეწყდა. მოგვიანებით, როდესაც ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობა ჩამოვარდა, აბაღა ქსოვილის წარმოებაც განახლდა, ოღონდ ამჯერად ოქროს ურდო გადასახადს იხდიდა. ოქროს ურდოს სახელმწიფოს მიერ აშენებული მეჩეთისა და ქსოვილის საწარმოს მემკვიდრეობის საკითხი ოზბეგ ხანის პერიოდამდე დიდი დაპირისპირებების საგანი იყო (Ömeri, 1941:384-385).

აბაღა ხანმა, ტახტზე ასვლიდან ერთ კვირაში, ყველა ქვეყანაში იარლიღი დააგზავნა, სადაც მისი ტახტზე ასვლის შესახებ ამცნობდა. ამის შემდეგ კი, დარუბანდის, შირვანისა და მუღანის მხარეებიდან ალადაღის საზღვრებამდე გადაჭიმული ტერიტორიების დასაცავად, მისი ძმა იეშმუთი გააგზავნა მრავალრიცხოვანი ჯარით. მეორე ძმა და ნოინები დიდძალ ლაშქართან ერთად ქვეყნის სხვა მხარეს გაგზავნა. ჩარმაღანის ვაჟს შირამუნს კი საქართველო ჩააბარა (Fazlullah III, 1998:518; Fazlullah, 2013:79). აბაღას ხანად აღიარების შემდეგ, დავით მეფე მის წინაშე წარსდგა. იგი მეფეს სიხარულით შეხვდა. რეშიდუდინ ფაზლულას მიხედვით მან საქართველო დავით მეფესა (K.TS., 2014:360) და მის ვაჟს – სადუნს ჩააბარა (Fazlullah, 2013:79).

ვარდანის ცნობით, 1266 წელს, როგორც კი ბერქე ხანმა ჰულაგუს გარდაცვალების შესახებ გაიგო, საკუთარ ჯარს სათავეში ჩაუდგა და გარკვეული მიზეზების გამო , შურის საძიებლად დარუბანდისკენ გაემართა (Vardan, 2017:121; Gökbilgin, 1972:4). ფაზლულა ამ ლაშქრობის შესახებ წერს, რომ 1265 წელს, ბერქესადმი დაქვემდებარებული ნოღაის ჯარი მონაწილეობდა (Fazlullah, 2013:80). აბაღა ხანმა ჯარი შეკრიბა და დავით მეფეც მასთან მიიწვია (K.TS, 2014:360). მისი ძმა იეშმუთი კი ნოღაის ჯართან შესახვედრად დაიძრა. ილხანთა მხარეს იეშმუთი მეთაურობდა, ოქროს ურდოს მხარეს კი ნოღაი. ორი ჯარი მტკვრის მახლობლად მდინარე აქსუსთან დაუპირისპირდა ერთმანეთს. ბრძოლის დაწყებისას ნოღაის თვალში ისარი მოხვდა, რის გამოც ჯუჩის ულუსის ჯარი მიმოიფანტა და შირვანისკენ უკან დაიხია. ამასობაში აბაღასა და ბერქეს მეთაურობით ჯარები წინსვლას აგძელებდნენ (Fazlullah, 2013:80).

,,ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ბერქე ხანის ჯარი „უთვალავი“, „ურიცხვი“ იყო (K.TS, 2014:360). ფაზლულა კი 300 ათას ცხენოსანზე საუბრობს. გაიგო თუ არა აბაღამ ბერქე ხანის ჯარის მოსვლის შესახებ, უკან დასაბრუნებლად მდინარე მტკვარი გადალახა და მდინარეზე გამავალი ხიდები დაანგრია. მტკვრის ორივე მხრიდან ალყის შემორტყმა ბრძანა. ამასობაში ბერქე ხანის ლაშქარიც მოვიდა. მდინარის საპირისპირო მხრიდან ორივე ჯარი თოთხმეტი დღის განმავლობაში ერთმაენთს ისრებს ესროდა. ბერქე ხანი მდინარეზე ვერ გადადიოდა და ამ მიზნით თბილისისკენ დაიძრა. მაგრამ იგი გზაში ავად გახდა და გარდაიცვალა. ჯარისკაცებმა ბერქე დასაკრძალად სარაი ბათოში წაიყვანეს (Fazlullah, 2013:80). ,,ქართლის ცხოვრება“ ბერქე ხანთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის. როდესაც იგი თბილისისკენ დაიძრა, გზად შირვანი, ჰერეთი, კახეთი და ლორი დააქცია და გადაწვა. შემდეგ გარეჯის მთაზე მოვიდა და იქ გარდაიცვალა, რის შემდეგაც სიმშვიდემ დაისადგურა (K.TS, 2014:361). ყაზვინი 1265 წელს განვითარებულ მოვლენებს ფაზლულას მსგავსად გადმოგვცემს და ამბობს, რომ ბერქე ხანი ჭვალით გარდაიცვალა, რამაც ლაშქრის რიგებში არეულობა გამოიწვია (Kazvinî, 2018:479). ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ბერქემ წარმატებას ვერ მიაღწია და დედაქალაქში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა (Vardan, 2017:121; Mufaddal, 1941:334).

1265 წელს, ბრძოლის დამთავრების შემდეგ, აბაღა ხანმა მტკვრის ნაპირებზე ღრმა სანგრების გათხრა ბრძანა. მოწინააღმდეგე ლაშქრის სიმცირის გამო, დარუბანდის სამხრეთ ნაწილში კედლის აშენების ბრძანა. ამ კედელს „სიბა“ ეწოდება (FazlullahIII,

1998:519). კირაკოსის გადმოცემით, ეს კედლები ბრძოლის დროს უკვე არსებობდა, ვარ-დანი ამ ნაგებობას „შიფარ“-ად მოიხსენიებს **(Kiragos, 2009:87)**. მოწინააღმდეგე ძალის მოსალოდნელი შეტევისგან თავდასაცავად აშენებული კედლები, გვიჩვენებდა, რომ აბაღა ხანი 1265 წლის ზამთარში ახალი ბრძოლის დასაწყებად ემზადებოდა **(Vardan, 2017:121)**.

,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ბერქე ხანის საფრთხის შემდეგ, დავით მეფე პირველი იყო ვინც თავდაცვის მიზნით აგებული სიბა დატოვა. აბაღასა და ბერქე ხანის დაპირისპირებაში ქართველთა ლაშქარს სარგისი მეთაურობდა. დავით მეფე სანამ თბილისსკენ გაემართებოდა, სარგის ჯაყელი და ლაშქარი მასთან მოიხმო. მოგვიანებით, დავით მეფემ იეჭვიანა, რომ სარგისი აბაღასთან ერთად მის წინააღმდეგ აჯანყებას გეგმავდა, რის გამოც სარგისი დაიჭირა და საპყრობილეში გამოამწყვდია. სარგისის ჯარისკაცებმა ამის შესახებ აბაღა ხანს აცნობეს. მან სარგისის გასათავისუფლებლად აბათაი ნოინი თბილისში გაგზავნა, რომელმაც სარგისი დაიხსნა და აბაღასთან წაიყვანა **(K.TS, 2014:361)**.

ამ დროს სიბაში გაერთიანებულ ჯარში ეპიდემია გავრცელდა. დავით მეფის ძეს გიორგის საშინელი მუცლის ტკივილი კლავდა. დავით მეფე კი სიბაში დაბრუნდა და დაავადდა. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ დატოვა იქაურობა. მისი წასვლის შემდეგ უფროსი ვაჟი გიორგი კვლავ ავად გახდა და შიდა სისხლდენის გამო გარდაიცვალა. უფლისწული გიორგის ფერფლი სიონის ეკლესიაში წააბრძანეს. თბილისში დაბრუნე-ბულ დავით მეფეს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი შეეგება. სასახლეში მისულმა მეფემ ვაჟის სიკვდილის შესახებ გაიგო თუ არა, მწუხარებისგან გონება დაკარგა. შვილის გარდაცვალების შემდეგ მეფე მწუხარებისგან ავად გახდა და აბაღას ვეღარ უწევდა სამსახურს. ამის შემდეგ დაიწყო სადუნ მანკაბერდელის დაწინაურება **(K:TS, 2014:361-362; Grigor, 2012:79)**. მიუხედავად იმისა, რომ 1258-1259 წლიდან დავით მეფე საკუთარი ლაშქრით აქტიურად უჭერდა მხარს რეგიონში ახლად დაარსებულ ილხანთა სახელმწი-ფოს, სამცხის ილხანთა დაქვემდებარებაში დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბებას მაინც ვერ გაუწია. დავით მეფე, აბაღა ხანს ეხმარებოდა ოქროს ურდოს წინააღმდეგ სიბას თავდაცვითი ხაზის მშენებლობაშიც **(Mikaberidze, 2007:258).** დავით მეფეს და მის ჯარს სავარაუდოდ სიბას დაცვა ევალებოდა. ჩანს, რომ დავითი სიბაში ამ მოვალეობის გამო დაბრუნდა. ფაზლულას მიხედვით კი, აბაღა ხანმა სიბას დაცვა მონღოლებისა და მუსლიმთა გაერთიანებულ ჯარს დაავალა **(Fazlullah III, 1998:519)**.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ილხანებსა და მამლუქთა შორის არსებული მტრობა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. გარდა იმისა, რომ ეგვიპტის მამლუ-ქთა სახელმწიფო ოქროს ურდოს ილხანთა წინააღმდეგ აქეზებდა, სტრატეგიული მოხერხებულობით „დაზვერვის“ სისტემასაც იყენებდა. ასევე, ცდილობდა კარგი ურთიერთობები დაემყარებინა ილხანთა დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების მმართვე-ლებთან. გამომდინარე აქედან, ფერვანეს გარდა ეგვიპტეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა სხვა სელჩუკ ამირებთანაც, საქართველოს სამეფოსთან, ეიუბიდების სახელმწიფოს ამირებთან ჰასანქეიფთან და შირაზთან. ასე რომ, საქართველოსა და მამლუქების ურთიერთობების დასაწყისად 1265 წელი მიიჩნევა. დავით ნარინმა, ბაიბარსთან მეგობ-

რული ურთიერთობების დამყარება მოინდომა და მას წერილი გაუგზავნა (Preiss, 1995:144-151). წერილში, რომელიც საქართველოში მყოფ ბაიბარსის ელჩებს გადასცა, ეწერა, რომ სულთნის მტერი მისი მტერი იყო და სულთნის მოკავშირე ბერქესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ბაიბარსი საქართველოს ორივე მეფეს ცალ–ცალკე შეხვდა. მათი ურთიერთობები გარკვეული ინტერვალებით გრძელდებოდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა. 1273/1274 წელს ერთ-ერთი ქართველი დიდგვაროვანი იერუსალიმში გაემგზავრა. ბაიბარსის ხალხმა ის დაიჭირა და დაკითხვაზე წაიყვანა. ფიქრობდნენ, რომ მას პოლიტიკური ან სავაჭრო მიზნები ჰქონდა. 1276/1277 წელს მსგავსი შემთხვევა კიდევ ერთხელ განმეორდა. ისევ ქართველი დიდგვაროვანი, რომელიც იერუსალიმის მოსალოცად მიდიოდა, ბაიბარსის ხალხს გადაეყარა და პრობლემები შეექმნა. ვინაიდან დავით ულუ ცოცხალი აღარ იყო, სავარაუდოდ ეს კაცი დავით ნარინის კარის დიდებული იყო. თუმცა ამჯერად ეს წარჩინებული პირი არ დაუტყვევებიათ. ბაიბარსმა გაიგო თუ არა მის შესახებ, დიდი პატივით მიიღო. ქართველი, დავით ნარინის კარზე დაბრუნდა თუ არა ბაიბარსის პატივით მიღების შესახებ მეფეს უამბო. დავით ნარინმა კი ბაიბარსთან მადლობის ნიშნად ელჩები და საჩუქრები გააგზავნა. ბაიბარსმა დავით მეფის ელჩებს კარგად უმასპინძლა და საჩუქრებით საქართველოში გამოაგზავნა (Müller, Pahlitzsch, 2000:278-280). ცხადია ბაიბარსი, საქართველოს სამეფოსთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. ქართველ მეფეებსაც ბაიბარსთან ურთიერთობის გაუმჯობესება სურდათ. მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს სამეფო ჰულაგუს დაქვემდებარებაში იყო, ამიტომ ეგვიპტესთან ურთიერთობა გარკვეულ საზღვრებს ვერ სცილდებოდა.

§ 2. მენგუ თემურის ურთიერთობა კავკასიასთან (1266-1281 წწ.)

ბერქე ხანს მემკვიდრე არ ჰყავდა და, ამიტომაც გარდაცვალების შემდეგ, 1266 წელს ჯუჩის ულუსს სათავეში ჩაუდგა მისი ძმიშვილი, თოგანის ვაჟი მენგუ თემურ ხანი, რომელმაც გააგრძელა ბაბუის, ბათო ხანის გვარი. მენგუ ხანი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში განსხვავებული კურსით არ გამოირჩეოდა. მან ბერქე ხანის გზა გააგრძელა და ოქროს ურდოს სახელმწიფოში განსაკუთრებული ცვლილება არ მოუხდენია. ოთემიშ ჰაჯი „ჩინგიზ–ნამეში“ წერს, რომ მენგუ ხანს კეთილი გული ჰქონდა და ქულუგ ხანის წოდებას ატარებდა (Ötemiş, 2009:48). ამის გარდა, ჰანუ'ლ–ადილსაც (სამართლიანი ხანი) უწოდებდნენ, რაც მენგუ თემურის გამჭრიახობასა და სამართლიანობას უსვამდა ხაზს. ოქროს ურდოს სახელმწიფოში პირველი მმართველი, რომელმაც ფული მოჭრა მენგუ თემურია (Yuvalı, 2004:138). ოქროს ურდო მენგუ თემურის მმართველობის დროს ფაქტიურად სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო (Ötemiş, 2009:46). მენგუს მიერ 1266 წელს ყირიმში პირველად მოჭრილ ფულს ეწერა - „მენგუ თემურ ელ–ადილ“ (Kafalı, 1976:59).

მენგუ თემურისა და შემდეგ თუდა-მენგუს მმართველობის დროს, ოქროს ურდოს საშინაო პოლიტიკაში ხშირად შეგვხვდება სახელი „ნოღაი“. ეს სახელი პირველად ბერქესა და ჰულაგუს შორის გამართულ თერგის ბრძოლაში გვხვდება, სადაც დაიჭრა და თვალი დაკარგა (Vasary, 2015:83). ნოღაიმ გაძლიერება ბერქეს პერიოდში დაიწყო. ის

ბათოს მეშვიდე შვილის შვილი იყო. მიუხედავად იმისა რომ ჯუჩის შთამომავალი იყო, ნოღაი ყურულთაიზე ხანად არ აირჩიეს, რადგან მენგუ თემურზე უპირატესობით სარგებლობდა. აქედან მოყოლებული, იგი ოქროს ურდოს პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩართული. ნოღაი მაღალი წოდების სარდალი და დუმენის მეთაური იყო. მას საკუთარი ჯარი ჰყავდა. მისი ჯარსკაცები მანგიტის ტომს მიეკუთვნებოდნენ. მოგვიანებით მოიხსენებიან როგორც ,,ნოღაის ურდო". ნოღაი ხანი ასევე მოიხსენიება როგორც ისა ნოღაი. მან მენგუ თემურთან შეთანხმებით, ქვემო დუნაის რეგიონის ფაქტობრივ მფლობელ ბიზანტიასთან და ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა **(Vernadsky, 2015:202-203)**. როგორც ნაშრომის წინა ნაწილში აღვნიშნეთ, ოქროს ურდოს მმართველობის მიერ იზედინ ქეიქავუსის წარმატებით დახსნის შემდეგ, ბიზანტიასთან ურთიერთობები იმპერატორის ქალიშვილზე ქორწინებით უფრო გამყარდა. ამგვარად 1273 წლიდან **(Vasary, 2015:91)** ოქროს ურდოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკაში კიდევ ერთი ძალა გამოჩნდა.

მენგუ თემურის დროს საგარეო პოლიტიკაში აქტუალური გახდა ილხანებთან, ბიზანტიასთან და პაპთან ურთიერთობა **(Yuvalı, 2004:138)**. მენგუ თემურის საგარეო პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მისი აბაღასთან დაპირისპირებაა. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა კი, 1271 წელს მენგუს ჯარის კონსტანტინოპოლზე გალაშქრებაა **(Nuveyrî, 1941:259; Yakubovskiy, 1976:65)**. კონსტანტინოპოლის ხელში ჩასაგდებად გამიზნული ლაშქრობა, იმ დროს ქალაქში მყოფმა მამლუქთა ელჩმა ფარისუდინ მეს'უდიმ შეაჩერა. მაგრამ ეს ელჩი, რომელიც სულთან ბაიბარსთან შეუთანხმებლად მოქმედებდა, ქაიროში დაბრუნებისას დაატყვევეს **(Nuveyrî, 1941:259; Vasary, 2015:88; Yuvalı, 2004:138).** მენგუ თემურის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხი იყო ასევე გენუელებსა და ვენეციელებთან სავაჭრო ურთიერთობების დაწყება. გენუელებმა კაფაში სავაჭრო კოლონია დააარსეს, რომელიც მოგვიანებით შავ ზღვაზე ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა **(Yuvalı, 2004:138; Vernadsky, 2015:210)**.

რუსეთში, მენგუ თემურის პოლიტიკა, წინამორბედი ოქროს ურდოს მმართველებთან შედარებით უფრო ლმობიერი იყო. რუსულ სამთვროებთან დაკავშირებით მენგუ თემურმა უფრო გაწონასწორებული პოლიტიკა აირჩია. ამ ვითარების გამო რუსი მთავრები მისდამი ერთგულებას იჩენდნენ. მენგუს ყველაზე კარგი ურთიერთობა როსტოვის სამთავროსთან ჰქონდა, რაც რეგიონის მორჩილების ერთგვარი გარანტია იყო. 1273/1274 წლებში ყუბილაი ყაენის მიერ მოსახლეობის ჯარში გაწვევის მიზნით აღწერის საპირისპიროდ, მენგუ თემურმა 1275 წელს რუსეთში მთლიანი მოსახლეობის აღწერა ბრძანა. ეს აღწერა მენგუ თემურის ავტორიტეტს კავკასიაშიც გაზრდიდა. 1277 წელს მენგუ თემურმა ჩრდილოეთ კავკასიაში ალანების წინააღმდეგ გაილაშქრა. ლაშქრობაში მონაწილეობა რუს მთავრებსაც მოსთხოვა. რუსების მონაწილეობით ლაშქრობა წარმატებით დასრულდა. ლაშქრობის შედეგად დიდი ალაფი იგდეს ხელთ. მენგუ თემურმა ამის შემდეგ ბიზანტიასა და ეგვიპტეზე გადაიტანა ყურადღება **(Vernadsky, 2015:204-214)**. მენგუ თემურს მეგობრული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ნოვგოროდის სამთავროსთანაც.

ეს უკანასკნელი ბალტიის სავაჭრო ცენტრი იყო და იმედოვნებდა, რომ ეს ურთიერთობა აღმოსავლეთ რუსეთსა და ოქროს ურდოს დიდად წაადგებოდა (Kemaloğlu, 2016b:592).

მართალია, მენგუ თემურმა თექვსმეტწლიანი მმართველობის პერიოდში ოქროს ურდოს დამოუკიდებლობა მოუტანა, მაგრამ ნოღაის გაძლიერებამ მას საფრთხე შეუქმნა, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელი იყო (Kafalı, 1976:62). ბერქე ხანთან შედარებით ნაკლები ლაშქრობები ეწყობოდა, თუმცა დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება ხერხდებოდა (Kemaloğlu, 2016b:592). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მის დროს სახელმწიფო პოლიტიკურ ცხოვრებას სტაბილურად აგრძელებდა. მენგუ თემურის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა. გავრცელებული აზრით ის 1280-1282 წლებში უნდა გარდაცვლილიყო. უცნობი ავტორი და ნუვეირი მენგუს სიკვდილიის თარიღად 1281 წელა ასახელებენ. მენგუ თემურმა ცხრა ვაჟი დატოვა. მისი ადგილი ჯერ მისმა ძმამ თუდა-მენგუმ დაიკავა, თუმცა მოგვიანებით ტახტზე მენგუს ვაჟი თოხთა ავიდა (Elmansur, 1941:139; Nuveyrî, 1941:260). მენგუს მრავალი ცოლი ჰყავდა. მათგან ყველაზე ცნობილები, თოხთა ხანის დედა ოლჯაითუ, ოლჯაი, სულთანი, ქუთუდგაი, ბულაგან და თოქუნჯე არიან (Kafalı, 1976:62).

1269 წლის აჯანყება საქართველოში და თეგუდარის ამბავი

აბაღა ხანი დედაქალაქში სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული, როდესაც ილხანთა სახელმწიფოში საშინაო პრობლემა წარმოიშვა. ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, თექუდარი ჩაღათაის შვილიშვილის ბარაქ ყაენის უმცროსი ძმა იყო. ფაზლულას თქმით, თექუდარი ჩაღათაის შვილის მუჩი იბანის შვილია, თუმცა არაფერს ამბობს ბარაქისა და თექუდარის ნათესაური კავშირის შესახებ (Fazlullah, 2013:86). ბარაქი 1266-1271 წლებში ჩაღათაის ხანი იყო (Kafalı, 1992:63). ილხანთა სახელმწიფოთი, რომელიც ვრცელ და მოსავლიან ტერიტორიებს ფლობდა და გადასახადებს კრეფდა, არა მხოლოდ ოქროს ურდო, არამედ ჩაღათაის სახანოც იყო დაინტერესებული. ბარაქი, რომლის ქვეყანასაც მცირე შემოსავალი ჰქონდა, მის აღმოსავლეთით ილხანთა სახელმწიფოს საქონელს და ხორასნის რეგიონში ტერიტორიების გამოყოფას თხოვდა. აბაღამ მოთხოვნას ყური არ უგდო, რის გამოც ბარაქმა მის წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტა (Sümer, 1989:178-179).

ბარაქ ხანმა ტახტის ხელში ჩაგდებისთანავე უგედეის სახანოდან ქაიდუსთან დაიწყო ბრძოლა. ძალების მოკრების შემდეგ კი მენგუსა და ქაიდუ ხანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ორი ჯარი ერმანეთს მდინარე ამუდარიასთან დაუპირისპირდა. ბარაქმა, ქაიდუს და ვინმე ყივჩაღის სახელით ცნობილი მეთაურის ჯარები დაამარცხა. ამ ამბით განრისხებულმა მენგუ ბარაქის წინააღმდეგ ბიძის ბერკეჩარის ჯარი გაგზავნა. ბარაქმა დიდი მარცხი განიცადა და უკან დაიხია (Fazlullah, 2013:83). გამარჯვებულმა მენგუ თემურმა, აქ მყოფ ოქროს ურდოს მოსახლეობას მფარველობა გაუწია (Yuvalı, 2004:138).

ბრძოლის შემდეგ დაზავების მიზნით შეკრება გაიმართა. ქაიდუმ პირველმა დაიწყო საუბარი, და იქ მყოფთ შეახსენა, რომ ისინი ჩინგიზ ხანის შთამომავლები არიან, რომელმაც ყველაფერი მათ, მის შთამომავლებს დაუტოვა; რომ უკან მოხედვა აუცილებელია, რადგან სწორედ ასე შეძლებენ დაინახონ რომ ნათესავები არიან. მათ უნდა დაივიწყონ მტრობა და შუღლი. ბარაქმა კი ამ გამოსვლის შემდეგ სიტყვა განავრცო: *„მეც ამ ხის ნაყოფი ვარ და ჩემთვისაც უნდა გამოყოთ საცხოვრებელი ადგილი. ჩაღათაი და უგედეი*

ჩინგიზ ხანის ვაჟები იყვნენ. უგედეი ყაენისგან ქაიდუ, ჩაღათაისგან კი მე, ამათი უფროსი ძმის ჯუჩისგან ბერქეჩარი და მენგუ თემური, უმცროსი ძმის თულუისგან კი ყუბილაი ხანი დავრჩით. დასავლეთ ნაწილში, ამუდარიის ნაპირებიდან დამასკოსა და ეგვიპტის ბოლომდე როგორც მამის მემკვიდრეობა, აბაღამ და მისმა ძმებმა დაიკავეს. ამ ორ ულუსს შორის არის თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი თურქისტანი და ყივჩაღბაშის ვილაიეთებიც. მიუხედავად ამისა გაერთიანდით და ჩემს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეთ, მიზეზი ვერ გამიგია, თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ.“ დამსწრეებმა ბარაქის ნათქვამი მართებულად ჩათვალეს და შეთანხმება დადეს, რომ წარსულს აღარ მოუბრუნდებოდნენ და იალაღებსა და ყიშლაღებს თავიდან, თანაბრად გაინაწილებდნენ. მავერანაჰრის ორი მესამედი ბარაქს, ერთი მესამედი ქაიდუს და მენგუ თემურს ერგო. კრების საბოლოო გადაწყვეტილება კი ის იყო, რომ ბარაქი, საძოვრებისა და ქონების გაზრდის მიზნით, თავისი ჯარით ამუდარიიდან ირანში უნდა გადასულიყო და აბაღას ზოგი ტერიტორია უნდა დაეკავებინა **(Fazlullah, 2013:85-86)**.

ამ მოვლენების შემდეგ, 1267/68 წელს აბაღა ხანი ირანში ქვეყნის პრობლემების მოგვარებით იყო დაკავებული. თეგუდარი, მისი ერთი დუმენი ჯარით აბაღას ემსახურებოდა. მათ საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ **(Fazlullah, 2013:86)**. აბაღამ, თეგუდარის 20 ათასიან ჯარს გამოზაფხულებისთვის არტაანის მთა, გამოსაზამთრებლად კი ნახიჭევანის მხარეში მდებარე მდინარე არაქსის ნაპირები გადასცა **(K.TS, 2014:362)**. მან კი აქ, მხედართა რიცხვი გაზარდა, ქონება მოაგროვა და გაძლიერდა. გრიგოლ აკანელი თქმით, ურიცხვი ცხენისა და საქონლის გარდა ჰქონდა ქონება, რომლის გადატანსაც სამასი აქლემი და ას ორმოცდაათი ურემი არ ეყოფოდა. მხედართა არმია 40 ათასი ჯარისკაცისგან შედგებოდა **(Grigor, 2012:81).**

ბარაქმა, აბაღასა და თეგუდარის ვაჟს ცალ–ცალკე ელჩები გაუგზავნა. მათ თექუდარის ვაჟს საჩუქრად „ტოგანა“ (მონღოლურად სამთავიანი ისარი) უბოძეს, რომელშიც წერილი იყო დამალული. თექუდარის ვაჟი, მარტო რომ დარჩა ისარი გადატეხა და ბარაქის წერილი ამოიღო, სადაც ეწერა: *„თექუდარის ვაჟო, უნდა იცოდე, რომ მრავალრიცხოვანი ჯარი შევკრიბე და აბაღას წინააღმდეგ უნდა გავილაშქრო. თუკი ის ჩვენს მოგერიებას შეეცდება, იმედი გვაქვს, რომ მის სასარგებლოდ ნაბიჯს არ გადადგამ. რაც არ უნდა მოხდეს, ჩემს გადაწყვეტილებას არ შეეწინააღმდეგო“*–ო **(Fazlullah, 2013:86-87)**. ფაზლულას ცნობის მსგავსად გადმოგვცემს ,,ქართლის ცხოვრება“: *„აბაღას სამსახურში მყოფი თეგუდარი მის ძმას ბარაქ ხანს მიმართავს, თუ რატომ არ ვიპყრობთ აბაღას ქვეყანასო. მე ერთი მხრიდან შევუტევ და შენ კი მეორე მხრიდან. ჩვენი ძალა მისსას აღემატება.”* თექუდარმა წერილის გასაიდუმლებისთვის შემდეგ გზას მიმართა: ხის სამი ისარი აიღო, თავები გადაჭრა და შიგ მალულად წერილი მოათავსა, ისრის თავს კი სპილოს ძვალი წამოაცვა. წერილის მიღების შემდეგ ბარაქმა აბაღას წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტა. თუმცა, მოულოდნელი შემთხვევა მოხდა, გადამწერმა შეცდომა დაუშვა. თექუდარის მოქმედებაზე გადასვლის თარიღი გადამწერმა შეცდომით, ორი თვით ადრე ჩაწერა. ამ შეცდომამ აბაღა გადაარჩინა. შიკრიკმა წერილი თექუდარს ნიგალისხევში გადასცა **(K.TS., 2014:362-363)**.

თეგუდარი წერილის წაკითხვის შემდეგ საქართველოში მდებარე მის ბანაკში წავიდა და ეს საიდუმლო ამირებს გაუმხილა. ფაზლულას თქმით, აბაღა ხანი, ჯარისა და ულუსის შესახებ გადაწყვეტილებებს ყოველთვის უზიარებდა თექუდარს. ხორასნიდან ზედიზედ მოსულმა ელჩებმა აბაღას ბარაქას შესახებ ამბები მოუტანეს. ამ საკითხზე სასაუბროდ აბაღამ თექუდარს რამდენჯერმე ელჩი გაუგზავნა, თუმცა თექუდარი სხვადასხვა მიზეზს პოულობდა და მას არ ხვდებოდა. მოგვიანებით კი თეგუდარი, საქართველოდან დარუბანდის გავლით ბარაქთან შესახვედრად დაიძრა (**Fazlullah, 2013:87**). ყაზვინის ცნობით, აბაღამ მის წინააღმდეგ თეგუდარის საომარი სამზადისის შესახებ, 1267 წელს ჩაღათაის სახანოდან ირანში დაზვერვის მიზნით გაგზავნილი მეს'უდ ბეი ბინ მაჰმუდ იალვაჩისგან შეიტყობს (**Kazvinî, 2018:479**).

,,ქართლის ცხოვრების" მიხედვით, როდესაც თექუდარმა აბაღას წასვლის ნება სთხოვა, ოჯახის ყველა წევრი და ათი ათას ხუთასი ჯარისკაცი მოამზადა წასასვლელად. ისინი ყარსის მთებისკენ დაიძრნენ და აჭარისკენ აიღეს გეზი. შავშეთში მოვიდნენ და კარჩხალის მთის კალთებზე დაბანაკდნენ. აფხაზეთში მყოფ დავით ნარინთან შესახვედრის მიზნით შუამავლად, სარგის ჯაყელი მოიხმო. აბაღამ კი ივანე მანდატურთუხუცესი დაიბარა და თეგუდარის თვალთვალი დაავალა. მან კი მეთაურად ჩარმაღანის ვაჟი შირამუნი დანიშნა და არტაანის მთაზე დაბანაკდნენ. თეგუდარმა მოქმედება გააგრძელა. იმ დროის უმდიდრესი მონასტერს, ოპიზას რომ უვლიდა, იხილა მისი სიმდიდრე და ათასი მხედრით გაძარცვა იგი, რის შემდეგაც გზა კარჩხლის მთებისკენ განაგრძო. ოპიზის ძარცვის შესახებ რომ შეიტყვეს, იქაური მოსახლეობა ძეგლის მთაზე თავს დაესხა თეგუდარის ლაშქარს და დიდი ზიანი მიაყენა მას (**K.TS, 2014:363-364**). ამ ქმედებების შესახებ რომ შეიტყვეს ქართველი და სომეხი მებრძოლები მონღოლთა საქციელის გამო ძალიან შეწუხდნენ. ამის გამო აბაღამ, შირამუნ ნოინი იმ რეგიონში მყოფი ასი ათასიანი ჯარის მეთაურად დანიშნა (**Grigor, 2012:82**). შირამუნი კი ალინაქის მეთაურობით მოწინავე ნაწილი გააგზავნა, თავად კი თავის ჯართან ერთად უკან გაჰყვა. აბათაი ნოინიც სხვა ჯართან ერთად მას გაჰყვა. 1269 წლის ივნისში (**Kazvinî, 2018:480**) ორივე ჯარი ერთერთი მთის წვერზე ერთმანეთს დაუპირისპირდა. ბრძოლის დაწყებისთანავე თექუდარმა მარცხი განიცადა. აბაღას გაგზავნილმა ჯარმა გზა ჩაკეტა და თეგუდარმა გეზი საქართველოსკენ აიღო და გზა აებნა (**Fazlullah, 2013:87**). შირამუნის ჯარში იბრძოდნენ ქართველები და სომხები. აბაღამ თეგუდარის ცოცხლად შეპყრობა ბრძანა (**Grigor, 2012:82**). ქართველმა ჯარისკაცებმა ტყეს ალყა შემოარტყეს. დავით მეფემ მიმართა: „ამ ტყის იქეთ გზა აღარ არის, უკან დაბრუნდი და თავი არ დაიღუპოო". ამის შემდეგ თეგუდარი ტყიდან გამოვიდა (**Fazlullah, 2013:87**).

ორი დღის განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს. ,,ქართლის ცხოვრებაში" და ეპისკოპოს სტეფანოსის ქრონიკაში წერია, რომ თეგუდარი ამ ბრძოლის შემდეგ დავით ნარინს შეეხიზნა (**Stepanos, 2005:71**). სხვა წყაროებისგან განსხვავებით ,,ქართლის ცხოვრება", თექუდარის აჯანყების შესახებ დაწვრილებით გვიამბობს. იგი გვამცნობს, რომ დავით ნარინმა დანათესავების მიზნით თექუდარს გოგო მიათხოვა. ამ დროს შირამუნი ჯერ აბაკასთან დაბრუნდა და როდესაც ბრძანება მიიღო, თექუდარი შეიპყრო. ,,ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ამ დროს ხორასნიდან მოსულმა ელჩებმა აბაღას

შეატყობინეს, რომ ბარაქი დიდძალი ლაშქრით მისკენ მოემართებოდა. თექუდარმა გაიგო თუ არა ბარაქის მოსვლის შესახებ, ამით ისარგებლა და ჯავახეთში მისი ჯარისკაცები გაგზავნა. თექუდარის სარდლებმა ჯავახეთი გაძარცვეს. აბაღამ გაიგო თუ არა ეს, დავით ნარინს თავაზიანად სთხოვა თეგუდარს აღარ დახმარებოდა. დავითმა ეს თხოვნა გაითვალისწინა. თეგუდარი, მიხვდა რა, რომ აბაღას ბრძანებით ქართველები მას მოკლავდნენ, შიკრიკი გაუგზავნა აბაღასთან და პატიება სთხოვა (K.TS, 2014:364-367). დავით ნარინის მიერ, აბაღას წინააღმდეგ თეგუდარისთვის დახმარების გაწევა, ნათლად გვიჩვენებს ქართველი მეფის ილხანებისადმი სიძულვილს (Müller, Pahlitzsch, 2000:278). წყაროები ამ მოვლენების შესახებ სხვადასხვა ცნობებს გვაწვდიან, თუმცა საერთო თვალსაზრისით თეგუდარი შირამუნმა დაატყვევა და მის ჯარს დიდი ზიანი მიაყენა. ბევრი ჯარისკაცი დაუხოცა (Fazlullah, 2013:87; Stepanos, 2005:71). შირამუნმა დატყვევებული თეგუდარი და 700-მდე ჯარისკაცი აბაღას მიჰგვარა (Grigor, 2012:82). ფაზლულას ცნობით ეს მოვლენები 1281 წელს დასრულდა და ამავე წელს თეგუდარი ოჯახით აბაღას ჩაბარდა. ავტორს, როგორც ჩანს, ილხანთა მაშინდელი ახალი მმართველი აჰმედ თეგუდარი, აჯანყებულ თეგუდარში აერია. აბაღამ თექუდარი შეიწყალა, მაგრამ მისი ჯარი ორად გაყო და ორმოცდაათი მონღოლი ჯარისკაცი გამოუყო სათვალთვალოდ. იგი ურმის ტბაზე დაატყვევეს. ერთი წლის შემდეგ, როდესაც აბაღამ ბარაქი დაამარცხა, თექუდარი გაათავისუფლა (Fazlullah, 2013:87-88).

ამის შემდეგ, აბაღა ხანი დავით ულუსთან ერთად გამოსაზამთრებლად სიბაზე წავიდა და ზაფხულში უკან დაბრუნდა. მეფე სიბადან დაბრუნების შემდეგ, მალევე კუჭის ავადმყოფობით გარდაიცვალა (K.TS, 2014:367). წყაროებში, დავითის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ეპისკოპოსი სტეფანოსი თავის ქრონიკაში 1270 წელს (Stepanos, 2005:71) ასახელებს, გრიგოლ აკანელი სომეხთა მეფის ჰეთუმის გარდაცვალების წელს (Grigor, 2012:79), ხოლო სებასტაცის აბაღას მიერ ბარაქის დამარცხების თარიღს, 1271 წელს მიიჩნევს (Sebastatsi, 2005:51-52).

დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს სამეფოს, 1270-1278 წლებში, დავითის ძე დემეტრე მართავდა. დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ ქართველი ერისთავები დავით ნარინს აუჯანყდნენ, რასაც აბაღა შეეწინააღმდეგა. საქართველოში არსებული შიდა არეულობის გამო, აბაღამ დემეტრეს გამეფება შესაფერისად მიიჩნია. დემეტრე, თბილისში ჩავიდა და ტახტზე ავიდა (K.TS, 2014:368). სომხური ანონიმური ქრონიკის მიხედვით დემეტრე II 1271 წელს (A.V., 2005:153), სებასტაცის ქრონიკის მიხედვით კი 1272 წელს (Sebastatsi, 2005:52) გამეფდა.

გამომდინარე იქედან, რომ მენგუ თემური ისლამის მიმდევარი არ იყო, ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის დაპირისპირების საგანი რელიგია აღარ ყოფილა. შაფი'იბნი ალი წერს, რომ 1268 წელს, აბაღამ დამასკოს ციხეში მენგუ თემურის მიერ გაგზავნილი ელჩები პატივით მიიღო (Shafi'ibni, 1941:241). დიდ ყაენის ყუბილაის რჩევით, ორივე მხარეს მათ შორის არსებული პრობლემები უნდა მოეგვარებინათ, რის შედეგადაც 1269/1270 წელს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის სამშვიდობო შეთანხმება დაიდო. რასაკვირველია, ეს შეთანხმება მამლუქთა სულთან ბაიბარსისთვის მიუღებელი იყო (Vernadsky, 2015:204; Kamalov, 2003:67). იმავე წელს, ვინმე თოქ ბუღამ ბაიბარსს ოქროს

ურდოდან ნოღაის მიერ გაგზავნილი წერილი გადასცა, სადაც ნოღაი მათ მეგობრობაზე ამახვილებდა ყურადღებას. წერილში ნოღაი წერდა, რომ ბერქეს გზას დაადგა და ისლამს აღიარებდა. წერილი ნოღაის ბაიბარსთან ურთიერთობის სურვილს გამოხატავდა. ბაიბარსმა წერილს სიამოვნებით უპასუხა და მიწერილ წერილში ნოღაის მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევდა (Baybars, 1941:169-170). ელჩის გაგზავნა ქვეყნის მმართველის უფლება იყო და ამდენად ნოღაის საქციელი მიუღებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ნოღაი ბათოს შთამომავალი და ამასთანავე დუმენის მეთაური იყო, ბაიბარსთან ახლო ურთიერთობის დამყარების მცდელობა მის უფლებებს აღემატებოდა (Kafalı, 1976:60).

ბერქე ხანის მმართველობის დროს დაწყებული მამლუქთა და ოქროს ურდოს ურთიერთობები მენგუ თემურის დროსაც გაგრძელდა. შესაბამისად ყოველ წელს ერთმანეთს ელჩებსა და ძვირფას საჩუქრებს უგზავნიდნენ. მენგუ თემურის ტახტზე ასვლის დროს, ბაიბარსმა მას სამძიმრისა და მილოცვის წერილი გაუგზავნა, სადაც მენგუ თემურს აბაღას წინააღმდეგ აქეზებდა (Nuveyrî, 1941:257; Broadbridge, 2001:102; Yuvalı, 2004:138). ეზ-ზეჰები და ელ-მუფადალი წერენ, რომ 1271-1272 წლებში მენგუ თემურმა სულთანთან ელჩები გაგზავნა და აბაღა ხანის ფესვის ამოძირკვაში (Zehebî, 1941:357) და ჰულაგუსა და მისი ვაჟის მიერ მუსლიმებისთვის წართმეული ქალაქების გადარჩენაში დახმარებას თხოვდა (Baypars,1941:7-8). ეგვიპტეში მიმავალი ელჩები გზაში მარსელელმა მეკობრეებმა გაიტაცეს, მაგრამ ეგვიპტის სულთნის შუამდგომლობით მალევე განთავი-სუფლდნენ (Mufaddal, 1941:334).

მამლუქთა სულთან ელ-მელიქ ეზ-ზაჰირ ბაიბარსის წაქეზებით აბაღა ხანის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. ეზ-ზეჰების გადმოცემით, მენგუ თემურმა ტახტზე ასვლის შემდეგ აბაღას წინააღმდეგ ჯარი გააგზავნა. აბაღამ მის წინააღმდეგ ლაშქარი შეკრიბა, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. აბაღამ მდინარე მტკარზე ორი ხიდი ააშენა, შემდეგ კი მენგუ თემურის ტერიტორიებზე გადავიდა და აქსუმდე მიაღწია. მენგუ თემურმა საპასუხოდ მდინარე ვოლგაზე გაგზავნა ჯარი და აღმოსავლეთ მხარეს დაბანაკდნენ. აბაღა კი დასავლეთით იყო. თავიდან საომრად მოემზადნენ და ერთმანეთს შუამავლები გაუგზავნეს. სამი საათის შემდეგ აბაღამ დაფდაფების დაკვრა ბრძანა და მენგუ თემურს თავს დაესხა. ბრძოლა საღამოს ლოცვამდე გაგრძელდა და მენგუ თემური დამარცხდა. აბაღამ და მისმა ჯარისკაცებმა ალაფი მოკრიბეს და უკან გაბრუნდნენ. მტკვარს რომ მიუახლოვდნენ, საკუთარი ხალხი შემოიკრიბა და მდინარეზე ხის ციხის აშენების საკითხს განიხილავდა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თბილისის საზღვრებიდან მთელი ტერიტორია აიზომა და ყველა მეთაურმა საქმე გაინაწილა. ამგავრად, შვიდ დღეში, აქ ციხესიმაგრე ააშენეს (Zehebî, 1941:353).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილხანთა და ბიზანტიის ურთიერთობის გამო, ეგვიპტესა და ყივჩაღთა ველს შორის ელჩები კონსტანტინოპოლის გავლით, საზღვაო გზით დადიოდნენ. ბიზანტიის მმართველები დროთა განმავლობაში მათ დაბრკოლებებს უქმნიდნენ, რის გამოც, მენგუს ჯარი ნოღაის მეთაურობით ბიზანტიას ემუქრებოდა. ერთ-ერთი ლაშქრობისას ნოღაიმ, მიხეილ VIII-ს კონსტანტინოპოლიდან ელჩების გაშვება მოსთხოვა. იმპერატორს დამარცხების შეეშინდა და ნოღაის სამშვიდობო

შეთანხმების დადება შესთავაზა და ცოლად მისი ასული შერთო. ამგვარად, ბიზანტიელი პალეოლოგების დინასტია ილხალენებსა და ჯუჩი ოჯახს დაუნათესავდა. ბიზანტიამ ამ ნაბიჯით ოქროს ურდოსთან და, შესაბამისად მამლუქებთანაც ურთიერთობა გაამყარა (Holt, 1999:163; Kamalov, 2003:68-69) და ამით ელჩების მგზავრობის საკითხიც მოგვარდა.

ამავე დროს ილხანებსა და ოქროს ურდოს ურთიერთობებში სხვა საინტერესო მოვლენა ხდებოდა. 1272 წელს, იზედინ ქეიქავუსის გარდაცვალების შემდეგ, მენგუ თემური მონღოლთა ტრადიციის თანახმად მოითხოვდა, რომ ქეიქავუსის ვაჟი მესუდი, მის დედინაცვალ ურბაი ხათუნზე დაქორწინებულიყო. ურბაი ხათუნი ბერქე ხანის ქალიშვილი იყო და მენგუ თემურის ტახტზე ასვლის დროს იზედინ ქეიქავუსზე დააქორწინეს. ასეთ სიტუაციაში მესუთს გაქცევის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა და აბაღას შეაფარა თავი. აბაღამ მესუთი კარგად მიიღო და სივასი, არზრუმი და ერზინჯანი გადასცა. მესუდიც, აბაღას დაქვემდებარების ქვეშ, სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა (Baybars, 1941:175). ,,სელჩუკთა ისტორიაში" ქორწინების შესახებ არაფერი წერია, ნათქვამია, რომ პირველი კაცი ვინც ყივჩაღთა მხარიდან მოვიდა მესუდი იყო. იგი სინოპის გავლით ილხანებთან მივიდა, მაგრამ ეს მოვლენა აბაღას დროს კი არა, უფრო გვიან, მისი ძმის აჰმედ ხანის პერიოდში მოხდა (T.A.S., 2014:51). აქსარაის მიხედვით, მესუთი ქორწინების გამო კი არ გაქცეულა, არამედ იზედინის სიკვდილის შემდეგ, მამის მემკვიდრეობის მისაღებად სინოპის, სამსუნის და ერზურუმის გავლით აბაღას წინაშე წარსდგა, რომელიც მას კარგად დახვდა (Aksarayî, 2000:105). ოქროს ურდოს ისტორიის მკვლევრები თვლიან, რომ მიუხედავად იმისა, რომ მენგუ თემური მამლუქთა წყაროებში მოიხსენიება, სავარაუდოდ ის მუსლიმი არ იყო, ან ჭეშმარიტი მუსლიმივით არ ცხოვრობდა. სწორედ ამიტომ უჭერდა მხარს ამ ქორწინებაის (Kafalı, 1976:61).

ბერქე ხანსა და ჰულაგუ ხანს შორის დაწყებული უთანხმოება, მცირე პაუზებით მათ მემკვიდრეებს, აბაღასა და მენგუს შორისაც გაგრძელდა. ამ ბრძოლებმა სამხრეთ კავკასია და მოსახლეობაზე ცუდად იმოქმედა. მენგუ თემურისა და აბაღას დაპირის-პირება, გასულ ბრძოლებთან შედარებით, არც ისე მძიმე იყო. ოქროს ურდოს საფრთხის გამო 1275/1276 და 1279/1280 წლებში გამოსაზამთრებლად ილხანებმა შირვანი არჩიეს და ქართველთა დამხმარე ძალებიც მათთან ერთად იმყოფებოდნენ (Spuler, 1957:363).

1277 წლის ელბისტანის ბრძოლა და ქართველები

მიუხედავად იმისა, რომ ილხანების დაქვემდებარებაში მყოფი ყველაზე დიდი სახელმწიფოს, სელჩუკების ტახტზე ყილიჩ არსლან IV იჯდა, ქვეყანას მუინიდინ სულეიმან ფერვანე მართავდა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, მან ქილიჩ არსლანს მამლუქებთან კავშირი დასწამა და აბაღასგა მისი მოკვლის იარლიღი აიღო. 1266 წელს ფერვანემ ყილიჩ არსლან IV–ის ექვსი წლის ვაჟი ქეიქავუსი აიყვანა ტახტზე, თუმცა ილხანების მძიმე გადასახადებს და სხვადასხვა მოთხოვნებს ვეღარ უმკლავდებოდა, ამიტომ ბაიბარსს წერილი გაუგზავნა და მონღოლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა და სანაცვლოდ სელჩუკთა სახელმწიფოს, მამლუქებისადმი დაქვემდებარებას ჰპირდებოდა. ბაიბარსმა შეთავაზება მიიღო და ლაშქრობისთვის მზადება დაიწყო. ფერვანე ლაშქრობის ერთი წლით გადადების მიზნით მიზეზს იგონებდა. ამის გამო ბაიბარსმა კილიკიის სომხეთის სამეფოსკენ აიღო გეზი (Baibars, 1978:67). ამის შემდეგ

განვითარებული საშინაო პრობლემების გამო ფერვანემ აბაღასთან და მის ოჯახთან საბოლოოდ გაწყვიტა ურთიერთობა. აბაღას ხელში ჩაუვარდა 1274-1275 წლებში მამლუქთა სულთნის მიერ ფერვანესთვის მიწერილი წერილები. ფერვანემ, ყველაფერი მისი მტრის – სომეხთა მეფის ოინებს დააბრალა და მდგომარეობა შეამსუბუქა. 1277 წლამდე ფერვანე ერთის მხვრივ აბაღასთან, მეოე მხვრივ კი ბაიბარსთან სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა. 1277 წელს კი, ბაიბარსი ალეპოდან ანატოლიისკენ დაიძრა. ელბისტანის ველზე მონღოლთა, სელჩუკთა და ქართველთა ძალებს დაუპირისპირდა. ბრძოლაში, სამი სხვადასხვა ნაწილი იბრძოდა. მთავარი მონღოლთა ლაშქარი იყო, რომელიც თერთმეტ ათასეულად იყო განაწილებული (Sümer, 1989:179-181).

დაპირისპირების დროს მონღოლთა ჯარი ცენტრში, ხოლო სელჩუკები და ქართველები მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე განლაგდნენ (Aksarayî, 2000:87; Baibars, 1978:73). იბნ ბიბის მიხედვით, მამლუქთა ჯარის ურიცხვი ლაშქრის წინააღმდეგ მონღოლთა, სელჩუკთა და ქართველთა ერთიანი სამი ათასიანი არმია იბრძოდა (İbn Bibi 2, 1996:187). ქადი მუჰიდინ იბნ აბდი'ზ ზაჰირიც წერს, რომ მონღოლთა ლაშქარი სამი ათასი ცხენოსნისგან შედგებოდა (Baibars, 1978:72). 1277 წლის 15 აპრილს ელბისტანის დაბლობზე გამართულ ბრძოლაში ეგვიპტის სულთანმა ბაიბარსმა გაიმარჯვა. ილხანების მონღოლთა ჯარების რიგებში მებრძოლი უამრავი სომეხი და ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. მონღოლთა ჯარის რაოდენობა, სავარაუდოდ, აღნიშნულზე მეტი იყო. ჩვენს მიერ განხილული წყაროების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მონღოლთა ლაშქარი სულ მცირე რვა ათას კაცს ითვლიდა. მონღოლ მებრძოლთა ბრძოლაში არ დაღუპულა. ჯარი სამი სხვადასხვა ხალხისგან შედგებოდა. ებუ'ლ ფერეჯისა და აბუ'ლ ფარაჯის ცნობებით, მონღოლთა რიგებში დაახლოებით სამი ათასი კაცი იბრძოდა. ქართველები იბრძოდნენ სანამ ძალები ეყოთ და ბრძოლის ველზე ორი ათასი კაცი დატოვეს. მონღოლთა რიგებში კი ხუთი ათასამდე ჯარისკაცი დაიღუპა (İbri, 2011:50; Hebraeus, 1950:599). სელჩუკთა ისტორიაში ლაშქრის რაოდენობა დასახელებული არაა, თუმცა აღნიშნულია, რომ მონღოლთა უამრავი მებრძოლი დაიღუპა და მხოლოდ მეასედი გადარჩა. ფერვანე ბრძოლის ველიდან გაიქცა, მოგვიანებით კი აბაღამ შიპყრო და მოკლა. სიკვდილამდე აბაღამ ჰკითხა: „როგორ მოხდა, რომ მონღოლთა რიგებიდან ამდენი ჯარისკაცი დაიღუპა, ხოლო რუმის (სელჩუკები) ჯარში მსხვერპლი არ არისო?" ფერვანე დაადანაშაულა, შემდეგ კი მოკლა (T.A.S, 2014:48-49). ბაიბარსი კეისარიის მახლობლად ქეიყუბადის რაიონში წავიდა და თხუთმეტი დღით იქ დარჩა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წავიდა კაისერში. რეგიონის მოსახლეობისთვის მამლუქებს არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ (İbri, 2011:50-51).

ჩვენს მიერ განხილული აღნიშნული პერიოდის სხვა წყაროებში საუბარია ელბისტანის ბრძოლის შემდეგ ილხანებსა და მამლუქებს შორის გამართულ ხუმსის ბრძოლაზე. ,,ქართლის ცხოვრება" ამასთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის. ქართული წყაროს მიხედვით, გადასახადების გადაუხდელობისა და დაუმორჩილებლობის გამო აბაღამ გილანში მონღოლთა და ქართველთა ერთიანი ლაშქარი გააგზავნა. ბრძოლაში, ქართველთაგან მხოლოდ მეფე დემეტრე არ იღებდა მონაწილეობას. შირამუნ ნოინის მეთაურობით ილხანთა ჯარებმა ქართველებთან ერთად

მტერი სასტიკად დაამარცხეს. გამარჯვებულები უკან აბაღასთან დაბრუნდნენ (K.TS, 2014:371).

1282 წლის ჰუმსის ბრძოლა და ქართველები

1260-იანი წლებიდან ეგვიპტელ მამლუქებს, ილხანელ მონღოლებსა და ოქროს ურდოს შორის განვითარებულმა ურთიერთობებმა დიდი გავლენა იქონია მახლობელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიასა და ხალხებზე. ეგვიპტსა და ოქროს ურდოს კეთილ-მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ილხანთა მონღოლები ორ ფრონტზე იბრძონდნენ. ამ პერიოდში მან მოახერხა ბერქე ხანის შემდგომი ოქროს ურდოს უკან ჩამოტოვება. ჰულაგუსგან განსხვავებით მისი მემკვიდრის აბაღას ყველაზე დიდი საგარეო მტერი ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფო იყო.

ეგვიპტის მამლუქთა სულთნის ბაიბარსის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი სულთანმა ყალაუნმა დაიკავა. ბაიბარსის მიერ ილხანებისადმი დაქვემდებარებული კილიკიის სომეხთა სამეფოს აოხრების და ელბისტანის მარცხის გამო ეგვიპტელ მამლუქთა წინააღმდეგ კიდევ ერთი ომი წამოიწყო (Sümer, 1989:183-184). სირიაში ლაშქრობისთვის მზად იყო ჯარი, რომელშიც მონღოლთა ჯარის გარდა საქართველოს მეფე დემეტრე და სხვა ქართული და სომხური ძალები მონაწილეობდნენ. აბაღას ძმის მენგუ თემურის ჯარში, ჰულაჩუ, ალინაქ ბაჰადირი, საქართველოს მეფე დემეტრე, სომხეთის მეფე ლეონი, სომეხი მთავრები (Sebastatsi, 2005:54) და სამცხის აზნაურები, სამცხის ათაბაგის სარგის ჯაყელის ძე ბექა იმყოფებოდნენ. ბექამ სირიის საზღვრებში ქართულ ჯართან ერთად წარმატებით იბრძოდა, რის გამოც მენგუ თემურმა ბექა და სხვა აზნაურები ცხენებით, ტანსაცმლითა და ძვირფასი საჩუქრით დაასაჩუქრა (K.TS, 2014:373).

ჰეთუმის ისტორიის მიხედვით, აბაღას მიერ სირიაში გაგზავნილი ჯარი, რომელსაც მისი ძმა მენგუ თემური მეთაურობდა 30.000 კაცისგან შედგებოდა (Het'um, 2004:57). ებუ'ლ ფერეჯ იბნუ'ლ-იბრის და აქსარაის მიხედვით კი 50.000 ჯარისკაცისგან (İbri, 2011:52, Hebraeus, 1950:607; Aksarayî, 2000:105).

მამლუქთა და მონღოლთა ჯარი 1282 წლის 29 ოქტომბერს ჰამასსა და ხუმსს შორის დაუპირისპირდა ერთმანეთს. მონღოლები წარმატებით იბრძოდნენ, თუმცა მათი მარცხენა ფრთა მახეში გაება და სასტიკად დამარცხდა. მეფე დემეტრე ქართველთა ხუთი ათასიანი ჯარით და სომეხებისთა მეფე ლეონი მარჯვენა ფრთაზე იბრძოდნენ. მათ არ იცოდნენ მარცხენა ფლანგის მარცხის შესახებ და ბრძოლას აგრძელებდნენ (İbri, 2011:52). ალინაქის მეთაურობით მებრძოლმა ქართველებმა და სომხებმა მებრძოლებმა (Fazlullah, 2013:124) ეგვიპტელებს სძლიაეს და ხუმსის კარიბჭემდე მივიდნენ. მაგრამ, გაიგეს თუ არა მარცხენა ფლანგის დაცემის შესახებ, უკან დაბრუნდნენ. გზად იმ ეგვიპტელთა ჯარს შეხვდნენ, რომლებმაც მონღოლთა მარცხენა ფრთა დაამარცხეს და სასტიკად დამრცხდნენ (İbri, 2011:52).

წყაროები მოგვითხრობენ ამ ბრძოლაში ქართველებისა და სომხების სიმამაცის შესახებ. „ქართლის ცხოვრება“ აქაც, სხვა წყაროებთან შედარებით დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის. მის ცნობით, მეფე დემეტრე რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, იმდენად კარგად იბრძოდა, რომ მენგუ თემური მოხიბლა. მამლუქთა სულთანმა,

რომელმაც იცოდა ქართველთა მამაცური ბრძოლის შესახებ, ორი მნიშვნელოვანი მეთაური, ყარა სუნგური და იაყუფ აფრაში 12 ათასიან ცხენოსან ჯარს ჩაუყენა სათავეში, რომლებიც თავს დასხნენ საქართველოს მეფეს. ბრძოლის დაწყებისთანავე ქართველნა მეფემ დაახლოებით 200 ცხენოსანი გაუშვა წინ. თუმცა მათმა დახოცვამ არეულობა გამოიწვია და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლის დროს ქართველი მეფის ცხენი ყარა სუნგურის მიერ ნასროლმა შუბმა მოკლა. ამან ქართველები უფრო გააშმაგა. მიუხედავად იმისა, რომ დემეტრემ ცხენი დაკარგა, ბრძოლას ქვეითად აგრძელებდა. ეს დაინახა თუ არა სიკდურ ნოინის ვაჟმა აბაშმა, საკუთარი ცხენი დაუთმო მეფეს. დემეტრე ცხენზე ამხედრდა და ბრძოლა გააგრძელა (K.TS., 2014:373-374). ქართველთა და სომეხთა ჯარი, რომელიც მონღოლთა არმიის მარჯვენა ფლანგს წარმოადგენდა ეგვიპტელთა მარცხენა ფლანგს შეეჯახნენ. ისინი თავიდან წარმატებით იბრძოდნენ, თუმცა ბრძოლის შედეგი ვერ შეცვალეს. გამარჯვებული მამლუქთა არმია ურიცხვი ნადავლით დამასკოში დაბრუნდა (Hebraeus, 1950:608). ნერსეს პალიენცის ქრონიკის მიხედვით ბრძოლის შედეგად დაღუპულთა რიცხვი შემზარავია. იგი წერს, რომ მონღოლთა ჯარი რვა დღის განმავლობაში მამლუქთა ჯარს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, მათ 50 ათასზე მეტი მამლუქი ჯარისკაცი დახოცეს, თუმცა მამლუქთა ჯარმა ფეხზე წამოდგომა მოახერხეს და 30 ათასი მონღოლი ჯარისკაცი ამოწყვიტეს. მათ შორის ორი ათასი სომეხი ჯარისკაცი იყოო (Palients, 2005:169).

ილხანელ მენგუ თემურთან ერთად ბრძოლის ველზე მეფე დემეტრემაც მძიმე ჭრილობები მიიღო. იგი საკუთარ ჯართან ერთად უკან გზაზე აბაღას წინაშე წარსდგნენ, რომელმაც ისინი პატივით მიიღო (K.TS, 2014:374). 1282 წელს ჯერ აბაღა, შემდეგ კი მისი ძმა მენგუ თემური გარდაიცვალა (Hebraeus, 1950:609; Sebastatsi, 2005:54). ქართლის ცხოვრების მიხედვით, ჯერ მენგუ თემური, გარდაიცვალა, შემდეგ კი აბაღა (K.TS., 2014:374).

§ 3. არეულობის ხანა ოქროს ურდოში

ნოღაიმ, რომელმაც ჯერ კიდევ ბერქე ხანის დროს დაიწყო გაძლიერება, იგი უფრო და უფრო ძლიერდებოდა თუდა მენგუს მმართველობაში, რადგან ამ უკანასკნელი ჭკუასუსტი იყო და ნოღაიც სარგებლობდა ამით. ნოღაი ბალკანეთის მხარეში მმართველობდა. 1282 წელს ოქროს ურდოში მენგუ თემურის, ბიზანტიაში კი მიხეილ VIII–ს გარდაცვალების შემდეგ, ორივე სახელმწიფოში სუსტი მმართველები მოვიდენ სათავეში, რამაც ნოღაის ძალაუფლების გამყარებას უფრო შეუწყო ხელი. მან ისარგებლა ამით და 1280–1302 წლებში ბალკანეთში მონღოლთა გავლენამ ყველაზე მწვავე ხასიათი მიიღო. ბერქეს დროიდან მოყოლებული ოქროს ურდოს პოლიტიკაში გავლენიანმა ნოღაიმ მენგუ თემურის გარდაცვალების შემდეგ ოქროს ურდოში შექმნილი ვითარებით ისარგებლა და დღევანდელი რუმინეთის საზღვრებში მდებარე ისაკჩაში დამოუკიდე-ბლობა გამოაცხადა (Vasary, 2015:97-100).

ამ არეულობის პერიოდში თუდა მენგუსთან ერთად ნოღაი „თანამმართველივით“ ჩანს. იგი ნოღაი მირზას და ემირ ნოღაის ტიტულებითაც იხსენიება. უფრო მეტიც,

„როსტოვის ქრონიკების“ გარდა, სხვა წყაროებში, თუდე თან ერთად ნოღაისაც მოიხსენიებენ როგორც „ცარ“ (მეფე). როსტოვის მთავრები თუდე მენგუს ერთგულნი იყვნენ, ამიტომაც ქრონიკებში ნოღაი მხოლოდ მოიხსენიება. ჩინის მიუხედავად, ფაქტია, რომ ნოღაი თუდა მენგუზე, ანუ ოფიციალურ მმართველზე უფრო ძლიერი იყო, თუმცა არა იმდენად, რომ იგი ჩამოეშორებინა. შექმნილი ვითარება ქვეყნის პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენდა, რადგან დროდადრო ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რაც ხშირად ქვეყნის მმართველობის სისტემაში არეულობას ქმნიდა (Vernadsky, 2015:214-218, Paşaoğlu, 2016:284).

ცნობილია, რომ ნოღაი, რომელზეც ჩვენ ნაშრომში არაერთხელ ვსაუბრობთ, თუდა მენგუს, თულა ბუღას და თოხთას (თოხთაღა) დროს ოქროს ურდოს ტახტის დაკავების საკითხში დიდი გავლენა ჰქონდა. მდ. დუნაიდან დონამდე ტერიტორიებზე გააძლიერა მისი გავლენა და თულა ბუღას მმართველობის დროს დამოუკიდებლობა გამოაცხადა (Paşaoğlu, 2016:284; Vasary, 2015:99-101; Fahreddin, 2003:47). ნოღაიმ, რომელმაც ისაკჩაში საკუთარ სახელზე მონეტა მოჭრა და ახალი, დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანება დააარსა. ბევრი მკვლევარი მას ნოღაის სახანოდ მოიხსენიებს. ნოღაის ძლიერების ხანამ ოქროს ურდოს ხან თოხთასთან ბრძოლამდე გასტანა. თათარმა ტომებმა თოხთას ჰეგომონობა აღიარეს (Vasary, 2015:101-102) და ამით ოქროს ურდოში არეულობის ხანა დასრულდა.

რიზაედინ ფაჰრედინი ნოღაიზე სამართლიანად აღნიშნავს, რომ: *„ცუდი მაგალითი გადამდებია. სხვა სახელმწიფო მოხელეებმა, ნოღაის მსგავსად სახელწიფო ინტერესები დაივიწყეს და საკუთარი სარგებლის ძიებაში იყვნენ. ეს მოვლენები შემდგომში იმპერიის დაშლისა და დამოუკიდებელი სახანოების წარმოქმნის პირველი ნიშნები და ნაბიჯები იყო* (Fahreddin, 2003:48)*.“* უფრო მოგვიანებით, მიუხედავდ იმისა, რომ ნოღაი დამარცხდა და ოქროს ურდოსაც რამოდენიმე ძლიერი მმართველი ჩაუდგა სათავეში, შექმნილი ვითარება სახანოს დასასრულის დასაწყისი და გარდატეხის წერტილი იყო.

მენგუ თემური რომ მოკვდა, შვილები პატარები იყვნენ, რის გამოც მისი ადგილი მისმა ძმამ, თუდა მენგუმ დაიკავა (Kafalı, 1976:62). უმდეთუ'ლ აჰბარის მიხედვით, ბერქე ხანამდე ტახტი თუდა მენგუმ დაიკავა, რომელიც თვრამეტი წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. ძმისშვილი თულა ბუღა რომ გაიზარდა, თავისივე ნებით გადააბარა ტახტი (Kırımî, 2003:40-41). ოთემიშ ჰაჯიც „ჩინგიზ–ნამეში“ იგივეს ამბობს. გამომდინარე იქიდან, რომ თულა ბუღა პატარა იყო, ნოინებმა ჭკუათხელი თუდა მენგუ აიყვანეს ტახტზეო (Ötemiş, 2009:46). მაგრამ, ბაიბარსის ისტორია და სხვა წყაროები, ნუმიზმატი-კურ მასალასთან ერთად ცხადყოფენ, რომ თუდა მენგუს 1282-1287 წლებში მმართვე-ლობდა (Kafalı, 1976:63).

წყაროები საუბრობენ თუდა მენგუს ჭკუასუსტობაზე (Kafalı, 1976:62). ოთემიშ ჰაჯის ,,ჩინგიზ–ნამესა“ და აბდულგაფარ ყირიმელის მიერ მოთხრობილი ეღტი ამბის მიხედვით, მონღოლთა საყაენოდან ელჩები მოვიდნენ. სავარაუდოდ ამ ელჩებს თუდა მენგუს ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება სურდათ. ნოინებმა თუდა მენგუ გააფრთხილეს, რომ ელჩებთან სულელურად არ მოქცეულიყო და მათთვის მხოლოდ

დიდი ყაენის ჯანმრთელობისა და ქალაქების კეთილდღეობის შესახებ ეკითხა. რადგან თქვენას ამის უნარი არ გაგაჩნიათ, ფეხზე ძაფს მოგაბამთ და ტახტის ქვეშ კაცს დავაჭერინებთ. თუკი ჩვენი ნათქვამი დაგავიწყდებათ და უგუნურ საუბარს დაიწყებთ, კაცი ძაფს მოქაჩავს და საუბრის დასრულებაზე მიგანიშნებთო. თუდა მენგუმ შეთავაზება მიიღო (Ötemiş, 2009:46; Kırımî, 2003:40). ეს ამბავი მართალია ბაიბარსის ისტორიაში არ წერია, მაგრამ 1283–1284 წლებში ორი ელჩის მოსვლის შესახებ ცნობები არსებობს. ამ ჩანაწერებში რელიგიური მტრების წინააღმდეგ გაერთიანებასა და მათთან ბრძოლაზეა საუბარი. ბაიბარსის ისტორიის მიხედვით თუდა მენგუ მუსლიმია. ამ ინფორმაციას რუსული ქრონიკებიც ადასტურებენ (Baybars, 1941:183; Vernadsky, 2015:218). ნუვეირის წყაროს, ბაიბარსის ისტორიისა და ,,უმდეთ'ულ–აჰბარის" მიხედვით, 1287 წელს თუდა მენგუმ, სახელმწიფო საქმეების გაგრძელებაზე უარი განაცხადა. შეიხებისა და დერვიშების რჩევით ტახტზე მისი ძმისშვილი თულა ბუღა ავიდა (Nuveyrî, 1941:263; Baybars, 1941:185; Kırımî, 2003:40-41). თუდა მენგუს სამი ვაჟი ჰყავდა: უზ მენგუ, სარაითემირი და სუქაი (Baybars, 1941:185).

თუდა მენგუ თავისი მმართველობის ხანაში პოლიტიკური საკითხებით არ ინტერესდებოდა. მუსლიმი თუდა მენგუს პარალელურად ილხანთა სახელმწიფოს სათავეში 1282-1284 წლებში აჰმეთ თექუდარი იდგა. ისიც მუსლიმი იყო და აჰმედი ისლამის მიღების შემდეგ დაირქვა. ცენტრალურ აღმოსავლეთში იმედოვნებდნენ, რომ რელიგიური ნიშნით დაპირისპირება საბოლოოდ დასრულდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ოქროს ურდოსა და ილხანთა სახანოებში ისლამი ბოლომდე არ იყო გავრცელებული. თუმცა, ისლამის მედროშე ეგვიპტის მამლუქები ილხანთა ტახტზე მუსლიმი აჰმედ თექუდარის ასვლას დიდი სიხარულით არ შეხვედრიან. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ რელიგიის სახელით მებრძოლი ეგვიპტელი მამლუქების, ბრძოლის მთავარი მიზეზი რელიგია და ისლამური „ჯიჰადი" არ ყოფილა (Kamalov, 2003:70-71).

აბაღას უფროსი ვაჟი არღუნი, აჰმედის ტახტზე ასვლის დროს ხორასნის მმართველი იყო. აჰმედ თეგუდარის ალადაღში ტახტზე ასვლიდან ცოტა ხანში მისი ძმა ქუნგურთაი მეორე ძმას არღუნს ნოვრუზის დღესასწაულზე აჰმედ თეგქუდარის მოკვლის შესახებ მოელაპარაკა. ეს რომ აჰმედმა შიტყო ქუნგურთაი მოკლა (K.TS., 2014:374; Sebastatsi, 2005:54), შემდეგ კი ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. არღუნის წინააღმდეგ სალაშქროდ ქართველები და საქართველოს მეფე დემეტრე დაიბარა. მეფემ მიწვევა მიიღო და შაჰინშაჰის ძესთან, ივანე მანდატურთუხუცესთან, მთავარსარდალ სადუნის ძე ყუთლუ ბუღა თან გაიყოლა და მონღოლებთან ერთად საბრძოლველად დაიძრნენ (K.TS., 2014:375). აჰმედ თექუდარმა მისი სიძე ალინაქი ჯართან ერთად არღუნის წინააღმდეგ გაგზავნა. ეს ჯარი მონღოლების, მუსლიმების, სომხებისა და ქართველების გაერთიანებულ ლაშქარს წარმოადგენდა, რომელიც ასი ათას კაცზე მეტს ითვლიდა. აჰმედ თექუდარის ჯარმა არღუნის ქალაქები ჩაიგო ხელში. ფაზლულას ცნობით, ქართველმა ჯარისკაცებმა ყაზვინიდან ხორასნამდე უამრავი ქალაქი გაძარცვეს და მოსახლეობა ამოხოცეს, რაც კი იპოვეს ხალხს ყველაფერი წაართვეს (Fazlullah III, 1998:553-554; Fazlullah, 2013:136-138). არღუნი მიხვდა რა აჰმედ თექუდარის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებოდა, 300 კაცთან ერთად კალასის (K.TS., 2014:375) ციხეს შეაფარა თავი.

ამ დროს ერთ–ერთი ამირა სახელად ბუქა აჰმედ თექუდარის წინაშე წარსდგა და უთხრა, თუკი სიტყვას მომცემთ, რომ არღუნს არაფერს დაუშავებთ, მას მე მოგიყვანთო. აჰმედ თექუდარ სიხარულით დათანხმდა. ბუქამ ციხესიმაგრიდან არღუნი წამოიყვანა, რომელსაც და აჰმედი კარგად შეხვდა. მოგვიანებით, აჰმედ თექუდარმა აზერბაიჯანში მყოფ დედასთან ქუთაი ხათუნთან წასვლა გადაწყვიტა, არღუნი კი აქ დატოვა და მასზე თვალყურის დევნება ბრძანა. თუმცა გარემოცვის გავლენით გადაწყვეტილება შეცვალა და განაცხადა, რომ „არღუნს და სხვა მთავრებს თუ არ მოვკლავ, ჩემი მმართველობაში დარწმუნებული ვერ ვიქნებიო". ეს გახდა აჰმედის დასასრულის დასაწყისი. ბუქამ ეს ამბავი არღუნსა და სხვებს შეატყობინა. არღუნი ჩუმად გაანთავისუფლეს. ჯერ ალინაქის კარავში მივიდა და მალულად მოკლა იგი, შემდეგ კი აჰმედ თექუდარს დაეწივნენ და მასთან ერთად ოჯახიც ამოწყვიტეს **(Hebraeus, 1950:614-616)**. ,,ქართლის ცხოვრებაში" ეს მოვლენები შემდეგნაირადაა გადმოცემული: ალინაკის კარავში მოკვლის შემდეგ არღუნი აჰმედ თექუდარის კვალს გაჰყვა. მეფე დემეტრე უბრძანა, რომ აჰმედს არ დახმარებოდა და უკან დაბრუნებულიყო. დემეტრე ეს შეასრულა და აჰმედს ჩამოშორდა. შემდეგ არღუნის წინაშე წარსდგა და ერთგულება შეჰფიცა და მისგან ყუთლუღ ბუღას ხელში მყოფი ათაბაგ ავაგის მიწები მიიღო **(Orbelean, 2015:217)**. დემეტრემ კი ასეთი ზავის პირობებში ავაგის მხარეს განათლების დასასრულებლად მისი ძე დავითი გააგზავნა **(K.TS., 2014:376)**. სტეფანოს ორბელიანის ცნობით, თბილისი, ანისი და ყარსი დავითს ჩააბარა **(Orbelean, 2015:217)**.

1284 წლიდან ილხანთა სახელმწიფოს არღუნი ჩაუდგა სათავეში. მის დაქვემდებარებაში არსებული ქვეყნებში ახალი მმართველები დანიშნა. ბიძამისი ჰულაჯუ და ძმა გეიჰათუ ანატოლიაში გააგზავნა. საქართველო ბიძას აჯაის გადასცა. ხორასანი, მაზანდარანი და რეი შვილს გადასცა **(Fazlullah, 2013:151-152)**.

როგორც ვთქვით, თუდა მენგუმ ტახტი დაუთმო მის ძმიშვილს თულა ბუღას, რომელიც ოქროს ურდოს ახალი მმართველი გახდა. ტახტზე ასვლისას თულა ბუღამ ლიახებსა (პოლონელები) და უნგრეთს შორის მდებარე კრაკოვში ილაშქრა და ლაშქრობაში ნოღაისაც მოთხოვა მონაწილეობის მიღება. ლაშქრობა წარმატებით დასრულდა. უკან დაბრუნებულებს კი მკაცრმა ზამთარმა მოუსწრო, რის გამოც ნოღაი თავის მიწებზე დაბრუნდა. თულა ბუღა კი ამინდის გაუარესების გამო გზაში დარჩა. სიცივისა და სურსათის უკმარისობის გამო გამო ჯარის ნაწილი დაკარგა. ამის გამო პასუხისმგებლობა ნოღაის დააკისრა. ნუვეირის ცნობით გვაძლევს, თულა ბუღა ტახტზე ასვლიდან სამი წლის შემდეგ მოკლეს. ამის მიზეზი სწორედ ეს მოვლენები უნდა ყოფილიყო **(Nuveyrî, 1941:265)**.

აღნიშნულმა ლაშქრობამ თულა ბუღას ავტორიტეტზე ცუდა იმოქმედა. სახელის აღსადგენად მან ილხანთა წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტა. ბერქე ხანის დროიდან აზერბაიჯანის ხელში ჩაგდების მიზნით დაწყებული ბრძოლა კვლავ განაახლა და 1288 წელს თამა თოხთას და ნოღაის მეთაურობით ჯარი გააგზავნა. ილხანთა მმართველი არღუნ ხანი (1284-1291 წწ.) 1288 წლის 5 მაისს მოქმედებაზე გადავიდა და 9 მაისს მტკვარი გადალახა. ამირები ბუღა და ქუნჩუქბალა მტრის დასაზვერად გაგზავნა, რომლებიც 4-5 დღის შემდეგ დაბრუნდნენ და ოქროს ურდოს ჯარის უკან დახევის შესახებ აცნობეს

(Fazlullah, 2013:159; Kamalov, 2003:70-71; Kemaloğlu, 2016b:593). ,,ქართლის ცხოვრება“ ამის შესახებ ცნობების გადმოცემისას ხშირად ახსენებს „დარუბანდელებს.“ როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარუბანდი ოქროს ურდოს სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული. ქართული წყაროს მიხედვით ოქროს ურდოს ჯარები არღუნის მეთაურობით დარუბანდისკენ დაიძრნენ. არღუნის გვერდით საქართველოს მეფე დემეტრეც იმყოფებოდა. მათ ერთად იბრძოლეს. დემეტრემ განძი და ოქროულობა იგდო ხელთ, ქალაქები კი გადაწვა (K.TS, 2014:376).

ილხანთა წინააღმდეგ ოქროს ურდოს შემდეგი ლაშქრობა 1290 წელს მოეწყო (Kamalov, 2003:72). სამხრეთ კავკასიაზე პრეტენზიის გამო ოქროს ურდომ კვლავ ბრძოლა გადაწყვიტა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარუბანდის გადასასვლელს, როგორც ჩრდილოეთის კარს, მისი მდებარეობიდან და მიმდინარე ბრძოლებიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის ხალხებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (Dumézii, 2000:27). 1290 წლის 26 მარტს არღუნმა დარუბანდის მხრიდან ჯარის მოსვლის შესახებ შეიტყო. ამირებმა თუქალამ, შიქთურ ნოინმა და ქუნჯუქბალმა პირველი შეტაკება 28 მარტს განახორციელეს. 13 აპრილს არღუნი დაიძრა და 29 აპრილს დარუბანდის გადაღმა ყარასუს ნაპირზე ორი ჯარი შეხვდა ერთმანეთს. ილხანების მხარეს თაგაჩარი, ქუნჯუქბალი, თუღრულჩა და ტაიჯუ იბრძოდნენ, ოქროს ურდოს მხარეს კი აიაჩი, მენგუ თემურის ვაჟი მინგლი ბუღა, იქიჯე და თოხთაი მურთადი ერთ დუმენად იყვნენ გაერთიანებული. ილხანთა მეომრებმა მტერთადნ შესახვედრად მდინარე რომ გადაელახათ წყალში ჩაყვინთეს. ფაზლულა ამბობს, რომ მათმა გამბედაობამ მტერი შეაშინა და გააიქცია. ოქროს ურდოს ათი ათასიანი ჯარიდან მხოლოდ სამასი მხედარი მოკლეს და რამდენიმე კაცი დაატყვევეს. ტყვეებს შორის იყო თოხთა ხანის ამირა ჩერიქთაიც. გამარჯვებული ილხანთა ჯარი 2 მაისს ფილასუვარში დაბანაკდა და ზეიმი გამართა. ილხანთა ვეზირმა სადულდევლემ ოქროს ურდოზე გამარჯვების შესახებ ვილაიეთში ამბავი გააგზავნა (Fazlullah, 2013:168-169). ეპისკოპოსი სტეფანოსი ამ ბრძოლის შესახებ წერს, რომ ბრძოლა თუდა მენგუსა და ილხანებს შორის გაიმართა. არცერთ სხვა წყაროში თუდა მენგუს დროს ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ცნობა არ მოიპოვება. მისი ცნობით, ბრძოლა 1290 წელს მოხდა. ოქროს ურდო დიდძალი ლაშქრით მოვიდა და მდინარე სპიტაკის(?) ნაპირზე ორი ჯარი ერთმანეთს შეხვდა, თუმცა ოქროს ურდოს ჯარმა უბრძოლველად უკან დაიხა (Stepanos, 2005:78).

თულა ბუღამ ტახტზე ასვლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი რაც იყო, კრაკოვის ბრძოლის შემდეგ ნოღაისთან ურთიერთობის გამწვავების გამო, მისი მოკვლა გადაწყვიტა. ნოღაიმ ამის შესახებ გაიგო და თულა ბუღას დედას წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა, რომ თულა ბუღა ახალგაზრდა იყო და სახანოს საქმეებში შეეძლო საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინა და ამის გამო მასთან შეხვედრა სურდა. დედამ ამ წერილის შესახებ უამბო თულა ბუღას. მან დედას დაუჯერა და შეხვედრაზე დათანხმდა. შეხვედრაზე თულა ბუღას თოხთა ხანიც ახლდა. შეხვედრისას ნოღაის ჯარისკაცები მოულოდნელად დაესხნენ თავს თულა ბუღას. ნოღაიმ თოხთას თულა ბუღას მოკვლა უბრძანა. თოხთამ ბრძანება შეასრულა, რის შემდეგაც ოქროს ურდოს ტახტზე ავიდა (Nuveyrî, 1941:267).

ბუქა ხანის სახელი პირველად 1286 წელს გვხვდება, როცა ჩინეთში მყოფმა ყუბულაი ყაენმა არღუნს წერილი გაუგზავნა, რომლის მიხედვითაც არღუნი ხანად დანიშნა, ბუქას კი „ჯინქსანქის“ (ჩინგიზიდის) ჩინი მიანიჭა **(Sümer, 1989:186).** ამიტომაც იგი ზოგ წყაროში ბუქად, ზოგში კი ჩინით მოიხსენიება.

1289 წელს, აჰმედ თეგუდართან ბრძოლაში ბუქა არღუნს უჭერდა მხარს. ბუქას, რომელსაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოვალეობები ეკისრებოდა, არღუნი უმაგრებდა ზურგს. ილხანთა სახელმწიფოს ზოგიერთ ამირასთან მას ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. არღუნ ხანი მის შესახებ უამრავ საჩივარს იღებდა და თანდათან მათი შესწავლა დაიწყო. ამ დროს საჩივრების მიღება კვლავ გრძელდებოდა. არღუნმა, რომელიც აღარ ენდობოდა ბუქას, მისი შეპყრობა ბრძანა. ბუქას საცხოვრებელი მდინარე მტკვრის ნაპირზე მდებარეობდა. არღუნის ჯარისკაცებმა მას ალყა შემოარტყეს. შიგნით რომ შევიდნენ ბუქა იქ აღარ დახვედრია, რადგან ამბავი რომ შეიტყო, მტკვარი გადალახა და ოლჯაი ხათუნთან თავშესაფრის სათხოვნელად გაიქცა. ოლჯაი ხათუნმა ის არ მიიღო. უკან გამობრუნე-ბულმა ოლჯაი ხათუნის ამირათაგან ერთ-ერთს ზენგის შეაფარა თავი. მიუ-ხედავად ამისა ბუქა დაიჭირეს და გაასამართლეს. მისი ოჯახის წევრების უმრავლესობა კი ამოწყვიტეს **(Fazlullah, 2013:160-164)**. აბულ ფარაჯი და ,,ქართლის ცხოვრება“ ბუქას მოკვლის შესახებ გვაწვდიან ცნობებს **(Hebraeus, 1950:624; K.TS., 2014:376)**.

ამირა ბუქას მკვლელობის შესახებ ფაზლულა და აბულ ფარაჯი მეფე დემეტრესა და ბუქას ურთიერთობებს გადმოგვცემენ, სადაც აგრეთვე ვრცლად არის მოთხრობილი ბუქას სიკვდილის შესახებ. სხვა წყაროებისგან განსხვავებით, ,,ქართლის ცხოვრებაში“ მოცემულია ბუქას მკვლელობის შემდგომი ამბები. დემეტრეს და ამირა ბუქას სავარაუდოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რადგან მეფემ მისი ასული რუსუდანი მიათხოვა. არღუნმა ამ ურთიერთობის შესახებ რომ გაიგო, დემეტრე მასთან დაიბარა. მეფე გაიგო თუ არა ამის შესახებ, კათოლიკოსი აბრაამი და ეპისკოპოსები, მღვდლები, გარეჯის უდაბნოს ბერები და სამეფოს დიდებულები სათათბიროდ მოიწვია. მეფე ტახტზე დაჯდა და კათოლიკოს აბრაამს მიმართა: *“მამაჩემის გარდაცვალებისას ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მონღოლთა ზეწოლის ქვეშ ვიყავით. მაგრამ ახლა, მაღალი უფლის იესოსა და წმინდა დედის სახელით გადაწყვეტილებას ვიღებ. ყაენი განრისხებულია და ყველა მეთაური, ვინც კი უღალატა დახოცა. ახლა კი მე დამიბარა. ყაენთან წასვლის ნაცვლად, სიცოცხლის გადასარჩენად ყველასგან მიუწვდომელ მთებში მინდა დავიმალო, მაგრამ ჩემი მთელი სამეფო დაუცველია. აბა შეხედეთ, რამდენი ქრისტიანი ცხოვრობს, ეკლესიები განადგურებულია, ხატები და ჯვრები წაბილწული. თუ კი ყაენს ვეახლები დარწმუნებული ვარ, მომკლავს. ჩემს გამო რამდენიმე კაცი მოკვდება. ამიტომ ყაენს უნდა ვეახლო. თუკი მომკლავენ, ქვეყანა უბედურებას გადაურჩება.”* შემდეგ დამსწრეთ მოუბრუნდა და რჩევა ჰკითხა. მათ მიუგეს: *„უფალი არ დაუშვებს, რომ მოკვდეთ. ჩვენ გირჩევთ მამათქვენის მსგავსად მთიულეთს ან აფხაზეთს შეაფაროთ თავი.“* მიუხედავად ამისა, დემეტრემ ყაენის მოწვევა მიიღო და ხალხისთვის თავგანწირვა არჩია. კათალიკოსმა აბრაამმა მეფის გადარწმუნება სცადა, მაგრამ ამაოდ, დემეტრე II წასასვლელად მოემზადა. შვილების გადასამალად ადგილი გამონახა. ზოგი მთიუ-ლეთში, ზოგი კი კახეთში გაგზავნა. უმცროსი ვაჟი გიორგი ტაოში, იშხნის ეკლესიაში

გაგზავნა, შემდეგ კი ყაენთან წავიდა. გზაში თავის ძეს დავითს შეხვდა და ისიც თან წაიყვანა. არღუნი კი ფიქრობდა დემეტრე არ მოვაო და მეფის მოსაყვანად თუქალ ნოინი გაგზავნა. თუქალ ნოინი და დემეტრე ერთმანეთს გზაში გადაეყარნენ. თუქალ ნოინმა მეფეს ყველაფერი ჩამოართვა და დაატყვევა. შემდეგ კი არღუნთან წაიყვანა. ყაენი თუკი მეფეს მოკლავდა, საქართველოში მეფობის შესაფერისი კანდიდატურა არ ჰყავდა, მაგრამ ბუქასთან ურთიერთობის გამო მისი განთავისუფლება არ სურდა. ამ დროს ყუთლუ-ბუღამ არღუნი წააქეზა, რომ საფიქრალი არაფერი იყო. აფხაზეთის მეფის დავით ნარინის ძეს ვახტანგს მოგიყვან და მას ჩააბარე მეფობა, რითაც ორივე სამეფო შენ დაგექვემდე-ბარებაო. არღუნმა რჩევა მიიღო, ყუთლუბუღა იმერეთში გაგზავნა, ვახტანგის გამეფებას და მისი ასულის ცოლად შერთვას შეჰპირდა. ყუთლუბუღას წასვლის შემდეგ არღუნმა დემეტრეს მთელი ქონება ჩამოართვა. მეფის მთავრები დაატყვევა და მხოლოდ კათალი-კოსი აბრაამი გაათავისუფლა. ყუთლუბუღამ ლიხთ-იმერიდან დაბრუნების შემდეგ არღუნს დავით ნარინის თანხმობის და ვახტანგის აფხაზეთის ჯარებთან ერთად არღუნის სამსახურში ყოფნის შესახებ აცნობა. ამის შემდეგ არღუნმა დემეტრეს დაპატიმრება ბრძანა. ორი დღის შემდეგ მისი ძე დავითიც დააპატიმრეს. დიდი ხნის ძიების შემდეგ დემეტრეს უდანაშაულობა დამტკიცდა. ზოგიერთმა ნოინმა არღუნს დემეტრეს შეწყალება სთხოვა, მაგრამ არღუნს გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს. თორმეტ ცხენოსანს დემეტრეს მოკვლა ებრძანა. მეფე ყველაფერს მიხვდა, ქართველი მთავრები და ყუთლუბუღა მასთან იყვნენ. დემეტრემ ყუთლუბუღას მიუგო: „იცოდი რომ უდანაშაულო ვიყავი მაგრამ არაფერი მოიმოქმედე, პატიება შენ რომ გეთხოვა ყაენის-თვის, მაპატიებდა. ჩემი გადარჩენის სურვილი თუ არ გაქვს ჩემი ძე დავითი მაინც გადაარჩინე (**K.TS., 2014:376-379**)." სტეფანოს ორბელიანის მიხედვით, 1289 წელს დემეტრეს მუგღანის ხეობაში, მდინარე მტკვრის მახლობლად თავი მოჰკვეთეს (**Orbelean, 2015:219**). დემეტრეს საქართველო „თავდადებული" სახელით მოიხსენიებს (**Spuler, 1957:95; Subaşı, 2015:141**).

დემეტრეს სიკვდილის შემდეგ მისი ძე დავითი ტყვეობაში დატოვეს. ყუთლუ ბუღა ვახტანგის მოსაყვანად იმერეთში წავიდა. ვახტანგი ჯართან ერთად ტაშისკარის მახლობლად ველზე იყო დაბანაკებული. იგი იქ შირამუნ ნოინის ვაჟთან, სამცხესა და არტაანს შორის მდებარე ჯავახეთის მთებში მცხოვრებ ალინაქის ვაჟთან და სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად იმყოფებოდა. ვახტანგი აქამდე დავით ნარინმა გამოაცილა და ქუთაისში დაბრუნდა. აქედან ვახტანგი არღუნთან გაემგზავრა, სამეფო ჩაიბარა, დაქორწინდა და თბილისში დაბრუნდა. ქართველი დიდებულები ამ მდგომა-რეობით კმაყოფილნი იყვნენ. ვახტანგმა ყუთლუბუღა დახმარების გამო „ათაბაგის" და „მთავარსარდლის" წოდებით დააჯილდოვა. ამ მოვლენებიდან ორი წლის შემდეგ არღუნი ავად გახდა. მან თავისთან იხმო ყუთლუბუღა და დატყვევებული დავითის გამეფება მოსთხოვა. თუმცა, ვახტანგ II-ის მომხრე ზოგიერთი დიდებული ამის წინააღ-მდეგ წავიდა. მათ დავითს ზოგიერთი მხარე გადასცეს, სამეფო კი არ დაუთმეს (**K.TS., 2014:379-380**). უცნობ ქრონიკაში ამ მოვლენებთან დაკავშირებით იგივე ცნობებია, მაგრამ თარიღთან დაკავშირებით გარკვეული უზუსტობაა. დემეტრესა და ბუქას გარდაცვალე-ბის თარიღად 1307 წელი მიიჩნევა (**A.V., 2005:155**).

§ 4. 1291-1295 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები

1291 წელს არღუნის გარდაცვალების შემდეგ, ილხანების ტახტზე გეიხათუ ხანი ავიდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო ტახტზე ცვლილებები მოხდა. ქართველი დიდებულებს ვახტანგ II-ის მმართველობა თანდათან აღარ მოსწონდათ და ტახტზე დემეტრე II-ის ძის დავითის აყვანა უნდოდათ. როგორც კი მეფის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყეს, მალევე, 1292 წელს მეფე უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა. 1293 წელს კი მამამისი, დავით ნარინი გარდაიცვალა. დავითის სიკვდილის შემდეგ მის ვაჟებს, კონსტანტინეს, მიქაელსა და ალექსანდრეს შორის ტახტისთვის ბრძოლა დაიწყო. მართვის სადავეები უფროსმა ვაჟმა კონსტანტინემ აიღო ხელთ, თუმცა რაჭისა და არგვეთის მმართველი მიქაელი ამის წინააღმდეგი იყო, რამაც სამეფოს გაყოფა გამოიწვია (K.TS., 2014:381).

როგორც უკვე აღვნიშნეთ არღუნმა ანატოლიის მმართველობა მის ძმას გეიხათუ ხანს ჩააბარა, სადაც დაახლოებით რვა წელი იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც 1291 წელს გეიხათუ ხანი ილხანთა ტახტზე ავიდა, ვითარების დალაგების მიზნით ანატოლიისკენ გაემართა და იქ ყოფნისას ამბოხების შესახებ რომ შეიტყო, მის ჩასახშობად ჯარებიც გადასხა (Aksarayî, 2000:107). მცირე აზიაში ლაშქრობისას ილხანთა ჯარის რიგებში ქართველებიც მონაწილეობდნენ. გეიხათუს, ოქროს ურდოს ჯარების თავდასხმის ეშინოდა და ამიტომ ყუთლუბუღა დიდებულებთან ერთად მუღანში დააყენა. მინ კი ანატოლიის ლაშქრობაში გვერდით დემეტრეს ვაჟი დავითი და ქართლის მთავრები დაიყენა და მათთან ერთად თუნგუზლუმდე (დენიზლი) დაწინაურდა. ოთხი თვის განმავლობაში ალყა ჰქონდა შემორტყმული, მაგრამ ქალაქი ვერ აიღეს. მეხუთე თვეს დავითმა თავისი მცირე რაზმით შეუტია და ქალაქის აღება მოახერხა (K.TS., 2014:381; Sebastatsi, 2005:57).

1292 წლის 29 ივნისს ანატოლიაში ლაშქრობა დაასრულეს და გეიხათუ, ალადაღის სასახლეში დაბრუნდა (Fazlullah, 2013:180). მცირე ხნის შემდეგ ვახტანგის სიკვდილის ამბავი მიიღო. საქართველოში არეულობა დაიწყო, რითაც ოსებმა ისარგებლეს და გორს დაესხნენ თავს. გეიხათუ ხანმა ჯარი გაგზავნა და ოსები განდევნა, შემდეგ კი დემეტრეს ვაჟი დავითი დაიბარა და შესთავაზა, რომ თუ დავითი უერთგულებდა მას, მეფის გვირგვინს დაადგამდა (K.TS., 2014:381). ეპისკოპოს სტეფანოსის მიხედვით, არღუნმა დემეტრეს შემდეგ მისი ძე დავითი აიყვანა ტახტზე და ყუთლუბუღას ჯარი ჩააბარა (Stepanos, 2005:80). ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი, დავით მეფე, გამეფების შემდეგ, ყუთლუბუღას, შაჰინშაჰისა და ქართველი დიდებულების გაერთიანებული, დიდძალი ჯარით თბილისში გაემგზავრა. სამცხის ათაბაგი ბექა არ შეერთებია ამ ჯარსს და არც გეიხათუსთან და არც ახალ მეფესთანა არ წასულა. მხოლოდ და მხოლოდ უფროსი ვაჟის სარგისის მიერ მეფე დემეტრეს ბრძანებით ჩაბარებული განძი დაუბრუნა უკან. კათალიკოსმა აბრაამმა ტახტზე მეფე დავითი აკურთხა. დავითმა მოკლე ხანში შეძლო სამცხის გარდა საქართველოს მთელი ტერიტორიების შემომტკიცება. ბექა დავით მეფის მიმართ მუდმივად პატივისცემას იჩენდა და მას საჩუქრებს უგზავნიდა (K.TS., 2014:381-382). 1293 წლიდან, არღუნის დროს გაძლიერებული ყუთლუბუღა, გეიხათუს

მმართველობაში თანდათან დასუსტდა. იმავე წელს, სადუნის ვაჟმა უცნობი მიზეზით ყუთლუბუღა დასაჯა (Fazlullah, 2013:181; Subaşı, 2015:145).

გეიხათუ ხანის პერიოდში ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის, არავითარი დაპირისპირება არ მომხდარა. უფრო მეტიც, მათ შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ოქროს ურდოში ფეოდალებს შორის დაპირისპირება მოხდა. ილხანთა სახელმწიფომ მხოლოდ თავდაცვითი პოზიცია აირჩია, ოქროს ურდოში არსებული შიდა დაპირისპირება თავის სასარგებლოდ არ გამოუყენებია (Kamalov, 2003:73). 1294 წლის 28 მარტს თოხთა ხანის ელჩები ყალინთაი და ფულადი არანში მივიდნენ. გეიხათუ ხანმა ისინი დალან ნავურში დიდი პატივით მიიღო და პირველ აპრილს უკან გააცილა (Fazlullah, 2013:182).

ილხანთა სახელმწიფოს ხელისუფლებაში არღუნ ხანის პერიოდიდან მოყოლებული პრობლემები დაიწყო. გეიხათუს დროსაც ეს პრობლემები არ აღმოფხვრილა. გეიხათუ მიერ ხაზინის არამიზნობრივმა ხარჯვამ, დალევამ და გართობამ მის მოწინააღმდეგეებს საბაბი მისცა. მათ ილხანთა საგვარეულოდან ჰულაგუ ხანის შვილიშვილის, თარგაის ვაჟის ბაიდუს ტახტზე ასვლას დაუჭირეს მხარი (Hebraeus, 1950:641; Özgüdenli, 2009:47). ამ მიზეზით აჯანყება დაიწყო. აჯანყებაში საქართველოში მყოფმა თუქალმაც მიიღო მონაწილეობა. გეიხათუმ ამირა თუქალისა და ბაიდუს ერთობლივი აჯანყების შესახებ შეიტყო და საჭირო ზომები მიღება დაიწყო. თუქალის გარდა ყველა აჯანყებული ამირა შეიპყრეს და თავრიზში გაგზავნეს. მიუხედავად ამისა გეიხათუ ვერაფერს გახდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამირა თუქალი დაახლოებით ათი ათასიანი ლაშქრით საქართველოში შემოვიდა (Hebraeus, 1950:649). თავრიზში დატყვევებულ ამირებს ელჩის მეშვეობით წერილი გაუგზავნა, სადაც წერდა რომ, გეიხათზე თავდასხმას აპირებდა და ბრძოლაში მათაც იწვევდა. თავრიზში მყოფი ამირები მტკვრის სანაპიროზე შეუერთდნენ თუქალის ჯარს. 1295 წლის 24 მარტს გეიხათუ ხანი ბაიდუმ მოკლა (Fazlullah, 2013:184-186).

მიუხედავად იმისა, რომ ფაზლულა გეიხათუ ხანის შემდეგ პირდაპირ გაზან ხანის შესახებ საუბრობს და ბაიდუ ხანს ილხანთა მმართველად არ სცნობს, ეს უკანასკნელი მცირე ხნით მაინც იჯდა ილხანთა ტახტზე. ბაიდუ ხანმა პირველ რიგში გეიხათუ ხანის სამსახურში მყოფი ამირები დახოცა (Özgüdenli, 2009:14,47). თუქალი, რომელმაც ბაიდუს სათავეში მოსვლაში დიდი როლი ითამაშა, საკუთარი მდგომარეობის გამყარების მიზნით ახალ მოკავშირეებს ეძებდა. რადგან იგი ადრე საქართველოში იყო, მოკავშირეების ძებნაც უპირველესად აქ დაიწყო. ამისათვის შეხვედრის მიზნით, საქართველოს მეფეს დავითს ელჩი გაუგზავნა და დავითიც მას აღრიდაღში მდებარე სასახლეში ეწვია. შეხვედრის შემდეგ მეგობრობის შეთანხმება დაიდო და დავით მეფე უკან დაბრუნდა (K.TS., 2014:382).

ამ დროს, ბაიდუ ხანის ტახტზე ყოფნას ერთ-ერთი უფლისწული ემუქრებოდა. გაზან ხანმა ძალები მოიკრიბა და აზერბაიჯანში მისი პირველი ლაშქრობა მოაწყო. მასსა და ბაიდუ ხანს შორის დაწყებულ ბრძოლაში თუქალმა დავით მეფესთან ერთად ბაიდუ მხარე დაიჭირა. ნოვრუზი და ყუთლუქშაჰი კი გაზანის მხარეს იბრძოდნენ. მართალია, პირველ ლაშქრობაში გაზალ ხანმა წარმატებას ვერ მიაღწია, იგი ბაიდუსთვის მაინც

წარმოადგენდა საფრთხეს. სწორედ ამიტომ, ბაიდუს ამირებმა მას გაზანზე უეცარი თავდასხმა შესთავაზეს. ბაიდუმ შეთავაზება უარყო. ამან ზოგიერთი ამირა გაანაწყენა. მათ შორის ერთ-ერთი თუქალი იყო, რომელიც ბაიდუს ამ გადაწყვეტილების შემდეგ საკუთარი ჯარით საქართველოში დაბრუნდა (Özgüdenli, 2009:82-88; Subaşı, 2015:147-148). ცოტა ხნის შემდეგ, ბაიდუ ხანმა ხორასანში გაზანის ჯარების მოსვლის შესახებ შეიტყო. შემოიკრიბა მისი ამირები, მათ შორის თუქალიც და გზას დაადგა, ისე, რომ დავით მეფეს არ დალოდებია. ბრძოლა დაბა ზენჯანში გაიმართა. გაზან ხანი ამ ბრძოლაში არ იღებდა მონაწილეობას, მის ნაცვლად ამირები ნოვრუზი და ყუთლუქშაჰი იბრძოდნენ. ბრძოლის დროს ნოვრუზი დაატყვევეს, რომელიც თუქალმა შეინდო, რადგან მისდამი ერთგულებაში დაარწმუნა (K.TS., 2014:382).

1295 წლის აგვისტოში გაზანმა ძალები მოიკრიბა და 120 ათასიანი ჯარით აზერბაიჯანში მეორედ გაილაშქრა. ილხანთა ტახტისთვის მორიგი დაპირისპირების დროს ბაიდუს ზოგიერთი ამირა გაზან ხანის მხარეს გადავიდა. ბაიდუ თავის მხრივ ბრძოლისთვის მოუმზადებელი იყო. ბრძოლის დროს ბაიდუ დაიღუპა, თუქალი კი კვლავ საქართველოში გაიქცა. 1294 წლის 3 ნოემბერს ილხანთა სახელმწიფოს ტახტზე გაზან ხანი ავიდა (Özgüdenli, 2009:104-108). 1294 წელს გეიხათუ ხანის გარდაცვალების შემდეგ, 1295 წელს მიმდინარე ბრძოლებმა და დაპირისპირებებმა საქართველოს და მის ხალხს დიდი ზიანი მიაყენა. ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ნოვრუზი ქართულ ეკლესიებს ანგრევდა და წვავდა (K.TS., 2014:383).

§ 5. თოხთა ხანის ურთიერთობები კავკასიასთან (1291-1313 წწ.)

როგორც უკვე აღვნიშნეთ თულა ბუღა მოკლეს და მისი ადგილი მენგუ თემურის ვაჟმა თოხთა ხანმა დაიკავა. მისი სახელი წყაროებში გვხვდება როგორც თოგთოგა, თოგთოგუ, თოგთაღა. ოთემიშ ჰაჯი ამბობს, რომ თოხთა ხანი დიდი მმართველი იყო და ბათოს ვაჟებს შორის ცოტა ვინმე თუ შეედრებაო (Ötemiş, 2009:49). მიუხედავად იმისა, რომ თოხთა ხანი მუსლიმი არ ყოფილა მის მმართველობის ხანაში მოჭრილ ფულზე ისლამური წოდებას იყენებდა. ოქროს ურდოს ხანები უამრავი წოდებას იყენებდნენ. თოხთა ხანმაც ოქროს ურდოში ეკონომიკური რეფორმები გაატარა და ხანგრძლივი მმართველობის დროს სხვადასხვა ქალაქებში მოჭრილ ფულზეც სხვადასხვა წოდებით იხსენიება. მათ შორის ყველაზე გავრცელებული ,,ელ–ადილ“ (სამართლიანი), სულთან'ულ–აზამ თოჰთოგუ (დიდი სულთანი თოხთამიში), მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმი არ იყო, არაბულად „რელიგიის გამავრცელებლის“ ტიტულს ,,ყიასედდინს“ ატარებდა. ეს ტიტულები გამოიყენებოდა უქექში, ყირიმში, სარაიში, სარაიჯიქში, უნგრეთში, ხვარაზმში და სხვა მუსლიმურ ქალაქებში (Kalan, 2012:27-28). ბირზალი თავის ისტორიაში წერს, რომ თოხთა ხანი მუსლიმი არ ყოფილა, ის წარმართი იყო, მაგრამ იგი მფარველობდა მუსლიმებს (Birzali, 1941:315).

ნოღაი, მას შემდეგ რაც თოხთას თულა ბუღას მოკვლაში დაეხმარა, ოქროს ურდოში საქმეები მოაგვარა და ბურლუქ, სარა ბოღა და თუდან ნოინებთან ერთად მის სამფლობელოებში უკან დაბრუნდა (Baybars, 1941:193). რუქნადინ ბაიბარსის

გადმოცემით ნოღაის დიდი გავლენა ჰქონდა ოქროს ურდოს სახელმწიფო მართვაში. წასვლისას მან თოხთას გვერდით მისი ხალხი დატოვა, რითაც მისი კონტროლი სურდა. თოხთა ხანს აწუხებდა მსგავსი სიტუაცია, თუმცა იცოდა, რომ ნოღაისთან უთანხმოებით იგი ტახტს დაკარგავდა. ამიტომ თოხთა ხანმა მისი მმართველობის პირველ ცხრა წელს ნოღაისთან ბრძოლაში გაატარა.

თოხთა ხანსა და ნოღაის შორის პირველი პოლიტიკური ურთიერთობა 1293 წელს დაიწყო, როდესაც მან ელჩად მისი ცოლი ბაილაქ ხათუნი გააგზავნა და თოხთა ხანს ზოგიერთი ამირას სიკვდილით დასჯა მოსთხოვა. ბაილაქ ხათუნმა ოცდასამი ამირას სახელი გადასცა, რომლებიც თულა ბუღას ერთგულები იყვნენ და ნოღაის ებრძოდნენ. თოხთა ხანმა ეს ამირები დაახოცინა, ბაილაქ ხათუნი კი უკან გააგზავნა **(Baybars, 1941:195).** ადვილი გასაგებია, რომ თოხთა ხანმა ეს ქმედება მისი ტახტის გასამყარებლად ჩაიდინა და ნოღაის სურვილს დაჰყვა.

ნოღაის დახმარებით ტახტზე ასულ თოხთა ხანსა და ნოღაის შორის პირველი უთანხმოება 1294 წლიდან დაიწყო და 1300 წლამდე გაგრძელდა. ამის პირველი მიზეზი, ნოღაის მიერ, თოხთა ხანის დედინაცვლის ჩიჩექ ხათუნისა და მასთან ერთად რამდენიმე ამირას დახოცვა იყო. ჩიჩექ ხათუნის მოკვლის მიზეზი ის იყო რომ, თუდა მენგუსა და თულა ბუღას პერიოდში იგი ზოგიერთ ადამიანს სასტიკად მოექცა. თუმცა მთავარი მიზეზი 1297/1298 წელს განვითარებული მოვლენები იყო. ბაიბარსის ისტორიის მიხედვით ეს იყო თოხთასა და ნოღაის პირველი დაპირისპირება. ამ უთანხმოების ორი მიზეზი არსებობდა. პირველი ის, რომ ნოღაის ვაჟების, ჩაქასა და თაქას უღირსი საქციელის გამო, ბაილაქ ხათუნმა თოხთას ხალხი გაუგზავნა და მათ წინააღმდეგ აამხედრა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი კი ის იყო, რომ ნოღაიმ შეიფარა თოხთას მოწინააღმდეგე ამირები, რომლებსაც სიკვდილი ემუქრებოდათ. ნოღაიმ ისინი პატივით მიიღო და მის მიწებზე დასახლების უფლება მისცა. ერთ–ერთ მათგანს კი ქალიშვილი მიათხოვა. თოხთამ, ნოღაის წერილი გაუგზავნა და ამირების გადაცემა მოითხოვა. ნოღაიმ უარი უთხრა. განრისხებულმა თოხთამ მეორედ გაგზავნა ელჩი და ბრძოლისკენ მიანიშნა. ნოღაიმ კი ელჩს მიუგო: *„თოხთას გადაეცი ჩვენს ცხენებს მოსწყურდათ და მათ სარაის მახლობლად მდებარე მდინარე დონში უნდა დავალევინოთ წყალიო“* და ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. თოხთას აშინებდა, რომ ნოღაი მისთვის სასურველ კანდიდატს აიყვანდა ტახტზე და ამიტომ მის ბრძოლა დაიწყო. 1298-1299 წელს მდინარე დნეპრთან ორი ლაშქარი დაუპირისპირდა ერთმანეთს. თოხთა დამარცხდა, დონისკენ დაიხია და სარაიში დაბრუნდა. თოხთას ჯარი გაიქცა, ნოღაიმ კი ამ ჯარისკაცების დატყვევების ბრძანება გასცა. უკან დაბრუნებისას ნოღაის ჯარისკაცებმა, გზად ქალაქები კაფა და სუდაკი **(Mufaddal, 1941:336)** გაძარცვეს. ნოღაი ამით არ დაკმაყოფილდა და ზოგიერთი ამირას შევიწროება დაიწყო **(Baybars, 1941:197-204; Kafalı, 1976:66-68).** სწორედ ამიტომ, 1300 წლისთვის ნოღაის 30 ათასამდე ჯარისკაცმა თოხთა ხანს შეაფარა თავი. ამან თოხთა ხანი ძალები შეჰმატა და ნოღაის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადება დაიწყო. ნოღაიმ შეიტყო თუ არა ამის შესახებ, ჯარი მოამზადა. ორ ჯარს შორის ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. საბოლოოდ ნოღაი დამარცხდა. ამ ბრძოლას „კუგენლიკის“ ბრძოლა ჰქვია **(Vasary, 2015:103)**.

თოხთას ერთ–ერთმა რუსმა მებრძოლმა ნოღაი დაიჭირა. ნოღაიმ უთხრა ვინც იყო და თოხთასთან მიყვანა მითხოვა, მაგრამ რუსმა არ დაუჯერა, თავი მოკვეთა თოხთას მიუტანა. თოხთამ ეს ამბავი რომ შეიტყო, რუსი სიკვდილით დასაჯა. ბრძანების გაცემისას კი თქვა, რომ მისი მოკვლა აუცილებელია, რადგან მისნაირებმა დიდი ადამიანების მოკვლა ვეღარ გაბედონო (Nuveyrî, 1941:276-278). მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები ქვეყნის შიდა ბრძოლებად განიხილება, ამით თოხთა ხანის ნოღაისადმი პატივისცემა ჩანს. ნოღაის ჩამოშორებით ოქროს ურდოში ორმაგი მმართველობა დამთავრდა და ქვეყანა დანაწევრება გადაურჩა (Kemaloğlu, 2016b:596).

ამ ბრძოლიდან გაქცეულ ნოღაის ვაჟებს, ჩაქასა და თაქას შორის დაპირისპირება გაჩნდა და თაქა თოხთა ხანის სამსახურში ჩადგა. ეს რომ მისმა ძმამ ჩაქამ გაიგო, თაქა მოაკვლევინა. ამის გამო ჩაქას ამირებისა და ჯარისკაცების უმრავლესობა ჩამოშორდა. ამ მოვლენების შემდეგ ნოღაის ამირებს შორის ბრძოლა დაიწყო. დამარცხებულებმა დახმარება თოხთას სთხოვეს. თოხთა ხანმა ბურლუქის მეთაურობით ჯარი გაგზავნა და ჩაქა დაამარცხა. დამარცხებული ჩაქა რუმინეთში გაიქცა. ვლახეთის მთავარმა ეს თოხთა ხანს შეატყობინა. თოხთა ხანმა ჩაქას მოკვლის შესახებ ბრძანება გასცა და მამისა და ძმის სიკვდილიდან მალევე ის მოკლეს. ჩაქას სიკვდილის შემდეგ ნოღაის ჯარი ნელ–ნელა დაიშალა, რის შემდეგაც თოხთა ხანი ოქროს ურდოს სახანოს ერთპიროვნული მმართველი გახდა (Baybars, 1941:214-219; Nuveyrî, 1941:280-281; Kafalı, 1976:70).

თოხთა ხანმა ნოღაისგან მაგალითი აიღო და ბიზანტიასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება მოახერხა. ამის გამო, ნოღაის მსგავსად ეს ურთიერთობა პოლიტიკური ქორწინებითაც გაამყარა. მმართველობის პირველ წლებში თოხთა ხანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შინა ომების გამო ხალხი განადგურებული იყო. ამას დაემატა 1300–1302 წლებში გვალვები შავიზღვისპირა მიწებზე, რამაც თოხთა ხანის ქვეყანა მძიმე მდგოამრეობაში ჩააგდო (Vernadsky, 2015:232-233). მიუხედავად ყველაფრისა, თოხთა ხანის მმართველობის დროს, რომელიც საკმაოდ დიდი ხანი გრძელდებოდა, ოქროს ურდოს საზღვრები გაფართოვდა. ქალაქები, სარაი ბათო და სარაი ბერქე (იენი სარაი) წარმოებამ და სავაჭრო ურთიერთობებმა მნიშვნელოვან ცენტრებად აქცია. კავკასიის გზების კონტროლმა სავაჭრო ურთიერთობები უფრო გამოაცოცხლა. თოხთა ხანი დიდ ურადღებას აქცევდა ეკონომიკურ საკითხებს. მან მკაცრი ზომები მიიღო გენუელების კოლონიების წინააღმდეგ. მმართველობის სისტემის ცვლილებებით, დიდი ხნის განმავლობაში საშინაო პრობლემების გამო არეული ოქროს ურდოს სახელმწიფოს ავტორიტეტი ისევ გააძლიერა (Mansûri, 2016:121).

მენგუ თემურის შემდეგ მორყეული პოლიტიკური სტაბილურობა, ნოღაის გარდაცვალების შემდეგ თოხთა ხანის დროს კვლავ აღდგა. თოხთა ხანმა აზერბაიჯანისკენ შეცვალა მიმართულება. მისი მმართველობის პერიოდში ახლო აღმოსავლეთში ახალი პროცესები ვითარდებოდა. ჩამოყალიბებას იწყებდა ოსმალთა სახელმწიფო. თოხთა ხანმა ნოღაისგან თავის დაღწევის შემდეგ სახელმწიფოს რეორგანიზაცია მოახდინა, რამაც რუსეთთან ურთიერთობებზე მოახდინა გავლენა. რუსული სამთავროები მთლიანად დაექვემდებარნენ თოხთას. თუმცა მანამდე, ორმაგი მმართველობის გამო, რუსებში მონღოლების შიში საკმაოდ შემცირდა (Vernadsky, 2015:234-235).

ტახტზე პრეტენზიის გამოთქმის შიშით, უფროსი ვაჟის ილბარსის გარდა თოხთა ხანმა დანარჩენი ვაჟები, საკუთარი ძმა თუღრული და მისი ყველა ვაჟი მოაკვლევინა. ილბარსი კი მამის სიკვდილამდე გარდაიცვალა. იგი ძალიან დაამწუხრა იმ ამბავმა, რომ საკუთარი გვარი თვითონვე ამოწყვიტა. *უმდეთ'ულ–აჰბარის* მიხედვით თოხთა ხანმა 90 წლამდე იცოცხლა და აქედან 70 წელი იჯდა ტახტზე. მას შემდეგ, რაც ძმა მოაკვლევინა, თოხთა ხანმა მისი ცოლი გელინ ბეიალინი შეირთო. გელინ ბეიალანი ხედავდა თოხთა ხანი სინანულს მემკვიდრის გამო, ამიტომაც გაუმხილა, რომ თუღრულის მოკვლის დროს იგი ფეხმძიმედ იყო. როცა ვაჟი შეეძინა, რომ არ მოეკლათ ყაბარდოში მყოფ ინალ ბეგს გაუგზავნა. ბავშვი უკვე თოთხმეტი წლის იყო. თოხთა ხანი ამ ამბავმა ძალიან გაახარა, ამირებს ოზბექის ჩამოყვანა უბრძანა. მის ჩამოყვანამდე თოხთა ხანი გარდაიცვალა. ამ დროს ბაჯარ თოქბოღა ტახტზე ავიდა და თავი მმართველად გამოაცხადა, მიუხედავად ამისა ის ჩამოაგდეს და ტახტზე ოზბეგ ხანი ავიდა (**Kırımî, 2003:42**).

ოქროს ურდოს სახელმწიფოს საშინაო პრობლემების აღმოფხვრის შემდეგ, თოხთა ხანმა, მისი წინამორბედების მსგავსად, აზერბაიჯანსა და საქართველოზე საკუთარი უფლებამოსილების გავრცელებას დაიწყებს (**Kamalov, 2003:75).** გაზან ხანი კი, 1295 წელს ილხანთა ტახტზე ასვლისა და ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარების შემდეგ, 1297 წელს საქართველოს მეფეს დავითს წერილი გაუგზავნა და მასთან გამოცხადება მოსთხოვა. დავითმა კახეთ-ჰერეთისკენ გაემართა და თანმხლებ აზნაურებთან ერთად ჰერეთში გაჩერდა. მეფე ხანის კარზე წასვლასთან დაკავშირებით რჩევა იკითხა. მიუხედავად იმისა, რომ მას წასვლა ურჩიეს, მეფემ წინადადება უარყო. წასვლის ნაცვლად მთიულეთისკენ აიღო გეზი და იქედან კი ჟინვალში თავდაცვისთვის პოზიციები გაამაგრა. მთიულეთში ყოფნის დროს უმცროსი ძმა ვახტანგი ოქროს ურდოში გაგზავა და დააბარა, რომ გაზან ხანზე თავდასასხმელად საქართველოს გზის გამოყენება შესთავაზა. თოხთა ხანმა ეს შეთავაზება მოიწონა (**K.TS., 2014:383-384**).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მონღოლთა გამოჩენიდან ქართველები მათ არაერთხელ აუჯანყდნენ. მიუხედავად ამისა, ოქროს ურდოსა და ილხანთა დაპირისპირებაში ისინი ყოველთვის ილხანთა მხარეს იჭერდნენ. დავითის ამ გონივრული ნაბიჯით ოქროს ურდომ სამხრეთ კავკასიაში მოკავშირე იპოვა და შესაძლებლობა მიეცა კვლავ მოქმედებაზე გადასულიყო. ოქროს ურდოსა და ილხანების შესახებ კვლევებში ხაზგასმულია, რომ დავითის დახმარებამ ოქროს ურდოს მისცა საშუალება კვლავ დაეწყო ბრძოლა საკუთარი გავლენისთვის. მართალია, ამაში არის ჭეშმარიტება, მაგრამ ფაქტია, რომ ოქროს ურდოში მიმდინარე შიდა აშლილობების მიუხედავად, მისი პრეტენზია აზერბაიჯანზე არ შენელებულა, უბრალოდ შესაფერისი დროს ელოდებოდა. ეს ფაქტი, მონღოლთა შემოსევების დაწყებიდან, ქართველებსა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს შორის მოკავშირეობის პირველი შემთხევა იყო. საქართველოს მეფის დავითის ეს ნაბიჯი ილხანთა საფრთხის თავიდან ასაცილებლად კარგი მცდელობა იყო.

დავით მეფის ოქროს ურდოსთან მოკავშირეობის შედეგად საქართველოში არეულობა დაიწყო. ამ ამბავმა ეს ამბავი გაზან ხანმა 1297 წელს გაიგო, როდესაც თავრიზიდან არანში გამოსაზამთრებლად მიდიოდა. რადგან ამირა ყუთლუქშაჰი ადრე აქ ცხოვრობდა,

ამიტომ ჯარი, რომელიც საქართველოში გაგზავნა, მას ჩააბარა (Fazlullah, 2013:271). ყუთლუქშაჰი თავდაპირველად თბილისში შეიჭა (K.TS., 2014:384). ფაზლულას მიხედ-ვით, 1298 წელს საქართველოში შეჭრის შემდეგ დავითის ძმას ვახტანგი წაიყვანა და უკან გაბრუნდა (Fazlullah, 2013:271).

,,ქართლის ცხოვრება" ამ მოვლენას უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს. ყუთლუ-ქშაჰმა საქართველოში შეჭრის შემდეგ დავითს ელჩს გაუგზავნა და გაზან ხანის მიმართ ერთგულება მშვიდობიანი ურთიერთობის გაგრძელება მოსთხოვა. მისი მტრის მხარეს გადასვლას კი არ ურჩევდა. თანხმობის შემთხვევაში კი ამაზე პასუხისმგებელი პირების მასთან გაგზავნას სთხოვდა. დავითმა, კათალიკოს აბრაამის, თბილისის ყადის და სხვა სასულიერო პირების შუამავლობით სიცოცხლის ხელუხლებლობის უზრუნველყოფის მიღების მიზნით მძევლები და ფიცის დადება მოითხოვა. მონღოლებმა ყუთლუქშაჰის ვაჟი და ყურუმჩის ძმა მძევლებად გაგზავნეს. ამასთან მეფის სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტად გაზან ხანის ბეჭედი და საჩუქრები გაუზგავნეს და მათ შორის მოკლევადიანი შეთანხმება დაიდო. გაზაფხულზე გაზან ხანმა დავით მეფე კვლავ მასთან დაიბარა, მაგრამ დავითი შეშინდა და არც ამჯერად წავიდა. ამჯერად მისი გარი ძმა ბაიდუ თოხთა ხანთან გაგზავნა. გაზან ხანმა კი საქართველოს წინააღმდეგ ისევ გაგზავნა ლაშქარი ყუთლუქშაჰის მეთაურობით. ყუთლუქშაჰი ძვირფასი საჩუქრებით სამცხეში მოვიდა და მეფე მასთან მოიხმო. დავით მეფემ როგორც წინა ჯერზე, ამჯერადაც კათალიკოსი აბრაამი, თბილისის ყადი და ივანე გაგზავნა და სიტყვა მისცა, რომ მივიდოდა. მაგრამ მონროლები მიხვდნენ, რომ მეფე დროის მოგებას ცდილობდა და მთიულეთში საბრძოლველად მზადება დაიწყეს. სომხეთი, ქართლი და თრიალეთი გადაწვეს და დაანგრიეს. უამრავი ადამიანი ტყვედ წაიყვანეს. ამ ყველაფრის შემდეგ, მონღოლებმა მშვიდობის დამყარების მიზნით, დავითთან ელჩი გააგზავნეს და ითხოვდნენ, რომ მეფე გაზან ხანის ერთგულად დარჩენილიყო და თოხთა ხანისთვის სალაშქრო საქართველოს გზა არ დაეთმო. დავითმა ხანის პირობები მიიღო და ამის დასტურად დედა, უმცროსი ძმა მანველი, კათალიკოსი აბრაამი და ცოლი ილხანთა დედაქალაქში გაგზავნა. ამრიგად საქართველოში კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა. გაზაფხლზე გაზან ხანმა, დავითის ერთგულებაში დარწმუნების მიზნით 1299 წელს (Howorth III, 1876-1927:423) კიდევ ერთი ელჩი გამოაგზავნა. უკან დაბრუნებულმა ელჩმა ხანს აუწყა, რომ მეფის ნახევარძმამ ბაიდუმ თოხთა ხანთან პირი შეკრა და ეს უკანასკნელი საქართველოს გზის გამოყენებას აპირებდა. ამ ამბავმა გაზან ხანი განარისხა. ქურუმჩი და ერინჟი შანშე მხარგრძელთან ერთად დავითის წინააღმდეგ გაგზავნა. მათ დავითი გადააყენეს და მისი გერი ძმა, ბექას ქალიშვილის ვაჟი გიორგი V აიყვანეს ტახტზე. ბექას სამფლობელოები მოიცავდა სამცხეს, აჭარას, შავშეთს, კლარჯეთსა და ნიგალისხევს, ტაოს დიდ ნაწილს, არტაანს და კოლას. გიორგი ბექას სახლში იმყოფებოდა, როდესაც მონღოლებმა თბილისში წაიყვაენს და ტახტზე დასვეს. გაზაფხულზე გაზან ხანმა ყუთლუქშაჰის მეთაურობით დიდძალ ჯარი კვლავ გააგზავნა საქართველოში. დავითი ხადაში იმყოფებოდა. ამ დროს მისი ზოგიერთი ერისთავი ყუთლუქშაჰს დანებდა გზამკვლეობაც გაუწია. ყუთლუქშაჰი წინსვლას განაგრძობდა. მონღოლებს ეგონათ, რომ დავით მეფე გველეთში იმყოფებოდა და აქ მდებარე პატარა დასახლებები და სოფლები ხელთ იგდეს. მეფეს ქართლისა და

სომხეთის ერისთავები უჭერდნენ მხარს. როდესაც ყუთლუქშაჰმა დავითის ციკარში (ზეკარში ?) ყოფნის შესახებ გაიგო, ჯარი ორად გაყო. დავით მეფემ ეს რომ შეიტყო, ჯარი გააგზავნა და მონღოლთა დაახლოებით ხუთას კაციან ჯარს თავს დაესხა. ბევრი მონღოლი დაიხოცა. ვინც გადარჩა მეფეს მიჰგვარეს. ამავდრულად ციკარის მოპირდაპირედ მდებარე ხადაში ბრძოლა მიმდინარეობდა. ამ ბრძოალში ბექა, შაჰინშაჰი და სხვა დიდებულები მონღოლთა მხარეს იბრძოდნენ, თუმცა მონღოლებმა შედეგს ვერ მიაღწიეს და ხადასკენ უკან დაიხიეს. ყუთლუქშაჰი კი ქართლისკენ გაემართა და გზად ყველაფერი გაანადგურა. ზოგი კი ტყვედ წაიყვანა და გაზან ხანთან დაბრუნდა **(K.TS., 2014: 384-386)**.

1301 წელს ყუთლუქშაჰმა გაზან ხანის ბრძანება მიიღო მთულეთში წასვლის შესახებ. იგი ჯერ თბილისში მოვიდა **(Howorth III, 1876-1927:425)**. ქართველი დიდებულები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მონღოლები კიდევ ერთხელ მიწასთან გაასწორებდნენ საქართველოს, დავით მეფეს ილხანთა დედაქალაქში წასვლას ურჩევდ-ნენ. მეფე ხელშეუხებლობის პირობით ილხანთა დედაქალაქში წასვლას დათანხმდა. გაზან ხანმა პირობა მისცა, რომ თუკი მას ეახლებოდა, მშვიდობიანად შეთანხმდებოდნენ და თავის ქვეყანაში დააბრუნებდა. მიუხედავად ამისა, დავით მეფეს ეშინოდა და გველეთიდან არ მიდიოდა. ქართველი დიდებულები ქვეყანაში სიმშვიდის დასადგუ-რების მიზნით მეფის თანხმობის გადასაცემად ყუთლუქშაჰთან მივიდნენ, რომელმაც ისინი პატივით მიიღო. თუმცა მალევე შეიტყო, მეფის განზრახვის შესახებ და ისე გაბრუნდა გაზანხანთან, რომ აჯანყების ჩახშობა ვერ მოახერხა **(K.TS., 2014:386)**.

ამ დროს თოხთა ხანმა ეგვიპტესთან გარკვეული ხნით შეწყვეტილი დიპლომატიური კავშირები გააცოცხლა და პარალელურად კი აზერბაიჯანზე უფლებამოსილების მოთხოვნის მიზნით გაზან ხანთან ელჩი გაგზავნა. ცნობილია, რომ გაზან ხანი ელჩს 1301 წლის 3 მაისს ქუშაფის მახლობლად შეხვდა, როდესაც სირიის მეორე ლაშქრობიდან ბრუნდებოდა. 1301 წლის ნოემბრის შემდეგ თოხთას ჯარებმა დარუბანდის დაკავება სცადეს. გაზან ხანმა, ოქროს ურდოს სახელმწიფოს ჯარი, რომელშიც თოხთაც იმყოფებოდა დაამრცხა და თოხთა ხანი გაიქცა **(Fazlullah, 2013:284-287; Özgüdenli, 2009:218)**. ბრძოლაში დიდი წვლილი შეიტანეს გაზან ხანის მხარდამჭერმა ლეზგმა ამირებმა **(Spuler, 1957:113)**. უნდა აღინიშნოს რომ, ამ დროს ილხანებსა და მამლუქებს შორის ომები გრძელდებოდა, ოქროს ურდოსა და მამლუქებს კი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. გაზან ხანმა ტახტზე ასვლიდან მოკლე ხანში მის ქვეშევრდომობაში მყოფ მონღოლებს წელიწადზე ნაკლები დრო მისცა, რათა მის ლაშქარში გაერთიანებულიყვნენ. რძანება სომეხ და ქართველ მეფეებსა და აღმოსავლეთში მდებარე ქრისტიან მეთაურებსაც გაუგზავნა **(Hayton, 2015:154)**. ადრინდელივით, ქართველთა ლაშქარი კვლავ მონაწილეობდა ილხანებსა და მამლუქთა შორის ბრძოლებში. 1299 წლის ხუმსის ბრძოლაში ამირა ჩობანს ვახტანგ III-ის მეთაურობით ხუთასკაციანი ქართველთა ლაშქარი ეხმარებოდა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. ქართველები და სომხები მონაწილეობდნენ მამლუქების წინაარმდეგ 1303 წლის ბრძოლაშიც, სადაც დიდი რაოდენობით მებრძოლი დაკარგეს **(K.TS., 2014:390-392)**.[21]

[21] გაზან ხანის სირიის ბრძოლები და ქართველები ვრცლად იხ: **(Özgüdenli, 2009).**

1298/1299 **(Lang, 1955:74)** წელს მონღოლებმა გიორგი V ტახტზე აიყვანეს. მიუხედავად ამისა, დავით მეფე აგრძელდება ტახტისთვის ბრძოლას. აწყობდა აჯანყებებს და კავშირი ჰქონდა ოქროს ურდოსთან. მის ძმას ვახტანგს კი კარგი ურთიერთობა ჰქონდა ილხანებთან და სირიის ლაშქრობებში გაზან ხანის მხარეს იბრძოდა **(Özgüdenli, 2009:201).** ვახტანგი, მისმა ძმამ დავითმა დაატყვევა და ჟინოვანის (ჟინვალის) ციხეში გამოკეტა. მოგვიანებით მოახერხა გაქცევა და გაზან ხანს შეაფარა თავი. გაზან ხანმა ვახტანგი სიხარულით მიიღო და საქართველოს ტახტი მას ჩააბარა. ვახტანგი, როგორც მეფე ყუთლუქშაჰთან და ბექას ვაჟთან სარგისთან ერთად თბილისში შევიდა. შაჰინშაჰი პირველი იყო, ვინც თბილისში მეფეს დაემორჩილა **(K.TS., 2014:386)**. ასე რომ, საქართველოს სამი მეფე, დემეტრე II-ის ძე დავითი, გიორგი V და ვახტანგი ჰყავდა **(Howorth III, 1876-1927:425).**

დავითი, დროის მოგების მიზნით გაზან ხანის წინააღმდეგ იერიშს განაგრძობდა. 1302 წლისთვის საქართველო, განსაკუთრებით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მონღოლთა თავდასხმებისგან უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა. მოსახლეობამ შეწყვიტა მიწის დამუშავება. დაიწყო შიმშილობა. აღნიშნულმა ვითარებამ ხალხი მძიმე ვითარებაში ჩააგდო, რის გამოც ქართლის მოსახლეობის ნაწილი სამცხისაკენ, ბექას სამფლობელოში გადასახლდა **(K.TS., 2014:387)**.

გაზან ხანის ტახტზე ასვლასთან ერთად, საქართველოდან გაქცეული დავითისთვის კვლავ მძიმე პერიოდი დაიწყო. იგი საერთოდ არ ენდობოდა მონღოლებს, რომლებიც ზაფხულს მთიულეთში, ზამთრობით კი ქართლში ატარებდნენ. მონღოლები, რომლებმაც დავითს კანონიერი ტახტი წაართვეს, ქართველთა სამეფოში გამუდმებით არეულობას იწვევდნენ. ხშირად ესხმოდნენ დასახლებულ პუნქტებს თავს და მოსახლეობას მძიმე მდგომარეობაში აგდებდნენ. დავითმა ძალები მოიკრიბა და გადაწყვიტა ყოველივე ამისთვის წერტილი დაესვა. იგი მის მომხრე მთიულებთან ერთად თბილისში მოვიდა და თხუთმეტიათასიანი ლაშქარი შეკრიბა. იგი თავდაპირველად თავს დაესხა ყივჩაღებს, რომლებიც მის ტერიტორიებზე მომთაბარეობდნენ. გაიგო თუ არა ეს ვახტანგმა, მცირერიცხოვანი ჯარით მახათაში მოვიდა და იქ მყოფ დავითის ხალხს თავს დაესხა. დავითის მომხრეები დამარცხდენ. ყივჩაღები და ქართლელები ვახტანგის ლაშქარს შეუერთდნენ და დავითს ჯაჭვამდე სდიეს. ვახტანგი იმდენად არ მტრობდა დავითის, რამდენადაც მონღოლთა შიში ამოძრავებდა. ბაყათარ ნოინმა დავითის მარცხის შესახებ რომ შეიტყო, ქართლში კიდევ უფრო უმატა ხოცვა-ჟლეტას. მარცხთან ერთად დავითს ავადმყოფობაც შეეყარა, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა იგი. ბაქათარი კი ხოცვა-ჟლეტას აგრძელებდა. ბექამ ეს რომ გაიგო, დიდძალი ჯარით მონღოლებს თავს დაესხა. ბაყათარი დამარცხდა და უკან დაიხია **(K.TS., 2014:391; Palients, 2005:176; Subaşı, 2015:159-160).**

ამ პრობლემებში იყო ჩართული საქართველოს სამეფო, როდესაც გაზან ხანი სირიაში მესამე ლაშქრობისთვის ემზადებოდა. 1303 წლის 21 იანვარს, ილხანებს, თოხთას ბრძანებით სამასი მხედარი **(Fazlullah, 2013:292)**[22] ეწვია. მათი სახელით მოსაუბრე ისა გურგენმა გაზან ხანს მთელი კავკასიის დატოვება და მათთვის გადაცემა მოსთხოვა.

[22] ქამალოვი აკონკრეტებს და 325 კაცს ამბობს, იხ: (Kamalov, 2003:75; Spuler, 1957:113).

ამასთან, შეახსენეს, რომ ჩინგიზ ხანის ტერიტორიების განაწილებისას აზერბაიჯანი ჯუჩის ულუსს ხვდა წილად და აქაურობა უსამართლოდ ეპყრათ ილხანებს. ელჩებმა განაცხადეს, რომ თუკი მოთხოვნა არ შესრულდებოდა, ისინი ასი ათასიანი ლაშქრის დახმარებით გააკეთებდნენ ამას (Özgüdenli, 2009:218-219; Kamalov, 2003:75).

თოხთა ხანმა ისარგებლა ილხანთა სირიაში ლაშქრობით და ქვეყნის შიგნით არეულობით და გაზან ხანს აღნიშნული მოთხოვნით ელჩობა გაუგზავნა. თოხთა ხანის ელჩების გზად მამლუქთა ელჩებს შეხვდნენ და ისინი ერთად ეწვივნენ ილხანებს (Fazlullah, 2013:292; Özgüdenli, 2009:157; Spuler, 1957:113). გაზან ხანის საგარეო პოლიტიკა მამლუქებთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული. რაც შეეხება ოქროს ურდოს, ილხანთა მმართველი მხოლოდ საკუთარი მიწებიდან მათ განდევნას ცდილობდა. უნდა აღინიშნოს, რომ სირიაში პირველი ლაშქრობის დროს მამლუქებზე გამარჯვების მიუხედავად, ჩაღათაის სახანოსა და ოქროს ურდოს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის გამო გაზან ხანი აქ დიდ ხანს ვერ გაჩერდა. იგი იძულებული გახდა ჯარისკაცები მიეტოვებინა და უკან დაეხია ისე, რომ დამასკოს შიდა ციხის აღება ვერ მოახერხა. აზერბაიჯანის მიმართულებით უკან დახევისას დამასკოში არეულობა დაიწყო. ამ მიზეზების გამო გაზან ხანმა გამარჯვებით ვერ ისარგებლა და სირიაში მეორე ლაშქრობისთვის მზადება დაიწყო (Kamalov, 2003:77-78). თოხთა ხანის მიერ აზერბაიჯანის მოთხოვნა დავითის ფაქტორსაც უკავშირდებოდა. მისი პოლიტიკური ორიენტაცია თოხთა ხანისთვის კიდევ ერთი საბაბი იყო (Spuler, 1957: 113).

რაც შეეხება თოხთა ხანის ელჩებს, გაზან ხანმა ისინი პატივით მიიღო. ოქროს ურდოს მუქარას იგი სრულებით არ აუღელვებია. მან უარყო თოხთა ხანის წინადადება და დასცინა კიდეც: *„თუკი ეს ხალხი ილხანთა ქვეყნის ხელში ჩასაგდებად მოვიდა, მათი რიცხვი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ელჩად კი ხუთი კაცის საკმარისი იყოო“* (Spuler, 1957:113; Özgüdenli, 2009:219). ელ-ომერი წერს, რომ თოხთა ხანის ხალხმა მაჰმუდ გაზან ხანს უთხრეს, რომ: *„ჩვენი მამების ლაშქარმა თავრიზი და მერეგა ხმლით დაიპყრო და უნდა დაგვიბრუნოო.“* მან კი უპასუხა: *„მე ქონება მემკვიდრეობით კი არა ხმლით მოვიპოვე და ამიტომ ჩვენ შორის ხმლის გარდა სხვა გზა არაა* (Ömeri, 1941:384-385)*.“* შემდეგ ლაშქრის სიმრავლის ნიშნად მიწაზე ფეტვი მიმოფანტა, ქათამი მოაყვანინა და ფეტვი ააკენკინა. ელჩებს კი დაუბარა: ,,თოხთამ *იცის, ერთი ქათამი ბევრ ფეტვს რომ ჭამს. მტაცებელ ფრინველს მტრედების გუნდის ხილვა ახარებს, მგელს კი, დიდ ჯოგის დანახვა.“*[23]

გაზან ხანის ამგვარი პასუხი ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის ახალი ბრძოლის დაწყების მიზეზი გახდა. 1303 წელს, ელჩების მიღების შემდეგ, გაზან ხანმა კვლავ სირიაში, დამასკოს დასაპყრობად გაილაშქრა (Aksarayî, 2000:224-225). თოხთასა და გაზან ხანს შორის მხოლოდ მცირე შეტაკებები მოხდა. თოხთა ხანმა ილხანებთან ელჩები ორჯერ გაგზავნა. აშკარაა რომ, ოქროს ურდოს სახელმწიფოს პოზიცია გაზან ხანისთვის საშიშროებას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი სამიზნეს სირია და ეგვიპტის მამლუქები იყო, გაზან ხანმა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი ოქროს ურდოს საზღვართან დატოვა. აღნიშნულ რეგიონში ილხანთა ჯარს გაზან ხანის ნდობით აღჭურ-

[23] აღნიშნული ცნობები გვხვდება მხოლოდ ,,ვასაფის ისტორიაში“. იხ: (Özgüdenli, 2009: 219; Kamalov, 2003:78-79).

ვილი პირი ნურინ აქა მეთაურობდა, რომელიც 1303 წლამდე, სიკვდილამდე ასრულებდა ამ მოვალეობას. ამის შემდეგ, 1303 წლის ნოემბრის ბოლოს, მის ადგილზე ამირა ყუთლუქშაჰი დანიშნა. ამ დროს ოქროს ურდოს საბრძოლო ვითარება არ შეუქმნია, მაგრამ გაზან ხანი ყურადღებას მაინც არ ადუნებდა. დარუბანდში, რომელიც სასაზღვრო რეგიონი იყო, მუდმივად იდგა ჯარი (Özgüdenli, 2009:220-221).

1304 წელს გაზან ხანი გარდაიცვალა და ილხანების ტახტზე ოლჯაითუ ხანი (1304-1316 წწ.) ავიდა. ტახტზე ასვლიდან მოკლე ხანში, 1304 წლის 8 დეკემბერს მას თოხთა ხანმა ელჩები გააგზავნა. ქაშანის მიხედვით, ელჩობას ემირ ნოხადაი მეთაურობდა, რომელიც მშვიდობისა და შერიგების მომხრე იყო (Kâşâni, 1992:82). ნუვეირი და ელ-მუფადალი გადმოგვცემენ, რომ 1304 წელს ოქროს ურდოს ელჩები ეგვიპტეში ჩავიდნენ და რამდენიმე თვის შემდეგ ამირა სეიფედინ ბალაბანთან ერთად ოქროს ურდოს ქვეყანაში გაამგზავრეს. მათივე გადმოცემით, ამირა სეიფედინ ბალაბანი 1306-1307 წელს, უკან ამირა ნამუნთან ერთად უკან დაბრუნდა, რომელსაც კარგად გაუმასპინძლდა (Nuveyrî, 1941:296). გარდა ამისა ელ-მუფადალი ელჩების წერილის შესახებ საუბრობს, სადც სულთანს ოლჯაითუს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას სთხოვს. თოხთას მიერ ეგვიპტის სულთან მელიქ ენ-ნასრისადმი წერილში ეწერა, რომ *„ჩვენ მოვითხოვეთ ხორასანი თავრიზის საზღვრამდე და ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლას ვაპირებთ. ჯარი შეკრიბეთ, გავერთიანდეთ და ერთად გავილაშქროთ ოლჯაითუს წინააღმდეგ. სადაც თქვენი ცხენი დადგამს ფეხს, ის ქვეყანა თქვენი იყოს, ჩვენი ცხენი სადაც დადგამს ფეხს ის კი ჩვენი იქნება“* (Mufaddal, 1941:340). ელ–მუფადალი არაფერს ამბობს მელიქ ენ-ნასრის პასუხის შესახებ. არც სხვა წყაროებიდან ჩანს ამ პერიოდში ილხანების წინააღმ-დეგ ოქროს ურდოსა და მამლუქების გაერთიანება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქეშანი ახსენებს ამირა ნოხადაის და მოგვიანებით ნუვეირი და ელ–მუფადალი საუბრობენ ამირა ნამუნზე, რომელიც ერთი და იგივე პირია. 1304 წელს ილხანებთან, ხოლო ორი წლის შემდეგ მოკავშირეობის მიზნით ეგვიპტეში ელჩობის გაგზავნა უშედეგო აღმოჩნდა.

ოქროს ურდოს მოქმედებების გარდა, ამ წლებში ილხანი ოლჯაითუ ხანის მიზანს გილანის დაპყრობა წარმოადგენდა. ვიწრო ხეობებისა და მიუწვდომელი გზების გამო, რომელიც ხშირი ტყეებით იყო დაფარული, ვერცერთმა მონღოლმა ამირამ მანამდე გილანის დაპყრობა ვერ მოახერხა. გილანის მმართველები მონღოლების სამსახურში არ იდგნენ და არც გადასახადებს უხდიდნენ. სწორედ ამის გამო ოლჯაითუ ხანი, საკუთარ ამირებსა და საქართველოს მეფე ვახტანგ III–თან გილანის დაპყრობის საკითხებს ათანხმებდა და ჯარის ოთხად გაყოფას ითხოვდა. პარალელურად კი გილანის ოთხ მმართველთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს აწარმოებდა (K.TS., 2014:392; Subaşı, 2015:167). მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, რის გამოც ლაშქარი ოთხად გაყო, მეფე ვახტანგი ძირითად ძალას ჩამოაშორა და მის ლაშქარს შეუერთა. ქართველთა ლაშქრის მეორე ნაწილი, რომელსაც ბექა მეთაურობდა, ყუთლუქშაჰს დაუქვემდებარა. ერთ ნაწილს, რომელშიც გორში მცხოვრები ოსები იყვნენ, ჯალიარი მეთაურობდა. მეოთხე ნაწილი კი ამირა ჩობანს ჩააბარეს (K.TS., 2014:392). ოლჯაითუს ისტორიის მიხედვით 1307, ხოლო ქუთბის გადმოცემით 1305 წელს (Kutbî, 1954:50) ოლჯაითუ ხანი და მისი ლაშქარი გილანში შევიდნენ. გილანის დაპყრობის თარიღის შესახებ ოლჯაითუ

ხანის ისტორიკოსის მონაცემები, 1307 წლის ივნისი, ყველაზე ზუსტი უნდა იყოს. აღნიშნული წყაროს მიხედვით, სომეხი და ქართველი ჯარისკაცები მოწინავე რიგებში იბრძოდნენ (Kâşâni, 1992:100). ,,ქართლის ცხოვრებაშიც" ნათქვამია, რომ ვახტანგის ჯარი ოლჯაითუს ბრძანებით მოწინავე რიგებში იბრძოდა. სასტიკი ბროლების დროს კი ვიწრო გადასასვლელებისა და ხშირი ტყეების გამო ვახტანგ მეფეს და მის ლაშქარს დიდი სიძნელეები შეხვდა. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ქართველები, რომლებიც ქვეითად იბრძოდნენ, ჯერ ისრებს, შემდეგ კი ხმლებს იყენებდნენ. ბრძოლაში უამრავი აზნაური დაიღუპა. ვახტანგი მსუბუქად დაიჭრა. სხვა ბრძოლების მსგავსად ქართველებმა აქაც წარმატებით იბრძოლეს და დიდი პატივით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში (K.TS., 2014:396-397). ქართველთა მონაწილეობით მთიანი გილანის დაპყრობა ოლჯაითუ ხანის მმართველობის ერთადერთი პოლიტიკური წარმატება იყო (Özgüdenli, 2007:346).

ვახტანგ მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1308 წელს, ილხანების მთავარსარდალი საქართველოს ტერიტორიებზე ამირა ჩობანი გახდა (K.TS., 2014:394). 1308 წლის ბოლოს თოხთა ხანის ლაშქრის ერთი ნაწილი სასაზღვრო ქალაქების დაცვის დროს, ილხანთა ლაშქრის ერთ ნაწილს დაუპირისპირდა. ამირა ჩობანი დამარცხდა და უკან დაიხია (Baybars, 1941:228-229). ეს მხოლოდ მცირე შეტაკება იყო. ქაშანის გადმოცემით, ოქროს ურდოს ჯარის მოსვლის გამო, ამირა ჩობანი 1308 წლის 2 აგვისტოს საქართველოს ეწვია და ჯარი მოკრიბა, შემდეგ კი დარუბანდისკენ გაემართა (Kâşâni, 992:119). მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში ბრძოლის შესახებ არაფერია ნათქვამი, ცხადია, რომ ოქროს ურდოს საფრთხე კვლავ გრძელდებოდა. აღნიშნული მოვლენების დროს საქართველოში სატახტო ცვლილებები მოხდა. ოლჯაითუ ხანმა ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ დავითთან ელჩი გაგზავნა და ტახტზე ასაყვანად მისი შვილის, გიორგის ილხანთა დედაქალაქში გაგზავნა სთხოვა. ახალგაზრდა დავითმა დედაქალაქში გააგზავნა. ოლჯაითუ ხანმა კი სამეფო და თბილისი გიორგის უბოძა (K.TS., 2014:394).

1310 წელს, ამირა ჩობანმა მდინარე მტკვართან მოქმედებები განაახლა, რის გამოც თოხთა ხანმა ილხანებთან კიდევ ერთი ელჩობა გაგზავნა. 1310 წლის 30 მაისს ელჩები ოლჯაითუ ხანის წინაშე წარდგნენ, რომელმაც ისინი პატივით მიიღო (Khelejani, 2013:78). ოლჯაითუმ გაზან ხანის მსგავსად, 1312 წელს მდინარე მტკვრის ნაპირზე დარუბანდისა და არანის საზღვრების დაცვა ამირა ფულად ჩინგ სანგს დაავალა (Kâşâni, 1992:176).

გარდა ამისა ილანებს პრობლემები ჰქონდა ეგვიპტის მამლუქებთანაც. 1304 წელს, მათ წინააღმდეგ ოქროს ურდოს სახელმწიფოს მოკავშირეობის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. გამომდინარე იქედან, რომ სირიის საზღვარზე ილხანები გამოჩნდნენ, 1308 წელს სულთან ენ-ნასრმა ილხანთა წინააღმდეგ საბრძოლო სამზადისი დაიწყო. თუმცა, 1308 წელს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ზემოხსენებული შეტაკების გარდა, ილხანებსა და ეგვიპტელთა შორის ბრძოლა არ მომხდარა. ოქროს ურდოსა და ილხანების შეტაკებებს მათი საზღვრების ცვლილება არ მოჰყოლია. ამ ორ ულუსის დაპირისპირება მომგებიანი იყო ეგვიპტისთვის (Kamalov, 2003:81-82). ბაიბარსის ცნობით, 1310 წელს ეგვიპტის სულთანს თოხთა ხანის ელჩები ეწვივნენ, რომლებმაც გადასცეს თოხთა ხანის მილოცვა ბაიბარსის მის მოწინააღმდეგეებზე გაიმარჯვების გამო (Baybars, 1941:228-

229,236). სავარაუდოდ ერთი წლის განმავლობაში თოხთა ხანმა ილხანებთან და ეგვიპტელებთან ორი სხვადასხვა ელჩობა გააგზავნა.

1291-1313 წლებში, თოხთა ხანის მმართველობის დროს, ოქროს ურდომ ჩრდი. კავკასიაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ელ-მუფადალის ცნობით, 1308 წლისთვის თოხთა ხანის მიწები დარუბანდიდან ყივჩაღთა სტეპებამდე, ხვარაზმიდან კონსტანტინოპოლამდე ვრცელდებოდა **(Mufaddal, 1941:340)**.

§ 6. უზბეკ ხანის მმართველობა ოქროს ურდოში (1313-1340 წწ.)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოხთა ხანის სიკვდილის შემდეგ, რადგანაც მას ვაჟი არ ჰყავდა, 1313 **(Birzali, 1941:315)** ან 1314 **(Nuveyrî, 1941:287; Kafalı, 1976:74)** წელს ტახტზე მისი ძმის თუღრულის ვაჟი უზბეკი ავიდა. იბნ ბატუტა მუჰამედ უზბეკ ხანის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით სხვადასხვა ისტორიებს გადმოგვცემს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თოხთა ხანმა ილბარსის გარდა ყველა ვაჟი დაახოცინა და ტახტზე ავიდა მისი ძმის შვილი უზბეკი, რომელიც არ იცოდა, რომ ცოცხალი იყო **(Kafalı, 2007:107)**. მეორე ისტორიის მიხედვით კი, მენგუ თემურის შვილიშვილს თუღრულის შვილს უზბეკს ტახტზე ასვლის უფლება არ ჰქონდა, მაგრამ ყუთლუ თემურის დახმარებით ილბარსი მოკლეს და ოქროს ურდოს ტახტი უზბეკმა დაიკავა **(Yakubobskiy, 1976:72)**. მესამე ისტორია მოგვითხრობს, რომ თოხთას სიკვდილის შემდეგ სამი ვაჟიდან ერთადერთი თოქელ-ბუკა დარჩა, რომელიც უზბეკმა ჩამოიშორა. ხვარაზმის მმართველმა ყუთლუქ თემურმა შეიტყო, რომ თოქელ-ბუკა და ჯუჩის შვილების სხვა უფლისწულები უზბეკის წინააღმდეგ გაერთიანდნენ და მის მოკვლას გეგმავდნენ და უზბეკ ხანს ყველაფერი აცნობა. ერთ-ერთი ისტორიის მიხედვით, უზბეკ ხანმა ყუთლუქ თემურის დახმარებით ტახტზე ასვლა მოახერხა **(Kafalı, 1976:73)**. ამის გამო იყო, რომ უზბეკ ხანის ტახტზე ასვლის შემდეგ ყუთლუქ თემურმა ოქროს ურდოს მმართველობაში მნიშვნელოვან გავლენა მოიპოვა. თავიდან გადასახადების აკრეფასაც ხელმძღვანელობდა **(Yakubobskiy, 1976:73).** იგი უზბეკ ხანის „მარჯვენა ხელი“ იყო.

ბირზალის ცნობით, უზბეკ ხანი 30 წლისა ავიდა ტახტზე. იყო ჭკვიანი, წარმოსადეგი და სანდო. იყო მუსლიმი და პატივს სცემდა მის რელიგიას **(Birzali, 1941:315-318)**. ოთემიშ ჰაჯის მიხედვით კი უზბეკი ტახტზე ასვლისას თოთხმეტი წლის იყო **(Ötemiş, 2009:49,54)**. წყაროებში, ბერქე ხანის მსგავსად, უზბეკ ხანის მუსლიმობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ისტორიებია შემორჩენილი. უზბეკ ხანმა 1320 წელს, მისი მმართველობის მერვე წელს მიიღო ისლამი **(Kafalı, 1976:81)**. ოთემიშ ჰაჯისა და აბდულჯაფარ ყირიმელის გადმოცემით, უზბეკ ხანმა ისლამი ხვარაზმის და ბუხარას მხარეებიდან მოსულ შეიხ მეჯიდუდინ შირვანისთან, ბაბა თოქლეს შეიხ ნეჯიბუდინთან, შეიხ აჰმედსა და შეიხ ჰასან გურგანისთან შეხვედრის შემდეგ მიიღო **(Kırımî, 2003:43; Ötemiş, 2009:52)**. უზბეკ ხანსა და ბერქე ხანს შორის კი განსხვავება ისაა, რომ უზბეკის დროს ისლამი ოქროს ურდოს სახელმწიფოს ოფიციალური რელიგია გახდა და მთელს ქვეყანაში გავრცელდა.

აზერბაიჯანსა და ხორასანში ლაშქრობის დროს, უზბეკ ხანის ჯარი რამდენჯერმე დაუპირისპირდა ილხანებს. ამ ორი რეგიონის მოსახლეობა უზბეკ ხანის ჯარს უზბეკებად, ოქროს ურდოს სახელმწიფოს კი უზბეკების სახელმწიფოდ მოიხსენიებდნენ. მოგვიანებით ეს სახელწოდება ამუდარიის, სირდარიისა და ფერგანას რეგიონების მოსახლეობაშიც გავრცელდა (**Fahreddin, 2003:51**). არსებობს მოსაზრება, რომ უზბეკ ხანის მმართველობის ვრცელ გეოგრაფიულ არეალში გავრცელებისა და მონღოლთა დაპყრობების მიყოლებით შუა აზიის ხალხთა ფორმირების დროს „უზბეკის ულუსი“ წარმოიქმნა და დღევანდელი სახელწოდება „უზბეკი“ სწორედ უზბეკ ხანს უკავშირდება (**Çınar, 2011:76).** უზბეკ ხანის მმართველობას ოქროს ურდოს ისტორიაში „ოქროს ხანას“ უწოდებენ. ქვეყანაში ჩატარდა რეფორმები, დაარსდა ახალი ქალაქები. აშენდა მრავალი მეჩეთი და მედრესე (**Vernadsky, 2015:239; Kemaloğlu, 2016b:600).**

საგარეო პოლიტიკაში კი ძველ ტრადიციებს არ ღალატობდა და უფრო აგრესიული თავდასხმებით გამოირჩეოდა. მან უპირველესად მამლუქებთან დაამყარა კავშირი. 1314 წელს კი ელჩები გაგზავნა ილხანთა სახელმწიფოში. იმავე წელს ელჩების მეორე ჯგუფი გაგზავნა ქაიროში. 174 კაციანი ჯგუფი ეგვიპტის სულთანმა ენ–ნასრმა დიდი პატივით მიიღო და საპასუხოდ უზბეკ ხანთან თავისი ელჩები გაგზავნა (**Mufaddal, 1941:344; Kafalı, 1976:75**). 1315 წელს ეგვიპტიდან გაგზავნილმა ელჩებმა უზბეკ ხანს სულთნის სურვილი გადასცეს. სულთანი თვლიდა, რომ ჯუჩის ულუსთან დანათესავების დრო დადგა. უზბეკ ხანმა სეთავაზება მიიღო და რამდენიმე წლის შემდეგ ოქროს ურდოსა და ეგვიპტის მმართველებს შორის ნათესაური კავშირი დამყარდა. უზბეკ ხანმა ამ ქორწინებით ჯუჩის ულუსსა და მამლუქთა შორის ბერქეს დროს დაწყებული პოლიტიკური მოკავშირეობა გააცოცხლა. აქედან გამომდინარე, უზბეკ ხანმა 1320–1321 წლებში ილხანების წინააღმდეგ ლაშქრობაში ენ-ნასრის მხარდაჭერა სთხოვა. თუმცა, ამ პერიოდში ეგვიპტის მემლუქებსა და ილხანებს შორის სამშვიდობო შეხვედრები იმართებოდა, რის გამოც სულთან ენ-ნასრმა უზბეკ ხანის წინადადება არ მიიღო და ამით უზბეკ ხანი გააფრთხილა (**Favereau, 2017:104).** უზბეკ ხანისა და მამლუქების დანათესავების შემდეგ ორივე მხარე ხშირად უგზავნიდა ერთმანეთს ელჩებს. ნუვეირის ცნობით, ამ პერიოდში უზბეკ ხანმა საქართველოს მეფე თავისთან მიიწვია (**Nuveyrî, 1941:306**). ელ–მუფადალის მიხედვით, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში წარმატებული უზბეკ ხანი, ტახტზე ასვლიდან მცირე ხნის შემდეგ, 1320–1321 წლებში, დარუბანდიდან ხვარაზმამდე, სუდაკიდან და ბოლგარიდან კონსტანტინოპოლის საზღვრებამდე ვრცელ გეოგრაფიულ არეალს ფლობდა. ამ საზღვრებში მოქცეულ ყველა მეჩეთის მინარეთიდან ჯერ უზბეკ ხანის, შემდეგ ეგვიპტის სულთნის სახელზე ისმოდა ლოცვა (**Mufaddal, 1941:346**).

უზბეკ ხანმა მმართველობის პირველსავე წლებში დაიწყო რუსების სამთავროების საქმეებში ჩარევა. იგი აგვარებდა რუსი მმართველების საქმეებს.

1320 წელს როსტოველები აჯანყდნენ, რომელიც 1322 წელს ჩაახშვეს. 1327 წელს ისევ დაიწყო აჯანყება. უზბეკ ხანმა მოსკოვის მთავრის ივანეს დახმარებით აჯანყებულ ტვერის მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდა. ამის შემდეგ ივანე ოქროს ურდოსთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა და მისი მმართველობის დროს აჯანყება აღარ მომხდარა.

განვითარდა ვაჭრობა. მშვიდობიან პირობებში მოსკოვში მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა. იგი იყო რუსეთის რელიგიური ცენტრი. მართალია, უზბეკ ხანი მოსკოვისა და ტვერის სახანოებს შორის წონასწორობის პოლიტიკის გატარებას ცდილობდა, მოსკოვის გაძლიერებას წინ ვერ აღუდგა. მოსკოვის სამთავრო იზრდებოდა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა. მეორე მხვრივ ძლიერდებოდა სამხრეთ რუსეთი, რომელიც კიევის რუსეთის სახით იყო წარმოდგენილი. ლიტვა, რომელიც პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებას ცდილობდა, თანდათანობით კიევის რუსეთის მმართველობის ქვეშ ექცეოდა. მართალია, უზბეკ ხანის მმართველობის პერიოდი ოქროს ურდოსთვის ყველზე ნათელი ხანა იყო, მაგრამ რუსეთის ისტორიისთვის ეს გარდამტეხი პერიოდი აღმოჩნდა **(Vernadsky, 2015:243-246; Kemaloğlu, 2016b:602-604; Kafalı,1976:77-78).**

უზბეკ ხანი, ბალკანეთში განვითარებულ მოვლენებშიც ჩაერია, სადაც მას ოქროს ურდოს ძველი ძალაუფლების აედგენა სურდა. მაგრამ, მისი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა **(Kemaloğlu, 2016b:604).** 1323 წელს უზბეკ ხანმა ლიტვაში გაილაშქა და დაიპყრო იგი **(Kafalı, 1976:77).** 1324 წელს ბიზანტიაში არსებული შინა ომის დროს ბულგარ–ბიზანტიელთა დაპირისპირებაში უზბეკ ხანმა ბულგართა მეფე გიორგი ტერტერ II–ს დაუჭირა მხარი. მიუხედავად ამისა, ბულგარები ბიზანტიელებთან დამარცხდნენ. 1328 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე III–მ უზბეკ ხანს თავისი ქალიშვილი მიათხოვა და ამ ნაბიჯით მასთან ახლო კავშირი დაამყარა. ბეიელუნ ხათუნი 1333 წელს ბავშვის გასაჩენად და მამის მოსანახულებლად კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. მას თან ახლდა იბნ ბატუტა. იბნ ბატუტას თქმით იგი მის მიმართ გულუხვი იყო და კარგად ექცეოდა **(Battuta I, 2004:485-486)**. უზბეკმა 1330 წელს ბალკანეთში განვითარებულ მოვლენებში ჩართვა სცადა, თუმცა კვლავ უშედეგოდ. ამავე წელს სერბეთის წინააღმდეგ ბიზანტია და ბულგარები გაერთიანდნენ. ყაენმა მათ ჯარი გაუგზავნა, მაგრამ ერთიან ჯარი 1330 წელს სერბებთან დამარცხდა **(Vernadsky, 2015:239-240)**.

უზბეკ ხანის საგარეო პოლიტიკაში, თოხთა ხანის მსგავსად, ვენეციელებთან და გენუელებთან ურთიერთოებები აქტიურად გრძელდებოდა. მან აზოვში ვენეციელებს ვაჭრობის ნება მისცა და 1332 წლის 9 ოქტომბერს ამასთან დაკავშირებით ბრძანება გამოსცა. დღემდე, ეს ბრძანება ოქროს ურდოს სახელმწიფოს მიერ იტალიელი ვაჭრებისთვის გამოცემული ყველაზე ძველი ისტორიული ბრძანებაა. იგი, ელჩის ანდრეას გენოს თხოვნის საფუძველზე აზოვის მახლობლად ერთ-ერთი დასახლების ვენეციელებზე გადაცემას, სავაჭრო გადასახადებსა და სხვა საკითხებს განსაზღვრავდა **(Özyetgin, Kemaloğlu, 2017:91)**.

უზბეკ ხანი, რომელსაც აზერბაიჯანზე პრეტენზია ჰქონდა, ეგვიპტესთან მეგობრულ ურთიერთობების არჩევდა. რუსული სამთავროების საკუთარი მმართველობის ქვეშ მოაქცია და აღმოსავლეთ ევროპაც მასზე აალაპარაკა. თუმცა, ჯუჩის ულუსის აღმოსავლეთ ნაწილში, ,,ცისფერ ორდუში“ არეულობა დაიწყო. ხშირი სატახტო ცვლილებების შემდეგ ტახტი დაიკავა მუბარექ ჰოჯამ, რომელმაც საკუთარ სახელზე ფული მოჭრა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მუბარექ ჰოჯას დამოუკიდებელმა სახანომ ექვს თვემდე იარსება, რის შემდეგაც უზბეკ ხანმა გაანადგურა. ამის შემდეგ უზბეკ ხანმა ჯუჩის ულუსის აღმოსავლეთით მდებარე ცენტრალურ ქალაქ სიღნაღში თავისი ვაჟი

თინიბექ ხანი გააგზავნა და ეს რეგიონიც ცენტრალურ ,,თეთრ ორდუს“ დაუქვემდებარა. ამგვარად, ოქროს ურდოს ორმაგი მმართველობის სისტემა დასრულდა, ,,ცისფერ ორდუს“ დინასტიამ არსებობა შეწყვიტა (Kafalı, 1976:78-79).

უზბეკ ხანის დროის სოციალური ცხოვრებისა და ეკონომიკური ვითარების შესახებ ვრცელი ცნობები შემონახულია იბნ ბატუტას წიგნში, რომელიც 1333 წელს ყირიმში მოგზაურობისას დაწერა. წიგნში უზბეკ ხანი მუჰამმედ უზბეკ ხანად არის მოხსენიებული და ავტორის თქმით ის სამყაროს შვიდი მმართველიდან ერთ-ერთია. საკვირველია წიგნში მოცემული ცნობა, რომ უზბეკის სამფლობელოში ქალები მამაკაცზე მაღლა იდგნენ. მისივე თქმით უზბეკ ხანის ქვეყანა ძალიან დიდია და უზარმაზარი ქალაქები აქვს. იბნ ბატუტა, დაწვრილებით საუბრობს უზბეკ ხანის ყოველდღიურ ცხოვრებასა და ქცევებზე. მან სათითაოდ მოინახულა უზბეკ ხანის ცოლები, რომლებმაც ცნობილი „წითელი“ სასმელი შესთავაზეს და არ მოეწონა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უზბეკ ხანის მესამე ცოლს ბეიელუნ ხათუნს კონსტანტინოპოლში გამგზავრებისას იბნ ბატუტამ მეგზურობა გაუწია. სამეფო კარის დატოვებამდე უზბეკ ხანმა მას საჩუქრად ათას ხუთასი დინარი, ტანისამოსი და ცხენი აჩუქა. ბიზანტიის იმპერატორის ქალიშვილ-საც მისთვის ცხენი და ტანისამოსი უბოძებია. ცოლებს შორის ყველაზე გულუხვი სწორედ ის ყოფილა. იბნ ბატუტას ცნობით, უზბეკის პირველი ცოლი ჯანიბეკის და ტინიბეკის დედა ტაიდულა ხათუნი იყო. მეორე ცოლს ერქვა კებეკი. მესამე ცოლი იბნ ბატუტას მიერ გულისხმიერ და გულმოწყალე ქალად დახასიათებული ბეიელუნ ხათუ-ნი, მეოთხე ცოლი კი ერთ-ერთი ტომის ბელადის ამირა ისას ქალიშვილი ურდუჯა ხათუნი იყო (Battuta I, 2004:474-486). წყაროებში განსაკუთრებით ბევრი ცნობაა შემონა-ხული პირველ ცოლზე, ბაშ ხათუნ ტაიდულაზე (ტაითუღლა, ტოიოლუნი), რადგან ის სახელმწიფო საქმეებში აქტიურად იყო ჩაბმული, პოლიტიკაში კი მნიშვნე-ლოვან როლს თამაშობდა. მაგალითად, უზბეკ ხანის დროიდან აზოვში შემოსული ქრისტიანული ქვეყ-ნების გემებიდან აკრეფილი გადასახადები მას ეკუთვნოდა. 1359 წელს, მისი შვილი-შვილის ბერდიბეკის დროს, ვენეციელებს გადასახადები მოთხოვეს, მაგრამ მათ გადახდა დააგვიანეს. ტაიდულა ხათუნმა ამასთან დაკავშირებით 1358 წელს გადახდის გეგმა შეადგინა და 1359 წელს ვენეციის დოჯს გაუგზავნა (Özyetgin, Kemaloğlu, 2017:101-106).

1313 წელს თოხთა ხანის გარდაცვალების შემდეგ, ილხან–მამლუქთა შორის კვლავ უთანხმოება ჩამოვარდა. ოლჯაითუ ხანმა ეგვიპტეში მდებარე რაჰბეს ციხესიმაგრის ასაღებად ჯარი შეკრიბა. ლაშქრობაში ქართველთა მეფე გიორგი მთელი ძალებით იღებდა მონაწილეობას. ხუთთვიანი უშედეგო ალყის შემდე ოლჯაითუ და გიორგი უკან დაბრუნდნენ (K.TS., 2014:394; Subaşı, 2015:171-172).

1314 წლიდან გიორგი V (ბრწყინვალე) ტახტზე მეორედ ავიდა (Lang, 1955:75). ამ დროს ანატოლიაში ყარამანოღლუთა აჯანყებამ იჩინა თავი. ილხანთა სახელმწიფო არღუნ ხანის შემდეგ ნელ–ნელა სუსტდებოდა და პირვანდელ ძალას კარგავდა. ყარამანოღულები კონიაში მოვიდნენ და დაპყრეს კიდეც. ოლჯაითუ ხანმა ამირა ჩობანი და გიორგი V ქართულ ლაშქართან ერთად ანატოლიაში გაგზავნა. ამ დროს ქართველებს შორის ილხანთა რიგებში ბრძოლის საკითხთან დაკავშირებით უთანხმოება ჩამოვარდა. ანატოლიაში აჯანყებების ჩასახშობად მისულ ქართველთა ლაშქარში არ მონაწილეობდ-

ნენ ისეთი მნიშვნელოვანი მეთაურები, როგორებიც არიან შაჰინშაჰი და ზაქარია. ისინი თბილისში დარჩნენ. გიორგის მეთაურობით ქართველთა ძალებმა და ამირა ჩობანმა აჯანყება ჩაახშვეს და ერთი წლის შემდეგ ანატოლიიდან სამშობლოში დაბრუნდნენ **(K.TS., 2014:394)**.

ქაშანი თავის ,,ოლჯაითუს ისტორიაში" უზბეკ ხანის ტახტზე ასვლას სხვაგვარად გადმოგვცემს. მისი თქმით, თოხთა ხანის ვაჟი ცოცხალი იყო და უზბეკ ხანს ტახტი არ ეკუთვნოდა. ყუთლუქ თემური კი, უზბეკ ხანს კი არა თოხთას ვაჟს ეხმარებოდა. მაგრამ, უზბეკმა რომ გაიგო თოხთა ხანის გარდაცვალების შესახებ, სარაიში მივიდა. ოქროს ურდოს სახელმწიფოს წარჩინებულები უზბეკის ტახტზე ასვლის წინააღმდეგი იყვნენ, რადგან უზბეკს მათი გამუსლიმება ჰქონდა განზრახული. 1312 წელს უზბეკ ხანი ტახტზე ავიდა და ამბის შესატყობინებლად ქვეყნებში ელჩები გააგზავნა. ამ დროს ჩაღათაის სახანოში ესენ-ბუკასა და ოლჯაითუ ხანს შორის მტრობა ჩამოვარდა. ესენ ბუკამ უზბეკ ხანთან მოლაპარაკებას ცდილობდა და მას ოლჯაითუ ხანის წინააღმდეგ აქეზებდა. მაგრამ უზბეკ ხანს მასთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა ამირამ ურჩია, რომ ოლჯაითუ ხანთან ბრძოლა მცდარი გადაწყვეტილება იქნებოდა და ესენ ბუკასგან თავი შორს უნდა დაეჭირა. უზბეკ ხანმა ეს რჩევა მოიწონა და ოლჯაითუ ხანთან ელჩები გაგზავნა. ელჩობა, რომელსაც ამირა ყივჩაღიაი მეთაურობდა, 55 ჯორით დარუბანდიდან საქართველოს გავლით 1312 წლის 13 ოქტომბერს სულთანიეში ჩავიდა და ოლჯაითუ ხანს ეახლა. ყივჩაღიაიმ უზბეკის დანაბარები გადასცა: *„ჩვენს შორის მეგობრობის პირობები არსებობს. ჯარი თუ დაგჭირდება, გამოგიგზავნი რამდენსაც მეტყვი. მაგრამ, ირანის ქვეყანაში, ქალაქებსა და მხარეებში მენგუ ყაენის ბრძანებით ჩვენი კუთვნილი მიწები ჩვენს ხალხს მიეცით ჩაკეტილი გზები რომ გაიხსნას. საჭირო ქსოვილები და საქონელი გავუგზავნოთ ერთმანეთს. ვაჭრებმა და მოგზაურებმა თავისუფლად იარონ და სარგებელი ნახონ."* ოლჯაითუ ხანმა ელჩები პატივით მიიღო, მოუსმინა და მოგვიანებით უკან დაბრუნების ნება მისცა **(Kâşâni, 1992:178-180)**. როგორც ჩანს, საქართველოს გავლით ელჩების გაგზავნით, უზბეკ ხანმა მის ავტორიტეტს გაუსვა ხაზი და მიანიშნა, რომ ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკაში არაფერი იყო შეცვლილი. მართალია, ოლჯაითუ ხანმა ელჩები პატივით მიიღო, მაგრამ უზბეკ ხანის გულწრფელობაში რომ დარწმუნებულიყო, ახალგაზრდა უფლისწული ამირა ჰუსეინი არანის მმართველად და შირვანზე დაქვემდებარებული დარუბანდის დასაცავად გაგზავნა **(Khelejani, 2013: 80)**. ეს ფაქტი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების გაგრძელებასა და განვითარებაზე მიანიშნებდა.

1313 წლის 8 აპრილს, უზბეკ ხანმა ოლჯაითუ ხანის დაარსებულ ქალაქ სულთანიეში, კავკასიაზე საკუთარი პრეტენზიების განხილვის მიზნით ახალი ელჩობა გაიგზავნა. ელჩებმა ოლჯაითუსგან უარი მიიღეს **(Spuler, 1957:126-127)**. სავარაუდოა, რომ ოლჯაითუ ხანმა ელჩები პირადად მიიღო, რადგან 28 მარტს მან ბაღდადი დატოვა და სულთანიეში დაბრუნდა. 15 აპრილს კი სულთანიეც დატოვა **(Melville, 1990:65).** 1314 წლის 11 მაისს უზბეკ ხანმა სულთანიეში კვლავ გაგზავნა ელჩობა. ,,ოლჯაითუს ისტორიის" მიხედვით, ელჩობას უიღურის ტომიდან ქეიხათუ ხელმძღვანელობდა. მას ახლდა ოთხი ამირა, რომლებიც ას ორმოცდაათი დატვირთული ჯორით მივიდნენ

ილხანთა სახელმწიფოში. ქაშანი წერს, ელჩები სამშვიდობო მისიით იყვნენ მისულნი (Kâşâni, 1992:197).

უზბეკ ხანი ჩვეულებრივ პირობებში ტახტზე ვერ ავიდოდა. ტახტზე ასვლის შემდეგ კი ყველა მისი მოწინააღმდეგე სათითაოდ გაანადგურა (Kafalı, 2007:107). უზბეკ ხანის მმართველობის წინააღმდეგ გამოვიდა უფლისწულ ქაიდუზე დაქვემდებარებული ამირა ბაბაჩი, რომელმაც თავის 15 ათასიანი ჯარით ყუთლუქ-თემურს შეუტია და უკან დაახევინა. ამის შემდეგ ბაბაჩმა საკუთარ ამალასთან ერთად ოქროს ურდოს მტერ ილხანებს შეაფარა თავი. ამის გამო ჯუჩის ულუსსა და ილხანებს შორის კვლავ უთანხმოება ჩამოვარდა. ამასთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ ორივე მხარეს ელჩობა გაიგზავნა. ჩაღათაის ულუსიდან ესენ-ბუკა ხანმა (1309-1318 წწ.) ეს ამბავი რომ გაიგო, უზბეკ ხანის ილხანების წინააღმდეგ წაქეზება დაიწყო (Kâşâni, 1992:204-205; Howorth II, 1880:149; Kafalı, 1976:75-76). 1315 წლის 16 სექტემბერს უზბეკ ხანმა თავრიზში ელჩი აქ-ბუღა გაგზავნა. ელჩები ჯერ არანში, ამირა ჰუსეინ გურქანმა მიიღო, შემდეგ კი სულთანიეში ოლჯაითუსთან წინეშე მიიყვანეს. აქ-ბუღა საუბარი ასე დაიწყო: *„თუკი ბაბაჩი მარტო იღებს მსგავს გადაწყვეტილებებს, ჩვენ მას ჭკუას ვასწავლით. მაგრამ, თუ თქვენი ბრძანებით მოქმედებს, ურიცხვი ჯარით თქვენს წინააღმდეგ ვილაშქრებთ და არანსა და მუღანში დავსახლდებით.“* ამის შემდეგ ოლჯაითუ ხანმა, ბაბაჩი მოიყვანა და აქ-ბუღასა და მისი ხალხის წინაშე დაახრჩობინა. მეგობრული ურთიერთობით ოქროს ურდოს ელჩები უკან გაისტუმრა (Kâşâni, 1992:205-206; Kafalı, 1976:76). ფაქტია, რომ ოლჯაითუმ ბაბაჩი უფრო თვითნებური ქმედებების გამო მოკლა, ვიდრე უზბეკ ხანის თხოვნით.

ოლჯაითუსა და უზბეკ ხანს შორის ურთიერთობა შემდეგნაირად წარიმართა. 1316 წელს ოლჯაითუ ხანთან მავერანაჰრიდან ორი კაცი მოვიდა და აცნობა, რომ ჩაღათაის სახანოდან ესენ-ბუკა, უზბეკ ხანი და ეგვიპტის სულთანი ენ-ნასრი ილხანებზე თავდასხმას აპირებდნენ. ოლჯაითუ ხანმა შეამჩნია, რომ ისინი ცნობებს განსხვავებულად აწვდიდნენ და მიხვდა რომ ჯაშუშები იყვნენ. ამიტომ თავრიზში მათი დაკავების ბრძანება გასცა (Kâşâni, 1992:239). უზბეკ ხანსა და ოლჯაითუს შორის ურთიერთობა პრობლემების გარეშე დასრულდა.

თოხთა ხანის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, 1316 წელს ოლჯაითუ ხანი გარდაიცვალა და ტახტი უმცროს ვაჟს აბუ საიდს დაუტოვა. აბუ საიდის შემდეგ ილხანთა სახელმწიფომ დაშლა დაიწყო, ამიტომაც იგი ილხანთა ბოლო მმართველად ითვლება. მეფე გიორგიმ გაიგო თუ არა ოლჯაითუს სიკვდილის შესახებ, 1316 წელს პატივისცემის ნიშნად ილხანთა დედაქალაქში აბუ საიდის წინაშე წარსდგა. იქ მყოფმა ამირა ჩობანმა გიორგი პატივით მიიღო. ამირა ჩობანსა და გიორგი კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ამ დროს აბუ საიდი მცირეწლოვანი იყო, ამირა ჩობანმა კი მმართველობაში გავლენა ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით ელ-ომერი ამბობს, რომ ამირა ჩობანი „ბეგლარ-ბეგის“ ტიტულს ატარებდა (Ömeri, 1941:407). ყაზვინი გადმოცემით, აბუ საიდი ტახტზე ასვლისას თორმეტი წლის იყო, რის გამოც სახელმწიფო საკითხების მოგვარება ძლიერმა და გამოცდილმა ამირა ჩობანმა თავის თავზე აიღო (Kazvinî, 2018:496).

ამირა ჩობანს კეთილმეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფოსთან. ამირა ჩობანმა არღუნ ყაენის ხელისუფლებაზე დაქვემდებარებული საქართველოს

სამხრეთ-დასავლეთით ბექას შვილების მფლობელობაში მყოფი მესხეთი და სამცხე-საათაბაგო, დავით ნარინის შვილების მფლობელობაში მყოფი ტერიტორიები და ქართული სამთავროები, ანუ მთელი საქართველო გიორგის გადასცა (**K.TS, 2014:395; Lang, 1955:75-76**). მთელი საქართველოს სადავეები გიორგი V-მ ჩაიბარა, რომელიც სომხეთის, კახეთ-ჰერეთის, ქართლი, მესხეთის, ტაოს, შავშეთის, კლარჯეთისა და სპერიდან ზღვამდე გადაჭიმულ მთელ ტერიტორიებს მართავდა (**Brosset, 1849:644-645; Subaşı, 2015:173).**

საქართველოს ტახტზე მეორედ ასული გიორგის V-ის მეფობა ორ ეტაპად იყოფა. პირველი 1327 წლამდე გრძელდებოდა, როდესაც ის თბილისს მართავდა და ამირა ჩობანთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მეორე ხანა კი, 1327-1346 წლებია, მეფის სიკვდილამდე. მართალია, მეფე გიორგიმ მმართველობის მეორე ეტაპზე თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოზე კონტროლი დაკარგა, სამაგიეროდ დასავლეთ საქართველოში გაიმმყარა ხელისუფლება. ამირა ჩობანსა და გიორგის მეგობრულ ურთიერთობებზე მრავალი წყარო მოგვითხრობს (**Lang, 1955:75**). ასეთი ურთიერთობების ფონზე ილხანებმა საქართველოში ახალი სამხედრო მმართველი ამირა ქურმუში დანიშნეს (**Kutbî, 1954:51**).

მართალია, ეს ცნობა პირველადი წყაროების მიხედვით არ მიგვიღია, თუმცა ოქროს ურდოს ისტორიიის მკვლევარი ილია ქამალოვი წერს, რომ ოლჯაითუს გარდაცვალების შემდეგ, მაშინ, როდესაც ილხანებსა და საქართველოს შორის ასეთი ურთიერთობა იყო, უზბეკ ხანი დროს არ კარგავდა და 1316 წლის ზამთარში თვეს ილხანების ტერიტორიების დაპყრობა დაიწყო და მალე წარმატებებსაც მიაღწია. ლეზგებმა ოქროს ურდოსთან ფარული გარიგება დადეს და დარუბანდში გამაგრებული ილხანთა მთავარსარდალ თარამთაზს უზბეკ ხანის ჯარების მოსვლის ამბავი დაუმალეს (**Kamalov, 2003:90).** ელ-ომერის გადმოემით, ოქროს ურდოს მმართველებს შორის იყვნენ ჩერქეზები, რუსები და ლეზგები (**Ömeri, 1941:364).** ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ლეზგები უზბეკ ხანს უჭერდნენ მხარს.

აბუ საიდის მმართველობის პირველ წლებში ქვეყანაში არეულობა სუფევდა. ამა დროს ხორასანში მყოფი უფლისწული იასავური აჯანყდა. ეგვიპტისა და დამასკოს ჯარები დიარბაქირის მხრიდან ილხანებს დაესხნენ თავს (**Khelejani, 2013:85; Kamalov, 2003:91**). ხორასნის მმართველ იასავურს ოქროს ურდოს მსგავსად ილხანთა ტერიტორიები სურდა და ამიტომ აჯანყდა. მან უზბეკ ხანს წერილი მისწერა. ამირების ილხანებისადმი უკმაყოფილებს გამო და იასავურის წაქეზებით უზბეკ ხანმა ილხანთა წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა და სავარაუდოდ იასავურის დასახმარებლად, 1318 წელს ყუთლუქ თემურის მეთაურობით აზერბაიჯანში ჯარი გაგზავნა (**Gökbilgin, 1972:15).** ილხანები ერთდროულად, ჩრდილოეთით იასავურისა და უზბეკის, სამხრეთით კი ეგვიპტის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. უზბეკ ხანი დარუბანდში ჩავიდა, შირვანი გაძარცვა და მდინარე მტკვრის ნაპირებამდე მიაღწია. ჩრდილოეთიდან მოსული ოქროს ურდოს ჯარი ილხანებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და ამიტომ ილხანთაგან აბუ საიდი და ამირა ჩობანი საქართველოს გზით ყველა ამირასთან ერთად მდინარე მტკვრის მეორე მხარეს მოვიდა (**Kutbî, 1954:52; Işık, 2012:71-72; Khelejani, 2013:85**). ბრძოლა

მდინარის ორივე მხრიდან მშვილდისრების სროლით დაიწყო. 1318 წლის თებერვალ-მარტში უზბეკ ხანმა უკან დაბრუნება გადაწყვიტა. აბუ საიდმა ეს ამბავი რომ გაიგო, რამდენიმე ამირა უზბეკ ხანის ჯარს უკან დაადევნა. ილხანთა ჯარმა დარუბანდამდე იარა, შემდეგ კი უკან ყარაბაღში დაბრუნდა (**Kutbî, 1954:52**). 1318 წელს მომხდარ ამ ამბებს დაწვრილებით მოგვითხრობს ჰაფიზ-ი ებრუ. მისი გადმოცემით, აბუ საიდმა უსაფრთხოებისთვის აქ მცირერიცხოვანი ჯარი დატოვა. თუმცა, იმის გამო, რომ უზბეკ ხანის მრავალრიცხოვან ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ჯარისკაცები აბუ საიდთან დაბრუნდნენ. როდესაც უზბეკ ხანის ლაშქარი ილხანთა ჯარის ადგილსამყო-ფელს მიუახლოვდა, ილხანთა ჯარი დიდი ხნის დაშლილი იყო, აბუ საიდ ხანთან ერთად მხოლოდ ათასამდე ცხენოსანი იმყოფებოდა. უზბეკ ხანის ჯარისკაცები მდინარის დარუბანდისა და შირვანის მხარეს იმყოფებოდნენ. ვინაიდან მის ჯარი მრავალრიცხო-ვანი იყო, აბუ საიდმა ხერხს მიმართა. იმისათვის, რომ მისი ჯარი ბევრად ეჩვენებინა, მტკვრის ნაპირზე მოვიდა და ერთ რიგად კარვები გააშლევინ. შემდეგ კი დახმარების სათხოვნელად ამირა ჩობანთან სასწრაფოდ კაცი აფრინა. ამ დროს ამირა ჩობანი ბეილაგანში (**Boyle, 1968:408**) იმყოფებოდა. გაიგო თუ არა აბუ საიდის ჯარის ამბავი, ამირა ჩობანი ოცი ათასიანი ჯარით სასწრაფოდ მისკენ აიღო გეზი. ბრძოლაში უზბეკ ხანის დამარცხდა. ჯარისკაცების უმრავლესობა ან დახოცეს, ან დაატყვევეს. ოქროს ურდოს წინააღმდეგ ეს გამარჯვება ამირა ჩობანის დამსახურება იყო, ამიტომაც აბუ საიდის წინაშე წარდგენისას იგი დააჯილდოვეს (**Işık, 2012:73; Kamalov, 2003:92; Piriyev, 1978:20**). ბრძოლის დროს ოქროს ურდოს ჯარმა რეგიონს დიდი ზარალი მიაყენა.

ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის მიმდინარე ბრძოლაში ამირა ქურმიში არ მონაწილეობდა. ყაზვინის ცნობით, ამირა ჩობანმა ქურმიში და სხვა ამირები, რომლებიც ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ დასაჯა, რის გამოც ქურმიში მას გადაემტერა (**Kazvinî, 2018:498**). ქუთბის გადმოცემით, ამირა ჩობანი, ქურმიშის დასჯის მიზნით, აბუ საიდ ხანისგან ჩინგიზ ხანის კანონის ამოქმედებას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ გააფრთხილეს იარლიღით (ბრძანებით), ქურმიშმა არაერთი პრობლემა წარმოქმნა. მას დასჯის შეეშინდა და საქართველოში გაიქცა, სადაც ამირა ჩობანის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. ამირა ჩობანმა გაიგო თუ არა აჯანყების შესახებ, მცირერიცხოვანი რაზმით ქურმიშის წინააღმდეგ გაილაშქრა. ორი ჯარი ერთმანეთს გოქჩის ტბასთან დაუპირისპირდა. ამირა ჩობანი დამარცხდა. ბრძოლის დროს იგი ცხენიდან ჩამოვარდა და დაშავდა. ჯერ ნახიჭევანში, შემდეგ კი თავრიზში დაბრუნდა (**Kutbî, 1954:52**). ყაზვინის ცნობით კი, როდესაც აბუ საიდ ხანი ზაფხულში სულთანიეში წავიდა, ამირა ჩობანი საქართველოში მოვიდა. ქურმიშმა კი მისი ჩამოსვლის შემდეგ შეიმუშავა გეგმა და თავს დაესხა მას. ამირა ჩობანი ბრძოლაში დამარცხების შემდეგ თავრიზში წავიდა, იქედან კი ამირა ჰოჯა თაჯედინ ალი შახის დახმარებით სულთანიეში ილხანთა მმართველის წინაშე წარსდგა. ამ დროს, დიარბაქირში მყოფი ქერაითის ტომის წარმომადგენელი ირენჯინი და ქურმიში გაერთიანდნენ. ერთობლივი ძალით აზერბაიჯანის მხარეში წავიდნენ და გაძარცვეს და გადაწვეს იქაურობა. აბუ საიდ ხანი ილხანთა ჯარით მათკენ დაიძრა. ორი ლაშქარი ერთმანეთს ზენჯანში შეხვდა. ქურმიში და ირენჯინი შეიპყრეს და მოკლეს. ბრძოლაში, რომელიც 1319 წელს გაიმართა,

აბუ საიდმა დიდ წარმატებას მიაღწია, რის გამოც „ბაჰადირის“ სახელწოდება მიიღო (Kazvinî, 2018:498-499). ამიტომ წყაროებში ხშირად იხსენიება როგორც ,,აბუ საიდ ბაჰადირ ხანი.“ აღსანიშნავია რომ, მეფე გიორგიმ დიდი როლი ითამაშა საქართველოს არმიის მეთაურის ქურმიშის დამარცხებაში (Lang, 1955:80).

ქუთბი, უზბეკ ხანის რეგიონში მოსვლის შესახებ ცნობებს არ გვაწვდის, თუმცა ქურმუშის აჯანყების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე მოგვითხრობს. რადგან აბუ საიდი ახალგაზრდა იყო, ამირა ჩობანმა ძალაუფლება ხელთ იგდო, რის შემდეგაც უზბეკ ხანზე შურისძიება ისე გადაწყვიტა, რომ აბუ საიდისთვის უკითხავს. მან დიდი ჯარი შეკრიბა და შირვანში მივიდა, სადაც ლაშქარი ორად გაყო. ამირების ნაწილმა დარუბანდის გავლით მდინარე თერგამდე მიაღწია, ამირა ჩობანმა და მისმა ვაჟმა კი საქართველოს გზით იარეს. ეს რომ უზბეკ ხანმა გაიგო, იქაურობას გაეცალა. ილხანები კი მცირე ხნის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. დიდი ძალაუფლების მქონე ამირა ჩობანმა ვაჟებს მნიშვნელოვან თანამდებობები მისცა. თემურთაში ანატოლიის, შეიჰ მაჰმუდი კი საქართველოს მმართველად დანიშნა (Kutbî, 1954:53).

1321 წლის 25 იანვარს აბუ საიდ ხანი ყარაბაღში იმყოფებოდა, როდესაც საქართველოში მყოფი ამირა არიქთაის აჯანყების შესახებ გაიგო. მას აცნობეს, რომ ამირა არიქთაი და თოღრულჯას ვაჟი გაზან ოღლანი გაერთიანდნენ თავი მმართველებად გამოაცხადეს. მათი აღიარების მიზნით ხალხი მოიწვიეს და საქართველოში რამოდენიმე ციხე ააგეს და სურსათ-სანოვაგე მოიმარაგეს. აბუ საიდმა აჯანყების ჩახშობად და ციხეების დასანგრევად ათი ათასიანი მხედრით ფულად ქაბა გაგზავნა. ციხესიმაგრემ მხოლოდ სამ დღეს გაუძლო ფულადის ალყას. არიქთაიმ შეწყალება ითხოვა. ფულადმა შეიწყალა ამირა, რის შემდეგაც იგი ციხიდან გამოვიდა. გაზან ოღლანი კი ციხიდან არ გამოდიოდა. ფულად ქაბამ ჯარისკაცებს მისი გამოყვანა უბრძანა. ჯარისკაცები ციხესიმაგრეში შევიდნენ და გაზან ოღლანი შეიპყრეს, შემდეგ კი ფულადს მიჰგვარეს. ფულად ქაბამ მისი მოკვლის ბრძანება გასცა. ფულად ქაბა საქართველოში აჯანყების ჩახშობის შემდეგ აბუ საიდ ბაჰადირ ხანს ეახლა, რომლისგანაც ჯილდო მიიღო (Işık, 2012:96). საქართველოში 1319 წლის ქურმიშის და 1321 წელს ამირა არიქთაის აჯანყებებს შორის განსხვავება ის იყო, რომ ქურმიშის მიზანი მმართველობის ხელში ჩაგდება იყო, ამირა ქირთაიმ კი ეს მოახერხა და მცირე ხნით გაზან ოღლანი გამოაცხადა მმართველად. მართალია, ეს აჯანყება მასშტაბით ქურმიშისას ჩამოუვარდებოდა (Piriyev, 1978:223), მათ საკმაოდ შეასუსტეს რეგიონში ილხანთა გავლენა.

1321-1322 წლებში ანატოლიაში კიდევ ერთი აჯანყება დაიწყო. ანატოლიაში ამირა ჩობანის ვაჟმა თემურთაშმა საკუთარ სახელზე ფული მოჭრა და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მან თავი მესიად გამოაცხადა და მხარდაჭერა მოიპოვა იმ დროის მნიშვნელოვან სასულიერო პირთა შორის, რომლებიც ეხმარებოდნენ მას (Aksarayî, 2000:263; Eflakî II, 1973:328). თემურთაშმა აბუ საიდის ტახტიდან ჩამოგდებაში მოკავშირეების საძიებლად სირიასა და ეგვიპტეში ელჩები გააგზავნა. ეს რომ ამირა ჩობანმა გაიგო, განრისხებული აბუ საიდს ეწვია, მისი ვაჟის აჯანყების შესახებ ხანს აცნობა და ანატოლიაში წასვლის ნებართვა სთხოვა. თუ თემურთაშს დაიჭერდა, აბუ საიდს მიჰგვრიდა და თუ ბრძოლას გაუმართავდა მის მოკვეთილ თავს მიართმევდა. აბუ საიდი ამირა ჩობანს დათანხმდა.

ამირა ჩობანი ავადმყოფობის გამო ანატოლიაში ვერ წავიდა, მაგრამ ჯარი გაგზავნა. თემურთაშმა მამასთან საბრძოლველად ჯარი შეკრიბა. თუმცა ამირები და წარჩინებულები მამა-შვილს შორის სისხლისღვრის წინააღმდეგ წავიდნენ და თემურთაში მამასთან გაგზავნეს. თემურთაშმა შეწყალება ითხოვა. მამამ თემურთაში შეიწყალა, მაგრამ მის გვერდით მყოფი შფოთისთავი ამირები დაახოცინა. შემდეგ კი თემურთაში აბუ საიდთან წაიყვანა. აბუ საიდმა, ამირა ჩობანის ხათრით თემურთაში დაინდო. გარკვეული ხნის შემდეგ კი კვლავ ანატოლიაში გაგზავნა **(Işık, 2012:96-97)**.

1318 წლის შემდეგ ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის უთანხმოება არ ჩამოვარდნილა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგვიპტის მამლუქებსა და ოქროს ურდოს შორის ნათესაური კავშირის გაჩენის შემდეგ, ეს ორი სახელმწიფო ილხანების წინააღმდეგ მოკავშირეობდა. თუმცა, ერთის მხრივ აბუ საიდ ხანმაც ეგვიპტეთან კარგი ურთიერთობის დამყარების მიზნით ქაიროში ელჩები გაგზავნა. ძღვენით ხელდამშვენებულმა ელჩებმა აბუ სეიდის რეფორმებსა და ისლამისადმი განწყობაზე ისაუბრეს. მალიქ ელ-ნასრის მექისკენ გზის უსაფრთხოება და მტრების (ოქროს ურდოს) წინააღმდეგ მხარდაჭერა სთხოვა. ალ-ნასრმა თხოვნა მიიღო. ილხანებსა და მამლუქებს შორის ურთიერთობები მოწესრიგდა. ამიტომაც, უზბეკ ხანმა ილხანების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებზე მამლუქებმა უარი უთხრეს **(Khelejani, 2013:89)**. მიუხედავად იმისა, რომ ელ-ნასრს წლების განმავლობაში ოქროს ურდოსთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, იუარის მიზეზი ცხადია. ილხანების სახელმწიფოში აჯანყებები არ ცხრებოდა, რაც მის დაშლას უწყობდა ხელს. ილხანთა სახელმწიფო, ეგვიპტისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, ოქროს ურდოს კი თავისი ისტორიაში ყველაზე ნათელი ხანა ჰქონდა. სამხრეთ კავკასიაში ჩამოსვლის და ირანის დაპყრობის შემთხვევაში, ოქროს ურდო ეგვიპტის მამლუქებს დაუმეზობლდებოდა. მსგავსი ძლიერი და საშიში სახელმწიფოს დამეზობლება ეგვიპტეს ხელს არ აძლევდა **(Kamalov, 2003:97).**

ყაზვინის ცნობით, 1324 წელს, ჰაფიზ-ებრუს მიხედვით კი 1325 წელს ამირა ჩობანი საქართველოს გავლით დარუბანდისკენ გაემართა და ოქროს ურდოს ტერიტორიებზე შეიჭრა. მდინარე თერგის ნაპირებამდე მიაღწია, იქაურობა მიწასთან გაასწორა და ტყვეებით უკან დაბრუნდა. ამით მან შური იძია უზბეკ ხანზე, რომელმაც მანამდე დარუბანდის გავლით არანი დაანგრია. გამარჯვებული ამირა ჩობანი აბუ საიდმა დაასაჩუქრა და დააჯილდოვა **(Işık, 2012:98-99; Kazvinî, 2018:500)**. ამ ლაშქრობის შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაცია არსებობს. უზბეკ ხანს შეეძლო, რომ ამირა ჩობანისთვის ამ ლაშქრობის გამო პასუხი მოეთხოვა, მაგრამ წყაროებში ამასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი.

ჰაფიზ-ი ებრუსგან ვგებულობთ, რომ ამირა ჩობანსა და აბუ საიდს შორის უთანხმოების ჩამოვარდნა, ამირა ჩობანის ქალიშვილის ბაღდათ ხათუნის გამო დაიწყო. აბუ საიდმა ამირა ჩობანს ქალიშვილის ხელი სთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ბაღდათ ხათუნი გათხოვილი იყო, მონღოლთა ტრადიციების მიხედვით, თუკი ხანს ქალი მოეწონებოდა, შეეძლო მისი ცოლად შერთვა. ამირა ჩობანი ამას არ დათანხმდა, რამაც ხანი გაანაწყენა. გარდა ამისა, აბუ საიდი უკმაყოფილო იყო ამირა ჩობანის ვაჟის დიმაშქ ჰაჯეს ქმედებებით. აბუ საიდმა ჯერ შვილი მოაკვლევინა და შემდეგ ამირა ჩობანს ვეზირის თანამდებობა ჩამოართვა. 1327 წლის ოქტომბერში კი დაახრჩობინა. ამირა

ჩობანის ცხრა შვილიდან ერთ-ერთმა ამირა ჰასანმა შვილთან თალიშთან ერთად უზბეკ ხანს შეაფარა თავი. უზბეკ ხანმა ისინი პატივით მიიღო, თუმცა მათ დიდ ხანს არ უცოცხლიათ. თემურთაშმა ეგვიპტეს შეაფარა თავი, მაგრამ აბუ საიდის თხოვნით მოკლეს (Işık, 2012:99-113). საქართველოს მმართველი მაჰმუდი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და მის ადგილზე ყუთლუქშაჰის ვაჟი იქბალშაჰი დანიშნეს (Kutbî, 1954:57). აბუ საიდმა ბაღდათ ხათუნი ქმარს ძალის გამოყენებით გააშორა და მასზე დაქორწინდა. ოჯახის წევრები კი დაუხოცა, რის გამოც ბაღდათ ხათუნმა შურისძიება გადაწყვიტა. ბაღდათ ხათუნი აბუ საიდის წინააღმდეგ მოქმედებისთვის ოქროს ურდოში მყოფი ძმის, ამირა ხასანის დახმარებით უზბეკ ხანს დაუკავშირდა და ქმრის მოწამლვა გადაწყვიტა. მაგრამ ეს ამბავი შეიტყვეს და ბაღდათ ხათუნი მოკლეს (Spuler, 1957:143; Kamalov, 2003:95).

როდესაც ილხანთა სახელმწიფო აბუ საიდ ხანთან ერთად დაშლას იწყებდა, საქართველოში გიორგი V-ის ხელისუფლებამ აღმასვლა დაიწყო. მეფემ აფხაზეთი და იმერეთი კვლავ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ერთი შეხედვით საქართველო 1350 წლამდე მონღოლებს ემორჩილებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მონეტებზე აისახებოდა (Spuler, 1957:141). უფრო მეტიც, 1323 წლის დათარიღებული სომხური ხელნაწერში გიორგი V „დიდი სომხეთისა და ქართველთა მეფედ“ მოიხსენიება. 1330-1331 წლით დათარიღებულ წყაროებში კი „საქართველოს მეფედ“ (A.M., 1969:65; Lang, 1955:84). 1327 წელს, ამირა ჩობანის გარდაცვალების შემდეგ, ნოინთა ნაწილმა დამოუკიდებლად დაიწყო მოქმედება და ირანში, ხორასანში, ერაყში, აზერბაიჯანსა და ანატოლიაში მიმოიფანტნენ. ამასობაში, მეფე გიორგიმ მისი სამფლობელო ხან ფულით და ხან მახვილით მონღოლებისაგან გაწმინდა. ქართლის ერისთავების ჩათვლით ყველა ერისთავის დამორჩილება მოახერხა. ძალაუფლება გაამყარა თუ არა, დარუბანდამდე მთელი ტერიტორია საკუთარი მმართველობის ქვეშ მოაქცია (Brosset, 1849:646, Lang, 1955:83; Subaşı, 2015:177). ქვეყანაში გაატარა რეფორმები (Lang, 1955:81-82). საქართველოს XIV ს-ის 30-იანი წლების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ყაზვინი გადმოქვცემს, რომ მონღოლთა დაპყრობებამდე ქართველი მეფეების შემოსავალი ხუთი მილიონი დინარი ან ოცდაათი მილიონი დირჰემი იყო, ილხანთა პერიოდში კი საქართველოს ხაზინიდან დაახლოებით 1,202,000 დინარი, იმდროინდელი ფულით 7,212.000 დირჰემი გადასახადი აუკრეფიათ (Qazwin, 1919:94; Lang, 1955:85).

1335 წელს აბუ საიდ ხანი გარდაიცვალა და ილხანთა ტახტზე არფა ხანი ავიდა. 1335 წლის ბოლოს უზბეკ ხანმა ირანში ილაშქრა და ზამთრის მიუხედავად დარუბანდი გადაიარა და მტკვრის ნაპირებამდე მოვიდა. ილხანთა ლაშქარი არფა ხანის სარდლობით მდინარის მეორე ნაპირზე მოვიდა. ორიმ მხრიდან ისრებით ბრძოლა რამოდენიმე დღე გრძელდებოდა. დიდი წვიმების გამო ვერცერთი ლაშქრის მხედრებმა მდინარე ვერ გადა-ლახეს, რის გამოც ხელჩართული ბრძოლა არ შედგა. ამ დროს, უზბეკ ხანმა ხვარაზმის მმართველი ყუთლუქ თემურის სიკვდილის ამბავი გაიგო და უკან გაბრუნდა. ამირები არფა ხანი, შაჰ ჩობანი, ჰაჯი ჰამზა და ქამარი უზბეკ ხანის ჯარს უკან დაედევნენ, მაგრამ უზბეკ ხანს ვერ დაეწივნენ და უკან დაბრუნდნენ (Kutbî, 1954:59-60; Kafalı, 1976:81).

§ 7. ჯანიბეგ ხანის მმართველობა და ურთიერთობა კავკასიასთან (1340-1357 წწ.)

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ უზბეკ ხანის უფროსი ვაჟი თინიბექი ,,ცისფერი ურდოს“ დედაქალაქ სიღნაღის მმართველი იყო. იბნ ბატუტას ცნობით, ტახტის მემკვიდრე თინიბეგი 1340 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა, მაგრამ მალევე მოკლეს და მისი ადგილი ჯანიბეგ ხანმა დაიკავა. იბნ ბატუტას წერს, რომ სიტყვა „ჯან“ სულს, „ბეგ“ კი „ამირას, მთავარსარდალს“ ნიშნავს. ჯანიბეგი კი ,,სულით მმართველია“. მისივე თქმით, თინიბეგი გარეგნულად სასიამოვნო შესახედაო იყო, ჯანიბეგ კი უფრო ღირსეული და ტახტისთვის შესაფერისი იყო. ასევე ბატუტასგან ვიგებთ, რომ ჯანიბეგის მასწავლებელი და გამზრდელი იყო სეიდ შერიფ ბინ აბდულჰამიდი **(Battûta I, 2004:480).** ქუთბის ცნობით უზბეკ ხანი 1343 წელს გარდაიცვალა. მას სამი შვილი დარჩა. თინიბეგისა და ჯანიბეგის გარდა ჰყავდა მესამე ვაჟი ჰიდირბეგი. უზბეკ ხანის გარდაცვალების შემდეგ ჯანიბეგმა თინიბეგს ბრძოლა გამოუცხადა, დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. შემდეგ კი ძმები დახოცა და ოქროს ურდოს ტახტი დაიკავა. ქუთბის ცნობით თექვსმეტი **(Kutbî, 1954:76),** ოთემიშ ჰაჯისა და აბდულგაფარ ყირიმელის მიხედვით კი **(Kırımî, 2003:44)** ოცდაათი წელი მმართველობდა. ოთემიშ ჰაჯის აზრით ყივჩაღთა ველის მიწებს მისი მსგავსი სამართლიანი მმართველი არ ჰყოლია **(Ötemiş, 2018:55-56).** ჯანიბეგ ხანი, ქალაქ სარაიში მოჭრილ მონეტებზე მოიხსენება როგორც „სულთან მაჰმუდ ჯანიბეგ ხანი“, „სამართლიანი სულთანი ჯანიბეგ ხანი“, „სამართლიანი სულთანი ჩამბექ (უიღურული ასობგერებით) ჯალალედინ მაჰმუდ სულთანი“, ,,უმაღლესი სულთანი ჯალალედინ მაჰმუდ ჯანიბეგ ხანი“. მის სახელზე ფული იჭრებოდა ქალაქ გულისტანშიც **(Kalan, 2012:29,34).**

ჯანიბეგმა საგარეო პოლიტიკაში ბალკანეთის საკითხების გარდა მამისის გზა გააგრძელა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დედამისი ტაიდულა ხათუნიც მისი მმართველობის ხანაში სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული. ტაიდულა ხათუნის ოქროს ურდოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩრთულობა, პოლიტიკაში ქალთა როლზე მიუთითებს **(Vernadsky, 2015:249; Kemaloğlu, 2016b:606)**. ოქროს ურდოს კანონების თანახმად, სახელმწიფოში სატახტო ცვლილებების დროს, მას, ვისაც წინა ხანისგან „იარლიღი“ ჰქონდა მიღებული, მდგომარეობის შესანარჩუნებლად ახალ ხანს უნდა ხლებოდა და „იარლიღი“ მიეღო. ვენეციელები, რომლებმაც 1332 წელს უზბეკ ხანისგან სავაჭრო ნებართვა აიღეს, 1342 წელს ჯანიბეგს ეწვივნენ და ახალი ბრძანების მიღება მოახერხეს. ახალ „იარლიღში“ ვაჭრობის ფორმები და სამართლებრივი საკითხები იყო განხილული. ვენეციელებმა ასევე მიიღეს ნებართვა, რომ აზაკის მახლობლად მდებარე მათი სავაჭრო უბანი გენუელებისგან შორს გადაეტანათ **(Özyetgin, Kemaloğlu, 2017:95)**. 1344 წელს ჯანიბეგ ხანი გენუელებს დაუპირისპირდა და კაფას წართმევა დააპირა, რაც უშედეგოდ დასრულდა. 1347 წელს ვენეციელებთან ახალი სავაჭრო შეთანხმება დაიდო. 1356 წელს ამ ხელშეკრულების საფუძველზე ვენეციელებმა სოლჰათსა და სოლდაიაში ვაჭრობის უფლება მოიპოვეს **(Vernadsky, 2015:249)**.

ჯანიბეგის მმართველობის დროს ჩინეთში ან შუა აზიაში მყოფ თათარ ტომებს შორის შავმა ჭირმა იფეთქა, რომელმაც 1346 წელს ოქროს ურდოსა და ყირიმშიც მიაღწია.

იმავე წელს აზაკში მყოფი გენუელი ვაჭრების საშუალებით კაფაში, იქედან კი ჯარისკაცებს შორის გავრცელდა. შავი ჭირით ყირიმში 85 ათასი კაცი დაიღუპა. ეპიდემია კვიპროსის კუნძულის გავლით ეგვიპტეში მიაღწია და სირიაშიც გავრცელდა. ხმელთაშუა ზღვის გავლით დასავლეთ ევროპასაც მოედო. ოქროს ურდოში ამ პერიოდის გადასახადებისა და მოსახლეობის აღწერის ცნობები არ არსებობს, რაც შესაძლებელს გახდიდა წარმოდგენა შეგვექმნა გარდაცვლილთა რიცხვზე **(Langer, 1975:54).** ეპიდემიამ ოქროს ურდოზე დიდი გავლენა მოახდინა.

ჯანიბეგი მამლუქებთან მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა, მაგრამ ელჩების მიმოსვლა ფაქტიურად შეწყდა. მის დროს ეგვიპტეში ორჯერ გაიგზავნა ელჩობა. პირველი მისი ტახტზე ასვლის შესახებ ცნობის გაგზავნისას, მეორე კი ხორასნისა და აზერბაიჯანის დაპყრობის ამბის საცნობებლად. ეგვიპტეში ოქროს ურდოს ელჩები პატივით მიიღეს **(Gökbilgin, 1972:35-36).**

ჯანიბეგის დროს რუსეთთან ურთიერთობებში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. მმართველობის დასაწყისში მის კარზე მისული რუსი მთავრები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. გაიზარდა ვენეციისა და მოსკოვის სამთავროს გავლენა. რუსული სამთავროებისგან საფრთხე გაუჩნდა ლიტვას, რომელიც შეეცადა, რომ ჯანიბეგთან კავშირი შეეკრა, მაგრამ ამაოდ, ხანმა წინადადება არ მიიღო **(Vernadsky, 2015:251-252)**. რუსულ სამთავროებს შორის გაჩარებული ბრძოლების დროს ჯანიბეგმა ივან კალიტას შვილების მხარი დაუჭირა და პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისგან დაიცვა, ტის გამოც რუსულ წყაროებში მას მოიხსენიებენ როგორც "Добрый царь Чанибек" (კეთილი მეფე ჯანიბეგი) **(Kalan, 2012:29).**

ჯანიბეგ ხანი ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკაში მხოლოდ საზღვრების გაფართოებას არ დასჯერდა და სახელმწიფო ეკონომიკური და სოციალური კუთხითაც გააძლიერა.

მომდევნო თავებში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ ჯანიბეგის განათლებისადმი. იგი მუდამ მხარს უჭერდა მეცნიერებს, განსაკუთრებით, ასტრონომიასა და მედიცინაში, სადაც გარკვეული მიღწევები იყო და წიგნებიც იწერებოდა. შემორჩენილია ცნობები ჯანიბეგის ორ ცოლზე. ერთი მათგანი იყო ყივჩაღი ტაიდულუ ხათუნ, რომელსაც უყვარდა მეცნიერება და ქალაქ უქექში სასწავლებელი ააშენა **(İzgi, 1996:163-165).**

1357 წელს ჯანიბეგი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შესახებ წყაროებში ორი აზრია გაბატონებული. ერთ-ერთის მიხედვით იგი მისმა ვაჟმა ბერდიბექმა მოკლა თუმენ ბეი ქანგლი თულუბაის დახმარებით. მეორე მოსაზრებით კი შეთქმულებმა დაახრჩეს **(Gökbilgin, 1972:37-38; Kafalı, 1976:85).**

ოქროს ურდო პრეტენზიას აზერბაიჯანზე ილხანთა სახელმწიფოს დაშლის პირველ ხანებშიც გრძელდებოდა. რეგიონში არსებული შიდა დაპირისპირებების გამო მისი დაპყრობა უფრო მარტივი იყო. ამ არეულობის დროს, რეგიონს, რომლის ცენტრიც თავრიზი იყო, მართავდა თურქულ-მონღოლური წარმოშობის ამირა მელიქ ეშრეფი, ამირა ჩობანის შვილიშვილი და თემურთაშის ვაჟი. წყაროების გვამცნობენ, რომ მელიქ ეშრეფი ცუდი მმართველი და საშინელი პიროვნება იყო, რაც ხალხს ძალიან აწუხებდა. ამიტომაც მოვლენები ჯანიბეგის სასარგებლოდ განვითარდა. ქუთბი გადმოგვცემს, რომ,

რადგან ოქროს ურდო დიდი ხნის განმავლობაში ამ ტერიტორიებზე პრეტენზიას აცხადებდა და აქ არეულობამ და ხალხის უკმაყოფილებამ იჩინა თავი, თავრიზის, ბაილაქანის, ბერდას და ნახიჭევანის მოწუნავე პირები ჯანიბეგს ეახლნენ და ქვეყნის დასაპყრობისკენ მოუწოდეს **(Kutbî, 1954:76; Kafalı, 1976:83).** ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ აზერბაიჯანში ჯანიბეგს ბევრი მომხრე ჰყავდა **(Yakubovskiy, 1976:160).**

ოთემიშ ჰაჯისა და აბდულგაფარ ყირიმელის ცნობით, ომი მელიქ ეშრეფის მიერ ხალხისა და სწავლულებისადმი ცუდმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. მელიქ ეშრეფს საკუთარი ქალიშვილი შეუყვარდება და მასზე დაქორწინება მოინდომა. მან დაიბარა სწავლულები და ჰკითხა: ადამიანი, რომელიც ხეს დარგავს, ამ ხის ნაყოფი მან უნდა ჭამოს თუ სხვას უნდა აჭამოსო“. სწავლულებმა უპასუხეს, რომ შეიძლება თვითონაც ჭამოს და სხვამაცო. მელიქ ეშრეფმა ეს პასუხი თავის სასარგებლოდ გამოიყენა და საკუთარ ქალიშვილზე დაქორწინდა. თავრიზის მაღალი საზოგადოება ამ მოვლენამ ძლიერ შეაშფოთა. სწავლულები შეიჰ ქუჯეჯი დამასკოდან, სადრედინ ერდებილელი გილანიდან, ყადი მუჰიდინი ბერდადან ქალაქ სარაიში წავიდნენ და ჯანიბეგს მოახსენეს, რომ „ჩვენი მმართველი ურჯულოა, ჩვენ კი მის მონებად ვიქეცით. ისლამის ფადიშაჰი უკვე თქვენ ხართ და მუსლიმი ხალხი ამ ურჯულოსგან უნდა დაიხსნათო.“ ჯანიბეგმა ლოცვის შემდეგ სწავლულები სალოცავში მიიწვია და რჩევა ჰკითხა. მათ მიუგეს, რომ, აუცილებლად უნდა მოეცილებინა მელიქ ეშრეფი. ამის შემდეგ ჯანიბეგი სამი დღე სალოცავიდან არ გამოსულა. ლაშქარი მოამზადა და დარუბანდის გავლით მდინარე მტკვრის წელზე მოვიდა, იქედან კი თავრიზისკენ აიღო გეზი. **(Ötemiş, 2018:55-56; Kırımî, 2003:44; Kamalov, 2003:98-99; Kafalı, 2009:89).**

1357 წელს თავრიზში ჯანიბეგის ლაშქრობა მელიქ ეშრეფისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. როდესაც ჯანიბეგი შირვანს მიუახლოვდა, მელიქ ეშრეფმა ზომების მიღება დაიწყო. ჯანიბეგმა მელიქ ეშრეფს ელჩი გაუგზავნა და დაუბარა: *„ჰულაგუს ულუსის დასაპყრობად მოვდივარ. შენ ოთხი ულუსის მმართველებიდან სახელოვანი ჩობანის ვაჟი ხარ. დღეს სამი ულუსი ჩემი მმართველობის ქვეშაა. მე ულუსის ამირის თანამდე-ბობას გიბოძებ. ადექი და შემეგებე!“* მელიქ ეშრეფმა: *„შენ ბერქეს ულუსის ფადიშაჰი ხარ, აბაღასთან კავშირი არ გაქვს. ეს მიწები გაზან ხანს ეკუთვნოდა და ახლა ჩემს ხელშია“*–ო უპასუხა და ბრძოლისთვის მზადყოფნის შესახებ აცნობა. მელიქ ეშრეფმა ბრძოლისთვის მზადების პარალელურად, ოჯახი, 400 აქლემით და 1000 ჯორით დატვირთული ძვირფასეულობით, ოქროთი და განძით უჯანის მხარეში გაგზავნა. მელიქ ეშრეფის ლაშქარი თექვსმეტი–ჩვიდმეტი ათასი ჯარისკაცისგან შედგებოდა. ოქროს ურდოს ლაშქრის ზუსტ რაოდენობასთან დაკავშირებით ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ფაქტია, რომ მელიქ ეშრეფის ლაშქარს აღემატებოდნენ. ორი ლაშქარი ერთმანეთს უჯანში დაუპირისპირდა **(Khelejani, 2013:96-97; Kamalov, 2003:99).**

როდესაც მელიქ ეშრეფმა თავრიზის მახლობლად პატარა სოფელ საიდაბადთან მიაღწია, გაიგო, რომ მისი ლაშქრის დიდი ნაწილი დაშლილიყო. ამ დროს იგი მოწინააღმდეგის ჯარს შეხვდა. მელიქ ეშრეფი საგანძურისა და ოჯახის მიმართულებით გაიქცა, მისმა ცოლებმა იგი მარტო დატოვეს და გაიქცნენ. აქედან მელიქ ეშრეფი ჰოიში წავიდა და იქ შეიხ მუჰამედ ბალიქჩის სახლს შეაფარა თავი. შეიხმა იგი კარგად მიიღო,

თუმცა ჯანიბეგ ხანს მალულად კაცი გაუგზავნა და მისი ადგილი აცნობა. ამირა ბეიაზმა და ჰოჯა მაჰმუდმა მელიქ ეშრეფი შეიპყრეს და თავრიზში წაიყვანეს. ჯანიბეგ ხანს მელიქ ეშრეფის სიკვდილი არ სურდა, მაგრამ სწავლულეთა რჩევით იგი სიკვდილით დასაჯა. ამ მოვლენების შემდეგ ჯანიბეგი 100.000 ცხენოსნით თავრიზში შევიდა და აქ გაჩერდა. განძის ნაწილი ჯარისკაცებს დაურიგა ალაფის სახით (Gökbilgin, 1972:33-35; Kamalov, 2003:100-101), ნაწილი კი 400 აქლემით ქალაქ სარაიში გაგზავნა (Fahreddin, 2003:60). უცნობი სომხური ქრონიკის მიხედვით, ჯანიბეგმა მელიქ ეშრეფი 1359 წელს მოკლა (Galstyan, 2005:159). ქრონიკაში მოცემული თარიღები ხშირად არასწორია და არც ეს თარიღი უნდა შესსაბამებოდეს სიმართლეს, რადგან 1359 წელს ჯანიბეგი გარდაიცვალა და ტახტზე მისი ვაჟი ბერდიბეგი ავიდა. შირაზის ცნობით, ჯანიბეგი თავრიზში მოვიდა, მისი ვაჟი ბერდიბეგი 50 ათასიანი ჯარით თავრიზის გამგებლად დანიშნა და თვითონ უკან გაბრუნდა (Şirazi, 1996:113). ამგვარად ახლად დაპყრობილი ტერიოტირები მმართველის გარეშე დაჩა და ოქროს ურდომ ის კვლავ დაკარგა.

აზერბაიჯანის დაპყრობით ჯანიბეგ ხანმა მელიქ ეშრეფის მოცილებით მოსახლეობის კეთილგანწყობა მოიპოვა. თავრიზში, ბაღდადსა და მაზანდარანის ქალაქ ამულში ჯანიბეგის სახელზე მონეტები მოიჭრა. დღეს მიღებულია აზრი, რომ მელიქ ეშრეფსა და ჯანიბეგს შორის ბრძოლა 1356 წლის ბოლოს გაიმართა, 1357 წელს (Kafalı, 1976:84; Khelejani, 2013:97) კი აზერბაიჯანსა და საქართველოს ერთ ნაწილში მცირე ხნით ოქროს ურდო იყო გაბატონებული. ჩობანოღლების მოკლე ხნიან ბატონობას ჯანიბეგმა წერტილი დაუსვა. საქართველოს ნაწილი ოქროს ურდოს მმართველობას დაექვემდებარა. ამას მოწმობს 1357 წელს ჯანიბეგისა და ბერდიბეგის სახელზე მოჭრილი მონეტები. 1356–1357 წლებში მოჭრილი მონეტებიდან ჩანს, რომ დასავლეთ ირანისა და ერაყის ტერიტორიებზე მყოფი ჯალაირების[24] სახელით ცნობილმა მონღოლთა დინასტიამ ოქროს ურდოს მიერ ამ რეგიონის დაპყრობის შემდეგ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით (მმართველობის გარეშე ყოფნით) და მცირე ხნით აღმოსავლეთ საქართველოსა და თბილისის დამორჩილება მოახერხა. 1357 წლის შემდეგ მოჭრილი მონეტები არ არსებობს, რაც აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა ბატონობის დასასრულზე მიანიშნებს. 1358 წელს ქართველებმა თბილისი კვლავ დაიბრუნეს (Lang, 1955:90-91; Gabashvili, 2002:391).

ოქროს ურდოს ხანები აზერბაიჯანზე გაბატონებას თითქმის ასი წლის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ ჯანიბეგამდე ეს ვერავინ მოხერხდა. ჯანიბეგის მმართველობის შემდეგ ოქროს ურდოს მმართველი ბერდიბეგ ხანი გახდა, რომლის სახელზე მოჭრილი მონეტა თავრიზში ვერ აღმოაჩინეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოქროს ურდოს მმართველებს იქ დიდი ხნით არ უბატონიათ. ჯანიბეგმა ამ დაპყრობით აასრულა ოქროს ურდოს დიდი ხნის მიზანი. რა თქმა უნდა, ამან მატერიალური რესურსებიც გაზარდა. თუმცა მოლოდინი, რომ ოქროს ურდო თავისი ძლიერების ხანას მიაღწევდა მცდარი აღმოჩნდა, რადგან მისი წინსვლა შეჩერდა და დაცემა დაიწყო (Yakubovskiy, 1976:160-161). ამის მიზეზი კი ის იყო, რომ საუკუნენახევარზე მეტხანს გაგრძელებული ოჯახური და ფეოდალური დაპირისპირებები (İzgi, 1996:148).

[24] ჯელაირების შესახებ იხ: (Ürekli, 1993: 264-265).

§ 8. ბერდიბეგ ხანის მმართველობა (1357-1360 წწ.)

ჯანიბეგი თავრიზიდან დაბრუნებისას გზაში შეუძლოდ გახდა და ამის შესახებ მის ვაჟს ბერდიბეგ ხანს ამბავი გაუგზავნა, რის შემდეგადაც ბერდიბეგ ხანი თავრიზის გზას დაადგა. ზემოთაც აღვნიშეთ, რომ ჯანიბეგის სიკვდილთან დაკავშირებით წყაროებში განსხვავებული ცნობები არსებობს. გავრცელებული თვალსაზრისით, მის მოკვლაზე თუმენ ბეი ქანგლი თულუბაიმ მოახდინა გავლენა. ზოგიერთი წყარო ჯანიბეგის დახრჩობით მოკვლის შესახებაც საუბრობს. ქანგლი თულუბაიმ ბერდიბეგს უთხრა, ტახტზე ასასვლელად მამაშენი უნდა ჩამოიშოროო და მამასთან ერთად თორმეტი ძმა მოაკვლევინა. სწორედ ამიტომ ბერდიბეგი წყაროებში „ფესვის გამხმობად“ მოიხსენიება **(Ötemiş, 2018:57; Kamalov, 2003:102-103; Kafalı, 1976:85).**

ოთემიშ ჰაჯის ცნობით, ქანგლი თულუბაიმ ბერდიბეგი შურისძიების გამო წააქეზა. მისი შვილი სუმაი ჯანიბეგმა ქურდობის გამო სიკვდილით დასაჯა. საბოლოოდ ქანგლი თულუბაიმ შეძლო, რომ სახელმწიფო მმართველობაში გარკვეული გავლენა მოეპოვებინა. ოთემიშ ჰაჯის გადმოცემით, ბერდი-ბეგი უგუნური და წინდაუხედავი ადამიანი იყო და ქანგლი თულუბაი მას ხშირად აზრს აცვლევინებდა, რის გამოც ხშირად თავს იჩენდა დაპირისპირებები (**Ötemiş, 2018:57**). აბდულგაფარ ყირიმელი კი საპირისპიროს ამბობს. მისი თქმით ქანგლი თულუბაის ვაჟი ბერდიბეგმა მოკლა და თულუბაიმ შურისძიების მიზნით ხანს ტახტის მემკვიდრის გარდა ყველა ვაჟი და ძმა დაახოცინა. დარჩენილი ერთადერთი ტახტის მემკვიდრე ბერდიბეგზე ადრე გარდაიცვალა. უზბეკ ხანის ცოლს უმერას, ჯანიბეგის დედას და ბერდიბეგის ბებიას, ტახტზე ტაიდულა ხათუნის აყვანა სურდა, მაგრამ წესით ტახტი შიბან ყაენის შთამომავალს ეკუთვნოდა და ვერ მოახერხა. ოქროს ურდოში ქალებს ჰქონდათ ტახტის დაკავების უფლება, მაგრამ ამას ახალი რელიგია, უკვე კრძალავდა **(Kırımî, 2003:45).**

ქანგლი თულუბაის სახელმწიფო საქმეებზე გავლენამ და სატახტო ცვლილებებმა მდგომარეობა ვერ გამოასწორა, რამაც მთელ ქვეყანაზე იმოქმედა. ამირებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ქვეყანაში შიდა არაეულობა დაიწყო. ბერდიბეგის პოლიტიკამ სახელმწიფოში უკმაყოფილობა გამოიწვია და მისსავე სიცოცხლეში შვიდი ხანი გამოჩნდა, რომლებიც ტახტს ეცილებოდნენ. ბერდიბეგმა თულუბაის რჩევიაატ შვილები დახოცა და უმემკვიდრეოდ დარჩა. ტახტზე ყოფნიდან სამი წლის შემდეგ კი გარდაიცვალა. საგვარეულოში მამაკაცი არ დარჩა და ამიერიდან ბათო ხანის შთამომავლობა, ოქროს ტახტის ანუ თეთრი ურდოს დინასტია ბერდიბეგით დასრულდა **(Kafalı, 1976:86; Kamalov, 2003:103).**

გარდა ამისა, დროთა განმავლობაში ჯანიბეგისა და ბერდიბეგის სიკვდილთან დაკავშირებით ახალი მოსაზრება გაჩნდა, რაც შავ ჭირის ეპიდემიას უკავშირდება. დაავდება ჯანიბეგის მმართველობის დროს დაიწყო და ფართო გეოგრა-ფიული არეალი მოიცვა. ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ისინიც ამ დაავადებამ შეიწირა **(Schamiloglu, 2017:328**), რადგან ჯანიბეგი გზაში ცუდად გახდა და სწორედ შავი ჭირის გამო დაიხრჩო. ბერდიბეგი კი მხოლოდ სამი წელი იჯდა ტახტზე და ოთემიშ ჰაჯის გადმოცემის მიხედვით, გარდაცვალებამდე ისიც ავადმყოფობდა **(Ötemiş, 2018:59).**

§ 9. 1361-1380 წლების მოვლენები

ბერდიბეგ ხანის სახელით მოჭრილი პირველი მონეტები 1357 წლით თარიღდება, ხოლო ბოლო სარაისა და გულისტანში 1360 წელს მოიჭრა. ბერდიბეგი ფულზე მოხსენიებულია როგორც „სამართლიანი სულთანი მუჰამედ ბერდი ბეგი“ ან „უზენაესი სულთან მუჰამედ ბერდი ბეგი“. 1361 წლიდან ვხვდებით მონეტებს, თუმცა უცნობია თუ რომელ დინასტიას ეკუთვნის ის. ეს კი მიანიშნებს ოქროს ურდო არსებულ დაპირისპირებაზე (**Kafalı, 1976:86-87**).[25]

1360-1380 წლებში 25 ხანი ავიდა ტახტზე (**Fahreddin, 2003:63; Kamalov, 2016:607).** *ოთემიშ ჰაჯისა და აბდულქადირ ყირიმელის გადმოცემით, ბერდიბეგ ხანის გარდაცვალების შემდეგ ერთ თვეში, სირდარიის მარცხენა მხარეს ყარა ნოღაი, მარჯვენა მხარეს სარაიში კი ხიზირ ხანი გაბატონდნენ. მცირე ხნის შემდეგ ტაიდულუ ხათუნმა ხიზირ ხანი გადააყენა და მის ნაცვლად ქელდიბეგი მოიყვანა. მას ხალხი არ ემორჩილებოდა და მალე იგი ფაზარჯი ხანით შეცვალეს. ხვარაზმის მმართველი აქ ჰუსეინი ტაიდულა ხათუნის მოქმედებებმა შეაწუხა, ხიზირ ხანთან გაერთიანდა და ქალაქ სარაიში სერიოზული ბრძოლა გამართა. ბრძოლის შემდეგ ხიზირ ხანი მეორედ ავიდა ტახტზე. წელიწადნახევრის შემდეგ ხიზირი შვილმა, ბარუთმა დანით მოკლა და თავი ხანად გამოაცხადა. ორი-სამ დღეში ბარუთი მოკლეს. ამის შემდეგ არეულობა დაიწყო, ყველა მხარეში ამირები აჯანყდნენ. ქალაქი სარაი გაანადგურეს. მოსახლეობის უმრავლესობა ყირიმში გადასახლდა. ყარა ნოღაი კი სამწლიანი მმართველობის შემდეგ გარდაიცვალა. ყირიმელის ცნობით, მისი ადგილი თუღლუ თემურმა დაიკავა, რომლის მმართველობაც ჩაღათაის მიწებამდე ვრცელდებოდა. შვიდწლიანი მმართველობის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. ოთემიშ ჰაჯის ცნობით, თუღლუ თემური, რომელიც სამარყანდსა და ბუხარას ფლობდა, დიდებული მმართველი იყო, თუმცა მისი მამრთველობის წლები უცნობია. თუღლუ თემურის შემდეგ ტახტზე ურუს ხანი ავიდა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ტახტის ყველა პრეტედენტი თავიდან მოეშორებინა. მათ მათ შორის იყო თოხთამიშ ოღლანი, რომელმაც მირზას შეაფარა თავი. მირზამ იგი თემურლენგთან წაიყვანა და მისი დახმარებით თოხთამიში ყარაყორომში ხანად დასვა, თუმცა მოვიდა ურუს ხანი და ჩამოაგდო ის. ასე განმეორდა სამჯერ, რამაც ორივე მხარე დაასუსტა. ურუს ხანის შემდეგ კი ტახტ თოხთამიშმა დაიკავა* (**Ötemiş, 2018:61-70; Kırımî, 2003:45-46).**

ბერდიბეგ ხანის მმართველობის პერიოდიდან დაწყებულმა შიდა დაპირისპირებებმა მთელი ოქროს ურდო მოიცვა და ქვეყნის დაქსაქსვა გამოიწვია. მოსახლეობა ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებს ვეღარ უმკლავდებოდა და შესაბამისად უკეთეს თავშესაფარს ეძებდა. ამან დიდი მიგრაციული პროცესები გამოიწვია (**Kırımî, 2003:46).**

ამ არეულობის პერიოდში ყველაზე ძლიერი მმართველი მამაი მირზა იყო. იგი ბერდიბექის სიძე იყო და რახან ჩინგიზ ხანის შთამომავალი არ იყო, ტახტზე ვერ ადიოდა. თუმცა დუმენის მეთაური იყო და ათი ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. ამიტომ ნოღაის

[25] ოქროს ურდოში მოჭრილი მონეტები თარიღისა და ადგილის მითითებით იხ. დანართი.

მმართველობის ხანაში ტახტზე მისი კანდიდატების აყვანას ახერხებდა და ფარულად მართავდა მათ. ამ დროის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ოქროს ურდოს პირველი მარცხი რუსებთან. 1370, 1374 დ 1376 წლებში რუსები სამჯერ დაესხნენ თავს ქალაქ ბოლგარს. მამაი მირზა ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის სამთავროს გაძლიერება, რის გამოც 1378 წელს რუსებს დაუპირისპირდა, მაგრამ რუსებმა დაამარცხეს ის. მამაი მირზამ 1380 წელს გენუელების, ჩერქეზების, ალანების და სხვათაგან დიდი ჯარი შეკრიბა და რუსებს დაუპირისპირდა. 1380 წელს გამართული ბრძოლა თავიდან მამაი მირზას უპირატესობით მიმდიანრეობდა, მაგრამ საბოლოოდ რუსებმა გაიმარჯვეს. რუსებმა ისარგებლეს ოქროს ურდოში არსებული მძიმე მდგომარეობით და ზედი ზედ რამდენჯერმე დაამარცხეს და მიხვდნენ, რომ შეეძლოთ თათრების დამარცხება. ოქროს ურდოში არსებული არეულობა რუსებს დამოუკიდებლობას მოუტანდა, თუმცა მართვის სადავეების ხელში აღება თოხთამიშ ხანმა მოახერხა **(Kamalov, 2016:608-609; Fahreddin, 2003:64).**

§ 10. თოხთამიშის მმართველობა და ურთიერთობა კავკასიასთან (1379-1397 წწ.)

თოხთამიშ ხანი, 1378/1379 წელს ურუს ხანის გარდაცვალების შემდეგ თემურ ლენგის დახმარებით ყივჩაღთა ქვეყნის (ველის) მმართველი გახდა და 1380 წელს ქალაქ სიღნაღში ტახტი დაიკავა **(Şâmî, 1987:93).** ერთ წელიწადში თოხთამიში მდინარე ვოლგის სანაპიროებამდე დაწინაურდა და დედაქალაქ სარაიმდე მოვიდა. თანდათანობით ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჰეგემონობის მოპოვება მოახერხა **(Ağat, 1976:33; Kafalı, 1976:102)**.

თოხთამიშის დასავლეთისკენ გეზი მამაი მირზას დევნას ისახავდა მიზნად. 1380 წელს რუსებთან დამარცხების შემდეგ მამაი მირზა დასუსტდა. ბრძოლის შემდეგ იგი ყირიმში დაბრუნდა და ახალი ბრძოლისთვის მზადებას შეუდგა. სწორედ ამ დროს შეიტყო თოხთამიშის ლაშქრობის შესახებ. თოხთამიში ყივჩაღის ველის ხელში ჩაგდებას აპირებდა და აქ განვითარებულ მოვლენებს ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს. მამაი მირზას დასუსტებით ხელსაყრელი დრო იხელთა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. 1380 წელს მდინარე კალკას მახლობლად გაიმართა ბრძოლა, რომელშიც თოხთამიშმა გაიმარჯვა. ტახტზე ასვლის შემდეგ ეს იყო მისი პირველი ბრძოლა, რომელიც გამარჯვებით დასრულდა. მამაი მირზას მიყოლებით მარცხს ეს ბრძოლაც დაემატა, რამაც საბოლოოდ გააქრო ასპარეზიდან. მამაი მირზამ კაფაში მდებარე გენუელების კოლონიას შეაფარა თავი. რამოდენიმე დღეში გენუელებმა მოკლეს იგი და ქონებაც გაძარცვეს. ამის შემდეგ მამაი მირზას ჯარი და მეთაურები თანდათან თოხთამიშ ხანის სამსახურში ჩადგნენ. ამგვარად თოხთამიშმა ხელი შეუწყო ბათო ყაენის მოდგმის გაგრძელებას და კვლავ მოახერხა ჯუჩის ულუსის გაერთიანება. ყველა მეტოქე ჩამოიშორა და ოქროს ურდოს ერთადერთი მმართველი გახდა **(Kafalı, 1976:103).** ტერიტორიები გაზარდა და ჯარიც გაზარდა.

1380 წლის ამ წარმატების შემდეგ თოხთამიშმა შეძლო საკუთარი ხელისუფლების დამყარება სარაიში, სარაიჯიქში, ჰაჯი თარჰანსა (ასტრახანი) და ყირიმში. ხვარაზმისა და აზერბაიჯანის გარდა, ოქროს ურდოს ყველა ძველი ტერიტორია იგდო ხელთ (**Kamalov,**

2016:609; Kafalı, 1976:104). თოხთამიშ ხანის მმართველობა ოქროს ურდოს ისტორიაში მეორე აღზევების ხანაა. მამაი მირზას დამარცხების შემდეგ ოქროს ურდოი წესრიგი დაამყარა და ამბის საცნობებლად მოსკოვის მთავარს, დიმიტრის ელჩი გაუგზავნა. რუსებმა ძრვენი გაუგზავნეს და მორჩილება აღუთქვეს. თოხთამიშმა გაძლიერებული რუსული სამთავროებისგან მხოლოდ ეს არ იკმარა და მათ წინააღმდეგლაშქრობისთვის საიდუმლო მზადება დაიწყო და 1382 წელს გეზი მოსკოვისკენ აიღო. რუსი მთავრები ლაშქრობას მოუმზადებელნი შეხვდნენ. რიაზანის მთავარი ოლეგი თოხთამიშ ხანის მხარეს იბრძოდა. 1382 წლის 23 აგვისტოს თოხთამიშ ხანის ჯარებმა მოსკოვის ალყაში მოაქციეს. ბრძოლაში 24 ათასი კაცი დაიღუპა. მოსკოვის აღების შემდეგ თოხთამიშ ხანმა რუსულ სამთავროებზე თავისი ძალაუფლება გამოაცხა და ყოველწლიური ხარკის გადახდა დააკისრა. ამ გამარჯვების შემდეგ, თოხთამიში ქალაქ სარაისკენ გაემართა **(Kurat, 1987:96-97; Kamalov, 2016:609-610; Kafalı, 1976:104).**

მართალია, თოხთამიშ ხანმა ოქროს ურდოს სახელმწიფოს თავიდან გაერთიანება მოახერხა, მაგრამ ხვარაზმი და აზერბაიჯანი ვერ იგდო ხელთ. მათი დაქვემდებარება კვლავ იდგა ოქროს ურდოს დღის წესრიგში. თუმცა, სამხრეთ კავკასიაში ვითარება შეიცვალა. ილხანების შემდეგ ჩობანოღულების (მელიქ ეშრეფი), მოგვიანებით კი ჯელაირების ბატონობის ქვეშ მოქცეულ აზერბაიჯანს თემურ ლენგმა დაადგა თვალი. 1384 წელს იგი აზერბაიჯანისკენ გაემართა **(Alan, 2015:46)** და მისი მმართველი აჰმედ ბაღდათი იძულებული გახდა უკან დაეხია. თემური აქ დიდ ხანს არ გაჩერებულა და უკან დაბრუნდა **(Şâmî, 1987:116-117).**

თემურლენგისა და თოხთამიშის დაპირისპირებაში აზერბაიჯანის მსგავსი ბედი გაიზიარა მთელმა სამხრეთ კავკასიამ. მის ხელში ჩაგდებას დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ყივჩაღთა ველის მფლობელი ოქროს ურდო და ირანისა და მავერანნაჰრზე გაბატონობული სახელმწიფოები. აქ გადიოდა სავაჭრო გზები აზიიდან ჩრდილოეთით და აკავშირებდა ხმელთაშუა ზღვისა და ირანის რეგიონებს ჩრდილოეთის ქვეყნებთან **(Alan, 2015:48).** ამიტომაც სურდათ ახალ ძლიერ ძლას თემურ ლენგს და თავიდან ძალამოკრებილ ოქროს ურდოს ამ რეგიონზე გაბატონება. ამის გამო, თოხთამიშ ხანმა ილხანთა სახელმწიფოს მსგავსად თემურ ლენგის წინააღმდეგ მოკავშირეობის მიზნით ეგვიპტესთან მოსალაპარაკებლად 1385 წლის 25 იანვარს ქაიროში ელჩები გააგზავნა. ელჩებისა და ეგვიპტის სულთან ბერქუქს შორის საუბრის დეტალები უცნობია, მაგრამ ამ შეხვედრის შემდეგ თოხთამიშ ხანმა თავრიზში ლაშქრობა გადაწყვიტა **(Kamalov, 2003:106; Kafalı, 1976:106; Yakubovskiy, 1976:224).**

თემურ ლენგი ირანი საქმეეით იყო დაკავებული, რითაც ისარგებლა თოხთამიშ ხანმა და 1381, 1384 და 1386 წლებში ხვარაზმში მის სახელზე ფული მოჭრა. ჩათვალა, რომ იგი არ წარმოადგენდა საფრთხეს და მთლიანად გადაერთო აზერბაიჯანის საკითხზე **(Kafalı, 1976:105; Kamalov, 2003:105; Alan, 2015:47).** თოხთამიშ ხანმა დაახლოებით ცხრა დუმენი ჯარი შეკრიბა და ზამთარში თავრიზს ალყა შემოარტყა. თავრიზის მოსახლეობამ ქალაქის დაცვა ერთი კვირის განმავლობაში მოახერხა, შემდეგ კი დანებდა. თოხთამიში ქალაქში შევიდა და გაძარცვა. ნიზამუდინ შამის მიხედვით, თოხთამიშ ხანიმა თავრიზში მდებარე მეჩეთები და მედრესეები გადაწვა და დაანგრია და უამრავი ტყვე წაიყვანა.

თემურ ლენგი თოხთამიშის საქციელმა გაანაწყენა. ნიზამუდინ შამი დათარიღების გარეშე მოგვითხრობს, რომ თემურმა მოგვიანებით თავრიზი თოხთამიშის ჯარისგან გაწმინდა და ქალაქს ძველი სახე დაუბრუნა (**Şâmî, 1987:93).** თოხთამიშის 1385 წლის ამ მოქმედებას თემურთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა.

თოხთამიშისთვის გზების ჩაკეტვის მიზნით, თემურ ლენგმა კავკასიაში გადასასვ-ლელების დაპყრობა გადაწყვიტა და საქართველოს დასალაშქრად გამოემართა (**Paydaş, 2016:422).** თოხთამიშის ბოლო მოქმედების გამო, 1386-1388 წლებში ჯერ ნახიჭევანი აიღო, შემდეგ კი ყარსი და თბილისში მოვიდა. ესპანელი მოგზაური რუი გონსალეს დე კლავიო თემურ ლენგის საქართველოში შემოსვლის მარშუტის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: *„თემურ ლენგმა 1370 წლიდან დაპყრობები დააჩქარა. მონღოლური ქვეყნების დაპყრობის შემდეგ ინდოეთისკენ აიღო გეზი, ინდოეთიდან დაბრუნებულმა ხორასანი და რეი დაიპყრო და მთელ ირანში გაბატონდა. მოგვიანებით, გილანი, დარუბანდი, სომხეთი, ერზინჯანი და ერზურუმი აიღო. შემდეგ კი მარდინის ბეილიქისა და სომხეთის მეზობელი საქართველო დაიპყრო* (**Clavijo, 1928:23**)*.“*

ნიზამუდინ შამი გადმოგვცემს, რომ როდესაც თემურ ლენგი თბილისში შემოვიდა ამირებსა და სახელმწიფო მოხელეებს შემდეგნირად მიმართა: *„უცნაურია, რომ ძველმა ფადიშაჰებმა და მბრძანებლებმა არამუსლიმ ქართველებს ქვეყნის შუაგულში საკუთარი ქქვეყნის მართვის უფლება მისცეს. მუსლიმობა და მორწმუნეობა სადღაა? კერპთაყვანისმცემლებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ კერპები მათ ვერ დაეხმარებიან, თავიანთი რელიგიის გარეთ ყველას ანადგურებენ. მიუხედავად ღმერთის დაპირებისა, რომ ის დაგეხმარებოდათ, ეს ურჯულოები რატომ დატოვეს მუსლიმებმა სახელმწიფოს სათავეში? მათგან მცირე სარგებლის მიღების მიზნით ეს არ უნდა დაეშვათ. ახლა კი ჩვენი მბრძანებლობის ჯერია. ისლამური სამყარო მათი ბოროტებისგან ჩვენ უნდა გადა-ვარჩინოთ.“* ამის შემდეგ თემურმა თბილისი აიღო. ნიზამუდინ შამის ცნობებით, თემურმა საქართველოში პირველად შემოსვლისას ბაგრატ მეფე დაატყვევა და ისლამის მიღება მოსთხოვა (**Şâmî, 1987:120-121).** თუმცა, ,,ქართლის ცხოვრებიდან“ ვგებულობთ, რომ ბაგრატ მეფემ მოსახლეობის ერთ ნაწილთან ერთად ციხეს შეაფარა თავი, მეორე ნაწილმა კი შედარებით უსაფრთხო გამოქვაბულებს მიმართა. ბაგრატი რჯულის დათმობას სიკვდილს ამჯობინებდა. სწორედ ამიტომ გაუწია თემურს წინააღმდეგობა. მიუხედავად ორივე მხარის დიდი დანაკარგისა, ქართვლებმა მტრის წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს და უკან, ციხესიმაგრეში დაბრუნდნენ. თემურმა ჯარი ციხესიმაგრის ასაღებად გაგზავნა. ქართველებმა შეტევას ვეღარ გაუძლეს და ბაგრატ V, დედოფალი ანა და ციხესიმაგრეში გამაგრებული ყველა ქართველი დაატყვევა (**Brosset, 1849:653).** თემურმა ბაგრატ V–ს ისლამის მიღება მოსთხოვა, სანაცვლოდ კი ქართველების თავისუფლებას შეჰპირდა. ბაგრატი მოთხოვნას დათანხმდა (**Şâmî, 1987:122).** უცნობი ქართული ქრონიკის მიხედვით ბაგრატ V–მ ისლამი ქართველების თავისუფებისა და საქართველოს დაბრუნების მიზნით მოჩვენებით მიიღო. ,,ქართლის ცხოვრების“ ცნობით მას ისლამი ჭეშმარიტად არ მიუღია (**Brosset, 1849:657; Paydaş, 2016:423).**

1386 წელს იმერეთში დაწყებულმა აჯანყებამ გვიჩვენა, რომ მეფის ძალა ბაგრატის მმართველობის ხანაში ისეთი ძლიერი აღარ იყო, როგორც გიორგი V–ს დროს. თემურ

ლენგს დასავლეთ აზიაში მონღოლების ძალა რომ არ აღედგინა და 1366 წლის შემდეგ შავი ჭირის ეპიდემიას საქართველოსთვის ზიანი რომ არ მიეყენებინა, ქართველთა სამეფოს ეკონომიკური და პოლიტიკური უძლურებისგან თავის დაღწევას შეძლებდა **(Allen, 1971:123).** მაგრამ, თემურმა საქართველოს ფეხზე წამოდგომაც კი არ აცალა ისე დაიპყრო.

1386 წლის ზაფხულში თემურლენგი, საქართველოს საკითხებით იყო დაკავებული და თოხთამიშის წინააღმდეგ კავკასიის ჩრდილოეთით თავისი მმართველობის გაძლიერებას ისახავდა მიზნად. საქართველოში პირველი ლაშქრობის შემდეგ გამოსაზამთრებლად თემურ ლენგი მტკვრის აუზსა და მუღანის რეგიონში წავიდა. ამ დროს შეიტყო, რომ თოხთამიში ლაშქარით დარუბანდის გავლით მდინარე სამურთან მოსულიყო. თემურლენგმა მასთან სასწრაფოდ შეიხ ალი ბაჰადირი, ილგუ თემური და ოსმან აბასი გააგზავნა და დააბარა, რომ ბრძოლა არ სურდა და სჯობდა თოხთამიში უკან გაბრუნებულიყო. თემურლენგის ელჩები თუმენის მეთაურები იყვნენ და თან ჯარიც ახლდათ. თემურლენგის ელჩებმა დანაბარები გადასცეს და უკან ბრუნდებოდნენ, როცა თოხთამიშ ხანის ჯარმა ისრები დაუშინა. ამის გამო თემურლენგის ვაჟი მირანშაჰი ლაშქრით თოხთამიშისკენ გამოემართა და აიძულა, რომ დარუბანდისკენ უკან დაეხია. მირანშაჰი კი მამასთან დაბრუნდა **(Şâmî, 1987:123)**

მომდევნო 1388 წელს წელს თოხთამიშ ხანმა თემურლენგის სასაზღვრო ციხესიმაგრე საბრანს ალყა შემოარტყა, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით ქალაქ ბუჰარას შეუტია, თუმცა აქაც ვერ მიაღწია წარმატებას. გაძარცვა და გაავერანა რამდენიმე ქალაქი. თოხთამიშ ხანი შეუჩერებელი შეტევა თემურლენგზე მეტყველებს იმაზე, რომ მას საბოლოოდ ჰქონდა გადაწყვეტილი თემურის დასჯა. თოხთამიში სამარყანდისკენ დაიძრა, მაგრამ მალევე ჯარები უკან, საკუთარ ქვეყანაში, ყივჩაღის ველზე დააბრუნა და აქ თავიდან შეუდგა თემურ ლენგის წინააღმდეგ ჯარის შეკრებას **(Kamalov, 2003:108; Kafalı, 1976: 108).** 1388 წლის ბოლოს, როდესაც თოხთამიში მეორედ შევიდა საბრანში და ქალაქს ალყა შემოარტყა, თემურლენგი სამარყანდში იმყოფებოდა. თემურ ლენგმა რომ გაიგო მის წინააღმდეგ თოხთამიშის ლაშქრობის შესახებ, ამბავი გაუგზავნა შვილებს ომერ შეიხს და მირანშაჰს და ბრძოლაში მიიწვია. თემურ ლენგის ლაშქარი და თოხთამიშ ხანის მოწინავე ძალები ერთმანეთს სირდარიის მახლობლად შეხვდნენ. თემურლენგმა დაამარცხა მოწინააღდეგები და თოხთამიშისკენ გააგრძელა გზა. თოხთამიშმა კვლავ ყივჩაღის ველისკენ უკან დაიხია **(Kafalı, 1976:108-109).**

ნიზამუდინ შამი წერს, რომ 1391 წელს თოხთამიშმა კვლავ დაიწყო მოქმედება თემურ ლენგის წინააღმდეგ. თემურმა ამირები მოიწვია და თათბირის შემდეგ მოქმედებაზე გადავიდა. შეიხ ბაჰადირის, თემურ ქუთლუღ ოღლანისა და ქონჩე ოღლანის მეთაურობით დიდძალი ჯარი გაგზავნა თოხთამიშის წინააღმდეგ **(Şâmî, 1987:136)**. მხარეები ერთმანეთს დღევანდელი რუსეთის საზღვრებში მდებარე მდინარე კუნდუხჩასთან შეხვდნენ. თემურის მსგავსად თოხთამიშსაც მრავარიცხოვანი ჯარი ჰყავდა. ჯუჩის შთამომავლებიდან უფლისწულები, თაშ-თემურ ოღლანი, ბერ-იარუქ ოღლანი, ილიღმიშ ოღლანი, ბეგ-ფულად ოღლანი, ალი ოღლანი და ჯანთაი ოღლანი, საკუთარი დუმენებით მონაწილეობდნენ ბრძოლაში. ამათ გარდა იყვნენ ყივჩაღის ველის ისეთი გამოჩენილი ამირები და მხედართმთავრები, როგორიცაა ქონგირათ ალი ბეგი, სულეიმან

სოფი, ამირა აქთავი, ქიათ აქბუღა, ბარინ სარაი ბეგი, ბარინ იაღინ ბაი, ქოქ ბუღა, ყივჩაღ ქონგურ ბაი, ჰასან ბეი და ისა-ბეგი.

1391 წლის 18 ივნისს თოხთამიშ ხანის ლაშქარი შეტევაზე გადავიდა. ბრძოლის თავიდან მისი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ თემურ ლენგმა გაიმარჯვა. თოხთამიშის ჯარი განადგურდა, თემურმა კი დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ. შემდეგ გზად ქალაქები სარაი და ასტრახანი გადაწვა და დაანგრია. მიუხედავად კუნდუხჩას ომად წოდებულ ბრძოლაში სასტიკი მარცხისა, თოხთამიშმა ყივჩაღთა ველის მმართველოვა შეინარჩუნა და თემურლენგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ახალ სამზადისს შეუდგა **(Howorth II, 1880:245; Kafalı, 1976:110; Kamalov, 2003:108).**

1393 წელს, მოსკოვის სამთავროსა და ლიტვის პრინცს შორის სასაზღვრო პრობლემები დაიწყო, რითაც ისარგებლა თოხთამიშმა, პოლონეთის სამეფოში იარლიღი გაგზავნა, რითაც სადავო ტერიტორიებს ლიტვას გადასცემდა, იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მის მმართველობას სცნობდა და გადასახადებს გადაიხდიდა. ეს ფაქტი სლავური სამთავროებზე თოხთამიშ ხანის დიდ გავლენაზე მეტყველებს. ამის პარალელურად თოხთამიშ ხანი თემურლენგის წინააღმდეგ მზადებასაც განაგრძობდა. 1393 და 1395 წლებში, თემურლენგის წინააღმდეგ კავშირისთვის ეგვიპტის სულთან ბერქუქს ორჯერ გაუგზავნა ელჩები. ბერქუქმა გააგრძელა თოხთამიშთან მეგობრობა **(Kafalı, 1976:111).**

1393 წელს თემურლენგი კი საქართველოში მეორედ შეიჭრა. მიზეზი ბაგრატ V-ის აჯანყება იყო (**Brosset, 1849:654-655; Paydaş, 2016:423-424).** თემურლენგის ისლამურ პოლიტიკას ქართველების წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკური ზომების გატარება მოჰყვა. თოხთამიშის წინააღმდეგ საბოლოო მოქმედებამდე, 1393 წელს თემურლენგი ქართველებს სასტიკად გაუსწორდა. თბილისი გაძარცვა და კახეთსა და ქართლს შორის ტერიტორიები გადაწვა და გაანადგურა. თავს ესხმოდა ეკლესია-მონასტრებს. გაძარცვეს და დაანგრიეს სვეტიცხოველი და მცხეთის კათედრალი **(Allen, 1971:123-124; Brosset, 1849:654-655).**

1394 წელს თემურმა ამირები: ბურჰან ოღლანი, სეიფედინი, ჯიჰანშაჰ ბაჰადირი და ოსმან ბაჰადირი საქართველოში, ახალციხეში გაგზავნა, თვითონ კი ალადაღში აჯანყებულებისკენ აიღო გეზი. საქართველოში ამირებმა რამდენიმე ციხე-სიმაგრე დაიპყრეს და თემურთან დაბრუნდნენ. მცირე ხნის შემდეგ თემურლენგმა საქართველოს წინააღმდეგ ახალ მოქმედებას დაიწყო და მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი იგდო ხელთ. ნიზამუდინ შამის თავის ნაშრომში „ზაფერ-ნამე“ (გამარჯვების წიგნი) საუბრობს ადგილზე სახელწოდებით „ყარა კალგანი,“ სადაც თემურს უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა. თემურმა დაიმორჩილა ისინი, მეჯლისი მოიწვია და მცირე ხნით აქ დაბინავდა. შემდეგ თბილისისკენ აიღო გეზი, საიდანაც შაქისკენ გაემართა. თემურლენგი ჩრდ. აზერბაიჯანში მდებარე შაქიში იმყოფებოდა. როდესაც გაიგო, რომ თოხთამიში თავისი ძალებით დარუბანდის გავლით შირვანში შესულიყო და მის წინააღმდეგ დაიძრა. ოქროს ურდოს ლაშქარმა მაშინვე უკან დაიხია. თემურმა ახალი ლაშქრობისთვის ჯარის მომზადების შესახებ ბრძანება გასცა, თვითონ კი გამოსაზამთრებლად მდინარე მტკვრის ნაპირას მაჰმუდაბადის მიწებზე დაბანაკდა. გამოზაფხულებისთანავე თოხთამიშის წინააღმდეგ დაიძრა **(Şâmî, 1987:190-192)**.

სანამ თოხთამიშის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, თითქოსდა კეთილი განზრახვებით, თემურ ლენგმა თოხთამიშთან შამსედინ ელმალიქი გააგზავნა ელჩად. თოხთამიშ ხანმა მას ზავის დადების პირობა მისცა. ამ დროს კი თემურს მდინარე სამური გადალახული ჰქონდა. იალბუზის მთასთან თოხთამიშ ხანის წინააღმდეგ ლაშქარი მოამზადა. თემურმა წარსული გამოცდილებით იცოდა, რომ თოხთამიში სიტყვას არ შეასრულებდა და დარუბანდის გავლით თოხთამიშის მეგობარი და მოკავშირე ქითაღის მხარე დაიპყრო. თოხთამიშმა თემურს ელჩი გაუგზავნა, მაგრა იგი შუა გზიდან უკან დაბრუნდა და თოხთამიშს თემურლენგის მოახლოვების შესახებ აცნობა. თოხთამიშმა თემურ ლენგის წინააღმდეგ, მოწინავე რაზმთან ერთად, ამირა ქაზანჯი გაგზავნა, რომელიც სასტიკად გაანადგურა (Şâmî, 1987:192-193). იეზდის ცნობით, შამსედინ ელმალიქმა თემურს თოხთამიშის წერილი მიუტანა, რომელიც მკაცრი ტონით იყო დაწერილი. ამ ამბავმა თემური განარისხა და საბრძოლო მოქმედება დაიწყო (Alan, 2003:136; Kafalı, 1976:111). ეს ცნობა ნიზამუდინ შამის ცნობეზე უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს.

1395 წლის 14 აპრილს ორი ჯარი მდინარე თერგთან დაუპირისპირდა. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, საბოლოოდ კი თემურმა გაიმარჯვა. თოხთამიშის ჯარი დაიქსაქსა და დიდძალი დანაკარგი განიცადა. ბრძოლის დასასრულს თოხთამიში ჯართან ერთად ბულგარეთისკენ, ხოლო ბეგ იარუქ ოღლანი და ამირა აქთავი კი ოქროს ურდოს ლაშქრის მეორე ნაწილთან ერთად ყირიმისკენ გაიქცნენ. თემური თოხთამიშს ქალაქ უქექამდე დაედევნა, თუმცა მისი დაჭერა ვერ მოახერხა. აქაურობა გაძარცვა და სვლა განაგრძო. თემურ ლენგის გვერდით იყო ოქროს ურდოს უფლისწული, ურუს ხანის ვაჟი ქაირჩაქ-ოღლანი, რომლის ოქროს ურდოს ტახტზე აყვანასაც მხარს უჭერდა. მას ჯარი მისცა და ყივჩაღთა ველის აღმოსავლეთში ტახტზე ასასვლელად გაგზავნა. თვითონ მოსკოვის სიახლოვეებამდე მიაღწია, გზად რაც შემოხვდა ყველაფერი გაძარცვა. აზაკი დაპყრობისა და ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, 1395 წლის ბოლოს და 1396 წელს ჩრდილო კავკასიის ციხეები და ქალაქები ნაბიჯ-ნაბიჯ აიღო, გაძარცვა და დაანგრია. პარალელურად მის ჯარს თოხთამიშ ხანისა და მისი შვილების მოძებნა დაავალა. თემურლენგი რუსულ სამთავროებს დაესხა თავს, შემდეგ კი დარუბანდის გავლით აზერბაიჯანში დაბრუნდა. მართალია მან თოხთამიშ ხანი ვერ დაატყვევა, მაგრამ ოქროს ურდოს ყოველი მხარე, სავაჭრო ცენტრებად ქცეული ქალაქები მიწასთან გაასწორა, სადაც სავაჭრო ცხოვრება დროებით შეწყდა (Kafalı, 1976:112-113; Alan, 2003:137-139). 1395 წლის 14 აპრილს მდინარე თერგთან გამართული ბრძოლის შემდეგ ოქროს ურდოს სახელმწიფომ ნგრევა დაიწყო. თოხთამიშმა აზერბაიჯანში შესასვლელად ძალები ვეღარ აღიდგინა. შესაბამისად აზერბაიჯანსა და სამხრეთ კავკასიაზე მის პრეტენზიას წერტილი საბოლოდ დაესვა (Birinci, 2007:201).

ჯანიბექ ხანის მმართველობის შემდეგ დასუსტებული ოქროს ურდო თოხთამიშ ხანმა კვლავ გააერთიანა, თუმცა თემურთან დამარცხებით მისი დაშლის პროცესი კვლავ დაიწყო. რასაკვირველია, ოქროს ურდოს დაშლის ერთადერთი მიზეზი თემურლენგთან მარცხი არ ყოფილა. ასე თუ ისე ოქროს ურდო 1502 წლამდე პოლიტიკურ ასპარეზზე არსებობას განაგრძობდა.

1391 და 1394 წელს თოხთამიშის წინააღმდეგ ლაშქრობებში თემურლენგი ჯუჩის შთამომავლებიდან თითო უფლისწულს უჭერდა მხარს ოქროს ურდოს ტახტისთვის ბრძოლაში. მართალია, თოხთამიშის დატყვევება ვერ მოახერხა, მაგრამ ახალი კანდიდატების გააქტიურებას უწყობდა ხელს, რითაც თოხთამიშის ბოლოს ნიადაგს უმზადებდა **(Alan, 2003:140).** ამასთან, აჩქარებდა ოქროს ურდოს დაშლას. თემურ-ლენგის ამ ნაბიჯმა რუსული სამთავროების გაძლიერება და დამოუკიდებლობა გამოიწვია.

თოხთამიშ ხანი დამარცხების შემდეგ ფეხზე წამოდგომას ცდილობდა. მანგითე-ბის ტომიდან ედიგეი მირზამ, რომელიც თოხთამიშის სამსახურში იდგა და ამირაც კი გახდა, უთანხმოება მოუვიდა მასთან და თემურ ლენგს შეაფარა თავი **(Sulti, 1998:73-83; Kamalov, 2003:109).** ედიგეი მირზამ თოხთამიშის წინააღმდეგ უფლისწული თემურ–ყუთლუღი (1397-1400 წწ.) ხანად გამოაცხადა. ამის გამო თოხთამიშსა და თემურ–ყუთლუღს შორის ბრძოლა დაიწყო. 1397 წელს თემურ–ყუთლუღის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში თოხთამიში დამარცხდა და ლიტვის მთავარ ვიტოვტთან გაიქცა. თემურ-ყუთლუღმა კი ლიტვაში ელჩები გაგზავნა და თოხთამიში ხანის მისთვის გადაცემა მოითხოვა. ვიტოვტი თოხთამიშის გამოყენებით ქვეყნის საზღვრების გაფარ-თოების შესაძლებლობას ხედავდა და ელჩები უარით გაისტუმრა. ლიტვის მთავარმა თემურ–ყუთლუღის წინაარმდეგ დიდძალი ლაშქარი შეკრიბა, რომელშიც ბალტიის გერმანელი რაინდები და თოხთამიშის სამი ათასამდე ჯარისკაცი იღებდა მონაწილეო-ბას. 1399 წლის 12 აგვისტოს თემურ–ყუთლუღისა და თოხთამიშ–ვიტოვტის ჯარები მდინარე დნეპრის პირას დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ბრძოლაში თემურ–ყუთლუღ ხანმა გაიმარჯვა. თოხთამიში და მისი მოკავშირე ლიტვის მთავარი დიდი დანაკარგით სასტიკად დამარცხდნენ. ამ ბრძოლის შემდეგ თოხთამიშმა ხანობის შესაძლებლობა დაკარგა და დამალვითა და მუდმივი გაქცევით 1405 წელს სიცოცხლე დალია **(Kafalı, 1976:113; Alan, 2003:140).** კლავიოს ცნობით, თოხთამიში სიცოცხლის ბოლო წლებში თემურთან შერიგებას ცდილობდა **(Clavijo, 1928:299)**.

თოხთამიშ ხანი 1405 წელს ედიგეი მირზას ხალხმა მოკლა. იმავე წელს თემურ ლენგიც გარდაიცვალა. თოხთამიშ ხანს რვა ვაჟი ჰყავდა: ჯალალედინი, ჰაბარ-ბერდი, ქიბექი, ქერიმ-ბერდი, ისკენდერი, აბუ საიდი, ქუჩექი და ქადირ–ბერდი. მათგან ზოგიერთი უმეფობის პერიოდში ტახტზე ავიდა და საკუთარ სახელზე ფულიც მოჭრა. მაგალითად, თოხთამიშის ერთ–ერთმა ვაჟმა ჯალალედინმა ოქროს ურდოში წესრიგის დამყარება მოახერხა. მისი მმართველობის პერიოდში რუსეთის სამთავრო ოქროს ურდოს გადასახადს უხდიდა, მაგრამ მმართველობა მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდა, რადგან 1413 წელს მისმა ძმამ ქადირ–ბერდიმ სიცოცხლეს გამოასალმა. ქალაქ სარაიში ედიგეი მირზას მმართველობა 1419 წლამდე გაგრძელდა **(Kurat, 1940:18-20).**

თოხთამიშ ხანმა ოქროს ურდოში უმეფობის ხანას ბოლო მოუღო, მაგრამ თემურ ლენგის წინააღმდეგ ბრძოლებმა და აზერბაიჯანში გაბატონების პრეტენზიამ სახელმწიფო კვლავ უმეფობის ხანაში დააბრუნდა.

IV თავი
კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება ოქროს ურდოში

მონღოლთა ექსპანსიამ აღნიშნული პერიოდის მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე დიდი გავლენა იქონია. მონღოლებთა იმპერიამ იმდენად ფართო ტერიტორიები მოიცვა, რომ მსოფლიო ისტორიაში დღემდე ანალოგი არ გააჩნია. მონღოლებმა დროებით, მაგრამ მაინც მოახერხეს აზიისა და ევროპის გაერთიანება და ამგვარად, ცენტრალური ევროპიდან წყნარ ოკეანემდე კულტურათა ერთიანი სივრცე შექმნა (Sander, 1989:57). მონღოლთა ექსპანსიამ ცენტრალურ აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში სელჩუკთა ამბიციები თავდაყირა დააყენა (Mehmetov, 2009:275). ოქროს ურდოს სახელმწიფომ კავკასიის ისტორიაშიც გარკვეული როლი ითამაშა. გარკვეულ-წილად ხელი შეუწყო შუა საუკუნეების საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული ურთიერთობების დამყარებას (Toumanoff, 1963:12).

§ 1. სახელმწიფოებრივი და რეგიონალური გაერთიანება

ოქროს ურდოს სახელმწიფო 1241 წელს ბათო ხანმა ოფიციალურად დააარსა და მენგუ თემურის მმართველობის ხანამდე დიდ მონღოლთა საყაენოს ექვემდებარებოდა. გამომდინარე აქედან, ამ სახელმწიფოს მართვა ჩინგიზ ყაენის კანონებისა და დიდ მონღოლთა საყაენოს წესებით ხორციელდებოდა. მონღოლთა არისტოკრატია ოქროს ურდოს საზოგადოების ზედა ფენას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, ოქროს ურდო დიდწილად ცენტრალური საყაენოს პრინციპებით ხელმძღვანელობდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანონები, დაპყრობილი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის, ეთნიკური ვითარებისა და მენტალობის მიხედვით განსხვავებულად აისახებოდა (Vernadsky, 2015:253).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოქროს ურდო სახელმწიფოს ორმაგი მმართველობის სისტემით წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანებაა. ჯუჩის ულუსის მიერ სახელმწიფოს დაარსებისას, ყივჩაღთა ველის გეოგრაფიული არეალი ორ ნაწილად იყო წარმოდგენილი. მარცხენა მხარეს, ანუ აღმოსავლეთს ბათო ხანის ძმა ორდა–იჩენ ხანი მართავდა, ხოლო მარჯვენას, ანუ დასავლეთს - საინ–ბათო ხანი. მაგრამ ეს არ იყო ორი დამოუკიდებელი სახანო, ეს იყო ორმაგი მმართველობის ფორმა. ბათო ხანისა და მისი ვაჟების დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფოს დასავლეთი ნაწილი „თეთრ ურდოდ“, ხოლო ორდა–იჩენისა და მისი შთამომავლების მმართველობაში მყოფი აღმოსავლეთი „ცისფერი ურდოდ“ მოიხსენიებოდა. ჯუჩის ულუსის ცენტრი, სახელმწიფოს დასავლეთ ნაწილი – ,,თეთრი ორდუ“, ანუ ოქროს ურდო იყო. „ცისფერი ურდოს“ მმართველები აქედან ინიშნებოდნენ (Paşaoğlu, 2016:181). უზბეკ ხანის დროს კი, სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილში არეულობების „ცისფერმა ურდომ“ არსებობა შეწყვიტა.

ოქროს ურდოს მმართველები მხოლოდ და მხოლოდ „ხანის“ წოდებას იყენებდნენ. მონღოლეთის სახელმწიფოში ახალი ხანის ტახტზე ასვლა გარკვეულ დროს მოითხოვდა. მაგალითად, ჩინგიზ ხანის შენდეგ ტახტზე ასული ოგედეი ხანის გარდაცვალების

შემდეგ, ახალი ხანის არჩევა წლების განმავლობაში გრძელდებოდა. ახალი ხანის არჩევა ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ხდებოდა. იგი მონღოლთა ყველა საგვარეულოს უნდა ეცნო და დიდ ყურულთაიზე უნდა წარედგინათ. ოქროს ურდოს სახელმწიფოში ტახტის პრეტედენტი აუცილებლად ხანის საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ბათო ყაენის შემდეგ მისი ვაჟები, სარტაკ და ულაქჩი ხანები მოკლე დროში დაიხოცნენ, ხოლო მესამე ვაჟი თოგანი მცირეწლოვანი იყო, რის გამოც სახელმწიფოს დიდგვაროვნებმა მონღოლური ტრადიციის მიხედვით, ჰულაგუს „უხმლო ქარქაში და უსაყელოო პერანგი“ გაუგზავნეს, რაც ჯუჩის ულუსის მმართველის გარეშე დარჩენაზე მიუთითებდა. ეს საკითხი ჯუჩის მეორე შვილის, ბერქე ხანის დანიშვნით მოგვარდა. ოქროს ურდოში „ხანის შთამომავლობის გაგრძელების“ წესის თვალსაჩინო მაგალითია თუდა მენგუს მმართველობის პერიოდი. წყაროები გადმოგვცემენ, რომ იგი „ჭკუასუსტი“ მმართველი იყო. მიუხედავად ამისა, გარკვეული პერიოდი იჯდა ტახტზე და სახელმწიფო მოხელეების მითითებით მოქმედებდა. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ოქროს ურდოში ტახტის შთამომავლობით გადასვლის მნიშვნელობას. ვინაიდან დიდ მონღოლთა საყაენოში ყაენის გარდაცვალების შემდეგ ახალი ყაენის არჩევა გარკვეულ დროს მოითხოვდა, ტახტზე რეგენტად ყაენის ცოლი ადიოდა ქვეყანას ის მართავდა. თუმცა, ოქროს ურდოს სახელმწიფოში ეს ვითარება არ გვხვდება. მაგალითად, ბერქე ხანისა და თუდა მენგუს გარდაცვალების შემდეგ მათი მემკვიდრეები მცირეწლოვნები იყვნენ და რეგენტობის ინსტიტუტიც არსებობდა, მაგრამ ტახტზე გარდაცვლილი ხანების ძმები ავიდნენ. უზბეკ ხანის ცოლი თაიდულა ხათუნი აქტიურად იყო ჩართული ოქროს ურდოს მმართველობაში, მიუხედავად ამისა რეგენტის თანამდებობა არ მიუღია. უფრო მეტიც, ბერდიბეგ ხანის სიკვდილის შემდეგ თაიდულა ხათუნმა უმერას ტახტზე ასვლას დაუჭირა მხარი, მაგრამ რადგან ის ჯუჩის შთამომავალი არ იყო, ხანის კანდიდატად არ განიხილებოდა. 1360 წელს ბერდიბეგის სიკვდილის შემდეგ კი ოქროს ურდოს სახელმწიფოში ბათო ხანის გვარმა არსებობა შეწყვიტა და ხელისუფლება ჯუჩის ვაჟის, თოქაი–თემურის შთამომავლებმა ჩაიგდეს ხელში (**Paşaoğlu, 2016:181-182**).

ოქროს ურდო ხანის შთამომავლებს ტახტზე ასასვლელად მაღალი წრეების დიდი მხარდაჭერა სჭირდებოდათ. სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ძალის მქონე წარჩინებულები სატახტო ცვლილებების დროს, ჯუჩის გვარიდან უფლისწულს ტახტზე ასვლაში ეხმარებოდნენ, თუმცა მათვე შეეძლოთ ტახტზე აყვანილი ხანის ჩამოგდებაც. მაგალითად, თოხთამიშ ხანის დროს მამაი მირზა ძლიერი ამირა იყო და თოხთამიშისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, თოხთამიშ ხანის პირველი პოლიტიკური ნაბიჯი მისი თავიდან მოშორება იყო (**Paşaoğlu, 2014:156).** XV საუკუნეში ოქროს ურდოში იმოგზაურა გერმანელმა მოგზაურმა იოჰან შილტბერგერმა. მისი გადმოცემით, მეფის (ხანის) არჩევნების დროს მას თეთრ ქეჩაზე დასვამდნენ, სამჯერ ჰაერში წამოწევდნენ, შემდეგ კარვის გარშემო შემოატარებდნენ და ტახტზე დააჯენდნენ. ხელში ხმალს აძლევენ და ტრადიციის თანახმად ფიცს ადებინებდნენ (**Schiltberger, 1997:116).**

XIII-XIV სს-ის წყაროების მიხედვით ვგებულობთ, რომ „ხანი“ ფადიშაჰისა და სულთნის ანალოგიური ტიტული იყო. 1260 წლიდან რუსულ წყაროებში ოქროს ურდოს

ხანების შესახებ ტერმინი „Царь“ (მეფე) გამოიყენებოდა **(Halikov, 2007:74).** ოქროს ურდოს სახელმწიფოში უფლისწულებს, რომლებიც ჯერ ხანები არ იყვნენ „ოღლანს“ (ბიჭი) უწოდებენ. მაგალითად, სანამ ხანი გახდებოდა, თოხთამიში წყაროებში „თოხთამიშ ოღლანად“ მოიხსენიება. გარდა ამისა, იყო ,,ათალიქი“, რომელიც უფლისწულის აღმზრდელი იყო და სამხედრო და პოლიტიკურ განათლებას აძლევდა მას. იგივეა, რაც ,,ათაბაგი“, ან ოსმალეთის იმპერიაში ,,ლალა“. ისინი ზოგჯერ ოქროს ურდოს მმართველებს საფრთხეს უქმნიდნენ. თოხთა ხანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმისშვილის, უზბეკ ხანის ტახტზე ასვლამდე, თოხთას აღმზრდელი ბაჯარ თოქბოღა შეეცადა ტახტის ხელში ჩაგდებას. მანი თავი ხანად გამოაცხადა და თოხთა ხანის ცოლი შეირთო მაგრამ უზბეკ ხანის მხარდამჭერმა წარჩინებულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს **(Paşaoğlu, 2016:183)**. აღსანიშნავია, რომ ოქროს ურდოში ,,ბაბალიქის“ თანამდებობა „ვეზირის“ წოდებას უტოლდებოდა **(Kafalı, 2002:91)**.

„ყურულთაი“ იყო ერთგვარი ყრილობა, რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა. მასზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხები წყდებოდა. იგი იყო სახანოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც კანონების მიხედვით იღებდა გადაწყვეტილებებს. ყურულთაიში მონაწილეობდნენ ჯუჩის გვარის მნიშვნელოვანი ბეგები. ამას გარდა, მას უნდა დასწრებოდნენ მდივან–მწიგნობრები. მდივან–მწიგნობრებისა და საკანონმდებლო ორგანოს ამირებს ირჩევდნენ დიდგვაროვნებიდანაც. მაგალითად, ჩინგიზ ხანის ,,კანონთა ამირა“ მისი ვაჟი ჩაღათაი იყო, ბათო ხანის მდივან–მწიგნობარი კი მისი ძმა ბერქე. ოქროს ურდოს ხანების გადაწყვეტილებებს ყურულთაის გარდა „ქენგეშის საბჭო“ განიხილავდა. სასამართლო საქმიანობას მთავარი ყადი ან მთავარი მოსამართლე განაგებდა, რომელიც ქალაქ სარაიში იჯდა. ოქროს ურდოს მარჯვენა მხარეს, ყირიმში და მარცხენა მხარეზე დაქვემდებარებულ ხვარაზმის ქალაქებში მეორე რანგის, ხოლო სხვა ქალაქებში მესამე რანგის ყადი და მოსამართლე იყო განწესებული. ყადები რელიგიურ სამართლებლივ საკითხებს განიხილავდნენ, მოსამართლეები კი ტრადიციებსა და წეს–ჩვეულებებთან დაკავშირებულს **(Kafalı, 2002:91)**. უზბეკ ხანის დროს ისლამის მთელ ქვეყანაში გავრცელებამ გავლენა მოახდინა სხვადასხვა სფეროებზე. თანდათან გაჩნდა ახალი თანამდებობები, როგორიცაა ყადი, მუფთი და სხვ. ყურულთაის ახალი მმართველობის ორგანო „დივანი“ დაემატა. დაიწყო ნოინების მოხსენიება ამირებად და ბეგებად **(Kemaloğlu, 2016b:600; Kafalı, 2002:91)**. ელ–ომერის ცნობით, ოქროს ურდოს ყივჩაღი მოსახლეობა ერაყელებისა და სპარსელების მსგავსად ხალიფას კი არ ემორჩილებოდა, არამედ მათ საკუთარი კანონები ჰქონდათ. სახელმწიფოს მართვაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჩერქეზები, რუსები და ლეზგები. ეს გარემოება ოქროს ურდოს შესაძლებლობას აძლევდა გაეტარებინა მოქნილი პოლიტიკა **(Ömeri, 1941:363-364).**

ოქროს ურდოში კომუნიკაცია და ტრანსპორტირება ხდებოდა საფოსტო სისტემით, რომელსაც „იამ“ ეწოდებოდა. შიკრიკები სწრაფად მოქმედებდნენ. ისინი ერთმანეთს გზადაგზა გადასცემდნენ საბუთს ცხენებით მზადყოფნაში მყოფ შემდეგ შიკრიკს, რომელიც უფრო სწრაფად აგრძელებდა გზას **(Kafalı, 2002:92).**

სახელმწიფო სისტემაში ერთ–ერთი საკითხი პროვინციების მართვაა, რომლის შესახებაც მხოლოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება. პროვინციების დაყოფა, უმეტეს წილად

ბუნებრივი საზღვრების მიხედვით ხდებოდა. ეს საზღვარი ხშირად იყო მთა, უდაბნო და ა.შ., რის გამოც, ფაქტიურად, კონკრეტული საზღვრის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, მომთაბარე მონღოლები ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ყიშლაღებად იყენებდნენ (Spuler, 1957:367).

მონღოლთა მიერ საქართველოში დანიშნული მმართველები

საქართველოს დაპყრობის შემდეგ მონღოლებმა აქ ახალი პოლიტიკური სისტემა შექმნეს. მათ ქართველები საკუთარ ლაშქრობებში მიჰყავდათ. ქვეყანა ექვს ადმინისტრაციულ ერთეულად დაჰყვეს. ახალი მმართველობის ქვეშ ქართველი ფეოდალები სხვადასხვა მონღოლ ამირას დაემორჩილნენ (Honigmann, 2001:269). თუკი რომელიმე მმართველი საკუთარი ნებით დაემორჩილებოდა მონღოლებს, ისინი მას წერილობითი შეთანხმებით უტოვებდნენ ქვეყანას. მაგრამ, თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა და დამარცხდებოდა, მაშინვე ანადგურებდნენ. მაგრამ გამონაკლისი იყო ქართველი მეფეების საკითხი. ქართველი მმართველები და მოსახლეობა ხანგრძლივი ბრძოლითა და აჯანყებებით იცავდა საკუთარ ქვეყანას მონღოლებისგან, რის შედეგადაც მტერმა აქ სრულად ფეხის მოკიდება ვერ შეძლო (Spuler, 1957:391). 1245–1248 წლებში პაპის ბრძანებით სამხრეთ კავკასიაში იმოგზაურა სიმონ დე სამტ კვენტინიმ, რომელიც რეგიონის ხალხის მძიმე პირობებზე შემდეგ ცნობებს გვაწვდის: *„ეჭვგარეშეა, რომ მუსლიმებს, ქართველებს, სომხებსა და გადასახადების გადამხდელებს სასტიკად სძულთ თათრები, მაგრამ, შევიტყვეთ, რომ ზოგიერთი ბერ–მონაზონიც ავიწროებდა მათ“* (Quentin, 2006:35).

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ მონღოლთა ბატონობის დროს საქართველოს სამეფოში მათ მიერ დანიშნული მმართველების სახელები. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა დროს ორჯერ დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე. სადისერტაციო ნაშრომის მეორე და მესამე თავებში მათ შესახებ ვრცლად ვსაუბრობთ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მონღოლებს სახელმწიფო მართვის სამხედრო სისტემა ჰქონდათ და გამომდინარე აქედან, საქართველოში დანიშნული მოხელეები ხშირად ჯარის მეთაურებიც იყვნენ. ზოგი მხოლოდ სამხედრო ვალდებულებას ითავსებდა, ზოგი კი გადასახადებს კრეფდა. მაგალითად, საქართველოს პირველი დამპყრობელი მონღოლი მეთაური, ჩარმაღანის ვაჟი შირამუნ ნოინი 1262 წელს, ჰულაგუ–ბერქეს ბრძოლაში თეგუდარის აჯანყების დროს, ქართველთა ჯარს მეთაურობდა. 1258 წლამდე საქართველოში მონღოლ მმართველებს ცენტრალური საყაენო ნიშნავდა, მოგვიანებით კი ილხანთა სახელმწიფო. ილხანებამდე, საქართველო ოქროს ურდოს ტერიტორიებში არ შედიოდა და დიდი ყაენის მიერ გამოგზავნილი მეთაურების ზედამხედველობით ადგილობრივი მეფეების მიერ იმართებოდა (Howorth III, 1876-1927:35). მიუხედავად იმისა, რომ ჩარმაღან ნოინი ოქროს ურდოს მმართველ ბათო ხანს ემორჩილებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ ოქროს ურდოს ურთიერთობა ცენტრალურ საყაენოსთან ძველებური ფორმით აღარ გაგრძელებულა. ეს ნათლად ჩანს საქართველოში გამოგზავნილი მმართველების პოლიტიკურ და სამხედრო ურთიერთობებში, რომელიც მეგობრული ნამდვილად არ ყოფილა.

ჩარმაღან ნოინი, 1232 წელს დანიშნა უგიედეი ყაენმა.

აილთანა ხათუნი, ჩარმაღანის ცოლი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მცირე ხნით რეგენტი იყო.

ბაიჯუ ნოინი, 1239 წლის შემდეგ დანიშნა უგედეი ყაენმა.

ამირა არღუნი, 1243- 1275 წლებში დაინიშნა სამჯერ. პირველად დანიშნა თორეგენე ხათუნმა, მეორედ მენგუ ყაენმა, ხოლო მესამედ ჰულაგუ ყაენმა. იგი აქტიურად არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. დრო და დრო მართავდა სამხრეთ კავკასიას. საქართველოსა და სომხეთში კრეფდა გადასახადებს. რამდენჯერმე ილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ.

ხოჯა აზიზი, 1262 წელს დანიშნა ჰლაგუ ყაენმა.

შირამუნ ნოინი, დანიშნა აბაკა ხანმა 1265 წელს.

აჯაი, დანიშნა არღუნ ხანმა 1284 წელს.

ყუთლუღ ბუკა (ამირა ბუკა), 1289-1293 წლებში, დანიშნა არღუნ ხანმა.

ამირა ყუთლუქშაჰი, 1301-1302 წწ., დანიშნა გაზან ხანმა.

ყურმიში, იყო 1318 წლამდე, დანიშნა ოლჯაითუ ხანმა.

შეიხ მაჰმუდი, აბუ საიდის მმართველობის ხანაში, 1319 წლის შემდეგ დაინიშნა ამირა ჩობანის მიერ.

იქბალშაჰი, ამირა ჩობანის ვაჟი, დაინიშნა შეიხ მაჰმუდის შემდეგ.

§ 2. სამხედრო ორგანიზაცია

1206 წელს ჩინგიზ ხანის მიერ მოწვეულ დიდ ყურულთაიზე მონღოლთა იმპერია დააარსა და მისი პოლიტიკური და სამხედრო სისტემა განსაზღვრა. ოქროს ურდოს გაერთიანება მარჯვენა - დასავლეთ და მარცხენა - აღმოსავლეთ ნაწილად იყო წარმოდგენილი. ცენტრალური ჯარი კი ხანის დაქვემდებარებაში მყოფი გვარდიისგან შედგებოდა. მონღოლთა იმპერიაში შემავალი სხვა ულუსების მსგავსად, ოქროს ურდოშიც მნიშვნელოვანი იყო ხანის მმართველობა. მონღოლთა ჯარი ძველი ტომობრივი სისტემიდან „ათობით“ სისტემაზე გადავიდა, რომლის მიხედვითაც იგი შედგებოდა ათი, ასი, ათასი და ათი ათასიანი სამხედრო შენაერთებისგან. მსგავსი სისტემა შეიქმნა ოქროს ურდოშიც. ყველა შენაერთის მეთაური თავის რეგიონში წესრიგსა და დისციპლინაზე აგებდა პასუხს **(Vernadsky, 2015:257; Kafalı, 1976:115).** ოქროს ურდოში ათი ათას კაციანი შენაერთს „დუმენი“ ეწოდებოდა. დუმენის მეთაურებს ზოგჯერ შეეძლოთ მმართველობა ჩაეგდოთ ხელში. მაგალითად, ნოღაი დუმენის მეთაური იყო და დაახლოებით ორმოცი წელი მმართველობაში აქტიურად მონაწილეობდა **(Paşaoğlu, 2016:186)**. დუმენის და ათასეულის მეთაურები უფრო ხშირად ქიათის, ქონგირათის, მანგითის, შირინის, ბარინის და სეჯუთის ტომების ამირებიდან იყვნენ. ასევე ვხვდებით ცნობებს, რომ მარჯვენა ნაწილის (ოქროს ურდო) ამირები ყირიმში, მარცხენა ნაწილის (ცისფერი ურდო) ამირები კი ხვარაზში იმყოფებოდნენ **(Kafalı, 2002:91)**. ეს მეთაურები ამავდროულად ოქროს ურდოს პროვინციების მმართველებიც იყვნენ **(Vernadsky, 2015:257)**. გრიგოლ აკანელი მონღოლებს „მოისართა ტომად“ მოიხსენიებს. ოქროს ურდო

სამხედრო სახელმწიფო იყო, ამიტომაც, მასში სახელმწიფო, პროვინციული და სამხედრო გაერთიანება ერთ მთლიანობას ქმნიდა.

ულუსის მეთაურებს, ათასისთავებს და სარდლებს „ნოინი“ ან „ბაჰადირი“ ეწოდებოდათ. თუმცა, „ნოინის“ ტიტული უფრო ხშირად გამოიყენებოდა. ეს „ნოინები“ ულუსების მმართველებიც ხდებოდნენ. საქართველოში დანიშნული ჩარმაღან ნოინი ამის ნათელი მაგალითია. ბუნებრივია, რომ ჩინგიზის გვარის შთამომავლებს დაბადებიდან ჰქონდათ ამ თანამდებობების დაკავების უფლება, სხვებს კი ეს ტიტულები და პოზიციები დამსახურებით უნდა მოეპოვებინათ **(Halikov, 2007:74).**

მონღოლთა ბათონობის ქვეშ მყოფი საქართველოს სამეფო მათ, განსაკუთრებით კი 1258 წლიდან, ილხანთა სახელმწიფოს ყველა ბრძოლაში მონაწილეობდა როგორც დამხმარე ძალა. სპულერი, აღნშნავს, რომ მონღოლთა ლაშქარში თურქები და ჩინელებიც მონაწილეობდნენ, თუმცა ბრძოლით ყველაზე მეტად ქართველებმას გაუთქვეს სახელიო **(Spuler, 1957:391).**

§ 3. ვაჭრობა და ეკონომიკური ცხოვრება

ოქროს ურდოს მმართველობა უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული, რამაც მასში ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვნება გამოიწვია. თავიდან ძირითადი საარსებო წყარო სოფლის მეურნეობა იყო, თუმცა ტერიტორიების გაფართოებისა და განსაკუთრებით შავიზღვისპირეთის საპორტო ქალაქების დაპყრობის შემდეგ, ვაჭრობამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ოქროს ურდოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბრძოლების უმრავლესობა სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებას, ან ქალაქების დაცვას ისახავდა მიზნად.

ჩინგიზ ხანის სიტყვებით: *„ცხენზე ამხედრებულმა შეიძლება ბევრი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ, ცხენზე ამხედრებული მისი შენარჩუნება შეუძლებელია“.* ცხადია, რომ ბათო ყაენი და სხვა მონღოლი ხანები, მიუხედავად მუდმივი ბრძოლისა და გამარჯვებისა, დაპყრობილ ტერიტორიებს ვერ ინარჩუნებდნენ. დაპყრობილ ტერიტო-რიებში შედიოდა ხვარაზმი, ბოლგარები, ყირიმი, რუსული სამთავროები, უნგრეთი და ბულგარეთი, რომელთა რომელთა მოსახლეობაც ბინადრული ცხოვრების წესით ცხოვრობდა. მათმა შესვლამ მონღოლთა ქვეშევრდომობაში მდგომარება უფრო გაართულა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოში. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის დაწყებულ ბრძოლებში მთავარ მიზანს რეგიონში გაბატონება და სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება იყო. ბათო ყაენის ოქროს ურდო იყო ქვეყანა, სადაც ბინადრულთან ერთად და მომთაბარე ცხოვრების წესიც იყო გავრცელებული, რამაც გარკვეული სირთულეები გამოიწვია. ქვეყანა ფაქტიურად ორ ნაწილად გაიყო. ეს იყო, ცენტრალური მონღოლეთი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა ირტიშიდან დუნაიმდე გადაჭიმული ტერიტორია და ამ ტერიტორიების საზღვარზე მდებარე დაპყრობილი და დამორჩილებული ხვარაზმი, ვოლგის ბოლგარები და რუსული სამთავროები. ეს ქვეყნები ოქროს ურდოს გადასახადებს უხდიდნენ და ვალდებულნი იყვნენ საუკეთესო ხელოსნები მისთვის გადაეცათ. ოქროს ურდოს

ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება, კეთილდღეობა და სტაბილურობა მათზე იყო დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, მონღოლმა ხანებმა ისინი სრულიად არ გაუნადგურეს, პირიქით მხარდაჭერასაც კი უცხადებდნენ მათ **(Halikov, 2007:72-73).** ვრცელ ტერიტორიებზე გადაჭიმული ოქროს ურდო იმ დროის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ვაჭრობის გზით შემოსულ შემოსავალს დაპყრობილი რეგიონებიდან აკრეფილი გადასახადები ემატებოდა, რაც უფრო ამდიდრებდა ქვეყანას. ოქროს ურდოს მმართველობის ხანაში ყირიმში მდებარე ქერჩის, კაფას, სუდაკისა და აზაკის ნავსადგურებში გენუელებსა და ვენეციელ ვაჭებს საწყობები ჰქონდათ. ამ ქალაქებს შორის მოძრავი ქარავნებს და შესულ გემებს სახელმწიფო ტამღის გადასახადს ახდევინებდა, რომელიც სახანოს ერთ-ერთი ძირთადი შემოსავალი იყო **(Kafalı, 2002:92).**

სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ვრცელი სტეპები საძოვრებად იყო გადაქცეული. მომთაბარეთ მონღოლთა ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო საქონელს ცხენი წარმოადგენდა **(İsakov, 2017:153).** სავაჭრო გზებზე მდებარე ოქროს ურდოს ქალაქებში ბაზრები იმართებოდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად უამრავი ნივთია ნაპოვნი, რომელიც ესპანეთიდან იაპონიამდე სხვადასხვა რეგიონებიდან არის შემოტანილი **(Halikov, 2007:76-77).**

როგორც აღვნიშნეთ, ვაჭრობასთან ერთად ოქროს ურდოში მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობაც. ელ-ომერი გადმოგვცემს, რომ მეტწილად ფეტვი მოჰყავთ და ამით იკვებებიანო. ყივჩაღები, მიწაზე რაც იზრდება ყველაფერს ჭამენ, მაგრამ არაფერს თესავენ. მისივე თქმით, ქალაქ ურგენჩის გარდა მთელს ქვეყანაში დაბალი ფასებია. ხორცი კი ფეტვზე, ხორბალსა და ქერზე უფრო იაფი ყოფილა. ქალაქებში დაკლული ცხენები იყიდება. დაკლულ საქონელს მეზობლები ერთმანეთს უნაწილებენ. ამიტომაც, ოქროს ურდოს მოსახლეობას ხორცეულობა არ აკლია **(Ömeri, 1941:364).** შილტბერგერის ცნობით, ქვეყანაში მხოლოდ ფეტვს თესავენ. ხალხი პურს არ ჭამს, ღვინოს არ სვამს, მათ ნაცვლად ცხენის ან აქლემის რძეს მიირთმევენ **(Schiltberger, 1997:116).** გამოდის, რომ, ოქროს ურდოში მიწათმოქმედებაზე მეტად მესაქონლეობა იყო გავრცელებული. თუმცა, ცნობილია, რომ ბოლგართა ქვეყანაში, დასავლეთ რუსეთში და ცენტრალური და აღმოსავლეთ რუსეთის სამხრეთ სამთავროებში, განსაკუთრებით კი რიაზანში, დიდი რაოდენობით მოჰყავდათ მარცვლეული **(Vernadsky, 2015:255)**. სავარაუდოდ, ოქროს ურდოს სახელმწიფო მისთვის სამყოფ ხორბალსა და ქერს თესავდა. მონღოლთა ტომები ძირითადად ხორცით იკვებებოდნენ, ალბათ ამიტომაც, არ ყიდდნენ მას ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

მონღოლები ადგილობრივი წარმოების გაზრდის მიზნით ხელოსნებს იძულებით ასახლებდნენ. ერთ-ერთი, რამაც მათი დიდი ყურადღება მიიპყრო დაპყრობილ ტერიტორიებზე სარკის წარმოება იყო. მისი წარმოების ცენტრად სწორედ ოქროს ურდო იქცა. ამ პერიოდში გავრცელებული იყო სარკეები ყვავილის მოტივებით. სავარაუდოდ, მონღოლთა იმპერიასა და სხვა მონღოლური ულუსებს შორის სარკის წარმოება მხოლოდ ოქროს ურდოს სახელმწიფოში ხდებოდა **(İsakov, 2017:161-162)**. ტყვედ წამოყვანილი ხელოსნების საშუალებით ოქროს ურდოში წარმოება არაერთი მიმართულებით განვითარდა. ერთ–ერთი იყო მეთუნეობა. მონღოლთა დაპყრობებამდე, შუა აზიაში

გავრცელებული იყო მოჭიქული და დაპრესილი კერამიკის წარმოება. დაიწყო ბოლგარებისთვის დამახასიათებელი მოჭიქული თიხის ჭურჭლის წარმოება და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მეტალურგიაში (Halikov, 2007:77).

ოქროს ურდოს ნუმიზმატიკურ მასალასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში უამრავი ნაშრომია გამოქვეყნებული. ხანების უმრავლესობის მმართველობის თარიღები ნუმიზმატიკური მასალით დგინდება.

ოქროს ურდომ მის ტერიტორიებზე გამავალი სავაჭრო გზების მეშვეობით მოიპოვა ეკონომიკურ ძალაუფლება და რეგიონის ბედსაც ძირითადად იგი განსაზღვრავდა. როგორც ეკონომიკური ძლიერების სიბოლო, სხვადასხვა სახის მონეტებსაც ჭრიდა (Kalan, 2012:24). სხვადასხვა ქალაქში მოჭრილ ფულზე ხანის სახელთან ერთად ზარაბხანის ადგილიც იყო მითითებული (Halikov, 2007:77). შუა საუკუნეების სახელმწიფოების უმრავლესობაში გავრცელებული იყო ტახტზე ახლად ასული მმართ-ველის სახელზე მონეტის მოჭრის ტრადიცია, რომელიც ოქროს ურდოშიც დამკვიდრდა (Kalan, 2012:25). სწორედ ამიტომ, ისინი გვაძლევენ ზუსტ ინფორმაციას ოქროს ურდოს ხანების მმართველობის თარიღების შესახებ. მაგალითად, მენგუ თემურმა, როდესაც ცენტრალურ სახელმწიფოს გამოეყო, ყირიმის ზარაფხანაში მონეტა მოაჭრევინა (Ağat, 1976:46).

მონღოლები ვაჭრობაში ძირითადად მონეტებს იყენებდნენ, თუმცა ერთხანს ოგედეიმ ქაღალდის ფულიც შემოიტანა ხმარებაში (İsakov, 2017:153). შესაბამისად, ვაჭრობასთან ერთად ოქროს ურდოში ფულის სისტემაც განვითარდა (Kurat, 2001:548). განვითარებისა და საქალაქო ცხოვრების სიმბოლო ფული, ძირითადად ქალაქის ცენტრებში იჭრებოდა. მასლა მეტწილად ვერცხლი ან სპილენძი იყო იყო (Kalan, 2012:25; Ağat, 1976:47). ოქროს ურდო მის თანამედროვე ილხანთა ულუსთან შედარებით მაინც სუსტი იყო, რადგან ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობა წინა აზიის საშუალებით ხდებოდა, რის გამოც ყივჩაღთა ველი უკანა პლანზე რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდო უფრო დიდ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობდა, ილხანებს მეტად სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდათ. შესაბამისად აქ დიდი რაოდენობით ოქროს მონეტა იჭრებოდა, ხოლო ოქროს ურდოში ოქროს მონეტის მოჭრასთან დაკავშირებით 1360 წლამდე ცნობები არ არსებობს (Kafalı, 2002:92).

ოქროს ურდოს მონეტების წარწერები და ფორმა, მათი თანამედროვე და ადრინდელი მუსლიმი მმართველების მონეტების მსგავსი იყო. ბერქე ხანის დროს, 1257 წლიდან ნელ-ნელა ისლამის გავრცელებასთან ერთად, ხანებმა მუსლიმი მმართველების მსგავსი მონეტის მოჭრა დაიწყეს. ოქროს ურდოში მცირე რაოდენობით, მაგრამ იჭრებოდა მონეტები, რომელზეც გამოსახული იყო ჩიტი, ლომი, მზე, ისარი, ექვსკუთხა ვარსკვლავი, ყვავილები და სხვადასხვა მცენარეები. წარწერები ძირითადად არაბული იყო. დიდი რაოდენობითაა მონეტები უიღურული დამწერლობითაც, რომელიც სხვადასხვა ქალაქებში თოხთას, ჯანიბექის და თოხთამიშის სახელზე არის მოჭრილი (Ağat, 1976:46).

ილხანების მმართველობის ქვეშ მყოფ საქართველოში 1221–1397 წლებში სხვადასხვა სახის ფული იჭრებოდა. ჯელალედინ ხვარაზმშამ 1226 წელს ქართული სპილენძით მცირე ნაჭრების ფორმის უსწორმასწორო მონეტები მოჭრა. მის მიერ მოჭრილ თევზის ფორმის პირველ ნიმუშებს ვხვდებით ლაშა–გიორგის დროს. ლაშა–

გიორგის მოჭრილია უფორმო სპილენძის მონეტები ჩიტის და ნახევარმთვარის მსგავსი ფანტასტიური ელემენტებით. მოგვიანებით, 1230 წელს, თბილისში რუსუდანმა მოჭრა ვერცხლის ფული. 1244–1245 წლებში რუსუდანის ვაჟის დავით ნარინის სახელზე თბილისის სამხრეთ–დასავლეთით მდებარე მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრ დმანისში მონეტა მოიჭრა. 1247 წელს თბილისში მოჭრილ მონეტაზე ცხენზე ამხედრებული მეფე და ზემოდან ინიციალები ,,დ.თ" არის დატანილი. მეორე მხარეს კი არაბულად გოიუქ ყაენისა და მისი მორჩილი მეფე დავითის სახელები წერია **(Lang, 1955:28-38; Paghava, Novak, 2003:52)**.

არსებობს 1252-1256 წლებში თბილისში მოჭრილი დავით ულუს ვერცხლის მონეტები, რომელიც დიდი ყაენის მენგუსა და ქართველი მეფის სახელზე მოიჭრა. გვხვდება ორი დავითის მიერ ერთად მოჭრილი ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტებიც. ეს მონეტები სავარაუდოდ, დავით ულუს აჯანყების დროს ქუთაისში გადასვლის შემდეგ მამიდაშვილ დავით ნარინთან ერთად მოქმედებისას, 1261–1262 წლებში მოიჭრა **(Lang, 1955:38-39)**. ჰულაგუს ამ რეგიონში გამოჩენისას თბილისში უამრავი მონეტა მოიჭრა, რომლებიც ფორმით განსხვავდებიან მენგუ ყაენის ხანაში მოჭრილი მონეტებისაგან. მაგრამ მონეტებზე ჰულაგუს სახელი არ გვხვდება. 1280 წელს აბაკა ხანმა ქრისტიანი ქართველების მიმართ კეთილი განწყობის გამო მონეტები მოჭრა. აჰმედ თექუდარმა მისი მმართველობისას, 1283–1284 წლებში დემეტრე მეფესთან ერთად მოჭრა ფული. არღუნ ხანის და გაზან ხანის პერიოდში თბილისში სხვადასხვა მონეტები მოიჭრა. გაზან ხანის დროს მოჭრილ ფულზე იყო როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური ნიშნები და წარწერები.

საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სამცხე-საათაბაგოს ცენტრში, ახალციხეში ზარაფხანიას დაარსება. ზარაფხანა ოლჯაითუ ხანის მმართველობის დროსაც მუშაობდა და მის სახელზე 1316–1317 წლებში აქ ფულიც მოიჭრა. თუმცა მასზე ქრისტიანული მოტივები ამოიღეს და მხოლოდ მუსლიმური ელემენტებით დაიბეჭდა **(Lang, 1955:39-56).**

ოქროს ურდოს მმართველები დაპყრობილი ტერიტორიებიდან სისტემატურად კრეფდნენ გადასახადებს, რაშიც მათ სამხედრო მმართველები და სხვადასხვა სახელმწიფო მოხელეები ეხმარებოდნენ **(Vernadsky, 2015:257)**. გადასახადების მოწესრიგებულად აკრეფის უზრუნველსაყოფად თანამდებობები სამხედრო სისტემის მიხედვით შეიქმნა, რომელზეც ათეულის, ასეულის და ათასეულის მეთაურები ინიშნებოდნენ. ამირებს, რომლებიც გადასახადების აკრეფას ხელძღვანელობდნენ „ბაშქაქი" ეწოდებოდათ **(Kurat, 1987:80; Kafalı, 1976:55).** მნიშვნელოვან ცენტრებში კი ინიშნებოდა „ტარუღა". იგი მონღოლური წარმოშობის სიტყვაა და „ბეჭდის დასმას" ნიშნავს **(Vernadsky, 2015:257).** ტარუღები საშინაო საქმეებში ერეოდნენ. გადასახადებზე პასუხისმგებლობა უმაღლეს სათათბიროს (დივანი) ეკისრებოდა, რომელსაც ხანის სასახლეში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. ხაზინის შემოსავლები სპეციალურ დავთრებში იწერებოდა **(Halikov, 2007:73-74)**. გადასახადების აკრეფის მიზნით ტარდებოდა მოსახლეობის კომლობრივი აღწერა **(Kurat, 1987:79-80; Kafalı, 1976:55).** სასულიერო პირები გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ **(Kurat, 1987:80).**

მონღოლებმა ძლიერი ცენტრალიზებული სისტემა შექმნეს. სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთში შემოიღეს სრულიად ახალი საგადასახადო **(Galstyan, 2005:29).** ჯუვეინის ცნობით ოირათის ტომის ერთ-ერთი ცნობილი ამირას შვილი არღუნი, ბავშვობაში უიღურულ დამწერლობას დაეუფლა. მან ბავშვობიდანვე გამოიჩინა თავი და მონღოლთა მმართველობაში მნიშვნელოვანი როლს ასრულებდა. თავიდან სამსახური მოვალეობა „ბითიქჩის“ (მდივან–მწიგნობარი) თანამდებობით დაიწყო. 1243 წლამდე ხორასნის გამგებლის ქორგოზის ადგილას დაინიშნა, მის მმართველობაში მყოფი ყველა ტერიტორია დაიმორჩილა, რომელიც საქართველოდან ანატოლიასა და მოსულამდე იყო გადაჭიმული. 1243 წელს ხორასანში მისულმა ამირა არღუნმა საქმეები მოაწესრიგა და გადასახადების აკრეფას შეუდგა **(Cuveynî, 2013:418-419)**. კირაკოსი ამირა არღუნს ნამდვილი ტირანად მოიხსენიებს და ამბობს, რომ გუიუქ ხანის მმართველობის დროს იგი ვინმე ბუღასთან ერთად ირანში, სომხეთსა და საქართველოში ჯიზიას გადასახადს კრეფდა **(Kiragos, 2009:60).** გრიგოლ აკანელის მიხედვით კი, 1251 წელს მანგუ ყაენმა, სამხრეთ კავკასიაში გადასახადების აკრეფის მიზნით მოსახლეობის აღსაწერად, ამირა არღუნი გააგზავნა. თხუთმეტი წლიდან სამოც წლამდე მამაკაცებს ითვლიდა და თითოეულიდან სამოც თეთრ (ვერცხლის) ახჩას კრეფდა. აღწერის დროს გაქცეულ ან დამალულ ვინმეს თუ დაიჭერდა, ხელ-ფეხს უკრავდა და როზგავდა. უფრო მეტიც, მისევე ცნობით, მონღოლები ამასაც არ ჯერდებოდნენ და ამ ადამიანებს კაციჭამია ძაღლებს მიუსევდნენ, რომლებიც უმწეო, ღარიბ ქრისტიანებს გლეჯდნენ და ჭამდნენ **(Grigor, 2012:45-46).** არღუნისა და ბათო ხანის ურთიერთობებს და არღუნის ოირათის ტომიდან წარმოშობის შესახებ მოგვითხრობს ,,ქართლის ცხოვრება“. იგი გადმოგვცემს, რომ ყაენთა შორის ყველაზე დიდმა ბათო მთელ ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა ბრძანა და ეს საქმე ამირა არღუნს ჩააბარა. არღუნი განათლებული, ჭკვიანი, კარგი მჭერმეტყველი და კანონების მცოდნე ადამიანი იყო. ბათო ხანმა მას სამხედრო პოტენციალის და სხვა საკითხების შესწავლა დაავლა და ამისათვის რუსეთში, კასპიის ზღვის რეგიონში, ოსეთსა და ყივჩაღთა ველზე გაგზავნა. აღწერის დასრულების შემდეგ ბათო ხანმა ის ყარაყორუმში, ყუბილაი ხანთან გაგზავნა. ამ უკანასკნელმა მიიღო ბათოს რეკომენდაცია და ამირა არღუნს ახალი თანამდებობა უბოძა. არღუნმა ყუბილაი ხანის ბრძანებებიც შეასრულა და ჩაღათაისა და უიღურების ქვეყანაში, მათ დასახმარებლად წავიდა. შემდეგ თურანისკენ აიღო გეზი და იქ ყველა საქმე მოაგვარა. მოგვიანებით კი ამუდარია გადალახა და ხორასანსა და ერაყს ეწვია **(K.Ts., 2014:350; Lane, 1999:473).**

ჯუვეინი გადმოგვცემს, რომ 1258 წელს ორ დავითთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ ჰულაგუსთვის ამბის მისატანად ამირა არღუნი ხორასნის გავლით საქართველოსკენ გამოემართა და მოსახლეობის აღწერასთან ერთად გადასახადებთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილებები მიიღო. სავარაუდოდ ეს მეორე ექსპედიცია გადასახადების აკრეფას უკავშირდებოდა. მანამდე ათ კაცზე დაკისრებული 70 დინარის ოდენობის „ქოფჩური“ გადასახადი ჯარის და სხვა სახელმწიფო ხარჯებს არ ყოფნიდა, რის გამოც დამატებითი გადასახადები შემოიღო და დანარჩენ ყველაფერს კი ნაწილ-ნაწილ კრეფდა. ჯუვეინის აზრით, ხორასანში ამირა არღუნი მიხვდა, რომ საგადასახადო სისტემა მდიდრების სასარგებლოდ და ღარიბების საწინააღმდეგოდ იყო მოწყობილი. ამირამ ეს

შეამჩნია და ხალი გადაწყვეტილებები მიიღო, რის შემდეგაც საქართველოსკენ აიღო გეზი (Cuveynî, 2013:430-431). კირაგოსი საუბრობს სულადობრივ გადასახადზე, რომელსაც ,,თაღარი" ერქვა (Kiragos, 2009:74). გრიგოლი წერს, რომ 1258 წლიდან, ხანად დანიშვნის შემდეგ, ჰულაგუ ცოლის მრწამსის გამო პატივს სცემდა ქრისტიანებს და მათგან შედარებით მცირე გადასახადს იღებდა. მაგალითად, სომხების წლიურ გადასახადს სულ რაღაც ასი ათასი თავი ღორი წარმოადგენდა. მისივე გადმოცემით, მან ქალაქებში ორიასი ათასი ღორი გაგზავნა და მუსლიმ მწყემსებს ჩააბარა. მათ ყოველ კვირა ღორების საპნით დაბანას და დილა-საღამოს ბალახის გარდა ნუშით და ხურმით გამოკვებას აიძლებდა (Grigor, 2012:58-59). ,,ქართლის ცხოვრება", სხვა წყაროების მსგავსად გადმოგვცემს, რომ ჰულაგუ ხანის დროს ამირა არღუნი საქართველოში კვლავ მოვიდა. როდესაც არღუნი ჰულაგუს წინაშე წარადგა, ხანმა მისი ნახვით ძალიან გაიხარა და საქართველოში დავით ულუსთან გამოაგზავნა. არღუნმა აქ მოსახლეობა აღწერა და ქვეყნის საქმეები მოაწესრიგა. არღუნის მოსვლამდე, საქართველოს მოსახლეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. მონღოლებმა კვლავ აღწერეს მოსახლეობა, საქონელი, მიწები, სამოვრები და ვენახები. მიწის მესაკუთრეებს ჯარის შენახვა დაევალათ. ყველა სოფელს ეულის მეთაურისთვის ყოველდღიურად ერთი ბატკანი და ერთი დრაჰკანი, ათი ათასეულის მეთაურისთვის ერთი ცხვარი და ორი დრაჰკანი, ხოლო ყოველ მხედარზე სამი თეთრი უნდა გადაეხადა (K.Ts., 2014:350). იქ, სადაც ყაენების მმართველობა ვრცელდებოდა, არღუნმა მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. აბაკა ხანის დროს იგი კვლავ დაბრუნდა საქართველოში. ამჯერად მას უნდა გაერკვია, თუ რა ზიანი მიაყენეს მონღოლებმა აქაურობას და ააშენეს ახალი. საბოლოოდ დადგინდა, რომ მონღოლების პირველი შემოსევიდან ბერქე ხანამდე ჰერეთი და კახეთი სრულიად განადგურდა (K.Ts., 2014:370). ქართლის ცხოვრებაში ტერმინი „მონღოლები" ოქროს ურდოს ჯარს ნიშნავს. ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ბრძოლებმა საქართველოს ძალიან დიდი ზიანი მიაყენა. ამ მოსვლაზე ამირა არღუნი ერთ ხანს თბილისში დარჩა. ამ დროს დემეტრე II-ს მამის, დავით ულუს მიერ მასზე მიცემული პირობა შეახსენა, რომელსაც ნათქვამი ჰქონდა, რომ მის ქალიშვილს ანუ დემეტრეს დას, არღუნის ვაჟს მიათხოვებდა, მაგრამ სიკვდილის გამო ვერ შეასრულა სიტყვა. დემეტრეს არ სურდა მისი დის ურჯულოზე დაქორწინება, მაგრამ მამის სიტყვას ვერ გადავიდა და მისი და თამარი ამირა არღუნის შვილს მიათხოვა. ქორწილის შემდეგ ამირა არღუნმა მისი ვაჟი მეფესთან დატოვა, თავად კი ილხანთა დედაქალაქში დაბრუნდა (K.Ts., 2014:370-371).

ეპისკოპოს სტეფანოსის ქრონიკის მიხედვით, 1273 წელს ამირა არღუნი კვლავ საქართველოსა და სომხეთში დაბრუნდა და მოსახლეობის აღწერა ჩაატარა (Stepanos, 2005:71). აღწერა ჯარისა და გადასახადების რაოდენობას ადგენდა.

მენგუ თემურმა, მუსლიმ ვაჭრებს პრივილეგიები გაუუქმა და ერთიანი საგადასახადო სისტემა შექმა (Vernadsky, 2015:204). 1300 წლიდან გაზან ხანმა და ილხანთა სახელმწიფოს მმართველებმა ისლამი მიიღეს. მათი ბატონობის ქვეშ არსებულ ქრისტიანულ ქვეყნებში კი, მათ შორის საქართველოსა და სომხეთში გადასახადები გაზარდეს (Bournoutian, 2006:112).

§ 4. რელიგია

მონღოლ მმართველებს შორის იყვნენ სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები. მოსახლეობის აღმსარებლობასთან დაკავშირებით კი დაწვრილებითი ცნობები არ გვაქვს. გამომდინარე იქედან, რომ უზბეკ ხანის დროს ოქროს ურდოში ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, 1320 წლიდან, სავარაუდოდ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისლამი მიიღო. მონღოლები ამ მხრივ ტოლერანტობით გამოირჩეოდნენ. როგორც ჩანს, ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ყაენთა ცოლები და შვილები სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებდნენ. მაგალითად, ბათო ხანისა და ბერქეს ძმები სხვადასხვა მრწამსისანი იყვნენ. 1260 წლამდე მონღოლთა ქრისტიანობაზე აღმოსავლეთის ქრისტიანებიდან გამოგზავნილი წერილები ახდენდა გავლენას. ისინი ცდილობდნენ, რომ მონღოლ ნოინებთან და სახელმწიფო მოხელეებთან ახლო ურთიერთობები დაემყარებინათ მათ შორის ქრისტიანობა გაევრცელებინათ. ეს დამოკიდებულება ხშირად მონღოლ მმართვე-ლებსა და მუსლიმ მოსახლეობას შორის უთანხმოების მიზეზი ხდებოდა (Yuvalı, 1987:126-127).

ოქროს ურდოში რელიგიის ფაქტორი მკვეთრად აისახებოდა პოლიტიკაში, კულტურასა თუ სხვა სფეროებში. დაპყრობილ ტერიტორიებზე მოსახლეობა მათ წინააღმდეგ რელიგიური ნიშნით რომ არ გაერთიანებულიყვნენ, მონღოლები მათ მრწამსს მხარდაჭერას უცხადებდნენ და პრივილეგიებსაც აძლევდნენ. მაგალითად, სართაქ ხანმა ქრისტიანობა, ბერქე ხანმა კი ისლამი მიიღო. ოქროს ურდოს მმართველების რწმენაზე ხშირად გავლენას ახდენდა არსებული მდგომარეობა. ქრისტიანები რუსული სამთავროები და ყირიმში მყოფი სავაჭრო კოლონიები იყვნენ, ან უნგრეთში გაქცეული დასავლეთის ქრისტიანი ყივჩაღები, რომლებიც ბერქე ხანისთვის მნიშვნელოვანი არ იყვნენ. იგი უფრო მნიშვნელოვანი ჰულაგუსა და ირანის წინააღმდეგ მუსლიმ მამლუქებთან კავშირი იყო. ოქროს ურდოს მართველებს შორის პირველმა ისლამი ბერქე ხანმა მიიღო. მას სურდა აგრეთვე მოეპოვებინა შუა აზიის ისლამის ულემას (ღვთისმეტყველის) ტიტული (Golden, 2002:247-248). ჯენ რიჩარდი მიიჩნევს, რომ ბერქემ ისლამი არა პოლიტიკის, არამედ რელიგიური პროპაგანდის გამო მიიღო, რაც მუსლიმი ისტორიკოსებს იბნ ჰალდუნს, ელ-აინიმს და ქალქაშანდის და ჩინგიზ ხანის ოჯახში დაფასებული, ბუხარაში მცხოვრები შეიხ შემსედინ ბაჰარზის უკავშირდება (Richard, 1988:634-641). ბერქე ხანის გამუსლიმებაში დიდი როლი ითამაშა შუა აზიამ, ძველმა მუსლიმურმა ქვეყნებმა და, განსაკუთრებით ხვარაზმმა. სართაქსა და სხვებზე კი დიდი ზეგავლენა მოახდინა ქრისტიანობამ. საქართველოს, რუსეთის სამთავროებს და უნგრეთს, რელიგიური კონტაქტების შედეგად შეეძლოთ ნაწილობრივ გაქრისტიანებული ყივჩაღები, მომთაბარე ალანები, ყირიმისა და რუსეთის ბინადარი ჯუჩის შთამომავლები და მონღოლთა ტომები მთლიანად საკუთარ სარწმუნოებაზე მოექციათ (Richard, 1988:642). ბერქე ხანის მიერ ისლამის აღიარებამ და ამ ტერიტორიებზე მისთვის საფუძვლის ჩაყრამ ოქროს ურდოს პოლიტიკას და კულტურას მთლიანად შეუცვალა მიმართულება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1257 წელს მოსახლეობის აღწერისას სასულიერო პირები გადასახადებისა და სხვა პასუხისმგებლობებისგან გათავისუფლებულნი იყვნენ. რუსულ ეკლესიაში, მონღოლთა მმართველობის დროს ქონება და მრევლი გაიზარდა.

რუს სასულიერო მეთაურებზე ოქროს ურდოს ხანების მიერ გაცემული „ბრძანებები“ ცხადად გვიჩვენებს რუსული ეკლესიის პრივილეგიებს. ამის გამო, რუსულ სასულიერო პირებს ოქროს ურდოს მმართველობის წინააღმდეგ დიდი ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღიათ **(Kurat, 1987:80-81; Kemaloğlu, 2015:8283).**

მენგუ თემურის მმართველობამდე, რუსული ეკლესია-მონასტრების წინამძღვრები, ბერები და მღვდლები გადასახადებისგან განთავისუფლებულნი იყვნენ. მის დროს კი, გადასახადები მოეხსნათ ამ სასულიერო პირების ოჯახებსაც. ეკლესია-მონასტრებისა და სასულიერო პირებისათვის გადასახადების მოხსნამ და მათზე მიწების გაცემამ რუსული ეკლესიის უფლებები უფრო გაზარდა. „ეკლესიის ხალხი“ (სასულიერო პირები და მათი ოჯახები) სამხედრო სავალდებულო სამსახურსგანაც განთავისუფლდნენ. თუკი რომელიმე მონღოლი ეკლესიის მიწას მიისაკუთრებდა ან სასულიერო პირს შეეხებოდა, სიკვდილით ისჯებოდა. უფრო მეტიც, თუ ვინმე მართლმადიდებლობას აუგად მოიხსენიებდა, მასაც კლავდნენ. რუს ბერ-მონაზვნებს მოეთხოვებოდათ მენგუ თემურის ოჯახისა და მომდევნო ხანებისთვის გულწრფელი ლოცვა. მენგუ თემურის მმართველობის დროს რუსული ეკლესიის მიმართ ტოლერანტულმა დამოკიდებულებამ ოფიციალური სახე მიიღო სპეციალური ბრძანებით. ბრძანებას უფრო მეტი გავლენა რომ ჰქონოდა, დასაწყისში ჩინგიზ ხანის სახელი იყო მოხსენიებული. ამ „იარლიღით“ რუსმა სასულიერო პირებმა და მათი გავლენის ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ სხვებთან შედარებით პრივილეგიები მიიღო. ეკლესიამ გამდიდრება დაიწყო. ამ პოლიტიკამ საფუძველი დაუდო რუსეთის ყველაზე განათლებული სოციალური ფენის ხანისადმი ერთგულებას **(Vernadsky, 2015:204-206).** მენგუ თემურის რელიგიურ მრწამსზე წყაროებში სხვადასხვა აზრი არსებობს, თუმცა მთავარი ისაა, რომ ოქროს ურდოს სხვა მმართველების მსგავსად ისიც რელიგიური შემწყნარებლობით გამოირჩეოდა.

ბერკე ხანის შემდეგ უზბეკ ხანის მმართველობის ხანამდე ისლამი და მისი მოტანილი პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობები მერყეობდა **(Golden, 2002:248).** აბდულგაფარ ყირიმელის, 1747 წლით დათარიღებული ცნობით, ბერქე ხანამდე ცეცხლის თაყვანისმცემელი ჯუჩის ულუსი, ბერქე ხანის სიკვდილის შემდეგაც, უზბეკ ხანის მმართველობამდე კვლავ ძველებურად აგრძელებდა ცხოვრებას **(Kırımî, 2003:82).** უზბეკ ხანის მართველობის ხანამდე ოქროს ურდოს სახელმწიფოში შიდა არეულობა არ ცხრებოდა, მისი მოსვლის შემდეგ კი ცენტრალური ხელისუფლება გაძ-ლიერდა და ისლამის გავრცელება დაიწყო. უზბეკ ხანის მიერ ისლამის მიღებამ პოლი-ტიკურ სფეროშიც გარკვეული ცვლილებები გამოიწვია. მონღოლებისთვის დამახასიათე-ბელი ტოლერანტობა უზბეკ ხანის დროსაც შიგა და შიგ იჩენდა თავს, რაც მუსლიმი მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი ხდებოდა. ამის მიზეზი კი სოციალური მოთხოვ-ნების შესაბამისად პოლიტიკური ცვლილებები იყო **(De Weese, 1994:100).**

მარკო პოლოს მოგზაურობაში აღწერილი აქვს ამ პერიოდის საქართველოს რელიგიური ცხოვრება: *„გადმოცემის თანახმად, პირველ ხანებში საქართველოს მეფეები ყოველთვის, მარჯვენა მხარზე არწივის ნიშნით იბადებოდნენ. შრომისმოყვარე, მებრძოლი, მამაცი ქართველები, ქრისტიანები არიან და ბერძნულ ორთოდოქსულ ეკლესიას აღიარებენ. უმრავლესობას სასულიერო პირების მსგავსად თმა დაწნული აქვს“* **(Marko**

polo, 1980:22). ჩვენს მიერ გამოყენებულ მეორე თარგმანში კი მოგვითხრობს: *„ამ მხარეში მცხოვრებნი კარგი მეზღვაურები, მარჯვე მეისრეები და მამაცი მეომრები არიან. აქაურები ქრისტიანები არიან, ორთოდოქსურ ეკლესიას აღიარებენ და დასავლეთის სასულიერო პირების მსგავსად თმას მოკლედ იჭრიან“* (**Marco Polo, 1985:22**). ბერქე ხანთან ერთად ოქროს ურდოს სახელმწიფოში ისლამიზაციის პროცესი დაიწყო. XIV ს-ის 20-იანი წლებიდან კი ეს პროცესი დაჩქარდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხანები ყველაზე მეტად ორთოდოქსურ ეკლესიას სცემდნენ პატივს. მათ შორის იყვნენ უზბეკ, ჯანიბექ და ბერდიბექ ხანები (**Roux, 2008:284; Gökbilgin, 1972:13)**

ეთნიკური თვალსაზრისით, მონღოლთა შემოსევების ყველაზე თვალში მოსახვედრი შედეგი იყო თურქული ტომების გავრცელება დასავლეთ აზიის ვრცელ ტერიტორიებზე, რამაც სოციალურ-ეკონომიკური კუთხითაც სრულიად ახალი სურათი შექმნა. მონღოლები თვითონ მრავალრიცხოვან ტომს არ წარმოადგენდნენ და ამის გამო ჩინგიზ ხანი მის ჯარს თურქებზე დაყრდნობით აძლიერებდა. მონღოლთა ჯარებში თურთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო. სწორედ ამიტომ თურქული ენა მონღოლთა ლაშქართან ერთად მთელს აზიაში გავრცელდა. მონღოლურად მოსაუბრეთა რაოდენობა, თურქთა სიმრავლის გამო შემცირდა და მონღოლური მხოლოდ და მხოლოდ მონღოლთა სამშობლოში გამოიყენებოდა (**Sander, 1989:57).** ამ სიტუაციამ უამრავი ცვლილება მოიტანა როგორც სავაჭრო, ისევე სოციალურ ცხოვრებასა და სახელმწიფო მმართველობაში. **(Barthold, 2017:139).** მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფო მონღოლებმა დააარსეს, მოსახლეობის უმრავლესობას ყივჩაღები და სხვა თურქული ტომები წარმოადგენდნენ. სწორედ ამის გამო მონღოლებმა აქ უფრო ადრე დაიწყეს თურქულად საუბარი, ვიდრე თურქისტანსა და ირანში. ისლამის გავრცელებასთან ერთად მათი ნაწილის გათურქებაც კი **(Turan, 2014:520).**

მონღოლებმა, როგორც ყველგან, ოქროს ურდოს დაქვემდებარებაში მყოფ ყივჩაღთა რეგიონშიც უცნობი უიღურული დამწერლობა შემოიღეს **(Barthold, 2017:143).** ოქროს ურდოს ბრძანებულებებსა და მონეტებზე არსებული უიღურული დამწერლობა ამას ადასტურებს. თუმცა, უიღურულ აღმოსავლეთ თურქულ ენასთან ერთად ოფიციალურ მიმოწერაში მონღოლურსაც იყენებდნენ. ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ოქროს ურდოსა და მამლუქების მიმოწერაში მონღოლური ჭარბობდა. მამლუქებიც ოქროს ურდოს მონღოლურად სწერდნენ პასუხს (**Golden, 2002:247; Bertold, 2011:492**). ჩაღათაის თურქულის განვითარება, ძირითადად ოქროს ურდოს ფარგლებში და მისი გავლენით მოხდა **(Golden, 2002:247).** ამას გარდა, უზბეკ ხანის მმართველობის ხანაში მთელს ქვეყანაში ისლამის გავრცელებასთან ერთად, არაბულმაც დაიწყო დამკვიდრება. ქვეყნის სწავლულები ხშირად იყენებდნენ მას **(Golden, 2002:247; Bertold, 2011:492)**.

მამლუქებთან პოლიტიკური მოკავშირეობის შედეგად ოქროს ურდოში ისლამის გავრცელება დაჩქარდა. განსაკუთრებით ფართოდ კი, XIV ს-ის 20-იან წლებში გავრცელდა. ხალხმა მონღოლთა წარსული დაივიწყა და არისტოკრატია თანდათან გათურქდა. სწორედ ამიტომ დაიწყო თურქულად მოსაუბრე ყველა მუსლიმის „თათრად“ მოხსენიება **(Roux, 2008:285).** ამჟამად, ქრისტიანი თათრები თავიანთ წინაპრებად რუსებს თვლიან, მუსლიმი თათრები კი თურქულ წარმომავლობას იჩემებენ. თათრების წარმომავლობის

შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება და ეს მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია. მათში რელიგიის გავლენა უფრო მეტია, ვიდრე ეთნიკური თვითმყოფადობა.

კულტურული განვითარების თვალსაზრისით, მთელს ოქროს ურდოში განსხვავებული სიტუაცია იყო, რადგან იგი აერთიანებდა უამრავ ხალხს, რომლებიც საკუთარი კულტურული განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე იყვნენ.

§ 5. სოციალური ცხოვრება და დიდი ქალაქები

ოქროს ურდოს მოსახლეობა მხოლოდ მომთაბარე ცხოვრებას რომ არ ეწეოდა, ამას მრავალი ქალაქისა და სოფლის არსებობაც ადასტურებს. მის საზღვრებში მოქცეული ვოლგის შუა წელზე მცხოვრებ თურქებს ადრეულ პერიოდშივე აქ საცხოვრისები დაუარსებიათ. ვოლგის ქვემო წელზე მცხოვრები მონღოლები და თურქები სწორედ ამ ქალაქებში იყვნენ დასახლებულნი. ჩინგიზ ყაენის ვაჟებს შორის ტერიტორიების გადანაწილებიდან ოქროს ურდოს დაცემამდე ჯუჩის ულუსის საზღვრების ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია. ოქროს ურდოს საზღვრების ჩრდილოეთით რუსული სამთავროები, სამხრეთით ყირიმი თავისი ქალაქებით და დარუბანდი მდებარეობდა. მუდმივი ბრძოლის შედეგად საზღვარი ზოგჯერ სამხრეთით უფრო შორს ვრცელდებოდა (**İzgi, 1996:152).**

1242 წელს ბათო ყაენი, რომლის სამფლობელოებიც ადრიატიკის საზღვრებამდე ვრცელდებოდა, მიხვდა, რომ დაპყრობილ ტერიტორიებს ვერ შეინარჩუნებდა და ყველაზე დაუმორჩილებელ ვოლგის ბოლგარებისკენ გაემართა და ბინა აქ დაიდო. იგი აქ 1242-1246 წლებში იმყოფებოდა. ხანების რეზინდეციის ქალაქებსა და სტეპებში მოწმობს, რომ მათი ხელისუფლება მომთაბარეებზეც თანაბრად ვრცელდებოდა და შეეძლოთ ოქროს ურდოში მყარი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება (**Halikov, 2007:73**). ჯუჩის ულუსის აღმოსავლეთისგან განსხვავებით, ბათოსა და ბერქეს მემკვიდრეების მმართველობაში ურბანული ცხოვრება უფრო განვითარდა (**Barthold, 2017:141**). ბათოსა და ბერქეს დროს მათი ბანაკი ჯერ ბოლგარებთან, შემდეგ სარაიში, მოგვიანებით კი დაპყრობილ ტერიტორიებზე (სტეპებში) იშლებოდა. ეს ტრადიცია XIV ს-ის ბოლოდან და XV ს-მდე გრძელდებოდა. თოხთამიში და უზბეკ ხანი მომთაბარეების მსგავსად ზაფხულს, ზამთარს კი ქალაქში ატარებდნენ. როგორც წესი, ქვეყნის დედაქალაქში და მის მიმდებარედ სავაჭრო და სოციალური ცხოვრება ყოველთვის აქტიურობით გამოირჩევა. უნდა ითქვას, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფოშიც საქალაქო ცხოვრება განვითარებული იყო. ქალაქები შენდებოდა სტეპებზე. მათი ნაწილი ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ნოინთა ულუსებიც მათში შედიოდა. მეორე ნაწილი დაპყრობილი ტერიტორიებიდან ტყვედ წამოყვანილი ხელოსნებისა და ვაჭრების დასახლებები იყო. ქალაქების მიმართ ოქროს ურდოში უფრო განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ, ვიდრე მანამდე მონღოლებს. მომთაბარე ხალხი, ანუ ისინი, ვინც ცხენზე ამხედრებული ცხოვრობდა, ქალაქებს ციხესიმაგრეების მსგავსად თავდაცვის ობიექტად მიიჩნევდნენ და ასეთი ქალაქების მშენებლობისგან თავს იკავებდნენ. დაპყრობილ ტერიტორიებზე ქალაქის კედლებს ანგრევდნენ, მოწინააღმდეგე ქალაქებს ანადგურებდნენ და ფეხზე წამოდგომის საშუალებას არ აძლევდნენ. ვოლგის ბოლგართა სახელმწიფოს ქალაქები

ამის შესანიშნავი მაგალითია. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქალაქის არქიტექ-ტურა ზოგადად, ციხესიმაგრის შიგნით დასახლებას წარმოადგენდა. ოქროს ურდოს მსგავსი არქიტექტურული მოწყობა არ გაუგრძელებია, რადგან მონღოლთა აზრით ქალაქებს ციხეები კი არა, სახელმწიფო იცავდა. ბათო ბერქეს მმართველობის დროს დაარსებულ ოქროს ურდოს ქალაქებში შენდებოდა ციხე-დარბაზები თავისი მიწებით, რომლის ირგვლივაც ხალხი ცხოვრობდა. ოქროს ურდოს აღზევების ხანაში დიდებულები ციხე-დარბაზებში ცხოვრებას იწყებენ (Halikov, 2007:73-75).

უზბეკ ხანის დროს ციხე-დარბაზების რაოდენობა გაიზარდა. დღითი დღე იზრდებოდა მეჩეთების, ბაზრობების, ზარაფხანებისა და სახელოსნოების რიცხვი. ჩამოვ-თვლით ოქროს ურდოს მნიშვნელოვან ქალაქებს: აზაკი, ბარჩინი, ბაქო, ბოლგარი, დარუბანდი, გულისტანი, ყირიმი, ყირიმ-ჯადიდი, მაჯარი, მაჯარ-ჯადიდი, მოჰში, ორდუ, ორდუ-ჯადიდი, ორდუ-ფაზარი, რეჯანი, სარაი, სარაი-ჯადიდ, სარაიჯიქი, სიღნაკ-ჯადიდი, თავრიზი, უქეკი, შირვანი, ჰაჯითარჰანი და შამახი. ამ ქალაქთა არსე-ბობა მიუთითებს, რომ ოქროს ურდოს სახელმწიფო მხოლოდ „სტეპების იმპერია“ არ ყო-ფილა (Kurat, 2001:545-546). ამათ გარდა ცნობილია აგრეთვე ისეთი კულტურის ცენტ-რები, როგორებიცაა ხვარაზმის უმთავრესი ქალაქი ურგენჩი და საქსინი (İzgi, 1996:154).

150 წლის განმავლობაში ოქროს ურდოს ყველაზე ყველაზე მდიდარი და ცივილი-ზებული ნაწილი ხვარაზმი იყო. XII ს-ის დასაწყისში იგი ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით აღმავლობას განიცდიდა. ხვარაზმის დედაქალაქი ურგენჩი (გურგენჩ) გეოგრაფიულად ჩინეთის, შუა აზიის, ირანისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ცივილიზაციებისა და სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილი იყო (İzgi, 1996:154). ოქროს ურდოს მუსლიმი მოსახლეობა ხვარაზმს ექვემდებარებოდა და მისი დედაქალაქ ურგენჩს, რომელიც დღევანდელი უზბეკეთის საზღვრებშია მოქცეული, თავისი შესანიშ-ნავი ძეგლებით სახელი ჰქონდა განთქმული (Roux, 2008:287).

ბერმა, ვილჰელმ ვონ რუბრუკმა 1253-1255 წლებში დიპლომატის სტატუსთ იმოგ-ზაურა და დაბრუნების შემდეგ, საფრანგეთის მეფე ლუდვიგ IX-ს გადასცა ანგარიში - მოგზაურობის ჩანაწერები ,,ქალაქი სარაი“ შესახებ, რომელიც პირველწყაროა და საინტე-რესო ცნობებს შეიცავს. მდიდარ ინფორმაციას შეიცავს მონღოლთა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების, სახელმწიფო მოწყობის, მონღოლეთის გეოგრაფიის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დედაქალაქ ყარაყორუმისა და ოქროს ურდოს დედაქალაქ სარაის დიდგვაროვნებისა და მმართველების შესახებ. რუბრუკის მოგზაურობის პირვე-ლი ჩანაწერი 1253 წლის 7 მაისით თარიღდება, როდესაც მოგზაურობას იწყებს სტამბო-ლიდან ყირიმისკენ. მოგზაურობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ დაწერილი სიტყვები ფრიად საინტერესოა. რუბრუკი, რომელიც ჯერ კიდევ დედაქალაქ სარაიმდე არ მისულა წერს: *„სოლდაიადან (სუდაკი) წამოსვლისას, სანამ სერთაქ ხანის წინაშე წარვდგებოდით, ორი თვის განმავლობაში არც კარავში, არც სახლში არ გვიძინია, ღია ცის ქვეშ, ურემზე გვეძინა“*. აქვე დასძენს: *„ასევე ამ ხნის განმავლობაში არც დასახლებული ადგილი გვინახავს, არც ნამოსახლარის კვალი“* (Rubruck, 2001:30). მომთაბარე მონღოლთა ცხოვ-რების უცხო იყო რუბრუკისთვის, რამაც მოგზაური გააკვირვა. მოგზაურობის დროს მონ-

ღოლებთან შეხვედრაზე, წერს: *„როცა მათთან ვიყავი, სხვა სამყაროში მეგონა თავი“* -ო (Rubruck, 2001:30).

დედაქალაქი სარაი და სხვა ქალაქები

სარაი, სპარსული სიტყვაა. ასე მოიხსენიებდნენ მონღოლები ხანების საცხოვრებელს (Barthold, 2017:141). ოქროს ურდოს დედაქალაქი „სარაი“ იყო და ყივჩაღთა მეორე ლაშქრობიდან დაბრუნებისას ბათო ყაენმა, მდინარე ვოლგის მარცხენა ნაპიროზე, ვაკე ადგილას დაარსა (Kamalov, 2009:121).

ბათო ხანი, რუსული სამთავროებსა და აღმოსავლეთ ევროპაში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, 1241 წელს დაბრუნებდა და ცოტა ხანში, მდინარე ვოლგის ქვემო წელში, მისი მმართველობის ქვეშ მყოფ „ურდო“-ს ცენტრი დააარსა. 1254 წელს მონღოლეთიდან დაბრუნებული რუბრუკი ბათოს მიერ მდინარე ვოლგაზე აშენებული ახალი ქალაქის „სარაის“ შესახებ მოგვითხრობს (Barthold, 2017:140). „სარაი-ბათო“-ს სახელით ცნობილი პოლიტიკური ქალაქი, აბრეშუმის გზაზე მდებარეობის გამო, ვაჭრობის მეშვეობით მოკლე ხანში განვითარდა და აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ ციმბირს შორის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა (Saray, 1989:539; Baipakov, 2007:26). ის იყო თურქისტანელი, სპარსელი, ბიზანტიელი, რუსი, გენუელი და ცენტრალური ევროპიდან მოსული ვაჭრების შეხვედრის ადგილი (Kamalov, 2009:121).

სარაი ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. რუსი მთავრები მათთვის საპატიო იარლიღის მისაღებად აქ მოდიოდნენ (Fahreddin, 2003:91). ვოლგიას ქვემო წელი საქარავნო და საწყალოსნო გზების გადაკვეთის წერტილი იყო, რითაც ოქროს ურდოს სახელმწიფოში მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა. ანუ 1250 წლის დასაწყისში ვოლგის დელტაზე ქალაქ სარაის დაარსება შემთხვევითი არ ყოფილა (Vasary, 2016:2).

1261 წელს ბერქე ხანი დათანხმდა ალექსანდრე ნევსკის წინადადებას სარაიში საეპისკოპოსოს მშენებლობის შესახებ. მონღოლ მმართველებთან თანამშრომლობა, რუსული ეკლესიისთვის მნიშვნელოვანი, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ბათო ყაენის დაარსებული ძველი ქალაქის გარდა, ბერქემ იმავე სახელწოდების ახალი ქალაქი დააარსა. 1313 წლამდე ბათოს მიერ დაარსებული ქალაქი სარაი დედაქალაქად რჩებოდა (Vernadsky, 2015:190). ბერქეს მმართველობის დროს დედაქალაქი განვითარდა და მდებარეობა შეიცვალა. სავაჭრო გზებისთვის უფრო ხელსაყრელი მდებარეობის გამო, დედაქალაქი სარაიდან მდინარე ვოლგის ზემო წელში, ახალ სარაიში (სარაი-ჯადიდ) გადაიტანეს. კასპიის ზღვასთან, სარაი-ბათოს გვერდით, თანამედროვე ვოლგოგრადთან, ჩარიოვის ადგილას მდებარე სარაი-ბერქე 1253-1345 წლებში ოქროს ურდოს დედაქალაქი იყო.

ამ პერიოდის წყაროებში სარაი-ბათუ, სარაი ბერქედ და სარაი ჯადიდად მოიხსენიება, რამაც ქალაქის შესახებ, სხვადასხვა მოსაზრებები გააჩინა (Kurat, 1972:124; Kamalov, 2009:121). მონეტებზე და წერილობით წყაროებში მოხსენიებული „ახალი სარაი“ სხვა ქალაქია თუ იმავე ქალაქზე მიუთითებს, კამათის საგანი გახდა. ნაწილი, სარაი ბათუსა და სარაი ბერქეს იგივე ქალაქად მიიჩნევს, ნაწილი კი სარაი ბერკესა და სარაი ჯადიდს აიგივეებს. იმათ საპირისპიროდ, ვინც მიიჩნევს რომ, ეს ადგილი ქალაქად ბერქე ხანის მმართველობის პერიოდში იქცა და სარაი ბათოუ და სარაი ბერქე ერთი და იგივე ქალაქია (Kamalov, 2009:121), გაჩნდა შემდეგი შეხედულება: ოქროს ურდოს პოლიტიკური

გაერთიანების ერთ-ერთმა ყველაზე ძლიერმა მმართველმა ბერქე ხანმა, მდინარე ვოლგას დელტაზე დააარსა „იენი სარაი“, რომელმაც „ესქი სარაი“ (სარა ბათუ/ძველი სარაი) ჩრდილში მოაქცია **(Kurat, 1972:129).** ამ ორი ქალაქის სხვადასხვა ადგილზე მდებარეობას არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებს. სარაი ბათოს ნანგრევები ასტრახანიდან 30 კმ. ჩრდილოეთით, ქალაქ სელიტრენნოეშია ნაპოვნი, ხოლო სარაი ბერქესი კი, ვოლგოგრადის სამხრეთით, მდინარე ვოლგას მარცხენა სანაპიროზე **(Halikov, 2007:76; Vernadsky, 2015:190).**

ელ-ომერს, უზბეკ ხანის მმართველობის ხანაში, ქალაქი სარაი უნახავს და შემდეგ ცნობებს გვაწვდის: *,,ამ სახელმწიფოს დედაქალაქი სარაია. სარაი, ქვიშასა და მდინარეს შორის მდებარე ქალაქია, უზბეკ ხანმა დღეს აქ სამეცნიერო მედრესე ააშენა“* **(Ömeri, 1941:364).** მან ვინმე აბდურაჰმან ხვარაზმელისგან შეიტყო, რომ ქალაქი მშრალ რეგიონში დაარსდა. ქალაქის მშენებლობისას მის ირგვლივ კედელი არანაირი კედელი არ შემოუვ-ლიათ. სარაიში ბევრი კოშკი მდებარეობდა. იბნი ბატუტას მსგავსად, ისიც ქალაქის სიდიდეზე მოგვითხრობს და ამბობს, რომ აქ აბანო და ბევრი ბაზარია. სარაისა და ხვარაზმს შორის მანძილის დასაფარად თვენახევარია საჭირო და მათ შორის ორი მნიშვნელოვანი ქალაქი - ჰივე და ყუთლუქენთი მდებარეობს. საქონლის ფასები ხვარაზ-მსა და სარაიში თითქმის ერთი და იგივეა **(Ömeri, 1941:386).**

XIV ს-ის მაროკოელი მოგზაური იბნი ბატუტა უზბეკ ხანის მმართველობის დროს ქალაქ სარაის ეწვია. იგი ქალაქს შემდეგნაირად აღწერს: *„სერა უზარმაზარ დაბლობზეა გაშენებული; ძალიან დიდია და მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალაქია. ქუჩები სავსეა მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. კოხტა ბაზრები და ფართო ქუჩებია. ქალაქის დასათ-ვალიერებლად და ფართობის გასარკვევად იქაურ დიდგვაროვნებთან ერთად ცხენებზე შევჯექით. ადრიანად დავადექით გზას, მაგრამ მეორე ბოლომდე მაინც ვერ ჩავედით! იქვე ვილოცეთ და ვჭამეთ. კვლავ უკან დავბრუნდით. მოსაღამოვდა! მეორე დღეს ქალაქში ვიხეტიალეთ, წასვლა-წამოსვლამ ნახევარი დღე წაიღო. ქალაქი შენობებითაა სავსე. სახლებს შორის არც ბოსტნებია და არც ძველი შენობები! ქალაქში ცამეტი დიდი მეჩეთია; ამათგან ერთ-ერთი შაფიებს ეკუთვნის. პატარა სამლოცველოები კი უთვალავი რაოდენობითაა! ადგილობრივი მოსახლეობის და სამეფო ოჯახების ნაწილი მუსლიმია. ასებად (ოსი) ცნობილი ხალხი მთლიანად ისლამის აღმსარებელია. ქაფჯაქები (ყივჩაღი), ჯერქესები (ჩერქეზი), რუსები და ბერძნებიც აქ ცხოვრობენ. ისინი (რუსები და ბერძნები) ყველასგან განცალკევებით, გამოყოფილ ადგილას სახლობენ. მათ საკუთარი ბაზრობები აქვთ“* (**Battuta I, 2004:517),** იბნი ბატუტა ამბობს, რომ ქალაქი იმ პერიოდის სავაჭრო ცენტრი იყო, სადაც სხვადასხვა ხალხი ერთად ცხოვრობდა და ქალაქის ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული.

ყირიმი: ძველი კულტურის მქონე ყირიმს, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აღმოსავლეთ ევროპისგან შორს მდებარე ბიზანტიასთან, სირიასთან, ეგვიპტესა და ანატოლიასთან ჰქონდა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები **(İzgi, 1996:158).** ყირიმი, სადაც უამრავი ვაჭარი ცხოვრობდა ამ პერიოდის სავაჭრო ცენტრად იქცა **(Roux, 2008:286).** სწორედ ამიტომ ყირიმი ოქროს ურდოსთვის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა.

მონღოლთა პოლიტიკური წყობის *Pax Mongolica*[26]–ის ნაწილი ყირიმი ჩინეთიდან ევროპაში მიმავალ საქარავნო გზაზე მდებარეობდა. ეს იყო სავაჭრო ქსელის ძირითადი ზარღვი, აბრეშუმის გზა. 1261 წლიდან, კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან სარაიმდე, აქედან კი აზოვის ზღვის სამხრეთ-დასავლეთიდან შავი ზღვის პორტებამდე, ყირიმი ალტერნატიულ გზად იქცა. აბრეშუმი, სანელებლები და სხვა მომგებიანი საქონელი ყირიმში გემებზე იტვირთებოდა და კონსტანტინოპოლსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში იგზავნებოდა **(Magocsi, 2017:38).**

უქეკი: 1253 წელს, როდესაც რუბრუკის მონღოლეთში მიდიოდა, ვოლგაზე ნახა „თათრების მიერ დაარსებული ახალი დაბა, სადაც ბათოს სასახლეში მიმავალი ელჩები ნავებით მდინარის მეორე მხარეს გადაჰყავდათ. მოსახლეობა რუსებისგან და მუსლიმი ჯგუფებისგან შედგებოდა“. სარატოვის მახლობლად მდებარე ეს დაბა მოგვიანებით უქეკად მოიხსენიება **(Vernadsky, 2015:239).** ჰალიკოვი ამ ადგილის მდებარეობას სარატოვის სამხრეთით მიუთითებს **(Halikov, 2007:76).** უქეკში მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობდა. თოხთა ხანის სიკვდილამდე იგი ოქროს ურდოს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრი და ზარაფხანა იყო. უზბეკ ხანის მმართველობის ხანაში ქალაქის ფუნქცია შესუსტდა. ამ დროს უქეკის ნაცვლად ქალაქი მოჰში დაწინაურდა **(Kalan, 2012:28).** ქალაქი უქეკი თემურ ლენგმა გაანადგურა **(İzgi, 1996:161).**

ბოლგარი: ყივჩაღების მხარესთან ერთად, მდინარე ვოლგის წელზე მდებარე ბოლგარების ქვეყანა ოქროს ურდოს ქვეშევრდომობაში შედიოდა. მონღოლთა დაპყრობებამდე, ქალაქი ბოლგარი აღმოსავლეთ ევროპას და შუა აზიას, ყირიმს, კავკასიასა და ირანს შორის სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ანალოგიურად, ოქროს ურდოს პერიოდშიც იგი სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის ცენტრი იყო. გარდა ვაჭრობისა, კულტურული თვალსაზრისით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ერთგვარ დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენდა

სარაიჯიქი: ოქროს ურდოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ ქალაქ „სარაიჯიქის“ შესახებ მხოლო იბნი ბატუტას მოგზაურობის მწირი ჩანაწერები მოგვეპოვება. იგი დედაქალაქ სარაიდან წამოსვლის შემდეგ სარაიჯიქში მივიდა. მისი თქმით, სარაისა და სარაიჯიქს შორის ათი დღის სავალი გზაა. იბნი ბატუტას განმარტებით „ჯუქ“ ბოლოსართი „პატარას“ მნიშვნელობას სძენს და ,,სარაიჯიქ“ – „პატარა სარაის“ ნიშნავს. ქალაქი, ხმაურიანი მდინარის „ულუ სუს“ ნაპირზეა გაშენებული. მდინარეზე ერთი გადასასვლელია. ქალაქში იყო თურქი დერვიშის სავანე, რომელსაც მოიხსენიებდნენ როგორც „ათა“ **(Battuta I, 2004:519).**

[26]Pax Mongolica „მონღოლური მშვიდობა“, მონღოლთა ჰეგემონიის სტაბილურობისა და გამართული სისტემის აღსანიშნავად გამოიყენება. ევრაზიის რეგიონში მონღოლთა სავაჭრო ობიექტებისა და ვაჭრების გადაადგილები სუსაფრთხოობის უზრუნველყოფას ნიშნავს. იხ: Columbia University, Asian Topics in World History: http://afe.easia.columbia.edu/mongols/main/transcript.pdf

დასკვნები

1206 წელს ჩინგიზ ხანის მიერ დაარსებული მონღოლთა სახელმწიფო სწრაფად გაიზარდა და განვითარდა. მისი სახით მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე მოულოდნელად ახალი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა გაჩნდა. მონღოლთა სახელმწიფომ აღმოსავლეთ ევროპიდან წყნარ ოკეანემდე უამრავ ქვეყანაზე იქონია გავლენა და ზოგიერთი მათგანის ნგრევისა და განვითარების შეფერხების მიზეზი გახდა. ჩინგიზ ხანის ვაჟის, უგედეის ბრძანებით სამხრეთ კავკასიაში გამოჩენილი მონღოლები, 1220 წელს საქართველოში შემოიჭრნენ და ერთ საუკუნეზე მეტ ხანს ბატონობდნენ აქ. მონღოლთა შემოსევამდე რეგიონის ყველაზე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება საქართველო, მტრის შემოსევებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები, მეზობელ ქვეყნებთან მოკავშირეობით იბრძოდნენ და ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს მონღოლთა წინააღმდეგ, საშინაო პრობლემებმა და მმართველთა არასაკმარისმა გამჭრიახობამ წარმატებამდე ვერ მიიყვანა.

კვლევის პროცესში მიღებული შედგები სამეცნიერო თვალ-საზრისით ყურადღებას იქცევს. კვლევის შედეგები შემდეგნაირად შევაჯამეთ:

1. საქართველოს ისტორიის მთავარი წერილობითი წყარო ,,ქართლის ცხოვრება“ ბათო ხანს დიდ ყაენად მოიხსენიებს, რაც ბიბლიოგრაფიაში მოტანილ არცერთ წყაროში არ ფიქსირდება. ბათო ხანი მონღოლეთის იმპერიაში რაც არ უნდა პატივსაცემი და გამორჩეული ხანი ყოფილიყო, მონღოლეთის იმპერიის მმართველი არასდროს ყოფილა, თუმცა, გოიუქ ხანის გარდაცვალების შემდეგ მენგუ ხანს ტახტზე ასვლაში დაეხმარა. მიზეზი იმისა, რომ ,,ქართლის ცხოვრებაში“ ბათო ხანი ამ ფორმით მოიხსენიება, საქართველოს მმართველებისა და ბათო ხანის მჭიდრო ურთიერთობებია. ამ პერიოდში მონღოლთა იმპერიასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ბათო ხანის მეშვეობით ხორციელდებოდა, მისი ყაენად მიჩნევა სწორედ ამ მიზეზით უნდა იყოს განპირობებული.

2. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ სამეფოსა და ამ რეგიონს მონღოლი სამხედროები მართავდნენ, რომლებიც 1241-1255 წლებში ქალაქ „სარაი“-ში მყოფი ბათო ყაენისგან იღებდნენ ბრძანებას. საქართველო ამ პერიოდში ოფიციალურად ოქროს ურდოს სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ არ იმყოფებოდა, მაგრამ ყარაყორუმსა და საქართველოს (მთელი სამხრეთ კავკასიას) შორის არსებული საკითხები ბათო ხანის მიერ იმართებოდა.

3. მკვლევრებს, რომლებიც ოქროს ურდოსა და ილხანების პოლიტიკურ ურთიერთობებს სწავლობენ, ზემოხსენებული ვითარება გამოჰპარვია. ბათო ხანის ეს პოლიტიკური პოზიცია ოქროს ურდოს სამხრეთ კავკასიზე პრეტენზიების ერთ-ერთი მიზეზთაგანა **(სხვა მიზეზები იხ.: ნაშრომი, II თავი).**

4. იმ პერიოდში, რომელსაც ნაშრომში განვიხილავთ, მონღოლთა მთავარ სამიზნეს აზერბაიჯანი და მისი ცენტრი თავრიზი წარმოადგენს. მათი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ამ გარემოებამ საქართველოსა და სომხეთის სამეფოებზეც დიდი გავლენა იქონია. ოქროს ურდოსა და ილხანთა ბრძოლების გარდა, ამის შესანიშნავი

მაგალითია ხვარაზმშაჰების, ჯელაირების და სხვათა ქმედებები რეგიონში, რომლებმაც დიდად დააზარალეს ქვეყანა.

5. ამ პერიოდში, საქართველოს სამეფო ოქროს ურდოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პირდაპირ მიზანს რომ არ წარმოადგენდა ცხადია. ვინაიდან იგი ილხანთა დაქვემდებარებაში იყო, ამ პერიოდში ოქროს ურდოსთან მისი ურთიერთობები არა დიპლომატიური, არამედ სამხედრო გზით ხორციელდებოდა. ამის მიზეზი კი ილხანებსა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს შორის არსებული დაპირისპირება იყო. ქართული ძალები იძულებით ილხანთა რიგებში იბრძოდნენ.

6. საქართველოს სამეფო პერიოდულად ილხანების წინააღმდეგ ოქროს ურდოს ამხედრებას ახერხებდა. მაგალითად, როდესაც ხოჯა აზიზს ზედმეტი გადასახადების აკრეფის გამო ქართველი მოსახლეობა აუჯანყდა, დავით ულუმ მისი მოკვლა მოითხოვა. მიუხედავად იმისა, რომ ჰულაგუ ხანი დავითზე განრისხებული იყო, ცოლისა და ამირების დაჟინებული თხოვნით, იძულებული გახდა მოთხოვნა შეესრულებინა და ჰოჯა აზიზი სიკვდილით დაესაჯა **(იხ.:ნაშრომი, II თავი)**. ილხანი მართველები ფრთხილობდნენ, რათა ფიქრობდნენ, რომ საქართველო ამის გამო ოქროს ურდოსთან დაამყარებდა კავშირს. ქართველები ყველა შესაძლებლობაზე მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებას აწყობდნენ, რაც განაპირობებდა ოქროს ურდოსა და ილხანების მისდამი დაბალანსებულ პოლიტიკას.

7. საქართველოს სამეფოსა და ოქროს ურდოს მმართველებს შორის პირველი პოლიტიკური ურთიერთობები ბათო ხანის მმართველობის დროს დაიწყო. ბოლო კი ჯანიბეკ ხანის მმართველობისას მოხდა. მაგრამ, პირველი აშკარა მოკავშირეობის მცდელობა თოხთა ხანსა და დავითს შორის განხორციელდა.

8. 1221-1397 წლებში საქართველო მონღოლების, ხვარაზმელების, ილხანების, ოქროს ურდოს, ჯელაირებისა და თემურიდების შემოსევებს განიცდიდა. გარდა ამისა ქვეყანაში „შავი ჭირი“ გავრცელდა. ეს ყველაფერი ცუდად აისახა ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე. დაპყრობების შედეგად ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობამ მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ეს უკმაყოფილება კი აჯანყებებით გამოიხატებოდა. დავით მეფესა და თოხთა ხანს შორის მიმოწერა ამის თვალსაჩინო მაგალითია.

9. ზემოხსენებული აჯანყებების დროს, საქართველოს ხელისუფლება გონივრული ნაბიჯებით წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. განსაკუთრებით კი მონღოლთა დაპყრობების პირველ პერიოდში, ქართული ჯარი, მონღოლებს, რომლებიც საქართველოს გეოგრაფიას არ იცნობდნენ, მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ.

10. XIII-XIV სს-ში განვითარებულმა მოვლენებმა, საქართველოს ეკონომიკას, სოციალურ, კულტურულ, სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებას დიდი ზიანი მიაყენა. მიუხედავად ამისა, საქართველომ სრულიად შეძლო თავისი კულტურული და რელიგიური ფასეულობების შენარჩუნება.

ვფიქრობთ, რომ რეგიონში მონღოლთა შემოსევები პირობითად ოთხ ეტაპად შეიძლება დავყოთ. საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში მონღოლთა უღელქვეშ

მყოფი საქართველოს პოლიტიკურმა მოქმედებებმა და ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი ეტაპები:

- **პირველი ეტაპი** – 1220/1221 წელს მონღოლების საქართველოში პირველი შემოჭრიდან ბათო ყაენის სიკვდილამდე, ანუ 1255 წლამდე გრძელდებოდა. ეს ეტაპი რეგიონში სრულიად ახალი მოვლენების განვითარების დასაწყისია. 1232 წელს საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. საქართველოს ჩრდილოეთით კი ოქროს ურდოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა და ქართულ-მონღოლურ ურთიერთობებს მისი დამაარსებელი ბათო ყაენი აგვარებდა. ასეთ სიტუაციაში, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბათო ყაენის რეზიდენცია ახლოს იყო მონღოლთა მთავარ ცენტრ ყარაყორუმთან. ბათო ყაენის გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც გოიუქ ხანის სიკვდილის შემდეგ მისი მხარდაჭერით ტახტზე მენგუ ყაენი ავიდა, რომელთანაც ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. პირველ ეტაპზე, საქართველოს მეფეებთან უთანხმოების საკითხი ბათო ხანის შუამავლობით წყდებოდა. მაგალითად, რუსუდან დედოფლისა და მისი შეთანხმების საფუძველზე, ავაგმა ბათოსთან ჯარი გაგზავნა, დავით ნარინი და დავით ულუ კი ყარაყორუმში გამგზავრებამდე ბათოს ეწვივნენ. ყარაყორუმში უფლისწულების მისი ჯარის მეთვალყურეობით გაგზავნა პირდაპირ მიუთითებს ოქროს ურდოს ძალასა და პოლიტიკურ გავლენაზე საქართველოს მიმართ. ჩუჩის ვაჟთა მხრიდან საქართველოს პრობლემების მოგვარებაში ბათო ყაენის მთავარ როლს უპირველესად განაპირობებდა მისი გეოგრაფიული სიახლოვე და ის, რომ იგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მონღოლთა ყაენის ტიტულს ატარებდა. მართალია საშინაო საქმეებით ცენტრალურ ყარაყორომზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ჯუჩის შვილები ამ რეგიონს სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე კარგად იცნობდნენ. სწორედ ამიტომ, მცირე დროში, ორმა მონღოლურმა სახელმწიფომ ამ მიწებზე პრეტენზია გამოთქვა და აქაურობა ხალხი ბრძოლის ქარცეცხლში გახვია. პირველ ეტაპზე, საქართველომ და სამხრეთ კავკასიის მოსახლეობამ არ იცოდა თუ როგორ გამკლავებოდა მონღოლთა თავდასხმებს. მათი წინააღმდეგობა უფრო გადარჩენისთვის ბრძოლა იყო.
- **მეორე ეტაპი** - როდესაც XIII ს-ის მეორე ნახევარში ცენტრალური მონღოლეთის პოლიტიკურმა გაერთიანებამ დაშლა დაიწყო და პროცესმა გავლენა ქართულ–მონღოლურ ურთიერთობებზეც იქონია. 1255–1266 წლებში ოქროს ურდოსა ილხანებს შორის ბრძოლა დაიწყო. ამ დროს ჰულაგუ ხანმა დააარსა სახელმწიფო, რომლის ცენტრიც იყო თავრიზი. ამ პროცესმა მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში პოლიტიკური ვითარება სრულიად შეცვალა. საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიების ილხანებისადმი დაქვემდებარების კონკრეტული თარიღის დადგენა შეუძლებელია. აქაურობა დიდმა ყაენმა ჰულაგუ ხანს უბოძა, შესაბამისად რეგიონის მმართველობაც მან ჩაიბარა. ჩრდილოეთ მონღოლთა ულუსს კი ბათო ყაენის ძმა, ბერქე ხანი მართავდა. ჰულაგუ ხანის მიერ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების დაარსება და მისი ქმედებები მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო და სხვა მეზობლები შეაშფოთა. ილხანთა მიერ ისლამური სამყაროს ერთ–ერთი ცენტრის, ბაღდადის დაპყრობამ სამხრეთით მდებარე ეგვიპტის მამლუქთა სასულთნო განსაკუთრებით გააღიზიანა. ამის გამო, მამლუქებმა მოკავშირის ძებნა დაიწყეს და შესაფერის კანდიდატად ოქროს ურდოს სახელმწიფო მიიჩნიეს,

რადგან მასთან საერთო რელიგია და ილხანებისადმი ერთნაირი დამოკიდებულება აკავშირებდათ. ეს მოკავშირეობა, ორივე სახელმწიფოსთვის სარგებლობის მომტანი იყო და ახალი პოლიტიკური ბლოკის შექმნას დაუდო საფუძველი. ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის პირველი ბრძოლა, ჰულაგუს წინააღმდეგ მამლუქთა სულთნის ბაიბარსის მიერ ბერქე ხანის წაქეზებით დაიწყო. გარდა ამისა, ჩინგიზ ხანის ვაჟებს შორის ტერიტორიების გადანაწილების დროს საზღვრები არ დადგენილა, რამაც ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის ტერიტორიული პრეტენზიები წარმოქმნა. ქართულ-მონღოლური ურთიერთობის მეორე ეტაპი შეიძლება შევადაროთ ნაპოლეონ ბონაპარტის ცნობილ გამონათქვამს: "გეოგრაფია კარნახობს საგარეო პოლიტიკას". აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალმა სავაჭრო გზებმა და აქ მდებარე მდიდარმა საძოვრებმა ორივე მონღოლური ულუსის ყურადღება მიიქცია. ამ გარემოებებმა 1262 წელს ბერქე ხანისა და ჰულაგუს დაპირისპირება გამოიწვია. ამგვარად, სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად ოქროს ურდოს პირველი ნაბიჯები საგარეო პოლიტიკაში ბერქე ხანმა გადადგა. მეორე ეტაპი ახ-ლად დაარსებული ილხანთა სახელმწიფოს მიერ საქართველოს სამეფოს დამორჩილებაა.

- **მესამე ეტაპი** - მოიცავს მონღოლეთისა და საქართველოს ურთიერთობას 1266–1282 წლებში. 1266 წელს ოქროს ურდოს ტახტზე მენგუ თემური ავიდა, რომელმაც სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა და საგარეო პოლიტიკაშიც უკვე თავისუფლად შეეძლო გადაწყვეტილებების მიღება. მენგუ თემურმა მისი მმართველობის პერიოდში სათანადოდ ვერ შეაფასა მდგომარეობა და 1266–1282 წლებში ქართველთა აჯანყებები ილხანთა წინააღმდეგ თავის სასარგებლოდ ვერ გამოიყენა. მაგრამ, 1269 წელს დაწყებული თეგუდარის აჯანყება ილხანებისთვის სახელმწიფოსთვის პრობლემის დასაწყისი გახდა. საქართველოს ხელისუფლებისთვის მესამე ეტაპი იმის განსაზღვრა იყო, თუ როგორ გაუმკლავდებოდნენ ახალ დაარსებულ ილხანთა სახემწიფოს.
- **მეოთხე ეტაპი** - 1282-1291 წლებში ოქროს ურდოში საშინაო არეულობის მიუხედავად, საქართველოსთან მისი ურთიერთობა სტაბილურად მიმდინარეობდა. ამ პერიოდში ოქროს ურდოს, სამხრეთ კავკასიის მიმართულებით საკუთარი პოლიტიკის გატარებაზე უარი არ უთქვამს, უფრო მეტიც, მცირე ლაშქრობებსაც აწყობდა, თუმცა ჯუჩის შვილების უპირველესი მიზანი ნოღაის პრობლემის მოგვარება იყო, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა დედაქალაქ სარაიზე. ოქროს ურდოში ორმხრივი მმართველობა 1291 წელს ტახტზე ასვლით თოხთა ხანმა დაასრულა და თავიდან აღორძინებულმა სახანომ 1357 წლამდე უფრო აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. 1291-1357 წლები საქართველო-მონღოლეთის ურთიერთობების მეოთხე ეტაპს მოიცავს. თოხთა ხანის, უზბეკ ხანისა და ჯანიბეკის მმართველობის ხანა ოქროს ურდოსთვის წარმატებული პერიოდი იყო როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. 1297 წლის შემდეგ დავით მეფემ ილხანების წინააღმდეგ თოხთა ხანთან კავშირი შეკრა და ამით ოქროს ურდოს თავის მიზანს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. თუმცა, გაზან ხანის აქტიურმა პოლიტიკამ ამ მიზნის განხორციელებას ხელი შეუშალა და საქართველოსა და ოქროს ურდოს მოკავშირეობა წარუმატებლად დასრულდა. აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მოსვლის პირველი დღიდან, საქართველოს სამეფომ მათ წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოაწყო, ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის დაპირისპირებაში კი მუდმივად ილხანთა

მხარეს იყვნენ. უფრო მეტიც, ამ ბრძოლებში ქართველები ილხანთა რიგებში საკუთარი სამხედრო ძალით იღებდნენ მონაწილეობას.

დავით მეფის პოლიტიკურ ნაბიჯში ოქროს ურდომ სამხრეთ კავკასიაში მხარდაჭერა ჰპოვა და სამხრეთ კავკასიაში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მოქმედებაზე გადასვლის შესაძლებლობა გამოუჩნდა. ოქროს ურდოსა და ილხანების შესახებ არსებულ კვლევებში განვითარებულია აზრი, რომ დავითის მოქმედებამ ოქროს ურდოს საუკეთესო ნიადაგი შეუქმნა, კვლავ დაბრუნებოდა საკუთარ პრეტენზიებს. ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება მართებულია, თუმცა არასრული. მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ურდო 1282-1291 წლებში საშინაო პრობლემებით იყო დაკავებული, არასდროს უთქვამს უარი საკუთარ პოლიტიკაზე სამხრეთით, უბრალოდ, ამ პერიოდში მათი პრეტენზიების გასააქტიურებლად შესაფერი გარემო იყო, რომელიც ოქროს ურდოს მცდელობის გარეშე შეიქმნა. მონღოლთა შემოსევების დღიდან, საქართველოს სამეფოსა და ოქროს ურდოს სახელმწიფოს შორის მოკავშირეობა პირველად ამ პერიოდში შედგა. დავითის ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანი იყო ოქროს ურდოსთვისაც, რადგან ილხანთა სახელმწიფო ორივესთვის საშიშროებას წარმოადგენდა. მართალია ოქროს ურდოს სახელმწიფომ ეს მოკავშირეობა საგარეო პოლიტიკაში შესაფერისად ვერ გამოყენა, მაგრამ აღმავლობის გზას დაადგა მისი საშინაო პოლიტიკა. 1313-1340 წლები, უზბეკ ხანის ტახტზე ასვლასთან ერთად ოქროს ურდოს სოციალურ-ეკონომიკურად აყვავების ხანა იყო, ხოლო სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებული პრეტენზიები კი, რა თქმა უნდა, გრძელდებოდა. ამ დროს ილხანთა სახელმწიფო დანგრევის პროცესში იყო, საქართველოში კი არაერთმა აჯანყებამ იჩინა თავი. უზბეკ ხანის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში წარუმატებლად მიმდინარეობდა. უზბეკ ხანის მიერ ილხანების წინააღმდეგ ზედიზედ განხორციელებულმა თავდასხმებმა ყველაზე მეტად საქართველო და მისი მოსახლეობა დააზარალა. აბუ საიდ ხანის მმართველობისას ილხანთა სახელმწიფოს ნგრევის პროცესი დაიწყო. სწორედ ამ დროს, ქართველთა სამეფოში გიორგი ბრწყინვალის მმართველობისას აღმავლობის ხანა დაიწყო. მეფემ კვლავ მოახერხა საქართველოს გაერთიანება. 1340 წელს, უზბეკ ხანის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ჯანიბეკ ხანი, რომლის დროსაც ოქროს ურდომ მიზანს მიაღწია და მცირე ხნით მოახერხა აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაწილის დაპყრობა. მაგრამ, დაახლოებით საუკუნოვანი მიზნის მიღწევა ჯანიბეკმა სათანადოდ ვერ გამოიყენა. ბერდიბეკ ხანმა მამის სიკვდილის შესახებ რომ შეიტყო, იქაურობა დატოვა. მისი დაბალი ავტორიტეტით ისარგებლეს ჯალაირებმა და რეგიონს მცირე ხნით დაეპატრონენ. მეოთხე ეტაპი, რომელიც 1291-1357 წლებს მოიცავს, საქართველოს სამეფოსთვის რთული პერიოდი იყო. მართალია, იგი მონღოლთა დაპყრობებს გადაურჩა, მაგრამ 1357 წლამდე ჯელაირების დარბევებმაა და გავრცელებულმა შავმა ჭირჭრმა, შემდეგ კი, თემურ-ლენგი შემოსევებმა ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ დიდი ხანი დასჭირდა ჭრილობების მოსაშუშებლად.

იბნ-ი ჰალდუნს აქვს ცნობილი გამონათქვამი - ,,გეოგრაფია ბედისწერაა". მართლაც, სამხრეთ კავკასიასა და მის ხალხზე ორსაუკუნოვანმა მონღოლთა დაპყრობებმა ერთნაირად იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ წყაროების მიხედვით ოქროს ურდოს მთავარ სამიზნეს აზერბაიჯანსა და თავრიზში გაბატონება წარმოადგენდა, ამ პერიოდის სამხ-

რეთ კავკასიის ქვეყნების განსხვავებულ კონტექსტში განხილვა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, მათ საერთო გეოგრაფიიდან გამომდინარე, ,,საერთო ბედი“ გაიზიარეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ XIII-XIV სს-ში მონღოლთა თავდასხმები საქართველოზე, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ მისი დაპყრობის მიზნით არ განხორციელებულა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს მათთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ისნი სათავისოდ იყენებდნენ ქართულ პოტენციალს. მანამდე რეგიონის ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალის მქონე ქართველები მონღოლებმა საკუთარი ექსპანსიის სასარგებლოდ გამოიყენეს. საქართველოს სამხედრო ძალა და მისი გეოგრაფიული მდებარეობა მონღოლთა ულუსებისთვის მნიშვნელოვანი იყო რეგიონის შესანარჩუნებლად. იმის გამო, საქართველო ტერიტორიულად ახლოს იყო ორივე დამპყრობელთან და მათ სამიზნე ქვეყნებზე გზებიც მასზე გადიოდა, აქაურობა ბრძოლის ეპიცენტრად აქცია.

უდავოა, რომ დაახლოებით 240 წლიანი ისტორიის მქონე ოქროს ურდოს სახელმწიფომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხებზე უდიდესი გავლენა იქონია. ჯანიბეკ ხანის ვაჟმა ბერდიბეკმა, ტახტზე ასვლის შემდეგ, მისი ყველა ძმა და ვაჟი დახოცა, რითაც მოლო მოუღო ,,თეთრი ურდოს“ დინასტიას. მისმა უგუნურმა მმართველობამ და ნაადრევმა სიკვდილმა, 1361-1379 წლებში ოქროს ურდოს ტერიტორიაზე ერთდროულად ბევრს გაუჩინა ხანობის პრეტენზია. 1379 წელს ოქროს ურდოს ტახტი ხელში ჩაიგდო თოხთამიშ ხანმა, თუმცა თემურ ლენგთან ბრძოლების შედეგად მისმა სახანომ არსებობა შეწყვიტა. ამის შემდეგ ოქროს ურდოს სახელმწიფოში კვლავ არეულობა დაიწყო. 1397-1502 წლებში ოქროს ურდოს დაშლის პროცესი დაიწყო და მის ადგილას, ნელ-ნელა ახალი, მცირე სახანოები წარმოიქმნა. თოხთამიშის სიკვდილის შემდეგ ერთ-ერთმა ძლიერმა ხანმა ულუღ მუჰამედმა ყაზანის სახანო, ხოლო მცირე ხნის შემდეგ, ჰაჯი გირაიმ ყირიმის სახანო დააარსეს. 1502 წელს ივანე III ყირიმის ხანებთან გაერთიანდა და ოქროს ურდოს წინააღმდეგ გაილაშქრა, რის შედეგადაც, ისედაც მცირე ტერიტორიებზე შერჩენილმა სახანომ ოფიციალურად შეწყვიტა არსებობას.

ბიბლიოგრაფია

პირველ წყაროები :

1. **ქ.ც., 1959** - ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.
2. **ქ.ც, 1973** - ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ , თბ.
3. **ძ.ე., 1954** - ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთი შოთა მესხიამ, თბ.
4. **ჟორდანია, 2018** - ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II თბ.
5. **ქ.ს.ძ. II, 1960** - *ქართული სამართლის ძეგლები,* ტომი II - საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) - ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი.დოლიძემ. თბ.
6. **Abduzzahir, 1941**- İbnu'l- 'Abduzzahir, Siratülmelik ez-Zahir, "Altın Ordu Devleti Tarihine Ait Metinler, W. Tiesenhausen", Maarif Matbaası, İstanbul.
7. **Aksarayî, 2000**- Kerîmûddin Mahmud-i Aksarayî, Müsâmeretü'l-Ahbâr, çev. Mürsel Öztürk, TTK, Ankara.
8. **A.V., 2005**- Anonim Vakayinameden Pasajlar, G. Galstyan, Ermeni Kaynaklarına Göre Moğollar XIII-XIV. Yüzyıla Ait Eserlerden Alıntılar, çev. İlyas Kamalov, Yeditepe Yayınları, İstanbul, 2005.
9. **Ayrivanetsi, 2005**- Mhitar Ayrivanetsi Vakayinamesinden Pasajlar, G. Galstyan, Ermeni Kaynaklarına Göre Moğollar XIII-XIV. Yüzyıla Ait Eserlerden Alıntılar, çev. İlyas Kamalov, Yeditepe Yayınları, İstanbul.
10. **Baibars, 1978**- Baibars the First: His Endeavours and Achievements, trans: Abdul- Aziz Khowaiter, The Green Mountain Press, London.
11. **Baypars, 1941**- Baypars Tarihi Al-Melik-Al Zahir (Baypars) Hakkındaki Tarihin İkinci Cildi, çev. Şerefüddin Yaltkaya, Maarif Matbaası.
12. **Baybars, 1941**- Rükneddin Baybars, Baybars Tarihi, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
13. **Birzali, 1941**- Alameddini Birzali, Tarih-i Birzali "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
14. **Brosset, 1849**- Marie Brosset, Historie de la Géorgie, Impriemerie de L'académie Impériale des Sciences, S. Péetersbourg.
15. **Carpini, 1996**- Giovanni DiPlano Carpini, The Story of the Mongols Whom We Call the Tartars, Trans: Erik Hildinger, Branden Publishing, Boston.
16. **Clavijo, 1928**- Ruy Gonzáles de Clavijo, Embassy to Tamerlane 1403-1406, trans: Guy le Strange, George Routledge§Sons, London.
17. **Colophons of Armenian Manuscripts, 1969**- Colophons of Armenian Manuscripts, 1301-1480, Selected, Translated and Annotated Avedis K. Sanijan, Harvard University Press, Cambridge-Massachusetts.

18. **Cuveyni, 2013-** Alaaddin Ata Melik Cuveynî, Târih-i Cihan Güşa, çev. Mürsel Öztürk, TTK, Ankara.
19. **Cûzcânî, 2015-** Minhâc-i Sirâc el-Cûzcânî, Tabakât-ı Nâsırî Gazneliler, Selçuklular, Atabeglikler ve Harezmşâhlar, Tercüme ve Notlar: Erkan Göksu, TTK, Ankara.
20. **Cûzcânî, 2016-** Minhâc-ı Sirâc el- Cûzcânî, Tabakât-ı Nâsiri Moğol İstilasına Dair Kayıtlar, çev.: Mustafa Uyar, Ötüken Neşriyat, İstanbul.
21. **Eflaki, 1973** - Ahmet Eflakî, Ariflerin Menkıbeleri (Menakib al- Ârifin), çev. Tahsin Yazıcı, C.II. Hürriyet Yayınları, İstanbul.
22. **Elmansur, 1941-** Teşrifül eyyamı vel'usur bisiretilmelik Elmansur, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
23. **Ezzehebî, 1941-** Ezzehebî, Tarihülislâm, Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler, Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
24. **Fazlullah, 1998-** Rashiduddin Fazlullah, Jami'u't- Tawarikh: Compendium of Chronicles A History Of the Mongols, Vol: II., Trans: W. M. Thackston, Harvard University.
25. **Fazlullah, 2013-** Reşîdüddin Fazlullah, Câmiu't Tevârih (İlhanlılar Kısmı), çev. İsmail Aka, Mehmet Ersan, Ahmad Hesamipour Khelejani, TTK, Ankara.
26. **Grigor, 2012-** Aknerli Grigor, Okçu Milletin Tarihi, Haz. Hrand Andreasyan, Yeditepe Yayınları, İstanbul.
27. **Hamevi, 1941-** İbn-i Vasılı Hamevi, Muferricülkürub, "Altın Ordu Devleti Tarihine Ait Metinler, W. Tiesenhausen", Maarif Matbaası, İstanbul.
28. **Hayton, 2015-** Korykoslu Hayton, Doğu Ülkeleri Tarihinin Altın Çağı, çev. Altay Tayfun Özcan, Selenge Yayınları, İstanbul.
29. **Hebraeus, 1950-** Bar Hebraeus (Gregory Abû'l-Farac), Abû'l-Farac Tarihi, C.II., çev. Ömer Rıza Doğrul, TTK, Ankara.
30. **Hebraeus, 1976-** The Chronography of Gregory Abû'l- Faraj: 1225-1286 Bar Hebraeus, I, trans: Ernest A. Wallis Budge, Apa-Philo Press, Amsterdam.
31. **Het'um, 2004-** Het'um the Historian's History of the Tartars, trans: Robert Bedrosian, Long Branch, New Jersey.
32. **Işık, 2012-** Abdulcelil Işık, Hafız-ı Ebru'nun Zeyl-i Cami'üt- Tevârîh-i Reşîdî'sinde Sultan Olcâytû ve Ebû Sa'îd Dönemlerine Dair Kayıtlar, Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi, Harran Üniversitesi Sosyal Bilimler Üniversitesi, Şanlıurfa.
33. **Ibn al –Athir,** 2010- The Chronicle of Ibn al –Athir for Crusaiding Period from al- Kamil fi'l- ta'rikh, Part:3, (The Years 589-629/1193-1231 The Ayyubids after Saladin and the Mongol Menace), Trans. D.S. Richards, Ashgate, UK.
34. **İbn Battuta, 2000 ve 2004** - Ebu Abdullah Muhammed İbn Battuta Tancî, İbn Battuta Seyahatnamesi, C.I. çev. Sait Aykut, YKY, İstanbul.
35. **İbn Bibi, 1996-** İbn Bibi, El- Evamirü'l- Ala'iye El- Umuri'l – Ala'iye (Selçuk Name), C.1., çev. Mürsel Öztürk, Türkiye Cumhuriyeti Kültür Bakanlığı Yayınları, Ankara.
36. **İbn Bibi II, 1996-** İbn Bibi, El- Evamirü'l- Ala'iye El- Umuri'l – Ala'iye (Selçuk Name), C.2., çev. Mürsel Öztürk, Türkiye Cumhuriyeti Kültür Bakanlığı Yayınları, Ankara.
37. **İbn-i Esir, 1941-** İbn-i Esir, el-Kamil Fi't Târih, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
38. **İbn'ül Esir, 1985-** İbnü'l Esir, İslâm Tarihi El- Kâmil Fi't Târih Tercümesi, C.12. Bahar Yayınları, İstanbul.
39. **İbnü-l- Verdi, 2017-** İbnü-l- Verdi, Bir Ortaçağ Şairinin Kaleminden Selçuklular, Tercüme ve Notlar: Mustafa Alican, Kronik Yayınları, İstanbul.

40. **İbri, 1941 ve 2011-** Eb'ül Ferec İbnü'l İbri, Târîhu Muhtasari'd- Düvel, çev. Şerafeddin Yaltkaya, TTK, Ankara.
41. **K.TS. 2014-** The Hundred Years' Chronicle, Kartlis Tskhovreba (History of Georgia), Trans: Dmitri Gamq'relidze, Editor: Roin Met'reveli, Artanuji Publishing, Tbilisi.
42. **Kâşâni, 1992-** Cemâlu'd-dîn Ebû'l- Kâsım 'Abdullah el-Kâşâni, Tarih-i Olcaytu (İnceleme ve Çeviri), Haz. Derya Örs, Ankara Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi, Ankara.
43. **Kaşgarlı, 1985-** Kaşgarlı Mahmud, Dîvanu Lûgat'it Türk Tercümesi, C:1., çev: Besim Atalay, TTK, Ankara.
44. **Képes, 1993-** Képes Kronika, Fordította (Çeviri): Geréeb Laszlo, Magyar Hirlap es Maecenas Kiado, Budapest.
45. **Kurat, 1940-** Akdes Nimet Kurat, Topkapı Sarayı Müzesi Arşivindeki Altın Ordu, Kırım ve Türkistan Hanlarına Ait Yarlık ve Bitikler, Bürhaneddin Matbaası, İstanbul.
46. **Kiragos, 2009-** Müverrih Kiragos, Ermeni Müverrihlerine Göre Moğollar, çev: Gürsoy Solmaz, Elips Kitap, Ankara.
47. **Kazvinî, 2018-** Hamdullah Müstevfi-yi Kazvinî, Târih-i Güzide, TTK, Ankara.
48. **Kırımî, 2003-** Abdülgaffar Kırımî'nin Umdet'ül-Ahbar'ına (Umdet'üt Tevarih) Göre Kırım Tarihi, Derya Derin, Yayımlanmamış Yüksek Lisans Tezi, Ankara Üniversitesi Sosyal Bilimler Enstitüsü, Ankara.
49. **Kutbî, 1954-** Ebu Bekr Kutbî el-Ehrî, Tar'rikh-i Shaikh Uwais, (History of Shaikh Uwais), Trans: J.B. Van Loon, Mouton, Holland.
50. **Mansûri, 2016 -** Baybars el- Mansûri, et- Tuhfetu'l Mulûkiyye fi'd- Devleti't- Turkiyye (Türk Devletleri Konusunda Sultânlara Armağan) (1252-1312), çev. Hüseyin Polat, TTK, Ankara.
51. **M.G.T. I. – 2016-** Moğolların Gizli Tarihi I, Tercüme: Ahmet Temür, TTK, Ankara.
52. **Marco Polo, 1985-** Marco Polo'nun Geziler Kitabı, çev. Ömer Güngören, Yol Yayınları, İstanbul.
53. **Markopolo, 1980-** Markopolo Seyahatnamesi, C.I., Haz. Filiz Dokuman, Tercüman Yayınları, İstanbul.
54. **Mufaddal, 1941-** el- Mufaddal, Ennehcüssedid, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
55. **Nesevi, 1895-** Muhammed b. Ahmed Nesevi, Histoire du Sultan Djelal ed-din Mankobirti Prince du Kharezm, Ernest Leroux, Par: O. Houdas, Paris.
56. **Nuveyrî, 1941-** Nuveyrî, Nihâyetu'l- ereb fî funûni'l-edeb, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
57. **Oktay, 2007-** Hasan Oktay, Ermeni Kaynaklarında Türkler ve Moğollar, Hasan Oktay, Selenge Yayınları, İstanbul.
58. **Onan, 2001-** The Secret History of the Mongols The Life and Times of Chinggis Khan, trans: Onan Urgunge, RoutledgeCurzon, London and New York.
59. **Orbelean, 2015-** Stepannos Orbelean, History of the State of Siskan, Trans: Robert Bedrosian, Long Branch,
60. **Oruç Beğ, 1972-** Edirneli Oruç Beğ, Oruç Beğ Tarihi, Haz. Hüseyin Nihal Atsız, Tercüman Yayınları, İstanbul.
61. **Ömeri, 1941-** el- Ömeri, Mesalikülebsar, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.

62. **Ötemiş, 2009 და 2018**- Ötemiş Hacı, Çengiz-Name, Haz. İlyas Kamalov, TTK, Ankara.
63. **Özyetgin, 2017-** A. Melek Özyetgin, İlyas Kemaloğlu, Altın Orda Hanlığına Ait Resmî Yazışmalar, TTK, Ankara.
64. **Palients, 2005-** Nerses Palients Vakayinamesi'nden Pasajlar, A.G. Galstyan, Ermeni Kaynaklarına Göre Moğollar XIII-XIV. Yüzyıla Ait Eserlerden Alıntılar, çev. İlyas Kamalov, Yeditepe Yayınları, İstanbul.
65. **Qazwin, 1919-** Hamd-Allah Mustawfi of Qazwin, The Geographical Part of Nuzhat- al-Qulub, Trans: G. Le. Strange, Brill, London.
66. **Quentin, 2006**- Simon de Saint Quentin, Bir Keşişin Anılarında Tatarlar ve Anadolu 1245-1248, çev. Erandiz Özbayoğlu, Doğu Akdeniz Kültür ve Tarih Araştırmaları Vakfı, Alanya.
67. **Rubruck, 2001-** Wilhelm von Rubruck, Moğolların Büyük Hanına Seyahat 1253-1255, çev. Ergin Ayan, Ayışığı Kitapları, İstanbul.
68. **Sebastatsi, 2005-** Sebastatsi Vakayinamesi'nden Bir Bölüm, A. G. Galstyan, Ermeni Kaynaklarına Göre Moğollar XIII-XIV. Yüzyıla Ait Eserlerden Alıntılar, çev. İlyas Kamalov, Yeditepe Yayınları, İstanbul.
69. **Shafi'ibni Ali, 1941-** Shafi'ibni Ali, Hüsnülmenakıb, "Altınordu Devleti Tarihine Dair Metinler", Haz. W.De. Tiesenhausen, Maarif Matbaası, İstanbul.
70. **Solmaz, 2000-** Gürsoy Solmaz, Ermeni Müverrihlerine Göre Moğollar, Atatürk Üniversitesi Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi, S.14.
71. **Stepanos, 2005-** Piskopos Stepanos Vakayinamesinden Alıntı, A.G. Galstyan, Ermeni Kaynaklarına Göre Moğollar XIII-XIV. Yüzyıla Ait Eserlerden Alıntılar, çev. İlyas Kamalov, Yeditepe Yayınları, İstanbul.
72. **Sulti, 1998-** Rüstem Sulti, Edigey Destanı, Türksoy Yayınları, Ankara.
73. **Şâmî, 1987-** Nizamüddin Şâmî, Zafernâme, çev. Necati Lugal, TTK, Ankara.
74. **Şirazi, 1996** - Xacə Zeynalabidin əli əbdi Bəy Şirazi, Təkmilətül-əxbar, red. Vaqif Piriyev, Azərbaycan Elmlər Akademiyası Şərqşünaslıq İnstitutu, Bakı.
75. **Vardan, 2017-** Müverrih Vardan, Türk Fetihleri Tarihi (889-1269), çev. Hrant D. Andreasyan, Post Yayın Dağıtım, İstanbul.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. **გაბაშვილი, 1970** - გაბაშვილი ვ., საქართველო XIII-XV ს.ს.-ში, თბ.
2. **კიკნაძე, 1987** - კიკნაძე რ., რანის მონღოლური სახელმწიფო, თბ.
3. **ლომინაძე, 1964** - ლომინაძე ბ., ფეოდალური ურთიერთობები საქართველოში XIII-XVI ს.ს. თბ.
4. **მარგიშვილი, ხოფერია, 2009** - მარგიშვილი ს., ხოფერია მ., მასალები მონღოლების სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის შესახებ, თბ.
5. **მეტრეველი, 2003** - მეტრეველი ვალერიან, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ.
6. **ს.ი.ნ. 3, 1979** - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 3. თბ.
7. **სიხარულიძე, 2001** - სიხარულიძე ი., მონღოლები საქართველოში, თბ.
8. **ცინცაძე, 1960** - ცინცაძე ი., მონღოლები და მონღოლთა დაპყრობანი, თბ.

9. **ტაბაღუა, 1984** - ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბილისი
10. **ჩხატარაიშვილი, 1985** - ჩხატარაიშვილი ქ., სამხედრო ურთიერთობები ფეოდალურ საქართველოში, თბ.
11. **წურწუმია, 1999** - წურწუმია მ., სამხედრო საქმე შუა საუკუნეების საქართველოში, თბ.
12. **შიოშვილი, 2010** - შიოშვილი თ., რელიგიათა შორის ურთიერთობის ასახვა აჭარის ფოლკლორში, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი.
13. **Ağat, 1976**- Ağat Nurettin, Altınordu (Cuçi Oğulları) Paraları Kataloğu 1250-1502, İstanbul.
14. **Alan, 2003** - Alan Hayrunnisa, Timur'un Toktamış Üzerine Seferleri ve Altın Ordu'nun Yıkılma Meselesi, Bilig.
15. **Alan, 2012** - Alan Hayrunnisa, Altın Orda Hanlığı'nda Hakimiyet Anlayışı ve Karaçi Beylerin Ortaya Çıkışı, Tarih Dergisi, S. 54.
16. **Alan, 2015**- Alan Hayrunnisa, Bozkırdan Cennet Bahçesine Timurlular 1360-1506, İstanbul.
17. **Allen, 1971**- Allen William Edward David, A History of the Georgian People, Routledge§Kegan Paul, London.
18. **Aykut, 1987**- Aykut Altan, Batu Han'ın Rusya Seferi ile İlgili Ryazan'ın Batu Han Tarafından Yakılıp Yıkılması Hikayesi, Ankara Üniversitesi Dil Tarih Coğrafya Fakültesi Dergisi (DTCF Dergisi), C.3. S.1-2.
19. **Arat, 2001**- Arat Reşid Rahmeti, Kıpçak, İA, C.6., Eskişehir.
20. Asian Topics in World History, Columbia University: (29.07.2018) http://afe.easia.columbia.edu/mongols/main/transcript.pdf
21. **Ata, 2002**- Ata Aysun, Harezm- Altın Ordu Türkçesi, İstanbul.
22. **Ateş, 2016**- Ateş Erhan , Selçuklu-Gürcü Münasebetlerinde Bir Dönüm Noktası: Didgori Savaşı (1121) ve Sonuçları, TAD, C.35. S. 60.
23. **Aydoğmuşoğlu, 2011**- Aydoğmuşoğlu Cihat, Tarihte Tebriz, Ankara.
24. **Baipakov, 2007**- Baipakov K., VI-XVIII. Yüzyıllarda Kazakistan'ın Ortaçağ Şehirleri ve Yerleşimleri, Kazakistan Tarihi- Makaleler, Ankara.
25. **Barthold, 1986**- Barthold W., Berke, The Encyclopaedia of Islam, Vol.1. Leiden.
26. **Barthold, 1993**- Barthold W., Khanbalik, The Encyclopaedia of Islam, Vol.4.Leiden.
27. **Barthold, 1990**- Barthold V., Moğol İstilasına Kadar Türkistan, Ankara.
28. **Barthold, 2017**- Barthold V., Orta Asya Türk Tarihi Hakkında Dersler, Ankara.
29. **Baum, 2006**- Baum Bruce, The Rise and Fall of the Caucasian Race: A Political History of Racial Identity", New York and London.
30. **Berdzenişvili, Canaşia, 1997**- Berdzenişvili Nikoloz, Canaşia Simon, Gürcüstan Tarihi (Başlangıçtan 19. Yüzyıla Kadar), Çev. Hayri Hayrioğlu, İstanbul.
31. **Bilge, 1991**- Bilge Mustafa L., Azak, C.4., İstanbul.
32. **Bilge, 2005**- Bilge M. Sadık, Osmanlı Devleti ve Kafkasya, İstanbul.
33. **Bournoutian, 2006**- Bournoutian George A., A Concise History of the Armenian People, California, USA.
34. **Boyle, 1968**- Boyle John Andrew, Dynastic and Political History of the Ilkhans, The Cambridge History of Iran, vol:5. The Saljuq and Mongol Periods, ed. John Andrew Boyle, Cambridge.
35. **Boyle, 1997**- Boyle John Andrew, Genghis Khan The History of the World Conqueror, UK.

36. **Bretschneider, 1888-** Bretschneider E., Medieval Researches From Eastern Asiatic Sources, vol.1., London.
37. **Broadbridge, 2001**- Broadbridge Anne F., Mamluk Legitimacy and the Mongols: The Reigns of Baybars and Qalawun, Mamluk Studies Review, USA.
38. **Buell, 2003-** Buell Paul D., Historical Dictionary of the Mongol World Empires,Oxford.
39. **Bulak, 2013-** Bulak, Şahap Türkçe'nin Sadeleştirilmesinde Yanlış Ek Kullanımı veya Eklerin Yanlış Kullanımı, The Journal of Academic Social Science Studies, Vol:6/3.
40. **Bünyadov, 2007**- Bünyadov Ziya, Azərbaycan AtabəylƏri Dövləti, Bakı.
41. **Büyükçınar, 2017** - Büyükçınar Ayşe Beyza, Gürcü Kaynaklarına Göre Gürcistan Altın Çağ Dönemi Son Hükümdarı Kraliçe Tamar, Karadeniz Araştırmaları Enstitüsü Dergisi, C.3., S.4.
42. **Cahen, 1968-** Cahen Claude, Pre-Ottoman Turkey, Trans: J-Jones Williams, New York.
43. **Cahen, 2012-** Cahen Claude, Osmanlılar'dan Önce Anadolu, İstanbul.
44. **Capraroiu, 2012-** Capraroiu Denis, Oroşul Medieval in Spatiul Romanesc Extracarpatic (Secolele X-XIV), Targovişte (Romania).
45. **Ciocîltan, 2012-** Ciocîltan Virgil, The Mongols and the Black Sea Trade in the Thirteenth and Fourteenth Centuries, Trans. Samuel Willcocks, Leiden-Boston.
46. **Cosmo, 2014-2015**- Cosmo Nicola di, Why Qara Qorum? Climate and Geography in the Early Mongol Empire, Archivum Eurasiae Medii Aevi, Harrassowitz Verlag, Wiasbaden.
47. **Çakmak, 2014-** Çakmak Cihan, Yabancılara Türkçe Öğretiminin Tarihçesine Genel Bir Bakış Denemesi, Kırıkkale Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, C.4. S.2.
48. **Çakmak, 2002**- Çakmak Mehmet Ali, Moğol İstilası ve Harezmşahlar İmparatorluğu'nun Yıkılışı, Türkler, C.4. Ankara.
49. **D'ohsson, 1852-** D'ohsson C., Histoire Des Mongols, vol:3., Amsterdam.
50. **d' Ohsson, 2008-** d' Ohsson A. Konstantin, Moğol Tarihi Denizler İmparatoru Cengiz, çev. Bahadır Apaydın, İstanbul.
51. **Demirkent, 2000-** Demirkent Işın, 1082-1302 Yılları Arasında Bizans- Venedik İlişkilerine Kısa Bir Bakış, Tarih Dergisi, S.36.
52. **Derin, 2016-** Derin Derya, Nogayların Hanlık ve Ulus Olma Sorunsalı, Tarih Araştırmaları Dergisi, C.35. S.60.
53. **Devlet, 2002-** Devlet Nadir, Empires in Eurasia From Chingiz Khan to 20th Century, İstanbul.
54. **DeWeese, 1994-** DeWeese Devin, Islamization and Native Religion in the Golden Horde Baba Tükles and Conversion to Islam in Historical and Epic Tradition, USA.
55. **Douglas, 1877-** Douglas Robert Kenneway, The Life of Jenghiz Khan, London.
56. **Dumézii, 2000**- Dumézii Georges, Kafkas Halklarının Mitolojisi, Ankara.
57. **Ercilasun, 2010**- Ercilasun Ahmet Bican, Türk Dili Tarihi, Ankara.
58. **Erdem, 2000-** Erdem İlhan, Olcaytu Han'ın Ölümüne Kadar İlhanlılar'da Yaşanan Siyasal-Kültürel Gelişmeler ve Yakın Doğu'ya Etkileri, Tarih Araştırmaları Dergisi, C.20. S. 31.
59. **Fahreddin, 2003-** Rizaeddin Fahreddin, Altın Ordu ve Kazan Hanları, İstanbul.
60. **Favereau, 2017**- Favereau Marie, The Golden Horde and the Mamluks, Golden Horde Review, Vol:5. No:1.
61. **Gabashvili, 2002-** Gabashvili Manana, İlhanlı Devleti'nin Uluslararası Ticaret Politikası ve Halefi Olan Türk Devletler", çev. Mahmut Yavaşi, Türkler, C.VIII.
62. **Grousset, 1996 ও 2006-** Grousset Rene, Bozkır İmparatorluğu Atilla/Cengiz Han/Timur, çev. Reşat Uzmen, İstanbul.
63. **Golden, 2002-** Golden Peter B., Türk Halkları Tarihine Giriş, çev. Osman Karatay, Ankara.

64. **Golden, 2002a-** Golden Peter B., Tusi: The Turkic Name of Joci, Acta Orientalia Academiae Scientarium Hung, Vol.55 (1-3).
65. **Gordlevskiy, 1988-** Gordlevskiy V., Anadolu Selçuklu Devleti, Ankara.
66. **Gordlevskiy, 2015-** Gordlevskiy V., Küçük Asya'da Selçuklular, Ankara.
67. **Gökbilgin, 1972-** Gökbilgin Özalp, 1313-1357 Yılları Arasında Altınordu Devleti, Atatürk Üniversitesi Edebiyat Fakültesi Araştırma Dergisi, II/4. Erzurum.
68. **Gömeç, 2017-** Gömeç Saadettin Yağmur, Türk Tarihinde Çingizliler, Ankara.
69. **Gülensoy, Küçüker, 2015-** Gülensoy Tuncer, Küçüker Paki, Eski Türk-Moğol Kişi Adları Sözlüğü, , İstanbul.
70. **Güner, 2016-** Güner Galip, Codex Cumanicus Bağlamında Kumanların/Kıpçakların Gündelik Hayatına Dair Söz Varlığı: Eşya Adları, Uluslararası Türkçe Edebiyat Kültür Eğitim Dergisi, S.5/4.
71. **Gürbüz, 2014-** Gürbüz Meryem, Hârizmşahlar Devlet Teşkilatı, Ekonomi, Kültür, İstanbul.
72. **Halikov, 2007-** Halikov Alfred, Altın Orda Devleti Tarihi, Avrasya Fatihi Tatarlar, Haz. İlyas Kamalov, İstanbul.
73. **Halperin, 1987-** Halperin Charles J., Russia and the Golden Horde, USA.
74. **Hartog, 2003-** Hartog, Leo de Cengiz Han Dünyanın Fatihi, Ankara.
75. **Haykıran, 2016-** Haykıran Kemal Ramazan, Moğollar Zamanında Yakın Doğu, İstanbul.
76. **Holt, 1999-** Holt P.M., Haçlılar Çağı 11. Yüzyıldan 1517'ye Yakındoğu, İstanbul.
77. **Honigmann, 2001 -** Honigmann Ernest, Tiflis, MEB İslam Ansiklopedisi, C. 12/1., Eskişehir.
78. **Howorth, 1880-** Howorth Henry Hoyle, History of the Mongols, From the 9th to the 19th Century, Part: II, London.
79. **Howorth, 1876-1927-** Howorth Henry Hoyle, History of the Mongols, From the 9th to the19th Century, Part: III, London.
80. **İnalcık, 2017-** İnalcık Halil, Kırım Hanlığı Tarihi Üzerine Araştırmalar (1441-1700), İstanbul.
81. **İpşirli, 1992-** İpşirli Mehmet, Bitik, DİA, C.6. İstanbul.
82. **İsakov, 2017-** İsakov Abdrasul, Kırgız- Moğol İlişkileri (IX.-XV. Yüzyıllar), TTK, Ankara.
83. **İzgi, 1996-** İzgi Cevat, Canıbek Han Devrinde (1342-1357) Altın Orda Hanlığında Bilim Hayatı, Dîvân İlmî Araştırmalar, İstanbul.
84. **İzgi, 2017-** İzgi Özkan, Central Asia After the Mongol Invasion- Islam and Sedentary Life as a Consequence, Orta Asya Türk Tarihi Araştırmaları, Ankara.
85. **İzgi 2014-** İzgi Özkan, Harezmşah ve Moğolların İlk Karşılaşmaları ve Otrar Hadisesi, Orta Asya Türk Tarihi Araştırmaları, haz. Erkin Ekrem, Serkan Küçük, Ankara.
86. **İzgi 2014a -** İzgi Özkan, Tatar Adı Hakkında, Orta Asya Türk Tarihi Araştırmaları, haz. Erkin Ekrem, Serkan Küçük, Ankara.
87. **İzgi 2014b -** İzgi Özkan, Moğolların Batı İstilası ve Türk Tarihi Bakımından Önemi, Orta Asya Türk Tarihi Araştırmaları, haz. Erkin Ekrem, Serkan Küçük, Ankara.
88. **İzgi 2014c -** İzgi Özkan, Moğol İstilasından Sonra Orta Asya'da Yerleşik Hayat", Orta Asya Türk Tarihi Araştırmaları, haz. Erkin Ekrem, Serkan Küçük, Ankara.
89. **Jackson, 2002 -** Jackson Peter, Güyük Khan, Encyclopaedia Iranica, vol. XI., Fasc. 4.
90. **Kaçalin, 1994 -** Kaçalin Mustafa S., Divanü Lugati't – Türk, DİA, C.9. İstanbul.
91. **Kadyrbaev, 2007-** Kadyrbaev A., Moğol İstilası Zamanında Kazakistan, Kazakistan Tarihi-Makaleler, Ankara.

92. **Kafalı, 1970-** Kafalı Mustafa, Cuci Ulusu ve Ak Orda (Altın- Orda) Gök Orda Hanlıkları, Tarih Dergisi, S. 24., İstanbul.
93. **Kafalı, 1976-** Kafalı Mustafa, Altın Orda Hanlığı'nın Kuruluş ve Yükseliş Devirleri, İstanbul.
94. **Kafalı, 1992-** Kafalı Mustafa, Barak Han, DİA, C.5., İstanbul.
95. **Kafalı, 1992a-** Kafalı Mustafa, Batu Han, DİA, C.5. İstanbul.
96. **Kafalı, 1993-** Kafalı Mustafa, Cuci Han, DİA, C.8. İstanbul.
97. **Kafalı, 1993a-** Kafalı Mustafa, Cengiz Han, DİA, C.7, İstanbul.
98. **Kafalı, 2002-** Kafalı Mustafa, Altın- Orda Hanlığı, Genel Türk Tarihi, C.5. Ankara.
99. **Kafalı, 2005-** Kafalı Mustafa, Çağatay Hanlığı (1227-1345), Ankara.
100. **Kafalı, 2007-** Kafalı Mustafa, Özbek Han, DİA, C.34. İstanbul.
101. **Kafalı, 2009-** Kafalı Mustafa, Ötemiş Hacı'ya Göre Cuci Ulusu'nun Tarihi, Ankara.
102. **Kafesoğlu, 1984 -** Kafesoğlu İbrahim, Harezmşahlar Devleti Tarihi, Ankara.
103. **Kalan, 2012 -** Kalan Ekrem, Nümismatik Materyallere Göre İslamlaşma Sürecinde Altın Orda Hanlarının Kullandığı İsim ve Unvanlar 1227-1357, Karadeniz Araştırmaları, S.33.
104. **Kalan, 2012a -** Kalan Ekrem, Tarihi Kaynaklara Göre Cuçi Adının Kökeni ve Cengiz Kağan'a Oğul Olma Sorunsalı, Tarih İncelemeleri Dergisi, C.27. S.1.
105. **Kamalov, 2003 -** Kamalov İlyas, Moğolların Kafkasya Politikaları, İstanbul.
106. **Kamalov, 2005 -** Kamalov İlyas, Altın Orda- Bizans Münasebetleri (1261-1453), Karadeniz Araştırmaları Dergisi, S.4.
107. **Kamalov, 2007-** Kamalov İlyas, Tatar Adının Tarihçesi, Avrasya Fatihi Tatarlar, İstanbul.
108. **Kamalov, 2007a -** Kamalov İlyas, Altın Orda Devleti'nin Adı Üzerine, Avrasya Fatihi Tatarlar, İstanbul.
109. **Kamalov, 2008 -** Kamalov İlyas, Altın Orda-Rus İlişkileri ve Altın Orda'nın Rusya Üzerine Etkileri (Altın Orda Devleti'nin Yıkılışı ve Çarlık Rusyası'nın Kuruluş Sürecinde), Doktora Tezi, İstanbul.
110. **Kamalov, 2009 -** Kamalov İlyas, Saray", DİA, C.36. İstanbul.
111. **Kamalov, 2012 -** Kamalov İlyas, Toktamış Han", DİA, C.41., İstanbul.
112. **Kamalov, 2013 -** Kamalov İlyas, Yarlık, DİA, C. 43. İstanbul.
113. **Kaşgarlı, 1986 -** Kaşgarlı Mahmud, Dîvanu Lûgat'it Türk Dizini "Endeks", düzenleyen: Besim Atalay, Ankara.
114. **Keçiş, 2013 -** Keçiş Murat, Trabzon Rum İmparatorluğu ve Türkler (1204-1404), Ankara.
115. **Kemaloğlu, 2015 -** Kemaloğlu İlyas, Altın Orda ve Rusya- Rusya Üzerindeki Türk-Tatar Etkisi, İstanbul.
116. **Kemaloğlu, 2016-** Kemaloğlu İlyas, Altın Orda Devleti, Avrasya'nın Sekiz Asrı Çengizoğulları, İstanbul, 2016.
117. **Kemaloğlu, 2016a-** Kemaloğlu İlyas, Sovyet Tarih Yazımında Altın Orda, Sovyet Tarih Yazımı ve Kazakistan Tarihinin Meseleleri -İlk Kazak Tarihçisi Ermukhan Bekmakhanov'un Hayatı ve Çalışmalarına Yeni Bir Bakış-, ed. Abdulvahap Kara, Zeynep Yaman, İstanbul.
118. **Kemaloğlu, 2016b -** Kemaloğlu İlyas, Altın Orda Devleti, Doğu Avrupa Türk Tarihi, Ed. Osman Karatay, Serkan Acar, İstanbul.
119. **Khelejani, 2013 -** Khelejani Ahmad Hesamipour, İlhanlılar ile Altınordu Devleti'nin Siyasi ve Sosyal İlişkileri, Doktora Tezi, İzmir.
120. **Kıldıroğlu, 2013 -** Kıldıroğlu Mehmet, Kırgızlar ve Kıpçaklar, Ankara.
121. **Kırzıoğlu, 1992-** Kırzıoğlu Fahrettin, Yukarı Kür ve Çoruk Boylarında Kıpçaklar, Ankara.

122. Kısakürek, 2009 - Kısakürek Evin Esmen, Arda Kısakürek, Bizimkiler Anadolu Merkezli Dünya Tarihi, C. 11.
123. Konukçu, 1992 - Konukçu Enver, Berke Han, DİA, C.5. İstanbul.
124. Kotkin, 1996 - Kotkin Stephen, Defining Territories and Empires: from Mongol Ulus to Russian Siberia 1200-1800, Slavic Research Center.
125. Köprülü, 1941- Köprülü M. Fuad, Altın Orduya Ait Yeni Araştırmalar, Belleten, C: 5. S.19. Ankara.
126. Kurat, 1972 - Kurat Akdes Nimet, IV- XVIII. Yüzyıllarda Karadeniz Kuzeyindeki Türk Kavimleri ve Devletleri, Ankara.
127. Kurat, 1987- Kurat Akdes Nimet, Rusya Tarihi, Ankara.
128. Kurat, 2001- Kurat Akdes Nimet, Altın Ordu Devleti, Türk Dünyası El Kitabı, C.1. Ankara.
129. Kurat, 2015 - Kurat Akdes Nimet, Altınordu Devleti, Prof. Dr. Akdes Nimet Kurat Makaleler, C.III. Haz. Nihat Yazılıtaş, Ahmet Vurgun, Ankara.
130. Kurat, 2015a - Kurat Akdes Nimet, Altın Ordu Devletine Ait Materyaller II", Prof. Dr. Akdes Nimet Kurat Makaleler, C.I. Haz. Nihat Yazılıtaş, Ahmet Vurgun, Ankara.
131. Kuşçu, 2017 - Kuşçu Ayşe Dudu, Moğol İşgaline Karşı İstiklâl Hareketlerinin Sembolik Sultanı II. İzzeddin Keykâvus, Cappadocia Journal of History and Social Sciences, vol.9.
132. Kuşçu, Güler, Özer, Öztemel, 2017 - Kuşçu Ayşe Dudu, Güler Cihat, Özer Mehmet, Öztemel Mehmet, Selçuklu Tarihçiliği'ne Başlarken, Konya.
133. Kütükoğlu, 2014 - Kütükoğlu Mübahat S., Tarih Araştırmalarında Usûl, Ankara.
134. Lane, 1999 - Lane George, Arghun Aqa: Mongol Bureaucrat, Iranian Studies, Vol.32, No:4.
135. Lang, 1955 - Lang David Marshall, Georgia in the Reign of Giorgi the Brilliant (1314-1346), Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London, vol:17, No.1.
136. Lang, 1955 - Lang David Marshall, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, The American Numismatic Society, New York.
137. Langer, 1975 - Langer Lawrence N., The Black Death in Russia: Its Effects Upon Urban Labor, Russian History, Brill, vol:2., No:1.
138. Lewis, 1986 - Lewis Bernard, Babadaghi, The Encylopedia of Islam, vol:1. Brill.
139. Magocsi, 2017 - Magocsi Paul Robert, Şu Mübarek Topraklar Kırım ve Kırım Tatarları, İstanbul.
140. Mehmetov, 2009 - Mehmetov İsmail, Türk Kafkası'nda Siyasi ve Etnik Yapı Eski Çağlardan Günümüze Azerbaycan Tarihi, İstanbul.
141. Melville, 1990 - Melville Charles, The Itineraries of Sultan Oljeitu, 1304-1316, Iran, vol: 28., The British Institute of Persian Studies.
142. Mikaberidze, 2007 - Mikaberidze Alexander, Historical Dictionary of Georgia, UK.
143. Miyawaki, 2006 - Miyawaki Okada Junko, The Japanese Origin of the Chinggis Khan Legends, Inner Asian, vol.8. No.1.
144. Müller, Pahlitzsch, 2000 - Müller Christian, Pahlitzsch Johannes, Sultan Baybars I and the Georgians -in the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jarusalem, The Mamluks in Egyptian and Syrian Politics and Society, Tel Aviv University.
145. Ocak, 2011 - Ocak Ahmet Yaşar, Sarı Saltık Popüler İslâm'ın Balkanlar'daki Destanî Öncüsü (XIII. Yüzyıl), Ankara.
146. Özaydın, 1991 - Özaydın Abdülkerim, Arrân, DİA, C.3., İstanbul.
147. Özaydın, 2000 - Özaydın Abdülkerim, İbnü'l- Esîr, İzzeddin, DİA, C.21., İstanbul.
148. Özcan, 2010 - Özcan Altay Tayfun, Moğol- Rus İlişkileri (1223-1341), Doktora Tezi, İzmir.
149. Özcan, 2017- Özcan Altay Tayfun, Moğol Rus İlişkileri (1223-1341), TTK, Ankara.

150. Özcan, 2017a - Özcan Altay Tayfun, Mustafa Alican, Tarihin Kara Yazısı Moğollar Kitap Tanıtımı, Türk Tarihi Araştırmaları Dergisi, vol.3.
151. Özgüdenli, Öztürk, Koç, 2004 - Özgüdenli Osman Gazi, Öztürk Göksel, Koç Aylin, Toktamış Adı Hakkında, Osmanlı Araştırmaları, C.24., İstanbul.
152. Özgüdenli, 2005 - Özgüdenli Osman Gazi, Moğollar, DİA, C. 30., İstanbul.
153. Özgüdenli, 2007 - Özgüdenli Osman Gazi, Olcaytu Han, DİA, C.33. İstanbul.
154. Özgüdenli, 2009 - Özgüdenli Osman Gazi, Moğol İranında Gelenek ve Değişim Gazan Han ve Reformları (1295-1304), İstanbul.
155. Özyetgin, 2008 - Özyetgin Melek, Altın Orda Devlet Teşkilatı'nda Elçilik Terminolojisi, Proceedings of the Second International Symposium on Islamic Civilisation in Volga-Ural Region, İstanbul.
156. Papacostea, 1993 - Papacostea Şerban, Romanii in Secolul Al XIII-Le/ între Cruciata şi Impreriul Mongol, Editura Enciclopedia, Bucureşti.
157. Paşaoğlu, 2014 - Paşaoğlu Derya Derin, Altın Ordu ve Kırım Sahasında Bozkır Aristokrasinin Güçlü Temsilcileri: Emir Rektemür ve Şirin Mirzalar, Tarih Araştırmaları Dergisi, C.33, S.56.
158. Paşaoğlu, 2016 - Paşaoğlu Derya Derin, Altın Orda Hanlığı'nda Hanlık Makamı, Türk Devlet Yönetimi Geleneği, Bişkek.
159. Paydaş, 2016 - Paydaş Kâzım, Timur'un Gürcistan Seferleri, Fırat Üniversitesi Sosyal Bilimler Dergisi, C.16. S. 1.
160. Peacock, Yıldız, 2018 - Peacock Andrew, Yıldız Sara Nur, Anadolu Selçukluları Ortaçağ Ortadoğusu'nda Saray ve Toplum, İstanbul.
161. Piriyev, 1978 - Piriyev Vaqif, Azərbaycan Hülakülər Dövlətinin Tənəzzülü Dövründə (1316-1360-cı illər), Azərbaycan SSR Elmlər Akademiyası Tarix İnstitutu, Bakı.
162. Preiss, 1995 - Preiss Reuven Amitai, Mongols and Mamluks. The Mamluk-Ilkhanid War (1260-1281), Cambridge.
163. Richard, 1988 - Richard Jean, Berke Han'ın İslam'a Girişi ve Altınordu Hanlığında İslamiyet'in Yayılışı, çev. Abdülkadir Yuvalı, Türk Kültürü Aylık Dergisi, Yıl: XXVI.
164. Roux, 2007 - Roux Jean-Paul, Türklerin Tarihi Pasifikten Akdeniz'e 2000 Yıl, İstanbul.
165. Ğamdi, 2010 - Sa'd b. Muhammed Huzeyfe el Ğamdi, Meyyafariki'nde Kumandanlık ve Fedakârlık, çev. M. Mehdi İlhan, Tarih Araştırmaları Dergisi, C.29.
166. Sander, 1989 - Sander Oral, Siyasi Tarih İlkçağlardan 1918'e, Ankara.
167. Saray, 1989 - Saray Mehmet, Altın Orda Hanlığı, DİA, C.2., İstanbul, 1989.
168. Schamiloglu, 2002 - Schamiloglu Uli, Altın Ordu, Türkler, C. 8. Ankara.
169. Schamiloglu, 2017 - Schamiloglu Uli, The Impact of the Black Death on the Golden Horde: Politics, Economy, Society, Civilization, Golden Horde Review, vol:5. No:2.
170. Selen, 1956 - Selen Hamit Sadi, Irk Mes'eleleri ve Türkiye Halkının Irkî Hususiyetleri, Ankara Üniversitesi Siyasal Bilgiler Fakültesi Dergisi, C.11., s.4.
171. Sevim, 1993 - Sevim Ali, Anadolu'nun Fethi ve Selçuklular Dönemi, Ankara.
172. Solmaz, 2006 - Solmaz Gürsoy, Ortaçağ'da Ani Kalesi, Atatürk Üniversitesi Güzel Sanatlar Enstitüsü Dergisi, S.6.
173. Spuler, 1957 - Spuler Bertold, İran Moğolları Siyaset, İdare ve Kültür İlhanlılar Devri 1220-1350, Ankara.
174. Spuler, 2011- Spuler Bertold, İran Moğolları Siyaset, İdare ve Kültür İlhanlılar Devri 1220-1350, Ankara.
175. Subaşı, 2015 - Subaşı Ömer, Gürcü- Moğol İlişkisi -Güney Kafkasya 1220-1346-, İstanbul.

176. Subaşı, 2016 - Subaşı Ömer, Türkiye Selçuklu Devleti'nde Güçlü Bir Kadın: Gürcü Hatun Tamara, Mustafa Kemal Üniversitesi, Sosyal Bilimler Enstitüsü Dergisi, C.13. S.33.
177. Sun- Tzu, 2008 - Savaş Sanatı, çev. Adil Demir, İstanbul.
178. Sümer, 1969 - Sümer Faruk, Anadolu'da Moğollar, Selçuklu Araştırmaları Dergisi.
179. Sümer, 1989 - Sümer Faruk, İlhanlı Hükümdarlarından Abaka, Argun Hanlar ve Ahmed-i Celâyir, Belleten, LIII. S.206.
180. Sümer, 2015 - Sümer Faruk, Selçuklular Devrinde Doğu Anadolu'da Türk Beylikleri, Ankara.
181. Taneri, 1993 - Taneri Aydın, Harezmşahlar, Ankara.
182. Taneri, 1993a - Taneri Aydın, Celaleddin Harizmşah, DİA, C.7.
183. Taşağıl, 1997 - Taşağıl Ahmet, Hanbalık, DİA, C.15.
184. Taşağıl, 2001 - Taşağıl Ahmet, Karahıtaylar, DİA, C.24. İstanbul.
185. Taşağıl, 2014 - Taşağıl Ahmet, Çengiz Öncesi Türkler ve Moğollar, Avrasya'nın Sekiz Asrı Çengizoğulları, Yay. Haz. Hayrunnisa Alan, İlyas Kemaloğlu, İstanbul.
186. Tezcan, 2009 - Tezcan Mehmet, Türk-Moğol Hakimiyeti Döneminde Karadeniz'de Ticaret, Tarih İncelemeleri Dergisi, C. 24, S.1.
187. Togan, 1970 - Togan Zeki Velidi, Çengiz Han Teksir Edilmiş Ders Notları (1155-1227), İstanbul Üniversitesi, 1969-1970 Kış Sömestresi Ders Notları. İstanbul.
188. Togan, 1981 - Togan Zeki Velidi, Umumî Türk Tarihine Giriş, İstanbul.
189. Togan, 1985 - Togan Zeki Velidi, Tarihte Usûl, İstanbul.
190. Toksoy, 2007 - Toksoy Ahmet, Celal ed-din Harezmşah'ın Gürcistan'daki Faaliyetleri, Erzincan Eğitim Fakültesi Dergisi, C.9. S.1.
191. Tokuş, 2017 - Tokuş Ömer, Moğol Hakimiyetinde Anadolu ve Anadolu'da Moğol Noyanlarının İsyanları, Türk Dünyası Araştırmaları Dergisi.
192. Toumanoff, 1963 - Toumanoff Cyril, Studies Christian Caucasian History, Georgetown.
193. Turan, 1941 - Turan Osman, Çingiz Adı Hakkında, Belleten, C.5. S.19. Ankara.
194. Turan, 1998 - Turan Osman, Selçuklular ve İslamiyet, İstanbul.
195. Turan, 2004 - Turan Osman, Doğu Anadolu Türk Devletleri, İstanbul.
196. Turan, 2013 - Osman Turan Doğu Anadolu Türk Devletleri, İstanbul.
197. Turan, 2014 - Turan Osman, Selçuklular Zamanında Türkiye, İstanbul.
198. Türkmen, 2013 - Türkmen Mustafa Nuri, Osmanlı'da Av Kültürü, İstanbul.
199. Uyumaz, 2003 - Uyumaz Emine, Sultan I. Alaeddin Keykubad Devri Türkiye Selçuklu Devleti Siyasi Tarihi (1220-1237), Ankara.
200. Ürekli 1993 - Ürekli Muzaffer, Celâyirliler, DİA, C.7. İstanbul.
201. Vasary, 2015 - Vasary Istvan, Kumanlar ve Tatarlar Osmanlı Öncesi Balkanlar'da Doğulu Askerler (1185-1365), İstanbul.
202. Vasary, 2016 - Vasary Istvan, Golden Horde Khanate, The Encyclopedia of Empire, ed. John. M. MacKenzie, New York, USA.
203. Vasary, 2018 - Vasary Istvan, Jochi b. Chinggis Khan, The Encylopaedia of Islam, vol: 3 eds, Edited: Kate Fleet, Gudrun Kramer, Denis Matringe, John Nawas, Everett Rowson, Leiden.
204. Vernadsky, 2007 - Vernadsky George, Moğollar ve Ruslar, çev. Eşref Bengi Özbilen, İstanbul.
205. Vernadsky, 2015 - Vernadsky George, Moğollar ve Ruslar, çev. Eşref Bengi Özbilen, İstanbul.
206. Yakubovskiy, 1976- A.Yu. Yakubovskiy, Altın Ordu ve Çöküşü, çev. Hasan Eren, Ankara.

207. Yavuzcan, 2017 - Yavuzcan Gaye, Japon Ulusal Kimliğinin İnşasında Moğollara Dair Söylemler, Timurlu Tarihine Adanmış Bir Ömür 75. Doğum Yılında Prof. Dr. İsmail Aka'ya Armağan, Editör: Musa Şamil Yüksel, Ankara.
208. Yıldırım, 2002 - Yıldırım Ramilya Yarullina, Edigey Destanında Hayvanların Fonksiyonları, Avrasya Uluslararası Araştırmaları Dergisi, C.1. S.1.
209. Yinanç, 1977 - Yinanç Mükrimin Halil, Celal ed-Din Harezmşah, MEB İslam Ansiklopedisi, C.3. İstanbul.
210. Yinanç, 2017 - Yinanç Mükrimin Halil, Celaleddin Harezmşah, Makaleler, haz. Fahameddin Başar, İlyas Gökhan, Ömer Hakan Özalp, Ankara.
211. Yuvalı 1987 - Yuvalı Abdülkadir, Doğu-Batı İlişkilerinin Mahiyeti Hakkında, OÜFED, II.
212. Yuvalı 1988 - Yuvalı Abdülkadir, Yakındoğu Tarihi Üzerindeki Moğol Tesirleri (XIII. Y.Y.), Ondokuz Mayıs Üniversitesi Eğitim Fakültesi Dergisi.
213. Yuvalı 1998 - Yuvalı Abdülkadir, Hülâgû, DİA, C.18. İstanbul.
214. Yuvalı 1994 - Yuvalı Abdülkadir, İlhanlılar Tarihi I Kuruluş Devri, Kayseri.
215. Yuvalı 2004 - Yuvalı Abdülkadir, Mengü Timur, DİA, C.29., İstanbul.
216. Yücel, 2002 - Yücel Muallâ Uydu, Kıpçaklar, DİA, C.25., İstanbul.
217. Yücel, 2009 - Yücel Muallâ Uydu, The end of Cumans: Battle of Kalka and their entrence into eastern Europe", Otan Tarihi, Almatı, (29.07.2018) http://iie.kz/?p=1568&lang=ru
218. Wardrop, 1888 - Wardrop Oliver, The Kingdom of Georgia Notes of Travel in a Land of Women Wine, and Song, London.
219. 1937 Türkiye Antropometri Anketi, T.C. İstatistik Müdürlüğü Yayınları, No:151.

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი:

სართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ქრონოლოგია

1155 - თემუჩინის (ჩინგიზ ხანი) დაბადება.

1206 - ჩინგიზ ხანის მიერ დიდი ყურულთაის მოწვევა და მონღოლთა იმპერიის დაარსება.

1220 - ჯებე და სუბუდაი ნოინების ლაშქრობა კავკასიაში.

1221- მონღოლთა პირველი თავდასხმა საქართველოზე.

1223 - პირველი ლაშქრობა ყივჩაღთა ველზე, **კ**ალკის ბრძოლა.

*ლაშა-გიორგის გარდაცვალება. რუსუდან დედოფლის ტახტზე ასვლა.

1225 - გარნისის ბრძოლაში. ჯალალედინის მიერ თებრიზის აღება.

1226 - ხვარაზმშაჰების მიერ თბილისი აიღეს.

1227 - ჩინგიზ ხანის გარდაცვალება.

1232 - მონღოლების მეორე ლაშქრობა საქართველოში ჩარმაღანის მეთაურებით.

1241 - ოქროს ურდოს სახელმწიფოს ოფიციალური დაარსება.

1257 - რუსული სამთავროებიდან გადასახადების აკრეფის მიზნით, ბერქე ხანის მიერ მოსახლეობი პირველ აღწერა.

1258 - ქართველთა მონაწილეობით ჰულაგუ ხანის მიერ ბაღდადის აღება და ილხანთა სახელმწიფო დაარსება.

1262 - ბერქესა და ჰულაგუ ხანს შორის პირველი ბრძოლა სამხრეთ კავკასიაში.

1265 - აბაკა ხანისა და ბერქეს ბრძოლა. აბაკას მიერ მდინარე მტკვრის სანაპიროზე თავდაცვითი კედლის - „სიბას“ აშენება.

*დავით ნარინის მიერ ბაიბარსისადმი წერილის გაგზავნა და საქართველოსა და მამლუქთა სასულთნოს ურთიერთობების დასაწყისი.

1266 - მონღოლთა იმპერიისაგან ოქროს ურდოს სრული დამოუკიდებლობის მოპოვება.

1269 - თეგუდარის აჯანყება საქართველოში ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

1270 - ილხანებისა და ოქროს ურდოს შეთანხმება ყუბილაი ხანის ხელშეწყობით.

1275 - მენგუ თემურის მიერ მოსახლეობის აღწერა რუსულ სამთავროებში.

1277 - ელბისტანის ბრძოლა და ქართველების მონაწილეობა მასში.

1284 - არღუნ ხანის ილხანთა ტახტზე ასცლა.

1289 - არღუნ ხანის მიერ დემეტრე II-ის სიკვდილით დასაჯა.

1293 - დავით ნარინის სიკვდილი. დავითის ვაჟებს შორის დაპირისპირების დაწყება.

1297 - დავით მეფემ უარი თქვა გაზან ხანთან წასვლაზე და უმცროსი ძმა ვახტანგი გააგზავნა ოქროს ურდოში მის წინააღმდეგ მოკავშირეობისათვის.

1299 - გაზან ხანის ელჩების ჩამოსვლა საქართველოში და გიორგის მეფედ დანიშნვა.

1300 - თოხთა ხანის ჯარისკაცების მიერ ნოღაის მოკლვა.

1313 - უზბეკ ხანი ასვლა ოქროს ურდოს ტახტზე.

*ოლჯაითუ ხანის მიერ მეფე გიორგისთან ერთად რაჰბეს ციხის იერიში.

*უზბეკ ხანის მიერ ოლჯაითუ ხანთან ელჩების გაგზავნა.

1314 - გიორგი ბრწყინვალის ტახტზე მეორედ ასვლა.

*უზბეკ ხანი მიერ ოლჯაითუ ხანთან მეგობრობისა და შერიგების მიზნით ელჩების გაგზვანა.

1319 - ამირა ყურმიშის აჯანყება საქართველოში ილხანთა წინააღმდეგ.

1320 - უზბეკ ხანის მიერ ისლამის მიღება და ისლამის ოქროს ურდოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება.

1321 - არიქტაის აჯანყებასაქართველოში და გაზან ოღლანის გამოცხადება მმართველად.

1325 - ამირა ჩობანის საქართველოს გავლით ოქროს ურდოს ტერიტორიებზე შეჭრა და ილხანთა გამარჯვება.

1346 - შავი ჭირის გავრცელება ოქროს ურდოსა და საქართველოში.

1357 - ჯანიბეკ ხანის მიერ ჩობანოღლების დამარცხება და აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაწილის დაპყრობა.

1360-1380 - ოქროს ურდოს სხვადასხვა პროვინციებში 25-მა „ხანმა“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1380 - თოხთამიშ ხანის ტახტზე ასვლა და ჯუჩის ულუსის ხელახლა გაერთიანება.

1502 - ოქროს ურდოს სხელმწიფოს დასასრული.

ოქროს ურდოს მმართველთა სია[27]

ჯუჩის დინასტიის ბათოს შტო (თეთრი ურდოს საგვარეულო)

ბათო	1236-1255 წწ.
სარტაკი	1255 წ.
ულაქჩი	1255 წ.
ბერქე	1256-1266 წწ.
მენგუ თემური	1266-1280 წწ.
თუდა მენგუ	1280-1287 წწ.
თალა ბუკა	1287-1291 წწ.
თოხთა	1291-1312 წწ.
უზბეკი	1312-1341 წწ.
თინიბეკი	1342 წ.
ჯანიბეგი	1342-1357 წწ.
ბერდიბეგი	1357-1359 წწ.

[27] **(Kemaloğlu, 2016. 140-143).**

ბათო ხანის გენეალოგიის შეწყვეტა, 20 წლიანი უძრაობის ხანა

ქულფა	1359 წ.
ნავრუზ ხანი	1359-1360 წწ.
ხიზირ ხანი	1360 წ.
თიმურ ხოჯა	1361 წ.
ორდუმელიქი	1361 წ.
ქილდიბექი	1361 წ.
მირ ბოლათი (თემურ ბოლათი)	1361 წ.
მურადი (მურიდი, ამურადი)	1361-1363 წწ.
ბოლათ ხოჯა	1364 წ.
აზიზი	1364-1367 წწ.
აბდულა	1367-1368 წწ.
ჰასანი	1369-1374 წწ., 1375-1376 წწ.
ჰაჯი ჩერქესი	1374-1375 წწ.
ალიბექი (აიბექი, ილბექი, ალი ხოჯა)	1374-1375 წწ.
ყარიხანი (გიასედინი)	1375-1377 წწ.
არაბშაჰი	1375-1377 წწ.
ურუს ხანი	1377-1378 წწ.
თოხთამიში	1378 წ.
თემურ მალიქი	1378-1379 წწ.

ოქროს ურდოს კვლავ გაერთიანების პერიოდი

თოხთამიში	1379-1391 წწ.
ბექბულატი	1391 წ.
თემურ ყუთლუღი	1391 წ.
თოხთამიში	1392-1395 / 1406 წწ.
თაშ თემურ ოღლანი	1395-1396 წწ.
ქუირუჩუქი	1396 წ.
ბერდიბეგ II	1396 წ.
თემურ ყუთლუღი	1396-1399 წწ.
შადიბეკი	1399-1406 წწ.
ფოლადი	1406-1407 წწ.
ჯალალედინი	1407 წ.
ფოლადი	1407-1411 წწ.
თემური	1411-1412 წწ.
ჯალალედინი	1412 წ.
ქერიმბერდი	1412-1413 წწ.
ქეფექი	1414 წ.
ჩექრე	1414-1416 წწ.
ჯაბარ ბერდი	1416-1417 წწ.
დერვიში	1417-1419 წწ.
ულუ მუჰამედი	1419-1423 წწ.

ოქროს ურდოს დაშლის პერიოდი

ხუდადი (ხუდაიდათ)	1422-1424 წწ.
ბარაქი	1422-1423 წწ.
ულუ მუჰამედ ხანი	1425 წ.
ჯუმადუქ ხანი	1425-1428 წწ.
დევლეთ ბერდი	1426-1428 წწ.
ულუ მუჰამედ ხანი	1427-1431 (36) წწ.
ქიჩი მუჰამედი	1431-1443 წწ.
გიასედინი	1430 წ.
ჰაჯი გირაი	1432 წ.
ულუ მუჰამედ ხანი	1437 წ.

დიდი ურდოს ხანები

საიდ აჰმედი	1437-1465 წწ.
აჰმედი	1465-1481 წწ.
საიდ აჰმედი	1481 წ.
იბაქი	1481 წ.
მურთაზა	1481-1485 წწ.
საიდ აჰმედი	1485-1487 წწ.
იბაქი	1487 წ.
მურთაზა	1487-1491 წწ.
მენგლი I გირაი	1491 წ.
იბაქი	1491-1495 წწ.
შეიხ აჰმედი	1495-1502 წწ.

ოქროს ურდოს ხანები არეულობის პერიოდში და მათ სახელზე მოჭრილი მონეტები[28]

ხანი	საგვარეულო შტო	მოჭრის თარიღი ჰიჯრით	მონეტის გავრცელების არეალი
მუჰამედ ბერდიბეგ	ბათო ხანი	758-761	მთელი ოქროს ურდო
ქულფა/ქულნა		760/761	სარაი, აზაკი, გულსიტანი, ხვარაზმი
მუჰამმედ ნავრუზ ბიქ	ბათო ხანი	760/761	აზაკი, ყირიმი, სარაი, ხვარეზმი
მაჰმუდ ხიზირ	ორდა	760/761/762	აზაკი, სარაი, გულისტანი, ხვარაზმი
თემურ ხოჯა		762	სარაი
აბდულლაჰ	ბათო ხანი	762/771	დროებით: სარაი, ბულგარები მუდმივად: დას. ყივჩაღები, ყირიმი და ჩრდ. კავკასია.
მურიდ ორდა	ორდა	762/764	დროებით სარაი და გულისტანი
ქილდი ბექი	ბათო ხანი	762 /763	სარაი, მოჰში, აზაკი, გულისტანი
ორდუ მელიქ	ორდა	762	სარაი, აზაკი
მირ ბულად		764	სარაი
ბულად ჰოჯა		766	გულისტან
აზიზ შეიხი		766-7782	სარაი, გულისტან
მეჰმედ ბულაქ	ბათო ხანი	771-782	ვოლგის დასავლეთი, (ყირიმი, დას.ყივჩაღები, ჩრდ.კავკასია)
თოლუნ ბიქ		773	სარაი
არაბშაჰ	შეიბანი	775-7794	სარაი
ალბ ჰოჯა	ორდა	775	სარაიჯიქ
ილბან	შეიბანი	775	სარაიჯიქ
ურუს	ორდა ხანი	763/776	13 წელი
		776/779	აღმ.ყივჩაღები, სარაი
ჩერქეს ხანი		776	ჰაჯითარჰან
აი ბიქ		776	სარაი
ქარი ჰან		776	სარაი
ქაღან ბიქ	შეიბან	777	სარაი
თოხთაქია	ორდა	779/780	აღმ.ყივჩაღები, სარაი
თემურ მელიქ		780	აღმ. ყივჩაღები, სარაი
თოხთამიში		780	დაქსაქსული ოქროს ურდოს

[28] (Ağat, 1976: 42-43 ; Kafalı, 1976: 86-87).

ილხანთა და ოქროს ურდოს შორის ბრძოლათა თარიღების

ამსახველი ცხრილი[29]



[29] ცხრილი ორ-ორ ადგილს ჩვენს მიერ. მუქი ფერებით მოცემულია კონკრეტულ ბრძოლაში გამარჯვებული მხარე. წითელი ფერით აღნიშნულია ჯანიბეკ ხანი, რომელმაც სულ მოკლე ხნით მიაღწია ოქროს ურდოს საგარეო პოლიტიკის მიზანს.